ფილიპე მახარაძე.

თხზულებათა კრებული

ტომი II

წერილები სხვადასხვა საკითხებზე.

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი—1925

შ ი ნ ა ა რ ს ი.

ჟურნალი „ეკალი“ 1902—1903 წ.

და

„პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ბ რ ძ ო ლ ა“ 1904 წ.

	გვერ.
ჭიათურის ვითარება	1
შავი ქვის მრეწველთა მე-ნ-თე ყრილობა ქუთაისში .	20
წერილი პირველი	20
მეორე	24
მესამე	31
მეოთხე .	39
მეხუთე .	45
მეექვსე .	52
მეშვიდე და უკანასკნელი	60

ჟურნალი „პროლეტარიატის ბრძოლა“ 1904 წლისა.

გლეხკაცობის მდგომარეობის შესახებ ამიერ-კავკასიაში. .	70

ჟურნალი „მოგზაური“ 1905 წლისა.

დღევანდელი ვითარება .	85
ბაქოში მომხდარ ამბების გამო .	91
კიდევ ბაქოში მომხდარ ამბების გამო	93
გურიის ვითარება	98
რა გამოირკვა? . .	104
გლეხ-კაცობის მოძრაობა ქართლში .	110
დღევანდელი მდგომარეობა	116
ვის ატყუილებენ? . .	121
წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა .	126
მქადაგებელი . .	132
დღევანდელი ვითარება	136
თავის გამართლებაც ასეთი უნდა (პასუხათ თ-დ ილია ჭავჭავაძეს)	141
ბიუროკრატია და რეფორმები .	155
ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნახ	158
ა. ბ. ბულიგინის პროექტი	160
უკანასკნელი ამბების გამო .	163
ალ. წულუკიძის ხაფლავთან.	166
აგრარული კითხვის გამო .	168

რუსეთი .	171
ზავის ჩამოგდება	174
სახელმწიფო სათათბირო (6 აგვისტოს კანონი)	176
ისტორიული მატრაკვეცები	182
საკუთარი სახის დანახვა	187
გურია განსაცდელშია	194
რუსეთის რევოლიუცია და 17 ოქტომბრის მანიფესტი .	197
განსაცდელის აცდენა . . .	208
პროლეტარიატის დანიშნულება	210
პარტიის ცხოვრებიდან	214
ჩვენს მკითხველებს	221
რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიის მომავალ ყრილობის (სიეზდის) გამო .	223
პირდაპირობა და ორპოფობა	225
წერილი პირველი . . .	225
წერილი მეორე და უკანასკნელი	234
პროლეტარიატი და რევოლიუცია	240
შინაური მიმოხილვა	244
ეურნალ გაზეთებიდან	278

გაბ.: „სსივი“, „განთიადი“, „ელვა“ და „ლამპარი“ 1906 წლისა.

მთავრობის ლოლიკა და ისტორიის ლოლიკა	287
უკან ვიხევთ თუ წინ მივდივართ? . . .	290
მთავრობის საქმიანობა და ხალხის ინტერესები	294
სომხებისა და თათრების დელეგატების თათბირი	297
აგრარული მოძრაობა და დღევანდელი მთავრობა	300
პოლიტიკური ბრძოლა და კლასობრივი ინტერესები . .	303
პროლეტარიატი იბრძვის, ბურჟუაზია უფლებებს პოულობს	306
აგრარული მოძრაობის მოლოდინი	309
„კონსტიტუციონალური“ ილიუზია .	312
სახელმწიფო სათათბირო და ბიუჯეტი	316
ხალხის პირისუფლები . .	320
ურიების დარბევა რუსეთში	324
დღევანდელ დღეს	328
კონსტიტუციონ. დემოკრატების ტაქტიკა . . .	332
სოციალ-დემოკრატები და სათათბიროს არჩევნები	336
სოციალ-დემოკრატიის გარშემო . .	341
დღევანდელი პოლიტიკური გითარება	345
პოლიტიკური მიმოხილვა	352
რევოლიუციის ბედი	356
ალექსანდრე წულუკიძის გარდაცვალების წლის თავი	360
შენიშვნები	363

ჟურნალი

„კვალი“ 1902—1903 წ.

და

„პროლეტარიატის გრძოლა“ 1904 წ.

ჭიათურის ვითარება.

I

სწორეთ მოგახსენოთ, მე არ მინდოდა ამ სათაურით დაწერა, იმიტომ რომ ვიცი: ჭიათურის გახსენებაზე ბევრი ააცქვიტინებს ყურს, ბევრს შიშის ერეანტელი დაუვლის ტანში; არ მინდოდა იმიტომაც, რომ ამ სიტყვის გაგონებაზე ზოგიერთები სიაშოვნების ღიმილით აიღებენ ხელში გაზეთს იმ იმედით, რომ იქ იპოვონ სხვისი დასამცირებელი საშუალება, რადგანაც ფიქრობენ, რომ იმათი სისაძაგლე და ზნეობრივი სიდუხჭირე დაიმალება, თუ საზოგადოების ყურადღება სხვისკენ იქნება მიქცეული. მაგრამ მე წინდაწინვე ვაცხადებ, რომ ვინც ასეთი განზრახვით დაიწყებს ჩემი წერილის კითხვას, ის მოტყუებული დარჩება. წინდაწინვე ვაცხადებ, რომ მე პარადათ არც ჭიათურის ოქროები მაინტერესებს და არც მისი ახალმოდის დევ-გმირთა სასიქადულო თუ სათაკილო მოღვაწეობა. კარგათ ვიცი, რომ ამაებს უჩემოთაც მრავალი მოტრფიალე ყავს, რომ მეც იმათ შევუერთდე. დეე, იმათ ილაპარაკონ და ბეჭდონ სტატიები ასეთ საგნებზე, ვისაც გამდიდრება და პირადი ანგარიშის საქვეყნო ინტერესებათ დასახვა ერთათ-ერთ მიზნათ გაუხდია. საბედნიეროთ ქვეყანა მარტო ასეთებით არ არის დასახლებული. მე მრწამს, რომ ჩვენში არიან ისეთებიც, რომლებიც სულ სხვა, მაღალი გრძნობებით არიან აღჭურვილი, რომლებიც ადამიანის ღირსებას პატივს ცემენ, მის პიროვნებას ესარჩლებიან ყოველგვარი შევიწროების დროს, რომელთაც თავის დროშაზე დაუწერიათ ჰუმანიური სიტყვები: „**სიმართლე და ჰეშმარიტება**". მე ვიცი, რომ ამ სიტყვების გაგონებაზე ბევრი ეშმაკურად ჩაიცინებს, ეს რა გამოუცდელი და ხაში ვინმე ყოფილაო! მაგრამ ცდებით! იცოდეთ, რომ მე ძველი, ქანდარაში გავლილი მოსარჩლე ვარ ამ წმინდა იდეების, რასაკვირველია, არა როგორც სარდალი, არამედ როგორც ერთი უკანასკნელი მისი ჯარის-კაცი. და აი, სადაც კი ადამიანის პიროვნების დაჩაგვრას და უსამართლობას დავინახავ, მეც, ჩვეულებრივათ, როგორც ყოფილი ჯარის-კაცი, ჩემ იარაღს ვიმართავ ხოლმე. ამ იარაღს ჰქვია ჩვენს დროში ბეჭდვითი ხიტყვა.

რომელიც ზოგჯერ გათხუპნულ ხელებშიც ვარდება, რომ მისი შემწეობით უსაბარალობას გაუწიონ მოსარჩლეობა, მაგრამ დაბოლოს მაინც ჭეშმარიტების და სიმართლის მისაღწევი იარაღია.

ამ განმარტების შემდეგ გადავდივარ იმ საგანზე, რომელზედაც აქ საუბარი გვექნება მკითხველთან.

მკითხველმა ალბათ იცის, თუ რა არის დღეს ჭიათურა, ის ჭიათურა, რომელიც ამ ოციოდე წლის წინათ სრულიად უცნობი და მიყრუებული ადგილი იყო. დღეს ის წარმოადგენს სამრეწველო ცენტრს, რომელსაც ფართო სახელი აქვს მოპოვებული. ჭიათურის მრეწველობა თქვენ იცით; გეცოდინებათ აგრეთვე ისიც, თუ როგორ მდიდრდება იქ ზოგიერთი ბედნიერთაგანი ამა ქვეყნისა. მაგრამ მე იმაზე არ ვლაპარაკობ და არც იმათი ბედნიერება მშურს; და კიდეც რომ მშურდეს, მე ხომ ამას ვერავის დავუშლი. არა, მე ვამბობ იმ დავიწყებულებზე, რომლებიც ჭიათურის მრეწველობას სათავეში უდგანან, რომელთაც მიწის გულიდან წვითა და დაგვით ამოაქვთ სიმდიდრე და სხვას ჯიბეში უდებენ. და მართლაც, ყველასათვის აშკარაა, რომ შავი ქვის მადანი თავის თავად მიწიდან არ გამოდის და არც რკინის გზის ბაქნებზე ჩადის. ყველამ კარგად უწყის, რომ მადანის ამოღებისათვის, მისი გაწმენდა-დალაგებისთვის და რკინის გზის ბაქნებზე ჩამოტანისათვის ადამიანის შრომა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. და ამ გარემოებას იძულებულია შეურიგდეს ყველა მრეწველი, რომელსაც ფულის შეძენა გაუხდია თავის ცხოვრების მიზნათ. მაგრამ თვით ამ შრომის წარმომადგენელის პიროვნება, მისი მდგომარეობის ცოდნა არავისთვის საჭიროებას არ შეადგენს. საჭიროა მხოლოდ, რომ მადანი გამოიღონ მიწიდან, გაწმინდონ, ჩაიტანონ რკინის გზის ბაქნებზე და იმით დატვირთონ ვაგონები. თუ კი ეს შესრულდება, დანარჩენი არამც ყოფილა, ოქროები ხომ ჯიბეში ჩაჩხრიალდება, და წარმოიდგინეთ, რომ ჭიათურის მიდამოზე ყოველივე ეს ოც წელიწადზე მეტია რაც სრულდება და ერთხელაც არავის მოუსურვებია იმის გაგება, თუ ვინ არის ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში შრომის წარმომადგენელი, ან როგორია მისი არსებობის პირობები. იმდენათ დიდია ეს დავიწყება, იმდენათ საგრძნობელია იგი, რომ ჩვენ ეპვს შევიტანდით ჭიათურაში მშრომელი ხალხის არსებობაში, რომ აქა-იქიდან ყოველ წლივ 20—30 მილიონი. ფუთი მადანი არ გამოქონდეთ. თვით ბ. გ. ზდანოვიჩის [1]) მოხსენებიდან, რომელიც მან წარუდგინა 1900 წლის შავი ქვის მრეწველთა მესამე ყრი-

ლობას, ჩვენ ვტყობილობთ, რომ მთელ რუსეთში ძნელათ მოიპოვება მრეწველობის მეორე დარგი, სადაც ისე უყურადღებოთ იყოს დატოვებული მუშა ხალხის მდგომარეობა, როგორც ჭიათურისაა, და სადაც დღემდის მისი მძიმე ტვირთის შესამსუბუქებლათ არაფერი არ გაკეთებულაო *). ასეთი ოფიციალური განცხადების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ ჭიათურაში მომუშავე ხალხის მდგომარეობა რამოდენიმეთ მაინც გამოირკვეოდა, რაც იქნებოდა პირველი ნაბიჯი ამ მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ გადადგმული. მაგრამ ეს იყო და ეს, ყოველივე დაბოლოვდა მხოლოდ ამ მკვერმეტყველური განცხადებით.

მართალია, ამ ხნის განმავლობაში, თანახმათ მესამე ყრილობის გადაწყვეტილებისა, შემოღებულ იქნა ჭიათურის მადნებში მომუშავეთა საერთო (კოლექტიური) დაზღვევა უბედურ შემთხვევებისაგან კეთილ კომერციულ საზოგადოებაში, მაგრამ ეს ზომა დღევანდელი სისტემით სრულიათ შეუსაბამო და ყოველად უსარგებლო გამოდგა ჭიათურის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის, რასაც ჩვენ აშკარად დაგვანახვებს ამ დაზღვევის ორი წლის მოქმედების განხილვა, რაიცა ამ წერილის უმთავრეს საგანს შეადგენს. მაგრამ სანამ ამაზე გადავიდოდეთ, მკითხველის ყურადღებას კიდევ შევაჩერებ ერთ ზოგად გარემოებაზე.

არის ორგანო, რომელთაც კანონით ასე თუ ისე დავალებული აქვს ჭიათურის მრეწველობაში მომუშავეთა მდგომარეობის გაცნობა: სამთო გამგეობა და თვით მრეწველთა საბჭო. პირველი ორგანო, ე. ი. სამთო გამგეობა, ვალდებულია ყოველ წლივ შემდეგი ცნობები შეკრიბოს და წარადგინოს სათანადო სამინისტროში: 1. მრეწველთა რიცხვი და მათი წარმოების რაოდენობა; 2. რამდენი მუშა ყავდა თითეულ მრეწველს წლის განმავლობაში; 3. რამდენი იყო იმათში მცირეწლოვანი და დედაკაცი; 4. ხელფასის რაოდენობა; 5. საშუშაო დღის სიგრძე მაღაროებში. გარდა ამისა, სამთო გამგეობა ავალებს ყველა მრეწველებს იქონიონ ცალკე ჟურნალი, რომელშიაც დაწერილებით უნდა იქნეს შეტანილი ყოველგვარი უბედური შემთხვევა, რომელიც კი მუშაობის დროს მუშას შეემთხვევა. მართალია, სამთო გამგეობის პროგრამაში არ შედის სხვა საინტერესო კითხვები, როგორც, მაგ., მუშის ეროვნება, მისი ოჯახური მდგომარეობა, წერა-კითხვის ცოდნა, ან რამდენი ხანია მუ-

მადნებში და მრავალი სხვა, მაგრამ რაც შედის, იმაზედაც რომ

*) იხ. Труды III с'езда марганцепромышленников. Доклад Г. Здановича об учреж- пенсионной кассы, გვერ. 9.

ჰასუხს იძლეოდეს ჭიათურის სამთო ზედამხედველობა, ამ შემთხვევაში-ც მისი ცნობები მრავალნაირად იქნებოდა საინტერესო, ვინაიდან მაშინ ჩვენ გვეცოდინებოდა, თუ რამდენი კაცი მუშაობს შავი ქვის მრეწველობაში, რამდენია იმათში ბავშვი და დედაკაცი, და რას ღებულობენ ისინი დღიურათ. სამწუხაროთ ადგილობრივი სამთო გამგეობა სრულებით არ თვლის საჭიროთ ამ ცნობების შეკრებას. ამის მაგივრათ ადგენს სიას, სადაც შეაქვს მრეწველთა სახელები და გვარები; იმათ გვერდზე ნაჩვენებია, თუ თითო მრეწველს რამდენი ფუთი მადანი ამოუღია წლის განმავლობაში და რამდენი მუშა ყოლია. მორჩა და გათავდა. მაგრამ უფრო გასაკვირვალი აქ ის არის, რომ უმეტეს შემთხვევაში მუშათა რაოდენობა ნაჩვენებია მთელი რიცხვით კი არა, არამედ მთელ რიცხვს ნაწილიც ახლავს. მაგალ., ვინმე მრეწველს ამოუღია, ვთქვათ, წლის განმავლობაში ასი ათასი ფუთი ქვა და მუშა ყოლია 5,7, ე. ი. ხუთი მთელი მუშა და ერთისაც შვიდი მეათედი. რასაკვირველია, რთულ სტატისტიკურ გამოკვლევებში ასეთი ნაწილადიანი რიცხვები ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ყოვლად გაუგებარია. და თუ ასეთი ციფრებით არის ავსებული სამთო გამგეობის სიები, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ნამდვილ ცნობების შესაკრებათ მას ვერ მოუცლია, და ვალის მოსახდელათ თავისი ფანტაზიის საშუალებით გამოგონილი რიცხვები ჩაუწერია იმ მოსაზრებით, რომ კონტროლს მაინც ვერავინ გაუკეთებს. და ეს იმ დროს, როცა სამთო გამგეობას ჭიათურაში მოსახსახურეთა სრულიად საკმარისი რიცხვი ყავს. აქნაირათ გამოდის, რომ ჩვენ დღეს არ ვიცით დაახლოვებით ჭიათურის მადნებში მომუშავეთა ნამდვილი რაოდენობა. რაც შეეხება იმას, თუ ვინ არის ეს ხუთი და შვიდი მეათედი მუშა, საიდან არიან ისინი მოსული, მცირეწლოვანია, დედაკაცი თუ დიდი, რა ქირას ღებულობენ, რამდენ საათს მუშაობენ, დღე და ღამის განმავლობაში, წერა-კითხვის მცოდნე არიან თუ არა და სხვადასხვა — ყოველივე ეს წყვდიადით არის მოცული და თქვენ სრულიად ამაოთ ეცდებით ამაების გაგებას.

ამ ნაკლის თავიდან აცილება შეეძლო მრეწველთა საბჭოს და განსაკუთრებით მასთან დაარსებულ სტატისტიკურ ბიუროს. ვინც წაიკითხავს ბ. ზდანოვიჩის მოხსენებას, რომელიც მან მრეწველთა მესამე ყრილობას წარუდგინა, ყველა იმ დასკვნამდე მივა, რომ სტატისტიკური ბიუროს დაარსების ერთი უმთავრესი მიზანი ჭიათურის მრეწველობის [illegible] მომუშავე ხალხის მდგომარეობის გამოკვლევა და შესწავლა [illegible]

ყოფილიყო. მაგრამ, როგორც სჩანს, ეს არ გამართლდა. მართალია, დაზღვევის არ იყოს, სტატისტიკური ბიურო კი დაარსდა, მაგრამ მისი თავი და თავი მიზანი თითქმის სრულებით დავიწყებული დარჩა. როცა რაიმე ღონისძიება გსურთ იხმაროთ რაიმე საქმის წარმატებისათვის, უწინ თვით საქმეს უნდა იცნობდეთ. მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუჯობესება უწინარეს ყოვლისა თხოულობდა თვით ამ მდგომარეობის ცოდნას. ჭიათურის მრეწველთა საბჭოსთან დაარსებული სტატისტიკური ბიურო ჩვენთვის უცნობ მიზეზების გამო აცდა ოვიანი პირდაპირ გზას. ჩვენ არ ვიცით, თუ რას აკეთებს დღეს ბიურო, შეიძლება იგი ბევრსაც მუშაობდეს, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ ჭიათურაში მომუშავე ხალხის მდგომარეობის შესწავლა დღესაც ის ყოფაშია, როგორც ეს აქ ორი თუ გინდ ათი წლის წინად იყო. ჩვენი აზრით მრეწველთა საბჭო ვალდებული იყო მიენიჭებინა სტატისტიკური ბიუროსთვის ისეთი ორგანიზაცია, რომ მას შესძლებოდა თავის უმთავრესი დანიშნულების შესრულება. სამწუხაროთ, ეს ასე არ მოხდა. საინტერესოა ვიცოდეთ, ნივთიერი საშუალების უქონლობამ შეუშალა ხელი საბჭოს საჭირო ორგანიზაციის შექმნისთვის, თუ თვით სტატისტიკური ბიუროს მოსამსახურენი ვერ აღმოჩნდენ თავის თანამდებობისათვის შესაფერი პირები?

როცა ხედავ, ერთი მხრით, ასეთ სრულ უყურადღებობას და მეორე მხრით მომუშავეთა აუტანელ მდგომარეობას, გული გიკვდება. შეიძლებოდა კი, რომ ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, არსებულიყო სხვადასხვა ორგანიზაცია ამათ სასარგებლოთ, როგორც, მაგ., სხვადასხვა დამხმარებელი საზოგადოებანი, სკოლები, კითხვები, იაფ-ფასიანი სასადილოები და უმეტესათ კი ბინები. რომ იცოდეთ, სად ატარებენ ღამეებს ჭიათურელი მუშები, ან როგორ იკვებებიან ისინი, რამდენ საათს მუშაობენ დღე და ღამეში, გაიცდებით. მაგრამ თქვენთვის წარმოუდგენელია ის ბნელი, ნესტიანი, მიწური, ქოხმახები, რომლებიც ყველაფერს ჰგავს, გარდა ადამიანის სადგომისა. აი რაში ცხოვრობენ ჭიათურაში მომუშავენი! როცა უყურებ აქ ცხოვრებას, ძალა-უნებურათ გაიფიქრებ, რომ ადამიანის პიროვნებას ასე მდაბლათ არსად არ უნდა აფასებდენ, როგორც ჭიათურის მადნებში. სკოლა რა ხილია, აქ არ იციან, თუმცა მცირეწლოვან მომუშავეთა რიცხვი საკმარისათ დიდია. აქედან ადვილათ აიხსნება ის გარემოება, რომ წერა-კითხვის მცოდნეს აქ სანთლით ვერ მოსძებნი. მაგრამ მადნებში მომუშავეებზე კიდევ უფრო უარეს ყოფაში ჩალან-

[illegible]ბია, ე. ი. ისინი, ვისაც ხარ-კამეჩით თუ ცხენით მადანი რკინის გზის ბაქანზე ჩამოაქვთ. თუ მადნებში მომუშავე ხალხს სამთო გამგეობა [illegible] ასე თუ ისე იხსენიებს, ჩალანდრები მასაც დავიწყებული ჰყავს და [illegible]ველთა საბჭოს ხომ ისინი არ გახსენებია და არა, ე. ი. თუ ჩვენ [illegible] მუშათა რიცხვი, ტყუილი თუ მართალი, მაინც გვაქვს, ჩალანდრების შესახებ არც ეს ვიცით. მრეწველებში იციან მხოლოდ, რომ ვილაც [illegible]ები და პეტრეები მადნებში მიდიან, იქ ტვირთვენ ურემს და ცხენებს [illegible]ქვით, რომელიც ჩააქვთ რკინის გზის ბაქნებზე. ხშირათ მოხდება [illegible]ზე, რომ ჩალანდარი თავისი ცხენით ან ხარ-კამეჩით რკინის გზის [illegible]ის მაგიერ ხრამში გადავარდება და სამუდამოთ იკარგება, მაგრამ ეს [illegible]ს აწუხებს და ამას შველის ის გარემოებაც, რომ მათი სათვალავიც [illegible]ავინ იცის, რომ დაკლება მაინც შენიშნოს! ერთი სიტყვით, საკვირველი არსებაა ეს შავი-ქვის მუშა!

II

პირველ წერილში მე ვთქვი, რომ, თანახმად ჰიათურის შავი-ქვის მრეწველთა მესამე ყრილობის გადაწყვეტილებისა, 1901 წლის 21 თებერვლიდან შავი-ქვის მადნებში მომუშავენი დაზღვეულ იქნენ უბედურ შემთხვევისაგან. იქვე იყო ნათქვამი, რომ ამ წერილის უმთავრეს საგანს შეადგენს ამ დაზღვევის გაცნობა და დაფასება, თუ რა სარგებლობა მოუტანა მან მუშებს და რას უნდა მოველოდეთ მისგან მომავალში, თუ ვინაობაა მისი დღევანდელი სისტემა, წესრიგი სრულებით არ გამოიცვალა მომავალი მეხუთე ყრილობის დროს, რომელიც ჩქარა უნდა მოხდეს. მაგრამ, სანამ ამ საგანზე გადავიდოდე, საჭიროთ მიმაჩნია განვმარტო, რაც შეიძლება მოკლეთ, თუ რას ვეძახით უბედურ შემთხვევას, რომლისგანაც იზღვევა მუშა, რა კანონის ძალით ხდება მუშის ნივთიერი ზარალი, რომელიც მუშას უბედურ შემთხვევის გამო მოელის.

ყველამ ჯარგათ იცის, რომ უბედური შემთხვევა ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება შეემთხვას კაცს, მეც და შენც, მკითხველო; მაგრამ ისიც კარგათ ვიცით ყველამ, რომ ამისთვის არავინ ვალდებული არ არის ჩვენ რაიმე გვიზღოს. სულ სხვაა, როცა დაქირავებული მუშა იზღვება მუშაობის დროს უბედურ შემთხვევისაგან,—მაგრამ ესეც განმარტებას თხოულობს. ყოველგვარი მუშაობა, თუ იგი ხდება ცუდ პირობებში,

მაგ. გაფუჭებულ ჰაერში, ან დიდხანს გრძელდება, ასნეულებს კაცს და უდროოდ უსპობს მას სიცოცხლეს. მეორე მხრით, არის ისეთი მუშაობა, სადაც ან თვით წარმოების იარაღი, მისი ხმარება უქადის მუშას ხიფათს, ან და თვით დასამუშავებელი ნივთიერება აუცილებლად სწამლავს მუშის სხეულს. მუშაობის ასეთი მავნებელი და სახიფათო პირობები წინათაც, მონობის და ბატონ-ყმობის დროსაც იყო, რასაკვირველია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუშის დაზღვევა უდროოთ დასნეულებისაგან და უბედურ შემთხვევისაგან მხოლოდ სულ ახალი საქმეა. მუშის დაზღვევის გაჩენის მიზეზი მარტო ის კი არ არის, რომ იგი სხვის სასარგებლოთ მუშაობს და ამიტომ მისი დამქირავებელი ვალდებულია მას ზარალი უზღოს. არა. უნდა ვიფიქროთ, რომ შრომისაგან უდროოდ დასნეულება და მოწამლვა და ის, რასაც ჩვენ დღეს უბედურ შემთხვევას ვეძახით, უწინ ალბად უფრო ხშირათ ხდებოდა, ვიდრე დღეს, მაგრამ მაშინდელი მუშების დაზღვევა მაინც არავის მოსვლია თავში, ეს იმიტომ, რომ მაშინდელი მუშა სრული საკუთრება იყო თავის ბატონის, ან როგორც მონა, და ან როგორც ყმა. როგორც ნამუშევარი არ შეადგენდა მაშინდელი მუშის საკუთრებას, ისე არც თვითონ მუშა ეკუთვნოდა თავის თავს, იგი სხვისი საკუთრება იყო, როგორც უბრალო ნივთი და ამ ნივთს ხმარობდენ ისე, როგორც უნდოდათ. მაგრამ დროთა განმავლობაში მონური და ბატონ-ყმური ურთიერთობა შეიცვალა, თანდათან განვითარდა სრულიად ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელსაც ადამიანის პირადი დამოუკიდებლობა და თავისუფლება დაედვა საფუძვლად. მაგრამ ამ პირად თავისუფლებას მოჰყვა ნივთიერი ანუ ეკონომიური მონობა. დამავიწყდა მეთქვა, რომ მონობის და კიდევ უფრო ბატონ-ყმობის დროს აქა-იქ იყვნენ წვრილი მესაკუთრენი, მიწის მუშები და ხელოსნები, რომლებიც ასე თუ ისე თავისუფლად ცხოვრობდენ. ახალი ურთიერთობის განვითარებამ, რაც ფულის მნიშვნელობის გაძლიერების და აღებ-მიცემობის აღორძინების შედეგი შეიქნა, წინანდელი წვრილი მესაკუთრეობა თავისი კარჩაკეტილი, პატრიარქალური მეურნეობით მოსპო და მის მაგიერ წამოაყენა, ერთი მხრით, მსხვილი მიწის მფლობელთა, ხელოსანთა და ფულის პატრონთა კლასები, და მეორე მხრით თითქმის ყოველგვარ საკუთრებას, გარდა თავის სამუშაო ძალისა, მოკლებული მუშა, რომელიც იმავე დროს პირადი თავისუფლებით იყო აღჭურვილი და რომელიც იძულებული შეიქნა თავისი ერთად ერთი საკუთრება—სამუშაო ძალა, გამოეტანა ბაზარზე გასა-

სყიდათ. წარმოების ტეხნიკური პირობების გაუმჯობესებამ, სხვადასხვა გამოგონებამ და აღმოჩენამ, მეცნიერების პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოყენებამ სულ უფრო და უფრო შეუწყო ხელი ასეთ დაყოფის, დიფერენციაციის, მიმდინარეობის პროცესს. გაჩნდენ უზარმაზარი წარმოებანი, სადაც ათასი და ათი ათასი დაქირავებული მუშები იყრიან თავს. ეს არის თანამედროვე ფაბრიკები, ქარხნები და მაღაროები.

მაგრამ წარმატების ტეხნიკურ პირობების გაუმჯობესებას და ამოდენა დაქირავებული მუშების ერთ ქარხანაში თუ ფაბრიკაში თავის მოყრას აი რა მოყვა: ვინაიდან მშრომელი და წარმოების მოთავე სულ სხვადასხვა პირი აღმოჩნდა, ამიტომ პირველ ხანებში სრულებით აღარ მიაქციეს ყურადღება არც შრომის ანტისანიტარულ და ანტიჰიგიენურ პირობებს. და არც უბედურ შემთხვევათა ასაცდენ ღონისძიებათ; და უნდა ვთქვათ, რომ რამდენათაც გროვდებოდა წარმოება ერთი კაცის ხელში, რამდენათაც უმჯობესდებოდა თვით წარმოების ტეხნიკური პირობები, იმდენათ უარეს პირობებში ვარდებოდა თვით შრომა, ე. ი. მშრომელი ხალხი. და ეს არც გასაკვირალია. გარდა ამისა წარმოებაში რთული მანქანების შემოღების გამო, ხშირადაა უბედური შემთხვევები, ე. ი. მუშების სიკვდილი ან დასახიჩრება. დაუმატეთ ამას მიწის გულის ბაკრა და მიწის ქვეშ მუშაობა სხვადასხვა მადნეულობის გამოსატანათ, ერომლისოთ ყოველათ შეუძლებელია დღევანდელი მრეწველობის და მასთან თვით დღევანდელი განათლებული კაცობრიობის არსებობა. და აგრეთვე ჯანმრთელობისათვის სხვადასხვა მავნებელ ქიმიურ ნივთიერებათა გაკეთება და თქვენ რამდენიმეთ წარმოიდგენთ, თუ რამდენნაირი უბედურება მოელის თანამედროვე მუშას მუშაობის დროს.

თანამედროვე მრეწველობის განვითარების ხანებში, როგორც მოგეხსენებათ, გამეფებული იყო ასეთი შეხედულება: მუშა სრულიად თავისუფალია, როცა იგი ყიდის თავის სამუშაო ძალას, მას სრული უფლება აქვს თავისუფლათ აირჩიოს სამუშაო, მაგრამ რაკი ერთხელ აირჩევს, შემდეგ რაც მოუვა, ყველაფერში თვითონვეა პასუხისმგებელი. ასეთი ეშმაკური ლიბერალობით დამქირავებლები, მრეწველები, დიდხანს იცილებდენ თავიდან ყოველგვარ პასუხისგებას, როცა იმათ მუშებს უბედური შემთხვევა სიცოცხლეს უსპობდა ან სამუდამოთ ასახიჩრებდა და ასნეულებდა. რამდენათაც იზრდებოდა მრეწველობა, იმდენათ უბედურ შემთხვევათა რიცხვი და მუშა ხალხის უდროოთ დასნეულება უფრო და უფრო ხშირი მოვლენა შეიქნა. მაგრამ იმავე დროს ასეთი მდგომა-

რეობის უსამართლობა და აუტანლობა აშკარა შეიქნა. ამიტომ როგორც საზოგადოებაში, ისე მრეწველობაში გაჩნდენ ისეთი სასახელო მოღვაწენი და მეცნიერნი, რომლებმაც აშკარათ დაგვეს ასეთი მდგომარეობა და ურიცხვი ფაქტებით დაამტკიცეს, რომ რამდენათ იზრდება თანამედროვე საზოგადოების სიმდიდრე, იმდენათ ხალხის ერთი უდიდესი წილი შემდგარა დეგრადაციის, ე. ი. გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური დაქვეითების გზაზეო. აქედან იწყება ის დიდებული მოძრაობა, რომელმაც შექმნა ყველა განათლებულ ქვეყნებში ეგრეთ წოდებული საფაბრიკო კანონმდებლობა, რომლის ერთ საფუძველთაგანს შეადგენს ის დიდ და აზრი, რომ მექარხნე კაპიტალისტი პასუხისმგებელია, თუ მის დაქირავებულ მუშას მუშაობის დროს მის უნებურათ რაიმე უბედურება შეემთხვა, რომელიც ბოლოვდება ან სიკვდილით და ან დასახიჩრებით, რომელიც სამუდამოთ აბნელებს მას. თუ უბედური შემთხვევა გამოწვეულია ფაბრიკანტის დაუდევრობით, იგი ნივთიერი პასუხისმგებლობის გარდა, ხასლის სამართლითაც ისჯება. ამ ნაყოფიერ მოძრაობას მოუსწრო და მის გაძლიერებას ხელი შეუწყო თვით მომუშავე ხალხის გამოფხიზლებამ და თავისი თავის ინტერესების შეგნებამ. თავის თავად იგულისხმება, რომ მრეწველები ყოველგვარ საშუალებას ხმარობდენ, რომ რამენაირათ თავიდან აეცილებინათ მათ სამუშაოში დასახიჩრებულთა ნივთიერათ დაკმაყოფილება, მაგრამ დრო უკვე გამოიცვალა. მრეწველნი იძულებულნი შეიქნენ უბედურ შემთხვევათაგან დაზარალებულნი დაეკმაყოფილებინათ.

ამნაირათ, როგორც ხედავთ, მუშების დაზღვევა არ გამოუწვევია არც მრეწველთა გულკეთილობას და არც მათ ქველმოქმედებას — ეს არ არის მოწყალება. პირიქით, რასაც ამ შემთხვევაში მუშას აძლევენ, მან ეს დაიმსახურა არა მარტო შრომით, არამედ თავის სიცოცხლის და თავის ჯანმრთელობის შეწირვით. ეს დღეს უკვე ალარსად და არავისთვის სადავო საგანს ალარ შეადგენს... ყველაზე უფრო მუშების დაზღვევის საქმე განვითარდა გერმანიაში, რომელიც ამ მხრით ყველა დანარჩენ ქვეყნებისთვის მისაბაძ მაგალითად შეიქნა. არც ერთ ქვეყანაში მუშათა დაზღვევას ისეთი ფართო ნიადაგი არა აქვს მოპოვებული, როგორც იქ. აი სხვათა შორის რამდენიმე ცნობა მუშათა დაზღვევის შესახებ გერმანიაში *): ფული, რომელიც გერმანიის მუშა ხალხმა მიიღო მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში (1885 წლი-

*) ეს ცნობები ამოღებულია ბეკერის მოხსენებიდან, რომლის შინაარსი მოყვანილია ახალ დაარსებულ რუსულ ჟურნალში „Промышленность и здоровье", წ. I, გვერ. 75.

დან იწყება გერმანიაში ავადმყოფობისაგან დაზღვევა, 1885 წლიდან—უბედურ შემთხვევათაგან, და 1891 წლიდან—მოხუცებულობისა და შეუძლებლობისაგან—инвалидность), როგორც პენსია და სხვადასხვაგვარი დახმარება, უდრის ოთხ მილიარდ მარკას, ანუ თითქმის ორ მილიარდ მანეთს. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს იმ მუშების რიცხვი, რომელთაც სავალდებულო დაზღვევით უზრუნველყოფილი აქვთ პენსია მუშაობის დროს უბედურების გამო, ავიდა 19 მილიონამდე. გარდა ამისა, ნაწილი იმ ფულისა, რომელიც შეგროვილია სხვადასხვა დაწესებულებაში მუშების დასაზღვევათ ეძლევა სესხათ ისეთ დაწესებულებათ, რომელთაც მიზნათ აქვთ მუშა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება, როგორც, მაგ., მუშათა სადგომების ასაგებათ, საავადმყოფოების, შემნახველ კასების, მომხმარებელ საზოგადოებათა დასაარსებლათ და სხვ. მაგრამ გერმანიაში შემოღებულ სავალდებულო დაზღვევის ყველაზე-უფრო თვალსაჩინო შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ ამ დაზღვევამ შეამცირა უბედურ შემთხვევათა რიცხვი და აი რათა: ყოველი უბედური შემთხვევა, გარდა სხვა უსიამოვნობისა, მრეწველობის მხრით იწვევს ხარჯს, და ამიტომ იგი ამჯობინებს მის აცდენას, რისთვისაც ღებულობს სხვადასხვა ზომებს. აი რას ამბობს ამის შესახებ პროფ. კონ. ჰარმანი: „წარმოების საშიშარ პირობების შესასწავლათ, იმათი მნიშვნელობის დასაფასებლათ და იმათ წინააღმდეგ ზომების მისაღებათ საჭირო შეიქნა ძლიერი ფაქტორი. ასეთი ფაქტორია უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის კანონი, რომელიც გამოიცა გერმანიაში 1884—1887 წ.წ., რომლის ძალით, მუშა, რომელიც უბედურ შემთხვევამ დაასნეულა ისე, რომ მუშაობა აღარ შეუძლია, ღებულობს ჯილდოს. ვინაიდან ამ უკანასკნელს იხდიან მრეწველები, ამიტომ ისინი ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ რაც შეიძლება შეამცირონ უბედურ შემთხვევათა რიცხვი *). და წარმოიდგინეთ, რომ ის, რის მიღწევას სასტიკი პოლიციური ზომებით ამაოთ ცდილობდენ რამდენიმე ათი წლის განმავლობაში, სავალდებულო დაზღვევის მეოხებით მიღწეულ იქნა სულ მოკლე ხანში.

საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ როცა მუშას უბედური შემთხვევა ისე ასნეულებს და ასუსტებს, რომ მას სრულებით აღარ შეუძლია მუშაობა, სავალდებულო დაზღვევის ძალით მას ეძლევა წლიური პენსია, რომელიც უდრის მის წლიურ სამუშაო ქირას, თუ ეს უკანასკნელი არ

*) იქვე, გვ. 27.

აღემატება 280—300 მანეთს, უკანასკნელ შემთხვევაში ამ ქირის 75%, მაგრამ არა უმცირეს 275 მანეთისა წელიწადში.

როგორც ვამბობდით, მუშების დაზღვევამ ჩქარა მოიკიდა ფეხი სხვა-დასხვა ქვეყნებში, ყველაზე უფრო გვიან მან რუსეთში შემოყო ფეხი. აქ მუშების დაზღვევა იწყება მხოლოდ 1888 წლიდან. ფაბრიკანტები და მექარხნეები ჩქარა დარწმუნდენ, რომ მათთვის ბევრათ უფრო უმჯობესია წინდაწინ განსაზღვრული თანხის გადახდა მუშების საერთო დაზღვევისათვის რომელიმე კერძო დამზღვევ საზოგადოებაში. და მართლაც, სულ ათიოდე წლის განმავლობაში დაზღვეულ მუშათა რიცხვი საოცრათ გაიზარდა. 1888 წელს დამზღვეულ მუშათა რიცხვი მთელ რუსეთში უდრიდა 40,196 კაცს, 1898 წელს კი ეს რიცხვი ავიდა 684, 766-ამდის. იმავე დროს დაზღვეული თანხა უდრიდა:

	სიკვდილის დროს	სრული დასნ. დროს
1888 წელს	28.151,555 მან.	29.738,655 მან.
1898	458.968,769	621.196,579

	დროებ. შეუძლ. დროს.	ს ულ
1888	4.003 მ.	57.894.213 მ.
1898	173,009 „	1.080.338,357

როგორც ხედავთ, ამ ათი წლის განმავლობაში მუშების დაზღვევას დიდი ნაბიჯი გადაუდგამს წინ. მაგრამ ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ამით შემსუბუქდა მშრომელი ხალხის მდგომარეობა? შემდეგი ფაქტი აშკარათ დაგვანახვებს ჩვენ საქმის ნამდვილ მდგომარეობას. იმავე ხნის განმავლობაში, ე. ი. 1888—1898 წწ. სხვადასხვა დამზღვევ საზოგადოებათ მიუღიათ ჯილდოთ მუშების საერთო დაზღვევის 7,493,897 მან. და დაუბრუნებიათ ამ ფულიდან დასახიჩრებულ და დასნეულებულ მუშების დასაჯილდოებლათ მხოლოდ 3.614,061 მან.; 3,825,836 მან., ე. ი. ნახევარზე მეტი თვითონ ჩაუდვიათ ჯიბეში*). ერთი სიტყვით, იმ ფულის უდიდესი ნაწილი, რომელიც დაავადმყოფებულ და დასნეულებულ მუშებს სასარგებლოთ უნდა წასულიყო, ისევ ხელში უვარდება დამზღვევ საზოგადოებას, რომელსაც მხოლოდ მოგება აქვს მხედველობაში. ამ მოგების უზრუნველყოფაზეა აგებული მისი წესდება, რომელშიც ათასგვა-

*) იხ. А. А. Пресс. Страхование рабоч. в России, 1900 წ. გვ., 7—12.

რი საშუალებაა დასახელებული, რომ უბედური შემთხვევის გამო დაზარალებული მუშას ჯილდო არ მისცეს. ამ წესდების ძალით სრული პენსია, რომელიც ჩვენებურ მუშის წლიური მცირე შემოსავლის ერთ მესამედსაც ძლივს შეადგენს, მაშინ ეძლევა მუშას, როცა მას არც ერთი ხელი და არც ერთი ფეხი აღარ აქვს სრულებით (შემხმარი მხედველობაში არ მიიღება). აშკარაა, რომ ის საზოგადოება, რომელიც ასეთი წესდებით მოქმედებს, დაარსებულია არა გაუბედურებული მუშის სასარგებლოთ, არამედ თავისი ჯიბის გასასქელებლათ. ამიტომ ამ უკანასკნელ ხანებში რუსეთში ზოგიერთ ადგილას მრეწველებმა სხვადასხვა გარემოებათა ზეგავლენით საჭიროთ დაინახეს მუშებისათვის თავისი საკუთარი საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებათა დაარსება, გერმანიის მაგალითის მიხედვით, ისეთ საზოგადოებათა, რომელნიც ბევრათ უფრო უზრუნველყოფენ დასახიჩრებულ და დასნეულებულ მუშებს. ასეთ საზოგადოებათა რიცხვი ჯერ-ჯერობით მცირეა, მაგრამ მოსალოდნელია, რომ იგი თანდათან იზრდებს. — ქიათურის მრეწველთა საბჭომ კი ამ ორი წლის წინეთ კერძო საზოგადოებაში დაზღვევის გარდა ვერაფერი გამონახა *), მაშინ, როცა მისთვის აშკარა უნდა ყოფილიყო ასეთი დაზღვევის მუშებისათვის სრული უსარგებლობა; ქვევით ჩვენ დავინახავთ, თუ რა მოგვიტანა ამ დაზღვევამ და თუ როგორ პირობებში ხდებოდა იგი.

III

განვიხილოთ ახლა ქიათურის შავი ქვის მადნებში მომუშავეთა დაზღვევის უმთავრესი პირობები, როგორც მოხსენებული გვქონდა, მრეწველთა საბჭო 1901 წლიდან ზღვევს შავი ქვის მუშებს კერძო საზოგადოებაში — „როსსია". ეს დაზღვევა ამნაირად სწარმოებს: წლის დასაწყისში საბჭო ატყობინებს საზოგადოებას, თუ რამდენი მუშა იქნება მდგომარე წელს მადნებში და რა დღიური ქირა უნდა ეძლიოთ მუშებს. ამის კვალობაზე გამოითვლება მთელი სამუშაო ქირის რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში; ამ რაოდენობით განისაზღვრება იმ ჯილდოს რაოდენო-

*) არ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოს არ სცოდნოდეს ასეთი დაზღვევის გამოუდეგრობა. ბ. ზდანოვიჩი თავის მოხსენებაში ამტკიცებდა, რომ თუმცა საურთიერთო დაზღვევა ბევრად უმჯობესია კერძო საზოგადოებაში დაზღვევასთან შედარებითო, მაგრამ ამისთვის ჩვენ ჯერ არა ვართ მომზადებულნი, და ამიტომ უკეთესია „Из двух зол выбрать меньшее", ე. ი. სულ დაუზღვევლობას კერძო საზოგადოებაში დაზღვევა ვამჯობინოთო (იხ. „Труды III с'езда, доклад П. Здановича.

ბა, რომელსაც საზოგადოება ერთმევს საბჭოს თავის თავზე რისკის მიღების გამო. აი ეს არის არსებითი მხარე მუშების **კოლექტიური, საერთო დაზღვევისა** კერძო საზოგადოებაში. მაგრამ ჩვენთვის ეს ისე საინტერესო არ არის, როგორც სხვა გარემოებანი, სახელდობრ აი რა: **პირველი**: რა საზღაურს იძლევა საზოგადოება, როცა მუშა უბედური შემთხვევისაგან სახიჩრდება და სნეულდება, ასე რომ თავის შრომით ცხოვრება აღარ შეეძლება და ან სრულებით ესალმება სიცოცხლეს, ე. ი. კვდება; რანაირად აჯილდოვებს იგი ამ შემთხვევაში, ერთი მხრით, დასახიჩრებულ და დასნეულებულ მუშას და, მეორე მხრით, მოკლულ მუშის ქვრივ-ობლებს და ნათესაებს. **მეორე**: რა და რა შემთხვევაში საზოგადოება თელის თავის თავს ვალდებულათ უზღოს ნივთიერი ზარალი დაზღვეულ მუშას.

ეს გარემოებანი აღნიშნულია საზოგადოების მე-19 და მე-21 პარაგრაფში. პირველი ბრალგანი, ე. ი. § 19 აი რას ამბობს: თუ დაზღვეული მუშა მოკვდა უბედურ შემთხვევის გამო, საზოგადოება აძლევს მთელს დაზღვეულ თანხას (1000 × დღიურ ქირაზე) მის ქვრივ და ობლებს; თუ უკანასკნელნი 16 წლის **ზედაელნი** არ არიან: დაზღვეული თანხის ნახევარს — მშობლებს, თუ ისინი გარდაცვლილ მუშის შრომით ცხოვრობდენ; თუ ვინიცობაა ასეთ პირს არავინ არა ყავს, იმ შემთხვევაში საზოგადოება ფარავს მხოლოდ იმ ხარჯს, რომელიც გამოიწვია გარდაცვალებული მუშის აქიმობამ და დასაფლავებამ, მაგრამ არა უმეტეს 10% დაზღვეული თანხისა. თუ მუშა მუშაობის დროს უბედური შემთხვევისაგან დასახიჩრდა, ისე, რომ ამას მოყვა სამუდამო დაუძლურება, ანუ ინვალიდათ გახდენა, ე. ი. როცა მუშას თავის შრომით აღარ შეეძლება თავის რჩენა სრულებით, ან მხოლოდ იმდენად დაუძლურდა, რომ მას ნაკლებად შეუძლია მუშაობა, იმ შემთხვევაში საზოგადოება არჩევს დაუძლურების (инвалидность) სამ ხარისხს: 1) როცა მუშა დაუძლურდება სამუდამოთ და სრულიად, ასე რომ, მას არავითარი შრომა აღარ შეეძლება, საზოგადოება აძლევს მას წლიურ პენსიას სიკვდილამდის, რომელიც (პენსია) განისაზღვრება საზოგადოების ტარიფების მიხედვით; 2) ნახევრათ დაუძლურების დროს მუშას ეძლევა იმის ნახევარი, რაც სრულად დაუძლურების დროს; 3) მესამე ხარისხის დაუძლურების დროს მუშას ეძლევა 10-25% იმისა, რაც პირველი ხარისხის დაუძლურების დროს. ყველა დასახელებულ შემთხვევაში საზოგადოებას უფლება აქვს წლიური პენსიის მაგიერ მისცეს დაუძლურებულ მუშას ერთდროული

შეწყობა. თუ ვინიცობაა რამდენიმე ხნის განმავლობაში მუშა მოლონიერდა და შრომა შეიძლო, ამის კვალობაზე შეუმცირდება მას პენსიის რაოდენობა და შესაძლებელია სრულებით შეეწყვიტოს მისი მიცემა. გავიგოთ ახლა, თუ რით ხელმძღვანელობს საზოგადოება დაუძლურების ხარისხის გამოსაცნობად, საზოგადოების წესდების იგივე მე-13 პარაგრაფი დაუძლურების ხარისხის გამოსაცნობათ შემდეგ საზომს იძლევა: **პირველი ხარისხი**: ა) როცა მუშა დაკარგავს სრულებით მხედველობას, ორივე თვალებით დაბრმავდება; ბ) როცა მას წაერთმევა ორივე ხელი, ან ორივე ფეხი; გ) ან ერთ და იმავე დროს ერთი ფეხი და ერთი ხელი, და დ) როცა ეს ზე სრულებით შეიშლება, გაგიჟდება. **მეორე ხარისხი**: ა) როცა მუშა წაერთმევა ან ერთი ხელი და ან ერთი ფეხი; ბ) როცა დაბრმავდება ნახევრათ, ე. ი. დააკლდება ერთ თვალს და გ) გაგიჟდება იმდენად, რომ მუშაობა კიდევ შეეძლება რამდენიმეთ. **მესამე ხარისხი**: ყველა ისეთ შემთხვევები, როცა მუშა ცოტათი უძლურდება.

აი ის კრიტერიუმი, რომლითაც საზოგადოება „როსსია“ ზომავს ყოველ უბედურ შემთხვევას; აი ის ნორმა, რომლის საშუალებით იგი აფასებს მუშის სიცოცხლეს და მის დაუძლურებას. ყველა უბედურ შემთხვევის დროს საზოგადოება მხოლოდ ამ ნორმას უყურებს და მკაცრად ანაწილებს იმ ზარალის დაფასების დროს, რომელიც მუშას შეემთხვევა უბედური შემთხვევის გამო; იგი არ შედის არავითარ გარემოების გამოძიებაში: ვთქვათ, მაგ., რომ მუშას ორივე ფეხი ან ორივე ხელი არ წარმოადგენია, ისინი მას აბია სხეულზე, მაგრამ ისინი შემხმარია ან მათი ხმარება შეუძლებელია სხვადასხვა შიზეზების გამო, თუ ტკივილის, თუ სხვა რამის, ასე რომ, ეს შემთხვევა არსებითად უდრის იმას, როცა კაცს სრულებით აღარ აქვს ეს ორგანოები; მაგრამ საზოგადოება სრულებით არ შედის იმის გარჩევაში: რაკი ხელი ან ფეხი ისევ ტანზეა შერჩენილი, თუნდაც სრულიად გამოუდეგარი, იგი ამნაირ შემთხვევას მესამე ხარისხის დაუძლურებათ ჩათვლის; მეორე მხრით, ადვილი წარმოსადგენია, რომ მუშას სრულებით არ ჰქონდეს მხედველობა დაკარგული, ან არ ეყოს შეშლილი და ხელები და ფეხებიც არ აკლდეს, მაგრამ ისე დაუძლურებული იყვეს, რომ სრულებით არ შეეძლოს მუშაობა, საზოგადოება ასეთ შემთხვევას არასოდეს პირველ ხარისხის დაუძლურებათ არ ჩათვლის; დიდი იქნება კიდევ, თუ ასეთ შემთხვევაში მან მეორე ხარისხის ადგილდ გამოიღოს. ადვილი მისახვედრია, თუ რისთვის შემოფარგლა ასე საზოგადოებამ თავის მოქმედებათა წრე: რაც შეიძლება ნაკლებ შემ-

თხკევაში გამოიღოს პირველი ხარისხის საზღაური, ე. ი. რაც შეიძლება მეტი მოიგოს დასახიჩრებულ და დაუძლურებულ მუშის ანგარიშიდან. გარდა ამისა, როგორც ვიცით, ჭკუაზე შეშლა საზოგადოების წესდებით მიჩნეულია ისეთ შემთხვევათ, როცა საზოგადოება აძლევს ამ სენით დაუძლურებულ მუშას ან პირველი ან მეორე ხარისხის საზღაურს; მაგრამ იმავე დროს საზოგადოების წესდების მეოცდაერთე პარაგრაფის ძალით ჭკუაზე შეშლა ჩათვლილია იმ შემთხვევათა რიცხვში, როცა საზოგადოება სრულებით განთავისუფლებულია უზღოს დაუძლურებულ პირს რაიმე ნივთიერი ზარალი. მართალია ხსენებულ (§ 21) პარაგრაფში ჩამოთვლილი იყო ავადმყოფობანი, რომლებიც არ არიან გამოწვეული უბედურ შემთხვევის გამო, მაგრამ როცა სრულებით იშვიათი არ არის ისეთი ადვოკატი, რომელსაც სასამართლოს წინაშე არ შერცხვა ეთქვა, რომ მუშისთვის ფეხები სრულებით საჭირო არ არისო, ოღონდ ამით კი დაეცა კერძო საზოგადოების ინტერესი *). ნუ თუ უფრო ადვილი არ არის იმის დამტკიცება, რომ ჭკუაზე შეშლას უბედურ შემთხვევასთან არაფერი საერთო არ აქვსო. გასაკვირალი აქ კიდევ ის არის, რომ ამ შემთხვევაში საზოგადოების წესდება ეწინააღმდეგება მთავრობის პირდაპირ განკარგულებას. ფინანსთა სამინისტროს განკარგულებით (7 ივნისიდან 1895 წელს) იქ, სადაც საზოგადობის § 19-ში ჭკუაზე შეშლაა დასახელებული, უნდა იყოს **განუკურნებელი სენი** (неизлечимый недуг), რაც ერთი და იგივე სრულებით არ არის. ხსენებულ განკარგულებას არ ეთანხმება არც საზოგადოების მიერ მიღებული უბედურ შემთხვევათა შედეგების სამ კატეგორიათ, ანუ სამ ხარისხათ დაყოფა. მაგ., სამინისტროს განკარგულებაში მიღებულია მხოლოდ ორი ხარისხი დაუძლურებისა. როცა დამზღვევი საზოგადოება მოგების გულისთვის თავის წესდებაში ორ ერთი მეორის საწინააღმდეგო მუხლს ათავსებს, ეს კიდევ გასაგებია, მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ ამავე მიზნის მისაღწევად იგი ეწინააღმდეგება მთავრობის პირდაპირ განკარგულებას და მთავრობა კი მას პასუხს არ სთხოვს.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მართალია კერძო დამზღვევი საზოგადოება, როგორიც არის საზ. „რუსსია", მეტად ავიწროებს თავის მოქმედების ფარგალს იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება ნაკლებ შემთხვევაში გამოიღოს საზღაური დასახიჩრებულ ან მოკლულ მუშის დასაკმა-

*) იხ. გაზ. „С.-Пет. Ведомости", 1903., № 50. О страховании рабочих, Н. Самойлова.

[illegible]ლებლათ, მაგრამ სამაგიეროთ როცა იძლევა, ყოველ შემთხვევაში, [illegible]ისს საზღაურს იძლევაო. სამწუხაროთ, ეს ასე როდია. აქ კიდევ [illegible] აშკარა ხდება კერძო საზოგადოების გაუმაძღრობა იმავე გაუბედურებული მუშის ანგარიშზე, აქ კიდევ უფრო ღალატობს კერძო საზოგადოება მუშის ინტერესებს და იცავს მხოლოთ თავის ჯიბეს. უწინარეს ყოვლისა მოწიფული ცოლშვილიანი მუშის სიცოცხლეს, რომელიც ღებულობს დღეში, ვთქვათ, ერთ მანეთს, საზოგადოება აფასებს [illegible] მანეთად? არც მეტი არც ნაკლები. არა გვგონია, რომ სადმე ასე [illegible] აფასებდენ ადამიანის სიცოცხლეს; რასაკვირველია, ჩვენ ამ შემთ[illegible]ში კულტურული ქვეყნები გვყავს მხედველობაში. მაგრამ თქვენ [illegible] იცოდეთ, რომ დამზღვევი საზოგადოებისათვის მხოლოდ მოგებას [illegible] შნიშვნელობა, და არა ადამიანის სიცოცხლეს,—ეს უკანასკნელი [illegible] [illegible] გამდიდრების. ამნაირათ, თუ ვინიცობაა უბედურმა შემ[illegible] ვამ მუშა იმსხვერპლა, საზოგადოება მის ქვრივ-ობლებს და ნათ[illegible]ს აძლევს ერთდროულათ დახმარებას და არა წლიურ პენსიას, რო[illegible] ეს მიღებულია იქ, სადაც ვაუბედურებული მუშის ინტერესი აქვთ [illegible]ველობაში და არა კერძო კაპიტალისტების გამდიდრება. რაც შეე[illegible] მუშის დაკმაყოფილებას დაუძლურების დროს, ამ მხრით კიდევ უვარ[illegible]ათ არის მოწყობილი საქმე. მართალია, საზოგადოების წესდებით [illegible]ძლურების დროს მუშას ეძლევა წლიური პენსია სიკვდილამდის, [illegible]ამ ეს ისე იშვიათია, რომ, ვგონებთ, ათასში ერთხელაც არ ხდება [illegible]ურის მოეწყველობაში ჯერ ასეთი შემთხვევა არა დროს არ ყოფი[illegible] რაც მხოლოთ თვით პენსიის სიმცირით აიხსნება. რომ ამ პენსიის [illegible]ზე ვიქონიოთ სწორი წარმოდგენა, ავიღოთ ისეთი შემთხვევა, [illegible]ცა მუშა სრულებით უძლური ხდება ყოველგვარი მუშაობისთვის, რო[illegible] ხელ ან ფეხელ-ფეხოთ არის დარჩენილი, ან დაბრმავდა და ან ქვაზე შეიშალა; ამ შემთხვევაში, როგორც ვიცით, საზოგადოება უნიშნავს [illegible]ძლურებულ მუშას წლიურ პენსიას, რომელიც საზოგადოების ტა[illegible]ით უნდა განისაზღვროს იმის კვალობაზე, თუ რა თანხაა დაზღვეუ[illegible] და რამდენი წლის იყო მუშა. როცა უბედურება შეემთხვა. მაგ., 30 [illegible]ს მუშას, რომლის დღიური ჭირა უდრიდა ერთ მანეთს და რომელ[illegible] უბედურ შემთხვევის გამო ისე დაუძლურდა, რომ სრულებით მუ[illegible]ობა აღარ შეუძლია, წლიურად დაენიშნება 55—60 მანეთი. და ამას [illegible]ენ უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევას! თუ ასეთია დასახიერებელი მუშის პენსია მაშინ, როცა მას სრულებით აღარ შეუძლია მუ-

შაობა, თქვენ წარმოიდგინეთ, როგორი იქნება იგი მაშინ, როცა მუშას, საზოგადოების გადაწყვეტილებით, კიდევ შეუძლია რამდენიმეთ იშრომოს; ჩვენ ვამბობთ საზოგადოების გადაწყვეტილებით იმიტომ, რომ ხშირათ მუშას სრულებით აღარ შეუძლია მუშაობა, მაგრამ საზოგადოების შეხედულებით ის მხოლოთ ნახევრათ ან მესამედათ არის უძლური მუშაობისათვის. ჩვენ ქვევით დავასახელებთ ნამდვილ მაგალითებს ჟიათურის მადნების დაზღვევის პრაქტიკიდან, თუ როგორ აჯილდოებდა ორი წლის განმავლობაში იმათ დამზღვევი საზოგადოება „როსსია". ახლა კი განვიხილოთ ხსენებული საზოგადოების მე-12 პარაგრაფი, რომელიც კიდევ უფრო აშკარათ ყოფს მის მიზანს და მის მისწრაფებას, დასახელებულ პარაგრაფში ჩამოთვლილია ის ავადმყოფობანი და ის შემთხვევები, როცა საზოგადოება ყოველგვარ პასუხისმგებლობას იშორებს თავიდან.

აი მისი შინაარსი: საზოგადოება არავითარ ჯილდოს არ იძლევა: ა) ყველა იმგვარი ავადმყოფობის დროს, რომელიც უბედური შემთხვევით არ არის გამოწვეული და რომელსაც ეკუთვნის დამბლა, ბნედა, ჭკუაზე შეშლა, წვეთი, ქირურგიული ოპერაცია, ტრიკი და ყოველგვარი სნეულებანი, რომლებიც კი სიმძიმის აღებით არის გამოწვეული; ბ) უბედური შემთხვევები, რომლებიც გამოწვეულია მიწის-ძვრის, ომიანობის, ხალხის აჯანყების, არეულობის გამო ან დაზღვეულის ბოროტი განზრახვით, ჩხუბის ან თავის მოკვლით; და გ) ისეთი უბედურება, რომელიც მოხდება იმ დროს, როცა დაზღვეული პირი არ ასრულებს ფავის სამსახურს, იმ სამსახურს, რომელიც პირობაშია მოხსენებული.

როგორც ხედავთ ეს პარაგრაფი კიდევ უფრო მეტათ სქესარგებლობა საზოგადოებისათვის თავისი კერძო ინტერესების დასაცავათ, ვიდრე მე-19 პარაგრაფი. იგი უფლებას აძლევს საზოგადოებას, საითაც სურს იქით გადალუნოს თავის წესდება, როგორც სურს ისე შეავიწროვოს ან გაფართოვოს თავისი მოქმედების ფარგალი. მე-21 მუხლი მას უფლებას აძლევს გროშიც არ გამოიღოს იმ მუშის სასარგებლოთ, რომელიც უბედურ შემთხვევის ვამო დაუძლურდა. თქვენ აქ აშკარად ხედავთ, თუ რა ფართო სარბიელი ეძლევა საზოგადოების ვექილს მოიხმაროს თავისი მახვილი ენა იმის დასამტკიცებლათ, რომ ესა თუ ის ავათმყოფობა სრულებით უბედური შემთხვევით არ არის გამოწვეული, რომ ეს ან თითონ მუშის ბრალია და ან გამოწვეულია ბუნების მოვლენით. გარდა იმისა, რომ ხსენებული საზოგადოება უმრავლეს შემთხვევაში თავიდან იშორებს

ყოველგვარ პასუხისმგებლობას დასახიჩრებულ მუშის წინაშე, იგი ამას არ ჯერდება და პირდაპირ ამბობს, რომ თუ უბედური შემთხვევა მოხდა. იმ წუთში, როცა მუშა არ ასრულებდა თავის პირდაპირ მოვალეობას, იგი ამ შემთხვევაშიაც ყოველგვარი პასუხისმგებლობიდან თავისუფალი არისო. ჩვენ ვიცით, რომ ამ უკანასკნელ საშუალებით მეტათ ხშირათ სარგებლობს დამზღვევი საზოგადოება, როცა უნდა ყოველგვარი პასუხისმგებლობა თავიდან მოიშოროს. და ამის სურვილი კი, როგორც ვიცით, მას ყოველთვის აქვს.

ამნაირათ კერძო საზოგადოება „როსსია“, ეგრეთ წოდებულ კოლლექტიურ დაზღვევაში ყოველგვარ უფლებას იტოვებს თავისთვის, ე. ი. იმის მიზანია რაც შეიძლება მეტი მოვიგო და იმავე დროს რაც შეიძლება ნაკლები მივსცე მუშას იქიდან, რასაც იგი მუქთათ ღებულობს. ამ მიზნის განსახორციელებლად არის შედგენილი მისი წესდება. სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ ეს წესდება მოხერხებულათ არის შედგენილი, რომ ჩვენ კიდევაც უნდა გვიკვირდეს, როცა ორიოდე გროშს გადმოუგდებენ გაუბედურებულ მუშას ან მის ობლათ დარჩენილ წვრილ-შვილებს საზოგადოების მდიდარი კასიდან! აქ გასაკვირალი არაფერია. დამზღვევი საზოგადოება წმინდა კომერციული დაწესებულებაა, რომლის ერთადერთი მიზანი მოგებაა და არა მრეწველობის მიერ დასნეულებული და დასახიჩრებული მუშების დახმარება. დღეს ეს აღარავისთვის (რასაკვირველია, გარდა „ცნობილი ქართველი მოღვაწის“ ბ. ზდანოვიჩისა!) საიდუმლოება არ არის. ვინც მუშების დაზღვევის საქმეს ცოტათი იცნობს, იმისთვის აშკარაა, რომ კერძო საზოგადოებაში დაზღვევას ყველაზე ნაკლები სარგებლობა თვით მუშებისათვის აქვს. ამაში ჩქარა დარწმუნდენ როგორც მწერლობის საუკეთესო წარმომადგენელნი, ისე თვით მრეწველები; ამაშივე იძულებული შეიქნა დარწმუნებულიყო ამ ბოლო ხანებში თვით მთავრობაც. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ სხვადასხვა დარგის მრეწველები უკვე დიდი ხანია შეუდგენ საურთიერთო საზოგადოებათა დაარსებას თავიანთ მუშების დასაზღვევათ უბედურ შემთხვევათაგან და ზოგმა კიდევაც დააარსა, ზოგიც ახლა ემზადება და შუამდგომლობა აქვთ აღძრული. მაგრამ კერძო საზოგადოებაში მუშების უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის მოტრფიალე და იმავე დროს ხსენებულ საზოგადოებათა ერთდროული და შეუპოვარი დამცველი გამოჩნდა ჩვენში. ეს გახლავთ ბ. გ. ზდანოვიჩი. მაგრამ ჰოი საკვირველებავ! ეს ვაუბატონი ამ სამი წლის წინათ, ჰიათურის მრეწველთა მესამე ყრილობაზე, 1900 წელს,

თვითონ იყო წინააღმდეგი კერძო საზოგადოებაში მუშების დაზღვევისა, არ ვიცით ამ სამი წლის განმავლობაში რა ცვლილება მოხდა. ის კი ცხადია, რომ კერძო საზოგადოებაში დაზღვევის უვარგისობა ამ ხნის განმავლობაში ყველასათვის კიდევ უფრო აშკარა შეიქნა. მაგრამ შეიძლება ჭიათურის მადნების მუშების დაზღვევამ დაარწმუნა ბ. ზდანოვიჩი კერძო საზოგადოებათა უპირატესობაში? შემდეგ წერილში გავიგებთ, თუ რა სარგებლობა მოუტანა ჭიათურის მუშებს ამ დაზღვევამ.

„კვალი" № 50—1902 წ. № 2 და 16—1905 წ. მ. მარილაძეს ფსეევდონიმით.

შავი ქვის მრეწველთა V ყრილობა ქუთაისში.

წერილი პირველი.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამა თვის 7 ქ. ქუთაისში, 'სამიწათმოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ნებართვით გაიხსნა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა მეხუთე ყრილობა, რომელიც, მოსალოდნელია, გასტანს ორ კვირამდის. ჩვენ განვიზრახეთ ვადევნოთ მას თვალყური და შეძლებისამებრ გავაცნოთ იგი ჩვენს მკითხველს.

თქმა არ უნდა, რომ ისეთი ყრილობა, როგორც დღევანდელია, ჩვენს ცხოვრებაში სრულიად ახალი მოვლენაა და ეს საუკეთესო დამასაბუთებელია მთელი ჩვენი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობისა, მაგრამ ეს დღეს ჩვენ არ გვაინტერესებს. ამ ჟამად მთელი ჩვენი ინტერესი მიპყრობილია თვით ყრილობაზე,—თუ რისთვის არის იგი მოწვეული და რა უნდა გააკეთოს მან.

ისეთნაირი ყრილობა, როგორიც დღევანდელია, ორ-სამ წელიწადში მხოლოდ ერთხელ ხდება, დღემდის ეს მაინც ასე იყო*). მესამე ყრილობა მოხდა ზაფხულში 1900 წელს, ე. ი. თითქმის $2^1/_2$ წლის წინად. ყრილობიდან ყრილობამდის მრეწველთა ყრილობა (с'езд) ირჩევს საკუთარ მუდმივ აღმასრულებელ ორგანოს—საბჭოს, რომელსაც წინამძღვრობს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს მოვალეობაა მოიყვანოს სისრულეში ყრილობის მინდობილებანი, უწინამძღვროს და აწარმოვოს მრეწველთა საერთო საქმეები და დაიცვას მათი ინტერესები, რაც კერძო პირთათვის შეუძლებელია, ან მოუხერხებელი. უნდა იცოდეთ, რომ მრეწველთა და მის საბჭოს დიდი უფლება აქვს მინიჭებული დღევანდელ სახელმწიფო წესწყობილებაში, მას აქვს შედარებით ძლიერ ფართო სარბიელი თვითმართველობის ასპარეზზე, აშკარაა,-თუ რა ინტერესით და გულმოდგინებით უნდა უყურებდენ მრეწველები თავის ყრილობას და

*) გასულ წელს მარტში მომხდარი ყრილობა იყო არაჩვეულებრივი, მას სრულებით განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა და ამიტომ იგი სათვალავში არ მიიღება.

საბჭოს, თუ როგორ უნდა აფასებდენ იმათ. გავრცელებულია საზოგადოების და პრესის ერთ ნაწილში ის აზრი, რომ ჩვენ, ქართველებს, ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია განვითარების იმ საფეხურამდე, როცა შეიძლება დამოუკიდებლად წარმოება თავისი საკუთარი საქმეებისა, ე. ი., უფრო მარტივათ რომ ვთქვათ, ჩვენ ჯერ ვერ შევიფერებთ თვითმართველობას. პირადათ მე ასეთი აზრი დიდ შეცდომათ მიმაჩნია, როცა ამის მთქმელს არავითარი ბოროტი განზრახვა არ აქვს მხედველობაში. და თუ შავი ქვის მრეწველთა ყრილობა ვერ გამოიჩენს საკმარის უნარს და შესაფერ მოქმედებას თვითმართველობის ასპარეზზე, ეს მხოლოდ ადგილობრივ მრეწველთა კლასის უსუსურობას და მოუმზადებლობას დაამტკიცებს და მეტს არაფერს. დღეს კი მრეწველთა მთელი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული მესამე ყრილობის მიერ არჩეულ საბჭოს მოქმედებაზე, ამიტომ სანამ ჩვენ დღევანდელ ყრილობაზე და მის დახასიათებაზე გადავიდოდეთ, საჭიროა რამდენიმეთ შევჩერდეთ მომაკვდავ საბჭოს დახასიათებაზე.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ეს რამდენიმე ხანია ჩვენს საზოგადოებაში და ჟურნალ-გაზეთებში გაისმის ჭიათურის მრეწველთა საბჭოს მიმართ საყვედური, მისი უმოქმედობის და უზრუნველობის ამბავი. ჩვენ ეს არ გვჯეროდა, ყოველ შემთხვევაში, გაზვიადებულად ვთვლიდით და ვერ წარმოგვედგინა, რომ ეს სანაქებო საბჭო ამ ზომამდე დაუდევარი და უნიჭო იყო, ის საბჭო, რომელსაც მოთავეთ ყავს ოდესმე სიმართლისათვის თავდადებული მოსარჩლე და ერთ დროს ნიჭიერ პუბლიცისტათ აღიარებული პირი. სამწუხაროდ, დღეს ჩვენ უნდა დავიჯეროთ არა თუ ის, რასაც კანტი-კუნტათ წინად ამბობდენ, არამედ მრავალი ისეთი რამეებიც, რაც წინად აინუნშიაც არავის მოუვიდოდა. თვით საბჭოს მოქმედების „ანგარიში“, რომელიც მან ამ დღეებში გამოსცა და სარევიზიო კომისიის მოხსენება, აშკარად ყოფენ დღევანდელ საბჭოს სრულ ზნეობრივ და გონებრივ სიკოტრეს, მის სრულ შეუფერებლობას და შეუსაბამობას ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის საერთო საქმეების მოწყობასა და წინამძღვრობაში. ჩვენ ვეცდებით ამ წერილებში გავარჩიოთ და დავაფასოთ დღევანდელი, მესამე ყრილობაზე ამორჩეული საბჭოს მოქმედება რაც შეიძლება სავსებით და ვრცლად. აქ, პირველ წერილში, მხოლოდ აღვნიშნავ დღევანდელ საბჭოს მოქმედების დასახასიათებლად რამდენიმე გარემოებას. ამ შემთხვევაში ჩვენთვის გზის მაჩვენებლად იქნება სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომლიდანაც ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე მთავარ ფაქტებს.

1. საბჭოს შესავალ-გასავლის საქმე ისე ჰქონებია მოწყობილი, რომ იქ რიგზეს გაგება თითქმის შეუძლებელია. ერთად ერთი კასის წიგნი გაუსებულია ჩანაწერით და წაშლილი ადგილებით, ასე რომ იმაზე დამყარება და იმის მიღება ყოვლად შეუძლებელია. ასეთ დაუდევრობას, თუ აბას ნაოლოდ დაუდევრობათ ჩავთვლით, საბჭო ხსნის მით, რომ ქუთაისში ბუჰგალტერი ვერ ვიშოვეთო; და გაუწევია კიდევაც ეკონომია: ბუჰგალტრისათვის გადადებული ფული არ დაუხარჯავს სრულად, ასე რომ, მორჩენია 1,900 მანეთი.

2. ხარჯთაღრიცხვაში სისწორით არც ერთი სტატია არ არის შესწორებული; რევიზიამ აღმოაჩინა შემდეგი: საბჭოს დაუხარჯავს ნაკლები:

მუდმივ ხარჯებიდან	111,856 მ. 12 კ.
ერთდროული .	126,396 მ. 30 კ.

დაუხარჯავს მეტი, ვიდრე ხარჯთ-აღრიცხვაში იყო:

მუდმივ ხარჯებიდან.	4,513 მ. 40 კ.
ეოთდროული	59,666 მ. 43 კ.

ამნაირათ, როგორც ხედავთ, საბჭოს 174,074 მან. და 60 კაპ. ეკონომია გაუწევია, რაც მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ იგი ყოვლად შეუსაბამო და უნიჭო ყოფილა მინდობილ საქმეებში. როცა ყრილობა თავის საბჭოს ფულის დახარჯვას ანდობდა, ეს იმიტომ კი არა, რომ მას მეტი ჰქონდა, ან და იმიტომ, რომ მას დახარჯვა ყვარებოდეს. არა. იმიტომ, რომ ფულის დახარჯვით საქმე გაკეთებულიყო, სხვადასხვა აუცილებელი საჭიროებანი დაეკმაყოფილებიათ. და თუ ეს ვერ მოახერხა საბჭომ, ეს მხოლოდ მის უნიჭობას უნდა მიეწეროს. ამას ჩვენ დაგვანახვებს იგივე სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომლიდანაც ეტყობილობთ, რომ საბჭოს ეკონომია გაუწევია უმთავრესად ჭიათურის საავადმყოფოს ხარჯზე, გზების და ხიდეების შეკეთებაზე და უმთავრესად იმაზე, რომ საბჭოს ვერ შეუყიდია ის მიწები, რომლების ყიდვა მისთვის ყრილობას მიუნდვია. იმავე დროს კი ჭიათურის საავადმყოფო მეტად სამწუხარო მდგომარეობაშია: იგი გავსებულია ავადმყოფებით, სადაც გადამდებ სენით ავადმყოფები თითქმის ერთად არიან არეული სხვა ავადმყოფებთან, თუმცა სხვადასხვა ოთახში, მაგრამ ისე კი, რომ გადამდებ სენის გავრცელებას არაფერი არ უშლის ხელს. საავადმყოფოს არა აქვს არც ვანა, და არც ფეხის ადგილი თვით სადგომში, ასე რომ ავადმყოფი წვიმაში, თოვლში და ყინვაში იძულებულია ცივ ჰაერზე ირბინოს.

მოსიარულე ავადმყოფის მისაღები ოთახი, აფთიაქი, ფერშლების საცხოვრებელი ბინა მოთავსებულია სრულებით დანგრეულ შენობაში. ავადმყოფებს ვინ იცის რას აძლევენ საჭმელათ და იმავე დროს კი საბჭო ავადმყოფების ხარჯზე 15,340 მანეთს ეკონომიას ეწევა. სახელი და დიდება ასეთ საბჭოს! მაგრამ ისიც კი უნდა ითქვას, რომ ამ საავადმყოფოს ანგარიში ღმერთმა დაიფაროს: ეს ანგარიში თურმე ექიმის ჯამეგია, რომელსაც, გარდა იმისა, რომ ნახევარჯერ ჭიათურაში არ არის, ანგარიშის არაფერი გაეგება. არ არის არავითარი წერილობითი საბუთი, თუ სანოვაგე ან სხვა ნივთი როგორ არის ნაყიდი, და მოდი ასეთ დაწესებულებას, რევიზია გაუკეთე! ყველაფრით შემკულ ჭიათურის საავადმყოფოს ექიმიც თავისებური და მეტად ახირებული ჰყოლია: იმას თავისი წესი შემოუღია: თუ ერთ დღეს მივიდა საავადმყოფოში, ულეკველათ უნდა იცოდეთ, რომ ორ დღეს მაინც მას აღარ მიეკარება, თუ გინდ ამით ვინმე სიცოცხლესაც გამოესალმოს და ასეთ ექიმს საბჭო აძლევს თვეში 200 მანეთს, გარდა საჩუქრებისა და შემწეობისა!

შედარებით დიდი ეკონომია გაუკეთებია ყველაფერში „ნაქებ“ საბჭოს სტიპენდიებზედაც. 1900 წლის ყრილობის გადაწყვეტილებით ამ $2^1/_2$ წლის განმავლობაში საბჭოს უნდა დაეხარჯა, ე. ი. გაეცა სტიპენდიებათ 5,440 მანეთი. დაუხარჯავს კი მხოლოდ 2,560 მანეთი. აქედან სამ მოსწავლეს მიუღია სულ 960 მანეთი და ერთს 1600 მანეთი! როგორ მოგწონთ ასეთი განაწილება! ნუ თუ სამი მოსწავლე ერთ მოსწავლეთ მაინც არ ღირდა, ალბათ, იკითხავს გულუბრყველი მკითხველი! ეს საბჭოს ჰკითხეთ. ამნაირათ საბჭოს დაუზოგავს 2,880 მანეთი ღარიბ მოსწავლეთა ფულიდან! იმავე დროს საბჭო თავის „ანგარიშში“ სწერს: „იმ პირთა რიცხვი, რომელთაც მოისურვეს სხვადასხვა სამთო სასწავლებელში შესვლა მრეწველთა კრების სტიპენდიატებათ, მრავალი აღმოჩნდაო“ (გვ. 5),—რაც მოსალოდნელიც უნდა ყოფილიყო. მა'მ, ბარაქალა მის ბიჭობას, ბარაქალა მის გულშემატკივრობას! ჩვენი ყმაწვილთაობის აღზდაში მას დაუზოგავს და ვერ გაუმეტებია ის მცირე წვლილი, რაც ამ საქმისთვის ყრილობამ გადასდო.

სამაგიეროდ უნდა იცოდეთ, რომ საბჭოს წევრებს არ დაუვიწყიათ თავისი თავი: თავმჯდომარის მოადგილისთვის იმავე საბჭოს მიუცია მეტი, ე. ი. მეტი, რაც ხარჯთ-აღრიცხვაში იყო ნაჩვენები 1651 მ. 81 კ. და წევრებისათვის 1300 მან., ანუ სულ 2951 მან. 81 კაპ.. ე. ი. ის ფული, რომელიც კრების გადაწყვეტილებით ღარიბ მოსწავლეების აღზრ-

დას უნდა მოხმარებოდა, საბჭოს იმდენი მოუხერხებია, რომ თვითონ ჩაუდვია ჯიბეში.

3. საბჭოს მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე გზების გაკეთება და შეკეთება, რომლებიც ისეთ მდგომარეობაშია დღეს, რომ იმაზე სიარული მხოლოდ კისრის მოტეხას უქადის ადამიანს, გაუვალს ტალახს რომ თავი დავანებოთ, მაგრამ აქ ვწყვეტ საბჭოს მოქმედებაზე ლაპარაკს. ასეთ გარემოებას, საბჭოს ასეთ საქციელს უეჭველია უნდა გამოეწვია საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება და დრტვინვა. ეს ასეც მოხდა. ჩვენთვის გაუგებარია მხოლოდ ის ტაქტიკა და ის ქცევა, რომელსაც დაადგა განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში ამ საბჭოს ერთად ერთი ხელმძღვანელი, ანუ მისი თავმჯდომარე ბ. ზდანოვიჩი. ეს ვაკბატონი, რომელიც ერთ დროს კაცობრიობის დაჩაგრულ ნაწილს მოსარჩლეობდა და სიმართლის დროშის ქვეშ იბრძოდა, დღეს თავაღებულ, აულაგმავ უტიფრობის გზას დასდგომია, მის დროშაზედ ამიერიდან აწერია: შორს, მოქალაქობრივო გრძნობავ! პიროვნების პატივისცემავ! პირიქით, გაუმარჯოს ლანძღვას, პიროვნების დამცირებას და გათელვას! ან მე და ან „ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილაო!“ ყოველივე რაც წინ ეღობება მის ეგოისტურ მიზანს, იგი დევნის, სრესს და თელავს შეუბრალებლად. იგი მსჯელობს ამ ნაირად: მას შეუძლია ჩაიდინოს რაც სურს, შელახოს ვისი ინტერესიც უნდა იყოს და ამისათვის მას პასუხის გებას ვერავინ მოთხოვს. პირველი ორი სხდომა ჩვენ გვიმტკიცებს, რომ ბ. ზდანოვიჩს თვის დასაცველად აღარაფერი აღარ აქვს, გარდა გაბედული ურცხვობისა და თავდაუჭერელ ლანძღვა-გინებისა; მას ალბათ სურს ამ გზით გამოიწვიოს ყრილობაზე უწესობა, ყრილობა დაახურვინოს და შემდეგ ძველებურათ იპარპაშოს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, დღევანდელი ყრილობა უფრო შეგნებით მოეკიდება თავის ინტერესებს და მახეში არ გაებმება.

წერილი მეორე.

ყოველდღიურ გაზეთების ანგარიშებიდან თქვენ უკვე გეცოდინებათ, თუ რა ზომამდის გამწვავდა შავი ქვის მრეწველთა მეხუთე ყრილობის სხდომები. უშვერ ლანძღვა-გინებას დღევანდელი საბჭოს მომხრეების მხრით და პირად კინკლაობას საზღვარი აღარ აქვს. მაგრამ საჭიროა დაესწროთ თვით ყრილობაზე, რომ შენიშნოთ ის დასაგმობი საქციელი,

რომელსაც დასდგომია ერთი მხრით დღევანდელი ყრილობის უმრავლესობა და მეორეთი საბჭოს თავმჯდომარე. ეს უმრავლესობა, რომელსაც ბ. ზდანოვიჩის ბრძანებით წინამძღვრობენ პირადი ანგარიშებით გატაცებული ვაჟბატონები, ვერ გრძნობს, თუ რა სამარცხვინო იარაღათაა იგი გადაქცეული იმათ ხელში. უმრავლესობა აყოლია სხვის ფეხის ხმას და სრულებით არ სურს მოისმინოს მართალი სიტყვა, რომელსაც მას ზოგიერთები ეუბნებიან. იგი სიხარულით და ტაშის ცემით ეგებება ყველა იმ განცხადებებს, რომლების ერთად-ერთი მიზანი სიმართლის დაფარვა და გადაფუჩეჩებაა. ასეთმა გარემოებამ არ შეიძლება არ მოახდინოს მეტად სამწუხარო შთაბეჭდილება გარეშე მაყურებელზე. მე უკვე რამდენიმე სხდომას დავესწარი და არ შემიძლია არ გამოვთქვა კერძოთ ჩემი მწუხარება არა მარტო ამ უმრავლესობის შეუგნებლობის და ნებსითი თუ უნებლიეთ დაბრმავების გამო, არამედ იმიტომაც, რომ ყრილობის თავმჯდომარეც, რომელიც პირუთვნელი ხელმძღვანელი უნდა იყოს კრების, უმრავლესობას ესარჩლება და მისი მონა-მორჩილი გამოდის. ეჭვი არ არის, რომ თუ უმრავლესობამ არ შესცვალა თავისი ტაქტიკა, იგი მხოლოდ თავის თავს უღალატებს; მისი ინტერესები მოითხოვდა, რომ სიმართლის გაგება არ დაბრკოლებულიყო და იგი მოესმინათ, თუნდაც ეს სიმართლე ზოგიერთებისათვის არა სასიამოვნო და მწვავე ყოფილიყო. მაგრამ, როგორც სჩანს, ეს აღარ ხერხდება, დღევანდელი ყრილობისათვის ეს შეუძლებელი გამხდარა. აშკარაა მხოლოდ ის, რომ ასეთი გარემოება დაჩაგრავს არა მარტო კერძო მრეწველთა ინტერესებს, არამედ იგი შეაფერხებს მთელი ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის საქმეს. ამ შენიშვნის შემდეგ გადავიდეთ დღევანდელი საბჭოს მოქმედების განხილვაზე.

წინა წერილში საბჭოს მოქმედების ზოგიერთ მხარეების დასახასიათებლად ჩვენ ვიხელმძღვანელეთ სარევიზიო კომისიის მოხსენებით. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ ეს მოხსენება თუმცა საკმარისად ვრცელია და იმავე დროს მრავალ შემაძრწუნებელ და აღმაშფოთებელ ფაქტებს შეიცავს საბჭოს მოღვაწეობის დასახასიათებლად, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ მას ბევრი რამ აკლია, და რაც არის, ის მხოლოდ ნედლი, დაუმუშავებელი მასალაა, ვიდრე სისტემატიური და დამთავრებული შრომა. სარევიზიო კომისიის მოხსენება სრულებით არ ეხება საბჭოს მოქმედების მრავალ მხარეებს; იგი აჩრჩევს და აფასებს მხოლოდ საბუჰგალტერიო ნაწილს—ფულის ანგარიშს, საავადმყოფოს და მაღნებში მისა-

ვალ გზების მდგომარეობას. ასე წარმოიდგინეთ, აბანოს გაკეთების საქმე, რომელსაც თავის მოხსენების სიტყვით საბჭომ მთელი თავისი დრო მოანდომა და, რომელსაც დაახარჯა თითქმის ასი ათას მანეთამდის, მოხსენება მხოლოდ გაკვრით იხსენიებს და აღნიშნავს, რომ ამის შესახებ დამთავრებული ანგარიში საბჭომ ვერ მოგვცაო. და მართლაც, ასეთი ანგარიში ჯერაც არ არსებობს, თუმცა აბანო, კარგია თუ ავი, უკვე დამთავრებულია. ამიტომ ჩვენ ვეცდებით აღვნიშნოთ აქ ის მხარეები და ის ფაქტები, რომლებზედაც სარევიზიო კომისიას არ მიუქცევია ყურადღება ან არ შეეძლო რომ მიექცია.

დავიწყოთ, მაგ., იქიდან, რომ საბჭოს თითქმის არც ერთი კითხვა, რომელიც ყრილობის პროგრამაშია შეტანილი, წინდაწინ არ შეუსწავლია და არ გამოურკვევია. საზოგადოთ მიღებულია, რომ იმ საგნებს, რომლებიც საზოგადო კრებაზე უნდა გაირჩეს, საბჭო კრებამდის იხილავს და არკვევს, რასაც ორნაირი სარგებლობა მოაქვს: ერთი ისა, რომ კრებას საშუალება ეძლევა უფრო ნათლად გაარჩიოს საგანი და მეორეც ის, რომ ამისათვის იგი კრებას ბევრ დროს აღარ უკარგავს. ჩვენ სახელოვან საბჭოს ეს მეტად უცვნია. ავიღოთ, მაგ., ჭიათურაში სახელოსნო სკოლის დაარსების საკითხი. როცა თავმჯდომარე ამ კითხვის გარჩევას შეუდგა კრებაზე, ასე გეგონებოდათ, რომ თითქო მთელი კრება დამუნჯდაო, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა. არავინ არ იყო ამისათვის მოზადებული. ასევე წარმოიდგინეთ, რომ საბჭოს განათლებულ ხელმძღვანელს, ბ. ზდანოვიჩს, არც კი შერცხვა შემდეგი განცხადების წარმოთქმისათვის: საბჭოს ამ საგანზე არაფერი არ აქვს სათქმელიო, ე. ი. საგანი მისთვის ისეთივე terra incognita-ა, როგორც სხვებისათვისაც. ამიტომ ვთხოვთ სახალხო სკოლების დირექტორს ამის შესახებ რაიმე გვირჩიოსო. ბ. დირექტორმა, რომელიც ბ. ზდანოვიჩის ბედზე იქ იმყოფებოდა, თავის მხრით განაცხადა, რომ მას მხოლოდ თქმა შეუძლიან თუ ამა თუ იმ ტიპის სკოლა როგორ, რა პირობებით გაიხსნება, მაგრამ მან სრულებით არ იცის, თუ რა ტიპის სკოლაა ჭიათურაში უფრო საჭირო, —ეს თქვენი საქმეაო, დაუმატა ბ. დირექტორმა. და მართლაც, საბჭოს პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენდა წინდაწინ გამოეკვლია და გაეგო, თუ რა ტიპის სკოლაა საჭირო ჭიათურაში? ამისათვის მას უნდა შეესწავლა ჭიათურის და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლების ვითარება, გაეგო ადგილობრივი სახალხო სკოლების მდგომარეობა, თუ რამდენად ამ მხრით ხალხის განათლება უზრუნველყოფილია და სხ., და ასეთ შეს-

წავლაზე დაემყარებია თავისი შეხედულება და ასე მომზადებული წარმომდგარიყო კრების წინაშე. მაგრამ ამისთვის თავი არ შეუწუხებია, ვინაიდან წინდაწინ იცოდა, რომ ეამისოდაც ადვილად გავიდოდა ფონს.

იგივე უნდა ითქვას მარგანეცის ყოველ გატანილ ფუთზე დაწესებულ $^1/_2$ კაპეიკის გადასახადის გადიდების თაობაზედაც. ეს კითხვა დღევანდელი ყრილობის პროგრამაში შეტანილია თვით მთავრობის მიერ. ბ. ზდანოვიჩი ამ გადასახადის გადიდების მომხრეა და დიდი ხანია ჭეცადინეობს მის განხორციელებას (უნდა აღვნიშნოთ აქ, რომ ეს თითქმის ერთად ერთი საგანია, რომელშიაც მას ჩვენ თანავუგრძნობთ); სამწუხაროდ, არც ამ კითხვაზე შეუწუხებია მას თავი, და როცა თავმჯდომარემ ეს კითხვა წამოაყენა, მან ორიოდე ლამაზი სიტყვა წარმოსთქვა პროგრესზე და მოთხოვნილების გაფართოვებაზე, ე. ი. ათასჯერ გადაღეკილი აზრი, მაგრამ თვით საკითხის სასურველათ გადაწყვეტისათვის ვერავითარი გასამართლებელი საბუთი ვერ მოიყვანა. მაგრამ როცა ბ. ზდანოვიჩს მჭერმეტყველურათ უპასუხეს, რომ დღეს, როცა მარგანეცის ფასი ამ ზომამდეა დაკლებული მსოფლიო ბაზარზე, ამ გადასახადის მომატებაზე ლაპარაკი ყოვლად შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ შავი ქვის მრეწველები საერთო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გაცილებით უფრო მეტს იხდიან, ვიდრე ბაქოს ნავთის მწარმოებელნი და სამხრეთ რუსეთის მთამადნეულობის მრეწველები, მას, ე. ი. ბ. ზდანოვიჩს აღარაფერი აღარ ჰქონდა სათქმელი. ბ. ზდანოვიჩს რომ ცოტა ემუშავა ამ საგნის გამოსარკვევათ, იგი ადვილად დაუმტკიცებდა კრებას, რომ თუმცა საერთო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ნავთის მრეწველნი და სამხრეთ რუსეთის მეშადნენი ბევრათ უფრო ნაკლებს იხდიან, ვიდრე შავი ქვის მრეწველები, მაგრამ იმავე დროს ეს უკანასკნელნი, ე. ი. შავი ქვის მრეწველნი, ერთ გროშსაც არ ხარჯავენ იმ დაწესებულებათა სასარგებლოთ, რომლებსაც ინახავენ ნავთის მრეწველნი და სამხრ. რუსეთის მეშადნენი. იქ თითეული მრეწველი მოვალეა იქონიოს თავის საკუთარ ხარჯზე მუშებისათვის სკოლა, აბანო, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საკვირაო სკოლა და კურსები, იყოლიოს აგრეთვე საკუთარი ექიმი და ფერშალი და ზოგიერთ შემთხვევაში ცალკე საავადმყოფოც; გარდა ამისა ისინი ვალდებული არიან დაზღონ მუშები უბედურ შემთხვევებისაგან თავისივე ხარჯით. ჩვენ არაფერს ვამბობთ აქ იმ ხარჯზე, რომელსაც ეწევიან დასახელებული მრეწველები მუშებისთვის ბინების ასაგებათ

და გასაუმჯობესებლათ. არც ერთი ამგვარი ხარჯი შავი ქვის მრეწველებმა არ იციან, ასე რომ ყველა ამაებისაგან ისინი სრულებით თავისუფალი იყვენ და არიან, დღემდის მაინც, ვინაიდან ამგვარ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მიჩნეულია მხოლოდ ერთად ერთი წყარო— ნახევარ კაპეიკიანი გადასახადი ფუთზე და თუ ყოველივე ამას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ გამოვა, რომ ჩვენი მრეწველები ბევრათ უფრო ნაკლებს იხდიან საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ბ. ზდანოვიჩი ამდენი ხანია ახლო იცნობს როგორც შავი ქვის მრეწველებს, ისე ნავთის და სამხრეთ რუსეთის სამთო მრეწველობის საქმეს, და ეს გარემოება მისთვის შეუჩნეველი დარჩენილა. ალბათ მას ამისთვის არც ცხელა.

მაგრამ შეიძლება თქვენ იკითხოთ: მართალია, საბჭო სრულებით მოუმზადებელი გამოდის კრებაზე, მაგრამ უეკველია იგი სხვაში გამოიჩენდა მოღვაწეობის უნარს ამ $2^1/_2$ წლის განმავლობაში, ალბათ იგი სხვა რამეში ისახელებდა თავს. მაშ სად არის მისი მოღვაწეობის კვალი? სადაა მისი მოქმედების ნაყოფი? ჩვენ წინ გვიდევს „მესამე კრებაზე ამორჩეულ საბჭოს მოქმედების ანგარიში,“ რომელშიაც ჩვენ ბევრი ვეძიეთ ამ კითხვების პასუხი და შემდეგ გულ-დასმით გადაკითხვისა იმ დასკვნამდის მივედით, რომ საბჭოს არსებითად არაფერი არ გაუკეთებია, გარდა ჩხირ-კედელობისა, ე. ი. რამდენიმე უნაყოფო შუამდგომლობათა დაწერის გარდა. თითქმის ყველა ამ შუამდგომლობათ უნაყოფოდ ჩაუვლია, რადგანაც ისინი ან არ ყოფილა დასაბუთებული, როგორც ჯერ არს, ან და შუამდგომლობა დაუწყიათ და უწარმოებიათ იმ გზით, რომლითაც იმათი სასურველად დაბოლოვება არ მოხერხდებოდა. ვუჩვენოთ მაგალითისთვის ერთ ამგვარ შუამდგომლობაზე. მესამე კრების დადგენილების თანახმად საბჭოს უნდა ეშუამდგომლა სადაც ჯერ არს ჭიათურის „პოსადათ“ გადაკეთებისა და აქ გამარტივებული თვითმართველობის შემოღების თაობაზე. მართალია, საბჭომ ამის შესახებ გამართა მიწერ-მოწერა და რამდენიმე შუამდგომლობაც დაწერა, მაგრამ ყოველივე ამან სრულებით უნაყოფოთ ჩაიარა. რისთვის? იმიტომ, რომ ამ მიწერ-მოწერის და შუამდგომლობათა წერის დროს მას ის კი არ ჰქონებია მხედველობაში, რომ საქმე გაკეთებულიყო, არამედ ის, რომ ფორმა შეესრულებიათ, და შეასრულა კიდეეაც, რამდენიმე უთავბოლო შუამდგომლობის დაწერით. ახლა, როგორც ყრილობაზე გამოირკვა, ეს თურმე სრულიად მარტივი, უბრალო საქმე ყოფილა! ამისთვის უწინარეს ყოვ-

ლისა საჭიროა მხოლოდ, რომ საგუბერნიო გამგეობამ ჭიათურა იცნას როგორც ახალი დასახლებული ადგილი (აქამდის მას არ იცნობენ ასეთ ადგილათ); შემდეგ ამისა შესაფერი განაჩენი უნდა იქნას დადგენილი ჭიათურის მცხოვრებლების მიერ სათანადო მთავრობის წინაშე წარსადგენათ. ჩვენ სწორედ შეგვრცხვა ბ. ზდანოვიჩის მაგივრათ, როცა ეს უბრალო ამბავი მოვისმინეთ ყრილობაზე; საკვირველია, რომ საბჭომ, რომელმაც ამ თაობაზე ამდენი ქაღალდი და მელანი დახარჯა, ეს უბრალო ამბავი ვერ შეიტყო!

პირველ წერილში ჩვენ აღვნიშნეთ სხვათა შორის ის გარემოება, თუ როგორ თანაგრძნობით მოეკიდა საბჭო მესამე ყრილობის დადგენილებას სტიპენდიების თაობაზე; ახლა ამას დაეუმატებთ კიდევ სხვა მარგალიტებს მისი „განმანათლებელი“ მოღვაწეობიდან. მესამე კრებამ საბჭოს სხვათა შორის მიანდო: „შუამდგომლობანი იქნეს აღძრული, რომ მუშებისათვის დაარსებულ იქნას: ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სახალხო თეატრი, საკვირაო სკოლა, იაფ-ფასიანი სასადილოები, ადვილად გასაგები ლექციები და კითხვები და თუ ვინიცობაა ესენი ნებადართულ იქნა, აღმოუჩინონ იმათ მრეწველთა საშუალებიდან შესაფერი ნივთიერი დახმარება“ (იხ. „ანგარიში“, გვ. 2). როგორ შეასრულა ყოველივე ეს საბჭომ? საბჭოს მოქმედება ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო ახასიათებს მას თავიდან ფეხებამდე, იმ საბჭოს, რომელიც მხოლოდ ფორმალურად უყურებს თავის მოვალეობას. აი რას ვკითხულობთ საბჭოს „ანგარიშში“ ამის თაობაზე: „ყველა ამისათვის კრების მიერ გადადებული 2,000 მანეთი ძლიერ ცოტაა“ (იხ. „ანგ.“ გვ. 39),—თითქო ამით მას წინდაწინ სურს გაამართლოს თავისი სრული უმოქმედობა და უზრუნველობა, და თითქო კრების მიერ ნაჩვენები საზღვარი, როცა მას სურდა, არა ერთხელ გადაეჯეკნოს, თითქო კრების გადაწყვეტილება მას არასოდეს არ დაერღვიოს. შემდეგ „ანგარიშიდან“ ვვებულობთ, რომ საკვირაო სკოლა გაუხსნიათ მხოლოდ 1901 წლის დამლევს. სად იყო აქამდის საბჭო, რას აკეთებდა, ან რამ შეუშალა მას ხელი, რომ თითქმის წლინახევრის შემდეგ გაახსენდა ეს მეტად სასარგებლო საქმე? არ შეგვიძლია ეიკითხოთ, თუ რისთვის არის მოწვეული საბჭო თუ არა კრების დადგენილებათა და მინდობილებათა სისრულეში მოსაყვანათ? ეს არაფერი. —იმავე 1901 წლის დამლევს (ე. ი. ოქტომბერში) საბჭოს დაუდგენია (რა საჭიროა იყო დადგენილება, როცა ეს კრებისაგან იყო გადაწყვეტილი?—ეს ჩვენ არ ვიცით) მოეწყოს ჭიათურაში ჰიგიენაზე და მედიცი-

ნაზე*) ლექციების გამართვის საქმე. ამისთვის მას შეუძენია აკიდევაც ზოგიერთი საჭირო ნივთი. თვით კითხვების მოწყობა და ხელმძღვანელობა ჩაუბარებია ექ. მ. ჯაფარიძისთვის და ამით გათავებულა ეს საქმე. „ანგარიში“ გვეუბნება, რომ ბ. ჯაფარიძის „მძიმე ავადმყოფობის გამო“ ეს საქმე შეფერხდაო (გვ. 40). ეს სიმართლის გადაფუჩეჩებაა: ბ. ჯაფარიძე ჭიათურის საავადმყოფოს ექიმია და ნუ თუ მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი ავად იყო? თუ ეს ასეა, მის ადგილას სხვა ვინმე უნდა მოეწვიათ, ვინაიდან, ჩვენის აზრით, ავადმყოფები ჯაფარიძის მორჩენას არ მოუცდიდენ. მაგრამ ისე კარგი მას დაემართოს, როგორც კარგმა საბჭომ კარგ კაცს მიანდო ასეთი სასარგებლო საქმის წინ გაძღოლა. სიმართლის ასეთ გადაფუჩეჩებაში ჩვენ საბჭოს მეტად საგრძნობელი ლოღიკური ნახტომებიც მოსდის.

როგორც მოსალოდნელი იყო, მუშებისთვის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებისთვის საბჭოს სრულებით არ უფიქრია და ასე წარმოიდგინეთ, ამის გამო მას ერთი თავისებური გაბერილი შუამდგომლობაც კი არ დაუწერია! ეს ისე მცირე საქმეა, რომ ამისთვის აბა იგი რათ შეიწუხებდა თავს. მაგრამ ანგარიშში თავის გასამართლებლად იგი მაინც სწერს: „სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო ვერ იქნა გამართული იმ განსაკუთრებული პირობების გამო, რომელშიაც იმყოფება ჭიათურის რაიონის მადნებში მომუშავე ხალხი, რომელიც, კიდეც რომ გახსნილიყო ასეთი ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მაინც ვერ ისარგებლებდა ამითო. მადნებში მომუშავე ხალხი გაფანტულია ჭიათურიდან 3—4 ვერსის მანძილზე და ვერ ისარგებლებს ჭიათურაში ბიბლიოთეკა-სამკითხველოთი, როგორც სიშორის, ისე წერა-კითხვის უცოდინარობის გამო“ (იხ. „ანგ.“ გვ. 40), გვასწავლის ნაქები საბჭო! მოდი და ნუ დაუჯერებთ მას ასეთ უტყუარ სიმართლეს! სიშორე და უვიცობა—ამის შემდეგ რაღა საჭიროა ან ბიბლიოთეკა, ან სამკითხველო, და საბჭოც სწორედ ასე მოქცეულა, მაგრამ ანგარიშის შედგენის დროს მას ალბათ შერცხვენია თავისი უმოქმედობის და უზრუნველობისა და იქავე სწერს კრების დასამშვიდებლათ: მართალია, ჩვენ ამაზე არ ვიზრუნეთ დღემდის, მაგრამ თუ ახლა აგვირჩევთ, ჩვენ თქვენს ხარჯზე მზათ ვარო გავაკეთოთ ჭიათურაში სახალხო სახლი—სასახლე (народный дом—дворец), სადაც მოვათავსებთ ყველა განმანათლებელ დაწესებულებათ (გვ. 41) და

*) ნუ დაივიწყებთ, რომ საბჭომ შეაეიწროვა ყრილობის დადგენილება. იქ ნათქვამი იყო საზოგადოთ ლექციები და კითხვები.

იმათ რიცხვში სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოსაკო! როგორ მოხდა, რომ, თუ ამ ორწლინახევრის განმავლობაში ჭიათურა ხელმისაწვდენი არ იყო მუშებისათვის, სახალხო სახლის გაკეთების შემდეგ იგივე ჭიათურა როგორ შეიქნება ხელმისაწვდენი, ეს ჩვენთვის გაუგებარია, ამას მხოლოდ „ნაქები" საბჭოს ლოღიკა თუ დასძლევს, თორემ სხვა ვერავინ.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს თვალის ასახვევი იარაღია და მეტი არაფერი.

წერილი მესამე.

ვგონებ არც ერთ საქმეში საბჭო ისე აშკარათ არ წასულა ლოღიკის და ფაქტების წინააღმდეგ, როგორც მუშებისათვის საავადმყოფოს შენობის გაკეთების საქმეში. ასეთი შენობის საჭიროება აღიარებულ იქნა როგორც კავკასიის სამთო გამგეობის, ისე თვით მრეწველთა ყრილობის მიერ. ჯერ კიდევ მესამე კრებამდის, ე. ი. 1900 წლის დასაწყისში კავკასიის სამთო გამგეობის განკარგულებით და თხოვნით ჭიათურის ქსენონის სამეურნეო გამგეობა გადაეცა საბჭოს იმ მოსაზრებით, რომ სამკურნალო საქმე ჭიათურის მადნებში უმჯობესად მოწყობილიყო და ამასთანავე გაედიდებიათ სახლი, სადაც მაშინ მოთავსებული იყო ქსენონი, სანამ ახალი შენობა გაკეთდებოდა *). თავის მხრით მრეწველთა მესამე კრებამ მიანდო საბჭოს ჭიათურაში საავადმყოფოს შენობის გაკეთება, რისთვისაც გადადებული იქნა, როგორც ერთდროული ხარჯი, 69,000 მანეთი. ამნაირად საავადმყოფოს გაკეთება პირველხარისხოვან საჭიროებათ იყო მიჩნეული და იმის გაკეთება კიდევაც გადაწყდა სასურველათ ვისგანაც ეს დამოკიდებული იყო. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ კრებას არ ძალუძს სისრულეში მოიყვანოს თავის გადაწყვეტილება და განაჩენი; ამისათვის იგი ირჩევს საბჭოს, რომელიც კრების აღმასრულებელი ორგანოა და რომელსაც მოყავს სისრულეში კრების დადგენილებანი და განაჩენები. ასეა ყოველგან, სადაც რაიმე წესი და სისტემაა შემოღებული, სადაც საერთიერთო პატივისცემა სუფევს და თვითნებობას ადგილი არ აქვს. სამწუხაროდ, ასეთი წესი არ ყოფილა შავი ქვის მრეწველთა

*) იხ. „Отчет о деятельности совета, избранного на первом с'езде". Хозяйственная часть, Стр. 9.

შორის, მათი კრება მოკლებული ყოფილა პატივისცემას და იქ გაბატონებული ყოფილა თვითნებობა. აი როგორი ყოფილა ხსენებული მრეწველთა თვითმართველობა, რომელზედაც ასე ხშირად უთითებს ხოლმე ბ. ზდანოვიჩი.

მესამე კრების გადაწყვეტილების შემდეგ საბჭოს დაუყოვნებლივ უნდა დაეწყო საავადმყოფოსთვის შენობის აგება. ეს იყო საბჭოს მოვალეობა, თუ იგი პატივს სცემდა მრეწველთა კრებას. მაგრამ საბჭო გადაუდგა კრების გადაწყვეტილებას, მან უკუ აგდო კრების დადგენილება საავადმყოფოს გაკეთების შესახებ, რითაც აშკარაბა შელახა და გათელა კრების უფლება. რა უფლებით? რა მოსაზრებით? პირველ კითხვაზე ჩვენ პასუხს ვერ მოგცემთ, ვინაიდან სადაც თვითნებობაა, იქ არავითარ უფლებას ადგილი აღარ აქვს. ხოლო რაც შეეხება მოსაზრებას, ამის შესახებ აი რას ვკითხულობთ საბჭოს მოქმედების (უფრო მართლა რომ ვთქვათ უმოქმედობის) „ანგარიშში“: საბჭო არ შეუდგა მუშებისათვის საავადმყოფოს აგებას იმიტომ, რომ ჭიათურაში არსებული ქსენონი **თავის სიდიდით** (по размерам своим), **კრავოტების რაოდენობით** სავსებით აკმაყოფილებს მადნებში მომუშავე ხალხის მოთხოვნილებას საექიმო დახმარებაში. გარდა ამისა მას (საბჭოს) მრავალი დაბრკოლება აღმოუჩნდა იმ მხრით, რომ შესაფერი ადგილის გამორჩევა გაძნელდაო (Отчет, გვ. 30).

ამნაირათ, როგორც ხედავთ, საბჭოს აზრით საავადმყოფოს გაკეთება ჭიათურაში საჭირო არ ყოფილა, ვინაიდან მისი აზრით, არსებული ქსენონი თურმე სავსებით აკმაყოფილებს მუშა ხალხის მოთხოვნილებას საექიმო დახმარებაში. მაგრამ ნუ თუ საბჭოს იმ საკითხის გადაწყვეტა მიანდვეს, საჭიროა თუ არა ჭიათურაში საავადმყოფოს გაკეთება? კრებამ მას შენობის აგება მიანდო და იგი კი ამ გადაწყვეტილების კრიტიკას შეუდგომია! მართალია კრიტიკა სასარგებლოა, მაგრამ საბჭომ კრიტიკოსობა დაიწყო იქ, სადაც ამას ადგილი არ უნდა ქონოდა. ჩვენ ქვევით დავინახავთ, თვით ბ. ზდანოვიჩის სიტყვებიდანაც, რომ საავადმყოფოსათვის ახალი შენობის აგება ჭიათურაში მიუცილებელი საჭიროება ყოფილა იმ თავიდანვე. მაგრამ, თქვენ გგონიათ, რომ საბჭო ბოლომდე გაყვა თავის მოსაზრებას? სრულებითაც არა. რამდენიმე სტრიქონის შემდეგ, სადაც საბჭო ამბობს, რომ ჭიათურის ქსენონი სავსებით აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას, იგი ამბობს: „ამ ჟამათ შეძენილია ადგილი, სადაც უნდა გაკეთდეს საავადმყოფო და ამასთანავე დავიწყეთ შენობისათვის მასალის დამზადებაო“ (Отчет, გვ. 31). რას ნიშნავს ეს:

ყველაფრის სასაკილოთ აგდებას, თუ საბჭოს ულოღიკობას? ჩვენის აზრით ერთსაც და მეორესაც, მაგრამ უფრო კი ულოღიკობას. თუ საბჭო იმისათვის არ შეუდგა საავადმყოფოსთვის შენობის აგებას და კრების დადგენილება უკუაგდო, რომ არსებული ქსენონი საესებით აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას, რილასთვის შეიძინა მიწა და ან რისთვის შეუდგა მასალის დამზადებას? აქ ისეთი ულოღიკობა და წინააღმდეგობაა, რომ მსგავსი მაგალითი ძნელი მოსაპოვებელია. ჩვენის აზრით საბჭოს ასეთი ულოღიკობა მხოლოდ იმას მოწმობს, რომ იგი სრულებით უღონო ანუ უნიჭო ყოფილა იმ საქმეში, რომელიც მას მიანდეს.

საბჭომ სრულებით უყურადღებოთ დატოვა აგრეთვე იაფ-ფასიანი სასადილოების გამართვა. „იმათი მოწყობა არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ეს პირველი შეხედვით გეგონებათო“,—გვახლის გონიერი საბჭო. „იაფ-ფასიანი სასადილოების გამართვაში დაბრკოლება აღმოგვიჩნდა როგორც უფულობის გამო, ისე ისეთი სასადილოს ტიპის გამოძებნაში, რომელიც ადგილობრივ პირობებს შეეფერებოდეს“ (Отчет, გვ. 41). აქედან გამოდის, რომ საბჭო თითქო ბევრს ცდილა იაფ-ფასიანი სასადილოების გამართვის თაობაზე, მაგრამ მას ამისთვის არც ფული ჰქონებია კრების მიერ გადადებული და აგრეთვე სასადილოს შესაფერი ტიპიც ვერ გამოუძებნია. სირცხვილია ასეთი ტყუილები! იმ საბჭომ, რომელმაც რვა ათასი მანეთის მაგივრათ 110 ათას მანეთამდის დახარჯა აბანოზე, ნუ თუ ამ საქმისათვის მცირე წვლილს ვერ აღმოაჩენდა? სრულებით ამაოთ ცდილობს გაიმართლოს თავი საბჭომ საყვედურისაგან იმ მოსაზრებით, რომ კრებამ მას ამ საქმისათვის საჭირო თანხა არ მისცაო. ამას მნიშვნელობა ექნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ საბჭოს ყოველ ფეხის ნაბიჯზე კრების განაჩენი და გადაწყვეტილება არ დაერღვია და ფეხით არ გაეთელა. ღღეს კი საბჭოს თავის გამართლება ასეთი საშუალებით მწარე დაცინვაა და მეტი არაფერი; ამას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს.

ზევით ნათქვამიდან თქვენ რამდენიმეთ გაიგებდით, თუ რაში გამოიხატა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მოღვაწეობა გასული $2^1/_2$ წლის განმავლობაში. წვრილმან ფაქტების დასახელებით მე აღარ მოგაბეზრებთ თავს. ახლა გადავდიკარ თავდათავ საგანზე, ე. ი. იმ განმარტებაზე, რომელიც ბ-მა ზდანოვიჩმა გაუკეთა სარევიზიო კომისიის მოხსენებას. მრეწველთა მთავარი საქმეები შეკავშირებულია ფულის დახარჯვასთან. კრება წინდაწინ ადგენს ხარჯთაღრიცხვას და აძლევს მას

საბჭოს სისრულეში მოსაყვანათ. საბჭოს არავითარი მნიშვნელობა, არც იურიდიული და არც ზნეობრივი, არა აქვს კრების დაუკითხავათ ამ ხარჯთ-აღრიცხვის ფარგალიდან გამოვიდეს. სარევიზიო კომისიის მოხსენებამ დაგვიმტკიცა, რომ საბჭოს თითქმის არც ერთი მუხლი, არც ერთი სტატია ამ ხარჯთ-აღრიცხვისა არ მოუყვანია სისრულეში სისწორით. მაგ., საბჭოს ვერ მოუწყვია სტატისტიკური ბიურო, როგორც ეს საჭირო იყო, არ დაუწესებია სტიპენდიები, არ გაუმართავს სკოლები, არ გაუკეთებია ბიათურაში შენობები. არც თავისთვის და არც საავადმყოფოსთვის, ვერ შეუყიდია ამისთვის დროზე მიწები, გზებზე და ხიდებზე დაუზოგავს 57.576 მანეთი, რის გამო გზები საშინელ ცუდ მდგომარეობაშია და იმათი გაუმჯობესება უპირველესი საქმეა მთელი მრეწველობისათვის; იმავე დროს საბჭოს თავის ნებით მიუცია ზედმეტი თავმჯდომარის მოადგილესათვის 1.651 მან., საბჭოს წევრებისათვის—1.300 მან., დაუზოგავს საავადმყოფოზე 14.657 მან., დაუხარჯავს აბანოზე 109.000 მან. როცა ამისთვის კრებამ გადადო მხოლოდ 8 ათასი მან., და მრავალი სხვა. ასეთი მოქმედებით საბჭომ უარყო კრება და მისი გადაწყვეტილებანი, მან სრულებით გააუქმა თვითმმართველობა და გააბატონა თვითნებობა. სარევიზიო კომისიის მოხსენების წაკითხვამ კრებაზე ყველასათვის, თვალსაჩინო-ჰყო ასეთი სამწუხარო მოვლენა ჩვენ ცხოვრებაში. მაგრამ ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ბ-ნმა ზდანოვიჩმა შეიკდიმა ყოველივე ეს, ნუ თუ თქვენ ფიქრობთ, რომ მას ოდნავათ მაინც შერცხვენოდეს კრების უფლების ამ.აშკარათ დარღვევისათვის? სრულებითაც არა. და აი სწორეთ პირველათ აქ წარმოდგა ჩვენს წინაშე ეს ვაჟბატონი მთელი თავისი გონებრივი და ზნეობრივი ფიზიონომიით; აი აქ დაგვიმტკიცა მან, თუ რა ზომამდის შეიძლება დაეცეს და დაქვეითდეს ადამიანის ზნეობა და გონიერება. ბ-ნმა ზდანოვიჩმა თავის გრძელ და უშნო სიტყვაში, რომელიც სარევიზიო კომისიის წინააღმდეგ იყო მიმართული, თვალსაჩინოთ დაგვიმტკიცა, რომ იგი ამ დაქვეითების გზაზე საკმარისათ შორს წასულა. მისი სიტყვა შემკული იყო სოფიზმებით და კაზუისტიკური დასკვნებით. მისი ხერხი იმაში მდგომარეობდა, რომ დაებნელებინა მაყურებელთათვის მოხსენების გაგება, ამისათვის აქცევდა ყურადღებას განსაკუთრებით მეორე და მესამეხარისხოვან შენიშვნებს ან და ცალკე სიტყვებს. იგი მთელი საათობით ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ სარევიზიო კომისიის მოხსენებას ცუდი სუნი უდის, ეს მოხსენება საagიტაციო [illegible] არის [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

რაში სჩანს საბჭოს ბოროტმოქმედებაო,—იკითხა ბ-ნმა ზდანოვიჩმა. დაგვისახელეთ, რა ბრალი გვედებაო? სარევიზიო კომისია ბევრს ეცადა, მაგრამ ვერსად ვერ აღმოაჩინა, რომ ჩვენ რომელიმე ხარჯი ან შემოსავალი დაგვრჩენოდეს ჩაუწერელი, ან ნაკლები დაგვეხარჯოს, ვინემ გვიწერიაო. ბ. ზდანოვიჩს შეიძლება გონია, რომ რაკი კასაში ფული არ დაკლებიათ, მაშასადამე, საბჭოს ბოროტმოქმედება არ ჩაუდენია. მაგრამ ბ. ზდანოვიჩი ცდება. სარევიზიო კომისია საბჭოს ქურდობაში კი არ ამტყუნებდა, არამედ იმაში, რომ იგი სისტემატიურად არღვევდა კრების გადაწყვეტილებას, ე. ი. ხარჯავდა იქ, სადაც არ უნდა დაეხარჯა და ზოგავდა იქ, სადაც არ უნდა დაეზოგა. ეს დარღვევა არ მომხდარა შემთხვევით, ეს საბჭოს ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა; საბჭომ უკუაგდო კრების დადგენილებანი, მოქმედების პროგრამა, რომელიც მას კრებამ მისცა და თვისი პროგრამა გამოიგონა. და აი, ეს არის ბოროტმოქმედება.

არ შეგვიძლია უფრო დაწვრილებით არ შეეხოთ ბ. ზდანოვიჩის სიტყვის იმ ადგილს, რომელიც იმავე ჭიათურის ბედკრულ ქსენონს შეეხება. თქვენ უეჭველათ გახსოვთ სარევიზიო კომისიის მოხსენების ის ადგილი, სადაც ჭიათურის საავადმყოფოს საზარელი სურათია დახატული. ბ. ზდანოვიჩი კატეგორიულათ უარყოფს ამას და დასამტკიცებლად მოჰყავს ერთი ადგილი ქუთაისის გუბერნატორის ანგარიშიდან, სადაც ნათქვამია, რომ ჭიათურის ქსენონი მთელ გუბერნიაში სამაგალითოაო. მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა ფასი აქვს ასეთ მოხსენებას. აი ამის დასამტკიცებელი საბუთი. 20 სექტემბერს 1900 წელს თითონ ბ. ზდანოვიჩი სამეწარმეო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს სწერდა, სხვათა შორის: „ამ უბედურ დროს (როცა ჭიათურაში გადამდები სენი მძვინვარებდა) ჭიათურის ქსენონმა, რომელიც საბჭომ, შეიძლება ვთქვათ, **სამაგალითოდ მოაწყო**, დიდი სამსახური გაუწია ჭიათურის მადნების მეუშვებსო“ (იხ. Отчет, გვ. 7). და აი ეს „სამაგალითოდ მოწყობილი“ ქსენონი რამდენიმე თვის შემდეგ, როგორც გამო

მოხსენების ავტორები მაშინ არ იყვნენ ბ. ზდანოვიჩის მოწინააღმდეგენი და ვგონებ ბ. ზდანოვიჩი მაშინდელ ამათ შენიშვნებში ეკვს ვერ შეიტანს, რომ ვითომც ყოველივე ეს საგიტაციო მიზნით ყოფილიყოს ნათქვამი. ამიტომ ჩვენ ეკვი შეგვაქვს უფრო თვით ბ. ზდანოვიჩის სიტყვებში, რომ ჭიათურის ქსენონი 1900 წ. დამლევს საბჭოს მიერ ვითომც „სამაგალითოთ ყოფილიყოს მოწყობილი". სარევიზიო კომისიის ახალ მოხსენებას, რომელიც დღევანდელ კრებას წარედგინა და რომელიც იმეორებს და ამტკიცებს იმასვე, რაც წინანდელ მოხსენებაში იყო ნათქვამი, ბ. ზდანოვიჩი არ ღებულობს იმიტომ, რომ იგი საგიტაციო მიზნით არის შედგენილიო; მაგრამ ეს ხომ საბუთი არ არის, განა ყოველივე ის, რაც იქ აწერილია, სიმართლე არ არის? ვის შეუძლია იმის უარყოფა, გარდა ბ. ზდანოვიჩისა? განა აშკარა არ არის, რომ ავადმყოფები იქ უპატრონოდ არიან? განა ყველამ არ იცის, რომ საავადმყოფოს ექიმი ბ. ჯაფარიძე მთელი კვირაობით და თვეობით ჭიათურას სრულებით არ ეკარება? მხოლოდ ერთში კი გამოტყდა ბ. ზდანოვიჩი, სახელდობრ იმაში—შენობა არ ვარგაო და სანამ ჩვენ საკუთარ შენობას არ ავაგებთ, იქამდის ყველა იმ ნაკლულევანებათა აცილება, რომლებიც შენობის სივიწროვით არის გამოწვეული, ყოვლად შეუძლებელიაო. მაგრამ აქაც წაიკოტლა ჩვენმა გმირმა. მას სამართლიანათ შენიშნეს, რომ ხუთი ათასი მანეთით ყველა ეს ნაკლულევანებანი აცილებული იქნებოდა, რომ საბჭოს ცოტაოდენი ყურადღება მიექციაო. მაგრამ ბ. ზდანოვიჩი სხვანაირად მსჯელობს: ჩვენ აზრად გვაქვს საავადმყოფოსთვის ცალკე შენობა ავაგოთ და რისთვის დავიხარჯოთ ახლა? სამწუხაროთ, ის არ ფიქრობს იმაზე, რომ დღევანდელი ავადმყოფები ამ შენობის გაკეთებას ვერ მოუცდიან. ეს არაფერი. თუ უამისოთ საავადმყოფოს გაუმჯობესება ყოვლად შეუძლებელია, ერთი ვიკითხოთ, რას ფიქრობდა ამის თაობაზე საბჭო მთელი $2^1/_2$ წლის განმავლობაში? მისი აზრით ჭიათურის ქსენონი ხომ საკმაოდ ეკმაყოფილებს მადნებში მომუშავე ხალხის მოთხოვნილებას? რომელი ზდანოვიჩია მართალი: ის ზდანოვიჩი, რომელმაც „საბჭოს მოქმედების ანგარიში" შეადგინა, თუ ის, რომელიც ამბობს, რომ სანამ შენობა არ გაკეთდება, იქამდის საავადმყოფოს დღევანდელი სამწუხარო მდგომარეობის გაუმჯობესება ყოვლად შეუძლებელიაო? ჩვენ ვამბობთ, რომ არც პირველია მართალი და არც მეორე. ჩვენ ვიცით, რომ ბ. ზდანოვიჩი იქაც სტყუის და აქაც, ვინაიდან დღევანდელი ქსენონი რომ არ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვ-

ნილებას, ეს ცხადზე უცხადესია. აშკარაა აგრეთვე ისიც, რომ თუ საბჭო მოინდომებდა და ფულს დახარჯავდა, რამდენიმეთ დღეევანდელ პირობებშიაც გააუმჯობესებდა საქმეს. მაგრამ მან არ მოისურვა არც ახალი შენობის გაკეთება და არც ძველის შეკეთება,—და ასეთ მოქმედებას ჩვენს ენაზე ბოროტმოქმედება ეწოდება, რომ უფრო მწვავე სიტყვა არ ვიხმაროთ.

მაგრამ ბ. ზდანოვიჩს საყვედურს ვერ ვეტყვით: იგი თურმე ნამეტანს ზრუნავს მუშებისათვის, ამათთვის მას არაფერი არა შურს: მან აუგო მუშებს ჭიათურაში ისეთი აბანო, რომელიც მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას შეადგენს, რომელიც მუშებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ თანამედროვე ბურჟუაზიულ კომფორტებით, ფუფუნებით. ბატონებო, მიმართა ბ-ნმა ზდანოვიჩმა მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველთ,—რათ არ გსურთ თქვენ, რომ მუშებმაც ისარგებლონ იმ კეთილი ცხოვრებით, რომლითაც სარგებლობს საზოგადოების მდიდარი ნაწილი! ბ-ნ ზდანოვიჩს ამ სიტყვებისთვის ტაში დაუკრეს, მაგრამ ამ რიცხვში არ ერია არც ერთი იმათგანი, ვისაც მუშა ხალხისთვის ნამდვილი სიკეთე სურს და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ბ-ნ ზდანოვიჩს ამ ხალხისათვის სიკეთე რომ სდომებოდა, ის სხვა რასმე ეცდებოდა, სახელდობრ, იგი იმეცადინებდა ჭიათურის რაიონში გახსნილიყო სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, გაკეთებულიყო საავადმყოფო, რამდენსამე ადგილას აბანო, და თვით მუშა ხალხის მდგომარეობაც შეესწავლათ. ყოველივე ეს უკუაგდო ბ-მა ზდანოვიჩმა და რაღაც ფოკუსური აბანო გააკეთა ჭიათურაში, რომელიც დღეევანდელ ჭიათურის მუშებს ისე შეჰფერის, როგორც ძონძებში გახვეულ და ფეხშიშველა კაცს რომ ფრაკი ჩაეცვათ და თავზე ცილინდრი დახუროთ: ნუ თუ ეს დაცინვა არ არის? მაგრამ ბ-ნმა ზდანოვიჩმა დასცინა არა მარტო მუშა ხალხს, არამედ თვით მრეწველთა კრებას. მან კრებაზე განაცხადა შემდეგი: ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ მესამე კრებაზე აბანოს ასაშენებლათ ვითომც 8 ათასი მანეთი ყოფილიყოს გადადებული და ჩვენ კი, ე. ი. საბჭოს, ასი ათასი მანეთი დაეხარჯოს ამ საქმისთვისო. ეს ტყუილია,—ბრძანა ბ-ნმა ზდანოვიჩმა და აი რა მოსაზრებით: ჯერ ერთი ისა, რომ აბანოზე ჩვენ ასი ათასი მანეთი კი არ დაგვიხარჯავს, არამედ მხოლოდ 34 ათასი მანეთი მოვანდომეთო. და მართლაც თუ ბ-ნ ზდანოვიჩს დავუჯერებთ, ჭიათურის აბანოს რომ გამოაკლოთ ყველა ის შემადგენელი ნაწილები, ურომლისოთ იგი აბანო არ იქნება, მაგ. წყლის გასაყვანი და

გასათბობი იარაღები, განათების მოწყობილება და სხვა რამეები, რომ შემდეგ ჩვენ მხოლოდ კედლები დაგვრჩება ხელში, გამოვა, რომ ასეთ კედლების ასაშენებლად მხოლოდ 34 ათასი მანეთი დასჭირებიათ. მაგრამ ეს ხომ სისულელეა, ეს ხომ აბანო არ არის! ბ-ნ ზდანოვიჩის აზრით საბჭოს 34 ათასი მანეთი ჰქონებია მესამე კრებისაგან მონდობილი სხვადასხვა ხარჯებისათვის ჭიათურაში, და აი, ეს ფული ჩვენ მოვანდომეთ აბანოსო. სოფიზმებიც ასეთი უნდა, ვიტყვით ჩვენ. ჩვენ მხოლოდ ის გვაკვირვებს, რომ კრება იმ ზომამდის როგორ დაძაბუნდა, რომ ასე სამასხაროთ აიღებია თავი.

დასასრულ თავის გრძელ სიტყვისა ბ-ნმა ზდანოვიჩმა მიმართა კრებას და სთხოვა (უფრო მართალი რომ ვთქვათ, უბრძანა): ჩემი განმარტება მიიღეთ, საბჭოს მიერ წარმოდგენილი ფულის ანგარიში დაამტკიცეთ და სარევიზიო კომისიას საყვედური გამოუცხადეთ საბჭოს ცოდვების მხილებისათვისო. კრების უმრავლესობა ამ სიტყვებს ტაშის ცემით მიეგება და თანაც დასძინა: „მივიღოთ, მივიღოთო“! ახლა ჩვენ ვიკითხოთ: რას ნიშნავს ბ-ნი ზდანოვიჩის უკანასკნელი სიტყვები და აგრეთვე კრების უმრავლესობის პასუხი? ბ-ნმა ზდანოვიჩმა ერთ ადგილას, როცა გზებზე იყო ლაპარაკი და სარევიზიო კომისია შედარებით კარგათ იხსენიებდა საგუბერნიო მართველობის მიერ გაკეთებულ გზებს ჭიათურის მახლობლათ, განაცხადა: აი, ბატონებო, სად მარხია ძაღლის თავი. სარევიზიო კომისია ამ გზებზე იმიტომ გვითითებს, რომ მას სურს ჩვენ წაგვართვან თვითმართველობაო.—მე არ ვიცი რას ფიქრობდა სარევიზიო კომისია, მხოლოდ ბ-ნ ზდანოვიჩს ვკითხავ: ყველა ის, რაც მან ჩაიდინა, როგორც მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარემ, განა თავიდან ბოლომდის არ უთხრის ძირს თვითმართველობას? სადღაა აქ თვითმართველობა? მას შემდეგ, რაც ბ-ნმა ზდანოვიჩმა დაარღვია კრების დადგენილებანი, გადაჯეკნა მისი სურვილი და სამაგიეროთ თავის სურვილი გაბატონა, თვითმართველობაზე მას ლაპარაკი აღარ შეუძლია. ნუ თუ მას მართლა ჰგონია, რომ თავის მოქმედებით იგი თვითმართველობას იცავს. დავარწმუნებთ ბ-ნ ზდანოვიჩს, რომ სიტყვა თვითმართველობა მისთვის უბრალო ოინბაზობა არ არის, სიტყვის მასალათ ნახმარი, ის ძლიერ სცდება. ეს თვითმართველობა კი არა უთვითმართველობაა, როგორც ერთმა წევრმა ეს საჯაროდ განაცხადა კრებაზე. რაც შეეხება კრებას, მან თითონ უარჰყო თავის თავი და იმაზე აბა რაღა გვეთქმის! როცა კრებამ გაამართლა საბჭოს

მოქმედება, ხელი დააფარა ყველა მის ბოროტმოქმედებას, იმან ამიერიდან არსებითად მოსპო თავის არსებობა და ყოველივე უფლება გადასცა საბჭოს. ბარაქალა, კრებავ! ასეთი თვითმართველობა ნურამც ყოფილა, იმის გაუქმებით ჩვენ არაფერს არ ვკარგავთ. მრეწველთა კლასი აღარ არის დღეს ის კლასი, რომელიც ხელს უწყობს ნამდვილ თვითმართველობის აღორძინებას და განვითარებას, ეს პრინციპი ანუ იდეა სულ სხვა კლასში იდგამს ფეხს და მხოლოდ იქიდან უნდა მოველოდეთ ხსნა.

წერილი მეოთხე.

მრეწველთა კრება უკვე მიიწურა: სანამ ეს წერილი გაზეთის ფურცლებზე დღის სინათლეს დაინახავდეს, კრება უეჭველად დამთავრდება და საბჭოს მოხერხებულ სავარძელზე ან ისევ ზღანოვიჩი დარჩება და ან სხვა ვინმე. იმას კი ვიტყვით **წინდაწინ, რომ ვინც უნდა დარჩეს** მომავალი საბჭოს თავმჯდომარე, ჩვენთვის ეს თითქმის სულ ერთია, ჩვენ კარგათ ვიცით, ვისი ორგანოა მრეწველთა საბჭო და ვინ უნდა იყოს მისი ხელმძღვანელი, ანუ ვის უნდა ეკუთვნოდეს იგი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კეთილ-სინდისიერათ საქმის წარმოება რამდენიმეთ აქაც უნდა იყოს შესაძლებელი. მხოლოთ ასეთმა რწმენამ გაგვაბედვინა ჩვენ საბჭოს მოქმედება გაგვეგებინა. ჩვენი ერთად ერთი მიზანი იყო და არის მესამე კრებაზე არჩეული საბჭოს მოქმედების ულმობელი კრიტიკის დარჯაკში გატარება, რომ ამით გამოგვეაშკარავებია მისი უნიჭობა და სრული გონებრივი და ზნეობრივი სიკოტრე მრეწველთა საქმეების მართვა-გამგეობაშია. ბევრს ეწყინა, რომ ჩვენ აქ თეთრს თეთრი ვუწოდეთ და შავს შავი. რა ვქნათ, თუ უმრავლესობას ეს არ ესიამოვნა, ჩვენი აქ რა ბრალია. პასუხი აგონ იმათ, ვინც ყოველივე ეს მოიმოქმედა. დეე დაგვიმტკიცონ, რომ ჩვენ ვცდებით ან ტყუილს ვაბობთ, ჩვენ მზათ ვართ საჯაროთ ვაღიაროთ ჩვენი შეცდომა თუ დანაშაული. სანამ კი ეს არ მოხდება, სანამ ჩვენ ნამდვილ ფაქტებს არ დაგვისახელებენ, რომლებიც ჩვენს ნათქვამს ამტყუნებდენ, ან ოდნავაც მაინც ასუსტებდენ, იქამდის ჩვენი შეხედულება შეუცვლელი დარჩება. საქმეს არ უშველის, რომ ჩვენ ვიღაც-ვიღაცაებთან კავშირი დაგვაბრალონ, ეს მხოლოთ დაამტკიცებს იმათ გონებრივ სიბრმავეს, ვისაც ცილისწამებით

ჩვენი დამცირება სურს. დარჩება ბ-ნი ზდანოვიჩი ისევ ძველებურათ და მთელი კრება დაიბრმავებს თავს და სამუდამოთ გააუქმებს თავის თავს, ეს ჩვენთვის ამიერიდან სულ ერთია;—ჩვენი მოვალეობა, რამდენათაც ძალა შეგვწევდა, შევასრულეთ. კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებსო—ამბობს რუსული ანდაზა, ისეა აქაც. შემდეგ წერილში ჩვენ შეეხებით ბ. ზდანოვიჩს უფრო დაწვრილებით, ვეცდებით წარმოვუდგინოთ მკითხველს ამ ვაუბატონის მთელი ფიზიონომია სავსებით, დავხატავთ მის ზნეობრივ და გონებრივ სახეს რაც შეიძლება ნათლად და გარკვევით. ამასთანავე, ცალკე წერილში ჩვენ ვეცდებით დავახასიათოთ მეხუთე კრება, დავაფასოთ და ავწონ-დავწონოთ მთელი მისი ნამოქმედარი. მაგრამ სანამ ამაზე გადავიდოდეთ, ჩვენ მოვიხსენიებთ აქ მეხუთე კრების ზოგიერთ დამახასიათებელ ეპიზოდებს, რომლებიც სხვილ ხაზს ავლებენ როგორც ბ. ზდანოვიჩის, ისე თვით კრების ხასიათს.

როცა კრებამ მოისმინა მუშების დაზღვევის აწინდელი წესის გარეშოება, მან ერთხმად მოინდომა ამ წესის შეცვლა. ბ-ნმა ზდანოვიჩმა კი ინება ამ წესის დაცვა, რასაკვირველია, არა მუშების სასარგებლოთ, არამედ მდიდრების კიდევ უფრო გასამდიდრებლათ. მან ისარგებლა თავის მდგომარეობით და კრებას წარმოუდგინა ყალბი, გამოგონილი ცნობები, რომ ასეთი ცვლილება არ მომხდარიყო. შემდეგ თუმცა ამ საქმისათვის არჩეულ იქნა ცალკე კომისია, მაგრამ ეს ტყუილათ თავის მოტყუილებაა, ვინაიდან ეს კომისია ბ-ნ ზდანოვიჩის სურვილის წინააღმდეგ ვერ წავა და აირჩევს იმ გზას, რომელზედაც მას ეს „ყოვლის შემძლე“ ვაუბატონი მიუთითებს.

კრებას წარმოედგინა განსახილველათ შავი ქვის (მარგანეცის) მექანიკური საშუალებით ჩამოტანა მადნებიდან და საზოგადოთ მადნებში მისავალი გზების გაუმჯობესების საქმე. ამის შესახებ პროექტი უნდა წარმოედგინა ინჟენერ მიხაილოვს, რომელსაც ამისთვის ბ-ნ ზდანოვიჩის სურვილისამებრ წინდაწინ აქვს მიღებული ფული. ამ საბრალო პროექტის ისტორია ასეთია: ჯერ კიდევ მესამე კრებამდის ბ. ზდანოვიჩი, კრების სახელით, თუმცა კრებისაგან მას ასეთი მინდობილობა სრულებით არ ჰქონებია, შეეკრა ბ. მიხაილოვს შემდეგი პირობით: ამ უკანასკნელს უნდა შეედგინა პროექტი ჭიათურის ყველა მადნებიდან მექანიკური საშუალებით მარგანეცის ჩამოტანისა, მაგრამ ისე კი, რომ არც ერთ მრეწველს უპირატესობა არ ჰქონებოდა სხვებთან შედარებით. ასეთი საშუალება ყველა მადნებისათვის ერთ და იმავე დროს კრებას უნდა გაე-

კეთებია თავისი თუ ნასესხები ფულით. ბ. მიხაილოვს ამ შრომისათვის უნდა მიეღო ნაწილ-ნაწილად რვა ათასი მანეთი. მესამე კრებას ბ-ნმა მიხაილოვმა წარუდგინა საკმარისათ ვრცელი მოხსენება თავის მომავალ პროექტის შესახებ და ამტკიცებდა, რომ ასეთი ფანტასტიური პროექტის სავსებით, უნაკლულოთ განხორციელება ძლიერ ადვილი საქმეაო*). ბ. ზდანოვიჩიც ჩვეულებრივი გაბედულებით და დიდი რიხით ამტკიცებდა მის განხორციელებას და პირში ბურთს აჩრიდა ყველას; ვინც ამის წინააღმდეგს რასმეს იტყოდა. მას შემდეგ გავიდა თითქმის სამი წელიწადი და გარემოება ასე შეიცვალა: ბ. ზდანოვიჩი დღეს აღარ ამტკიცებს ხსენებულ პროექტის განხორციელებას იმ გზით და იმ საშუალებით, როგორც ეს მას ეგონა ამ სამი წლის წინეთ. საიდან დარწმუნდა ეს ვაუბატონი ამაში? გამოცდილებით თუ საქმის თეორიულათ შესწავლით? არც ერთი, არც მეორე. მას დღეს ასე სურს, და ვინც წინააღმდეგს იტყვის, მას დორბლიანი პირით და ჩახლეჩილი ხმით ლანძღვით და გინებით გაბერავს. მაგრამ აქ არის ერთი მცირე გარემოება, ღირსი ყურადღებისა. ბ-ნმა მიხაილოვმა დაპირებული პროექტი არ წარმოადგინა, თუმცა ფული კი 2,600 მანეთის გარდა სულ მიიღო. ბ. ზდანოვიჩი, რომელიც ბ. მიხაილოვს უნიჟიერეს ინჟენერათ სთვლის და საზოგადოებას უთითებს მაზე, როგორც სამაგალითო ადამიანზე, კრებას უცხადებს, რომ ბ. მიხაილოვს დაპირებული პროექტი ჯერაც არ წარმოუდგენიაო. რაც შეეხება მიცემულ ფულს, ჩემის აზრით ის რუქები და პროფილები, რომლებიც ბ. მიხაილოვმა გადმოგვცა, იმაზე მეტი ღირს, რაც ჩვენ მივეცითო. შემდეგ ილაპარაკა თვით ბ მიხაილოვმა და უნდა გამოვტყდეთ, რომ მან აქ დიდი გულწრფელობა გამოიჩინა. რამდენადაც ბ. ზდანოვიჩი ცდილობდა კრებისთვის თვალები აეხვია და საქმის ნამდვილი მდგომარეობა დაეფარა, იმდენათ ბ. მიხაილოვმა მოისურვა რამდენიმეთ მაინც ფარდა აეხადა ამ საქმისათვის და გულწრფელათ ეუწყებია კრებისათვის, რომ მე დაგატყუილეთო. დაგატყუილეთ ჯერ იმაში, რომ ისეთი პროექტის შედგენა ვიკისრე, რომლის განხორციელება ყოვლად შეუძლებელიაო; დაგატყუილეთ იმაშიაც, რომ ის რუქები და პროფილები, რომელშიაც მე თქვენგან ფული მივიღე, იმათ არ ღირსო. ასეთი მხილების დროს, რაც ბ. ზდანოვიჩის სრული სიყალბის გამომჟღავნება იყო, ამ უკანასკნელს ოდნავაც არ შერცხვენია. გასაოცარი აქ კიდევ ის არის, რომ

*) იხ. „Труды III с'ѣзда", გვ. 77.

როგორც გამოაშკარავდა, უწინარეს ყოვლისა პროექტის წინააღმდეგი ყოფილა თვით ავტორი, ე. ი. ბ. მიხაილოვი; ე. ი. ბ. მიხაილოვს უკისრია ისეთი პროექტის შედგენა, რომლის განხორციელება თითონ მას შეუძლებლათ მიაჩნია და პირობის დარღვევის მიზეზათაც ეს გარემოება დაასახელა.—კარგი, მაგრამ ფული რიღასთვის მიიღოვო,—იკითხავს ვინმე. ეჰ! განა ცოტა რამ საკვირველება ხდება ამ ,,ოდვილ დედამიწაზე? ყოველ შემთხვევაში ამის ,,ოდვა მარტო ბ. ზდანოვიჩს აწევს თავზე და სხვას არავის, მაგრამ თქვენ გგონიათ, რომ კრებამ საყვედური გამოუცხადა ამისთვის ან ბ. ზდანოვიჩს და ან ბ. მიხაილოვს? სრულებითაც არა. მართალია ზოგიერთებმა დაგმეს და გაკიცხეს როგორც ერთი, ისე მეორე, საზოგადოების ასე აბუჩათ აღებისათვის, მაგრამ რა გამოვიდა! უმრავლესობა, ბ. ზდანოვიჩის ბრძანებით, თეთრს შავათ ღებულობს და შავს თეთრათ. ეს მდინარე აღმა მიდისო, რომ განაცხადოს ბ. ზდანოვიჩმა,—კი ბატონო, აღმა მიდისო, მოახსენებენ მას და მუშტი-კრივით ჩაქოლვენ იმას, ვინც სინამდვილეს უჩვენებს.

აი არჩევენ შავი ქვის მრეწველთა დებულებების პროექტს. ერთს წევრს შემოაქვს აზრი იმის თაობაზე, რომ სარევიზიო კომისიას უფლება აქვს ყოველთვის გაუკეთოს რევიზია როგორც საბჭოს, მოქმედებას, ისე ყველა იმ დაწესებულებათ, რომლებიც საბჭოს ექვემდებარებიანო. ბ-ნი ზდანოვიჩი, რომელსაც არ უყვარს, რომ მის მოქმედებას ვინმე შეეხოს და მის თვითნებობას საზღვარი უჩვენოს, ალაგმოს, მაშინვე წამოვარდა და დაახლოვებით ასეთი სიტყვა წარმოსთქვა: ბატონებო! თქვენ ირჩევთ საბჭოს, ანდობთ მას საქმეებს და იმავე დროს სარევიზიო კომისიას უფლებას აძლევთ, რომ მან საბჭოს მუდამ უჩხიკინოს. სარევიზიო კომისია ისარგებლებს ამითი და მუდამ კრიჭაში ჩაუდგება საბჭოს, თქვენ მიერ არჩეულთ, რომლებსაც თქვენ ენდეთ. თუ ასეთი უფლება მიანიჭეთ სარევიზიო კომისიას, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ თქვენ უნდობლობას უცხადებთ თქვენ მიერ არჩეულ კაცებს. მეორე მხრით ამითი თქვენ საბჭოს და სარევიზიო კომისიას შორის ჩამოაგდებთ აყალ-მაყალს, შფოთს და ალიაქოთს, და ისინი იმის მაგიერათ, რომ საქმე გააკეთონ, მთელ თავის დროს ამ ურთი-ერთ კინკლაობას მოანდომებენო. ბატონებო, ეს არ გეკადრებათ თქვენ! სარევიზიო კომისიისთვის ასეთი უფლების მინიჭება რაღაც პარტიული ზომაა, პარტიული ანგარიშით გამოწვეული. ეს არ ეკადრება ღირსეულ კრებას. ვინც თქვენ ამას გირჩეს, იმას თქვენი დამხობა უნდა; მე ვიცი საიდან მომდინარეობს ყოველივე ეს. იმათ

სურთ, რომ ჩვენ თვითმართველობა მოგვისპონ, ჩვენი საშუალება ხაზინას გადასცენ და ჩვენ დაგვტოვონ პირში ჩალა ამოელებული. არა, ნუ მივიღებთ ისეთ წინადადებას, რომელიც ჩვენ თვითმართველობას შეავიწროვებს ან შელახავს, მე ვიცავ ნამდვილ თვითმართველობას, და ამიტომ გირჩევთ მიიღოთ ჩემი წინადადება: სარევიზიო კომისიამ გააკეთოს ის, რასაც მას ბატონი საბკო უბრძანებს! აი მხოლოდ მაშინ იქნება დაცული წესიერება და თვითმართველობაო. კრების უმრავლესობის ტაშის გრიალი იყო ამ სამარცხვინო სიტყვების პასუხად.

ამით უმტკიცებენ ბ. ზდანოვიჩს და მის ნებსითი თუ უნებლიეთ დაბრმავებულ დამქაშებს, რომ ყოველივე ის, რაც ბ. ზდ-მა ბრძანა სარევიზიო კომისიის უფლების გაფართოვების წინააღმდეგ, მარტო ცილის წამებაა, რომ ყოველგან, სადაც კი მსგავსი დაწესებულება არსებობს, სარევიზიო კომისიას აქვს კონტროლის მოხდენის უფლება ყოველთვის, რომ ეს გარემოება სრულებით არ უშლის ხელს საქმის წესიერ წარმოებას და ოდნავაც არ ჩაგრავს თვითმართველობას: პირიქით, ასეთი უფლება ხელს უწყობს წესიერების დამკვიდრებას და ამავე დროს ლაგმავს თვითნებობას. მაგრამ კრების უმრავლესობას ეს არ ესმოდა, თუ არ სურდა რომ მოესმინა და ამიტომ მის თვალში არავითარი საფუძვლიან მოსაზრებას არავითარი ფასი არ ჰქონდა. მას ესმოდა მხოლოთ ბ. ზდანოვიჩის სიტყვები: ნუ გინდათ, რომ სარევიზიო კომისიას ჰქონდეს ნამდვილი კონტროლის უფლება და იგი მხოლოთ მარტო ფორმისთვის გვყავდესო.

აქ მკითხველის ყურადღება უნდა შევაჩეროთ ბ. ზდანოვიჩის ერთ სიტყვაზე, რომელიც მან წარმოსთქვა მაშინ, როცა კრება არჩევდა ახალ დებულების იმ მუხლს, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ მრეწველთა კრებაზედ ვინ ღებულობს მონაწილეობას, როგორც ნამდვილი წევრი. არსებულმა დებულებამ იცის მხოლოდ ორი კატეგორია მრეწველთა: მადნის ამომღები (промышленник) და გამტანი (экспортер). ახალმა დებულებამ ამ ორ ელემენტს მოუმატა კიდევ გამტანი, ქიათურიდან მარტო ფოთამდის და ბათუმამდის (вывозящий). კრებაზე გამოირკვა, რომ ეს მესამე ელემენტი შუამავლის როლს თამაშობს ქიათურის მრეწველობაში; რომ იგი ნამდვილი წურბელაა, რომელიც მხოლოთ „სკიდკებით“ სულდგმულობს, ამიტომ უჯობესი იქნება, ეს ელემენტი სრულებით არ იქნას წარმოდგენილი კრებაზე. საზოგადოთ მისი არსებობა მრეწველობისთვის მავნებელია და სასურველი: არ არის მისი გამაგრებაო. ბ-ნმა ზდანოვიჩმა ამ საგანზე

წარმოსთქვა მოკლე, მაგრამ მხურვალე და ძლიერ შინაარსიანი სიტყვა, რომელიც შეადგენს დასკვნას მთელი მისი მოღვაწეობისას ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში, რომელშიაც, თუ ასე შეიძლება ვთქვათ, მან თავი მოუყარა მთელ თავის პრაქტიკულ გამოცდილებას ამ ხნის განმავლობაში, რომელიც მას შეუძენია პრაქტიკული ზედგავლენით. ამ სიტყვაში ბ-ნმა ზდანოვიჩმა ნათლათ და გარკვეულათ გამოხატა თავისი ახალი შეხედულება პრაქტიკულ ცხოვრებაზე, რომელიც მას ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში შეუსისხლხორცებია და რომელსაც იგი დღეს ადგას, ესე იგი, უფრო გარკვეულათ რომ ვთქვათ, ამ სიტყვაში ბ-ნმა ზდანოვიჩმა დაგვიხატა პრაქტიკული ცხოვრების პროგრამა, რომელსაც იგი დღეს ვრცლათ ახორციელებს ცხოვრებაში. ბატონებო—მიმართა ბ-ნმა ზდანოვიჩმა კრებას, ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ იმიტომ კი არა ვართ მოწოდებული, რომ ცხოვრებაში ზნეობრივი კანონები შევიტანოთ და არც იმიტომ, რომ სხვადასხვა იდეალური წესები შევიმუშავოთ სახელმძღვანელოთ. ჩვენ ბევრიც რომ ვეცადოთ, ცხოვრებას მაინც ვერ შევცვლით. ვინ ამბობს, რომ იქ ყველაფერი საუკეთესოთ იყოს მოწყობილი, სრულებითაც არა. მაგრამ რას იზამთ. ამიტომ ცხოვრება უნდა მივიღოთ ისე, როგორც არის. და თუ სარგებლობის მოტანა გვსურს, ყოველგვარი კანონი დავიმორჩილოთ და შევუწყოთ პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებას. რას ქვია ზნეობა, რა არის იდეალი? ყოველივე ეს ცარიელი სიტყვებია და მეტი არაფერი. რა ვუყოთ, რომ ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ ყოველის ფეხის ნაბიჯზე საზიზღარ და უმსგავს მხარეებს? ჩვენ ამაების გასწორება და აღმოფხვრა სრულებით არ შეგვიძლია, ამისთვის ტყუილ-უბრალოთ შევიწუხებთ თავს. პირიქით, ყოველგვარ მოვლენას, რა გინდ იგი საზიზღარი და მავნებელი იყოს, გამაგრების და გაფართოების საშუალება უნდა აღმოვუჩინოთ. სასაცილოა ის ადამიანი, რომელიც ცხოვრებას იმ მხრით დაუწყებს ყურებას, რომ იქ რაიმე გაუმჯობესების შეტანა საჭიროა. ჩვენ გვეუბნებიან, რომ გამტანთა ის ჯგუფი, რომელიც ერთი მხრით ჭიათურისა და მეორე მხრით ფოთსა და ბათუმს შუა ეზიდებიან მარგანეცს, მავნებელია, წურბელაა, და ამიტომ ჯგუფის არსებობა სრულებით არ არის სასურველი ჭიათურის მრეწველობის ინტერესებისათვისო. ჩვენ იმათ არ ვეთანხმებით ამაში. რა ვუყოთ, ბატონებო, რომ ისინი წურბელები არიან. იმათი გასწორება ჩვენი საქმე არ არის, ცხოვრებამ დაბადა ისინი და ჩვენ იმათ ვერ უარვყოფთ. ნუ დაივიწყებთ

პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებას, რომელიც ჩაგვძახის, რომ ცხოვრებაში ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ არა ზნეობრივი კანონების და საუკეთესო იდეალების მიხედვით, არამედ არსებულ პირობების მიხედვით. შორს იდეალური მისწრაფება, გაუმარჯოს პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებას, რომელიც გვიბრძანებს, თუ რა ხერხი და იარაღია საჭირო კაცისათვის არსებობისათვის ბრძოლაში! ამიტომ მე გირჩევთ: დაანებეთ თავი ზნეობრივ პრინციპებს და იდეალებს და მოიქეცით ისე, როგორც ნივთიერი ინტერესები გიბრძანებენ.

ამ სიტყვის დამთავრება და კრების უმრავლესობის მხრით ტაშის გრიალს და ვაშას ძახილს საზღვარი აღარ ჰქონდა. უმრავლესობაში უფრო ყურადღებას იქცევდენ ტაშის კვრით და ვაშას ძახილით სოლ. წერეთელი, ივ. ნიჟარაძე, კიტა აბაშიძე, პეტ. წულუკიძე და სხვ. ამათ სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ეტყობოდათ სრული კმაყოფილება, რომ რამდენიმე წლის მეცადინეობას ტყუილა უბრალოთ არ ჩაუვლია და შესაფერი ნაყოფიც გამოუღია. და მართლაც, იმათ ჰქონდათ ამის მიზეზი, მაგრამ თითონ ბ. ზდანოვიჩი რაღას გრძნობდა ამ დროს?—შეიძლება იკითხოს ვინმემ. ეს ძნელი გამოსაცნობია. ზდანოვიჩი სიმართლის და პეშმარიტების მოსარჩლე და ზდანოვიჩი ყველა ამის უარისმყოფელი! მათ შორის, ვგონებ სამუდამო უფსკრულია.

წერილი მეხუთე.

როგორც მოსალოდნელი იყო, კრების უმრავლესობამ საბჭოს თავმჯდომარეთ ისევ ბ. ზდანოვიჩი აირჩია. დაადგენინა მრეწველთა მეხუთე კრებამ თავისი მეცადინეობა: აქ არაფერი გასაკვირალი არ არის: პირიქით, გასაკვირალი ის იქნებოდა, რომ კრების უმრავლესობა, რომელიც ყველაფერში ბ. ზდანოვიჩის მონა-მორჩილი და ხელ-ქვეითი შეიქნა, ბ. ზდანოვიჩის წინააღმდეგ წასულიყო და ვინმე სხვა პირი აერჩია. თუ რა ამოქმედებდა და ამოძრავებდა ამ უმრავლესობას, როცა თითქმის ერთი თვის განმავლობაში სისტემატიურათ გაურბოდა სინამდვილის გაგებას და ყოველგვარი საშუალებით ებრძოდა იმათ, ვინც სიმართლის გამომჟღავნებას ცდილობდა, და როცა მან საბჭოს თავმჯდომარის სავარძელზე ისევ ბ. ზდანოვიჩი წამოასკუპა, ამას ჩვენ დაწვრილებით თავის დროზე გავიგებთ. ჩვენ სრულებით არ გვეშინია იმის, რომ ამოდენა ლაპარაკით

ბ. ზდანოვიჩზე ჩვენს მკითხველს თავი მოვაბეზროთ. როგორც ბ. ზდანოვიჩში, ისე მის გარშემო დიდ ბოროტებას აქვს ფესვები გადგმული; ამიტომ ჩვენ უნდა მივსდიოთ მას ბოლომდის, შევისწავლოთ და გამოვიტანოთ იგი დღის სინათლეზე და დავარქვათ მას თავის ნამდვილი სახელი. აქ კი მოგითხრობთ, თუ რა პირობებში მოხდა ბ. ზდანოვიჩის არჩევა.

მკითხველებმა უკვე იციან, თუ რა სამარცხვინო როლს თამაშობდა მეხუთე კრებაზე მისი უმრავლესობა; იციან აგრეთვე ისიც, თუ როგორ უჭერდა მხარს ამ უმრავლესობას კრების თავმჯდომარე, ცეიტლინი. ყველა ამათი ერთათ ერთი მიზანი იყო ბ. ზდანოვიჩის არჩევა და ამისთვის არაფერს არ ზოგავდენ, არაფერს არ ერიდებოდენ. 30 იანვარს თავმჯდომარემ განკარგულება მოახდინა, რომ მეორე დღეს თეატრის დარბაზში გარეშე ხალხი აღარ შეეშვათ, რადგანაც არჩევნები უნდა მოხდესო და მაყურებლები ხელს შეგვიშლისო. მიუხედავათ ამისა, 31 იანვარს თეატრის შენობას დიდ-ძალი ხალხი მიაწყდა; დარბაზში შეუშვეს მხოლოდ მანდილოსნები, დანარჩენი კი გარეთ უცდიდა არჩევნების ბოლოს. ეს არჩევნები მრავალ მიზეზების გამო მეტათ საინტერესო შეიქნა საზოგადოებისათვის. გონებით უბადრუკთათვის ეს გაუგებარია; თავისი პირადი ინტერესებით აღტურვილ ვაჟბატონთ ვერ წარმოუდგენიათ, რომ ქიათურის მრეწველობას მარტო თითო-ოროლა ჩარჩ-მრეწველებისათვის როდი აქვს მნიშვნელობა, იმათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ საზოგადო საქმის სათავეში მოქცევა მარტო იმათთვის კი არ არის საინტერესო, ვინც იქ მოექცევა, არამედ მთელი საზოგადოებისათვისაც. აი კიდევაც მოაღწია არჩევნების დასაწყისი. მაყურებელი საზოგადოება დარბაზში ცოტაა. გარდა ქალებისა, ქალებიც მაღლა ქანდარზე მოთავსებულან. პარტერში სხედან წევრები, მარცხნით ბ. ზდანოვიჩის ხელქვეითი პარტია, მწყობრათ და მჭიდროთ ჩამწკრივებულა; მარჯვენა მხარე უკავია ოპოზიციას, აქ უფრო ხალვათათ არიან. ორთავე ბანაკს სერიოზული სახე აქვს, დაღვრემილობაც ეტყობა. ეტყობაო, რომ დღეს უკანასკნელი განსჯის დღე დამდგარა. ორთავ ბანაკში რალაც წყნარი, ჩუმი ფაცა-ფუცია, გადაკარ-გადმოკარით მუსაიფი და ნელი ხმაურობა. ბელადები ღრმა ფიქრში არიან გართული,—ვაი თუ დაფარულმა კენჭის ყრამ არ გაამართლოს დაპირება, როგორ გამოვიცნოთ ვინ თეთრი მოგვცა? ვინ შავი. მაგრამ ნუ დავიიწყებთ, რომ გაშავდება თუ არა ბ. ზდანოვიჩი დღეს, უმრავლესობის ბედი მაინც მის ხელშია, ამიტომ თუ გაშავდა, მტკუანზე

და მართალზე ერთნაირათ იყრის ჯავრს და ამითი აიხსნება კრების უმრავლესობის ერთ-სულობა. გამოცდილებამ დაარწმუნა ბ. ზდანოვიჩი მესამე კრებაზე, რომ ასეთი უმრავლესობა, ე. ი. წვრილი მრეწველები, მისთვის გამოსადეგი. იარაღია და კიდევაც მოიმწყვდია თავის კლანჭებში; დღეს იმათ თავის ნებით განძრევაც არ შეუძლიათ უზდანოვიჩოთ. და აბა წარმოიდგინეთ, ასეთმა ხალხმა მას შავი კენჭი როგორ უნდა ჩაუგდოს, თუნდ დახურული კენჭის ყრის დროს.

დარბაზში არაჩვეულებრივი სიჩუმეა, ბ. ზდ—ის ერთი მხარეთაგანი და იმავე დროს მისი ხელქვეითი, პეტრე წულუკიძე სიტყვას თხოულობს. ორატორი ქებას ასხამს კრების თავმჯდომარეს, ცეიტლინს, რომელსაც პირველათ შეუგონებია ჭიათურის შავი-ქვის მრეწველებისთვის ყრილობის (с'езд) შემოღების აზრი. ამის თაობაზე ცეიტლინმა თურმე ბევრი უჩიჩინა მრეწველთ, რომლებმაც შემდეგ ბ. ზდანოვიჩს მიანდვეს თხოვნის გაგზავნა სადაც ჯერ იყო. ამისათვის ორატორი მადლობას უცხადებს ბ. ცეიტლინს და აგრეთვე ბ. ზდანოვიჩსაც, თუმცა ამ უკანასკნელს მან თავი მოკრა თავის სიტყვით. აქამდის ჩვენ გვეგონა, რომ ის, რაც ბ-ნ წულუკიძემ ცეიტლინს მიაწერა, ბ-ნ ზდანოვიჩის ერთადერთი სამსახური იყო შავი ქვის მრეწველთა წინაშე, ეს ერთად-ერთი საქმე იყო, რითაც ბ. ზდანოვიჩს თავი მოქონდა და ამაყობდა. დღეს კი, თვით მისივე დამქაშის ჭირით გამომჟღავნდა, რომ თურმე ესეც სხვას მიეწერება. ამ ამბის გამომჟღავნებისათვის სწორეთ მადლობის ღირსია თ-დი წულუკიძე. შემდეგ გაიმართა კენჭობა. ყუთი დაუდგეს ორ პირს: ბ. ზდანოვიჩს და თ-დ ანდ. ერისთავს. სცენაზე დარჩენ მხოლოდ ოთხი პირი: კრების თავმჯდომარე ცეიტლინი, წარმომადგენელნი: შინაგან საქმეთა მინისტრის ბ-ნი პრინცი, რკინის გზის ბ. სოლოვიოვი და სამთო ინჟენერი მარკოვსკი. პეტრე წულუკიძე და კიტა აბაშიძე ერთ-ხმათ გაიძახიან: „მარკოვსკი ნუ დარჩება სცენაზეო“! პატარა, გაფითრებული თავმჯდომარე თითქოს კიდევ უფრო დაპატარავდა და გაფითრდა; თავმჯდომარემ და მარკოვსკიმ ერთმანეთს რაღაც გადაჩურჩულეს; შემდეგ ამისა ცეიტლინი აცხადებს, რომ მარკოვსკის გაგდება სცენიდან არ შეიძლება, რადგანაც მას განსაკუთრებული მინდობილობა ქონია კავკასიის სამთო გამგეობისაგანო. ამასობაში დიდწყეს გამოძახება, ცეიტლინი გაჩერდა ყუთებთან და ამომრჩეველთ დაუწყო ჩუმი ლაპარაკი და ხელის ქნევა. ზოგიერთ შემთხვევაში ის თითონ სწევდა მაღლა მაუდს და ეუბნებოდა, რომ აქ თეთრია და აქ შავიო, ეს ზდანოვიჩისაა და ეს ერისთავისო.

რამდენიმე წევრმა პარტერიდან შენიშნა, რომ თავმჯდომარე მიუდგომელი უნდა იყოს, იგი ყუთებს არ უნდა ეკარებოდეს, რომ გავლენა არ იქონიოს ამრჩეველებზე კენჭის ჩაგდების დროსო. ბ. ცეტლინი კი ბოროტათ სარგებლობს თავის მდგომარეობით: მას უფლება არა აქვს ყუთებთან იდგეს და მით უმეტეს, ამომრჩეველთ გაელაპარაკოსო. თუ მიიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომელიც კრებაზე გამოირკვა, თქვენ მიხვდებით, თუ რამდენათ სამართლიანი იყო ასეთი შენიშვნა. მაგრამ ბ-ნმა ცეიტლინმა მაინც არ დაიშალა თავისი: იგი ერთი წუთს ვითომც ანებებს თავს ყუთებს, მაგრამ მეორე წუთში ისევ ყუთებს მიაშურებს თავზე ხელმოქერილი და ისევ წინანდელი ჩურჩული და ნიშნება. ამას მოყვა ხელ-ახალი შენიშვნა მეორე წევრის მხრით, რაზედაც პასუხს თავმჯდომარის მაგივრათ აძლევს ბ-ნი პრინცი, რომელიც თავმჯდომარეზე ნაკლებ არ იყო დაინტერესებული არჩევნების შედეგით. ის აცხადებს, რომ გაჩერდით, თორემ თქვენ ყოფაქცევას გუბერნატორს მოვახსენებ დღესვეო. ამნაირათ, ყველას, ვინც წესიერების დაცვა მოითხოვა, ბურთი ჩასჩარეს პირში და ბ-ნმა ცეიტლინმა დაურიდებლათ განაგრძო თავისი მოქმედება: იგი საშინლათ წუხდა, ცმაკურობდა, ხტუნავდა, მაგრამ ყუთებს მაინც ვერ შორდებოდა,—ასე გეგონებოდათ, რომ აქ, ამ ყუთებშია მისი ბედი და ილბალიო; რა აწუხებდა ან რა აშფოთებდა ბ-ნ ცეიტლინს, თუ იგი მიუდგომლათ იქცეოდა და ვისმეს გაშავება ან გათეთრება პირადათ მისთვის დანაკლისი ან შეძენა არ იყო? მაგრამ ამას ახლა თავი დავანებოთ.—აი კიდევაც გათავდა გამოძახება, ხმაურობა მიწყნარდა, თითქო ყველამ სული განაბაო. თავმჯდომარე ითვლის პირველათ ერისთავის კენჭებს. დათვალა სულ 84 თეთრი. გაისმა ზდანოვიჩის პარტიაში ტაშის ცემა, ე. ი. ერისთავს მიულოცეს გაშავება. ზდანოვიჩს ამოუვიდა 119 თეთრი. შეიქნა გაცხარებული ტაშის ცემა და ყვირილი ოპოზიციის მიმართ: „წადით, დაიკარგენით, ახლაც ალარ დაგვანებებთ თავს“? ეს იყო პირველ დღეს.

მეორე დღეს, ე. ი. 1 თებერვალს, მოხდა საბჭოს წევრების არჩევნები. მაგრამ ეს ალარავისთვის ალარ იყო საინტერესო, არც წევრებისთვის და არც გარეშე საზოგადოებისათვის, სხდომას გარეშე ხალხი თითქმის ალარ დასწრებია. ოპოზიციის წევრებიც ნაკლებათ დაესწრენ. რაც შეეხება უმრავლესობას, იმას ახლო დაეპირა პარტერის ორივე მხარე და თავის თავს სრულ ბატონათ თვლიდა. მართალია, მას ალარ ქონდა წინანდელი ხალისი, სიცოცხლე, იგი თითქო ძალა გამოლეულ ადამიანს

მიაგავდა, იმ ადამიანს, რომელმაც ბევრი იშრომა და დაიღალა. ახლა იგი ლაღობს, ვინაიდან თავის მიზანს მიაღწია—ზდანოვიჩი ისევ დაიკუპა თავზე. უმრავლესობას აღარ აინტერესებდა საბჭოს წევრების არჩევნები, რადგანაც წინდაწინ იცოდა, ვინ იქნებოდენ არჩეულები, ბ. ზდანოვიჩს ამის შესახებ უკვე მიცემული ჰქონდა შესაფერი ბრძანება: მას უეჭველად უნდა დაეჯილდოებია თავის ერთგული ყმები, განსაკუთრებით ისინი, ვინც უფრო ისახელა თავი მის გათეთრებაში. ასეთები იყვენ ივანე ნიჟარაძე, ბართლომე მოსეშვილი, გ. ცერცვაძე, ავგერინო, კრინიცკი და კიკნაძე, მარა ყველაზე უფრო მეტი ხმა ბარათებით მოუვიდა ნიჟარაძეს (56), შემდეგ ც—ძეს, ოგანეზოვს, მოსეშვილს, თვითეულს დაახლოვებით 50. იმავე დროს დ. ნ. ბაქრაძემ მიიღო 5 ხმა და ნ. ი. ნიკოლაძემ 2. კენჭი იყარეს: ნიჟარაძემ, ცერცვაძემ, მოსეშვილმა, ავგერინომ, კიკნაძემ და ბარათაშვილმა. არჩეულ იქნენ წევრებად: ნიჟარაძე, ცერცვაძე, მოსეშვილი და ავგერინო, ხოლო კანდიდატებათ—კრინიცკი, კიკნაძე და ან. წერეთელი. ამნაირად საბჭოში დარჩენ ყველა ძველები, გარდა ბარფ. მოსეშვილისა, რომელმაც მეხუთე კრებაზე ისახელა თავი ბ. ზდანოვიჩის დაცვით და თავგამოდებული მომხრეობით. ბ-ნმა ზდანოვიჩმაც გადახედა თავის მოწყალე თვალით და საბჭოს წევრობა უბოძა. სარევიზიო კომისიის და ვაგონების და ბაქნების კომიტეტის წევრების არჩევნებით თავს აღარ მოგაბეზრებთ, ესეც იგივე განმეორება იქნება, შეენიშნავ მხოლოდ, რომ სარევიზიო კომისიის წევრათ აირჩიეს ერთი ისეთი პირი, სახელდობრ, ნიკ. ყიფშიძე, რომელმაც რუსული წერა-კითხვა, როგორც ამბობენ, არც კი იცისო; მეორე მხრით ვაგონების და ბაქნების კომიტეტში არ აირჩიეს ისეთი პირი, რომლის მიუდგომელი და სასარგებლო მოღვაწეობა დასახელებულ კომიტეტში ერთხმად იქნა აღიარებული კრებაზე თვით ამავე უმრავლესობის მიერ (ე. ი. კარპე მოდებაძე), რადგანაც ეს პირი ოპოზიციას ეკუთვნოდა.

ამით დასრულდა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა მეხუთე კრება, რომელმაც შეარცხვინა და თავი მოსჭრა ქართველ მრეწველთა კლასს. დიდი ხანი გაიელის, სანამ ქართველი მრეწველები გაასწორებდენ იმ შეცდომებს, რომლებიც მათ ამ კრებაზე დაუშვეს. მაგრამ ამაზე შემდეგ, აქ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ერთ მეტათ საინტერესო გარეშოებაზე. ჩვენ ვამბობთ ან. ერისთავის კანდიდატურის წამოყენებაზე საბჭოს თავმჯდომარის ადგილზე. ვინ არის ანდ. ერისთავი, რომელ ჯგუფს ეკუთვნოდა ან ემხრობოდა იგი აქამდის, ან რომელს ემხრობა დღეს?

აი საკითხი, რომელიც ალბად ყველას დაებადა თავში, როცა ერისთავ-
მა თავის კანდიდატურა წამოაყენა. ჩვენ არ ვიცნობთ მას, როგორც სა-
ზოგადო მოღვაწეს, ვინაიდან აქამდის მას ჩვენ ვერსად ვხედავდით, სა-
ზოგადოებრივ ასპარეზზე მომქმედს, ამიტომ ჩვენ არ ვიცით, რომელ
ჯგუფს ეკუთვნოდა იგი იქამდის და ან რომელს ეკუთვნის დღეს. ბ-ნმა
სერ. ჯაფარაშვილმა (იხ. „ივერია", № 21) გამოაცხადა, რომ ან. ერის-
თავი და ბ. ზდანოვიჩი „ეკუთვნოდენ ერთ და იმავე წრეს და ამასთანა-
ვე პირადი ამხანაგებიც იყვენო. ეს წრე თურმე, იმავე ავტორის სიტყ-
ვით, ებრძვის „ყოველივე ბიწიერებას საზოგადო საქმეებში" ამიტომ
ბ. ჯაფარიშვილი ან. ერისთავს გამცემს და მოღალატეს ეძახის. მეორე
მხრით გაზ. „ახალი მიმოხილვა", ზდანოვიჩს, ერისთავს და კვალელებს
ერთ და იმავე პროგრესიული ჯგუფის წარმომადგენლებათ თვლის; მათ
შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს, გვეუბნება ბ. გ. „ახალ
მიმ."-ში, და თუ ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, ეს მხოლოდ გაუგებრო-
ბა არისო. ნეტარ არიან უვიცნი, რამეთუ იმათ არაფერი გაეგებათ!
შეიძლება ზდანოვიჩი და ერისთავი მართლა ეკუთვნოდენ ერთ და იმავე
წრეს, როგორც ამას „ივერიის" ავტორი ამტკიცებს, მაგრამ რაც შე-
ეხება კვალელებს, ეს ან ცილისწამებაა და ან სრული უვიცობა. კვა-
ლელებს არ წამოუყენებიათ ან. ერისთავის კანდიდატურა და ვერც წა-
მოაყენებდენ. მიუხედავათ ამისა კვალელებმა ოპოზიციის დანარჩენ წევ-
რებთან ერთად მას თეთრი კენჭი ჩაუგდეს. ასეთ მათ მოქმედებას აქვს,
სხვათა შორის, ორი გასამართლებელი მიზეზი: ერთი ისა, რომ საქმის
ინტერესი მოითხოვდა ბ. ზდანოვიჩის გადაყენებას; ანდ. ერისთავის გა-
ყვანას კი ბევრად უფრო მეტი შანსი ჰქონდა, ვინემ სხვას; მეორეც ის,
რომ ან. ერისთავმა, რომელიც ბ. ჯაფარიშვილის სიტყვით, იმავე წრეს
ეკუთვნოდა, რომელსაც ეკუთვნის თვით ბ. ზდანოვიჩი თავისი კანდი-
დატურის წამოყენებით, საქვეყნოთ დაგმო და გაიცხა ბ. ზდანოვიჩის
მოღვაწეობა, როგორც საბჭოს თავმჯდომარისა. აქედან აშკარად სჩანს,
რომ ბ. ერისთავი ღრმათ დარწმუნებულა ბ. ზდანოვიჩის შეუსაბამო მო-
ღვაწეობაში, როგორც საბჭოს მეთაურისა, თორემ ასე აშკარათ თავის
მეგობრის და თავის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა, თუ სულ დაცემული
ადამიანი არ იყო. ბ-ნმა ჯაფარიშვილმა კი, და მასთან ერთათ ეგრეთ
წოდებულმა ქუთაისის ინტელიგენციამ ან. ერისთავის ასეთი მოქმედება
ჩათვალა გაცემათ, ღალატათ. მაგრამ ბ. ჯაფარიშვილს და ა-ს, ალბათ,
არ ესმის, თუ რა არის ღალატი საზოგადო საქმეში. თუ შენ საზოგადო

საქმეს ემსახურები და პატივს სცემ, ღალატათ ჩაითვლება ის მოქმედება, როცა შენ ბოროტებას ხელს დააფარებ და მის გამაგრებას ეცდები. პირიქით, თუ ამ ბოროტებას გამოამჟღავნებ და მის თავიდან აცილებას ეცდები, თუნდაც ეს გამომჟღავნება კერძო პირისთვის მავნებელი იყოს, ეს საზოგადო საქმისადმი სამსახური იქნება. ბ. ჯაფარიშვილი და მისი მსგავსნი ალბათ ვერ არჩევენ საზოგადო ინტერესებს კერძო ინტერესებისაგან, და როცა კერძო პირის წინააღმდეგ გამოდიან საზოგადო საქმის სიკეთისათვის, მას ეს ღალატათ მიაჩნია. აი ბ. ჯაფარიშვილის და მის მსგავსთა თვალთა ხედვის ისარი! მართალია, ეს ღალატია, მაგრამ არა საზოგადო საქმის, არამედ კერძო პირის, თუ გინდ თავისივე წრის, იმ პირის, რომელმაც საზოგადო საქმე თავის და თვის მახლობელთა პირად საქმეთ გადააქცია, რომელმაც უარყო საზოგადოების სამსახური და მხოლოდ თავის საკუთარი სურვილი გააბატონა. არა, ბ. ერისთავი ამ შემთხვევაში მოიქცა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო ყველა პატიოსანი და სინიდისიერი ადამიანი. მარტო ის ფაქტი, რომ ანდ. ერისთავი გამოვიდა ბ. ზდანოვიჩის წინააღმდეგ, დიდათ საგულისხმოა: მის მაგივრათ რომ გამოსულიყო ემერიკი, ჩიკვაიძე ან ვინმე კვალელი, ამას არასოდეს ის მნიშვნელობა არ ექნებოდა. ისეთი კანდიდატურა, როგორიც ამ შემთხვევაში ან. ერისთავია, რომლის წარსული შედარებით შეუბღალავია და რომელსაც თვით ზდანოვიჩის წრე თავისიანად სთვლიდა, მოწინააღმდეგისთვის პირდაპირ ზნეობრივი დამარცხებაა. Habent sua fata libli. ქუთაისის ინტელიგენტურ წრეს და მის წარმომადგენელს ბ. ზდანოვიჩსაც აქვს თავისი ბედი. ერთხელ ესენიც ატარებდენ ხალხის გულშემატკივართა და მოკეთეთა სახელს, მაგრამ ყოველივე ჩანთქა დროთა ვითარებამ, ყოველივე ეს გაქრა, როგორც სიზმარი ღამისა. ვინ არიან დღეს ბ. ზდანოვიჩი და მისი მალმერთებელი „წრე“? რა აწერია მათ დროშაზე? ენაზე მათ აკერია ხალხის ინტერესი და მისი სამსახური, ხოლო საქმით მისი მჩაგვრელები არიან, მათი სამარცხვინო დანაშაულება მხოლოდ გამოსარჩენი და მოხერხებული ადგილების ხელში ჩაგდებაა. და მართლაც, ამ წრეს აღარაფერი აღარ დაუზოგავს, არაფერს აღარ დარიდებია, რომ ყოველგვარი გამოსარჩენი საქმე თავის ხელში ჩაეგდო: არც დანოსს (მიხეილის საადგილ-მამულო ბანკი), არც მოტყუებულებას და მოყიდვას ის არ დარიდებია, ოღონდ ყველა საზოგადო საქმე მას ხელში ჩაეგდო. და მართლაც, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკიდან დაწყებული ქალაქის გამგეობამდის ქუთაისში

ყოველივე მის ხელშია დღეს. როგორც მრეწველთა საბჭო, ორივე საკრედიტო ბანკი ქუთაისში და ჭიათურაში, ამასთანავე გამოაშკარავდა, რომ იმათ მადას საზღვარი აღარ აქვს, მას ეს აღარ ყოფნის. საინტერესოა ის გარემოება, რომ ხსენებულ წრეში, რომელიც ბ. ჯაფარაშვილის სიტყვით ყოველგვარ ბიწიერებას ებრძოდა, დღეს თავი მოუყრიათ და სოლიდარულად მოქმედობენ ერთი მხრით ჩარჩი-მრეწველები, როგორიც არიან, მაგ. სოლ. წერეთელი, პეტრე წულუკიძე, კოტე ბაქრაძე და სხ. და მეორე მხრით სიბნელის ისეთი წარმომადგენელნი, როგორიც არიან კიტა აბაშიძე, კ. თუმანოვი და სხვ. ყველა ამათი მებაირაღტრე გამხდარა ბ. ზდანოვიჩი. ამნაირათ, ქუთაისის ინტელიგენციაში, რომლის სისპეტაკეში წინეთ იშვიათად თუ ვინმე ეჭვს შეიტანდა, დღეს თავი მოუყრია საზოგადოების ყველა ქვემძრომთ და საზიზღარ ელემენტებს. ვისაც თვალი აქვს ხედვათ და ყური სმენად, ამიერიდან ეს დაფარული აღარ დარჩება. ამასთანავე ისეთი შემთხვევები, რომელსაც ბ. ჯაფარიშვილი გაცემას და ღალატს უწოდებს, ხსენებულ წრეში თანდათან უფრო გახშირდება. არ გასულა ერთი წელიწადიც, რომ ასეთ შემთხვევას ქალაქის გამგეობის არჩევნების დროს ქონდა ადგილი. ცოტათ თუ ბევრად სინიდისიერი პირები და ხალხის გულშემატკივარნი, რომლებიც ყოველგან მოიპოვებიან, ამნაირ გათახსირებას ვერ შეურიგდებიან, და იას. ბაქრაძესავით და ანდ. ერისთავივით შესწყვეტენ ხსენებულ წრესთან ყოველგვარ კავშირს და იგი თანდათან გაიხრწნება და ამასთანავე მისი მიმართულება და ხასიათიც უფრო და უფრო აშკარა შეიქნება.

წერილი მეექვსე.

ჩვენ ჯერ არ შევხებივართ თვით კრებას, როგორც ერთ მთელს, არ გაგვიცნია მისი შემადგენელი ნაწილები, აქამდის ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიქცეული იყო ერთი მხრით საბჭოს მოღვაწეობის განხილვაზე და მეორე მხრით იმ მთავარ გარემოებათა დახასიათებაზე, რომლებმაც თავი იჩინეს თვით კრების დროს. აქ ყველაზე უფრო თვალში საძგერი ბ. ზდანოვიჩის მოქმედება და მისი საქციელი იყო და ეს არ შეგვეძლო არ აღგვენიშნა. ვინც გარემოებას დაუკვირდება და საქმეს გაიცნობს, ის ამას ადვილათ მიხვდება. მხოლოდ გონებით უბრალოდ და პირადი ანგარიშებით დაბრმავებულთ შეუძლიათ თქვან, რომ ჩვენ აქ

მხედველობაში გვქონდა „დამხობა პირისა" (ე. ი. ზდანოვიჩის), რომელიც სათავეში ჩაუდგა ახალ საქმეს" (იხ. „ცნობის ფურცელი" № 2053) არავისთვის საიდუმლოება არ არის, რომ შავი ქვის მრეწველთა კრების ერთ-ერთი „დაუმარცხებელი რაინდი" ამიერიდან ბ. ზდანოვიჩია. ამიტომ ყველა იმ ბრალდებაში, რომელსაც ჩვენ მრეწველთა საბჭოს და კრების წინააღმდეგ წამოვაყენებთ, ბ. ზდანოვიჩს ვამტყუნებდით და ვამტყუნებთ დღესაც. ახირებული და სასაცილო იქნებოდა, რომ სპილოსთან ომი გქონებოდეს და ბუზანკალებს ბრძოლა დაუწყო. და აი, სწორეთ „ცნობის ფურცელი" გვისაყვედურებს, რომ რათ ჩვენ თავი არ დავანებეთ სპილოს და არ შეებრძოლეთ ბუზანკალებს! შესაძლებელია, ბუზანკალებთან ბრძოლა ხელსაყრელი ყოფილიყო „ცნობის ფურცლის" ხელმძღვანელთათვის, მაგრამ ამას არ მოითხოვს საზოგადო საქმის ინტერესი. ის ფაქტები, რომლებიც ჩვენ წინა წერილებში მოვიყვანეთ, აშკარად გვიმტკიცებენ, რომ ბ. ზდანოვიჩის სისტემატიურმა მოქმედებამ სრულიად გაუთხარა ძირი ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა თვითმართველობას, რომ დღეს ეს ვაჟბატონი თვით-მართველობის სახელით იცავს აულაგმავ თვითნებობას. ამიტომ ჩვენ ვეწინააღმდეგებით ბ. ზდანოვიჩს იმიტომ კი არა, რომ იგი ზდანოვიჩია და არა სხვა ვინმე, არამედ იმიტომ, რომ იგი, როგორც საზოგადო საქმის ხელმძღვანელი, უარგისია. ვიმეორებთ, სანამ ფაქტებით და არა სიტყვებით, წინააღმდეგს არ დაგვიმტკიცებენ, მანამ ზდანოვიჩზე აზრს ჩვენ არ გამოვიცვლით. ახლა კი გადავიდეთ კრებაზე.

ვისგან შესდგება ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა კრება? იმას შედგენენ ერთი მხრით მრეწველნი, ე. ი. მადნის გამომღებნი, მეორე მხრით მადნის გამტანნი საზღვარ-გარეთ და რუსეთში, ე. ი. ეგრეთ წოდებული ექსპორტერები. პირველები შეადგენენ დიდ უმრავლესობას, მეორენი უმცირესობას. მაშინ, როცა მრეწველთა რიცხვი 300-400 აღწევს, ექსპორტერების რიცხვი ოცამდე ძლივს ადის. პირველები უმთავრესად ქართველებია, ექსპორტერების დიდი უმრავლესობა კი უცხოელებისაგან შესდგება. ამ ორ ჯგუფს შორის მუდამ უთანხმოებაა, მუდამ განხეთქილებაა, როგორც მყიდველთა და გამყიდველთა შორის. ჩვეულებრივ მრეწველს ჭიათურაში შეუძლია მადანი ამოიღოს ტუნელიდან, მაგრამ მადნის ბაზარზე გატანა მას არ შეუძლია, ვინაიდან ამისთვის საჭიროა თანხა, საჭიროა თაოსნობა, საჭიროა კრედიტი და ჭიათურის ჩვეულებრივ მრეწველს კი არც პირველი აქვს, არც მეორე და არც მესამე. ამიტომ

იგი ექსპორტერის ხელშია. და მართალია, ამ უკანასკნელს იგი გარეგნობით კიდევაც ეალერსება, მაგრამ ნამდვილათ კი მას ზიზღით უცქერის. ამას ჩვენ აშკარათ ვხედავთ კრების დროს. კრებაზე ექსპორტერები ყოველთვის უმცირესობას შეადგენენ როგორც რიცხვით, ისე ხმებითაც, ასე რომ, კრების ნამდვილი ბატონი მრეწველები არიან. ამიტომ ჩვენ აქ მხოლოდ მრეწველთა დახასიათებას შევუდგებით. თანამედროვე მრეწველი დიდი ხნის კულტურული მუშაობის ნაყოფია; იგი ნიშნავს ადამიანს, შეიარაღებულს არა მარტო ფულით, არამედ თაოსნობით, ცოდნით, რომელსაც წინ მიყავს თავის საქმე, რომელიც მუდამ აუმჯობესებს საქმის წარმოების წესს და რომელიც ამის გამო ხდება სწავლა-განათლების და საზოგადოთ კულტურის იარაღათ. სულ სხვაა ჭიათურის შავიქვის ჩვეულებრივი მრეწველი, ამ მრეწველების დიდი უმრავლესობა მაინც. უწინარეს ყოვლისა, ჭიათურის მრეწველი ძლივს იპურებს თავს, მას არა თუ არა აქვს საკმარისი თანხა, არამედ მას არც გაბედულება აქვს და არც ცოდნა; ამიტომ იგი უძლურია რაიმე გაუმჯობესებული წესი შემოიღოს წარმოებაში. იგი შემთხვევით შეიქნა მრეწველი; მას ამისთვის არ დასჭირებია არც წარსული გამოცდილება, არც თანხა და არც სწავლა. ჭიათურაში მადნის გამოღებას დიდი ანი და ბანი არ უნდა; ამისთვის არც ფულია საჭირო და თითქმის სამთო ხელობის ცოდნა. ადვილათ გამდიდრების მსურველი ყოველგან და ყოველთვის მრავალი ყოფილა და არის. ამიტომ, როცა შავმა-ქვამ ბაზარი მოიპოვა, ჭიათურას დიდ-ძალი ხალხი მოაწყდა და რადგანაც მადანის გამოღება დიდს არაფერს შეადგენდა, უთვალავი მრეწველები გაჩნდენ. ეს მრეწველები ერთსა და იმავე დროს მრეწველის სახელსაც ატარებდენ და მუშის როლსაც ასრულებდენ. ცნობილია, რომ ასეთ პირობებში შრომის ფასი, ე. ი. მუშის ქირა მეტათ მცირეა და თვით შრომაც ჩაყენებულია აუტანელ პირობებში. ასეთი პირობები ხელს უწყობენ წარმოების ძველებურ, პრიმიტიულ წესის არსებობას; აქ არავითარი ტეხნიკურ გაუმჯობესებას ადგილი არა აქვს და ამიტომ ვერც სხვილი წარმოება იკიდებს ფეხს. ასე მოხდა ჭიათურის მრეწველობაში. აგერ 22 წელიწადია, რაც ეს მრეწველობა არსებობს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მას ფერი არ უცვლია. მართალია, წარმოება საოცრად გადიდდა, გაიზარდა, მაგრამ წარმოების პირობები ოდნავაც არ შეცვლილა; ვერც ერთმა სხვილმა ფირმამ იქ ფეხი ვერ მოიკიდა, ვერ იხეირა. და მართლაც, როგორ უნდა გაუწიოს მეტოქეობა ისეთმა მრეწველმა, რომელიც წარმოებას ისე

იწყებს, რომ თითქმის ფულს არაფერში არ ხარჯავს; მისთვის საკარისია თუ ორი-სამი მუშა იქირაოა, იმათ თვითონ ამოუჯდება გვერდში და მუდამ დღე მუშაობენ. ასეთ მრეწველს არ სჭირია არც მასალა, არც ძვირფასი იარაღები, არც მუშების ბინა, არც ბუჰგალტერი, არც საქმის გამგე; მისთვის, ასე წარმოეიდგინეთ, ზოგიერთ შემთხვევაში არც სამთო გამგეობის ნებართვაა საჭირო, რაც კანონით ყველასთვის საავალდებულოა. აი ასეთი მრეწველი ბოგინობს ჭიათურაში, აი, ასეთ მრეწველთა ხელშია ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობა.

ამის შესახებ ახლად გამოცემული Статистика марганцевого дела*) შემდეგ ცნობას გვაძლევს. იმისდაკვალათ, თუ რამდენ ფუთ მადანს იღებს წლის განმავლობაში მრეწველები, ისინი დაყოფილია სამ კატეგორიათ: **წვრილი, შუათანა, სხვილი.** პირველი კატეგორია იღებს წლის განმავლობაში 100,000 ფუთს, მეორე—100,000—500,000-დის მესაშე—500,000 ფუთს და მეტს. მრეწველთა საერთო რიცხვი იყო: 1895 წელს 1899 წ.—291, 1900 წ.—400, 1901 წ.—177.

ამათში პირველი ორი კატეგორიის იყვნენ:

წლები	წვრილი	შუათანა	ორივე	ანუ % % საერთო რიცხვის.
1895	61	15	76	97,44
1899	189	92	281	96,56
1900	249	140	389	97,25
1901	85	88	173	97,51

საერთოდ ამ ორ კატეგორიას ამოუღია მადანი:

წლები	ფუთი	ანუ საერთო რიცხვის
1895	4,831,055	60,40%
1899	25,250,513	74,05
1900	28,577,167	70,80
1901	18,086,535	78,93

*) იხ. „Стат. марган. дела", издание 1902 გვ. 30—31.

იმავე დროს სხვილ მრეწველთა მდგომარეობა ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში ასე გამოიხატება:

წლები.	მრეწველები.		გამოულიათ მადანი ფუთი.	% საერთო რიცხვთან.
	რიცხვი.	% საერთო რიცხვთან.		
1895	2	2,56	2,269,000	31,96
1899	10	3,44	8,801,919	25,95
1901	11	2,75	11,786,325	29,20
1901	4	2,49	4,818,000	21,07

ეს ცნობები ნათლად ამტკიცებენ ზევით ნათქვამს, სახელდობრ აი რას: 1) წვრილი და შუათანა მრეწველები შეადგენენ დიდ უმრავლესობას, ე. ი. თითქმის 98 % საერთო რიცხვისას; 2) იმათ მიერ გამოღებული მადანის რაოდენობა შეადგენდა 1895 წელს 4,831,055 ფუთს, ანუ 68,04 % საერთო რიცხვისას, 1901 წელს კი იგი უდრიდა 18,086,535 ფუთს, ანუ 78,93 %; და 3) იმავე დროს კლებულობს შედარებით, როგორც სხვილ-მრეწველთა რიცხვი, ისე რაოდენობა იმათ მიერ ამოღებული მადანისა. ამავე პროცესს ამოწმებს შემდეგი გარემოება: საშუალო რიცხვით თითო მრეწველი ამუშავებდა წლის განმავლობაში:

1895 წ. 34,45 მუშას, 1899 წ. 11,17 მუშას, 1900 წ. 9,25 მუშას, 1901 წ. 11,16 მუშას *).

ასეთი წესი მუშაობისა როგორიც ჭიათურის მრეწველობაშია გაბატონებული, წინ ეღობება ყოველგვარ ტეხნიკურ წარმატებას, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას და ხელს უწყობს სიმდიდრის უნაყოფოთ გაფლანგვას. მაგრამ იგი არა მარტო ამ მხრით არის მავნებელი. იგი ხელს უშლის თვით მრეწველთა კლასის გათვითცნობიერებას, თავის რეალურ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა შეგნებას და ამისთვის შესაფერ ზომათა მიღებას. წვრილი მრეწველი მუდამ რყევაშია. მას არას-

*) იხ. Стат. Мат. д. вз. 42.

ოდეს არ აქვს თავისი ნამდვილი ინტერესი შეგნებული და გათვალისწინებული, იგი მუდამ სხვის დახმარებას და ხელმძღვანელობას საჭიროებს, იმას არ შეუძლია, რომ სხვას არ მიეკედლოს და სხვის ფეხის ხმას არ აჰყვეს; ერთი სიტყვით, იმას არ შეუძლია დამოუკიდებლათ მოქმედება და ამით აიხსნება ის სამარცხვინო გარემოება, რომ წვრილი მრეწველი მუდამ სხვისი მონა-მორჩილი ხდება, რომ იგი სხვისი იარაღი გამოდის. ეს სავსებით დაგვიმტკიცა ქიათურის მრეწველთა მეხუთე კრებამ, რომლის უმრავლესობა—და მუშა-თანამრეწველნი წინაალმდეგ თავის საკუთარ ინტერესებისა, ბ. ზდანოვიჩის და მისი დამქაშების მონა გახდა. როგორც ზევით ვამბობდით, კრების ბატონი არიან მრეწველები, განსაკუთრებით წვრილი და შუათანა მრეწველები. მესამე კრების დროს მრეწველთა ეს ორი კატეგორია ბ. ზდანოვიჩის წინაალმდეგ იყო, ისინი საბჭოს ოპოზიციას შეადგენდენ. ყველამ იცის, თუ რა გასაჭირში ჩაგდო მაშინ ამ ოპოზიციამ ბ. ზდანოვიჩი: მან უარყო ბ. ზდანოვიჩის მიერ მოწონებული კანდიდატი კრების მდივნის თანამდებობაზე, აირჩია კომისიებში თავის კაცები, გამოუცხადა საბჭოს თავმჯდომარეს, ე. ი. ბ. ზდანოვიჩს, საყვედური ხმის უმეტესობით, მიაღებინა კრებას მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მთელი რიგი სხვადასხვა ზომათა (თუმცა, ბ. ზდანოვიჩის წყალობით სრულიათ ამაოთ!), და მხოლოდ ექსპორტერების ხრიკებს მიეწერება, იმ ექსპორტერების, რომლებიც მესამე კრებაზე ბ. ზდანოვიჩის მხარეზე იყვნენ, რომ ბ. ზდანოვიჩი ისევ საბჭოს თავმჯდომარეთ იქნა არჩეული. ამ უკანასკნელ გარემოებას რამდენიმეთ ხელი შეუწყო რიგიან კანდიდატის უყოლობამ. სამწუხაროთ, მეხუთე კრება მოხდა სულ სხვა პირობებში: ის უმრავლესობა, რომელიც მესამე კრებაზე ბ. ზდანოვიჩის წინაალმდეგი იყო, მეხუთე კრებაზე ბ. ზდანოვიჩის მომხრე იყო, ახლა მის შეურიგებელ მტრებათ გადაიქცენ. რა მოხდა, რამ გამოიწვია ასეთი ცვლილება? ნუთუ $2^1/_2$ წლის განმავლობაში ბ. ზდანოვიჩი ისე გამოიცვალა, რომ იგი გახდა წვრილ მრეწველთა მომხრე და მათ სასარგებლოთ რაიმე გააკეთა და ამავე დროს მსხვილებს გადაუდგა? არც ერთი, არც მეორე: ბ. ზდანოვიჩი დარჩა ისეთი, როგორიც იყო, მხოლოთ მან მეტი გამოცდილება შეიძინა, რასაკვირველია, თავის სასარგებლოთ; როგორც წვრილი, ისე სხვილი მრეწველები მისთვის მხოლოდ გამოსადეგი იარაღია. სამაგიეროთ წვრილმა მრეწველებმა მეხუთე კრებაზე დაკარგეს ის ცოტაოდენი გამჭრიახობაც კი, რომელიც მათ მესამე კრების დროს გამოიჩინეს.

მესამე კრებაზე ბ. ზდანოვიჩი დარწმუნდა იმაში, რომ წვრილი მრეწველები მისთვის დიდათ საშიშარ ელემენტს წარმოადგენდენ, ისე საშიშარს, რომ თუ ვინიცობაა შემდეგ კრებაზედაც ისინი მის წინააღმდეგ წავიდოდენ, უეჭველათ თავმჯდომარის სავარძლიდან გადააბრძანებდენ. ბ. ზდანოვიჩი დიდ საგონებელს მიეცა: როგორ უნდა მოვიმხრო ჩემსკენ წვრილი მრეწველებიო! ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. მიუხედავათ იმისა, რომ წვრილი მრეწველი ადვილი დასაყოლიებელი და ადვილი მოსატყუებელია, ის იმავე დროს სწორედ ამ გარემოების გამო ძნელი სანდოა. როგორც შენ შეგიძლია დაიყოლიო იგი, ისე სხვასაც შეუძლია თავისაკენ მიიმხროს. ამიტომ ხაჭირო იყო ისეთი ღონისძიება, რომლის საშუალებით წვრილი მრეწველი ჩაეთრიათ და არა ჩაეყოლათ; საჭირო იყო ისეთი ღონისძიების გამოგონება, რომ მრეწველს კიდეც რომ ნდომოდა თავის დაღწევა, ეს ვეღარ უნდა მოეხერხებია. ასეთი საშუალება ბედმა არგუნა ბ. ზდანოვიჩს „შავი ქვის“ ამხანაგობის სახით. ამ ამხანაგობის შედგენის აზრი პირველათ ბ. ზდანოვიჩს დაბადებია, მაგრამ მან შესანიშნავათ ისარგებლა ამ საშუალებით. „შავი-ქვის“ ამხანაგობა—ეს ისეთი კვანძია, რომლის გახსნა დღეს თვით ზდანოვიჩსაც გაუჭირდება *). აშკარაა მხოლოთ ის, რომ ბ. ზდანოვიჩმა „შავი-ქვის“ ამხანაგობის მეოხებით მიაღწია იმას, რაც მას სურდა: წვრილი მრეწველები თავისი სურვილის წინააღმდეგ გახდენ მისი მონა-მორჩილები.

„შავი-ქვის“ ამხანაგობის მოწყობამ მოამზადა ამ დამორჩილების ნიადაგი. მაგრამ ეს კიდევ არ კმაროდა, სრული მორჩილებისათვის საჭირო იყო ამ ნიადაგის ხელ-ახალი გადაბარვა. როცა მეხუთე კრების მოწვევაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მაშინვე გაჩნდენ „დახელოვნებული“ პირნი, რომელთაც კარგათ ქონდათ შეტყობილი წვრილ მრეწველთა ხასიათი, მათი სუსტი მხარე; ამ პირებმა დაიწყეს შესაფერი მოქმედება და ხალხს დაუბნიეს გონება. იმათ უკვე წინდაწინ ქონდათ წარმოდგენილი, რომ თუ ხალხი თავის ნებაზე დარჩება მიშვებული, ბ. ზდანოვიჩს უეჭველათ ჩამოაბრძანებდენ თავის დღევანდელ ადგილიდან: ეს უწინარეს ყოვლისაცუდი იქნებოდა ამ „დახელოვნებულ“ პირთათვის: და აი, დაუწყეს ხალხს ქადაგება, რომ ბ. ზდანოვიჩი წვრილ მრეწველთა მხსნელია, რომ იგი მხოლოთ იმათთვის ზრუნავს, აი ამისთვის დაგიარსათ მან ამხანაგობა „შავი-ქვა“, რისთვისაც მას გადაემტერენ წვრილ მრეწველთა მართველები—

*) ახლო მომავალში ხსენებულ ამხანაგობას ჩვენ ცალკე წერილს ვუძღვნით.

ექსპორტერებია. ამაში ცოტაოდენი სიმართლე იყო, სახელდობრ ის, რომ „შავი-ქვის“ გამო ზდანოვიჩს მართლა გადაემტერნენ ექსპორტერები, სამაგიეროთ ამით მან იშოვნა უფრო მეტი თავისი კენტი. და მისთვის კი მხოლოთ ეს იყო საჭირო. „დახელოვნებულმა“ პირებმა იცოდენ, რომ ზდანოვიჩის გასაშავებლათ მეხუთე კრებისთვის გაცილებით უფრო მეტი საბუთი იყო, ვინმე მესამე კრების დროს და ამიტომაც იყო საჭირო ენერგიული მოქმედება. კენჭის შოვნის საქმე დიდი ხანია მკვიდრ ნიადაგზე იყო დაყენებული, მას შემდეგ რაც „შავი ქვის“ ამხანაგობა შედგა; საჭირო იყო მხოლოთ შესაფერი ახსნა და განმარტება, რისთვისაც სიტყვიერათ მუშაობდენ. ამნაირათ შედგა ძველი საბჭოს და ბ. ზდანოვიჩის მომხრე პარტია მეხუთე კრებაზე ანუ უფრო მართლათ რომ ვთქვათ, პარტია შედგა ჯერ კიდევ იმ დროს, როცა კრების მოხდენა ჯერ კიდევ გამოცხადებული არ იყო. როგორც ბ-ნმა ზდანოვიჩმა, ისე, „დაახლოვებულმა“ პირებმა კრების შედეგი იცოდენ რამდენიმე თვის წინ კრების მოწვევამდის. მათ სისწორით დათვლილი ქონდათ თეთრი კენჭები, რომლებიც უნდა ამოსვლოდა ბ. ზდანოვიჩს მომავალ კრებაზე, რომელიც ჯერ კიდევ მოწვეულიც არ იყო. ამნაირათ შედგა ბ. ზდანოვიჩის უმრავლესობა, რომელსაც იგი უნდა გაეთეთრებია არჩევნების დროს. ეს უმრავლესობა არ იყო თავის ნებით, თავისუფლად მებრძოლი მოწინააღმდეგე პარტიასთან. იგი ხელფეხ შეკრული დამონებული რაზმი იყო, რომელსაც მხოლოთ იმის ამოძახება შეეძლო, რასაც ჩასძახოდენ. ასეთნაირათ დამონებული ჯარი ყოველთვის როდი გამოდგება ბრძოლისთვის, მეტადრე იქ, სადაც სიტყვის და გონების საშუალებით იბრძვიან, და არა ფიზიკური ძალით. ამიტომ დამონებულ რაზმს მისცეს შესაფერი დარიგება: ბ. ზდანოვიჩის ყოველ სიტყვაზე ვაშას ძახილი და ტაშის დაკვრა; მისი ყოველი წინადადების მიღება; იმავე დროს მორჩილ ჯარს მოწინააღმდეგე პარტიისთვის საშვალება არ მიეცა, რომ ყლაპარაკათ: როცა საბჭოს და ბ. ზდანოვიჩის წინააღმდეგ დაიწყებდა ვინმე ლაპარაკს, ამ დროს მორჩილ რაზმს უნდა აეტეხა ყვირილი და ხმაურობა, რომ უმრავლესობას არ სურს მოისმინოს მისი სიტყვა, უმრავლესობა ეთანხმება ყველაფერში ბ. ზდანოვიჩსო.

ამნაირათ გამოცხადდა ეს უმრავლესობა კრებაზე; მან კრების გახსნისთანავე გამოიჩინა თავი, იგი პირველ -სხდომაზედვე წამოდგა ჩვენ თვალწინ, როგორც ბრბო, რომელსაც დაუკარგავს საკუთარი მსჯელობა და ჭკუა და სხვისი იარაღი შექმნილა. განსაკუთრებული ის არის, რომ

ბ. ზდანოვიჩის რაზმმა კრების გახსნამდის იცოდა, რომ იგი უმრავლესობას შეადგენდა. ეს გარემოება ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ. აქედან ჩვენ ვტყობილობთ, თუ რა მზადება იყო კრების მოწვევამდის. თავის მომხრე პარტიას წინდაწინ შეაგონეს, რომ ისინი უმრავლესობას შეადგენენ კრებაზე და რაც უნდათ, იმას გაიყვანენო. საკვირველი იყო კრებაზე ამათი ქცევა: იმათ ეპირათ პარტერის მარცხენა მხარე; როცა ვინმე იმათი ბელადთაგანი, როგორც ივ. ნიკარაძე, სოლ. წერეთელი, კოტე ბაქრაძე, ან ჯ. იაშვილი ადგებოდა, მთელ ამ რაზმს თითქო ელექტრონული ტოკი დაუარაო, ისე ყველანი ერთ დროს წამოვარდებოდენ ზედ. ვგონებ, ასეთი სისტიკი დისციპლინა და მორჩილება ნამდვილი ჯარის სარდალს შეშურდებოდა! მაგრამ, საუბედუროთ, როგორც ყოველთვის, ეს სასტიკი დისციპლინა-დამორჩილება ყოველგვარ აზრის დაკარგვას და გონების დაჩლუნგებას მოასწავებდა; იგი ნიშნავდა ყურის მოყრუებას და თვალის დაბრმავებას. „სულ ერთია, თქვენ რაც უნდა თქვათ, ჩვენ იმას მაინც არ მივიღებთ, რადგანაც უმრავლესობას ჩვენ შეადგენთ; ამიტომ რალაზე კარგავთ დროს, უმჯობესია გაჩერდეთ. მაინც ხომ არ მივიღებთო“, აი რა იყო ბ. ზდანოვიჩის უმრავლესობის პაროლი. ამიტომ მიუდგომელი მაყურებელი, რომელმაც არ იცოდა კარგათ რაში იყო საქმე, გოცებული რჩებოდა. ეს რა უსამართლობა, რა საზიზღრობა ხდება ჩემ თვალწინო. რა უნდა გაეკეთებია ასეთ პირობებში მოხდარ კრებას?

წერილი მეშვიდე და უკანასკნელი.

ჩვენ ვატყობთ, რომ საუბარი ჭიათურის მრეწველთა მეხუთე კრების გამო ძლიერ გაგვიგრძელდა, ამიტომ საჭიროა იგი ბარემ დავაბოლოოთ. ჩვენ დაგვრჩა კრების ნამოღვაწევის დაფასება და განხილვა, მისი ნამოქმედარის საერთო ჯამის გაკეთება, მაგრამ სანამ ამაზე გადავიდოდეთ, საჭიროა ოპოზიციის მოკლეთ დახასიათება, იმ ოპოზიციის, რომელმაც ბევრი სისხლი გაუშრო როგორც ბ. ზდანოვიჩს, ისე მის დამქაშებს, თუმცა ოპოზიციამ როგორც საქმის ცოდნით და გამოცდილების, ისე მრეწველობის საერთო ინტერესების დაცვით საკმარისათ გამოიჩინა თავი მეხუთე კრებაზე, მაგრამ სამწუხაროთ, პირდაპირი სარგებლობა მან ცოტა მოიტანა, მისმა მეცადინეობამ თითქმის უნაყოფოთ ჩაიარა. ამის მიზეზი მრავალია. **პირველი:** კრებაზე ოპოზიციის მოწინააღმდეგე უმ-

რაველესობა იყო, რომელიც მას ლაპარაკის ნებას არ აძლევდა; **მეორე** თავმჯდომარე კრებისა თავის უფლებით ავიწროებდა ოპოზიციის მოქმედებას, ხოლო ბ. ზდანოვიჩის პარტიას ყველაფერში ხელს უწყობდა. **მესამე** მიზეზი ოპოზიციის მოღვაწეობის უნაყოფობისა თვით ოპოზიციაშივე უნდა ვეძიოთ. ჩვენ ვამბობთ იმ გარემოებაზე, რომ მეხუთე კრების ოპოზიციაში არ იყო ერთსულობა; მისი წარმომადგენლები სამ ჯგუფათ თუ არა, ორათ მაინც გაიყოფებოდენ. თუ ჩვენ მივიღებთ ორ ჯგუფათ დაყოფას, დავინახავთ, რომ ოპოზიციის უმრავლესობას შეადგენდენ ექსპორტერები, უმცირესობას თითო-ოროლა წვრილ მრეწველთა წარმომადგენელნი—კვალელები. აშკარაა, რომ ამ ორი ჯგუფის ოპოზიციაში მოქცევა მხოლოდ შემთხვევითი მოვლენა იყო, ვინაიდან არც მიმართულება და არც რაიმე იდეა მათ არ აკავშირებდა და არც აკავშირებს. შავი-ქვის მრეწველთა მეხუთე კრებაზე ამ ორ სხვადასხვა ჯგუფთა შეერთება აიხსნება მხოლოთ იმ უკმაყოფილებით, რომელიც დაბადა იმათში მრეწველთა საბჭოს ყოვლად შეუფერებელმა და გამოუდეგარმა მოღვაწეობამ. ამიტომ როგორც ექსპორტერების, ისე კვალელების მიზანს კრებაზე შეადგენდა ხსენებულ საბჭოს ძირიან-ფესვიანათ დამხობა. აი ის კონკრეტული საგანი, რომლის განსახორციელებლათ შეერთდენ დასახელებულ ჯგუფთა წარმომადგენელნი. თუ ექსპორტერებისათვის ბ. ზდანოვიჩის გაშავება საჭირო იყო უფრო თავის კერძო ინტერესების დასაცველათ, კვალელები საბჭოს მოქმედების გაკიცხვით და დაგმობით გზას კაფავდენ და მეცადინეობდენ სხვადასხვა კულტურული ზომების განსახორციელებლათ, რაც ასე უკუგდებული და უარყოფილია დღემდის ჭიათურის მრეწველობაში. ვინაიდგან ორივე ჯგუფის მიზანს წინ ეღობებოდა მრეწველთა ძველი საბჭო, ამიტომ ორივე ჯგუფის წარმომადგენლებმა სასტიკი და შეუბრალებელი ომი გამოუცხადეს მას კრებაზე. მაგრამ ეს ომი არ იყო თანასწორი, ვინაიდან ოპოზიცია კრების უმცირესობას შეადგენდა, მისი მბრძანებელი ბ. ზდანოვიჩის ყურმოჭრილი უმრავლესობა იყო. გარდა ამისა ოპოზიციის დაბრკოლება კიდევ იმაში მდგომარეობდა, რომ მასში ისეთნი ერიენენ, რომლებსაც ადგილობრივი წვრილი და შუათანა მრეწველები ძლიერ ცუდის თვალით უყურებენ. ყოველ შემთხვევაში, თუ რამე სასარგებლო ითქვა ან გაკეთდა მეხუთე კრებაზე, ეს მხოლოდ ოპოზიციას მიეწერება. ოპოზიცია კრების გახსნისათანავე მედგრათ შეუდგა საბჭოს მოქმედების კრიტიკას; თითქმის მთელი თავისი ძალ-ღონე მან ამ საქმეს მო-

ანდომა, ვინაიდან მხოლოთ ამ გზით შეიძლებოდა, რომ კრების უმრავლესობას თვალები აეხილა და თავის მდგომარეობა დაენახა. ბევრი უსაყვედურებს ოპოზიციას, რომ მან ახალ-ახალი პროექტები ვერ წარმოუდგინა კრებას, რომ მან ვერ შემოიტანა სხვადასხვა სასარგებლო წინადადებანიო; ეს საყვედური რამდენიმეთ მართალია, მაგრამ ამის მთქმელნი ივიწყებენ ერთ გარემოებას, სახელდობრ იმას, რომ მესამე კრებაზე ბევრი სასარგებლო პროექტები და წინადადებანი იქნენ მიღებული, მაგრამ თუ რა ბედი ეწია მათ დღევანდელი საბჭოს წყალობით, ეს დღეს ყველამ კარგათ იცის. რა საჭიროა პროექტები, თუ იმათ გამხორციელებელი არ ეყოლებათ? ამიტომ გამოცდილებამ დაარწმუნა ოპოზიციონერები, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა ისეთი კაცების არჩევა საბჭოში, რომლებიც კრების გადაწყვეტილებას არ გადაუდგებოდენ და მის მონდობილებას სავსებით შეასრულებდენ. ვინაიდან ძველმა საბჭომ კრების მონდობილებანი თავისი ნებით უარყო და კრება ფიქციათ გადააქცია, საჭირო იყო უწინარეს ყოვლისა მისი თავიდან მოშორება. აშკარაა, თუ რისთვის გაიხადა ოპოზიციამ თავის უპირველეს მიზნათ დღევანდელი საბჭოს გაშავება. თუ ამ მიზანს მან ოდნავაც ვერ მიაღწია, ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ იგი კრებაზე უმცირესობას შეადგენდა და არა იმით, რომ იგი მართალი არ იყო. მაგრამ ოპოზიციის კრებაზე დამარცხება სრულებით არ ნიშნავს იმ პრინციპების დამარცხებას, რომლებსაც იგი კრებაზე იცავდა ისე, როგორც ბ. ზდანოვიჩის და მისი შინა-ყმების გამარჯვება მათ ზნეობრივ გამარჯვებას არ მოასწავებს.

გადავავლოთ ახლა თვალი მეხუთე კრების ნამოქმედარს — განვიხილოთ, თუ რამდენათ ნაყოფიერი და სასარგებლო იყო იგი ჭიათურის მრეწველობისათვის, გავიგოთ, თუ რა გააკეთა მან კერძოთ როგორც მრეწველობისათვის, ისე მუშა ხალხისათვის. განსაკუთრებით ყურადღება მივაქციოთ, თუ რა მოიმოქმედა კრებამ ჭიათურის მუშებისათვის, ვინაიდან ამათი მდგომარეობა მეტათ გაჭირვებული და საზარელია, და ეს იმიტომ, რომ დღემდის ამათ სასარგებლოთ არავის არაფერი არ გაუკეთებია, რაც არავისთვის საიდუმლოება არ არის. მეხუთე კრების მნიშვნელობა საზოგადოთ ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ სამი მხრით: 1) თვითმართველობის პრინციპის, 2) მრეწველთა და მრეწველობის საერთო ინტერესების და 3) საზოგადოებრივი ხასიათის ღონისძიებათა მიღების მხრით.

1) რაც შეეხება თვითმართველობის დედა აზრს, ამ მხრით მეხუთე კრებამ მეტათ ცუდი სამსახური გაუწია თავის თავს. როგორც თვითმართველი ორგანო, მან გააუქმა თავის თავი. ეს კრებამ მოიმოქმედა მით, რომ მან უარჰყო საბჭოს მოღვაწეობის განხილვა და დაფასება. კრებამ, ე. ი. მისმა უმრავლესობამ, თავისი დასტურით დააკანონა საბჭოს თვითეონებობა, ე. ი. წესიერათ ჩათვალა უწესოება და ვინც უწესოებაზე ხმის ამოღება მოინდომა, ჩააჩუმა. არა გვგონია, რომ ყოველგვარი წესიერების ასე საჯაროთ უარყოფა საზოგადოებრივ დაწესებულებათ სრულებით დაუსჯელათ ჩაუაროს. საკვუხარო აქ ის არის, რომ თუ ვინმე დაისჯება ამისთვის, ეს მხოლოთ თვით მრეწველთა კრება და არა სხვა ვინმე. კრებას რომ არ გაემართლებია საბჭოს თვითნებობა და სარევიზიო კომისიის და ოპოზიციის შენიშვნები საბჭოს მოღვაწეობის შესახებ გულდასმით მოესმინა, მაშინ იგი დაამტკიცებდა, რომ მრეწველთა კრება საკმარისათ მომზადებულია თვითმართველობისათვის, და მით იგი იხსნიდა თავის თავს განსაცდელისაგან. მაგრამ არა: მან გაიცხა და საყვედური გამოუცხადა სარევიზიო კომისიას და ოპოზიციას და იმავე დროს საბჭოს კი მადლობა უთხრა. ამნაირათ სხვისი ცოდვა კრებამ თავის თავზე მიიღო და მისი გამართლება არა საშუალებით არ შეიძლება. ასეთი მოქმედებით მეხუთე კრებამ ულალატა თვითმართველობას და იგი ანაცვალა კერძო პირებს.

2) მრეწველთა და მრეწველობის საერთო ინტერესების სასარგებლოთაც ბევრი არაფერი გაუკეთებია მეხუთე კრებას, უმეტესი ნაწილი იმ ღონისძიებათა, რომლებიც საჭიროა საერთოდ მთელი მრეწველობის სასარგებლოთ და რომელთა შესახებ აღძრულ იქნა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, კრებისაგან არ არის დამოკიდებული, ამიტომ იმათ შესახებ ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება, თუმცა დღევანდელ საბჭოს ხელში, ადვილი მოსალოდნელია, იმათაც ისეთი ბედი ეწიოს, როგორც მესამე კრების შუამდგომლობათ. დანარჩენ მოხსენებათაგან, რომლებიც მრეწველობის პირობების გაუმჯობესებას ეხებოდენ, კრებამ მიიღო მხოლოდ მოხსენება ქიმიური ლაბორატორიის დაფუძნების შესახებ, ვინაიდგან ეს მოხსენება ბ. ზდანოვიჩისაგან იყო წამოყენებული, თუმცა იმის განხორციელება მაინც საჭოთიროა უსაშუალობის გიმო. მადნის გასარეცხი ფაბრიკის გაკეთება სრულებით უყურადღებოთ დასტოვეს, ასეთი რთული საქმისთვის კრებას როდი სცალოდა, ასეთივე ბედი ეწია მადნის გადაზიდვას რკინის გზის ბაქნებზე გაუმჯობესებული საშუალებით,

გარდა იმისა, რომ ბ. მიხაილოვს გადაუწყვიტეს სრულათ რვა ათასი მანეთის მიცემა შეუდგენელ პროექტების ფასათ. მხოლოდ გზატკეცილების და ხიდეების გასაკეთებლად გადასდო კრებამ შედარებით საკმარისი თანხა 47,000 მანეთი, მაგრამ მომავალი გვაჩვენებს, თუ რამდენათ გამართლდება კრების იმედი, ხოლო დღევანდელი საბჭოს წარსული ამ მხრით არაფერს საიმედოს არ იძლევა. შემდეგ კრებამ მეორეჯერ დაავალა საბჭოს საავადმყოფოსათვის შენობის აგება და აგრეთვე იმ შენობის შეკეთება, რომელშიაც ამ ჟამათ მოთავსებულია საავადმყოფო ისე, რომ იქ დაიდგას ვანები და სხვ., რომლის უქონლობა ასე აბრკოლებს საქმეს. ბ. ზდანოვიჩი და მისი ხელ-ქვეითი უმრავლესობა იძულებული შეიქნენ მიეღოთ ის წინადადება, რომელიც ოპოზიციამ წამოაყენა კრებაზე. მაგრამ იმავე დროს კრებამ დააკანონა, რომ ჭიათურის ქსენონის ექიმს შეუძლია სრულებით არ იაროს საავადმყოფოში, და თუმც მოისურვებს, მას შეუძლია არც იცხოვროს ჭიათურაში; იმავე დროს ამ ექიმს შეუძლია 200 მანეთი იღოს თვეში კრების საშუალებიდან და საავადმყოფოს მოსამსახურეც თითონ იმსახუროს სახლში. კრებამ მოიწონა აგრეთვე ის გარემოება, რომ ქსენონში ავადმყოფებს სხვა სიკეთის გარდა მშივრებს ხოცავენ და კიდევაც იმიტომ არის, რომ ასე ბევრი იხოცება ამ საარაკო საავადმყოფოში.—ერთ-ერთი დაწესებულება, რომელსაც ყველაზე ნაკლებათ წყალობს როგორც მრეწველთა კრება, ისე მრეწველთა საბჭო და რომელსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს მთელი მრეწველობისათვის, არის სტატისტიკური ბიურო, რომელიც არსებობს კრების საბჭოსთან აგერ ორი წელიწადია. სტატისტიკურ მასალას ძლიერ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა კითხვების გადაწყვეტის დროს, მრეწველობის სხვადასხვა მხარეების გამოსარკვევათ და გასაგებათ; ზოგიერთი კითხვების გადაწყვეტა კი სრულებით შეუძლებელია ასეთი მასალის უქონლობის გამო. მაგრამ გარდა ამისა მრეწველობის ცოტათ თუ ბევრათ საფუძვლიან სტატისტიკას წმინდა მეცნიერული მნიშვნელობაც აქვს; სტატისტიკური შრომა საფუძვლათ ედება სხვადასხვა რთულ სოციალურ ხასიათის საკითხების ახსნა-განმარტებას. შავი-ქვის მრეწველობის სტატისტიკასაც აქვს არა მარტო პრაქტიკული მნიშვნელობა, არამედ მეცნიერულიც იმის მიხედვით, თუ რამდენათ მკვიდრ ნიადაგზე იქნება დამყარებული ეს სტატისტიკა. სამწუხაროდ სტატისტიკური ბიუროს დაარსება მრეწველთა საბჭოსთან მხოლოთ ფორმის გულისათვის მოხდა და არა საქმის გასაკეთებლათ. ეს

გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ საქმის ინიციატორი თვით ბ. ზდანოვიჩი ბრძანდებოდა. ამ ვაჟბატონმა სტატისტიკურ ბიუროსაც ის საქმე წაჰკიდა, რაც მრეწველთა კრების თვითმართველობას. ყველგან, სადაც კი ამგვარი დაწესებულება არსებობს, იმას განსაზღვრული ორგანიზაცია და პროგრამა აქვს, როგორც ნებლი სტატისტიკური მასალის შესაგროვებლათ, ისე ამ მასალის დასამუშავებლათ. მესამე კრებამ სტატისტიკური ბიუროს მოწყობა მიანდო ბ. ზდანოვი ს, მაგრამ მან არ აღირსა ამ სასარგებლო დაწესებულებას არავითარი ორგანიზაცია. თავისთავათ ხომ ეს ვერ გაჩნდებოდა. თუმცა სტატისტიკური ბიურო არსებობს, მაგრამ მას არ ჰყავს გამგე, არ აქვს არავითარი ორგანიზაცია, და, როგორც სჩანს, იგი არავითარ ცნობებს არ აგროვებს, არამედ კმაყოფილდება იმით, რასაც მას უგზავნის რკინის გზის ტეხნიკი, დამოენა და სამთო გამგეობა. ეს ცნობები კი სრულებით საკმარისი არ არის ადგილობრივი მრეწველობის შესასწავლად. ბოსალოდნელი იყო, რომ მრეწველთა კრება დაინახავდა სტატისტიკურ ბიუროს მოქმედების გაფართოებას მიუცილებელ საჭიროებათ, მაგრამ კრების ბატონი ხომ ბ. ზდანოვიჩის პარტია იყო და ეს უკანასკნელი ხომ მის წინააღმდეგ არ წავიდოდა. და მართლაც, სტატისტიკური ბიურო კიდევ უფრო შეავიწროვა მეხუთე კრებამ, ვინემ იგი აქამდის იყო. გარდა იმისა, რომ ჯამაგირი გაუდიდეს საზღვარ-გარეთელ აგენტს, ალბათ იმიტომ, რომ ზოგიერთები მისგან სხვადასხვა კომერციულ კორესპონდენციებს ღებულობენ, რომელთაც სტატისტიკასთან სრულებით არავითარი კავშირი არა აქვს. და ასე იქცეოდა კრება ყოველთვის, როცა კერძო მრეწველთა ინტერესები ამას თხოულობდენ. თუ ბ. ზდანოვიჩისთვის და პ. წულუკიძისთვის საინტერესო იყო საზღვარ-გარეთელი აგენტისთვის ჯამაგირის მომატება კრების საერთო საშუალებიდან, კერძო მრეწველთათვის მეტათ სასარგებლო იყო მადნების გეგმის და რუქების გადაღება; ყველა მრეწველი არა თუ ვალდებულია, არამედ იძულებულიც არის, ესეთი გეგმა და რუქა იქონიოს, და იმას რაღა ემჯობინება, თუ ეს საერთო თანხიდან შეუძლია იქონიოს. თუმც ბ-ნმა ზდანოვიჩმა ამ შემთხვევაში არაჩვეულებრივი წინააღმდეგობა გაუწია მრეწველთა უმრავლესობის გაუმაძღრობას თითქმის ყოველივე კერძო მოთხოვნილება საერთო თანხიდან დაიკმაყოფილონ — ალბათ იმიტომ, რომ თავისთვის იმზადებდა, მაგრამ უმრავლესობამ ეს მას აღარ დაუთმო, ჩვენც კაცები ვართ, ჩვენ კარგათ ვიცით საზოგადო თანხის კერძო საქმეებისათვის მო-

ხმარაო და ექსი ათასი მანეთი გამოგლიჯეს ხელიდან ბ. ზდანოვიჩს თავის კერძო ინტერესების დასაკმაყოფილებლათ.

3) საზოგადოებრივი ხასიათის ღონისძიებანი ორ ჯგუფათ გაიყოფება: ერთი მხრით მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება და მეორე მხრით სწავლა-განათლების საქმე, სხვადასხვა ქველმოქმედ დაწესებულებათა და კერძო პირთათვის დახმარების აღმოჩენა. კრება არ შეიძლებოდა არ შეხებოდა მუშათა მდგომარეობას ჭიათურის სამრეწველო რაიონში, მაგრამ ეს რომ უნაყოფოთ ჩაივლიდა, ეს წინდაწინ ვიცოდით. ერთად-ერთი ღონისძიება, რომელიც მუშა ხალხის სასარგებლოთ იქნა მიღებული, ჯერ-ჯერობით, რასაკვირველია, მხოლოთ ქალალდზე, არის მუშებისთვის კაზარმების გაკეთება, რისთვისაც კრებამ გაიმეტა 10,000 მანეთი. მაგრამ კრებამ უარყო იაფ ფასიანი სასადილოების გამართვა, უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის წესის შეცვლა და პირველ დაწყებითი სკოლების დაარსება,— ყოველივე ეს უსაშვალობის გამო. რაც შეეხება სამუშაო დღის მოწესრიგების საქმეს, შრომის ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას, ქალების და ბავშვების მუშაობას მადნებში და საზოგადოთ მადნის მუშების მდგომარეობის შესწავლას,—ყოველივე სულ უყურადღებოთ დარჩა; და ან კი ვინ შეიწუხებდა ამისთვის თავს, ეს ვის რათ ეპირვებოდა. როცა მუშების მდგომარეობაზე ლაპარაკობდენ, ჩალანდრები სრულებით არავის არ გახსენებია, ვითომც ისინი მუშების რიცხვში არც ითვლებოდენ და ან მათი მდგომარეობა კიდეე უფრო უარესი არ იყოს, ვინემ მადნებში მომუშავეთა. ამწაირათ მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ კრებას არავითარი საშუალება არ მიუღია, თუმც მის პროგრამაში გამოქიმული იყო ეს კითხვა ორ მუხლში (§§ 22 და 24).

მეხუთე კრებამ სწავლა-განათლების და სხვადასხვა გვარ დახმარებათა აღმოჩენითაც ისახელა თავი. აქამდის ჭიათურის სამრეწველო რაიონში ერთი სკოლაც არ არის, რომელიც მრეწველთა კრების მიერ იყოს დაარსებული და რომელსაც იგი ინახავდეს. რა ეშველებოდა მრეწველთა კრებას, რომ იმის საეფლობელოში სასულიერო მთავრობას ერთი წერა-კითხვის სკოლა არ დაეარსებია (ჭიათურის სამრეველო სკოლა). ბარაქალა შავი-ქვის მრეწველებო! ტყუილათ კი არ აურჩევიათ მათ თავის მოთავეთ ისეთი განათლებული პირი, როგორიც ბრძანდება ბ. ზდანოვიჩი! მეხუთე კრების ჩხარკედელობა სწავლის თაობაზე იმით დამთავრდა, რომ 2000 მანეთი გადადეს სამოქალაქო სასწავლებლის გახსნისთვის ჭია-

თურაში. სამაგიეროთ მეხუთე კრებამ სამარადისოთ აღნიშნა თავის კაცთ-მოყვარეობა: აქამდე მრეწველთა კრების სტიპენდიები ეძლეოდა ყველას, განურჩევლად იმისა, მარგანეცის მრეწველის შვილი იქნებოდა იგი, თუ სხვა ვინმე: მეხუთე კრებამ ეს შეზღუდა: ჩვენი ფული ისევ ჩვენ შვილებს და ნათესავებს მოხვარდესო. გესმით? ჩვენი ფულიო! ამიერიდან აშკარაა, რომ მრეწველების სტიპენდიები მხოლოდ თავისთვის დაუნიშნავთ, ე. ი. თუ ორიოდე გროში გამოიმეტეს ლარიბ შეგირდების აღსაზრდელათ, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ ისევ თავის ჯიბეში ჩაედვათ. ამნაირმა ეიწრო ეგოისტურმა ლოღიკამ კრების უმრავლესობა იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ არც ერთი გროში ვისმეს „ჩვენი ფულებიდანო"! და მართლაც, უარი უთხრეს ყველა საქველმოქმედო დაწესებულებათ, რომლებიც საზოგადო საქმეს ემსახურებიან, როგორც მაგ., წერა-კითხვის საზოგადოებას, სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას, ქუთაისის სახალხო ბიბლიოთეკას, სახალხო თეატრის კომისიას (იქავე) და სხვ., და აგრეთვე კერძო პირებსაც, როგორც, მაგ. ელ. მესხიშვილს და სხვ. ამის შესახებ სწორეთ ხერხიანათ მოიქცენ. ყველა ამ შუამდგომლობათა განხილვას მაშინ შეუდგენ, როცა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა გაათავეს და დაამტკიცეს. ხარჯები ძლივს დაფარეს შემოსავლით და ისიც დეფიციტით. და აი, გამოაცხადეს გულმტკივნეულათ: ჩვენ ძალიანაც გვსურს ყველა ამ შუამდგომლობათა დაკმაყოფილება, მაგრამ სახსარი არ გვაქვს და ნურას უვაცრავათო: ყველაფერი ჩანთქა გველეშაპმა—აბანომ და საბჭომ! და მართლაც, აბანოს რომ თავი დავანებოთ და ჭიათურის მრეწველთა საბჭოს ზოგიერთი ხარჯები რომ შევადაროთ თუნდ, მაგ., სამხრეთ-რუსეთის მადნეულობის მრეწველთა საბჭოს თანაბარ-ხარჯებთან, ჩვენ დავინახავთ!

	ჭიათურის მრეწ. საბჭო *)	სამხრეთ რუსეთის მრეწ. საბჭო **)
საბჭოს თავმჯდომარეს .	4,000 მან.	3,000 მან.
მის მოადგილეს	1,000	1,200
მდივანს	1,200	1,500

*) ხარჯთ-აღრიცხვა 1903 წლისთვის.

**) ხარჯთ-აღრიცხვა 1902 წლისთვის (იხ. Труды XXVI с'езда Горнопром. Юга-Рос. ч. I).

ბუხგალტერს. . . .	2,600 მან.	2,400 მან.
მოსამსახურეებს, ტელ., სტატისტიკ. ბიურ. გამგეს.	1,500	3,000
ფოშტ., კანცელარ. და წვრილი ხარჯები .	2,880	2,600
მისვლა-მოსვლა . .	3,000	1,200
კონტორის გამგეს .	2,000	—
წარმომადგენელს პეტერბ.	600	—
მოულოდნელი ხარჯები.	5,000	3,000

რომ ამ ციფრების მნიშვნელობა გავიგოთ, საჭიროა ვიცოდეთ, რომ ჭიათურის მრეწველთა მთელი წლიური ხარჯი ორჯერ უფრო ნაკლებია სამხრეთ რუსეთის მრეწველთა საბჭოსაზე და შემოსავალი კიდევ ერთი სამათ. მიუხედავათ ამისა ჭიათურის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე იღებს წელიწადში 4,000 მანეთს და სამხრეთ-რუსეთის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე კი მხოლოთ 3,000 მანეთს. შეიძლება გვიპასუხონ, რომ შეიძლება ბ. ავდაკოვი ბ. ზდანოვიჩზე ნაკლებს მუშაობს საბჭოს საქმეებისთვის, რომ იგი გარდა ამისა, როგორც ვიცით, კერძო საზოგადოების დირექტორიც არისო. მაგრამ ამის მტკიცელმა ნუ თუ არ იცის, რომ ბ. ზდანოვიჩი იმავე დროს, სულ-ცოტა რომ ვთქვათ, გარდა მრეწველთა საბჭოისა, სამი კერძო კომერციული საქმის მოთავეა: იგია თავმჯდომარე „შავი-ქვის“ საზოგადოების და ქუთაისის წყლისაყვანის საზოგადოებისა; გარდა ამისა იგი ითვლება, როგორც ვექილი, ერთ და იმავე დროს ბ. რაბპოვიჩის და მისი კონტრ-აგენტებისა ტყეარჩელის საქმეში. და ამის შემდეგ ნუ თუ დასაჯერებელია, რომ ბ. ზდანოვიჩი საბჭოსთვის უფრო მეტ დროს ხარჯავს და მეტ საქმეს აკეთებს, ვინემ ბ. ავდაკოვი? მისმა მოღვაწეობის განხილვამ, როგორც საბჭოს თავმჯდომარისა, ჩვენ დაგვანახვა, თუ რამდენათ უსაფუძვლოა ეს აზრი. სამაგიეროთ ჩვენი საბჭო ნაკლებ ჯილდოს აძლევს დანარჩენ მოსამსახურეთ: ბდივანს, ბუხგალტერს და სტატ. ბიუროს გამგეს და მით გვეუბნება, რომ მას მხოლოდ ერთად-ერთი სათაყვანებელი პირი ჰყავს, ეს საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც ვერც ერთი ხორციელი ადამიანი ვერ მიუახლოვდება. იმავე დროს საბჭოს წევრების სამგზავროთ ჩვენი საბჭო ხარჯავს წელიწადში 1,800 მანეთით მეტს, ვინემ სამხრეთ-რუსეთისა, რაც ალბათ, იმით აიხსნება, რომ ქუთაისის ტალახიან და მტვერიან ქუ-

ებზე ფეხით სიარული სასიამოვნო არ ყოფილა, მით უფრო, რომ ეს კრების ხარჯზე შეძლებულა, რის გამომეღავნებამ მეტათ შეაშფოთა ბ. ზდანოვიჩი. შემდეგ, გარდა იმისა, რომ მოულოდნელი და სხვადასხვა წვრილი ხარჯები ჩვენს საბჭოს 2,200 მანეთით მეტი აქვს, ვინემ სამხრეთ-რუსეთისას, თუმც საერთო ხარჯების კვალობაზე ეს ასე არ უნდა იყოს, მას ორი ისეთი თანამდებობა დაუარსებია კანცელარიაში, რომელიც სამხრეთ-რუსეთის მრეწველთა საბჭომ სრულებით არ იცის: ეს საბჭოს კანტორის, გამგე 2,000 მანეთი ჯამაგირით წელიწადში და პეტერბურგში წარმომადგენელი—500 მანეთი. არა გვგონია, რომ სამხრეთ-რუსეთის მრეწველთა კრების საქმეები, რომელიც სამჯერ მეტს ხარჯავს წელიწადში, უფრო მარტივ და ნაკლებ შრომას მოითხოვდენ, ვინემ ადგილობრივ მრეწველთა კრების საქმეები. რა თქმა უნდა, სადაც ასეთი გაუმაძღრობა სუფევს, სადაც ყველა იმაზე ფიქრობს, რომ რაც შეიძლება მეტი ჩამოთალოს საზოგადო დუმას, იქ საზოგადოებრივი ხასიათის მიზნისათვის რაღა უნდა დარჩეს. და აი სწორეთ ამას ვხედავთ ჭიათურის მრეწველთა კრებაზე და მის საბჭოში, რომელსაც თავზე აზის ბ. ზდანოვიჩი, რომელიც სიტყვით დიდი გულაშარია და საქმით კი გაუმაძღარი.

ამნაირათ იქიდან, რაც ჩვენ ვთქვით მრეწველთა მეხუთე კრების თაობაზე, შემდეგი დასკვნა გამოდის:

1) კრების უმრავლესობამ შელახა თვითმართველობის პრინციპი და კრება, როგორც თვითმართველი ორგანო, თითქმის სრულებით გააუქმა;

2) მრეწველობის და მრეწველთა საერთო საქმეების მოსაწყობათ ან არსებითად ვერაფერი ვერ გააკეთა; და

3) რაც შეეხება სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებათა მიღებას, მეხუთე კრებამ სულ მთლათ შეირცხვინა თავი.

ჟურნალი „ქვალი“ 1903 წ. №№ 3, 4, 5, 6, 7, 8 და 10.
12, 19 და 26 იანვარი, 2, 9 და 16 თებერვალი და 2 მარტი.
„ზარეშე მეთვალყურეს“ ფსევდონიმით.

გლეხკაცობის მდგომარეობის შესახებ ამიერ-კავკასიაში.

როგორც ვიცით, ამიერ-კავკასიაში ბატონ-ყმობა არსებობდა მხოლოდ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში. რუსეთის მართველობის შემოღების შემდეგ, მრავალ მიზეზების გამო, რომლების განხილვაში ჩვენ აქ ვერ შევალთ, დასახელებულ გუბერნიებში ბატონ-ყმური ურთიერთობა ძლიერ გამწვავდა და მთავრობისათვის მეტათ საშიშარი მიმართულება მიიღო. ასე რომ, თვითმპყრობელ მეფეს, რომ ყმა არ გაენთავისუფლებინა, უეჭველია, ყმა თითონ გაინთავისუფლებდა თავს. თვითმპყრობელი მეფე ალექსანდრე II კარგათ ხედავდა, რომ თუ ის არ ჩამოართმევდა მებატონეთ ყმებს და თითონ არ დაეპატრონებოდა იმათ, გლეხების აჯანყება აუცილებელი იყო და ეს ხომ მეტათ საშიშ მდგომარეობაში ჩააყენებდა თვითმპყრობელობის საქმეს. ამიტომ, როგორც ვიცით, მან 1861 წელს ჩამოართვა ყმები რუსეთის თავად-აზნაურობას და შემდეგ, 1864—1867 წლებში ეს „რეფორმა" ჩვენშიაც შემოღებულ იქმნა: გლეხი განთავისუფლდა კერძო მებატონეთა პირად დამოკიდებულებისაგან, ე. ი. მებატონეთ ამის შემდეგ აღარ შეეძლოთ თავის ნებით გლეხის ოჯახის აკლება, მისი ცოლ-შვილის გაუპატიურება და შინაყმათ წაყვანა. მაგრამ იმავე დროს ნივთიერათ გლეხი ისევ წინანდელ ბატონის ხელში დარჩა, რადგანაც ის მიწა-ადგილი, რომელზეც გლეხს თავის სახლ-კარი ჰქონდა და რის მეოხებითაც ის ცოლ-შვილს არჩენდა და რომელიც მრავალი საუკუნოების განმავლობაში მის სარგებლობაში იყო, მებატონეს საკუთრებათ იქნა აღიარებული. ამ გარემოების წყალობით გლეხი ფაქტიურად ისევ თავად-აზნაურობის მორჩილი შეიქნა. მართალია, გლეხს ვითომც თავისუფლება მიეცა თავის „ნადელის" გამოსყიდვისა და მით მემამულის ბრჭყალებისაგან განთავისუფლებისა, მაგრამ, როგორც ვიცით, ეს უფლება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. მართალია, დროებით-ვალდებულ გლეხების ერთმა ნაწილმა გამოიყიდა მამასისხლათ თავიანთი ერთი ციდა „ნადელები", მაგრამ უმრავლესობისათვის ეს გამოყიდვა შეუძლებელი გახდა, რადგან გლეხის მიერ თავის

დახსნა საესებით მემამულეთა ნება-ყოფლობაზე იქნა დამოკიდებული და ძლიერ ხელსაყრელი და სასარგებლო გამოდგა მემამულეთათვის. მემამულეებმა ყოველგვარი ხერხი იხმარეს, რათა რიგიანათ ესარგებლათ და რაც ყმების ჩამორთმევით დააკლდათ, ამით მაინც აენაზღაურებინათ. მემამულეები ან სრულებით უარს ეუბნებოდენ გლეხებს „ნადელების“ გამოყიდვაზე, ან მხოლოთ მაშინ თანხმდებოდენ, როცა გლეხები ერთი ხუთათ და ერთი ათად აძლევდენ ფასს იმ მიწა-ადგილებში, რომელიც მისივე ხელით იყო გაკეთებული და მოშენებული და, რომელიც არასოდეს სხვის საკუთრებას არ შეადგენდა. გლეხების დროებითი ვალდებულობა მემამულეთა წინაშე, „მოწყალე ხელმწიფის“ მიერ დაკანონებული, ძლიერ იარაღათ გამოდგა მემამულეთა ხელში გლეხების დასამონებლათ და დასაბეჩავებლათ. ეს ვალდებულება მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ გლეხებმა მოსავლის ერთი მეოთხედი უნდა აძლიონ მემამულეს, საქმეც იმაშია, რომ ამით მემამულეს სრული საშუალება ეძლევა ყოველმხრივ შეავიწროვოს გლეხი, შეავიწროვოს იმ ზომამდე, რომ მეოთხედის სახელით მის შემოსავალს მთლად დაეპატრონოს. ამავე დროს ყურადღების ღირსია .ის გარემოება, რომ სულ ერთია გლეხი ამუშავებს თუ არა „სანადელო“ მიწას, მემამულეს მან მაინც უნდა აძლიოს დაკანონებული მეოთხედი; გარდა ამისა მემამულეს კანონი ნებას აძლევს აყაროს „სანადელო“ მიწიდან თავისი მამულის საზღვრების გასასწორებლათ და სადმე სხვა ადგილას მიუზომოს ამავე ზომის მიწა. მართალია, ამ შემთხვევაში საჭიროა გლეხის თანხმობა, მაგრამ მემამულეს ხელში ათასგვარი საშვალება აქვს აიძულოს გლეხი, რომ ასეთი თანხმობა გამოსტყუოს.

დროებით ვალდებულ გლეხების მონურ მდგომარეობას კიდევ უფრო აშკარათ მოწმობს, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ მემამულეთა ძალ-მომრეობისა და შევიწროების გამო მოთმინებიდან გამოსულმა გლეხმა, თუ ვინიცობაა მათ წინააღმდეგ რამე დანაშაული ჩაიდინა, რუსეთის კანონები მას სჯის და ასამართლებს არა როგორც თავისუფალ და თანასწორ ადამიანს, არამედ როგორც მემამულის მორჩილს; ესე იგი, „სამართალი“ ამ შემთხვევაში დროებით ვალდებულ გლეხსა და მემამულეს შორის ხედავს ისეთ დამოკიდებულებას, როგორიც არსებობს უმცროს და უფროს მოხელეთა შორის; ყველამ კარგათ უწყის, თუ ასეთ შემთხვევაში, როგორ სასტიკათ სჯის „სამართალი“. მეფის მთავრობა ამასაც არ დასჯერდა. მემამულეთა ინტერესები მოითხოვდენ, რომ მათ-

სა და დროებით ვალდებულ გლეხებს შორის ჩამოვარდნილ დავის და უთანხმოების გარჩევა და საზოგადოთ მათ შორის ურთიერთობის გაწესრიგება მთავრობას ისეთ პირებისათვის მიენდო, რომელნიც უწინარეს ყოვლისა მემამულეთა ინტერესებს დაიცავდენ. ასეთი პირობები სად უნდა გამოეძებნათ, თუ არ თვით მემამულეებში? და აი, ხალხის სისხლის მწოველთა მფარველმა მთავრობამ დააკანონა: დროებით ვალდებულ გლეხთა და მემამულეთა შორის ურთიერთობის მოწესრიგება მიენდოს მომრიგებულ შუა-კაცთ, რომლებიც უსათუოდ მემამულეებისაგან უნდა იქნენ არჩეულნიო. არავისთვის გასაკვირალი არ უნდა იყოს, რომ ასეთი შუა-კაცები, რომლებსაც კანონით დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული, უწინარეს ყოვლისა თავის, ე. ი. მემამულეების ინტერესებს დაიცავდენ; ამნაირათ სოფლებში ისევ წინანდელი ბატონ-ყმური ურთიერთობა რჩებოდა. რომ ეს ასე მოხდა, რომ აქ ოდნავაც გადაპარბებული არაფერი არ არის, ამას მოწმობს, სხვათა შორის, ისეთი ოფიციალური მწერალი, როგორიც არის თავ. გ. მ. თუმანოვი, გაზ. „ახალი მიმოხილვის" რედაქტორი; მას, ვგონებ, ვერავინ ვერ დასწამებს გლეხების მომხრეობას; აი რას ამბობს ის: „ახალი წესების (გლეხთა დებულებაზეა ლაპარაკი) განხორციელების დროს გლეხი დამოკიდებულია ადგილობრივ მომრიგებელ შუა-კაცთა თვითნებობაზე. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს უკანასკნელნი ახალი წესებით იკრიბებიან განსაკუთრებით ადგილობრივ მიწათმფლობელთაგან, მაშინ ადვილათ გავიგებთ, ვის ინტერესებს დაიცავენ მომრიგებელი შუა-კაცები თავის ფართო უფლებებით, და აქედან აშკარაა, რომ **ნამდვილი ბატონ-ყმური ურთიერთობის გამეფებამდის დიდი მანძილი აღარ არის**". ეს ბატონ-ყმური ურთიერთობა, სიტყვით ვითომც გაუქმებული თვითმპყრობელი მეფის მიერ, ნამდვილათ ხელ-ახლად დამკვიდრდა სოფლის ცხოვრებაში. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ამ ფაქტებს დღეს ღაღარავინ არ მალავს, თითქმის ოფიციალური დაწესებულებანი და პირები იძულებული არიან ეს აღიარონ. ეს ამბავი მეტათ საგულისხმოა ხალხის კეთილდღეობისათვის თვითმპყრობელობის მოღვაწეობის დასახასიათებლათ. აი ღირსეული ნაყოფი მისი შეუწყვეტელი მეცადინეობისა და მზრუნველობისა ხალხის საბედნიეროთ; ხალხი ნივთიერად გაყვლეფილი და გატყავებული, იურიდიულათ მოკლებული ყოველგვარ ადამიანურ უფლებას, ხალხი ვითომდა ყმობიდან განთავისუფლებული, ფაქტიურათ ისევ ყმად ხდება!..

რუსეთის შიდა გუბერნიებში დროებით ვალდებულება მოისპო 1882 წლიდან და თავის დახსნა საკალდებულოთ იქნა აღიარებული; ჩვენში კი ეს დროებითი მდგომარეობა დღემდის არსებობს და დროებითის მაგიერ იგი სამუდამოთ გადაიქცა. დროებით ვალდებულ გლეხთა რიცხვი დღეს ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში საკმარისათ დიდია: ორივე გუბერნიებში ირიცხება არა ნაკლებ 40,000 კომლისა, რომელთაგან 22,000 ქუთაისის გუბერნიაში. მაგრამ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ასე შევიწროებულ და განუკითხავ მდგომარეობაში იურიდიულათ მხოლოდ დროებით ვალდებული გლეხები იყოს და გლეხ-კაცობის დანარჩენი ნაწილი შედარებით უკეთეს პირობებში ცხოვრობდეს. გავიცნოთ და გავიგებთ.

პირველად გავეცნოთ ხიზნების მდგომარეობას. ესენიც, როგორც დროებით ვალდებული გლეხები, ამიერ-კავკასიაში მხოლოდ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში ცხოვრობენ. ხიზნების სათავე ბატონ-ყმურ ურთიერთობაში უნდა ვეძიოთ. როცა მებატონე უზომოთ აწუხებდა ყმას, ეს უკანასკნელი გარბოდა და ეხიზნებოდა სხვა მემამულის მიწაზე უფრო შეღავათიან პირობებით. ეს პირობა იყო ჩვეულების ძალა, რომელიც სჯულზე უმტკიცესია. ამ პირობის ძალით ხიზანი ვალდებული იყო მემამულის სასარგებლოთ მიწის მოსავლის განსაზღვრული ნაწილი ეხადა; ეს გადასახადი ყველგან ერთნაირი არ იყო, მაგრამ ხიზანი არსად არ იყო ბატონ-ყმურ დამოკიდებულებაში მემამულისაგან და ამ მხრით მისი მდგომარეობა არსებითად განსხვავდებოდა ყმების მდგომარეობისაგან. ამიტომ აშკარაა, რომ ეგრედ წოდებული საგლეხო რეფორმა, რომლის ძალით გასული საუკუნის მესამოცე წლებში მებატონეთ ყმები ჩამოართვეს, ხიზნებს სრულებით არ შეხებია, ამ რეფორმის შემდეგ ხიზნები დარჩნენ კანონს გარეშე: თვითმპყრობელ მთავრობამ ისინი დაუტოვა საყვლეფათ და დასარბევათ მემამულეებს. პირველ ხანებში ხიზნებსა და მემამულეთ შორის ურთიერთობა ძველებურათ იყო. დავას და ყაყალ-მაყალს ჯერ მათ შორის ადგილი არ ჰქონდა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მემამულეთა მოთხოვნილებანი გართულდა; ისინი ყოველ შემთხვევით სარგებლობდენ, რომ სოფლის მუშისაგან, ე. ი. გლეხისაგანაც რაც შეიძლება მეტი სისხლი გამოეწოვათ. თავისთავად იგულისხმება, რომ ამიერიდან ხიზნებს ისინი მოსავლებას აღარ მისცემდენ და ამ უკანასკნელთა მშვიდი ცხოვრება სამუდამოთ დაირღვეოდა. პირველი ნაბი-

ჯი მემამულეებისა ხიზნების შეეიწროებისაკენ გადადგმული, იყო ღალის მომატება. იქვე არ არის, რომ ამ გარემოებას ხიზნებმა ეჭვის თვალით შეხედეს და უკმაყოფილება გამოაცხადეს. ამათში მაშინვე დაიბადა აზრი, რომ თუ ერთხელ ასეთივე ცვლილება მოხდა, შემდეგ იგი ჩვეულებათ გარდაიქცევა, ასე რომ მემამულეთ ამის შემდეგ ყოველთვის ნება ექნებათ უმატონ ღალას და გადასახადს ჩვენდა დაუკითხავად, რაც ჩვეულებას ეწინააღმდეგებაო. ამას ბევრი ლოდინი აღარ დასჭირდა: მემამულეებმა ერთბაშათ ასწიეს ღალა და მოუმატეს გადასახადი ხიზნებს, ხოლო როცა ეს უკანასკნელნი უარს უცხადებდენ ასეთ მომატებაზე, მემამულეები სასამართლოსაკენ მიეშურებოდენ საჩივრებით. სასამართლოები ყოველთვის მზად იყვნენ მემამულეების თხოვნა დაეკმაყოფილებინათ და აკმაყოფილებდენ კიდეც: ხიზნებს უმატებდენ ღალას და თუ ამ მომატებული ღალის გადახდაზე უარს იტყოდენ, იმ შემთხვევაში თავისი შრომით და ჯაფით გაშენებული მიწებიდან, უნდა აყრილიყვნენ და სადმე გადასახლებულიყვნენ. მე-XIX-ე საუკუნის მეოთხმოცე წლებში მეტათ გახშირდა ასეთი შემთხვევა: თვითმპყრობელობის მიერ ამის უყურადღებოთ დატოვება შეუძლებელი იყო. მთავრობა იძულებული შეიქნა ჩარეულიყო ხიზნებისა და მემამულეთ შორის ატეხილ დავა-უკმაყოფილებაში. თვითმპყრობელი მთავრობის ადგილობრივმა მოხელეებმა განიზრახეს ხიზნების საქმის მოწესრიგება და მათთვის რაიმე დებულების გამოცემა. ამ მიზნით იმათ მოიხმეს მხოლოდ ერთი დაინტერესებული მხარე, სახელდობრ მემამულეები და მხოლოდ მათ ჩვენებებზე დაამყარეს თავისი დასკვნა. მიწათმფლობელთა აზრით, ხიზნები უბრალო მოიჯარადრენი არიან, და როგორც ასეთები, ისინი უნდა დაემორჩილონ მემამულეთა ყოველგვარ მოთხოვნილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა აიბარგონ და საითაც სურთ, იქ გარდაიხვეწონ. კავკასიის ადგილობრივმა მთავრობამ ამის თანახმათ შეიმუშავა პროექტი ხიზანთა დებულების შესახებ 1884 წლის დამლეეს. ეს პროექტი გაიგზავნა შესაწმენდლათ პეტროგრადში. „აღნაირათ—ამბობს ზევით დასახელებული ავტორი ამ პროექტის შესახებ,—ის დაწესებულებანი, რომლებიც მოწოდებული იყვნენ გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, ამათი შემავიწროებელი გამოდგენო“. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ბ-ნი თუმანოვი უწინარეს ყოვლისა ცდება იმაში, რომ რუსეთის თვითმპყრობელ მტარვალს ოდესმე მოეწოდებიოს რომელიმე დაწესებულება გლეხების მდგომარეო-

ბის გასაუმჯობესებლათ; ეს ზღაპარი გაავრცელეს საზოგადოებაში და მწერლობაში ხალხის სისხლის მსმელმა მინისტრებმა და თვითმპყრობელი მეფის საზიზღარმა მოხელეებმა ერთი მხრით და ზოგიერთმა გულ-უბრყვილო ლიბერალებმა, მეორე მხრით. ხოლო ჩვენთვის-კი ცხადია, თუ როგორ ილეწის და ზრუნავს თვითმპყრობელი რუსეთის მტარვალი და მისი მოხელეები მშრომელ ხალხისათვის საზოგადოთ და გლეხ-კაცობისთვის კერძოთ. გავიდა რამდენიმე წელიწადი, სანამ პეტერბურგში ხიზნების შესახებ დებულებას დამტკიცებდენ და მხოლოდ 1891 წელს ეღირსა მას ეს დამტკიცება. რა მისცა ამ დებულებამ დაინტერესებულ მხარეებს, ე. ი. ხიზნებს ერთი მხრით და მემამულეებს, მეორე მხრით? 1891 წ. დებულება ხიზანებზე აშკარათ გვეუბნება, რომ თვითმპყრობელ მთავრობას შესახედავათ არც მწვადის დაწვა ნდომია და არც შამფურის. თავისთა

ინტერესებს არ იცავს და ხიზნებს მომხრეობას უწევსო? მაშინვე გამართეს კრებები, შეადგინეს და გაგზავნეს თხოვნები და შუამდგომლობანი თავიანთ ინტერესების კვალობაზე და ბოლოს კიდევაც მიაღწიეს მიზანს. „მოწყალე“ ხელმწიფემ, ნიკოლოზ მეორემ ყურად იღო მემამულეთა მოთხოვნილება და 1900 წლის დებულებით ის მცირეოდენი მფარველობაც წაართვა ხიზნებს, რომელსაც რამდენიმეთ უწევდა მათ 1891 წ. დებულება. 1900 წ. დებულებამ ხიზნები უბრალო მოიჯარადრეებად იცნა; მემამულეს შეუძლიან, როგორც სურს მოუმატოს ღალას; თუ ხიზანი თანხმა არ გაუხდა შეუძლია აიყაროს და, ამ შემთხვევაში მემამულე ვალდებულია უხლოს ხიზანს შენობების ღირებულება,—მორჩა და გათავდა. 1891 წლის დებულებას, რომელიც როგორც დავინახეთ, ცოტაოდენ მფარველობას უწევდა ხიზნებს, დაქრთამული და პირ-მოთნე მოხელეები უმალავდენ და არ უმხელდენ ხიზნებს, სამაგიეროთ 1900 წლის დებულების შესრულებას-კი მაშინვე მიჰყვეს ხელი გახარებულმა მემამულეებმა, მაგრამ ამ დებულების განხორციელება ცხოვრებაში ძნელი გამოდგა; მთავრობის მოხელეთა და მიწათ-მფლობელთა ცემა-ტყეპა, კერძო აჯანყებანი და რამდენიმე მემამულეთა მოკვლა;—აი როგორ მიეგებენ ხიზნები ამ დებულების განხორციელების ცდას. ჯერ სამი წელიწადი ძლივს გავიდა ამ დებულების გამოქვეყნების შემდეგ და მიუხედავად ამისა ამ მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენ მოწამენი ვიყავით მრავალ შეტაკებათა, ერთი მხრით მთავრობის და მიწათ-მფლობელთა და მეორეს მხრით ხიზნებს შორის, რომლებიც უმეტეს ნაწილათ სისხლის ღვრით თავდებოდენ და ეს ასეც უნდა მომხდარიყო! ახალმა დებულებამ ხიზნები გამოიწვია საომრათ. დღეს არც ერთი ხიზანი უზრუნველყოფილი არ არის, რომ ხვალ მას მემამულე არ ეტყვის: წადი, გამეცალე ჩემი მიწიდან! რა უნდა ქნას მაშინ ხიზანმა? ადგეს და თავისი სისხლით და ოფლით მორწყული ყოველგვარი ნაშენები და ნაკეთები სრულებით მუქთად უნდა დაუთმოს მემამულეს და თითონ უნდა გადაესახლოს სხვაგან. მაგრამ სად?... რა გასაკვირალია, რომ მას ადვილათ არ დასთმობს ხიზანი, თუმც ამან სისხლის დაღვრა მოითხოვოს, რასაც მართლაც ვხედავთ ცხოვრებაში.

მაგრამ აქ არის ერთი საგულისხმიერო გარემოება. ამ შეტაკების დროს ხიზანი ძალაუნებურათ იგებს, რომ მისი მტერი მემამულე კი არ არის, პირიქით, მისთვის აშკარა ხდება, რომ მისი უმთავრესი მტერი არის ის, ვინც მხარს დაუჭერს მიწათ-მფლობელთ და სცემს კანონებს იმათ

სასარგებლოთ. ამიტომ მისი ზიზღი და შურისძიება გადადის თვითმპყრობელ მთავრობაზე და მის მოხელეებზე. ხიზნების საქმეში რუსეთის დღევანდელმა მთავრობამ ნათლათ და აშკარათ დაამტკიცა, რომ იგი მომხრეობს და იცავს მხოლოთ მდიდრებს და კერძო მიწათ-მფლობელთ. მშრომელი ხალხი-კი მხოლოდ იმათ გასამდიდრებლათ და გასასუქებლათ მიაჩნია. ამნაირათ იგი, ე. ი. მთავრობა, ნებსით და უნებლიეთ, თითონვე ღესავს იმ მახვილს, რომლითაც მას ყელი უნდა გამოსჭრან.

ჩვენ ზევით ვთქვით, რომ ბატონ-ყმობა ამიერ-კავკასიაში არსებობდა მხოლოდ ორ გუბერნიაში: ქუთაისის და ტფილისის. დანარჩენ გუბერნიებში: ე. ი. ბაქოს, ერევნის და განჯის, სადაც ცხოვრობენ სომხები და თათრები, ბატონ-ყმური წესწყობილება არ განვითარებულა. იქ ყოველგვარი მიწა-ადგილი, გარდა იმ მიწებისა, რომლებიც შეადგენდენ ეზოს და რომლებიც ეჭირა სხვადასხვა შენობებს, შეადგენ და მხოლოდ ერთი პირის, სახელდობრ, სახელმწიფოს უფროსის, იმამის კუთვნილებას. ეს უკანასკნელი ნიშნავდა პროვინციების გამგეებათ ხანებს, ბეგებს, მელიქებს, აღალარებს, რომლებიც მათი მინდობილობით პროვინციებში ვალდებული იყვნენ სახელმწიფოს უფროსისათვის მოეკრიბათ ხარჯი და სხვადასხვა გადასახადი. ამნაირათ ეს ბეგები, მელიქები, აღალარები იყვნენ სახელმწიფოს უფროსის მიერ დაყენებული მოხელეები. ჯილდოთ ისინი ღებულობდენ პირდაპირ მიწის მოსავლიდან, იშვიათად ფულად; ასეთი გადასახადის რაოდენობა ერთხელ და სამუდამოთ გადაწყვეტილი იყო. გარდა ამისა, იმათ არ ჰქონდათ არავითარი უფლება არც მიწა-ადგილებზე, რომლებიც მცხოვრებთა სარგებლობაში იყო და არც თვით მცხოვრებთა პიროვნებაზე; ერთი სიტყვით, აქ ბატონყმური ურთიერთობას ადგილი არ ჰქონებია. მაგრამ გარემოება შეიცვალა, როცა ეს ადგილები რუსეთის მთავრობამ დაიპყრო; თვითმპყრობელი მეფის მოხელეები აზრდილნი ბატონ-ყმურ ნიადაგზე და გაჟღენთილი ბატონ-ყმურ იდეებით, ყოველგან ბატონ-ყმურ წესწყობილებას ხედავდენ. ამათი შეხედულებით ბეგები, მელიქები და აღალარები ნამდვილი მებატონეები იყვნენ; მიწაც და ყმებიც მათ ეკუთვნოდათ. ასეთი აზრი პირველათ კავკასიის მთავარ-მართებელმა ერმოლოვმა წარმოსთქვა და ამის შემდეგ ხსენებულ ადგილებში იწყო განვითარება ბატონ-ყმურ ურთიერთობამ. მაგრამ ასეთი ზომის სიყალბე მეტად თვალსაჩინო იყო და საკმარისი იყო სულ მცირე დაკვირვება, რომ ეს აღმოჩენილიყო: გასული საუკუნის მეორმოცე წლებში სენატორ განის რევიზიის წყალობით ეს

შეხედულება. უარყოფილ იქნა და კავკასიის მთავრობა ისევ იძულებული გახდა განკარგულება მოეხდინა, რომ ბეგებისათვის და მელიქებისათვის ჩამოერთვათ მიწები და ყმები და ამის სანაზღაუროთ იმათთვის პენსიები დაენიშნათ. რა თქმა უნდა, რომ ეს არ მოეწონათ შემთხვევით გაბედნიერებულ ბეგებს და მელიქებს და მთავრობას განუცხადეს თავისი უკმაყოფილება. მთავრობისათვის-კი ესენი იმ დროს უფრო საჭირო და გამოსადეგნი იყვნენ, ვინემ გლეხები, ვინაიდან ამათი საშვალებით მთავრობას ადვილათ შეეძლო ახალ შემოერთებული ქვეყნების დამშვიდება და ხალხის დამორჩილება. ამიტომ საჭირო იყო ბეგების და მელიქების მიმხრობა და მთავრობამაც დაუთმო მათ; ბეგების და მელიქების თავ-გამოდებული მოსარჩლე შეიქმნა მტარვალ მეფის, ნიკოლოზ პირველის მოადგილე კავკასიაში, ცნობილი თავის „ლიბერალობით", თავ. ვორონცოვი. მან აღძრა შუამდგომლობა თვითმპყრობელ მეფის წინაშე, რომ მთავრობის ინტერესებისათვის საჭიროა ბეგების და მელიქების მომადლიერება; ამიტომ მთავრობამ იმათ მინიჭებული უფლებები კი არ უნდა წაართვას, არამედ რაც შეიძლება კიდევ მეტი უფლებები მისცეს, გახადოს ისინი ნამდვილ მემამულეებათ და გლეხები კი—იმათ მიწებზე მოსახლეებათ. რა ვუყოთ მერე, რომ ამით დაიჩაგრება ხალხი, სამაგიეროთ გაიმარჯვებს თვითმპყრობელობის საქმეო. ვორონცოვის აზრით ამას თხოულობდა რუსეთის პოლიტიკა, ანუ თვითმპყრობელობის ინტერესი ამიერ-კავკასიაში. მტარვალი მეფე მაშინვე დაეთანხმა თავის ერთგულ მოსამსახურეს და ხალხის მოღალატეს—ვორონცოვს. ნიკოლოზ პირველმა ისიც აღიარა, რომ ბეგებისათვის და მელიქებისათვის მიწის წართმევა დიდი შეცდომა იყოო. ამნაირათ, ასე აშკარათ უსამართლობის ჩადენით ბეგები, მელიქები და აღალარები გამოაცხადეს იმ მიწის მესაკუთრეებათ, რომლებიც საუკუნოების განმავლობაში გლეხების ხელში იყო სასარგებლოთ და ამათი ოფლით იყო განაყოფიერებული. მაგრამ ამავე დროს თვით გლეხები ვერ გამოაცხადეს ბეგების და მელიქების ყმებათ; ისინი სახელმწიფო გლეხებათ აღიარეს. ვის შეეძლო იმის ჩვენება, რომ აქ აშკარა წინააღმდეგობა იყო: თუ გლეხები ყმები არ იყვნენ, როგორ მოხდა, რომ ისინი კერძო მემამულეთა მიწებზე იყვნენ დასახლებულნი? თუ ისინი სახელმწიფო გლეხები იყვნენ, იმ შემთხვევაში ის მიწები, რომლებზედაც ისინი ესახლენ, სახაზინო უნდა ყოფილიყო, თუ იმათი საკუთრება არა. ეს გლეხები გარდა იმისა, რომ ხაზინის სასარგებლოთ დატვირთეს გადასახადებით, ვალდებული არიან მემამულე-

თა სასარგებლოთ იხადონ ღალა მიწის მოსაელიდან ერთი მეხუთედიდან ერთ მეათედამდის.

ამნაირათ თვითმპყრობელმა მთავრობამ მოინდომა ბატონ-ყმური წესების შემოღება იქ (რამდენიმეთ კიდეეაც შემოიღო), სადაც წინებ ამის ხსენებაც არ ყოფილა და ეს როდის? მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში, როცა ადამიანის ღირსების დამამცირებელი წესწყობილება ყველგან უარყოფილი და დაგმობილი იყო. იმის მაგივრათ, რომ შემდეგში მაინც შეესუსტებინათ ბატონ-ყმური წესები, მთავრობა მის განმტკიცებას და გამაგრებას ცდილობდა—1861 წლის საგლეხო რეფორმა, ამ კატეგორიის გლეხებს სრულებით არ შეხებია. მხოლოთ 1870 წელს გამოიცა ამათ შესახებ ცალკე წესდება,—რომელმაც დააკანონა ამ გლეხებისათვის დროებით ვალდებული მდგომარეობა, ე. ი. ამათ მიეცათ „ნადელები". გამოყიდვის ნება მისცეს იმ წესებით, რა წესებითაც ეს მიენიჭათ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის დროებითი ვალდებულ გლეხებს. ამ დროებით ვალდებულებამ ჩამოაგდო იმათ შორის ნამდვილი ბატონ-ყმური ურთიერთობა. როგორც მცოდნე პირები ამტკიცებენ, ამ გლეხებში „ნადელის" გამოყიდვის საქმე მეტათ საბრალო მდგომარეობაშია და იქ თითქმის ეს გამოყიდვის საქმე არცა-კი დაწყებულა.

ვნახოთ ეხლა რა მდგომარეობაში არიან ამ.-კავკასიაში სახელმწიფო გლეხები. რიცხვით ესენი უმეტეს ნაწილს შეადგენენ ამიერ-კავკასიის გლეხ-კაცობისას. რაც შეეხება ამათ მდგომარეობას, ესენი ბევრით არაფრით განსხვდებიან სხვა კატეგორიის გლეხებისაგან. კავკასიის სახელმწიფო გლეხები არაფრით უზრუნველყოფილი არ არიან, რომ ადგილებს, რომელიც ამჟამათ მათ სარგებლობაშია, ხვალ მთავრობა არ წაართმევს და არ უბრძანებს: სხვაგან გადაეთრიეთო. თუ დროებით ვალდებული გლეხები, ხიზნები და ის სახელმწიფო გლეხები, რომლებიც კერძო მემამულეთა მიწებზე არიან დასახლებულნი, მთავრობამ კერძო მემამულეთა სრულ თვითნებობას დაუმორჩილა, სამაგიეროთ ხაზინის მოხელეებს დაუმორჩილა სახელმწიფო გლეხები. არსებითად სახელმწიფო გლეხები ხაზინის მოიჯარადრენი არიან, მთავრობას როცა უნდა, მაშინ გადადენის სახელმწიფო გლეხებს სახაზინო მიწიდან, ისე როგორც ამას კანონით ჩადიან დღეს კერძო მემამულენი. თავ. გიორგი თუმანოვი ამბობს, რომ სახელმწიფო გლეხები უბრალო მოიჯარადრეებს მოგვაგონებს, რომელნიც არავითარი კანონით არ არიან უზრუნველყოფილნი, რომელიმე მოხელის თვითნებობისგან მაშინ, როცა შიდა გუბერნიებში სახელმწიფო

გლეხებს ჯერ კიდევ 1867 წელს მიუზომეს „ნადელები“ და ფორმალურათ ნება მისცეს იმათი გამოსყიდვისა, ამიერ-კავკასიაში სახელმწიფო გლეხების მდგომარეობა განსაზღვრული არ არის. კანონით იმ სახელმწიფო გლეხების მიწები, რომელთაც არ მიუღიათ ეგრეთ წოდებული „სამფლობელო ბარათები“, მთავრობის საკუთრებას შეადგენს და რა წამს თავის საჭიროებისათვის მოუნდება, იმ წამსვე შეუძლია გლეხი თავის მამა-პაპის დროიდან შემუშავებულ და გაკეთებულ მიწა-ადგილიდან აყაროს და სადმე სხვაგან მიუჩინოს მას მაგიერი მიწა. როგორც ხედავთ, სახელმწიფო გლეხების უზრუნველმყოფელობა იმავე მდგომარეობაშია, როგორც დანარჩენ გლეხებისა. არიან ამიერ-კავკასიაში მესაკუთრე გლეხები; ესენი მეტ ნაწილად ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ცხოვრობენ. ეს ის გლეხებია, რომელთაც დიდის ჭაპანწყვეტითა და ვაი ვაგლახით მამასისხლად, ე. ი. ერთი ათად და ოცად გამოიყიდეს მემამულესაგან თავიანთი ერთი ციდა ადგილები, ე. ი. გამოიყიდეს მემამულეთაგან თავისივე საკუთარი, თავისივე სისხლით და ოფლით განოყივრებული მიწები. მაგრამ განა ამით მათ თავი დააღწიეს მემამულეთაგან დამოკიდებულებას? სრულიადაც არა! როგორც ვიცით, „ნადელებათ“ მიუზომეს გლეხებს ის ადგილი, რომელიც ბატონ-ყმობის დროს იმათ სარგებლობაში იყო. მას შემდეგ თითქმის ორმოცი წელიწადი გავიდა და ხალხის რიცხვი თანდათან გაიზარდა. თუ მაშინ გლეხებისათვის ეს მცირე იყო, დღეს რაღა უნდა იყოს! ამას გარდა გლეხებისათვის ხომ არც ტყე და არც საძოვარი არ დაუტოვებიათ, ყველა ეს მემამულეთა ხელში დარჩა. უამისოთ კი გლეხებს განა ცხოვრება შეუძლიათ? და აი, გლეხი თუმცა მან ნადელი როგორც იყო გამოიყიდა მემამულისაგან და ამით ვითომც თავი დაიხსნა კიდევაც მისგან, მაგრამ აშკარაა, რომ მესაკუთრე გლეხი—ნამდვილად იმავე მემამულის ბრეკეტებშია. ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ ეგრეთ წოდებულ რაიტებზე, ე. ი. იმ გლეხებზე, რომელიც ცხოვრობენ დაღესტანის ოლქში და რომელნიც რუსეთის დაფუძნებამდე თავისუფალ მცხოვრებად ითვლებოდენ, მხოლოდ მერე პირდაპირ ბატონ-ყმურ დამოკიდებულებაში ჩაცვივდენ. არიან ამას გარდა ამიერ-კავკასიაში სხვა სახელწოდების გლეხებიც, მაგალითად ერევნის გუბერნიაში, მაგრამ ყველას დასახელება აქ საჭირო არ არის. უმთავრესი ყურადღება მივაპყრათ ჩვენ იმას, რომ გლეხ-კაცობა რუსეთის სახელმწიფო კანონებით ყოველმხრივ შეზღუდული და დამონებულია. ის ბატონ-ყმური ურთიერთობა, რომლის გაუქმებას ყველა ასე ჩაგვჩიჩინებს,

ნამდვილათ კიდევ ცოცხალია. ორმოცი წლის განმავლობაში თვითმპყრობელი მთავრობა საშინლად ატყვილებდა ხალხს, რომ მან ვითომც იგი გაანთავისუფლა ბატონ-ყმური ბორკილისაგან. როგორც დავინახეთ, ეს სიცრუე გამოდგა. დიდი ხანია თქმულა, ხალხის განთავისუფლება მონობისაგან მხოლოდ მაშინ არის საიმედო, როცა ეს განთავისუფლება თვით ხალხისაგან მომდინარეობს, თვითონ ხალხის გულში მწიფდება.

თვითმპყრობელ მთავრობას არსად და არასოდეს ხალხი არ გაუნთავისუფლებია და ვერც გაანთავისუფლებდა; ამისათვის საჭირო იყო პირველად ამ თვითმპყრობელობის დამხობა. ჩვენი ხალხის განთავისუფლებაც მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა რუსეთის თვითმპყრობელობა სამუდამოთ დაემხობა. ამას წინად ჩვენ წავიკითხეთ გაზეთებში, რომ მტარვალი მეფის მოადგილეს კავკასიაში, ხალხის სისხლის მსმელს გოლიცინს, რაღაც ცვლილებების შემოღება განუზრახავს ამიერ-კავკასიის გლეხ-კაცობის შესახებ. რომ გლეხების მდგომარეობა აუტანელი შეიქნა ჩვენში, ამის უარის ყოფა არავის არ ძალუძს; დადგა ის ნეტარი დრო, როცა ხალხმა თვითონ უნდა გაინთავისუფლოს თავის თავი. ამასაც გრძნობენ ხალხის მტრები—ე. ი. თვითმპყრობელი იმპერატორი და მისი მოსამსახურე მინისტრები, და, მათ შორის, კავკასიის მტარვალი გოლიცინი და აი, ეს საზიზღარი მოხელე რაღაც ოინებს და ხრიკებს იგონებს, ეგებ მონობის ჯაჭვის გაწყვეტა და ხალხის შურისძიება რამდენიმე ხნით კიდევ შეაჩეროს. ამ მიზნით ის ჩვენ გლეხ-კაცობას პირდება „ვოლოსტებისა“ და „საგლეხო უფროსობის“ შემოღებას, მაგრამ ამ არსებას დავიწყებია, რომ დღეს სხვა დრო დადგა და ასეთი თილისმით ხალხს ვეღარ მოატყუებს.

ჩვენი გლეხკაცობა დღეს მეტად გაბ[illegible]ბულია, ამას დღეს ვერავინ ვერ უარყოფს. საქმე ის არის, თუ როგორ შესძლებს გლეხკაცობა ამ გაჭირვებიდან თავის დაღწევას. თანამედროვე კაპიტალისტური წესწყობილების გამო გლეხკაცობა თანდათან იყოფა სამ ნაწილათ; უმცირესობას შეადგენს სოფლის ბურჟუაზია, ე. ი. შეძლებული გლეხები, რომლებიც მიწა-ადგილს იძენენ და ვაჭრობასაც მისდევენ: ესენი დღევანდელი ცხოვრების პირობებშიაც იოლად მიდიან. მერე, უმრავლესობას შეადგენს ხელ-მოკლე გლეხები, რომელთაც მიწა-ადგილი იმდენათ ცოტა აქვთ, რომ იძულებული არიან მემამულეებისაგან ღალათ აიღონ, და მესამე ჯგუფს—გლეხები, რომელთაც ან სულ არ აქვთ და ან სულ მცირე, დანის პირის ოდენა საკუთრება შერჩენიათ და იძულებულნი არიან მოჯამაგირეებათ

დაუდგენ მემამულეებს ან კიდეე სრულებით მოშორდენ სოფლებს და ქალაქის მუშათ იქცენ, რაც უფრო წშირდება.

მაგრამ მთელ გლეხ-კაცობას ცოტად თუ ბევრათ კისერზე აწევთ თვითმპყრობელობისაგან ნაბოძები მემამულეთა პრივილეგიები. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია იწვევს მთელ გლეხობას შეუერთდეს ქალაქის პროლეტარიატს განმათავისუფლებელ ბრძოლაში და იბრძოლოს ბატონ-ყმურ დარჩენილ ნაშთთა წინააღმდეგ და ამასთანავე თვითმპყრობელობის დასამხობათ. ეჭვს გარეშეა, რომ მთელი გლეხობა მოძრაობას მხარს არ დაუჭერს ბოლომდინ: თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ სოფლის ბურჟუა-გლეხობა მიემხრობა ქალაქის ბურჟუას და შეძლებულ თავად-აზნაურობას; მხოლოდ სოფლის ღარიბი გლეხ-კაცობა დარჩება ჩვენთან ბოლომდის.

არალეგალ. ჟურნალი „პროლეტარიატის ბრძოლა“ 1904 წ. № 7.

ჟურნალი „მოგზაური“
1905 წ.

დღევანდელი ვითარება.

მძიმე და ამავე დროს მეტად სანატრელი დრო დაგვიდგა. საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯა გამოუთქმელი სიჩქარით სცემს და ეს გარემოება სიცოცხლის იმედს აძლევს ყველას, ვინც აქამდის სასოწარკვეთილებაში იყო. დადგა ჩვენშიაც ისეთი დრო, როცა თითეულ წამს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვიდრე სხვა დროს მთელ საუკუნოებს. რას ვხედავთ ჩვენს გარშემო? საზოგადოებრივ მოძრაობას, რომელსაც, ადიდებულ მდინარესავით, გაუხეთქია ძველი, ვიწრო კალაპოტი და ესწრაფვის ახალი, უფრო ფართო და უფრო შესაფერი კალაპოტის გაკეთებას. რამდენიმე თაობის მხურვალე მისწრაფებამ, პატიოსან და თავდადებულ პირთა შრომამ და მეცადინეობამ დღეს მიაღწია უმაღლეს წერტილს და ლამობს ხორცი შეისხას, დაგვირგვინდეს. მაგრამ რამდენათ სანატრელი და აღმაფრთოვანებელია დღევანდელი წამი, იმდენათ იგი აღმაშფოთებელი და შესაზარიცაა. ადამიანთა აურაცხელი მსხვერპლი, ომის საკურთხეველზე შეწირული, შეუჩერებელი ულტა ჯანსაღ ახალგაზრდათა სიცოცხლისა ისეთ საშინელ საშუალებათა წყალობით, რომლების მსგავსი არც ერთ ველურ და ბარბაროსულ ხალხს სიზმარშიაც კი არ მოჩვენებია, აურაცხელ ქვრივ-ობოლთა და მოხუც მშობელთა უპატრონოდ და უსახსროდ დარჩენა, აუარებელი სიმდიდრის ტყვილა-უბრალოთ დაღუპვა და განადგურება, და საერთოდ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ნორმალური მსვლელობის შერყევა, შეჩერება, — აი მოკლეთ რა შეადგენს დღევანდელი წამის მეორე უდიდეს დამახასიათებელ თვისებას. სიცოცხლე და სიკვდილი, ყოფნა თუ არ ყოფნა პირისპირ ებრძვიან დღეს ერთმანეთს ჩვენს თვალწინ და შეუძლებელია, რომ საზოგადოებამაც, ამოდენი ხნის დაყრუვებისა და ძილის შემდეგ, არ მიიღოს ამ საარსებო, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა.

ყველამ, ცოტად თუ ბევრად შეგნებულმა ადამიანმა, უნდა იცოდეს, რომ ეს ბრძოლა არ დაწყებულა გუშინ, რომ იგი არ გამოუწვევია რუსეთის და იაპონიის ომს. პირიქით, მთელი ეს მოძრაობა და თვით დღე-

ვანდელი ომი უკანასკნელი მოქმედებაა იმ საშინელი დრამისა, რომელსაც ჩვენი საშინაო ცხოვრება ეწოდება. არიან ისეთი გულუბრყვილონი, რომელთაც კიდევ სჯერათ, რომ რუსეთის და იაპონიის ომი უბრალო, შემთხვევითი უბედურებაა, რომლის თავიდან აცდენა ადვილათ შეიძლებოდა, რომ იმათ, ვის ხელშიაც იყო და არის აქამომდე ჩვენი საშინაო და საგარეო ცხოვრების ბედ-იღბალი, მეტი შორს-მჭვრეტელობა და გამჭრიახობა გამოეჩინათ. იმათი აზრით, თვით ეს მოძრაობაც შემთხვევითი მოვლენაა და თუ არა ეს ომი, თუ არა ჩვენი სასტიკი დამარცხება იაპონიასთან ბრძოლაში, ისე ამ მოძრაობას ადგილი არ ექნებოდა. მაგრამ ასეთი შეხედულება მიუტევებელი შეცდომაა. დღევანდელი ომი მაგარი რკინის ჯაჭვით არის გადაბმული მთელ ჩვენს წარსულ ცხოვრებასთან და განსაკუთრებით კი იმ სისტემასთან, რომელიც დამყარდა და გამაგრდა რუსეთის ხალხის ცხოვრებაში ამ უკანასკნელ რამდენიმე ათი წლის განმავლობაში. როცა მხედველობაში მივიღებთ რუსეთის ეკონომიური ცხოვრების ძირითად პირობებს, რომლებიც ბოლოს და ბოლოს შეადგენენ მთელი თანამედროვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების საფუძველს, მაშინ ჩვენთვის აშკარა გახდება როგორც რუსეთის და იაპონიის ომის, ისე დღევანდელი საზოგადოებრივი მოძრაობის აუცილებლობა. გამჭრიახმა და შორს-მჭვრეტელმა პირებმა უეჭველად ბევრი ეცადეს როგორც პირველის, ისე განსაკუთრებით მეორეს თავიდან აცილება, მაგრამ იმათ მეცადინეობამ სრულებით ამაოდ ჩაიარა. და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. საზოგადოება მხოლოდ მანამ ემორჩილება კერძო პირებს, სანამ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები ამ უკანასკნელთ წინააღმდეგობას არ უწევს, ე. ი. სანამ ეს კერძო პირები საზოგადოების თანახმად მოქმედებენ. მაგრამ, როცა მმართველ პირებსა და საზოგადოებას შორის იბადება კონფლიქტი, როცა პირველნი აჩრიან საზოგადოებას თავიანთ სურვილებს და ბრძანებებს, რომლებიც საზოგადოების წინააღმდეგ არიან მიმართული, მაშინ თუ საზოგადოებას სიცოცხლის მაჯა უცემს, მან მთელი თავისი ძალ-ღონით უნდა წინააღუდგეს ასეთ მიმართულებას და სძლიოს იგი, თორემ მას სიკვდილი მოელის. ასეთ საზოგადოებაში წარმატებასა და წინსვლაზე ლაპარაკი აღარ შეიძლება. ამას გვიმტკიცებს კაცობრიობის წარსული ისტორია, ისტორიულ და საზოგადოებრივ მოვლენათა მეცნიერული შესწავლა.

აქედან აშკარა ხდება იმ ღრმა მიზეზების გათვალისწინება, რომელთა წყალობით რუსეთის ხალხს თავზე დაატყდა ეს ომი, რომელმაც თა-

ვის მხრით დააჩქარა და გააძლიერა ის მოძრაობა, რომელიც რუსეთის ხალხის გულში კარგა ხანია ღვივოდა და რომლის აფეთქებისათვის საჭირო იყო მხოლოდ რაიშე გარეგანი გარემოება. რუსეთი, როგორც ყველაფერში, ისე თანამედროვე კაპიტალისტურ მრეწველობის ასპარეზზე შედარებით გვიან გამოვიდა, ე. ი. იგი იმ დროს ჩაება კაპიტალიზმის ფერხულში, როცა რუსეთის ბურჟუაზიისათვის საჭირო ბაზრები აზიისა, აფრიკისა და ავსტრალიის ქვეყნებში უკვე დიდი ხანია დაპყრილი იყო კაპიტალისტურათ განვითარებული ქვეყნების ბურჟუაზიის მიერ. ყველა ქვეყნის ბურჟუაზიისათვის კი ბაზრის, ე. ი. საქონლის გასასაღებელი ადგილის შოვნა არსებითი, სასიცოცხლო კითხვაა. მართალია, რუსეთის ბურჟუაზიისათვის თვით რუსეთი თავისი 130-40 მილიონი მცხოვრებლებით ვეებერთელა ბაზარს წარმოადგენს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ორი გარემოება:

1) რუსეთის ხალხს, როგორც კულტურულად დაბლა მდგომს, ძლიერ ნაკლებათ აქვს განვითარებული მოთხოვნილებები და ამიტომ ძლიერ ნაკლებათ თხოულობს ბაზარზე საქონელს; მეორე მხრით, კიდეც რომ ჰქონდეს მოთხოვნილება, სახსარი არა აქვს საქონლის შესაძენათ, სასყიდლათ, ვინაიდან ნივთიერადაც იგი მეტის-მეტად გალატაკებული და წელში გაწყვეტილია უზომო გადასახადების და ბაჟების წყალობით. გარდა ამისა, რუსეთის საქონელი მფარველობითი სისტემის წყალობით, ე. ი. უცხოეთის საქონელზე დიდი ბაჟების დადებით, შედარებით ძლიერ ძვირია. ასეთ პირობებში რუსეთის ბურჟუაზიისათვის აუცილებელი შეიქნა შინაური ბაზრის გაფართოვება. ამ მოთხოვნილების შესრულება და დაკმაყოფილება იკისრა მთავრობამ, რომელიც თავის მხრით არა ნაკლებათ არის დაინტერესებული ბურჟუაზიის და კაპიტალიზმის განვითარებაში, რადგანაც ეს გარემოება მას საშუალებას აძლევს იყოლიოს ძლიერი ჯარი და ფლოტი. ჯარების და სამხედრო ფლოტის გაძლიერება თვით ბურჟუაზიისათვისაც დიდათ ხელსაყრელია, რადგანაც ამით მას უჩნდება დაულეველი შეკვეთა ხაზინის მხრით სხვადასხვა სამხედრო საგნებისა და ყველამ კარგათ უწყის, თუ ხაზინა ამ მხრით როგორ ხელგაშლილია.

2) ყველა ამას, თითქო განგებ, ზედ ერთვის კიდევ ის გარემოება, რომ რუსეთის უზარმაზარ სახელმწიფოს, ამოდენა ჯარის და ძლიერი სამხედრო ფლოტის მყოლს, არა აქვს ისეთი ნავთსადგური ზღვაში, საიდანაც ყოველ დროს თავისუფლად შეეძლებოდეს გასვლა. ამნაირად,

ერთი მხრით, რუსეთის ბურჟუაზიას უნდა ეშოვნა სადმე უფრო ადვილათ გასასაღებელი ადგილი თავის საქონლისათვის და, მეორე მხრით, მთავრობასაც უნდა მოეპოვებია გაუყინავი ნავთსადგური თავის სამხედრო და სავაჭრო გემებისათვის, რომელთაც გზა დაკეტილი არ ჰქონოდა. როგორც შავი ზღვის ნავთსადგურებს აქვთ ხოლმე.

ერთად ერთი გასაწევი ადგილი, როგორც რუსეთის ბურჟუაზიას, ისე რუსეთის მთავრობას, შორეულ აღმოსავლეთისაკენ ჰქონდათ. ამიტომ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში იმათი ერთად ერთი სატრფიალო მიზანი წყნარ ოკეანეს ნაპირებზე თავისუფალი ნავთსადგურის შეძენა და იქ დამყარება შეიქნა. ამისათვის მთავრობა არ ზოგავდა არავითარ მსხვერპლს. ეჭვი არ არის, რომ შორეულ აღმოსავლეთში თავის მიზნის განხორციელებისთვის ისინი ნაკლებ წინააღმდეგობას და დაბრკოლებას მოელოდენ. იაპონია ამ ათი-თხუთმეტი წლის წინად არავის მხედველობაში არ ჰქონებია, რაც შეეხება ჩინეთს, იგი ხომ ყურადღების ღირსი არ იქნებოდა. უეჭველია ისიც, რომ რუსეთს მანჯურიის და კორეის დაპყრობა და შემოერთება ჰქონდა მხედველობაში, როცა აღმოსავლეთისაკენ მიიწევდა, მაგრამ ეს ბუნებით მდიდარი და მჭიდროდ დასახლებული ქვეყნები არც სხვა ქვეყნების ბურჟუაზიისთვის იყო ნაკლებათ სანატრელი ლუკმა. ევროპის და ამერიკის ბურჟუაზია იმათ უფრო ადრე შესაჭეროდა და თავისი ეკონომიური ბატონობა რამოდენიმეთ კიდევაც დაემკვიდრებიათ იქ თავიანთი ნაწარმოების გავრცელებით. სრულ დამორჩილებისათვის კი შემთხვევა იყო საჭირო, რომელიც ხელში ჩაუგდებდა ბუნებით მდიდარ ქვეყნებს უფრო ძლიერ ბურჟუაზიას.

ამანაც დიდხანს აღარ დაიგვიანა. ჩინეთსა და იაპონიას შორის ატეხილმა ომმა 1895 წელს დაინტერესებულ ქვეყნებს საბაბი მისცა ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩარეულიყვენ და ამ ვეებერთელა სახელმწიფოს ტერიტორია თავიანთ საკენკათ გაეხადათ. გამარჯვებულ იაპონიას კი არ მისცეს საშუალება თავის გამარჯვებით სავსებით ესარგებლებია. კიდევ უკეთესი შემთხვევა 1900 წლის არეულობა იყო ჩინეთში ევროპიელების წინააღმდეგ. იაპონიამ ამ დროსაც ისახელა თავი, მაგრამ რუსეთმა და ევროპის უძლიერესმა სახელმწიფოებმა იქაც ჩაუშხამეს მას საქმე და მხოლოდ თვითონ იხვედრეს მოზრდილი კერძი ჩინეთის ანგარიშზე. სხვათა შორის რუსეთმა დაიკავა საუკეთესო ნავთსადგურები: პორტარტური და დალნი და ვეებერთელა ტერიტორია მანჯურია 25 მილიონი მცხოვრებით. ეს უკანასკნელი თუმც დროებით, მაგრამ როგორც შეე-

დეგ გამოირკვა, სამუდამოთ სურდა ხელში ჩაეგდო. თავის განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, რუსეთმა გაამაგრა ეს ნავთსადგურები, გაიჩინა იქ უძლიერესი სამხედრო ფლოტი და შემოუერთა ისინი რკინის გზით რუსეთს. ასეთმა საქციელმა ყველა დაინტერესებული სახელმწიფოები გააბრაზა, მაგრამ ყველაზე უფრო შეურაცყოფილი შეიქნა იაპონია, რომლის მომავლისათვის რუსეთის დამყარება დასახელებულ ადგილებში ძლიერ საშიში გარემოება იყო. იაპონიისათვის ცხადი იყო, რომ თუ რუსეთი დამყარდებოდა მანჯურიაში, ეს იმას ნიშნავდა, რომ ეს მხარე სრულებით დაიკეტებოდა საგარეო ვაჭრობისათვის დიდი ბაჟების საშუალებით, რადგანაც რუსეთის საქონელი თავისუფალ ბაზარზე ვერ გაუწევს მოცილეობას უცხო ქვეყნის საქონელს. გარდა ამისა, მანჯურიას და კორეიას იაპონია, რომელიც მეტად მჭიდროთ არის დასახლებული, როგორც ახალშენებს, ისე უყურებდა... ამიტომ აშკარაა, რომ იაპონია ყოველ ღონეს იხმარდა, რუსეთისთვის აქ მეზგარი წინააღმდეგობა გაეწია და იგი დაქერილ ადგილებიდან გაეძევებია. აი ამ ნიადაგზე ატყდა ეს ღირს-სახსოვარი ომი, რომლის გამო, აგერ წელიწადი სრულდება, უმოწყალოდ იღვრება უდანაშაულო ადამიანთა სისხლი.

ზევით ჩვენ გვინდოდა რამდენიმეთ დაგვენახვებია მკითხველებისათვის, რომ ამ ომის ატეხა არ იყო შემთხვევითი მოვლენა, არამედ მას ღრმა მიზეზი ჰქონდა ორივე მებრძოლ ხალხის საზოგადოებრივ პიროებებში. ეს ომი შეადგენს დღეს ყველაზე უდიდეს მოვლენას არა მარტო რუსეთის ცხოვრებაში, არამედ დანარჩენ ხალხთა უმეტესობისათვისაც. ყველა იმ შემთხვევების გათვალისწინება, რომლებიც მას უნდა მოყვეს, დღეს ჩვენთვის შეუძლებელია; იმის აღნუსხვაც კი ძნელია, რაც აქამდის მოყვა მას. პირველი შედეგი არის ის, რომ საზოგადოებამ აშკარათ დაინახა ბიუროკრატიული წესის, რომლითაც აქამდე განაგებდენ რუსეთის ხალხს, სრული გაკოტრება და ახალ ცხოვრებასთან შეუსაბამობა; რომ იქ, სადაც ყოველივე წესიერად არის მხოლოდ ქაღალდზე და არა სინამდვილეში, არა ცხოვრებაში, საზოგადოებას დიდი განსაცდელი მოელის და საჭიროა დიდი ენერგია და ხასიათის სიმტკიცე, რომ უბედურება თავიდან აიცდინონ. როგორც მკვდრის გაცოცხლება აღარ შეიძლება, ისე დაპოქსებული წესის აღდგენა და განახლები შეუძლებელია. უკანასკნელი ამბები აშკარად მოწმობს, რომ რუსეთის ხალხში შენახულა იმოდენი ცხოველმყოფელი ძალა, რომ იგი სძლევს იმ დაბრკოლებებს, რომლებიც მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეღობება წინ. მაგრამ ნუ ერწმუ-

ნებით ყველას. ამ საერთო ხოროში ურევიან ყალბი ხმებიც, ბევრი მლიქვნელნი და მაცდური ენები. საჭიროა იმათი გარჩევა და თვისი პოზიციის მტკიცედ დაცვა. ყველა გაზეთები, საზოგადოების ყველა ჯგუფები თუ კლასები უკმაყოფილო არიან დღევანდელი ომით. მაგრამ რისთვის? ნუ თუ ამ უკმაყოფილებას რაიმე საერთო აქვს? ნუ თუ აქაც საერთო „ნიადაგი" არის? სრულებითაც არა: ერთნი იმიტომ არიან უკმაყოფილო, რომ აშკარად ხედავენ, თუ დღევანდელ ბიუროკრატიულ წესს სამარე როგორ ეთხრება და როგორ აშკარავდება მისი გამანადგურებელი შხამი. მეორენი უკმაყოფილო არიან იმიტომ, რომ რუსეთი ვერ იპყრობს კორეიას, მანჯურიას, ინდოეთს, რომ ამით გაძლიერდეს რუსეთის ჯარის დიდება და ბურჟუაზიამ იშოვნოს ბაზარი და დიდი ბაჟების, ე. ი. მფარველობითი სისტემის წყალობით შემოზღუდულმა გარეშე საშიშ მოცილეებისაგან უზრუნველყოფილმა, არხეინად მოისვენოს და ჯიბე ოქროებით გაიტენოს. არა ამიტომ არიან უკმაყოფილონი ისინი, ვინც მშრომელი ხალხის, ქვეყნის მუშაკების და მკეთებლების ინტერესს იცავენ. მაგრამ ამის შეგნება და ცოდნა არ შეიძლება ასე ადვილად, ამისთვის საჭიროა სისტემატიური მეცადინეობა და ობიექტიური, მიუდგომელი დაფასება ყოველივე იმისა, რაც ჩვენს გარშემო ხდება. შეცვლილ და ახალ გზაზე დაყენებული „მოგზაური" ეცდება ეს მუშაობა რამდენიმეთ მაინც გაუადვილოს ჩვენს მკითხველებს. ნუ დაივიწყებთ კი, რომ დღევანდელი წამი არის მეტად სანატრელი და მას სიამოვნებით მოიგონებს ჩვენი მომავალი თაობა. არ ვუმტყუნოთ ჩვენს დანიშნულებას და ვეცადოთ, რომ მომავალმა თაობამ ჩვენც სიამოვნებით და პატივისცემით მოგვიგონოს.

ჩვენი ვალია მედგრად და მტკიცედ სვლა წინ, ერთხელ დასახულ მიზნისაკენ. ჩვენი საბოლოო მიზანი არ არის ორპოფი, ორ-აზროვანი და ბურუსში გახვეული. როგორც ამომავალი მზე, იგი ნათლად მოსჩანს. გაუმარჯოს ჩვენს იდეას! ვუსურვოთ გამარჯვება ახალ „მოგზაურს", ახალი ცხოვრებისაკენ მიმავალს.

(ჟურნალი „მოგზაური" 1905 წ.
16 იანვარი—№ 2).

ბაქოში მომხდარ ამბების გამო.

მეტად საზარელი და აღმაშფოთებელი ამბები ხდებოდა ბაქოსა და მის ახლო-მახლო მიდამოებში, საბუნჩა-ბალახანაში, მთელი ხუთი დღის განმავლობაში—6 თებერვლიდან 10-მდე. ჯერ კიდევ, სანამ გაზეთებიდან რასმეს გავიგებდით, ადგილობრივ საზოგადოებაში ხმა გავრცელდა, რომ ბაქოში მაჰმადიანები და სომხები ერთმანეთს ხოცავენ და ყლეტენო. არავინ არ იცოდა, თუ რა იყო ამ საშინელი ამბის მიზეზი. ყველასთვის მოულოდნელი იყო ასეთი ამბის გაგონება, თუმცა კიშინიოვისა და გომელის ამბების [2]) შემდეგ ჩვენთვის გასაკვირვალი არაფერი არ უნდა იყოს. დღეს, რამდენათაც ვიცით გაზეთებიდან, ბაქოში მომხდარ ადამიანთა ყლეტა-ხოცვის საბაბი ერთი მაჰმადიანი ტუსაღის სიკვდილი ყოფილა სომეხ სალდათის მიერ. ეს ტუსაღი გამომძიებლიდან სატუსაღოში ვიყავდათ, გზაზე გაქცევა მოუნდომებია და სალდათს მოუკლავს. ამის შემდეგ ერთი მისი ნათესავთაგანი შისული სომხის საყდრის ეზოში და მოუკლავს ეს სალდათი. სომხებს დაუჭერიათ მკვლელი და პოლიციისთვის გადაუცია, მაგრამ პოლიციას იქვე გაუშვია იგი. მკვლელი ხელახლა დაბრუნებულა ეკლესიის ეზოში, სამჯერ უსვრია რევოლვერი, მაშინ ისიც იქვე მოუკლავთ.

აი ამით დაიწყო ეს საშინელი ყლეტა-ხოცვა და შურისძიება. შეუძლებელია იმის აღწერა, რაც ბაქოში რამდენიმე დღის განმავლობაში ხდებოდა—უცნობი და ნაცნობი, ვინ იცის რისთვის, ერთმანეთს ხოცავდენ, ჰკლავდენ, ყლეტდენ, რითაც კი შეიძლებოდა—თოფით, რევოლვერით, დანით. ადამიანის გამხეცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. ქუჩები მოკლულებით და დაჭრილებით მოიფინა და ადამიანების სისხლით შეიღება! არ არჩევდენ არც, დიდს და არც პატარას, არც ქალს და არც კაცს, ვინც მოხვდებოდათ, ყველას განურჩევლად ხოცავდენ. ყოველგვარი წარმოება შეწყდა, ქუჩაში ველარავინ გამოდიოდა. ყველა შიშის ზარს შეეპყრო.—ახლა ვიკითხოთ, განა შესაძლებელია უბრალო მკვლელობას, ერთი კაცის შურისძიებას, ასეთი საყოველთაო სისხლის ღვრა, ასეთი საყოველთაო შურისძიება გამოეწვია? ეს მეტად დამაფიქ-

რებელი ამბავია! როგორ. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ერთად მცხოვრებ ერთა შორის ასეთი სიძულვილი, ასეთი უსაზღვრო მტრობა ყოფილა დამარხული! თუ ეს ასეა, და ამაში დღეის შემდეგ არავითარი ეჭვი არ უნდა შევიტანოთ, როგორ შეიძლება, რომ ეს ხალხები, გამსჭვალულნი უსაზღვრო სიძულვილით და მტრობით ერთი მეორის მიმართ, ერთად ცხოვრობდენ, ერთ და იმავე საზოგადოების წევრებათ იყვენ? როცა ჩვენ გვეუბნებიან და გვარწმუნებენ, რომ დღევანდელი საზოგადოება საუკეთესო ფორმაა საზოგადოებრივ ცხოვრებისა, რომ აქ ადამიანის პიროვნება და მისი ქონება უზრუნველყოფილია, რომ საზოგადოებრივი მშვიდობიანობა მკვიდრ საფუძველზეა დამყარებულია,—ჩვენ სრული უფლება გვაქვს ყოველივე ამნაირი ღაღადი ყალბათ ჩავთვალოთ და მწარე დაცინვათ მივიღოთ.

არა, ის საზოგადოება, ის წეს-წყობილება, რომელიც თავის გულში აღვივებს და იმარხავს ასეთ სიძულვილს, ასეთ მტრობას ურთიერთ წევრებისადმი, იგი საზოგადოება ყალბ საფუძველზეა დაყრდნობილი და აღრე იქნება თუ გვიან, უნდა დაინგრეს და სულ სხვა საფუძველზე აშენდეს, რომ შემდეგში აღარ განმეორდეს ამის მსგავსი რამ.—მეორე მხრით, ბაქოს ისტორიაში გასაკვირალია მეორე მხარე, რას აკეთებდა ამ საზარელი ამბების დროს ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომელსაც მინდობილი აქვს მცხოვრებთა დაცვა? იმ დროს, როცა მისი დახმარება ყველაზე უფრო საჭირო იყო, იგი განზე გამდგარა და გამხეცებული ხალხი ერთმანეთზე მიუშვია: ხოცეთ და ჟლიტეთ ერთმანეთი, ეს ჩვენი საქმე არ არის! ყოფილა შემთხვევა, რომ პოლიციას და ჯარისკაცებს უთქვამთ: „ჩვენ ნაბრძანები არა გვაქვს ამაში ჩავერიოთო“ („Новое Обозрение“ № 26); ყოფილა შემთხვევა, რომ პოლიციის მოხელეებს ფულიც აუღიათ შემწეობის აღმოჩენისათვის (იქვე) მაშინ, როცა კანონით ეს სასტიკად აკრძალულია, რადგანაც პოლიცია ამ შემთხვევაში მოვალეა შემწეობა აღმოუჩინოს.

თუ დაუკვირდებით იმას, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, ბაქოში მოხდარ ამბების შემდეგ ყველა აშკარად უნდა მიხვდეს, რომ დღევანდელი საზოგადოებრივი უკმაყოფილება შემთხვევითი და წარმავალი როდია, არამედ—იგი გამოწვეულია იმ ღრმა იარებით, რომლებიც დღევანდელ საზოგადოებას აჩირქიანებს.

ჟურნალი „მოგზაური“, 13 თებერვალი 1905 წ. № 5).

კიდევ ბაქოში მომხდარ ამბების გამო.

კიდევ ერთი სამარცხვინო, კიდევ ერთი საზარელი შემთხვევა! თითქო ჩვენ დაბეჩავებულ, დამდაბლებულ საზოგადოებას კიდევ მეტი შერცხვენა, კიდევ მეტი შეურაცყოფა და უბედურება ესაჭიროებოდა! თითქო კიშინიოვისა, გომელისა და პეტერბურგში მომხდარ ამბების შემდეგ საჭირო იყო კიდევ უფრო ძლიერი, კიდევ უფრო გამაუბედურებელი შემთხვევა, რომ საზოგადოების შეგნებული ნაწილისთვის კიდევ უფრო საგრძნობელი გამხდარიყო არსებული ბიუროკრატიული წესწყობილების სრულიად გამათახსირებელი მოქმედება! და აი, სწორედ ასეთი უბედურება მოგვეევლინა ჩვენ ბაქოში მომხდარ ორ მოძმე ერთა წარმომადგენლების მიერ ერთურთის ამოჟლეტის, ამოწყვეტის სახით. რა იყო ამ უმაგალითო სისხლის ღვრის, ამ საზარელი და ადამიანის ღირსების შემარცხვენელი ამბის მიზეზი? ვინ გამოიწვია, ან ვინ უწყობდა ხელს მოძმეთა მიერ ერთურთის ამოჟლეტას და განადგურებას? ამას კითხულობს დღეს ყველა, ამის გამოკვლევას და გამოძიებას ელოდება ყველა მოუთმენლად. რომ ეს არ გამოუწვევია სომხებსა და თათრებს შორის არსებულ განხეთქილებას, შურისძიებას და მტრობას, ამაში დღეს ყველა დარწმუნებულია. რომ ხალხის სიბნელით და შეუგნებლობით ისარგებლეს ბოროტმა სულებმა, რათა ან სრულიად ჩაექროთ და ან რამდენიმეთ მაინც შეესუსტებიათ ის ბრწყინვალე მოძრაობა, რომელმაც ასე თავზარი დასცა გაბატონებულ ბიუროკრატიას, ეს ყველასათვის აშკარაა. ეს კიდევ უფრო აშკარა შეიქნება, თუ რომ ამ ამბების გამო სასტიკი და პირუთვნელი გამოძიება მოხდება. მაგრამ ვეღირსებით კი ასეთ გამოძიებას? როგორც გაზეთებში წაიკითხავდით, მთავრობამ გამოაცხადა, რომ მოვახდენთ სასტიკ და პირუთვნელ გამოძიებასო და პრესას უფლება ექნება თავისუფლად სწეროს ამ შემთხვევის შესახებ ყოველივე, რაც სიმართლის გამოსარკვევად საჭირო იქნებაო. მაგრამ ეს სიტყვები დაპირებაა და მარტოოდენ დაპირებათ დარჩება ჯერ-ჯერობით მაინც, ვინაიდან, როგორც გაზ. „ბაქოს უწყ.“-შია გამოცხადებული, ბაქოს ვიცე-გუბერნატორს დასახლებულ გაზეთის რედაქტორისათვის

უცნობებია, რომ სტატიების—„უბედური დღეები“ და „სად არის მიზეზი“ დაბეჭდვაზე გუბერნატორმა ნება არ დართოთო. იმავე გაზეთში დაბეჭდილია ბაქოს პოლიცეიისტერის წერილი, რომლითაც იგი იცავს ბაქოს პოლიციის მოქმედებას ამ საზარელი დღეების განმავლობაში და იქვე რედაქციის შენიშვნაა მოთავსებული, რომლიდანაც ეტყობილობთ, რომ რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო იგი მოკლებულია საშუალებას პასუხი გასცეს წერილის ავტორს. გარდა ამისა ვიცე-გუბერნატორს ოფიციალური მიწერილობით მოუთხოვია „ბაქოს უწყებების“ რედაქტორისაგან, რომ ყველა წერილები და შენიშვნები ცენზურაში გაგზავნამდე ბაქოს გუბერნატორს უნდა გაეგზავნოს დაბეჭდვისათვის ნება-დასართველადო. თუ რამდენათ შესაძლებელი იქნება ასეთ პირობებში სიმართლის შეტყობა, ნამდვილი მიზეზის გამოცნობა, ეს თავის თავად ადვილი გასაგებია.

მაგრამ ჩვენ გვწამს მოვალეობა, რამდენიმეთ მაინც ავხადოთ ფარდა ამ ამბავს, რაშდენიმეთ მაინც გამოვარკვიოთ, თუ სად არის სათავე ამგვარ შემთხვევებისა. ჯერ ვიკითხოთ—თუ რა ხასიათისაა ბაქოში მომხდარი შეტაკება და სისხლის ღვრა. იგი წააგავს უფრო ძველ და საშუალო საუკუნოების ამბებს, როცა ორი გადამტერებული ხალხი ერთმანეთს ხოცავდა და თვითონაც არ ესმოდათ—რისთვის. მეორე მხრით, ბაქოში მომხდარ ამბავს არაფერი საერთო და მსგავსება არ აქვს იმ შეტაკებასთან და იმ ბრძოლასთან, რომელიც ხდება ორ მოწინააღმდეგე კლასებს შორის—მჩაგვრელთა და დაჩაგრულთა, ბატონებსა და ყმებს, კაპიტალისტებსა და მუშებს შორის. ეს განსხვავება ისეთი საგრძნობელი და დამახასიათებელია, რომ რამდენათ პირველი გვაოცებს და მწუხარებას გვგრის, იმდენათ მეორე გვამაღლებს და იმედებს გვაძლევს მომავლისათვის. მაგრამ დავანებოთ ამას თავი და ჩვენი ყურადღება მივაპყრათ იმას, თუ რა საშუალებას ხმარობდა ადმინისტრაცია, რა ზომებს იღებდა იგი, რომ სისხლის ღვრა შეეჩერებია. სამწუხაროდ უნდა აღვნიშოთ, რომ როგორც ერთხმად მოწმობენ ყველა ისინი, რომლებსაც შემთხვევა ჰქონდა თავისი თვალით ენახა, რაც ბაქოში და მის მიდამოებში ხდებოდა 6—10 თებერვალს, ბაქოს პოლიცია განზე იდგა და ერთხელაც არ მოუწადნია და არ მიუღია ზომა, რომ ეს სისხლის ღვრა შეეჩერებია. და განა მას არ ჰქონდა საშუალება დაეფარა და სიკვდილს გადაერჩინა უიარაღო ხალხი? ან შეიძლება ეს მის მოვალეობას არ შეადგენდა? თუ სრულიად მშვიდობიანი მუშების გაფიცვის და ქუჩაზე ხალხის

უბრალო პროცესიის გასაფანტავად პოლიციას ურიცხვი კაზაკები, სალდათები, დვორნიკები, ცხენოსანი გოროდოვები და ჟანდარმები გამოჰყავს ქუჩებზე, როცა ეს მუშები არც არავის სიცოცხლეს ექადებიან და არც არავის ქონებას იკლებენ, თუ ასეთ შემთხვევაში პოლიცია მზადაა ყოველგვარი სასტიკი ზომა მიიღოს და ხშირად თვითონ იწვევს შეტაკებას, რა მოხდა, რომ თებერვლის 6—10 რიცხვში ყოველივე ეს მოისპო და ბაქოს უთვალავ ადამიანთა სისხლით შეღებილ ქუჩებში აშკარად, მის თვალწინ ადამიანებს ხოცავდენ, სახლ-კარს იკლებდენ და ბუგავდენ? რათ არ შეებრძოლა იმ გაბოროტებულ ბრბოს, რომელიც ამ საშინელებას ჩადიოდა რამდენიმე დღის განმავლობაში? რათ არ ჩაერია და არ მოიწადინა ამ სისხლის ღვრის შეჩერება? შეიძლება თავი იმით იმართლონ, რომ კაიც რომ ჩავრეულიყავით, მაინც ვერაფერს გავხდებოდითო. მაგრამ ეს არ არის თავის მართლება. ადმინისტრაციას არც კი უცდია ამ სისხლის ღვრის შეჩერება. სანამ საზოგადოების წევრებმა არ მიიღეს ზომები, იქამდის პოლიცია გულზე ხელდაკრეფილი უყურებდა ამ საზარელ ამბებს. რომ საზოგადოების წევრების ერთად შეკრება და მოლაპარაკება შესაძლებელი ყოფილიყო, გაბოროტებული ხალხის დამშვიდება უფრო ადრეც მოხდებოდა, მაგრამ ჩვენში ხომ საზოგადოება არ არსებობს; საზოგადოება ჩვენში მხოლოდ სიტყვით არის, საქმით, ნამდვილათ კი საზოგადოების წევრები ერთი მეორესაგან დაშორებულია: მათ არ შეუძლიანთ ერთად შეიკრიბონ, თავის საქმეების შესახებ მსჯელობა იქონიონ, მათ არ შეუძლიათ შეკავშირდენ, მათ არ შეუძლიანთ თავისუფლად ილაპარაკონ. ყოველივე ეს მომაკვდინებელი ცოდვაა ბიუროკრატიის წინაშე და ამის დარღვევისათვის ყოველი წევრი სასტიკად ისჯება. მაგრამ მეტი ღონე აღარ იყო, სისხლის ღვრა მწვავდებოდა, იმავე დროს პოლიცია არავითარ ზომას არ იღებდა სისხლის ღვრის შესაჩერებლად.

და აი, როცა საზოგადოების ზოგიერთი წევრები დარწმუნდენ, რომ შველა აღარსაით იყო, თვითონ მოინდომეს თავის შველა, შექმნეს საჩქაროდ ორგანიზაცია და მხოლოდ მაშინ მიხვდა პოლიცია, რომ მისი უმოქმედობა ძლიერ შორს წასულა, დანაშაულობამდისაც მიღწეულა, და თვითონაც გაერია საქმეში. მაგრამ ხალხის დამშვიდება ძის ხელში აღარ იყო. მან ფაქტიურად თვითონ აიღო ხელი ამაზე და საზოგადოებამაც ფაქტიურად მოჰკიდა ხელი თავის საქმეების მოწესრიგებას. პირველმა განაცხადა: ამის შემდეგ მე აღარ ძალმიძს საზოგადოების პატრონობაო;

მეორემ საქმით დაამტკიცა, რომ მას შეუძლია თავისი პატრონობა თვითონ იკისროს. პირველის როლი შესრულდა, იმის მოღვაწეობას მხოლოდ ისტორიული მსჯავრი უნდა დაედვას. რანაირი იქნება ეს მსჯავრი, ეს არავისთვის საიდუმლოება არ უნდა იყოს. მთელი საუკუნის განმავლობაში ჩვენ გვთელავდენ, ადამიანის პიროვნებას ფეხქვეშ სრესდენ, ერთმანეთისაგან გვაცალკევებდენ, ჰაერს გვიხშობდენ, ბნელ ოთახში გვამწყვევდენ და ჩვენთან სინათლის შუქს არ უშვებდენ. ამას ეძახდენ მართვა-გამგეობას და ხალხის პატრონობას. საზოგადოებას სდევნიდენ. მასში შურსა და მტრობას თესავდენ, რის შედეგი, სხვათა შორის, ბაქოს ისტორიაა. მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნენ მიმხვდარიყვენ, რომ ძველებურად მოქმედება შეუძლებელია, რომ გავლენას თანდათან კარგავენ. ამიტომ ბნელ საშუალებებისათვის იწყეს მივართვა. მოინდომეს საზოგადოებრივი მოძრაობის შესუსტება და საზოგადოების ყურადღების სხვა რამეზე მიპყრობა. საზოგადოებას მართლაც არ შეეძლო ამისთვის ყურადღება არ მიექცია, მაგრამ „ბნელ საშუალებათა“ მოტრფიალენ ბედმა უმტყუნა, მათ განზრახვას სულ სხვა შედეგი მოჰყვა. საზოგადოება ერთხელ კიდევ უფრო დარწმუნდა ძველ წეს-წყობილების უვარგისობაში, იგი საქმით მიხვდა, რომ თავის თავს მხოლოდ მან უნდა გაუწიოს პატრონობა. ეყო რაც ამდენ ხანს ითმენდა, ეყო რაც ამდენ ხანს შეურაცყოფას და დამცირებას იტანდა. ჩვენ არა ვართ იმის მომხრე, რომ რაც უფრო უარესი იქნება, მით უფრო უკეთესი იქნებაო,—მაგრამ რას იზამთ, როცა ცხოვრებაში ასე ხდება. რას იზამთ, როცა საზოგადოების უმრავლესობა მხოლოდ დიდი მუჯლუგუნის შემდეგ იღვიძებს. მხოლოდ დიდ უბედურებას და გაჭირვებას გამოყავს იგი მოქმედების გზაზე თავისუფლების მოსაპოვებლად.

მაგრამ ბაქოს ისტორია მხოლოდ ამ მხრით როდია საყურადღებო და საგულისხმიერო. იგი ჩვენთვის კიდევ სხვა მხრით არ არის ნაკლებ საინტერესო და საყურადღებო. ყველამ კარგად იცის, თუ რა როლს თამაშობს ბაქო დღევანდელ მრეწველობაში. ბაქო, როგორც უდიდესი სამრეწველო ცენტრი, ცნობილია არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ დედამიწის ზურგზე. მისი აუარებელი სიმდიდრით, რომელიც რამდენიმე ათი ათას მუშას გამოაქვს იქ მიწის გულიდან, სარგებლობენ არა მარტო ადგილობრივი ბურჟუა-კაპიტალისტები, არამედ სხვა ქვეყნისაც. ბაქოში თქვენ იპოვით დღევანდელი უმაღლესი კულტურის წარმომადგენლებს, სამეცნიერო საზოგადოებებს და დაწესებულებებს, მეცნიერების უკანას-

კნელ გამოგონების გამოყენებას ყოველ ფეხის ნაბიჯზე. დავანებოთ თავი, რომ აქ შრომის უზომოთ ექსპლოატაცია ხდება; დავანებოთ თავი იმას, რომ აქ მეტად აუტანელ და წარმოუდგენელ პირობებში უხდება კაცს მუშაობა, რომ პირუტყვივით თავი ირჩინოს. ჩვენ მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ აი, აქ დაპირდაპირებია ერთმანეთს ორი კულტურა: ერთი მხრით, უმაღლესი კულტურა თავისი განვითარებული ტეხნიკით, ორთქლის და ელექტრონის ძალის გამოყენებით ყოველ ფეხის ნაბიჯზე, მეცნიერებით, ნასწავლებით, ექიმებით, ინჟინრებით, ვექილებით,—და, მეორე მხრით, თითქმის ძველი, საშუალო საუკუნოებისდროინდელი განუვითარებელი კულტურა. ორივე ეს კულტურა ერთად თავსდება, ერთად განაგრძობს თავის არსებობას, თითქოს არც კი ამჩნევენ ერთმანეთს. აქამდის ყველას ეგონა, რომ ამაში არავითარი უხერხულობა არ არის ერთი მეორესათვის, დღეს კი დამტკიცდა, რომ ასეთი ფიქრი ყოველგვარ მოსაზრებას მოკლებულია. საქმე ის არის, რომ ბურჟუაზიამ შესძლო მხოლოდ უზარმაზარი სიმდიდრის შექენა მუშა ხალხის გაყვლეფით, შესძლო უმაღლესი ტეხნიკის შექმნა მეცნიერების დახმარებით, მაგრამ ვერ შესძლო კულტურის გავრცელება ხალხში. ამიტომ ყალბია ის საფუძველი, რომელზედაც დაყრდნობილია მთელი ბურჟუაზიული წეს-წყობილება და მომავალი მხოლოდ იმ კლასს ეკუთვნის, რომელიც დღეს იბრძვის ამ წეს-წყობილების დასანგრევად და საზოგადოების სულ ახალ საფუძველზე მოსაწყობად.

(ჟურნალი „მოგზაური“ 20 თებერვალი 1905 წ. № 6).

გურიის ვითარება.

იმ დროს, როცა კასპიის ზღვის პირას მდებარე ქალ. ბაქოში მომხდარ ამბების ხაზარელი სურათი ყველას თვალწინ გვიდგა, სწორედ იმ დროს ჩვენში ხმა გავარდა, რომ კავკასიის მეორე დასამხარი, სახელდობრ, გურია, ანუ ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრა, რაღაც მეტად საშიშ მდგომარეობაში ვარდება და დიდი განსაცდელიც მოელისო. საქმე იმაში იყო, რომ როცა ბაქოში ორი მოძმე ერის გამხეცებული და გააფთრებული წევრები ერთი-მეორეს მუსრს ავლებდენ და ადგილობრივი ადმინისტრაცია კი ამის შემყურე განზე გამდგარიყო, იმავე დროს ოზურგეთის მაზრაში გაგზავნილ იქნა დიდძალი ჯარი გენერალ ალიხანოვ-ავარსკის უფროსობით, რომელსაც ამასთანავე განსაკუთრებული უფლებები ენიჭებოდა. ყოველივე ეს ყრუთ გაისმოდა ადგილობრივ საზოგადოებასა და პრესაში და იმათზე, ვისაც ამაგების ნამდვილი მნიშვნელობა ესმოდა, ეს ხმები მეტად სამწუხარო შთაბეჭდილებას ახდენდა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ამბავი არა თუ ამ ერთი წლის წინად, არამედ—ნახევარი წლის წინადაც რომ მომხდარიყო, სრულებით შეუმჩნეველად ჩაივლიდა, და ჩვენი საზოგადოება და პრესა მხოლოდ მაშინ გაიგებდა ამ ამბავს, როდესაც მას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნებოდა. მაგრამ არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის ამბავი, რომ დღეს გარემოება შეიცვალა. თუ რა შედეგი მოყვა ჯერ ჯერობით იმას, რომ მთავრობის განკარგულება ცოტად თუ ბევრად თავის დროზე იქნა შემჩნეული, ამაზე ჩვენ აქ აღარ შევჩერდებით, რადგანაც ყოველივე ეს თავის დროზე ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა. უწინარეს ყოვლისა ყურადღების ღირსი აქ აი რა არის. კავკასიის მთავრობის განკარგულებით ამ ჟამად ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრა და ბათომის ოლქის კინტრიშის ნაწილი გამოყოფილია ქუთაისის და ბათუმის გუბერნიებისაგან და ეკვემდებარება სამოქალაქო საქმეებში კავკასიის ოლქის ჯარში მყოფ გენერალ ალიხანოვს, რომელსაც გუბერნატორის უფლება მიენიჭა. ამასთანავე გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილ ოფიციალურ ცნობებიდან ჩვენ ვტყობილობთ, თუ რას გამოუწვევია მთავ-

რობის მხრით ზეითაღნიშნული ზომების ხმარება. იქიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ „ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გურიასა და მის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში დაიწყო გლეხების აგრარული მოძრაობა მემამულეთა წინააღმდეგ. შემდეგში ეს მოძრაობა მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებათ გადაიქცა. ამ ნიადაგზე მოხდა მრავალი პოლიტიკური მკვლელობა... კავკასიის უმაღლეს მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა მცხოვრებთა დასამშვიდებლათ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო: პროპაგანდა მთავრობის წინააღმდეგ თანდათან იზრდებოდა“. ამ ცნობიდან ნათლად სჩანს, თუ რას გამოუწვევია ოზურგეთის მაზრის და კინტრიშის ნაწილის გამოყოფა და იმათგან ცალკე გუბერნიის დაარსება და იქ განსაკუთრებული ჯარის გაგზავნა, ვინაიდგან დღეს პრესის წარმომადგენლებს, თანახმად მთავრობის განცხადებისა, საშუალება ეძლევა თავისუფალი მსჯელობა იქონიოს გურიის დღევანდელ მოძრაობაზე, ამიტომ პრესის ყველა წარმომადგენელი მოვალეა ამის შესახებ თავისი შეხედულება გამოამჟღავნოს და მით საზოგადოებას გაუადვილოს სინამდვილის და ჭეშმარიტების გაგება.

დღეს ის დრო აღარ არის, რომ სიმართლის დამალვამ ან გადაფუჩეჩებამ ვისმეს უშველოს, ამის დრო სამუდამოთ გაქრა, დღეს ყველას სწყურია სიმართლის გაგება, რა გინდ მწვავე და არასასიამოვნო იყოს ეს სიმართლე ზოგიერთებისათვის. სამწუხაროდ, ადგილობრივმა პრესამ ჯერ-ჯერობით ამ მხრით ვერაფერი უნარი გამოიჩინა. მარტო სიტყვა „აგრარულის“ ხმარება საქმის გამორკვევას კიდევ ვერაფერს უშველის. საჭიროა თვით მოძრაობის დახასიათება, მისი თვისების შეტყობა.

რას ვხედავთ მართლა დღეს გურიაში? უმრავლესობას გაუგია ზეხოლოდ ის, რომ იქ რაღაც არაჩვეულებრივი მოძრაობა ხდება. რით არის ეს მოძრაობა გამოწვეული? სხვისი, გარეშე პირების მონაბერი და შემთხვევითია იგი, თუ ცხოვრების სანამდვილეზე აღმოცენებული და მომწიფებული? ბევრს ჰგონია და მათ შორის, რა თქმა უნდა, მთავრობის წარმომადგენლებსაც, რომ გურიის ხალხის დღევანდელი მოძრაობა რაღაც შემთხვევითი მოვლენაა, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს მთელი რუსეთის საზოგადო პირობებთან, რომ გურიის ხალხი მსხვერპლია სახელმწიფოსათვის „მავნე პირების ქადაქებისა“ და სხვ. ამიტომაც გურიის მოძრაობა მონათლულია „ბუნტის“, ამბოხების და ჯანყის სახელით. საჭიროა გამოირკვეს—აქვს ხსენებულ მოძრაობას რაიმე მსგავსება ხალხის აჯანყებასთან ან ამბოხებასთან, თუ არა? თუ რომ გურიის მოძრა-

ობა არსებითად ამბოხება და „ბუნტი“ არ არის, იმ შემთხვევაში თავის თავად იგულისხმება, რომ დღემდის მიღებული ზომები სრულებით შეუფერებელია და ვერასოდეს სასარგებლო ნაყოფს ვერ გამოიღებს.

ვგონებ მეტია დღეს იმის განმეორება, რომ ყოველგვარ საზოგადოებრივ მოძრაობას ხალხის ეკონომიურ პირობებში აქვს საფუძველი. აქ, ამ პირობებში, უნდა ვეძიოთ მისი დასაწყისი, მისი თავიდათავი მიზეზი. თავის თავად იგულისხმება, რომ როცა ჩვენ ვლაპარაკობთ საზოგადოებრივი მოძრაობის გამომწვევ ეკონომიურ პირობებზე, ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების უმრავლესობა დაჩაგრულია, როგორც ნივთიერად, ისე პოლიტიკურად უმცირესობის მიერ. ასეთ მდგომარეობას, იმის მიხედვით, თუ საზოგადოების თვითცნობიერება და თავისი თავის შეგნება რამდენათაა განვითარებული, შეუძლია ორგვარი ხასიათის მოძრაობა გამოიწვიოს ხალხში. მრავალ-ტანჯულ ხალხთა ისტორია მოგვითხრობს, რომ ხალხი უზომოდ ყოფილა შევიწროვებული და შეწუხებული; ხალხი ჯერ ვერ გრძნობდა თავის შევიწროვებას; შემდეგში იგი ამჩნევს, რომ მისი მდგომარეობა აუტანელია, იგი დაჩაგრული და შეწუხებულია, მაგრამ საუბედუროთ, მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ საიდან მომდინარეობს ეს ტანჯვა, რა არის მისი გაჭირვების და დაჩაგვრის ნამდვილი მიზეზი. მაგრამ ხალხს მაინც სურს თავიდან მოიშოროს გაჭირვება, თავი დააღწიოს სიბეჩავესა და დაჩაგვრას. იგი უეცრივ ამოვარდნილ ქარიშხალივით ფეხზე დგება და თვითონ არ იცის რისთვის და ვის წინააღმდეგ. აი ასეთ მოძრაობას ჰქვია ამბოხება, ჯანყი ანუ, თუ გნებავთ, „ბუნტი“. ასეთი მოძრაობა სტიქიური მოვლენაა: ხალხის შევიწროვება უზომოა, უკიდურეს ხარისხამდეა მიღწეული და ამიტომ იგი თავს ვეღარ იკავებს და ჯანყდება. აწნაირი ჯანყი, ანუ ამბოხება, ყოველთვის საშეუხაროდ თავდება ამბოხებული ხალხისათვის; ხალხი, მართალია, ჯანყდება და იბრძვის თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ შეუგნებლობის გამო იგი უფრო თავისი თავის წინააღმდეგ მოქმედებს და ბოლოს თავისი მჩაგვრელების გულს ახარებს. ასეთი იყო, მაგ., საშუალო საუკუნეების დასასრულს გლეხების ომი გერმანიაში და ახალი დროის დასაწყისში მუშების აჯანყება, როცა ისინი, იმის მაგივრად, რომ თავისი მჩაგვრელების კაპიტალისტების და კაპიტალისტური წესწყობილების წინააღმდეგ გაელაშქრათ, სამრეწველო შენობებს და ახლად შემოღებულ მანქანებს ამტვრევდენ და ამსხვრევდენ, რადგანაც მხოლოდ ამაებში ხედავდენ თავის დაჩაგვრის და შევიწროვების მიზეზებს. ამგვარ

მოძრაობას ყველგან ჯანყის და ამბოხების ხასიათი აქვს, იგი არ არის გათვითცნობიერებული; დაჩაგრულ ხალხს არ ესმის, ვინ არის მისი ნამდვილი მტერი. და რაგვარი მოქმედებაა საჭირო, რომ მის ეკონომიურ და პოლიტიკურ დაჩაგვრას ბოლო მოეღოს. სულ სხვაგვარი მოძრაობაა მუშათა მოძრაობა დღეს როგორც ევროპაში, ისე რუსეთშიაც, სადაც იგი თვითცნობიერების ნაყოფია. იმას არა აქვს არც ჯანყის და არც ამბოხების ხასიათი; იგი წინდაწინ შემუშავებული პროგრამით ხელმძღვანელობს; იგი არ ქადაგებს ძალ-მომრეობას. იგი უარყოფს კერძო მესაკუთრეთა ქონების აკლებას და განადგურებას, იგი მშვიდობიანი ზომების საშუალებით მიიკაფავს გზას საუკეთესო მომავლისაკენ. ამავე ხასიათისაა დღევანდელი მოძრაობა გურიაშიც. რომ იგი არ არის ამბოხება და ჯანყი ანუ „ბუნტი", ეს დღეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს. გურიის ხალხი ადგა მშვიდობიან გზას და თუ მას „ბუნტოვჩიკების" სახელით ნათლავენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს გზა ახალია. ამ გზაზე გამოიყვანა გურული ხალხი გაპირვებულმა მდგომარეობამ. მართალია, ეს გაპირვება გუშინდელი ამბავი როდია, მაგრამ გურული ხალხი არც წინად იყო კმაყოფილი თავის მდგომარეობით; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ დღეს ეს უკმაყოფილება გათვითცნობიერებული მოქმედებით იხატება. ჩვენ არ შევუდგებით აქ იმის მოთხრობას, თუ როგორ დაიწყო და როგორ იზრდებოდა ეს უკმაყოფილება,—ეს დღეს თითქმის ყველამ იცის და არავისთვის დაფარული არ არის. მხოლოდ მოკლედ მოვიხსენიებთ ამ გზაზე მსვლელობას.

პირველი ნაბიჯი გლეხების გაფიცვა იყო მემამულეების წინააღმდეგ. გლეხებმა განაცხადეს: ჩვენ ხელს აღარ გვაძლევს თქვენ მიწებზე ვიმუშაოთ შემდეგშიც იმ პირობებით, რა პირობებითაც აქამდის ვმუშაობდითო, ამიტომ საჭიროა ამ პირობების შეცვლაო. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ხელს ვიღებთ თქვენ მიწებზეო. ერთი სიტყვით, ამიერიდან თქვენ თქვენთვის და ჩვენ ჩვენთვისო. მემამულეები, რომლებიც მიწის სიმცირის გამო გლეხკაცობაში დაჩვეული იყვენ დიდ საიჯარო ქირაზე, ამ ამბავმა გააბრაზა და პოლიციას მიმართეს დახმარების აღმოსაჩენად; მაგრამ საქმე, რომ იმათ სასარგებლოთ დაბოლავებულიყო, მთავრობას აუწყეს, რომ გლეხები ისე ჩვენ არ გვედავებიან, როგორც მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებენო, ე. ი. ისინი „ბუნტოვჩიკებია", მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებას ახდენენო. მკითხველი თვითონ მიხვდება გლეხების გაფიცვა იყო თუ არა მთავრობის წინააღმდეგ აჯანყება. ეს უფრო

ცილისწამება იყო. სამწუხაროდ, მთავრობა, ე. ი. ადგილობრივი ადმინისტრაცია აყვა მემამულეების ფეხის ხმას, რომლებსაც მხოლოდ საკუთარი ინტერესი ამოქმედებდათ. ადმინისტრაციამ ჯერ გლეხებს ტუქსვა დაუწყო, როგორ ბედავთ მთავრობისა და მემამულეებისადმი წინააღმდეგობასო. გლეხები კი თავის მხრით უცხადებდენ, რომ ჩვენ მთავრობის წინააღმდეგ სრულებით არაფერი არ გვაქვსო. ჩვენ არც მემამულეებს ვებრძვით, მხოლოდ ჩვენ არ შეგვიძლია იმათი მიწები ავიღოთ ყანებათ წინანდელი პირობებითო, რადგანაც ჩვენ ეს ხელს არ გვაძლევსო. მაგრამ მთავრობა არა თუ დაკმაყოფილდა ასეთი ახსნით, არამედ კიდევ უფრო სასტიკ ზომებს მიმართა, რის ჩამოთვლა აქ საჭირო არ არის. ხალხს კი პირველად ეგონა, მთავრობა მას მიემხრობოდა და მის ინტერესებს დაიცავდა, რადგანაც მთავრობა ხალხით საზრდოობს, ყოველგვარ გადასახადს ხალხი იხდის ხაზინის სასარგებლოდ; მაგრამ იმედი გაუცრუვდა: მთავრობამ აშკარათ მემამულეების მხარე დაიჭირა. ამიტომ ხალხმა მთავრობას სულ უფრო და უფრო უნდობლობის თვალით დაუწყო ყურება. რა თქმა უნდა, ეს უნდობლობა არ გამოიხატება რაიმე ძალმომრეობით მოქმედებაში, ე. ი. აჯანყებაში ან ამბოხებაში მთავრობის წინააღმდეგ. რადგანაც ადგილობრივმა პოლიციამ ხალხის თვალში ყოველგვარი ნდობა დაკარგა, ამიტომ ხალხმა თვითონ მოინდომა თავისი საქმეების მოწესრიგება და პატრონობა. სულ მოკლე ხანში მან განახორციელა თვითმართველობის დედაზრი, იმ თვითმართველობის, რომელსაც ასე შენატრის დღეს საზოგადოების საუკეთესო ნაწილი, როგორც რუსეთში, ისე სხვაგანაც. ხალხი არ ხმარობს არავითარ ძალადობას, იგი წმინდა ზნეობრივ პრინციპზე ამყარებს საზოგადოებრივ ცხოვრებას. აი ეს არის სინამდვილე, რომელსაც ვერავინ გვერდს ვერ აუვლის. რაც აქ ზევიდან მონაბერია, გარეშე პირთაგან ზეგავლენით ნამოქმედარი, ყოველივე ის თავის თავად გაქრება და მოისპობა; ხოლო ის, რაც ნამდვილი ცხოვრების ნაყოფია, არაფრით არ ამოიშლება; მის წინააღმდეგ სასტიკი ზომებითაც ვერაფერს ვერ გახდებიან. მაგრამ ერთი ვიკითხოთ: ნუ თუ ხალხის გასასწორებლად, მასში წესიერების დასამყარებლად, მხოლოდ ის საშუალებებია დღეს, რაც ათასის წლის წინად იყო? ნუ თუ უმნიშვნელოდ ჩაიარა კაცობრიობის მთელმა წარსულმა ცხოვრებამ? არა, ჩვენ ეს არ გვჯერა, ჩვენ დანწმუნებული ვართ, რომ ეს ძველი ზომები დღეს აღარ გამოდგება და უკუგდებულ უნდა იქნას. ჩვენ გვეტყვიან: მაშ, რით უნდა იქნას აღდგენილი მთავრობის სახელი და განმავლობა, თუ არა

მისი ძალის ჩვენებითო? ჩვენ კი გვგონია, რომ ეს გზა კიდევ უფრო გაუტეხს მას სახელს ხალხის თვალში და ბოლოს გვიანღა იქნება.

ხალხს ესაჭიროება მთავრობა, მაგრამ ისეთი მთავრობა, რომელსაც იგი ენდობა, რომელსაც იგი პატივს სცემს. ხოლო ფიზიკური ძალით არ მოიპოვება არც ნდობა და არც პატივისცემა. მიეცით ხალხს თვითმართველობის პრინციპზე დამყარებული მთავრობა და აბა ნახეთ, თუ როგორი პატივისცემით და ნდობით მოეპყრობა იგი ამგვარ მთავრობას.

ვიმეორებთ, დღეს ჩვენ ოცნებასთან და ფანტაზიასთან არა გვაქვს საქმე! ჩვენ წინ დგას სინამდვილე და ყველა ვალდებულია მას ანგარიში გაუწიოს. ენახოთ, მომავალი რას გვიქადის!

(ჟურნალი „მოგზაური", 27 თებერვალი 1905 წლისა, № 7).

– რა გამოვრჩა?

ორი კვირა იქნება, რაც ბ-ნი სულთან-კრიმ-გირეი [3] გურიაში გაემგზავრა, გურიის დღევანდელი ვითარების გამოსარკვევად, გურიის ხალხის დღევანდელ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა გამოსაკვლევათ. ბ-ნმა კრიმ-გირეიმ უკვე ინახულა გურიის რამდენიმე საზოგადოება. მოიწვია სახალხო ყრილობები თითეულ საზოგადოებაში და წინადადება მისცა ხალხს გულახდილათ და დაწვრილებით ეამბნა მისთვის ყველაფერი, რაც დღეს გურიის ხალხს აწუხებს, გაეგებინებია მისთვის გურიის დღევანდელი მოძრაობის და ხალხის მღელვარების ნამდვილი მიზეზები. ხალხი ყოველგან ნდობით მიეგება ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეის, იგი პატივისცემით ისმენდა მის მოწოდებას და თავის მხრით ზრდილობიანად და თანაც გულახდილად და გაბედულათ თავისი დეპუტატების საშუალებით უხსნიდა მას თავისი აუტანელი მდგომარეობის მიზეზებს და უცხადებდა თავის მოთხოვნილებებს. ყველა საზოგადოებებში, ყველა ყრილობებზე ხალხი უცხადებდა ერთ და იმავე მოთხოვნილებებს, ასახელებდა ერთ და იმავე მიზეზებს დღევანდელი აუტანელი მდგომარეობისას. ეს პირველი შემთხვევაა ჩვენში, რომ მთავრობის წარმომადგენელი და ხალხი ერთი მეორეს წარუდგენ, როგორც სრული თანასწორნი და არა როგორც ბატონი და მორჩილი, მბრძანებელი და ყურმოჭრილი აღმასრულებელი. რაც უნდა შედეგი მოყვეს ბ. კრიმ-გირეის მოგზაურობას გურიაში, ეს მოგზაურობა მაინც დაუვიწყარი დარჩება შთამომავლობისათვის და ოქროს ასოებით აღიბეჭდება ჩვენი ხალხის ისტორიაში.

ამიერიდან მთელმა ქვეყანამ გაიგო, თუ რა მოხდა და ან რა ხდება დღეს გურიაში, თუ რამდენათ მართალი არიან ისინი, რომლებიც გაიძახოდენ, რომ გურია აჯანყდა და გურულები „ბუნტოვჩიკები“ არიანო. იმის შემდეგ, რაც ბ-ნმა სულთან-კრიმ-გირეიმ ნახა და გაიგო, ის, რაც მეტი თუ ნაკლები სინამდვილით ადგილობრივ გაზეთებში იყო აღნიშნული, ამის ძახილი უკვე შეუძლებელია. აშკარად დამტკიცდა, რომ ხალხი მიუყვანიათ ულმობელ გაჭირვებამდის, იგი შეუწუხებიათ ყოველი მხრით; მთავრობა მისთვის გადაქცეულა საშიშარ დაწესებულებათ, ჯა-

ლათეპის კრებულად, რომელიც მხოლოდ სასტიკი ზომების ხმარებაზე თუ ფიქრობდა ხალხის წინააღმდეგ, თორემ სხვაზე აღარაფერზე. ხალხის თხოვნას ყურადღებას აღარავინ აქცევდა, საჩივარისთვის ხომ პირდაპირ სჯიდენ. ამ ყოფაში ჩავარდნილმა ხალხმა, რომელშიაც ადამიანის გრძნობა არ გამქრალიყო, მოიკრიფა ძალა და შეუდგა თავისი თავის შველას, თავისი თავის პატრონობას. ხალხი არ აჯანყებულა მთავრობის წინააღმდეგ, იგი მხოლოდ ჩამოშორდა მას და თავის საქმეების გაძღოლა თვითონ იკისრა, რადგანაც დარწმუნდა, რომ მთავრობა მას არა თუ აღარ შველოდა, არამედ—აწუხებდა და სტანჯავდა. აქაც გურულმა ხალხმა, რომელიც, ნუ დაივიწყებთ, ცნობილია როგორც მეტის მეტად გულფიცხი, გამოიჩინა სამაგალითო მოთმინება. ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გურიის თავმოყვარე ხალხს არ დაჰკლებია არც საჯაროდ ლანძღვა-გინება, არც გამათრახება, არც ნაობახი, არც ციმბირში გაგზავნა, არც ეკზეკუციის ჩაყენება, და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი შეურაცყოფა და დამცირება. მაგრამ მათ ყოველივე ეს აიტანეს და ერთხელაც არ უცდიათ ძალმომრეობაზე ძალმომრეობითვე ეპასუხათ. პირიქით, გურული ხალხი თვითონ იღებდა ზომებს, რომ მთავრობისათვის მიზეზი არ მიეცა იარაღი ეხმარა ხალხის წინააღმდეგ. ასეთი შემთხვევა კი მოსალოდნელი იყო გაბოროტებული ადმინისტრაციის მოხელეების მხრით იმ მიზნით, რომ ხალხი გაეთელათ და შეესუსტებიათ, რათა შემდეგში ისევ ძველებურად გაბატონებულიყვნენ ხალხზე, ისევ ძველებურად ეპარპაშათ. სად მოიპოვა გურულმა ხალხმა ამოდენი მოთმინება, ამოდენი ზნეობრივი ძალა, რომ ერთ და იმავე დროს ორკეც უკეღმართობას გაუძლო და მით ფიზიკურად თუ არა ზნეობრივად მაინც დაამარცხა მის წინააღმდეგ მიმართული ბოროტი ძალა! ამის ახსნა არ შეიძლება მარტო მის გაჭირვებაში ვეძიოთ. განა სხვაგან ნაკლები გაჭირვებაა? განა სხვა ადგილას ნაკლებათ იტანჯება ხალხი? რასაკვირველია, არა. მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ გურულმა ხალხმა შეიგნო თავის დაბეჩავების და გაჭირვების მიზეზი, გაიგო, თუ საიდან მომდინარეობს სილატაკე და სიბეჩავე. იგი მიხვდა, რომ ამის თავიდათავი მიზეზი დღევანდელი ბიუროკრატიული წეს-წყობილება, რომელიც ხალხზე აბატონებს მთავრობის ყოვლად უვიცი მოხელეებს და რომელიც ყველაფერში მეიდრეს ესარჩლება და მომხრეობს. ამ უსამართლობის მოსასპობათ საჭიროა ბიუროკრატიული წეს წყობილების მოსპობა, მაგრამ ამას ვერ შესძლებს მარტო გურიის ხალხი, ამას უნდა შეებრძოლოს ყველა, სადაც კი გაჭირვე-

ბული ხალხი ცხოვრობს. ამისთვის კი საჭიროა, რომ გაჭირვებული ხალხი ყველგან გონს მოვიდეს, კარგად შეიგნოს, თუ რისთვის არის იგი გაჭირვებული და დაბეჩავებული.

გურული ხალხის ღრმა რწმენა, რომელიც ბ-ნ კრიმ-გირეის მოგზაურობის დროს გამოაშკარავდა და რომელიც ვერავითარი ფიზიკური ძალის საშვალებით ვერ აღმოიფხვრება მისი გულიდან, იმაში იხატება, რომ მისი აზრით სრულებით შეუძლებელია დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობიდან თავის დაღწევა, თუ არ დამყარდა ადამიანის პიროვნების სრული ხელუხლებლობა და თუ იმავე დროს არ იქნა აღიარებული აზრის, სიტყვის, წერის, კრების, კავშირის და გაფიცვის სრული თავისუფლება. საიდან უნდა გავიგოთ ხალხის გასაჭირი, მისი ვითარება, თუ ამის შესახებ არ შეიძლება ლაპარაკი, წერა, მსჯელობა. ხალხმა განაცხადა, რომ ჩვენ წერა-კითხვა ვიცით, ვკითხულობთ კიდეც გაზეთებს და წიგნაკებს, სადაც სხვა ქვეყნების ამბები სწერიაო, მაგრამ ჩვენს შესახებ, ჩვენს გაჭირვებაზე, იქ არაფერი ამოგვიკითხავს. ამავე დროს ჩვენ ხელში გვივარდება რაღაც ფურცლები, რომლებშიაც სწორედ ჩვენი დაბეჩავებული ცხოვრების შესახებ სწერია და ჩვენ იმას სიამოვნებით ვკითხულობთ, მაგრამ ამისთვის გვდევნიან და ნაობახშიაც გვაგდებენო! რატომ არის ეს ასე? რატომ ჩვენს გასაჭირზე თავისუფლად არ შეგვიძლია ვსწეროთ, ვილაპარაკოთ? ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ, რომ ჩვენ უფლება გვქონდეს თავისუფლად ვსწეროთ, კრებები მოვახდინოთ და მსჯელობა ვიქონიოთ ჩვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გურულმა გლეხებმა იმავე დროს განაცხადეს, რომ მარტო ჩვენ არ ვთხოულობთ ამას, ამას დღეს თითქმის მთელი რუსეთი თხოულობს, გარდა იმ ვაებატონებისა, რომელსაც რუსის ხალხის უბედურება სწადიაო.

გურული ხალხი თხოულობს აგრეთვე გადასახადების სამართლიან საფუძველზე მოწესრიგებას. როგორც ვიცით, ჩვენში არსებობს გადამხდელი წოდება. ხალხი თხოულობს, რომ ამნაირად დაყოფა მოისპოს, ყველა წოდება გათანასწორდეს და საზოგადო ხარჯების დასაფარავად ყველა უნდა იხდიდეს მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ვისაც მეტი შემოსავალი აქვს, იმას მეტი გადახდეს, ვისაც ნაკლები, იმან ნაკლები იხადოს და ვისაც მცირე შემოსავალი აქვს და ოჯახის რჩენა უჭირს, მაგ. წელიწადში 400-500 მან. იგი სრულებით უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი გადასახადისგან ხაზინის სასარგებლოდ. გარდა ამისა, უნდა მოისპოს არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც დაწესებულია სხვადა-

სხვაგვარ სახმარ ნივთებზე, როგორც მაგ., ნავთზე, შაქარზე, ჩაიზე, ასანთზე, თუთუნზე, არაყზე და სხვ., რადგანაც ყველა ეს გადასახადი უმეტეს ნაწილად ისევ გაჭირვებულ ხალხს აწვება კისერზეო. ხალხი თხოულობს აგრეთვე სალდათობის მოსპობას, რადგანაც სალდათებს დღეს თვით ხალხის წინააღმდეგ ხმარობენ და ეს დიდი უსამართლობაა, როცა ძმა იძულებულია თავის ძმის წინააღმდეგ იარაღი იხმაროს და მისი სისხლი დაღვაროს. თუ გარეშე მტრებისაგან საჭიროა სამშობლოს დაცვა, ამას თვით ხალხი იკისრებს და ქუდზე კაცი გამოვა ქვეყნის უზრუნველ საყოფელადო.

მაგრამ უმთავრეს საჭირბოროტო კითხვას სოფელში დღეს მიწის საჭიროება შეადგენს. ყველამ კარგათ იცის, თუ როგორ უთანასწოროდ არის დღეს მიწა განაწილებული: მაშინ, როცა უმცირესობის ხელში დიდძალი მიწებია, უმრავლესობა, ე. ი. მუშა ხალხი, ან სრულებით მოკლებულია მიწა-ადგილს, ან იმდენს ფლობს, რომ იმის საშუალებით თავის რჩენა არ შეუძლია. ამიტომ უმრავლესობა იძულებულია მემამულეებს მიმართოს და იმათგან აიღოს მიწა იჯარით. ამ გაჭირვებული მდგომარეობით სარგებლობენ მემამულეები და მიწებზე ადებენ ისეთ გადასახადს, ისეთ საიჯარო ქირას, რომ გლეხები ხარჯსაც ვეღარ ფარავენ იჯარით აღებული მიწების დამუშავებით. ასეთ გარემოებას ყოველგან დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია და გურიაშიაც ეს შეიქნა გლეხებისა და მემამულეების შეტაკების მიზეზად, რამაც თავის მხრით დღევანდელი მოძრაობა გამოიწვია. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა დღევანდელი უკმაყოფილებისა. ყველამ იცის, რომ ჩვენში ბატონ-ყმობა არსებობდა, რომელიც ამ ორმოცი წლის წინად გაუქმდა და გლეხები გაანთავისუფლეს. მაგრამ ეს განთავისუფლება სიტყვით იყო, ნამდვილად კი იმავე ნაბატონარის ხელში დატოვეს. საქმე იმაშია, რომ თუმცა გლეხებს მიუზომეს იმ მიწების ნაწილი, რომლებიც ბატონ-ყმობის დროს საკუთრივ იმათ სარგებლობაში იყო, „ნადელების“ სახით, მაგრამ ნამდვილად ეს „ნადელები“ წინანდელ მებატონეთა საკუთრებათ იცნეს, რისთვისაც გლეხებს ყოველ წლივ განსაზღვრული გადასახადი უნდა ეძლიათ ნაბატონარისთვის, ე. ი. მოსავლის მეოთხედი ნაწილი; მხოლოდ თუ მემამულეს ნება ექნებოდა, გლეხს შეეძლო თავის დახსნა, ანუ „ნადელის“ გამოყიდვა მემამულისაგან. ამ ორმოცი წლის განმავლობაში გლეხების ერთმა ნაწილმა მამასისხლად გამოიყიდა მემამულეებისაგან თავისი საკუთარი მიწები; მეორე ნაწილს კი დღესაც დაუხსნელი აქვს მემამულეებისაგან „სა-

ნადელო“ მიწები. ასეთი გარემოება გლეხებს დიდ უსამართლობათ მიაჩნიათ. მიწა არ შეუქმნია ადამიანის ხელს, იგი არ არის შრომის ნაყოფი, მაშასადამე, საიდან მოხდა, რომ ერთს თვალუწვდენელი ადგილები ეკუთვნის და მეორეს კი ფეხის დასადგამი მიწაც არა აქვს? გარდა ამისა, რისთვის მიაკუთვნეს მებატონეებს ის მიწები, რომლებითაც ბატონ-ყმობის დროსაც კი გლეხები სარგებლობდენ? ამასთანავე არ უნდა დავიიწყოთ, რომ „უსტავნი გრამოტების“ შედგენის დროს გლეხებს სრულებით ჩამოართვეს ყველა ტყე და საძოვარი ადგილები, რომლებითაც ისინი წინად სარგებლობდენ და რომელიც შემდეგ თავად-აზნაურობის საკუთრებათ იცნეს. გურული გლეხები ამაში ხედავენ დიდ უსამართლობას და ამიტომ ერთხმად თხოულობენ: გადახდილი ფულის უკან დაბრუნებას და ვინც აქამდის განთავისუფლებული არ არის, იმათ უფასოდ განთავისუფლებას. ამასვე თხოულობენ გლეხები სახელმწიფო გლეხებისთვისაც, რომლების მიწათმფლობელობა არაფრით არ არის განსაზღვრული და რომლების მდგომარეობა ამ მხრით კიდევ უფრო უარესია, რადგანაც დღეს ხაზინის უკანასკნელი მოხელეც კი მათი ბატონ-პატრონია. ყველა ამ კითხვების გამოსარკვევად და მოსაწესრიგებლად გლეხები თხოულობენ საგლეხო კომიტეტების დაწესებას. ეს კომიტეტები თვით გლეხებმა უნდა აირჩიონ და ამ კომიტეტების განკარგულებაში უნდა გადავიდეს ის მიწები, რომლებიც უნდა ჩამოერთვათ ეკლესია-მონასტრებს, მდიდარ მემამულეებს და საუფლისწულო უწყებას. კომიტეტები ეცდებიან ეს მიწები საჭიროების დაგვარად გაუნაწილონ გლეხებს. გურიის გლეხები ჯერ-ჯერობით არ თხოულობენ კერძო მიწათ-მფლობელობის გაუქმებას და მიწის საზოგადო საკუთრებად გამოცხადებას. // შრომის ექსპლოატაციას მხოლოდ მიწის კერძო საკუთრების მოსპობა მოუღებს ბოლოს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ შეუძლებელია. ჯერ-ჯერობით გლეხები მხოლოდ იმას თხოულობენ, რომ ბატონ-ყმობის ნაშთები სამუდამოდ გაუქმდეს და მიწის საიჯარო ქირა შემცირდეს.

გურული გლეხების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და ხალხის დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობიდან გამოყვანა შეუძლია მხოლოდ თვით ხალხის მიერ ამორჩეულ წარმომადგენლებისაგან შემდგარ მთავრობას; მხოლოდ ხალხის მიერ თავისუფლად არჩეულ წარმომადგენლებს შეუძლიათ ხალხის საჭიროებათა ცოდნა და მხოლოდ ისინი შესძლებენ ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა ღონისძიების ხმარებას.

ეს არის გურიის ხალხის გულის წადილი, მისი ღრმა რწმენა და შეხედულება. ეს გესმით თქვენ როგორც სახალხო ყრილობებზე, ისე კერძო ლაპარაკში. ამას იმეორებს დღეს იქ მოხუცი და ახალგაზრდა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი. მაგრამ გურული ხალხი მარტო სიტყვით არ ადგია ამ გზას, იგი მზადაა საქმით დაიცვას და გაიყვინოს ცხოვრებაში ის, რასაც სიტყვიერად აცხადებს. როგორც წინადაც ვამბობდით, გურული ხალხი ოცნებით არ არის გატაცებული, იგი დგას სინამდვილეზე. აი, რა გამოირკვა დღეს!

(ჟურნალი „მოგზაური" 6 მარტი 1905 წ. № 8)

გლეხ-კაცობის მოძრაობა ქართლში.

ამ უკანასკნელ დღეების განმავლობაში საზოგადოების და ჟურნალ-გაზეთების ყურადღება რამდენიმეთ მიპყრობილი იყო ქართლის გლეხ-კაცობაზე. გურიის გლეხ-კაცობის მოძრაობის შემდეგ ქართლის გლეხ-კაცობამაც ააყენა საზოგადოება და ხმა ამოაღებინა ჩვენს დიდი ხნიდან დაყრუებულ მწერლობას. ბევრს ქართლის გლეხობის მღელვარება გურიის ამბების გამოხმაურება ჰგონია: ფიქრობენ, რომ გურიის მოძრაობამ გავლენა იქონია ქართლის გლეხობაზე ისე, როგორც ქვემო და ზემო იმერეთის გლეხ-კაცობაზეო. ვთქვათ, რომ ეს მართლა ასეა, მაგრამ ჩვენი შეხედულებით ეს მხოლოდ გარეგანი კავშირია ამ ორ მოვლენას შორის, მიზეზი კი, როგორც ერთის, ისე მეორის უფრო ღრმა არის და იგი არ შეიძლება მარტო ზეგავლენით აიხსნას. ვინ არ იცის, რომ ამ ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში, ერთი მხრით, არსებობენ მემამულეები, მიწათმფლობელები ანუ თავადაზნაურობა და მეორე მხრით, მიწის მუშები, ანუ გლეხ-კაცობა. ვინ არ იცის, რომ პირველების ხელში მოგროვილია დიდძალი საუკეთესო სახნავ-სათესი მიწები, საძოვარი მინდვრები, ტყე, წყალი და სხ. მეორეები კი იმავე დროს დიდ გაჭირვებას იტანენ უმიწობის გამო. ვინ არ იცის, რომ უფლების მხრითაც გლეხ-კაცობა მოკლებულია ბევრ რამეს, რითაც შეიარაღებულია თავად-აზნაურობა და რაც საშუალებას აძლევს მას გლეხ-კაცობა შეავიწროვოს და დაჩაგროს. გარდა ამისა, ვინ არ იცის, რომ გადასახადია, თუ ბეგარა, ყველა გლეხ-კაცობას აქვს დაკისრებული, მემამულეები კი ყველა ამაებისაგან თავისუფალი არიან. მაშასადამე, იქ, სადაც ასეთი პირობებია, დაბეჩავება და შევიწროება აუცილებელი მოვლენაა და სადაც შევიწროებაა, იქ უკმაყოფილებაც უეჭველად ენდა იყოს. მაგრამ შევიწროება შუდამ ერთ წერტილზე როდია გაჩერებული; ინტერესთა წინააღმდეგობა თანდათან მწვავდება და მასთან ერთად მწვავდება და იზრდება საზოგადოების დაბეჩავებულ და შევიწროებულ ნაწილში უკმაყოფილება, რომელიც ჯერ კერძო არეულობებში და ამბოხებაში იჩენს თავს და შემდეგ კი ამბოხების ალი ედება მთელ დაბეჩავებულ და გალატაკებულ

წოდებას და იწყება საერთო მოძრაობა არსებული წეს-წყობილების მოსასპობათ. საქართველოში ალბათ იშვიათად მოიპოვება მეორე კუთხე, სადაც გლეხ-კაცობა ისე შეეიწროვებული იყოს, როგორც ეს ქართლშია. ჯერ კიდევ ბატონ-ყმობის დროსაც აქაური გლეხობა მეტად შეწუხებული იყო მებატონეებისაგან. ძნელია კაცმა წარმოიდგინოს ის, რასაც აქ ადგილობრივი მებატონეები გლეხებს აყენებდენ. ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ მდგომარეობა რამდენიმეთ შეიცვალა: გლეხის პიროვნება რამდენიმეთ განთავისუფლდა ბატონის აულაგმავი თვითნებობისაგან, მაგრამ ქონებრივად, ნივთიერად გლეხი ისევ ნაბატონარისაგან დარჩა დამოკიდებული, ასე რომ სიტყვები: გლეხი და ბატონი ისევ ძველებურად დარჩა ცხოვრებაში. ნაბატონარს ისევ ძველი ბატონის უფლება დაურჩა, გლეხი კი ისევ ძველ ბატონ-ყმურ მდგომარეობას უნდა შერჩენოდა. მართალია, ცხოვრებაში ახალმა სიომ დაჰბერა, ახალმა სხივმა შემოაშუქა კაპიტალისტური წარმოების სახით, მაგრამ მეურნეობაში ჯერ კიდევ ძველი წესი მეფობდა. მეორე მხრით, ფულის საპიროებამ სოფელშიაც იჩინა თავი, რადგანაც კაპიტალისტურმა მრეწველობამ საბოლოოთ მოჰკლა შინაური, ოჯახური მრეწველობა; გლეხს შერჩა მხოლოდ მეურნეობა, რითაც მას უნდა დაეკმაყოფილებია ყოველგვარი მოთხოვნილება. მაგრამ სასოფლო-მეურნეობისათვის კი საპიროა მიწა და სწორედ ეს მიწა აკლდა თავიდანვე გლეხობას. თუ ეს ასე იყო ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს, როცა გლეხებს მხოლოდ იმ მიწების ნაწილი მიუზომეს, რომლებითაც წინად ისინი სარგებლობდენ, რაღა უნდა მომხდარიყო შემდეგში, როცა გლეხ-კაცობა გამრავლდა და იმავე დროს სხვადასხვა გადასახადმა და მოთხოვნილებამ იმატა. მიწის სიმცირე გლეხობაში თანდათან უფრო და უფრო საგრძნობელი შეიქნა. იმავე დროს მემამულეების თვალშიაც, რაც დრო გადიოდა, მიწას ფასი სულ უფრო და უფრო ემატებოდა, ვინაიდან შემოსავლის სხვა წყარო იმათთვის თითქმის დახშული იყო. მიწის შემოსავალს ისინი ორ ნაირად, ორ სახით იღებდენ: ერთი დროებით ვალდებულ გლეხობისაგან სანადელო გადასახადი, მეორე — საჯარო ქირა იმ მიწების სარგებლობისათვის, რომლებსაც გლეხები იღებდენ ყანებათ. სანადელო გადასახადის რაოდენობა სამუდამოდ გადაწყვეტილი იყო, ე. ი. მოსავლის მეოთხედი, მაგრამ იგი მატულობდა იმდენად, რამდენადაც გლეხი აკეთებდა თავის „ნადელს", ამ ნადელების ისტორია მეტად საგულისხმიერო ამბავია. ავიღოთ ასეთი შემთხვევა: ჩვენ ვიცით, რომ ყველა ნაბატონარი გლეხი დროებით ვალდებული

შეიქნა თავის მებატონისაგან, დროებით ვალდებულ გლეხებს, თუ ნა-
ბატონარის ნება იქნებოდა და ჯიბეში ფული ექნებოდა, შეეძლო ამ
უკანასკნელისაგან გამოეყიდა თავის ნადელი; გლეხობის ერთმა ნაწილმა
მართლა გამოიყიდა ნადელი პირველ ხანებშივე. ვთქვათ, გლეხებს თავის
ნადელის გამოყიდვა, რომელიც 4-5 დესეტინისაგან შესდგებოდა, დაუ-
ჯდა 200-300 მანეთი. ჯერ ესეც უსამართლობა იყო, რომ გლეხებს
აყიდვინეს ის მიწები, რომლებითაც ისინი სარგებლობდენ ბატონ-ყმო-
ბის დროს. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ ის, რომ უმრავლესობას არა თუ
პირველ ხანებში, არამედ დღემდისაც ვერ მოუხერხებია თავის ,,ნადე-
ლების'' გამოყიდვა. და ახლა აი რა გამოდის,— ორმოცი წლის განმავლო-
ბაში დროებით ვალდებულმა გლეხებმა აკეთეს თავის სანადელო მიწა,
რითაც მისი ფასი თანდათან მაღლა იწევდა და იმავე დროს ყოველ წლივ
ნაბატონარსაც სულ მეტ გადასახადს აძლევდა. რომ ვიანგარიშოთ ყოვე-
ლივე, რაც დროებით ვალდებულმა გლეხებმა მისცეს მემამულეებს, გადა-
სახადის სახით, გამოვა, რომ ეს ამ ორმოცი წლის განმავლობაში რამ-
დენიმეჯერ გადაუხდიათ თავის ,,ნადელების'' ფასი, მაგრამ წარმოიდგი-
ნეთ, რომ ისინი დღესაც დროებით ვალდებული არიან, ისინი დღესაც
იხდიან მეოთხედს და გამოყიდვა რომ მოინდომონ, მემამულეები დღეს
იმათ ორწილ ფასს მოსთხოვენ, ვიდრე ამ ორმოცი წლის წინად; და
მემამულეების უმრავლესობა დღეს არც კი ახსნის თავს დროებით ვალ-
დებულ გლეხებს, ვინაიდან იმათთვის ბევრად უფრო ხელსაყრელია აიღონ
იმათგან მოსავლის მეოთხედი და იყოლიონ ისინი თავისგან დამოკიდე-
ბულად, ვიდრე თავი დაახსნან ერთხელ და სამუდამოთ, აქედან ადვილი
გასაგებია, რომ დღეს თავის დახსნა ანუ ,,ნადელების'' გამოყიდვა დრო-
ებით ვალდებულ გლეხებისათვის შეუძლებელ პირობებშია ჩაყენებული
და იმავე დროს კი იმათი მდგომარეობა თითქმის დიდათ არაფრით განირ-
ჩევა ბატონ-ყმურის მდგომარეობისაგან, რაც შეეხება საიჯარო ქირას,
ყველამ იცის, თუ როგორი სისწრაფით მატულობდა იგი ჩვენში ამ უკა-
ნასკნელ ხანებში. ქართლი, განსაკუთრებით გორის მაზრა, სადაც დღეს
ყველაზე მეტად გამწვავებულია მემამულეებსა და გლეხებს შორის დამო-
კიდებულება, ამ მხრით მეტად საინტერესოა. ეს დამოკიდებულება გამწვა-
ვებულია აქ კიდევ ხიზანთა კითხვით. სამწუხაროდ, ხიზნები უმრავლე-
სობისათვის უცნობი საგანია. ხიზნების მდგომარეობა დღემდისაც არ არის
გამორკვეული და განსაზღვრული, მთავრობაც იმათ შესახებ ორეოფ
გზას დაადგა, თუმცა ბოლოს, თანახმად მემამულეების სურვილისა, ისინი

ებრალო მეიჯარეებათ იცნო იმ მიწებზე, რომლებიც იმათ ხელსოვარ დროიდან ქონდათ ნაკეთები და ნათუთურები. მემამულეებს სრული უფლება მიანიჭა მთავრობამ ხიზნები გაეძევებიათ ამ მიწებ-დან. თუ რომ ეს უკანასკნელნი იმათ პირობებზე არ დათანხმდებოდენ. ეს კანონი პირდაპირ მემამულეების ხელოვნით გამოიცა; მთავრობა მარტო, მემამულეების საჩივარს აქცევდა ყურადღებას და ხიზნების მდგომარეობა კი დაივიწყა, მაგრამ ცხოვრებაში ხომ ძნელი, თითქმის შეუძლებელი იქნებოდა ამის განხორციელება, ეს ყველასათვის იმ თავიდანვე აშკარა უნდა ყოფილიყო. და ეს ასეც მოხდა, მაგრამ ჩვენ აქ ამაზე ვერ შეეჩერდებით. ღღეს საქმე მეტად სერიოზულ მიმართულებას ღებულობს.

მართალია, ის, რაც ღღეს გურიაში ხდება, ძალა-უნებლიეთ ჩვენ ქართლის ვითარებას გვაგონებს, მით უმეტეს, რომ ნიადაგი ერთი და იგივე არის, ე. ი. აგრარული განხეთქილება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ღღეს გურიის გლეხ-კაცობასა და ქართლის გლეხ-კაცობას შორის დიდ განსხვავებაა. მაშინ, როცა გურიის გლეხ-კაცობას შეგნებული აქვს თავისი მდგომარეობა და მომზადებულია მომავლისათვის, ქართლის და საზოგადოთ მთელი ტფილისის გუბერნიის გლეხობა ამ მხრით მეტად სამწუხარო სურათს წარმოადგენს. ბევრს, ვინც საქმის ვითარება არ იცის, ჰგონია, რომ გურიაშიც ის ხდებოდა, რაც ღღეს ქართლში ხდება. მაგრამ ეს ასე არ არის. გურიაში გლეხებს არ მოუხდენიათ არეულობა, არ უხმარიათ ძალა; ისინი მოქმედებდენ მშვიდობიანის გზით და ღღემდის ერთხელაც არ ულალატიათ საერთო საქმისათვის და მიაღწიეს იმას, რომ ღღეს მთელი ქვეყნიერება ჰკვირობს იმათ შესახებ.

სულ სხვას ვხედავთ ჩვენ ღღეს ქართლში. გლეხების მოძრაობას აქ არ ეტყობა თვითცნობიერების და მომზადების ნიშანი. ეს არის სტიქიური მოვლენა, როგორც წინადაც მრავალჯერ მომხდარა ქართლში; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ წინად ეს უფრო კერძო მოვლენას შეადგენდა და ღღეს კი იგი მთელ მაზრას ედება და არა თუ მარტო ერთ მაზრას, სხვა მაზრებშიაც გადადის და საერთო არეულობის ხასიათს ღებულობს. ახლა იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა ამ მოძრაობის შეჩერება და სასარგებლო იქნება თუ არა ეს შეჩერება? ჩვენის აზრით, მოძრაობის შეჩერება შეუძლებელია; ეს შედეგია დიდი ხნის განმავლობაში მიყენებული შევიწროებისა და დაბეჩავებისა. იმის მიზეზი არის ღრმა ეკონომიური განხეთქილება მეშამულეებსა და გლეხებს შორის. ეს არის იგივე მუშათა კითხვა, რომელსაც ასე უარსყოფენ ჩვენში დაპოქსებუ-

ლი მწერლები. მაგრამ ამის უარის ყოფა დღეს მხოლოდ სრულებით დაბრმავებულს თუ შეუძლია, თორემ სხვას არავის. საშიში აქ მხოლოდ ის არის, რომ დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში, როცა არ არის სიტყვის, პრესის, ყრილობის, გაფიცვის, კავშირის თავისუფლება, როცა ადამიანის პიროვნება არ არის ხელუხლებელი, მოძრაობისთვის არ არის უზრუნველსაყოფელი ნორმალური მსვლელობა, მხოლოდ ასეთ თავისუფლებ.ს შეუძლია მწარე განსაცდელისაგან დახსნა. ამიტომ ვისაც ხალხისთვის გული ეწვის, იგი ყოველი ღონისძიებით ამ თავისუფლების მოპოვებას უნდა ცდილობდეს. თავზარდაცემული მემამულეები, რომლებიც არა-კი გრძნობენ თავიანთ ძველ და ახალ ცოდვებს ხალხის წინაშე. საზოგადოებისაგან და პრესისაგან თხოულობენ დახმარებას და შველას, თითქო საზოგადოება და პრესა იმათი ყურმოჭრილი ყმა იყოს! მაგრამ როდის იყო, რომ ისინი საზოგადოებას და პრესას პატივს სცემდენ, როდის იყო, რომ იმათ სწამდათ როგორც პირველის, ისე მეორის ძალა და მნიშვნელობა? პირიქით, ისინი მუდამ ფეხ-ქვეშ თელავდენ როგორც პირველს, ისე მეორეს

და აი ახლა, როცა საზოგადოების ხმა მნიშვნელობას იძენს, როცა პრესა გავლენიან ძალად ხდება საზოგადოებაში, ხალხის მჩაგვრელები გამოდიან და საზოგადოებისა და პრესის დახმარებას თხოულობენ! ეს დიდი უგნურებაა, რომ მეტი არა ვთქვათ. მაგრამ ეს მიმართვა მეორე მხრით არის საყურადღებო: იგი მოწმობს, რომ თავად-აზნაურობას საკუთარი ძალა შ.მოჭკლებია და მთავრობისგანაც დახმარებას დღეს აღარ მოელის და აღარც მისი იმედი აქვს. იგი ინსტინქტიურად გრძნობს თავის სრულ გაკოტრებას და აღსასრულის მოახლოვებას. მას დღეს ეველარ უშველის ეველარც ძველებურათ ჯ ღინი: გლეხები და თავადები ძმები არიან და იმათ უერთმანეთოდ ცხოვრება არას გზით და არა საშუალებით ა ო შეუძლიათო. გლეხებმა უკვე კარგად შეიგნეს, თუ რას ნიშნავს თავად-აზნაურობასთან ძმობა და ერთობა, მაგრამ აქ იბადება მეტად სერიოზული კითხვა: რა სწადია მომავალში გლეხობას, რა იდეალი აქვს მას დასახული მომავლისათვის? ყოველივე კი დამოკიდებულია ამაზე.

კრიმ-გირეის მოგზაურობამ გურიაში რამდენიმეთ გამოარკვია, თუ რა სურთ დღეს გურულ გლეხებს და აგრეთვე ისიც, თუ როგორია იმათი მომავალი იდეალი, ქართველი გლეხ კაცობის შესახებ კი ჯერ არაფერი არ ითქმის, გარდა იმისა, რომ იგი მეტად ჩამორჩენილია და ეს

გარემოება კი მეტად დაშალონებელია. მეორე მხრით, ჩვენს პრესას და საზალხო მოღვაწეთ მეტად მოხერხებული და მარჯვე დრო უდგებათ, რომ განათლების და თვითცნობიერების ლამპარი შეიტანონ ქართლის გლეხ-კაცობაშიაც.

(ჟურნალი „მოგზაური" 13 მარტი
1905 წ. № 9).

დღევანდელი მდგომარეობა.

დღევანდელ საერთო განკითხვის დროს, როცა ყველა მჩაგვრელი და შემავიწროებელი იძულებული ხდება პასუხი აგოს ხალხის წინაშე იმისათვის, რაც რამ აქამდის ბოროტება და ცოდვა ჩაუდენია, ყველაზე უფრო დიდ ყურადღებას გლეხების მოძრაობა იქცევს. და მართლაც, ამ ათი წლის წინად რომ ვისმეს გლეხების მოძრაობის შესახებ საუბარი ჩამოეგდო, იმას ყველა მასხარად აიგდებდა. იმ დროს ჩვენში ქალაქის მუშების მოძრაობაც არაფრად მიაჩნდათ და პირდაპირ, აშკარად, უარყოფდენ ჩვენში მუშათა კითხვას. მაგრამ დღეს ყველა დარწმუნდა, რომ მუშების კითხვა ჩვენში სრულებით უსაქმო პირების გატაცება და ოცნება არ არის, არამედ—მას ღრმა ეკონომიური და პოლიტიკური საფუძველი აქვს თანამედროვე საზოგადოებრივ პირობებშ.. ამავე დროს საზოგადოებას თავზე დაატყდა მეორე არანაკლებ ყურადღების ღირსი საკითხი—საკითხი გლეხ-კაცობის მდგომარეობის შესახებ. ეს ყველასათვის მოულოდნელი იყო და უმრავლესობას ეს საკითხი დიდხანს არ სჯეროდა. და მართლაც, ვის ეგონა, რომ სოფლის გლეხ-კაცობა ამოდენა ხნის განმავლობაში მარტო სიბეჩავესა და შევიწროებას დაჩვეული და გონება დახშული, თვალებს გაახელდა, ხმის ამოღებას გაბედავდა და თავისი მდგომარეობის გაუმჯობესობას მოითხოვდა? ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენი მიყრუებული სოფლები, სადაც ბატონ-ყმობის დროიდან დარჩენილი წესები და პოლიციელთა მათრახი ბატონობდა, სადაც ცოცხალი აზრის ან სიტყვის გაგონება ყოვლად შეუძლებელი იყო, ისე გაბედულად და ენერგიულად მოითხოვდენ ადამიანურ უფლებებს? და აი, ეს დაუჯერებელი გარემოება დღეს ცხადი შეიქნა, სინამდვილეთ იქცა. გურიის გლეხებში დაწყებული მოძრაობა დღეს თითქმის მთელ ამერ-იმერის გლეხობას მოედვა. მთელი გლეხობა, როგორც ერთი კაცი, ზიზღს უცხადებს ძველ წესწყობილებას, სპობს ყოველგვარ კავშირს მთავრობის ყოველგვარ დაწესებულებასთან და თხოულობს ხალხის წარმომადგენლების მიერ არჩეულ მართვა-გამგეობას. წინადაც ვამბობდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ გლეხების დღევანდელი მოძრაობა დაიბადა და გაიზარდა ეკონომიურ

ნიადაგზე, ე. ი. ამ მოძრაობის თავიდათავი მიზეზი უპირველეს ყოვლისა მიწის სივიწროვე ან სრულიად უმიწობა იყო გლეხებში. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ გლეხების დღევანდელი მოძრაობა მარტო ეკონომიური შევიწროვებით ავხსნათ. ვინ არ იცის, რომ გლეხებში დღეს ბევრია ისეთები, რომლებსაც მიწა-ადგილი ბევრათ იმაზე მეტი აქვთ, რაც თვითონ სჭირდებათ თავის სარჩენათ და რომლებიც გაპირვებულ გლეხებს იჯარით აძლევენ მიწებს. ესენი შეადგენენ სოფლის ბურჟუაზიას. მეორე მხრით, არიან ან სრულებით უმიწა-წყლოთ დარჩენილი (ბოგანო) ან მცირე მამულის პატრონი გლეხები, რომლებიც იძულებული არიან მეზამულეებიდან აიღონ იჯარით მიწები, რომ სიმშილისაგან არ დაიხოცონ.

ერთი სიტყვით, აქ ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ მაშინ, როცა გლეხების ერთი ნაწილი, ე. ი. მისი უმრავლესობა, ეკონომიურად შეკიწროვებული და დაჩაგრულია, მისი უმცირესი ნაწილი,—სოფლის ბურჟუაზია, ამ მხრით, რასაკვირველია შედარებით, უზრუნველყოფილია. ამნაირად, აშკარაა, რომ გლეხ-კაცობის ამ ორ ჯგუფს შორის ეკონომიური განხეთქილება არსებობს; მაგრამ მიუხედავათ ამისა, დღეს გლეხობა, როგორც ერთი კაცი, ამოძრავებულია და თავის უკმაყოფილებას უცხადებს დღევანდელ მართვა-გამგეობას და წესწყობილებას, ერთხმად თხოულობს ამ წეს-წყობილების ძირიანად შეცვლას. რით აიხსნება ასეთი შეერთებული მოქმედება? უეჭველად უნდა იყოს ისეთი რაჰ, რაც ერთ და იმავე მდგომარეობაში აყენებს როგორც გაღატაკებულ ბოგანო გლეხს, ისე სოფლის შეძლებულ გლეხობასაც. რაში გამოიხატება ეს მდგომარეობა? დღეს ეს ყველასათვის აშკარა შეიქნა.

გლეხებმა უკვე შეიტყვეს, რომ, მართალია, ამ ორმოცი წლის წინად მოხდა ბატონების და ყმების გათიშვა, ე. ი. ბატონ-ყმურ ურთიერთობის გაუქმება, მაგრამ ეს გაუქმება მარტო სიტყვიერი გამოდგა, საქმით გლეხი თითქმის იმავე ბატონ-ყმურ ურთიერთობაში დარჩა. ეს ბატონ-ყმური დამოკიდებულება მარტო იმაში როდი გამოიხატება, რომ გლეხები მიწა-ადგილების მხრით შეავიწროვეს და საესებით ყოფილ მებატონეებისაგან დამოკიდებული გახადეს, არამედ კიდევ უფრო იმაშიაც, რომ გლეხებისთვის შექმნეს განსაკუთრებული კანონი, რომლის ძალით გლეხები გამოყოფილია ყველა დანარჩენ წოდებებიდან და აღიარებულია დაბალ, გადამხდელ, მოხარკე წოდებათ. ამავე კანონის ძალით გლეხ-კაცობას დაუკისრეს ყოველგვარი გადასახადი და ბეგარა როგორც

მემამულეების, ისე ხაზინის სასარგებლოდ. გარდა მემამულეებისა, ნაბატონარებისა, გლეხობას კიდევ მეორე ბატონი მიუჩინეს. ეს გახლავთ პოლიცია ანუ ადმინისტრაცია. მთავრობის ეს ორგანო, დაწესებულება, ლამობდა ყველაფრის ჩანთქვას, ყველაფრის თავის ბრეკალებში მოძწყვდევას. იგი ერეოდა და ეჩხირებოდა ყველაფერში: ხალხი მის თვალში შეიქნა რაღაც გაუგებარი, გონება დახშული, ყველაფრის ამტანი, უენო მასა, რომელსაც როგორც უნდოდა, ისე ექეოდა. გლეხობას ვითომც უფლებაც მიანიჭეს თავისი საქმეები თვითონ მას ეწარმოებია; მას ჩაგონეს, რომ მთავრობა შენთვის ზრუნავსო. გლეხები მართლაც ირჩევდენ მამასახლისებს და სოფლის სხვა მოხელეებს, მაგრამ ეს მათ მიერ არჩეული პირები ნამდვილად პოლიციის სრული მორჩილი იყვენ, მხოლოდ მისი სურვილის ამსრულებლები იყვნენ, ასე რომ, პოლიციას ვინც უნდოდა იმას ირჩევდა და აყენებდა მამასახლისად; ამიტომ ეს მამასახლისები ხალხის მტანჯველებად გადაიქცენ. ხალხს დაარსებინეს სკოლები, ვითომც გონების გასანათლებლად, მაგრამ ნამდვილად კი სკოლა— ეს წმინდა ტაძარი—გონების დასაბრმავებელ იარაღად გადააქციეს, სადაც ბავშვს უფრო ამახინჯებენ და რყვნიან, ვიდრე ცხოვრებისათვის ამზადებენ. ადმინისტრაციამ ვითომც არც ხალხის ჯანმრთელობა დაივიწყა: გლეხებს გაუმართეს სასოფლო საავადმყოფოები, მაგრამ საქმე მოაწყვეს ისე, რომ ეს წმიდა საქმეც თავის მოხელე ჩინოვნიკებს ჩაუგდეს ხელში, რომლებიც მხოლოდ თავის ჯიბის გასქელებაზე ფიქრობდენ და არა ხალხის ჯანმრთელობაზე. ჩინოვნიკ-ექიმს ფეხებზე ჰკიდია ავადმყოფი გლეხი, ოღონდ მან ფულები აიღოს; ამიტომ ჩინოვნიკ-ექიმების ხელში სასოფლო საავადმყოფოები გადაიქცა ხალხის საყვლეფ იარაღად; და იმავე დროს კი სასოფლო საავადმყოფოები გლეხ-კაცების ფულით ინახება და იქიდან კი გლეხებს კინწის-კვრით ერეკებიან ჩინოვნიკი-ექიმები. სად არის აქ სამართალი? და ამის შემდეგ კი გასაკვირალია, რომ ხალხი ანგრევს და სწვავს სკოლებს, გალახვას და მოკვლას ემუქრება ჩინოვნიკ-ექიმებს?

სასტიკი და მიუტოვებელი ცოდვა იქნება, თუ აქედან იმ დასკვნას გამოვიყვანთ, რომ ხალხს არ სურს სწავლა, რომ იგი არაფრათ აგდებს წამლობას და ექიმობას. ეს არის დღეანდელი წეს-წყობილების შედეგი. აი სადამდის ბიიყვანეს და როგორ გააბოროტეს ხალხი!

განსაკუთრებით იტანჯება აქ გლეხ-კაცობა, როგორც წოდება და აი, სწორედ ამიტომ ამოძრავდა იგი ამ წეს-წყობილების წინააღმდეგ. ამ-

ბობენ, რომ თუ თავად-აზნაურობა დაუმთობს და ზოგ შეღავათს მიანიჭებს გლეხებს, შეიძლება, ეს უკანასნელნი დაკმაყოფილდენ, დაწყნარდენ და ძველ ცხოვრებას დაუბრუნდენო. ამის თქმა ან გაუგებრობაა და ან თავისი თავის დატყუილება; გლეხების მოძრაობა მიმართულია დღევანდელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების წინააღმდეგ; გლეხები თხოულობენ ბატონ-ყმური ურთიერთობის ნაშთის სრულიად გაუქმებას. ეს წეს-წყობილება ხელს უშლიდა და აბრკოლებდა ქვეყნის ეკონომიურ წარმატებას, საწარმოვო ძალთა სრულ განვითარებას. ხალხი დაბორკილი იყო. მართალია, პირადი დამოკიდებულება ბატონსა და ყმას შორის მოისპო ამ ორმოცი წლის წინად, მაგრამ ხალხს ერთის მაგიერ ორი ბატონი გაუჩნდა: ერთი იყო ძველი ნაბატონარი, რომელსაც მთავრობამ მიაკუთვნა გლეხების სარჩო-საბადებელი მიწა-წყალი; მეორე იყო ყოვლის შემძლე ადმინისტრაცია, რომელმაც ხალხი შებოჭა და შეიპყრო. გლეხები დღეს აშკარად ხედავენ, რომ მარტო მემამულეებისაგან თავის დახსნა მათ ვერაფერს უშველის, თუ ახლანდელი მართვა-გამგეობის წესი შენახული იქნა. დღევნდელი წეს-წყობილების ძირითადი ცვლილება იქნება მხოლოდ პირველი ნაბიჯი და ამ პირველ ნაბიჯს მთელი გლეხ-კაცობა ერთად გადადგამს. ეს ნაბიჯი იქნება ხალხის პოლიტიკური განთავისუფლება, პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება. ამას სხვა ნაბიჯები მოყვება მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სოფლის გაჭირვებული, ბოგანო ხალხი ჩამოშორდება სოფლის ბურჟუაზიას და მთელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეუერთდება ქალაქის მუშა ხალხს. მაგრამ დღეს კი საერთო მტრის მოშორებაა საჭირო.

დადგა დრო, დრო განკითხვის, როცა ძველი წეს-წყობილება უნდა სამუდამოთ დაინგრეს. ზოგიერთები ფიქრობენ, ვითომც შეიძლებოდეს ძველ წეს-წყობილების ხსნა. იმათი შეხედულებით ამისთვის საკმარისია ზოგი რამ დათმობა, შეკეთებ-შემოკეთება. იყო დრო, როცა დათმობა მეტად მიაჩნდათ, მაგრამ დღეს ამით აღარავინ დაკმაყოფილდება. გაიხედ-გამოიხედეთ გარშემო და თქვენ დაინახავთ, თუ რა ხდება: უკმაყოფილებას და პროტესტს არსებული წესწყობილების წინააღმდეგ აცხადებენ არა მარტო ქალაქის მუშები, არამედ—სოფლის გლეხ-კაცობაც; არა თუ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალთაობა, არამედ საშუალო და დაბალ და თითქმის პირველდაწყებითი სკოლების შეგირდებიც, არა მარტო მამაკაცები, არამედ—დედაკაცებიც, არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ—მოხუცებულებიც. ერთი სიტყვით, დღევანდელი მოძრაობა არ

არის წუთიერი, იგი არ' არის გამოწვეული კერძო ხასიათის უკმაყოფილებით, იგი მოწმობს, რომ ჩვენი დღევანდელი საზოგადოებრივი და სახელმწიფო წესწყობილება ყოვლად უვარგისი და გამოუსადეგარია და სანამ იგი არ შეიცვლება, მშვიდობიანი ცხოვრების დამყარება ყოვლად შეუძლებელია. უნდა მოისპოს დღევანდელი პოლიციური წეს-წყობილება და მის ნაცვლად უნდა დამყარდეს უფლებრივი წეს-წყობილება, სადაც უზრუნველყოფილი უნდა' იქნეს ადამიანის პიროვნების ხელშეუხებლობა, აზრის, სინიდისის, სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირის და გაფიცვის თავისუფლება. უნდა დაარსდეს ხალხური მთავრობა, ამორჩეული თვით ხალხის მიერ. მხოლოდ ამ ძირითად ცვლილებების შემდეგ შესაძლებელი იქნება ხალხის კულტურული განვითარება და წარმატება.

(ჟურნალი „მოგზაური“ 20 მარტი,
1905 წ. № 10).

ვის ატყუილებენ?

დღევანდელმა მოძრაობამ არა მარტო ბიუროკრატიას დაუფრთხო ძილი და დაუბნია გზა-კვალი და დავთარი, ასევე მოუვიდა ჩვენი ინტელიგენციის ერთ ნაწილს, რომელიც ნაციონალ-დემოკრატიული დროშის ქვეშ მოქმედებს და რომელიც ხალხის სამსახურის სახელით სულ სხვა რამეებს ასაღებს. დღევანდელი მოძრაობა ამ ვაჟბატონებისთვის სრულებით მოულოდნელი იყო. იმათ მშრომელი ხალხი უკუნურ და ბრიყვ ბრბოთ მიაჩნდათ, რომელსაც რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო. იმათ ეგონათ, რომ ხალხში რაიმე სერიოზული მოძრაობა იმათ დაუხვარებლად და უხელმძღვანელოთ თავს ვერ იჩენდა. იმათი აზრით, ყოველივე ეს იმათზე იყო დამოკიდებული, იმათ მიერ შემუშავებულ პროგრამასა და გეგმაზე. მართალია, ისინი აქა-იქ, ქალაქებში, ამჩნევდენ მუშების მოძრაობას, მაგრამ ამას იმათ თვალში მნიშვნელობა არ ქონდა და უფრო კი ეს მოძრაობა, იმათი შეხედულებით, ყოვლად შეუსაბამო და მავნებელი იყო, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგებოდა იმათ მისწრაფებას და იმათ სურვილებს.

მაგრამ თუ ეს მოძრაობა ქალაქის მუშებიდან სოფელშიაც გადავიდოდა და სოფლის გაჭირვებულ ხალხშიაც იფეთქებდა, ამას ისინი არასოდეს არ დაიჯერებდენ. უფრო მეორედმოსვლას იწამებდენ, ვიდრე გლეხკაცობის დღევანდელ მოძრაობას. ასეთი შეხედულება, ერთი მხრით, იქიდან მომდინარეობდა, რომ ეს ვაჟბატონები, რომლებიც თავის თავს ინტელიგენტებათ და ქვეყნის მარილად სთვლიდენ, სრულებით არ უკვირდებოდენ ცხოვრებას, არ ცდილობდენ იმის გაგებას და დანახვას, თუ თვით ხალხში რა ხდებოდა. მეორე მხრით, ამ გაუგებრობის მიზეზი ის იყო, რომ ზოგიერთები განგებ იბრმავებდენ თვალებს, განგებ უარყოფდენ იმას, რაც ხდებოდა თავის ყოვლად შეუსაბამო და შემცდარ შეხედულებათა გასამართლებლად. ამის დასამტკიცებლად შორს წასვლა არ არის საჭირო. საკმარისია გავიხსენოთ, თუ რას სწერდენ ამ ერთი წლის წინად ჩვენს გაზეთებში. განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ხსენებული ვაჟბატონები ერთხმად გაიძახოდენ, რომ მუშების მოძრაობა ჩვენში ნა-

ძალადევია, იმას არა აქვს საფუძველი, რომ მუშათა კითხვა ჩვენში ძალათ შეთხზული და გადმოღებულია უცხოეთიდან, რომ მას ჩვენში ნიადაგი არა აქვს, და ვინც ჩვენში ამის შესახებ ლაპარაკობს, ამას ქადაგებს და ამაზე სწერს, ის ჩვენი ქვეყნის, ჩვენი „ერის“ მოღალატე და მტერიაო. ამ ვაჟბატონების მოძღვრება აი რაში გამოიხატება: ქართველ მუშა ხალხს სტანჯავს და ყვლეფს არა ქართველი მემამულე, არა ქართველი კაპიტალისტი, არამედ უცხო მემამულე, უცხო კაპიტალისტი. ქართველი მუშა თუ გაჭირვებაშია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ არა გვაქვს ქართული სახელმწიფო. ამიტომ ქართველი მუშა ერთი მხრით და ქართველი მემამულე და ბურჟუა-კაპიტალისტები, მეორე მხრით, უნდა შეერთდენ და ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა შეებრძოლონ უცხო მემამულეებს და უცხო კაპიტალისტებს და მოიპოვონ ავტონომია, შექნან ქართული სახელმწიფო. ერთი სიტყვით, ქართველმა, ქალაქის მუშა იქნება იგი თუ სოფლელი გლეხი, თავის მდგომარეობა უნდა დაივიწყოს და ხელი შეუწყოს თავის გაყვლეფაში ქართველ მემამულეებს და ქართველ ბურჟუებს. შორს მისგან თვითცნობიერება, შორს მისგან თავისი მდგომარეობის შეგნება! ქართველმა, მუშა იქნება იგი თუ მემამულე, უნდა შეიგნოს მხოლოდ ის, რომ იგი ქართველია, ქართველი ერის წევრი. ამას ჰქვია ეროვნული პრინციპი, რომელიც ღაღადებს, რომ ჩვენ ყველანი განურჩევლად თავადებისა თუ გლეხებისა, კაპიტალისტებისა თუ მუშებისა, ქართველი ვართ, ყველანი ერთ ტაფაში ვიწვით. ამიტომ ჩვენში, კლასთა შორის ბრძოლაზე ლაპარაკი კი არ არის საჭირო, ეს მავნებელიც არის, არამედ— ჩვენმა მუშებმა უნდა შეიგნონ, რომ ჩვენთვის, როგორც ერისთვის, საჭიროა გვქონდეს დამოუკიდებელი ეკლესია, რომ ჩვენ გვყავდეს ქართველი უფროსები და იყოს ქართული მართვა-გამგეობა. გარდა ამისა საჭიროა მოვითხოვოთ, რომ ეკლესიებში, სკოლებში და სასამართლოებში ხმარობდენ ქართულ ენას. აშკარაა, რომ ამის ქადაგებას არაფერი საერთო არა აქვს მშრომელ ხალხის, როგორც ქალაქის, ისე სოფლის ცხოვრებასთან. აშკარაა, რომ ყოველივე ეს არ შეიცავს ხალხის ინტერესების დაცვას; აქ უარყოფილია ხალხის ნამდვილი მოთხოვნილებანი, ის, რაც დღეს მას აწუხებს და აღელვებს. მეორე მხრით, ეროვნული პრინციპის ქადაგებით ხალხს თვალებს უხვევენ, რომ ის ნამდვილ გასაჭირზე არ დაფიქრდეს, თავის დაჩაგრულ მდგომარეობას ყურადღება არ მიაქციოს. საბედნიეროდ ამ უკუღმართ მიმართულებას ასცდა ჩვენი ხალხი; ასეთმა მავნე შეხედულებამ მასში ვერ მოიკიდა ფეხი.

ხალხმა უფრო ფხიზელი თვალით შეხედა თავის მდგომარეობას. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც დღევანდელ პირობებში ხალხის დატყუილება ისე ადვილი აღარ არის, როგორც ეს წინად იყო. ხალხმა თავისი მოთხოვნები თვითონ შეიმუშავა, თვითონ გაიკვალა ის გზა და ის მიმართულება, რომელსაც იგი დღეს ადგას; მან თვითონ აღნუსხა ის კითხვები, რომლებიც სინამდვილემ წამოაყენა.

მაგრამ ამ ბოლო დროს ჩვენმა ნაციონალისტებმა ტაქტიკა შესცვალეს. დღეს, როცა ხალხის მოძრაობამ ასეთი დიდებული სახე მიიღო, ამ ვაჟბატონებმა გაიგეს, რომ ისინი სრულებით გარიყულნი ყოფილან დღევანდელი ცხოვრებისაგან, რომ იმათ ქადაგებას და იმათ პროგრამას ხალხში არავითარი გასავალი არა აქვს, რომ თავისი ნაციონალურ-ბურჟუაზიული პროგრამით ისინი სრულებით განცალკევებული დგანან. ეს ადვილი ასატანი როდია, მეტადრე ჩვენი ნაციონალისტებისათვის, რომლებიც ხალხის მეთაურებად სახავენ თავის თავს. და აი, რა მოისაზრეს ამ ვაჟბატონებმა: მოდი ეს ხალხის მოძრაობა ჩვენი პროგრამის განსახორციელებლად გამოვიყენოთო. თქმა და საქმის დაწყება ერთი იყო. მაგრამ რა პირით, რა სინიდისით უნდა მიემართათ ხალხისთვის? პირდაპირ თავის ნამდვილ პროგრამის გამომჟღავნება რომ ვეღარ გაბედეს, აიღეს დიდი ხნიდან შემუშავებული პროგრამა, ჩამოაცალეს ზოგი მუხლები, ზოგიც თავის პროგრამიდან ჩააკერეს და ამის შემდეგ სრულებით დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იმათ ოინბაზობას ვერავინ გაიგებდა. მაგრამ იმათი მეცადინეობა ფუჭეთ ჩაივლის, როგორც წინადაც ჩაუვლია ხოლმე. თუ მართლა მშრომელ ხალხის ინტერესების დაცვა სურთ, თუ მართლა იმის სამსახური სწადიათ, რაღა საჭირო იყო უკვე შემუშავებული და მიღებული პროგრამის თავის სურვილისამებრ შეცვლა და გადამახინჯება? რაღა საჭირო იყო იქ ისეთი მუხლების ჩამატება, რომლებსაც არაფერი საერთო არა აქვს მუშა ხალხთან? მაგრამ მაშინ ისინი ხომ ნაციონალისტები აღარ იქნებოდენ.

აქ გარემოება ნებას არ გვაძლევს უფრო დაწვრილებით შევეხოთ ჩვენი ნაციონალისტების პროგრამას და იგი ამად არც კი ღირს. და თუ დღეს მკითხველის ყურადღება მივაქციეთ ამას, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მეტად დამახასიათებელი მოვლენაა. იგი აშკარად მოწმობს, რომ ჩვენს ნაციონალისტებს ხალხის ცხოვრებაში არავითარი გავლენა აღარ აქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თავიანთ მოთხოვნილების გვერდით მუშების მოთხოვნებს კი არ მოაქცევდენ. ზოგიერთმა შეიძლება გვითხრას,

რომ იმათ შეეძლოთ სრულებით არ მოეხსენებიათ მუშების მოთხოვნებიო. რასაკვირველია, შეეძლოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი რჩებოდენ განზე, ხალხის გარეშე; და ეს კი მათთვის სასიამოვნო არ იყო. ამიტომ თავის ნაციონალისტურ პროგრამაში შეიტანეს რამდენიმე მუხლი მშრომელი ხალხის შესახებ მუშების თავისკენ გადასაბირებლად. მუშების ძალაში დღეს ყველა დარწმუნდა და ეს ძალა ესაჭიროებათ ჩვენს ნაციონალისტებსაც. ამიტომ დასჭირდათ იმათ მუშების გადაბირება. ეს გარემოება მეტად საგულისხმიერო და საყურადღებოა.

დღეს ყველამ წამოყო თავი; წარმოიდგინეთ, ისინიც კი, რომლებსაც წინად ეშინოდათ არა თუ აშკარა პროტესტის განცხადება, არამედ ოთხ კედელს შუა ხმის ამოღებაც არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ, დღეს ფეხზე წამოდგენ, ბანკეტებს მართავენ, რეზოლიუციებს სწერენ და საჯაროდ პროტესტს უცხადებენ მთავრობას.

როგორ მოხდა ეს? რამ გააბედვინა იმათ ასეთი ნაბიჯის გადადგმა? უმრავლესობა ამას დღევანდელ ომს აწერს, სახელდობრ, რუსის ჯარის დამარცხებას მანჯურიაში. ეჭვი არ არის, რომ ამ გარემოებამ დიდი გავლენა იქონია დღევანდელ მოძრაობაზე, დააჩქარა ის, რაც, ადრე იქნებოდა თუ გვიან, მაინც უეჭველად უნდა მომხდარიყო. მაგრამ, როგორც წინადაც ვამბობდით, დღევანდელი მოძრაობა არ დაწყებულა გუშინ, იგი დიდი ხანია მზადდებოდა. ვინ არ იცის, რომ მშრომელი ხალხი დიდი ხანია აცხადებდა პროტესტს დღევანდელი ბიუროკრატიული წეს-წყობილების წინააღმდეგ და თავგამოდებული იბრძოდა მის მოსასპობათ; დღევანდელ მოძრაობასაც სათავეში მხოლოდ მუშა ხალხი უდგას. მხოლოდ მისმა მკერდმა შესძლო, რომ დღეს ძირიანად შეირყა არსებული ბიუროკრატიული წეს-წყობილება. და დღეს, როცა ბიუროკრატიის თვითნებობა რამდენიმეთ აილაგმა, როცა ყოვლის შემძლე ბიუროკრატიის ძალა და განმავლობა რამდენიმეთ შესუსტდა, სხვადასხვა ჯურის ლიბერალებმა თავი წამოყვეს და მოწინავე როლს კისრულობენ. ამათ აღარ ახსოვთ ისინი, რომლებიც ამ დიდებულ საქმეს მთელ თავის სიცოცხლეში ემსახურებოდენ. დღეს ესენი ყვირიან ყველაზე ფეხრო და მშრომელი ხალხის როლს აფუჩეჩებენ. ამიტომ საჭიროა, რომ ამ უკანასკნელებმა გარეშეს არ გადასცენ თავისი ბედი, როცა გადაწყვეტაზე მიდგება საქმე.

სოფლის და ქალაქის მუშებმა უნდა იცოდენ, რომ იმათი მოძრაობით უწინარეს ყოვლისა სხვები მოითბობენ ხელს, თუ დიდი სიფრთხილე არ გამოიჩინეს პირველათვე. კარგ გაკვეთილს იძლევიან ამ მხრით ჩვენი

ნაციონალ-დემოკრატები. იმათ იციან, რომ სოციალიზმის განხორციელება სამერმისო ხაქმეა და ამიტომ არაფერს არ წააგებენ ახლა, თუ მუშებს დაპირდებიან, რომ დიდი ძომხრე ვართ სოციალიზმის, მხოლოდ თქვენ გონიერი კაცები ხართ და უნდა იცოდეთ, რომ დღეკ-დღეობით იმის განხორციელება ხომ არ შეიძლება, და ამიტომ ეს მერმისათვის გადავდვეთ, ახლა კი თქვენ ჩვენ პროგრამაზე დაგვყევითო. თუ რაში მდგომარეობს ეს პროგრამა, ეს ჩვენ რამდენიმედ უკვე ვიცით, მაგრამ ფუქე და ამაოა ხსენებული ვაჟბატონების იმედი. დღეს მშრომელი ხალხი იმდენათ მომზადებული კი არის, რომ ასეთი რამეებით შეიძლებოდეს მისი მოტყუილება. ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ ისინი უფრო თავის თავს ატყუილებენ.

(ჟურნალი „მოგზაური", 27 მარტი
1905 წ. № 11).

წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა.

მთელი რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა დღეს გამუდმებით ლაპარაკობს და მსჯელობს ხალხის წარმომადგენლების კრებაზე, რომელიც ახლო მომავალში უნდა მოხდეს. იმავე დროს მთელი რუსეთის ხალხი, განურჩევლად წოდებისა თუ სქესისა მოუთმენლად მოელის იმ სანატრელ დღეს, როცა რუსეთის ხალხის მიერ თავისუფლათ ამორჩეული წარმომადგენლები შეიკრიბებიან და დააფუძნებენ რუსეთში ისეთ წეს-წყობილებას, რომელიც გაანთავისუფლებს ხალხს ბიუროკრატიის და პოლიციის ბატონობისა და მტარვალობისაგან და მიანიჭებს მას სრულ უფლებას თვითონ განაგოს და მოაწყოს თავისი საქმეები. იმ ურიცხვ ადრესების, პეტიციების, რეზოლიუციების და მოთხოვნების აზრი, რომელსაც დღეს ყოველგან ადგენენ და გაზეთებში აცხადებენ ის არის, რომ მოისპოს ბიუროკრატიის თვითმპყრობელობა და დაფუძნდეს წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა ისე, როგორც ეს დღეს ყველა განათლებულ ქვეყნებშია. რასაკვირველია, ეს წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა საზოგადოების ყველა ჯგუფებს, ყველა პარტიებს ერთნაირად როდი ესმით, ანუ უკეთ რომ ვთქვათ: თითეულ საზოგადოებრივ ჯგუფს ანუ კლასს თავის საკუთარ ინტერესების კვალობაზე სურს წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობის დაფუძნება; შესაძლებელია ისიც მოხდეს, რომ ხალხის წარმომადგენლობა ამ ახლო მომავალში მხოლოდ სიტყვით განხორციელდეს, ნამდვილად კი ხალხის უმრავლესობის, ე. ი. მშრომელი, მუშა ხალხის, ქალაქის პროლეტარიატის და სოფლის გაჭირვებულ გლეხკაცობის დღევანდელი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობის შემოღების შემდეგაც ისევ დაუკმაყოფილებელი დარჩეს. ყოველივე ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვისგან და როგორ იქნებიან არჩეული ხალხის წარმომადგენლები პირველი დამფუძნებელი კრებისათვის და როგორ მოაწყობენ თვით წარმომადგენლობით მართვა-გამგეობას. შემდგარი იქნება ეს ახალი მართვა-გამგეობა ორი, ქვედა ზედა, თუ მხოლოდ ერთი, პალატისაგან? ყოველივე ეს წინდაწინვე უნდა იქნას აწონილ-დაწონილი, გამორკვეული. მართალია, წარსულ

ცხოვრებაში რუსეთის ხალხს არ აქვს ამის გამოცდილება, თავის წარსულიდან ჩვენ არ შეგვიძლია ყოველივე ამის ცოდნა, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ სხვა განათლებული ქვეყნების გამოცდილებით და მაგალითით და ამ თავითვე არ გავიმეოროთ ის შეცდომები, რომლების გასწორება შემდეგში უეჭველად ხელახალ მსხვერპლს მოითხოვს. მაგრამ ეს კი დიდ მუშაობას და მეცადინეობას ითხოვს ჩვენგან. დღევანდელი წაბი მარტო იმით კი არ არის შესანიშნავი, რომ ძველი ბიუროკრატიული წეს-წყობილება ირღვევა, არამედ კიდევ უფრო იმით, რომ დღეს ახალი წეს-წყობილების შენობა უნდა აიგოს, და აი, სწორედ აქ მართებს საზოგადოებას და განსაკუთრებით მშრომელ ხალხს ბრძოლის უნართან ერთად დიდი გამჭრიახობის და შორსმჭვრეტელობის გამოჩენა.

ყოველივე იმისაგან, რაც დღეს ჩვენს გარშემო ხდება, სიტყვით თუ საქმით, ორი დასკვნის გამოყვანა შეიძლება: 1) უნდა აუცილებლად დაწესდეს ხალხის მიერ ამორჩეული მთავრობა, ე. ი. წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა; და 2) იმის იმედი ტყვილა ნურავის ექნება, რომ ეს განახორციელოს ბიუროკრატიამ; მხოლოდ თვით საზოგადოებას, თავისი საკუთარი ძალით, შეუძლია ამის განხორციელება. სანამ განვიხილავდეთ იმას, თუ როგორ უნდა მოეეზადოთ მომავალი ახალი მართვა-გამგეობის განსახორციელებლათ, რაც შეიძლება ფართო დემოკრატიულ საფუძველზე, რამდენიმე სიტყვით განვმარტოთ აქ, თუ რაში გამოიხატება, რას წარმოადგენს საზოგადოთ ის ახალი საზოგადოებრივი წეს-წყობილება, ე. ი. წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა, რომლის განხორციელებისაკენ ჩვენ მივისწრაფით. ამას ჩვენ აშკარად დაგვანახვებს დღევანდელი ბიუროკრატიული წეს-წყობილების მოკლედ დახასიათება.

დღეს რუსეთში ბიუროკრატიის სრული ბატონობაა. რუსეთის ხალხს მართავს ერთი მუჭა მსხვილი, ბობოლა მოხელეებისა. ამ მოხელეებს ხალხთან არავითარი კავშირი, გარდა ბრძანებლობისა, არა აქვთ. ისინი განუკითხავად ბრძანებლობენ. ბიუროკრატიას კარები მჭიდროდ ჩაკეტილი აქვს; იგი არავის ანგარიშს არ აძლევს თავის მოქმედებაში და არავის წინაშე პასუხისმგებელი არ არის. მას რაც სურს, იმას ჩაიდენს, როგორიც ესიამოვნება, ისეთ კანონებს გამოსცემს; მაგრამ ამ კანონებს მის თვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; მას შეუძლია ეს კანონები ყოველი ფეხის ნაბიჯზე დაარღვიოს. მისთვის არავითარი სავალდებულო კანონი არ არსებობს, გარდა მისი თვითნებობისა. კანონებს იგი მხოლოდ

ხალხისთვის სცემს. მაგრამ რა არის კანონი? კანონი საზოგადოებრივ ცხოვრების მოთხოვნილებათა გამომხატველი და ამ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი საშუალებაა. ხალხის მოთხოვნილება, საზოგადოებრივი ცხოვრების საჭიროებანი, ვინ იცის, თუ არ თვით ხალხმა, თვით საზოგადოებამ? ამიტომ კანონების გამოცემა პირდაპირ ხალხს უნდა ეკითხებოდეს, პირდაპირ ხალხზე უნდა იყოს დამოკიდებული. მაგრამ ბიუროკრატია ამას ყურადღებას არ აქცევს. მისთვის ხალხი საშუალებაა და არა მიზანი. კანონები მისთვის საჭიროა თავის ასეთ პოზიციის გასამაგრებლათ, რაც იმავე დროს ხალხის დაჩაგვრას და შევიწროებას მოასწავებს. მაგრამ ბიუროკრატიამ არა მარტო კანონების გამოცემა ჩაიგდო ხელში, იგი იმავე დროს დაეპატრონა სასამართლოს და მის ორგანოებს. სასამართლო, ეს სიმართლის და ჭეშმარიტების დამცველი ორგანო, ბიუროკრატიამ თავის მონა-მორჩილად გაიხადა. სასამართლო ბიუროკრატიის ხელში სიმართლეს და ჭეშმარიტებას კი აღარ ეესახურება, არამედ—იმავე ბიუროკრატიის სურვილებს ემორჩილება. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ბიუროკრატია დღეს არა თუ იგონებს და სცემს კანონებს, არამედ თვითონვე კისრულობს ცხოვრებაში ამ კანონების გაყვანას, თვითონ მისივე ხელშია აღმასრულებელი უფლებაც. ამნაირად, ეს ორი ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფო ფუნქცია ე. ი. კანონმდებლობითი და აღმასრულებელი უფლება, თვითმპყრობელმა ბიუროკრატიამ მიისაკუთრა. ყოველგან, გარდა, რასაკვირველია, რუსეთისა, სპარსეთისა და ოსმალეთისა, ეს ორი სხვადასხვა ფუნქცია ერთი მეორისაგან განცალკევებულია, ე. ი. კანონმდებლობითი კრება ანუ პარლამენტი ცალკეა და აღმასრულებელი ორგანო, სამინისტრო, ცალკე. ბიუროკრატიის ასეთ თვითმპყრობელობას მოყვა ის, რომ რუსეთში გამეფდა სრული თვითნებობა არა მარტო მაღალი, დიდხარისხოვან და წარჩინებულ მოხელეების, მინისტრების, არამედ სულ უბრალო მოხელისაც—უკანასკნელი პოლიციელის და გოროდოვოის. პოლიციას და ადმინისტრაციას ნება აქვს ვინც უნდა გაჩხრიკოს, ვინც უნდა დაიჭიროს, ციხეში ჩასვას, გადაასახლოს, ამისათვის მას არ სჭირია სასამართლოს მიმართოს და ან კანონს დაემორჩილოს. ამნაირად მთელი სახელმწიფოს საქმეებს განაგებს დღეს პოლიციის დეპარტამენტი. ყველაფერი დღეს ამ ორგანოზე ჰკიდია, უიმისოდ ფეხის გადადგმაც შეუძლებელია. ასეთმა სისტემამ შექმნა ის, რომ დღეს მთელი რუსეთის ხალხი თვალუწვდენელ უფსკრულის წინ დგას. ერთი ნაბიჯი კიდევ, ამ სისტემის თანახმად გადადგმული, და მთე-

ლი საზოგადოების დაღუპვა აუცილებელი იქნებოდა. რუსეთის საზოგადოება თითქო თვალ-ახვეული მიისწრაფოდა ამ უფსკრულისაკენ. მაგრამ ერთბაშად მან თვალი გაახილა და წინ შესაზარი და საშინელი სურათი წარმოუდგა. მან დაინახა თავის დაჩაგრული, დამონავებული მდგომარეობა; მან დაინახა, რომ მას ჯეკნიდენ, ცარცვავდენ, ანადგურებდენ, გონებას უხშობდენ და თვალებს უხვევდენ. დაინახა და შეშინდა! მაგრამ მან ჩქარა მოიკრიბა ღონე, გადახედა თავის განვლილ ცხოვრებას, დაუკვირდა თავის დღევანდელ მდგომარეობას და გადასწყვიტა, რომ შეიძლება ხსნა, დაღუპვისაგან გადარჩენა. მაგრამ ეს აღარ შეუძლია დღევანდელი მართვა-გამგეობის მოთავეს—ბიუროკრატიას. ეს ძალუძს მხოლოდ თვით ხალხს, მის მიერ არჩეულ მთავრობას. ხალხმა უნდა დაიბრუნოს ის უფლებები, რომლებიც მას ბიუროკრატიამ წაართვა. ეს არ არის ადვილი საქმე. ბიუროკრატიას დღეს დიდი ძალა აქვს ხელში ხალხს წინააღმდეგობა გაუწიოს და იგი არაფერს დაზოგავს, რომ ხალხი დაამარცხოს და ისევ ძველებურად განუკითხველ მდგომარეობაში ამყოფოს. ვინ გაიმარჯვებს ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში,—ამას ახლო მომავალში გავიგებთ; მხოლოდ ის კი უნდა ვიცოდეთ, რომ ბიუროკრატიის მხრით დათმობას ნურავინ ნუ მოელის. ერთად ერთ დათმობათ შეიძლება ის ჩავთვალოთ, რომ მთავრობა თანახმაა ხალხის წარმომადგენლები მოიწვიოს ზოგიერთ საკანონმდებლო კითხვების შესამუშავებლად. მაგრამ როგორ უნდა მოიწვიონ ხალხის წარმომადგენლები, ან ვინ უნდა აირჩიოს ესენი? რა უფლებები ექნებათ იმათ საკანონმდებლო კითხვების გადაწყვეტაში,—ამის შესახებ არავინ არაფერი არ იცის. შეიძლება, აქ ისეთ წარმომადგენლებზეა ლაპარაკი, რომლების მსგავსნიც არა ერთხელ მოუწვევია სათათბიროდ ბიუროკრატიას. მაგრამ განა ასეთი წარმომადგენლები დააკმაყოფილებენ დღეს ხალხის მოთხოვნილებას? განა ასეთ წარმომადგენელთა კრებიდან უნდა მოველოდეთ ჩვენ დღევანდელ წეს წყობილების შეცვლას, ბიუროკრატიის ბატონობის მოსპობას და ხალხის თვითმპყრობელობის დაფუძნებას? არა და ათასჯერ არა! არის მხოლოდ ერთად ერთი საშუალება, რომელიც მიანიჭებს ხალხს ყველა იმ უფლებებს, რომლებიც მას წართმეული აქვს. ეს საშუალება ანუ ეს იარაღი არის **დამფუძნებელი კრება**. ეს კრება უნდა შესდგეს ხალხის წარმომადგენლებისაგან, რომლებსაც ხალხი .აირჩევს სრულებით თავისუფლად საყოველთაო, პირდაპირი, საიდუმლო და თანასწორი ხმის უფლებით. ასეთი საარჩევნო უფლება დღეს აღიარებულია საუკეთესოდ;

მართალია, დღეს რუსეთში, სადაც ხალხი გაუნათლებელია და სადაც ამიტომ ხალხს თავის მტერ-მოყვარის გარჩევა გაუძნელდება, შეიძლება ადვილად მოხდეს, რომ ხალხმა თავის ინტერესების დამცველებათ თავისივე მტრები აირჩიოს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ჩვენ ვერ ვუარყოფთ ამ საუკეთესო საარჩევნო უფლებას. ამ საარჩევნო უფლებასთან ერთად ჩვენ ვთხოულობთ არჩევნების წინ თავისუფალ პროპაგანდას და აგიტაციის, ე. ი. ვთხოულობთ პიროვნების შეუხებლობას, სიტყვის, ბეჭდვის, კრებების, კავშირების და გაფიცვის თავისუფლებას. მხოლოდ ამ პირობებში უნდა მოხდეს ხალხის წარმომადგენლების არჩევა. ამიტომ საყოველთაო და პირდაპირმა არჩევნებმა ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს, რომ ხალხი ვერ შესძლებს თავის მტერ-მოყვარის გარჩევას. ყველაფერი კი, რაც ამ უფლებას შეზღუდავს, იმავე დროს შეზღუდავს ხალხის უფლებას. ეს შეზღუდვა შეიძლება სხვადასხვა ნაირად, სხვადასხვა გზით მოხდეს; მაგ., როცა ხალხი პირდაპირ არ ირჩევს თავის წარმომადგენლებს საკანონმდებელო კრებაში, არამედ იგი ირჩევს იმ პირებს, რომლებმაც შემდეგ უნდა აირჩიონ წარმომადგენლები. ამ სისტემით ხალხი რამდენიმედ ჰკარგავს თავის გავლენას მართვა-გამგეობაზე. ხალხის უფლების შეზღუდვა შეიძლება კიდევ იმ შემთხვევაში, როცა არჩევის და ამორჩევის უფლება ეძლევა მხოლოდ იმათ, ვისაც განსაზღვრული ნივთიერი ქონება აქვს, ან ვისაც რაიმე. განათლება მიუღია. ამ შემთხვევაში ხალხის დიდ უმრავლესობას არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აღარ ექნება და ამიტომ საკანონმდებლო კრებაში თავისი წარმომადგენლები აღარ ეყოლება; და ამიტომაც იმათ საჭიროებაზე იქ ხმას არავინ ამოიღებს. საკანონმდებლო კრება უნდა იყოს ერთი და იქ საბოლოოთ უნდა წყდებოდეს ყოველგვარი კითხვა; იგი უნდა იმუშავებდეს და სცემდეს კანონებს, იგი უნდა არჩევდეს ამა თუ იმ გადასახადის შემოღების თუ გაუქმების საკითხს და მის წინაშე უნდა იყვეს პასუხისმგებელი აღმასრულებელი ორგანო, ანუ სამინისტრო. ხალხის წარმომადგენლობის განსახორციელებლათ ამასთანავე კიდევ ორი უმთავრესი პირობაა საჭირო; ერთი ისა, რომ საკანონმდებელო კრება ანუ, პარლამენტი მოკლე ვადიანი იყოს, ე. ი. მისი წევრები დიდი ხნით არ ირჩეოდენ, მეორეც ისა, რომ ხალხის წარმომადგენლებს ხაზინისაგან ჯამაგირი უნდა ეძლეოდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სახალხო, ანუ საკანონმდებლო კრებაში მონაწილეობის მიღების საშუალება მხოლოდ

ვდიდრებს ექნებათ და ღარიბები კი იძულებული შეიქნებიან იქ მუშაობას თავი დაანებონ.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მეტად რთული საგანია და ასეთ წერილში მისი სავსებით გარჩევა ყოვლად შეუძლებელია... იმედი გვაქვს, რომ ამ კითხვას ჩვენ კიდევ ჩქარა დავუბრუნდებით.

(ჟურნალი „მოგზაური" 1905 წ.
10 აპრილი, № 13).

მ ქ ა დ ა გ ე ბ ე ლ ი.

ამ ორი ათასი წლის წინად, მთაზე, რომელიც ქ. იერუსალიმს დაჰ-ყურებს, ებრაელების მაშინდელმა მთავრობამ სიკვდილით დასაჯა, ჯვარზე ჩამოკმით, ერთი მქადაგებელი, რომელიც იმავე მთავრობამ შემდეგი სახელწოდებით მონათლა: „იესო ნაზარეველი, მეუფე ურიათა". ამ სახელწოდებაში გამოიხატებოდა ის დამცირება და დაცინვა, რომელსაც მთავრობა დასჯილი მქადაგებელის სახელს უცხადებდა. მაგრამ გაეიდა დრო, მთავრობამ უზომო ზიზღი დაიმსახურა და დასჯილმა, დამცირებულმა და შეურაცყოფილმა მქადაგებელმა კი კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა. ვინ იყო ეს მქადაგებელი? რისთვის დასაჯეს იგი ასე სასტიკად? ვინ იყვნენ ისინი, რომლებმაც იგი სიცოცხლეს გამოასალმეს?

ეს მქადაგებელი იყო უბრალო მშრომელი ხალხიდან გამოსული, შვილი იოსებისა და მარიამისა. ისინი კი, რომლებმაც იგი დასაჯეს, იყვენ მღვდელ-მთავრები, მწიგნობარნი, ხუცები, ე. ი. მაშინდელი მთავრობა თავისი პოლიციით და ჟანდარმებით. ყველა ესენი იცავდენ არსებულ წესწყობილებას, ზნე-ჩვეულებებს და სარწმუნოებას, ვინაიდან ეს იმათთვის სასარგებლო იყო. ხალხი კი უზომოთ იტანჯებოდა, ყოველივე ეს აწვა მას კისერზე, იგი იძულებული იყო ყოველივე ეს ეთმინა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სასტიკი, ულმობელი სასჯელი მოელოდა მთავრობისაგან. მქადაგებელმა მოიწადინა ხალხის განთავისუფლება, მან გამოუცხადა არსებულ წეს-წყობილებას სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. იგი მოევლინა ქვეყანას იმიტომ, რომ ყოველივე არსებული დაენგრია და სრულებით ახალი დაეფუძნებია. „მცნებასა ახალსა მოგვცემ თქვენ, რათა იყვარებოდეთ ურთიერთს, ვითარცა მე შეგიყვარე თქვენ, რათა თქვენცა იყვარებოდეთ ურთიერთს" (სახ. იოან. XIII, 34), ძველმა სჯულმა არ იცოდა სიყვარული, იქ ყველაფერი შურისძიებაზე იყო დამყარებული; თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ,—აი რაში იხატებოდა მაშინდელი ზნეობა. იესომ თავის ქადაგების დაწყებისთანავე გამოაცხადა, რომ იგი მოევლინა ქვეყანას „მახარობელთა გლახაკთა"

(ლუკ. IV, 18). ,,მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისვენო თქვენ'' (სახ. მათეს XI, 28). ამიტომ მის გარშემო შეიკრიბა ურიცხვი ხალხი; იგი გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეში და ყოველგან ხალხს უქადაგებდა ძმობას, ერთობას და თანასწორობას. ხალხი მაშინვე მიემხრო იესოს, რადგანაც მასში დაინახა თავისი მხსნელი; სამაგიეროდ მას გადაემტერენ ყველა ძლიერნი ამა ქვეყნისა. პირველად იმათ ასეთ საშუალებას მიმართეს: მოინდომეს ხალხის თვალში მისი დამცირება, სახელის გატეხა. ვინ არის იგი, რომ რაიმე კარგის ქმნა შეეძლოს? განა იგი ღარიბ-ღატაკი იოსების შვილი არაა? ეს ის არ არის, რომლის ძმები აქ სიმშილით იხოცებიანო? განა მაგას რა უნდა შეეძლოსო? ამ ხერხმა რომ ვერ გასჭრა, მაშინ მოინდომეს მისი გამოცდა ცოდნაში, მაგრამ აქაც უმტყუნა მათ ბედმა. იესო ზედმიწევნით მცოდნე გამოდგა და თავისი პასუხით იგი უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა თავის გამომცდელთ. მაშინ იესოს მტრებმა გადასწყვიტეს სრულებით მისი თავიდან მოშორები, ე. ი. მისი სიკვდილი. ამისთვის საჭირო იყო მისი შეპყრობა. მქადაგებელმა კარგად იცოდა, რომ მას მთავრობა არ აპატიებდა ხალხის სასარგებლოდ მოქმედებას. ამიტომ მასაც არ ეძინა. იგი სიფრთხილით იქცეოდა. იესომ იცოდა, რომ მას დიდძალი ხალხი თანაუგრძნობდა და იგი მზად იყო მისთვის თავი დაედვა. ამიტომ იგი დღე არავის არ ერიდებოდა და ყოველგან თამამად ქადაგებდა. მას ღამ-ღამობით ეშინოდა დაჭერის და შეპყრობის, რადგანაც მთავრობა ასეთ კაცს მხოლოდ ღამე იჭერს და მეორეც ისა, რომ ღამე იგი მარტოდ რჩებოდა. მაგრამ იესომ მაინც იცოდა, რომ ადრე იქნებოდა თუ გვიან, მას დაიჭერდენ და სიცოცხლეს გამოასალმებდენ. ამიტომ იგი ამზადებდა თავის მოწაფეებს, რომ მისი მოძღვრება გაევრცელებიათ, როცა იგი უკვე აღარ იქნებოდა. იგი არ უმალავდა იმათ, რომ ამისათვის ისინი იქნებიან დევნილი და წამებული: ,,ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყვიდენ ხორცნი, ხოლო სულისა ვერ ხელეწიფების მოკვლა'' (მად. X, 28). იესო უწყოდა, რომ ახალი მოძღვრება, რომელსაც იგი ქადაგებდა, ვერ განხორციელდებოდა ძველი წეს-წყობილების ფარგალში: ,,არავინ შთაასხას ღვინო ახალი თხიერთა ძველთა, რათა არა განხეთქნეს ღვინომან ახალმან თხიერნი, და ღვინო დაითხიოს და თხიერნი წარწყმდენ. არამედ ღვინო ახალი თხიერთა ახალთა ჯერ არს შთასხმათ''. (ლუკ. V, 37-38). იესოს მოძღვრების განსახორციელებლად საჭირო იყო არსებული წეს-წყობილების დანგრევა და ახლის შექმნა. ეს კი მოითხოვდა

ბრძოლას, რაც კარგათ იცოდა თვით მქადაგებელმა. იგი მოელოდა ამას და ასე ასწავლიდა თავის მოწაფეებს: „რა ჟამს გესმოდენ ბრძოლანი და ამბავნი ბრძოლათანი, ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ არს ეს ყოფად, რამეთუ აღსდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა, და მეუფება მეუფებასა ზედა. და იყვენ ძვრანი ადგილ-ადგილ, და იყვენ სიყმილნი და შფოთნი. ესე ყოველი დასაბამი სალმობისა არს. ხოლო ეკრძალენით თქვენ თავთა თქვენთა, რამეთუ მიგცემდენ თქვენ შესაკრებელთა და კრებულთა, შორის გტანჯვიდენ თქვენ და წინაშე მეუფეთა და მთავართა წარსდგეთ ჩემთვის საწამებლათ მათდა... და იყვნეთ თქვენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათვის, ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდენ“. (მარკ. XIII, 7-13). ამასობაში მღვდელ-მთავარნი, მწიგნობარნი და მთავარნი ყოველ ღონისძიებას ხვარობდენ, რომ რაიმენაირად იესო შეეპყრათ და მოეკლათ.. მაგრამ, რადგანაც იცოდენ, რომ ხალხს უყვარდა თავისი მოძღვარი, ისინი ამისათვის საიდუმლოთ ემზადებოდენ, ვინაიდან ეშინოდათ ხალხის ამბოხების და შფოთის. იმათ უნდოდათ იესოს ჩუმად შეპყრობა. ამ მიზნით იმათ მოიყიდეს იესოს ერთი მოწაფეთაგანი, იუდა, რომელიც ამნაირად შეიქნა თავისივე მოძღვრის მოღალატე და გამცემელი. ერთ სალამოს გეთსიმანიის ბაღში, სადაც იესო მარტოდ მარტო მისცემოდა ღრმა ფიქრებს, მასთან მიკიდა იუდა ისკარიოტელი, ერთი მისი მოწაფეთაგანი და მასთან პოლიცია და ჟანდარმები, წარგზავნილი მღვდელ-მთავართა, მწიგნობართა და მთავართაგან, შეიარაღებული წათებითა და მახვილებითა, „მათ დასხნეს მას ზედა ხელნი და შეიპყრეს იგი“. ეს იყო ერთ და იმავე დროს ძალმომრეობაც და სილაჩრეც მთავრობის მხრივ; რაც ვერ მოეხერხებიათ დღე, იგი შეასრულეს ღამე. იესო იძულებული იყო დამორჩილებოდა ამ ძალმომრეობას, გარეგან ფიზიკურ ძალას, მაგრამ შეუძლებელი იყო, რომ ამ გარემოებას იგი არ აღეშფოთებია; და მან აღელვებულმა წარმოსთქვა: „ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოხვედით თქვენ მახვილითა და წათებითა შეპყრობად ჩემდა. დღითი-დღე ვიყავ მე თქვენთანა ტაძარსა მას შინა. და არა განყავთ ხელი ჩემზედა, არამედ ესე არს ჟამი თქვენი და ხელმწიფება ბნელისა“ (ლუკ. XXII, 52-53). ამნაირად, ასეთი საზიზღარი საქმის ჩადენა შეეძლოთ მხოლოდ ღამე, ბნელაში და ეს დღესაც ასეა.

შეპყრობის შემდეგ იესო წაიყვანეს მღვდელ-მთავრის სახლში. იქ უნდა ეწამებიათ იგი; ეშოვნათ ცრუ მოწამენი და შემდეგ სიკვდილით

დაესაჯათ. სანამ სიკვდილით დასჯიდენ, მისთვის არ დაუკლიათ არავითარი დამცირება და შეურაცყოფა: იმას სცემდენ, პირში აფურთხებდენ, აცმევდენ სხვადასხვა ტანსაცმელს და ბოლოს ეკლის გვირგვინიც დაადგეს თავზე. დასასრულ იგი ჯვარს აცვეს, მაგრამ იესოს მტრებმა დაიმორჩილეს მხოლოდ მისი სხეული, მისი ხორცი. რაც შეეხება მის სულს, მის მოძღვრებას, მათ არ ძალ ედვათ მისი დამორჩილება, მათ განკარგულებაში არ იყო ამის აღმოფხვრა.

საზოგადოთ მიღებულია, რომ ამა ქვეყნის ძლიერნი, გაბატონებულ წოდებათ თუ კლასებს ჩვეულებათ აქვთ თავის საწინააღმდეგო მოძღვრების ჩასაქრობად და მოსასპობად, ამ მოძღვრების მაღიარებელნი და მიმდევარნი შეიპყრან და დასაჯონ. მათ ვერ შეუგნიათ იესოს სიტყვები: ,,ნუ გეშინინ მათგან (ე. ი. მთავრობისაგან), რომელთა მოსწყვიდენ ხორცნი, ხოლო სულისა ვერ ხელმწიფების მოკვლად''. იესოს მოძღვრება ვერ მოსპეს მათ. რომ მისი დამფუძნებელი სასტიკად აწვალეს, დატანჯეს და მოკლეს, თვით მოძღვრებისათვის ეს უფრო სასარგებლო შეიქნა.

იესოს მოძღვრება ქრისტიანობის სახელით ჩქარა გავრცელდა იმათში, ვინც დაჩაგრული, შეწუხებული და დაბეჩავებული იყო. ქრისტიანობა მალე მოედვა ქვეყნიერებას. იგი შეიქნა განსაკუთრებით ღატაკთა, გლახაკთა, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა სარწმუნოებათ მაგრამ გავიდა ხანი და ქრისტიანობამაც იცვალა ფერი; ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ეს სარწმუნოება მიიღეს ძლიერებმა ამა ქვეყნისამ. საუკუნოების განმავლობაში იესოს მოძღვრება სრულებით შესცვალეს და გადაამახინჯეს.

(ჟურნალი „მოგზაური" 1905 წ. 17 აპრილი № 14 „№"-ის ფსევდონიმთ).

დღევანდელი ვითარება.

რუსეთის ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ხანა უკვე დამთავრდა და დღეს ჩვენ ამ მოძრაობის მეორე ხანაში ვიმყოფებით. ამ ორ ხანას შორის, მიუხედავათ იმისა, რომ იმათ სულ მცირე დრო ყოფს, დიდი განსხვავებაა. პირველ ხანაში დღევანდელ მოძრაობას არ ჰქონდა მიღებული გარკვეული სახე. საზოგადოების სხვადასხვა ელემენტების, ჯგუფების თუ კლასების წარმომადგენელთა განცხადებაში თუ მოთხოვნებში იხატებოდა საერთო უკმაყოფილება არსებული ბიუროკრატიული წეს-წყობილების წინააღმდეგ. ყველანი თითქმის ერთხმად გაიძახოდენ, რომ დღევანდელ პირობებში ცხოვრება აღარ შეიძლება. ეს იყო პირველი, თუმცა მედგარი, მაგრამ ჯერ კიდევ გამოურკვეველი და განუსაზღვრელი პროტესტი.

დიდი ხნიდან დაყრუებული და დამუნჯებულ საზოგადოებას უეცრივ, თითქმის მოულოდნელად მიეცა საშუალება საჯაროდ, აშკარად და დაუფარავად გამოეთქვა თავის გულის წადილი, თავის ნაღველი და გასაჭირი; ხანგრძლივმა მონობამ, ბიუროკრატიის სრულმა და განუკითხავმა ოპეკამ და მისმა სასტიკმა და ულმობელმა ზომებმა ყოველგვარი ცოცხალი აზრის, თავისუფალი სიტყვის და აზროვნების აღმოსაფხვრელად მიმართულმა, საზოგადოება დააშინა, დაბეჩავა და გაათახსირა. და თუ ასეთ საზოგადოებაშიაც შესაძლებელი შეიქნა მედგარი და ენერგიული პროტესტის გამოცხადება, არსებული წეს-წყობილების დაგმობა, ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ საზოგადოება აუტანელ პირობებში იყო ჩაყენებული, რომ იმას გასაქანი აღარ ქონდა: ან უნდა განეგრძო ცხოვრება ძველებურად, რაც მის დაღუპვას მოასწავებდა, ან შეჩერებულიყო და დაეგმო ყოველივე ის, რამაც იგი ამ უფსკრულამდე მიიყვანა.

როგორც ვთქვით, საზოგადოებამ ეს უკანასკნელი გზა აირჩია. ასეთი იყო საზოგადოების გამოფხიზლების პირველი ნაბიჯი, რაც დღევანდელ მოძრაობის პირველ ხანად უნდა ჩაითვალოს.

საზოგადოებამ, ანუ უკეთ. რომ ვთქვათ სხვადასხვა საზოგადოებრივმა ჯგუფებმა და კლასებმა ჯერ კიდევ სრულებით არ იცოდენ, თუ

რა გამოვიდოდა, როცა ისინი უკმაყოფილებას აცხადებდენ და დღევანდელ წეს-წყობილების ძირიანად შეცვლას თხოულობდენ. მაგრამ პირველ ციებ-ცხელებას უნდა ჩქარა გაევლო. საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებსა და ელემენტებში სხვაგვარი მუშაობა უნდა დაწყებულიყო და დაიწყო კიდეც. და აი, აქ გამოირკვა, რომ გარდა ბიუროკრატიული რეჟიმისა, რომელიც ყველას სულს უხუთავს, რომელიც ყველასათვის აუტანელად შექმნილა, დღევანდელ საზოგადოებას კიდევ მეორენაირი სატ კივარი აწუხებს. ჩვენ ვამბობთ იმ განხეთქილებაზე, იმ წინააღმდეგობაზე, ოომელიც არსებობს მშრომელ, მუშა ხალხსა და მუქთახორა ბურჟუა-კაპიტალისტებს შორის. მართალია, ეს განხეთქილება აქამდისაც აშკარა იყო, მაგრამ დღეს ეს კიდევ უფრო ნათელი შეიქნა. უკიდურეს კონსერვატიულ ელემენტებს რომ თავი დავანებოთ, რუსეთის ბურჟუაზიის უმდიდრესმა ნაწილმა (შიპოვისტები), ერთი მხრით, და თავადაზნაურობის უმრავლესობამ, მეორე მხრით, უკვე შეიმუშავეს თავისი პოლიტიკური პროგრამა, რომლითაც უარყვეს სახელმწიფო წეს-წყობილებაში ძირითადი ცვლილების მოხდენა და თავის თავი გამოაცხადეს თვითმპყრობელობის მომხრეებად და დამცველებად. რაც შეეხება ინტელიგენტთა ჯგუფებს, როგორიც არიან ლიტერატორები, პროფესორები, ექიმები, ინჟინრები და სხვ. ესენი, მართალია, თხოულობენ დემოკრატიული ხასიათის რეფორმების მოხდენას და უწინარეს ყოვლისა დამფუძნებელი კრების მოწვევას, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ხალხთან დაშორებული არიან, თუმცა იმავე დროს თავიანთ მოთხოვნებს ხალხის, უფრო ხშირად მშრომელი ხალხის სახელით ასაღებენ. თავის-თავად იგულისხმება, რომ ყველა ესენი უმეტეს ნაწილად ბურჟუაზიის წარმომადგენლები და მათი იდეოლოგები არიან. ამიტომ დღეს თითქმის ყველა კრებებსა და მიტინგებზე პირველ ადგილას წამოყენებულია პოლიტიკურ თავისუფლების საკითხი და თითქმის სრულებით მიფუჩეჩებულია სოციალური ხასიათის კითხვები; მხოლოდ მუშა ხალხის პროგრამაში შედის 8 საათის სამუშაო დღის შემოღება და სხვა ამავე ხასიათის მოთხოვნები.

სამწუხარო აქ ის არის, რომ მუშა ხალხს, რომელმაც წარმოშობა მთელი ეს მოძრაობა, რომელმაც შესაძლებელი გახადა, რომ დღეს რუსეთის დაბა-ქალაქებში და თითქმის სოფლებშიაც იმართება კრებები და მიტინგები, სადაც რუსეთის ბურჟუაზიის წარმომადგენლები და იდეოლოგები იმუშავებენ და აცხადებენ თავიანთ პოლიტიკურ მოთხოვნებს, სრულებით ივიწყებენ და მხოლოდ სიტყვის დასამშვენებლად თუ იხსენიე-

ბენ მის სახელს. იმას არავინ კითხულობს, თუ ვინ უდგას სათავეში დღევანდელ მოძრაობას, თუ ვინ ასულდგმულებს და მატებს მას ცხოველ-მყოფელ ძალას. ერთად ერთი გასამართლებელი საბუთი ბურჟუაზიის იდეოლოგებს ისა აქვთ, რომ ხალხს არ ესმის თავის სარგებლობა, პროლეტარიატმა არ იცის, თუ რა არგებს მ.ს. და აი, ისინი ხალხის სახელით ადგენენ სხვადასხვა გეგმებს და სამოქმედო პროგრამებს. იყო დრო, როცა ხალხის სახელით მოქმედებდენ არა თუ მარტო ბურჟუა-ლიბერალები, არამედ ქვეყნის დამღუპველ მთავრობათა წარმომადგენელნიც კი. მაგრამ ეს დრო სამუდამოდ წავიდა. ხალხის (ჩვენ ვამბობთ მუშა ხალხზე) დღევანდელი გამოფხიზლება არ არის შემთხვევითი; იგი აღმოცენებული და განვითარებულია დღევანდელი საზოგადოებრივ ცხოვრების ნივთიერ პირობებში.

თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მუშა ხალხი იბრძოდა წინადაც, როგორც მონობის, ისე ბატონ-ყმობის დროსაც. მაგრამ ეს ბრძოლა არ იყო დამყარებული თავის თავის მდგომარეობის შეგნებაზე; იმას არ ჰქონდა მიზნად საზოგადოების სხვადასხვა წოდებებათ და კლასებად დაყოფის მოსპობა: ეს ასე იყო იმიტომ, რომ ამის განსახორციელებლად არ არსებობდა ნივთიერი პირობები. მხოლოდ მას შემდეგ, რაც თანამედროვე კაპიტალისტურმა წარმოებამ თანდათან გამოაცალა ხალხის უმრავლესობას წარმოების იარაღები, რომლებშიაც მიწას უპირველესი ალაგი უჭირავს და წინანდელ დაქსაქსულ და გაფანტულ მუშებს თავი მოუყარა დიდ სამრეწველო და საიარღებ-მიცემო ცენტრებში, მხოლოდ მაშინ ჩაიყარა საძირკველი მთელი მუშა ხალხის შეერთებისა და პოლიტიკური და ეკონომიური მონობისაგან განთავისუფლებისა და საერთოდ საზოგადოების კლასებათ დაყოფის მოსპობისა. ხალხის კეთილის მყოფელნი ყოველთვის იყვენ, რომელთაც მართლაც სურდათ ხალხის ხსნა ტანჯვისა და გაჭირვებისაგან, რისთვისაც ისინი თხოულობდენ სხვადასხვა რეფორმების მოხდენას, მაგრამ ისინი არსებული წეს-წყობილების ფარგლებიდან არ გამოდიოდენ. ისინი დარწმუნებული იყვენ, რომ დღევანდელი ბურჟუაზიული წეს წყობილების შეუცვლელადაც შესაძლებელია მუშა ხალხს მიენიჭოს კეთილდღეობა და დაფარულ იქნას ყოველგვარი დაჩაგვრისა და შევიწროებისაგანო, მაგრამ ასეთი ფიქრი მარტო ოცნება გამოდგა. მუშა ხალხის მდგომარეობა, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა და უარესდებოდა. მას ვერ შველოდენ ვერც რეფორმები და ვერც მისი კეთილის-მყოფელები. მაგ-

რამ ასე ყოფნა, სამუდამოდ ამ მდგომარეობაში დარჩენა, შეუძლებელი-იყო. თუ მართლა ჟეშმარიტება და სიმართლე მარტო ოცნება არ არის, თუ ოდესმე ეს დიდებული მცნებანი უნდა განხორციელებულიყო დედამიწაზე, იმ შემთხვევაში საზოგადოების უმრავლესობა, მუშა ხალხი, უნდა განთავისუფლებულიყო მუდმივი ტანჯვისა და შევიწროებისაგან. მაგრამ როგორ მოხდებოდა ეს? ნუ თუ მუშა ხალხს დაიხსნიდენ შევიწროებისაგან ისინი, რომლებიც მისი ოფლით სუქდებიან? ან შეიძლება მუშა ხალხს შველა ისე თავის თავად მოეევლინებოდა? რასაკვირველია, რომ არც ერთი მოხდებოდა და არც მეორე. მაშ, რა გზით, რა საშუალებით უნდა მომხდარიყო მუშა ხალხის განთავისუფლება? ამის საშვალება თვით მუშა ხალხს ეჭირა ხელში. ეს იყო თავისი კლასიური მდგომარეობის შეგნება და ამ მიზნით მთელი მშრომელი ხალხის გაერთიანება მთელი დღევანდელი ბურჟუაზიული წესწყობილების დასაშხობათ. ამაზე დამყარდა მარქსის სოციალისტური მოძღვრება, რომელიც თავის დროშის ქვეშ იკრებს მთელი ქვეყნის მუშა ხალხს, აგროვებს ძალას, რომ ბოლო მოუღოს დღევანდელ წესწყობილებას, რომელიც დამყარებულია კერძო საკუთრებაზე და დაქირავებულ შრომაზე.

ამნაირად მუშა ხალხის მხსნელი, მისი განთავისუფლებელი უნდა შეიქნეს თვით მუშათა კლასი, ეს როლი არ შეიძლება მან სხვას დააკისროს. მუშა ხალხის მოძრაობა მხოლოდ ამიტომ არის ძლიერი, ამიტომ არის იგი თავზარ-დამცემი ყველა იმათთვის, ვინც მისი ოფლით ცხოვრობს, ვინც მისი სისხლით იკვებება.

მაგრამ აშკარაა, რომ რუსეთის მშრომელი ხალხი ერთი დაკვრით დღეს ვერ განთავისუფლდება პოლიტიკურ და სოციალურ მონობისაგან. ჯერ იგი უნდა განთავისუფლდეს პოლიტიკურად. მაგრამ პოლიტიკური თავისუფლება მარტო მისთვის როდია დღეს საჭირო, მარტო მის მისწრაფებას როდი შეადგენს. პოლიტიკური თავისუფლება საჭიროა აგრეთვე ბურჟუაზიისათვისაც. მაგრამ მაშინ, როცა პროლეტარიატი სისხლსა ღვრის ამის მოსაპოვებლად, ბურჟუაზია მხოლოდ ბიტინგებს და კრებებს მართავს და კამათობს იმაზე, თუ როგორ ისარგებლონ მომავალ დამფუძნებელ კრებაში საარჩევნო უფლებით, ან როგორ უნდა იქნენ არჩეული იქ ხალხის წარმომადგენლები. ერთ და იმავე დროს სასაცილოც და სამწუხაროც არის ასეთი გარემოება: მუშა ხალხმა გამოიწვია, შექმნა

ღღეანდელი განმათავისუფლებელი მოძრაობა და იმავე დროს ბურჟუაზიის წარმომადგენლები კრებებს მართავენ და თათბირობენ, მივცეთ თუ არა ხალხს უფლება მონაწილეობის ბიღებისა დამფუძნებელ კრებაშიო. ეი როგორ უყურებენ ისინი ხალხს!

(ჟურნალი „მოგზაური" 1905 წ.
1 მაისი № 16).

თავის გამართლებაც ასეთი უნდა!

(პასუხად თ-დ ილია ჭავჭავაძეს).

I.

წავიკითხე თ-დ ილია ჭავჭავაძის [4]) საპასუხო წერილი, რომელიც გაზ. „ივერიის“ [5]) რედაქციას ცალკე გამოცემად დაუსტამბავს თავის სასახელოდ, და სწორედ მოგახსენოთ, გოცებული დავრჩი. ჩემ გამოზრდაში ბევრი რამ წამიკითხავს, ბევრი სისაძაგლე მინახავს ჩემი თვალით, ბევრი კიდევ სხვისაგან გამიგონია, მაგრამ ჩემს დღეში ამისთანა არც ჩემი თვალით მინახავს და არც სხვებისაგან გამიგონია. წარმოიდგინეთ კაცი, რომელიც მთელი თავისი ძალ-ღონით, მთელი თავისი არსებით მოწადინებულია მეორე პირი ლაფში ამოსვაროს, სახელი გაუტეხოს, დაამციროს, მიწასთან გაასწოროს, რომ თავისი თავი ყოვლად პატიოსნად, უმანკო არსებად დასახოს, და ნამდვილად კი მხოლოდ თავისივე თავს ამცირებდეს, მიწასთან ასწორებდეს, თავისივე თავს სამარეს უთხრიდეს. აი ასეთ საქმეს ჩადის საქართველოს სასიქადულო მწერალ-პოეტი თ-დი ილია ჭავჭავაძე! მტერი იმას ვერ უზამდა, რაც მან თავის თავს უქნა. მისი უშველებელი წერილი, თავის გასამართლებლათ დაწერილი, „ივერიის“ გულუხვი გადაჰარბებული სტუმართმოყვარეობის წყალობით აღბეჭდილი, თავის გამართლება კი არაა არამედ,—უსასტიკესი საბრალმდებლო ოქმია თავისივე ხელით შედგენილი და ხელმოწერილი. ეს არის თავისივე ხელით თავის მოკვლა. თ-დი ი. ჭავჭავაძის წერილში არც ერთი წინადადება, არც ერთი სიტყვა არაა, რომელიც მას არათუ ბრალდებიდან თავისუფლებდეს, არამედ ამ ბრალდებას რამდენიმეთ მაინც ამსუბუქებდეს. ეს მეტად გასაოცარია, მეტად დაუჯერებელი ამბავია! ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო,—სწორედ ამაზე ითქმის. როგორ მოხდა ეს, რა სთქვა თ-დმა ჭავჭავაძემ თავის საპასუხო წერილში?—უნებლიეთ შეგვეკითხება ის, ვისაც ხსენებული წერილი არ აქვს წაკითხული.

საქმე ის არის, რომ თ-დმა ჭავჭავაძემ არა თუ ვერ დაარღვია ის, რასაც მას „მოგზაურის“ კორესპონდენტი აბრალებდა, არამედ თავის

წერილის მეოხებით ეს ბრალდება მან კიდევ უფრო გააძლიერა, მის დასამტკიცებლად უფრო მეტი ფაქტები გამოამეღავნა, ე. ი. იმაზე მეტი, რაც ჩვენ კორესპონდენტს ჰქონდა დასახელებული; თ-დმა ჭავჭავაძემ უფრო დაწვრილებით გვამცნო, თუ რანაირი განწყობილება არსებობს მასა და გლეხებს შორის, თუ მას როგორი წესი შეუმუშავებია და ცხოვრებაში განუხორციელებია; ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც მან თავის გასამართლებლად მოიყვანა, „მოგზაურში“ დაბეჭდილი კორესპონდენციის დამატება და განმარტებაა. ცნობილია, რომ ნაწერით რამდენიმედ იცნობება თვით დამწერი; თუ ყოველთვის ეს ვერ მართლდება, ეს იმიტომ, რომ, წლევანდელ საზოგადოებაში ავტორი უფრო ხშირად ნებსით თუ უნებლიეთ მალავს თავის ნამდვილ აზრს და შეხედულებას, თავის ნამდვილ სურვილს და გულის წადილს. თ-დი ილია ჭავჭავაძეს ჩვენ იქამდისაც ვიცნობდით, თუ რა „კაცური კაცი“ ბრძანდება ის, რას ემსახურება, რა შეადგენს მის სულისკვეთების საგანს, მაგრამ არც ერთ თავის ნაწარმოებში მას არ დაუნახავებია საზოგადოებისთვის თავისი შინაგანი „მე“ ისე, როგორც „ივერიის“ № 68-ში დაბეჭდილ წერილში. აქ ჩვენ იმ ჭავჭავაძესთან გვაქვს საქმე, რომელიც სინამდვილეში არსებობს: აქ იგი გველაპარაკება ჩვენ, როგორც კერძო საკუთრების იდეოლოგი, როგორც მემამულე, რომელიც ყოველი ფეხის გადადგმაზე მზად არის იარაღით ხელში დაიცვას თავისი ინტერესები. მართალია, თ-დი ილია ჭავჭავაძე აქაც შიგა და შიგ ძველ ოინებს ხმარობს, წამდაუწუმ ზნეობაზე, კაცურ კაცობაზე, სამართლიანობაზე და სხვა ამგვარობაზე გაიძახის, მაგრამ ყველაფერი ეს აქ მეტად უადგილო და უხერხულია. ილია ჭავჭავაძე, როგორც საქართველოს სასიქადულო მწერალი, ავტორი „გლახის ნაამბობის“, „კაცია ადამიანის“, „გლახა ჭრიაშვილის“, „კაკო ყაჩაღის“ და სხვათა, სრულებით დაუჩრდილავს თ-დ ილია ჭავჭავაძესვე, როგორც მემამულეს. ამიერიდან ქართველ მკითხველს საქმე ექნება არა ზევით დასახელებულ ნაწარმოებთა ავტორთან, არამედ ქართველ მემამულესთან, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ იმისთვის მოუნდომებია, რომ გლეხები ეყვლიფა და ეტყავებია. ჩვენ არა გვგონია, საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი სასტიკი მემამულე, რომელსაც ასე უღმერთოდ გაყავდეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა.

თ-დი ჭავჭავაძე დიდი რიხით აცხადებს, რომ იგი კერძო საკუთრების მოტრფიალეა. ამიტომ რა გასაკვირვალია, რომ ის დიადი მოძრაობა,

რომელიც დღეს ჩვენ თვალწინ ხდება, რომლის მოწამენი დღეს ჩვენნა ვართ და რომელიც მიმართულია დღევანდელ უსამართლობის წინააღმდეგ, დღევანდელი ძირითადი სოციალური უკულმართობის მოსასპობად, მას მეტად აღონებს და ძლიერ აწუხებს. ჩვენი თავადი დიდი გულისწყრომით ამბობს: „კაცმა დიდი მწუხარებით უნდა შეხედოს იმისთანა ამბავს, როცა კაცს სხვა საბუთი არ მიუძღვის იმის გარდა, რომ მე ცოტა მაქვს და შენ ბევრი და ამიტომ შენ უნდა წაგერთვას და მე მომერთვაზო". — კერძო საკუთრება სამართლიანად თუ უსამართლოთ—განაგრძობს ჩვენი ბრძენი მწერალი—ჩვენდა საბედნიეროდ (მემამულეების, უეჭველია) თუ საუბედუროდ (აქ ალბათ გლეხები უნდა ყავდეს მხედველობაში ჩვენ მგოსანს!) **ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დიდს პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისვლა, ვინც გინდ იყოს—იაფათ არ დაუჯდებაო*).** როგორც ხედავთ, სახელოვანი მგოსანი დიდი მომხრეა კერძო საკუთრების, მაგრამ თავის აზრის დასამტკიცებლად ვერავითარი საბუთი ვერ გამოუნახავს. ნუ თუ კერძო საკუთრების გამართლება იმით შეიძლება, რომ იგი „ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დიდ პატივში?" შესაძლებელია დავეკითხოთ თ-დ პავეავაძეს: ვისი მხრით იქნება დიდ პატივში კერძო საკუთრება? თუ თქვენისთანა მსხვილი მემამულეების და ბურჟუა-კაპიტალისტების მხრით, რომლების ხელში თანდათან გროვდება წარმოების საშუალებანი და იარაღნი, ეგ კიდევ ვერაფერი. საბუთია კერძო საკუთრების გასამართლებლად. ან რისთვის მოუნდა ახლა თ-დ პავეავაძეს კერძო საკუთრების დაცვა და გამოსარჩლება? განა ჩვენთვის საეჭვო იყო, რომ იგი, როგორც მსხვილი მესაკუთრე და მემამულე, კერძო საკუთრების თავგამოდებული მომხრე იქნებოდა? „მოგზაურის" კორესპონდენტი მას სრულებით არ შეხებია, როგორც კერძო საკუთრების იდეოლოგს. მან გამოაქვეყნა მხოლოდ რამდენიმე გულის ამღვრევი და ალმაშფოთებელი ამბავი, რომლებიც ახასიათებენ თ-დ ილიას არა როგორც კერძო მესაკუთრეს, არამედ როგორც ადამიანს. ჩვენ საესებით გვესმის მისი გაბრაზება დღევანდელი მოძრაობის გამო. მართლაცდა, კაცი მთელ თავის სიცოცხლეში იმას ცდილობდა, რომ თავისი ბატონობა განემტკიცებია, რომ რაც შეიძლება მეტი წილი გლეხის ნაოფლარისა ჩაეგდო ხელში, რისთვისაც იგი გლეხკაცობას ყოველგვარ შეეიწროებას აყენებდა, რისთვისაც იგი არაფერს არ ზოგავდა, ოღონდ კი თავისი მი-

*) ხაზს ყოველგან ჩვენ ვუსვამთ.

ზანი განეხორციელებია და ახლა ხედავს, რომ ყოველივე ეს იფუშება, ყოველივე მისი მეცადინეობა იკარგება. განა ასეთი ადამიანი შესაბრალისი არ არის? „რა სიმართლე, რა საბუთი აქვს გლეხ-კაცს, რომელიც არც ხიზანია თქვენი, არც ნათესავი, რომ თქვენ მამულზე ხელი გაიწოდოს, მაშინ, როდესაც კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვა-კუთხედად უდევს არამც მთელ საზოგადოებურ წყობას რუსეთისას, არამედ მთელ ცხოვრებას "დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწაზე". დავამშვიდებთ თ-დ ი. ჭავჭავაძეს, რომ გლეხები ჯერ არ იწვდიან ხელს სხვის მამულზე, ისინი ჯერ-ჯერობით თხოულობენ მხოლოდ იმ უსამართლობის გასწორებას, რომელიც მებატონეებმა ჩაიდინეს გლეხების ეგრეთ წოდებულ განთავისუფლების დროს. მაგრამ განა გლეხებს უფრო მეტი სიმართლით არ შეუძლიათ მიმართონ თქვენისთანა მემამულეებს ასეთი სიტყვებით: რა სიმართლე, რა საბუთი გაქვს, რომ თქვენ ჩაგიგდიათ ხელში ამოდენა სიმდიდრე, ამოდენა მიწა-ადგილი, როცა ჩვენ ფეხის დასადგამი მიწა არ მოგვეპოვება. ვეკითხებით თ-დ ილიას: რომელი მხარე იქნება მაშინ უფრო მართალი? რომელ მხარეს ექნება უფრო მეტი საბუთი? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მისგან ამ კითხვაზე, როგორც სხვებზე, გადაჭრილს, სწორ და ნათელს პასუხს ვერ მივიღებთ: ის ან სამართლიანობის დანდობას ამოეფარება, ან კაცთა ადამიანურ ცხოვრებას და ამით დაათავებს საქმეს, ამიტომ უჯობესია დავანებოთ მას თავი, როგორც კერძო საკუთრების ვაგლახ იდეოლოგს და გადავიდეთ პრაქტიკულ სფეროში, სადაც იგი ახორციელებს კერძო საკუთრების პრინციპს და სადაც იგი მართლა რომ თავის ადგილზეა.

ამ სარბიელზე მას იშვიათად ეყოლება ბადალი. მას წარბ-შეუხრელად გაყავს ცხოვრებაში მთელი თავისი სისასტიკით კერძო საკუთრების პრინციპი. მან არ იცის რას ქვიან გაჭირვებული კაცის შებრალება. თუ კერძო საკუთრების პრინციპის დაცვაზე მიდგა საქმე, იგი მზადაა მას ანაცვალოს ყოველივე, დაკარგოს სინიდისი, პატიოსნება და პრინციპს კი არ უღალატებს. თუ გნებავთ ეს ერთნაირი რაინდობაა, მაგრამ რაინდობა დაბალ-ხარისხის, რომელსაც მიზნად თავის პირადი სარგებლობა აქვს და სხვისი დაჩაგვრა: რაში იხატება თ-დ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა? ამის დასახასიათებლად ჩვენ გავჩერდებით მხოლოდ ორ მაგალითზე. ჩვენის აზრით, ეს ორი მაგალითიც საკმარისია ილია ჭავჭავაძის პრაქტიკულ მოღვაწეობის დასახასიათებლად, თუ როგორ ეკეკვა ან რა დამოკიდებულება აქვს მას გლეხებთან. ეს ორი გარემოება ჩვენ კორესპონ-

დენტსაც ჰქონდა აღნიშნული, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ არა ისეთი სისრულით, არა ისეთი სისწორით, როგორც ეს თვითონ ილია ჭავჭავაძემ გაგვაგებია თავის საპასუხო წერილში. ეს ორი მაგალითი ასეთია: ერთი შეეხება იჯარით გაცემულ მიწებიდან ღალის აღებას და მეორე საძოვარ ადგილებზე დაწესებულ გადასახადს. დავიწყოთ პირველიდან:

აი რას გადმოგვცემს თვით ავტორი:

„იმ ხუთ სოფელში, რომელნიც საგურამოს შეადგენენ, სულ სახელწიფო გლეხნი დგანან და იქ ხვნენ და თესენ, საცა მამულის პატრონს მოურიგდებიან. ამ სოფელში დიდი ხნიდან დაწესებულია, რომ ვინც მამულს მოხნავს, მამულის პატრონს მეოთხედი უნდა აძლიოს და თავის მემამულეს კალოზე მიუტანოს.

„ამ მეოთხედის დათესლა-მიტანა, ათეულების ადგილობრივი შეფარდება და სხვა ამისთანა მრავალი მიზეზიანი საქმეა და ხშირად ამ სარბიელზე ჩხუბი და დავიდარაბა მოსდით მოურავს და გლეხს ეთმანეთში. ნუ დაივიწყებთ იმ გარემოებას, რომ ერთსა და იმავე მიწაში, ნამეტნავათ თუ ცოტაოდენათ მოზრდილია, შესაძლოა თავიდან ბოლომდე ერთნაირი ძნა არ იყოს, ხშირად თავში კარგი, პურიანი ძნა და სხვილი, შუა წელში ან ბოლოში ნაკლებია, გამცდარია, პურ-ნაკლებია და ამის გამო ათეულები ხშირად ერთსა და იმავე ფარდისანი არ არიან...

„საკმაოა მარტო ეს გარემოება დავიყენოთ თვალ წინ და მასთან ერთად ისიც, რომ ძნებს ცალ-ცალკე დადგმულ ათეულებათ იყოფენ ერთმანეთთან შეფარდებით,—რომ მივხვდეთ—რამდენი ხიფათი მოსდევს ამ მეოთხედობას, თუ მოურავი ან გლეხკაცი ერთმანეთს გადაეკიდებიან და ერთმანეთის ჯავრის ამოყრას მოიწადინებენ“.

ყველა ამაების თავიდან ასაცილებლად თ-დ ი. ჭავჭავაძეს დაუწესებია:

„მოურავმა იქავ; საცა მეოთხედს მიითვლის, ბარათი აძლიოს, ვისგან რა ერგო და თითონაც დავთარში ჩაიწეროს, იქავ თავის თვალ-წინ ურემზე დაადებინოს, რომ ძნები არ შესცვალონ, და ისე გამოისტუმრს. გლეხკაცი რომ კალოზე მეოთხედს მოიტანს ძნის მიმღებს ხსენებული ბარათი უნდა ჩააბაროს და ამ ბარათით უნდა მიუთვალოს“...

აი ასეთია თ-დ ილია ჭავჭავაძის მიერ შემოღებული წესი, რომელიც თვითონ მან გაგვაცნო. თუ მას დაუჯერებთ, „დიდ ნაწილს გლეხკაცობას ეს ნებაყოფლობითი (?!) წესი მოუწონებია თ-დ ილიასათვის,

და მიულია''. ასე გვეუბნება ჩვენი ავტორი. მაგრამ შემდეგ იგი ამის საწინააღმდეგო ფაქტებს გადმოგვცემს. ,,ბევრი ვეცადეო, გვეუბნება იგი, ეს უბრალო და **უმანკო** (?!) წესი არავისათვის დამერღვევინებია, მაგრამ ვერა რას გავხდი. წელიწადი ისე არ გაივლიდა, რომ შიგა და შიგ ხან ერთს გლეხს არ შეეშალა, ხან მეორეს. აქ ყურის მოყრუება წესის სრულიად დაფუშვას მოასწავებდაო'', და ამიტომ თ-დ ილიას სასტიკად მოუვლია საქმისთვის ხელი. ჩვენ ის გვაკვირვებს მხოლოდ, ამ დრაკონისებულ წესს თ-დმა ილია ჭავჭავაძემ **ნებაყოფლობითი** და **უმანკო** როგორ უწოდა! თუ ეს ნებაყოფლობითი და უმანკო იყო, თუ გლეხკაცობის უმეტესმა ნაწილმა იგი მოუწონა ჩვენ თავადს, რიღასთვის ამბობს იგი, რომ ,,ბევრი ვეცადე ეს წესი არავისთვის დამერღვევინებინა, მაგრამ ვერას გავხდიო!'' და მართლაც. განა შესაძლებელია თუ არ ძალდატანებით და თუ არ სასტიკი ზომებით იმ წესის შესრულება, რომელიც თ-დ ჭავჭავაძეს შემოუღია? აშკარაა, რომ ამ წესით გლეხკაცს მოხვნა, დაფარცხვა და მომკა ბევრად უფრო იაფათ დაუჯდება და ბევრად უფრო ადვილად შეასრულებს, ვინემ მთელი იმ პროცედურის შესრულება, რომელიც ილია ჭავჭავაძეს შემოუღია. ჩვენ შეგვიძლია რამდენიმეთ წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: გლეხმა მოსავალი მოიყვანა და მომკა. მას მხოლოდ მეოთხედის ჩაბარება დარჩენია მემამულესათვის, აი აქედან იწყება მისი ტანჯვა. ჯერ ის უნდა ელოდოს მოურავს; ამას მარტო ერთ და ორ გლეხთან ხომ არ უჭირავს საქმე, არამედ ოცს, ორმოცს და შეიძლება კიდევ მეტთან. ახლა იგი როდის მოისურვებს ჩვენს გლეხთან მოსვლას; მერე ძნების შეფარდებით გაყოფას, ბარათის ჩაბარებას, ურემზე დადებას და მემამულეს კალოზედ გასტუმრებას. მეორე პროცედურა გლეხს აქ მოელის: ჯერ ბარათის ჩაბარება ძნის მიმღებისათვის, შემდეგ ურმის დაცლა. ეს არის მთელი სისტემა, რომელშიაც უბრალო რამის გამოშვება ან დავიწყება ერთ დავიდარაბას და ალიაქოთს იწვევს, რაც დაუსჯელად არავის არ ეპატიება. აქ ჩვენი მგოსანი მეტის-მეტ ულმობელობას და შეუბრალებლობას იჩენს. ბოლოს და ბოლოს უმეტეს შემთხვევაში აქ საქმე იმით თავდება, რომ გლეხს მეოთხედის სახით მთელი მოსავალი ხელიდან ეცლება, ან იქვე კალოზე უფუჭდება ან კიდევ, რაც მეოთხედს გადარჩება, მოურავების ჯიბეში მიდის. აი ამას უწოდებს კაცთმოყვარე მგოსანი უმანკო და უბრალო წესს, რომელიც გლეხებმა მოიწონესო! ნუ თუ ჩვენი მგოსანი ისე გულუბრყვილო ბრძანდება, რომ მეტი არ ესმის? არა, მისი გულუბრყვილობა

ძნელი დასაჯერებელია. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. იგი თავის წერილში, სხვათა შორის ამბობს, რომ მხოლოდ ორი შემთხვევა იყო, როცა გლეხებს ეს „უმანკო“ წესი დაურღვევიათ. როგორ მოხდა ეს? თ-დი ჭავჭავაძე გვეუბნება, რომ ისე წელიწადი არ გაივლიდა, რომ ხან ერთს და ხან მეორეს ეს წესი არ დაერღვია, და იქვე ამბობს, რომ ასეთი შემთხვევა მხოლოდ ორი იყო. დავუჯეროთ თ-დ ილია ჭავჭავაძეს ეს დაუჯერებელი ამბავი. ვთქვათ, რომ მხოლოდ ორი შემთხვევა იყო, როცა მან ურმით მიტანილი ძნა უკან დააბრუნა, ერთი ასეთი შემთხვევა შარშან თუ შარშანწინ მომხდარა, რასაც თ-დი ჭავჭავაძე შესაბრალებელი კილოთი მოგვითხრობს და თანაც კითხულობს: მაშ, რა მექნა? როგორ უნდა მოვქცეულიყავ? ამოდენა ხნის ნაღვაწი, წვითა და დაგვით აშენებული ინგრეოდა, თუ დადებულ ურემს უკან არ გავატანდი და მეც უკანასკნელ ზომას მივმართე. ასე გეგონებათ, თ-დ ჭავჭავაძეს მხოლოდ ის აწუხებდა, რომ წესი არ დარღვეულიყო, კანონი შესრულებულიყო. რა უყოთ, რომ ამის გამო ვიღაც გლეხი მსხვერპლი შეიქნებოდა „fiat justitia, pereat mundus!“—ოღონდ წესი შესრულდეს და თუ გინდ მთელი ქვეყნიერება დაინგრეს! ჰო და, აი შემდეგ თ-დი ილია ჭავჭავაძე გამოდის და დაურცხვენელად ადამიანის ხელშეუხლებლობაზე, პიროვნების პატივისცემაზე და სამართლიანობაზე ლაპარაკობს. ის, ვინც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ადამიანის პიროვნებას (შეიძლება თ-დ ჭავჭავაძეს გლეხი ადამიანათ არ მიაჩნია) ფეხ-ქვეშ თელავს და ჯიჯგნის, იმის პირიდან ასეთი სიტყვების წარმოთქმა ყველა პატიოსან ადამიანში მხოლოდ ზიზღს იწვევს. ჩვენ ახლა კარგათ გვესმის, თუ ასე ძალზე რისთვის იუპეებოდა თ-დი ჭავჭავაძე, როცა საქართველოს ავტონომიის შესახებ სჯა-ბაასი ჰქონდა ქართველ თავად-აზნაურობას. ჩვენ ახლა კარგად ვიცით, თუ რას ნიშნავდა იმის სიტყვები, რომ ყველა კანონებს აქ, ადგილობრივ უნდა ვწერდეთო. კაი თქვენ დაგემართებათ, კარგ კანონებს დაუთესდით თქვენ მუშა ხალხს!

II.

წინა წერილში ჩვენ გავეცანით იმას, თუ რა „უმანკო“ წესი დაუდგენია თ-დ ჭავჭავაძეს გლეხებისაგან ღალის აღების საქმეში. მაგრამ ამ წესის დახასიათება სრული არ იქნებოდა, თუ რომ თ-დ ჭავჭავაძეს იქვე არ შეეტყობინებია ჩვენთვის საბალახეს საქმეც, რაშიაც ჩვენ თავადს არანაკლებ „უმანკო“ წესი დაუდგენია. აი რას გვეუბნება იგი ამის შესახებ:

,,საგურამოში, რომლის წრეში ხუთი სოფელია, გლეხ-კაცები სხვადასხვა მემამულის ტყესა და მინდორს ხვდებიან საქონლის საძოებლათ, სხვათა შორის, ჩემსა და ჩემის მეუღლის თავისუფალ მამულებსაც. დიდის ხნის დაწესებულია, რომ ვინც სხვის მამულს მოხვდება (რაც ძალიან ადვილია, ვინაიდან გლეხ-კაცს გასაქანი იშვიათად აქვს!) საბალახეთ, მამულის პატრონს უნდა აძლიოს თვეში ერთი შაური თითო სულ საქონელზე, ე. ი. წელიწადში სამი აბაზი, სოფელ წიწამურას გარდა, საცა თითო სულზე თითო მანეთს იხდიან წელიწადში, რადგანაც საძოვრათ უფრო კარგი მამულია და ქალაქზე უფრო ახლოა, მაშინ როდესაც მთიულები და სხვა შორიდან მორეკილ საქონლის პატრონები, სულ ცოტა რომ ვთქვა ექვს—შვიდ აბაზს და ზოგჯერ ორ მანეთსაც იძლევიან თითო სულზე საბალახეს, ისიც შემოდგომის და ზამთრის ხუთ-ექვს თვეში და არა მთელი წლის განმავლობაში''.

როგორც ხედავთ, საბალახეს საქმეც ჩვენს მწერალ თ-დს მშვენივრად ჰქონია მოწყობილი! მართალია, თ-დი ჭავჭავაძე აქ დაწვრილებით არ შედის საქმის განხილვაში; იგი არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ რა გზით, გლეხების ნება-ყოფლობით თუ მაზე ძალდატანებით გაიყვანა მან ეს წესი ცხოვრებაში. თ-დი ჭავჭავაძე ხმასაც არ იღებს იმაზე, გაუწიეს ამ ნიადაგზე მას გლეხებმა წინააღმდეგობა და თუ გაუწიეს, რა ღონე იხმარა, რა სასჯელს მიმართა, რომ თავხედი გლეხი მიწასთან გაესწორებია და მთელი თავისი ულმობელობა გამოეჩინა. უამისოთ ხომ მთელი მის მიერ დადგენილი წესი სულ ერთიანად დაინგრეოდა! მაგრამ თ-დ ჭავჭავაძეს ერთი ჩვენი სამხილებული საბუთი აქვს ხელში, და ამაზე კი დიდი რიხით გაიძახის: მე თვეში ათ შაურს კი არ ვახდევინებ გლეხებს თითო სულ საქონელზე, არამედ მე თვეში მხოლოდ თითო შაური მაქვს დადგენილი თითო სულ საქონელზეო, ე. ი. წელიწადში სამი აბაზი, გარდა სოფ. წიწამურისა, სადაც თითო სულზე თითო მანეთს იხდიან წელიწადშიო. ხომ ხედავთ, რა გულმოწყალე და სათნოებიანი ყოფილა თავადი ილია! ადვილი სათქმელია წელიწადში თითო სულ საქონელზე სამი აბაზის და ერთი მანეთის გადახდა მარტო იმისთვის, რომ გლეხკაცის საქონელი სხვადასხვა მემამულის ტყეს და მიწას ხვდება! მაგრამ საქმე ამით როდი თავდება, როგორც მოგეხსენებათ, თ-დი ჭავჭავაძე დაწვრილებით როდი შეეხო ამ საკითხს, მაშინ როცა ეს საკითხი მეტად რთულია და განსაკუთრებით განმარტებას თხოულობს.

როგორც ცნობილია, გლეხების განთავისუფლების დროს უდიდესი უსამართლობა ამ საქმეში ჩაიდინეს მთავრობამ და სათავად-აზნაურო კომიტეტმა. გლეხებს სრულებით ჩამოაცალეს როგორც საძოვარი ადგილები, ისე საჩეხი ტყე, რომლითაც ისინი ბატონ-ყმობის დროს სარგებლობდენ. ყოველივე ეს მებატონეებს მიასაკუთრეს: ფლობდეთ და სარგებლობდეთო! ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მებატონეებს გადასახადი უნ. და დაედვათ, თუ ვინცობაა გლეხის საქონელი მათ მიწაზე მოსძოვდა-უამისობა კი ყოვლად შეუძლებელი იყო, ვინაიდან გლეხებს საძოვარი მიწები ჩამოართვეს. ეს გარემოება ერთი იმ ოინთაგანი იყო, რომლის საშუალებით გლეხები ისევ ძველ მებატონეებს ჩაუგდეს ხელში გასაყვლეფად. თუმცა საგლეხო წესდება აქ ერთნაირ საზღვარს უდებდა მემამულეს, მაგ., მემამულეს უფლება ჰქონდა საბალახე დაეწესებია მხოლოდ ისეთ ადგილებზე, რომლებიც განსაკუთრებით საბალახე ადგილებათ არიან ცნობილი, და არა უმეტეს 25 კაპ. თითო სულ საქონელზე და ისიც თუ გლეხს შვიდ სულზე მეტი საქონელი ეყოლებოდა, მაგრამ ცხოვრებაში მხოლოდ მემამულეს სრული თვითნებობა გამეფდა; აქ ყოველივე მემამულეს სურვილზე, ნებაზე დარჩა დამოკიდებული. მემამულე, როგორც სურდა, ისე ექცეოდა გლეხს. ყოველივე დამოკიდებული იყო მის პირად სურვილზე და მის მოთხოვნილებაზე, რაც, რასაკვირველია, ყოველთვის საკმარისათ ფართო იყო. აქ საძოვარსა და საყანე, ე. ი. სახნავ მიწებს შორის განსხვავება აღარ არსებობდა: თუ კი გლეხის საქონელი „მემამულის მიწას მოხვდებოდა'' (ასე გვეუბნება თ-დი ჭავჭავაძე), სულ ერთია, მემამულეს მიერ დადგენილი გადასახადი უნდა ეხადა. თუ ვინმეა ჩვენში ისეთი, რომელსაც სავსებით განეხორციელებიოს ცხოვრებაში ეს თვითნებობა, ერთი ამათგანი უეჭველად თ-დი ილია ჭავჭავაძე უნდა იყოს, მისი თვითნებობა ჯერ იმაში გამოიხატება, რომ იგი ხუთი შაურის ადგილას სამ აბაზს და ერთ მანეთს ახდევინებს. შემდეგ, როგორც ჩვენი კორესპონდენტი გადმოგვცემს (იხ. ,,მოგზ.'' № 18), თ-დი ჭავჭავაძე საბალახეს ისეთ მიწაში ახდევინებს, რომელიც განსაკუთრებით საბალახეთ კი არ ითვლება, არამედ სახნავ მიწათ, ე. ი. „იმ მიწაში, რომლიდანაც მემამულეს მოოთხელი თავისი ზურგით შინ მიართვეს'', მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ,,უფრო მეტი საკვალალო ის არის, — ამბობს თ-დ ჭავჭავაძის მიერ ათვალწუნებული კორესპონდენტი, — რომ საგურამოელი მებატონეების მიწები ერთმანეთშია არეული დომხალივით და რამდენიმე დღიური რომ აქ ილია ჭავჭავაძის არის, რამდენიმე დღიური იმის გვე-

რდზე გივი სტაროსელსკის ეკუთვნის, მეორე ზალიკო გურამიშვილს, ტატო ციციშვილისა და ტუტუზა სტაროსელსკისა... ასე რომ, ხსენებული საბალახე, ერთსა და იმავე დროს ყველა აქ მოხსენებულ მებატონეებს უნდა საითითაოდ აძლიოს. აქედან თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ, თუ რა უჯდება გლეხს მარტო საბალახეს გადახდა ერთ სულ საქონელზე წლის განმავლობაში, და ისიც არა მთელ წელს, არამედ რამდენიმე თვის განმავლობაში, რადგანაც საგურამოში ზამთარი საკმარისად სუსხიანი და ხანგრძლივია, და ამიტომ საქონელი უმეტეს ნაწილად გომურში ჰყავთ შემწყვდეული ხმელ საქმელზე. ეს არის ნამდვილი ცარცვა-გლეჯის სისტემა, რომლის მსხვერპლი გლეხია და სხვა არავინ. თ-დ ქავქავაძეს, რა თქმა უნდა, შეუძლია თავი იმით იმართლოს, რომ ეს „ჩემი და ჩემი მეუღლის თავისუფალი მამულია“ და ვის რა უფლება აქვს ამაზე ხმა ამოიღოსო. ჩემს საკუთარ მამულს მე როგორც მსურს ისე მოვიხმარ, ამის დაშლის უფლება არავის არ უნდა ჰქონდესო. ვთქვათ, რომ თ-დი ქავქავაძე ცამდე მართალია, მაგრამ ერთი იმაზე გვიპასუხოს: საგურამოელ გლეხებს რომ მეტი მიწა-ადგილი ჰქონდეთ, რაც დღეს აქვთ, ე. ი. ისინი რომ ნაკლებათ საჭიროებდენ მის „თავისუფალ“ მამულში, იგი ასეთ პირობებში ხომ ველარ მისცემდა გლეხებს მიწებს? ე. ი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სარგებლობს თუ არა იგი დღეს საგურამოელ გლეხების გაჭირვებული მდგომარეობით და უმატებს თუ არა ღალას იმის კვალობაზე, თუ რამდენათ მწვავდება გლეხების გაჭირვება? ჩვენ დავინახეთ, რომ თ-დ ილია ქავქავაძის მიერ დადგენილი წესი გლეხების ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაზეა დაყრდნობილი. რომ ამ წესს სამართლიანობა და კაცა-მოყვარეობა არ უდევს საფუძვლათ, ეს თავის-თავათ აშკარაა. მაშ, რაღას გვიკიჟინებს თავადი ქავქავაძე! „მოგზაურის“ კორესპონდენტმაც ხომ მხოლოდ ეს ფაქტი აღნიშნა!

თუ ეს ასეა, მაშ რაღა საბუთი ჰქონდა თ-დ ილია ქავქავაძეის ასეთი უშვერი ლანძღვა-გინებით დაეჯილდოებია ჯერ კორესპონდენტი და მერე ის ორგანო, რომელმაც პირველმა გამოაქვეყნა ჩვენი მწერალ-მამულეს „საქმენი საგმირონი“? ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით, რომ საქართველოს სასიქადულო მწერალს, ან საგურამოს ცნობილ გმირს, ლანძღვა-გინებაში, სხვისი პიროვნების გაბიაბრუებაში ბადალი არ ჰყავდა, მაგრამ რაც მას ამ მხრით წინათ ჩაუდენია, ის მონაგონიც არ არის იმასთან, რასაც იგი ახლა ჩადის. წარმოიდგინეთ, თ-დი ქავქავაძე, როგორც კორესპონდენციის ავტორს, ისე „მოგზაურის“ რედაქციას ბეზღო-

ბას წამობს, ჯაშუშობას გვაბრალებს, არც მეტი არც ნაკლები! მაგრამ რაში იხატება ეს ჯაშუშობა? ორში ერთი: ან კორესპონდენციაში მოთხრობილი ამბები ტყუილია, განზრახ გამოგონილი, ან მართალი, მაგრამ იმათი გამოქვეყნება საჭირო არ იყო, რადგანაც ეს თ-დ ჭავჭავაძეს, საქართველოს დიდებულ მწერალს, ეხებოდა. რომ ყველა ის ამბები, და კიდევ მრავალი სხვა, მართალია და არა განზრახ გამოგონილი, ეს ღღეს, ვგონებ, არავისთვის საეჭვო აღარ არის. მაშ, დაგვრჩა გადასაწყვეტათ მხოლოდ ერთი საკითხი: საჭირო იყო თუ არა იმ ამბების გამოქვეყნება? თუ თ-დ ჭავჭავაძეს დავეკითხეთ, ის, რასაკვირველია, გადაჭრით გვეტყვის, რომ ეს საჭირო სრულებით არ იყოო. „ვთქვათ, რომ ყოველივე ეს შესაძლოა და კისრადაც მიდვია,— გვეუბნება იგი სხვათა შორის ძნის ისტორიის შესახებ,—მაგრამ ნუ თუ ეს ამბავი, თუნდაც გლეხის მიერ ნაამბობი, ისეთი რამ არის, რომ კაცმა კაცი გასაბიაბრუებლათ გაიმეტოს?“ რასაკვირველია, აქაც, როგორც სხვა რამეებშიაც, ჩვენი და თ-დ ილია ჭავჭავაძის შეთანხმება ყოვლად შეუძლებელია და მართლაც, განა შესაძლებელია, რომ ის, ვინც მთელი 25 წლის განმავლობაში პრესის დანიშნულებას იმაში ხედავდა, რომ სიმართლისათვის გზა აეკცია, ეშმარიტება დაეფარა, ჩვენ გვეთანხმებოდეს პრესის დანიშნულებაში? განა შესაძლებელია, რომ ის, ვინც ხალხს „ნულები“ უწოდა, ისე უყურებდეს პრესას, როგორც ჩვენ? მაგრამ საქმე ის არის, რომ თ-დ ჭავჭავაძეს თავის თავი საქართველოს „ბურჯათ“ მიაჩნია და ამიტომაც მოჩვენებია, რომ მას ადვილათ ვერავინ შეეხებოდა. თ-დ ჭავჭავაძის ნაწერებში ხშირად შეხვდებით მაღალ-ფარდოვან სიტყვებს ადამიანურ ღირსებაზე და კაცობაზე, მაგრამ მისი საკუთელიდან გამოდის, რომ ყოველივე ეს მხოლოდ მისთანა თავადების მონოპოლია უნდა იყოს და სხვა არავისი. თუ ეს ასე არის, მაშ, რისთვის ეკირვება, რისთვის აწვება მას ბოლმა, როცა გლეხკაცს ესარჩლებიან გაუმაძღარ მემამულეების წინააღმდეგ? ან შესაძლებელია, მას, როგორც მემამულეს, როგორც მესაკუთრეს, გლეხ-კაცობისათვის შეევიწროება არ მიუყენებია? თ-დ ჭავჭავაძეს ამის უარყოფა ხომ ამიერიდან აღარ შეუძლია?

ახლა მკითხველს მივმართავთ: ნუ თუ ბეზღობა და ჯაშუშობაა ყოველივე ის, რაც ჩვენ ილია ჭავჭავაძის შესახებ გამოვაქვეყნეთ? ნუ თუ სანტიმენტალური მოთხრობების დაწერა საკმარისია, რომ მის დამწერს ყოველივე სისაძაგლე ეპატიოს და ამის შესახებ პრესამ ხმა არ ამოიღოს? თუ დიდს ვერ მოვთხოვთ ზნეობას, პატარას როგორღა უნდა

მოვთხოვოთ? ან შეიძლება უსამართლობის გამომჟღავნებას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ მას უბრალო მომაკვდავი ჩადის და არა ილიასებური „დიდბუნებოვანი“ გვამი? ახლა გადავიდეთ ფაქტებზე.

როგორც ზევით ვამბობდით, თ-დი ჭავჭავაძე „მოგზაურის“ რედაქციას და მის კორესპონდენტს ცილისწამებას, ბეზღობას და ჯაშუშობას აბრალებს. ამიტომ საჭიროა ნათლად დავანახოთ მკითხველს, თუ ვინ ადგას სისტემატიურად ბეზღობის, ცილისწამების და ჯაშუშობის გზას. „მოგზაურის“ კორესპონდენტი, სხვათა შორის, თ-დ ჭავჭავაძეს იმას აბრალებდა, რომ მან (ე. ი. ჭავჭავაძემ) გლეხების მოძრაობის ჩასაქრობათ და თავის სახლ-კარის დასაცავათ მთავრობას ჯარი თხოვაო. თ-დი ჭავჭავაძე ამაზე უარს ამბობს: მე ჯარის გამოწვევა არავისთვის არ მითხოვნია და თუ ეს მართალია, კორესპონდენტს შეუძლია მთავრობის რომელიმე კანცელარიაში შეამოწმოს, თუ იქ სადმე ჩემ თხოვნას იპოვნის აბის თაობაზეო. გულუბრყვილო მკითხველი ასეთ განცხადებას ნამდვილ სიმართლეთ მიიღებს და ჩვენ კორესპონდენტს გაამტყუნებს. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, იგივე ჭავჭავაძე რამდენიმე სტრიქონის ქვევით მოგვითხრობს, რომ რადგანაც მის აუარებელ ქონებას და სახლ-კარს გლეხების მხრით აკლება და განადგურება მოელოდა, მან დეპეშით მაზრის უფროსს მიმართა, რომელსაც შველას და დახმარებას თხოვდა გლეხების წინააღმდეგ. თ დ ჭავჭავაძის შიში უსაფუძლო გამოდგა, რადგანაც გლეხებს ფიქრშიაც არ მოსვლიათ თ-დ ჭავჭავაძის სახლ-კარის აკლება, მაგარი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ თ-დ ჭავჭავაძემ გლეხები დააბეზღა, ჯაშუშობა გასწია თავისი ნივთიერი ინტერესების გულისათვის. საკვირველი ის არის, თუ რა ოინბაზობით მართლულობს თავს ჩვენი თავადი: მე მაზრის უფროსისათვის ჯარის გამოგზავნა არ მითხოვნიაო. საქმე ის არის, რომ მან მაზრის უფროსს აცნობა, გლეხები აკლებას მიპირებენ და რამე მიშველეთო. მაზრის უფროსს შეეძლო სრულებით არავითარი დახმარება არ გაეწია თ-დ ჭავჭავაძისთვის, ამით მაინც არსებითად მისი ბეზღობა არ ირღვევა. მაგრამ ნუ კი იფიქრებთ, რომ ჩვენს სახელოვან მგოსანს ბეზღობა და ჯარის მიწვევა სამარცხვინო ხელობათ მიაჩნდეს. „ამას იმიტომ კი არ ვამბობ, გვეუბნება ჩვენი თ-დი, რომ ჯარის მოწვევა ძალ-მომრეობის და ერთმანეთზე მისევის დასაწყნარებლათ, რაკი სხვა გზა არ არის, **სამარცხვინო რათმე მიმაჩნდეს**, პირიქით“... და თუ საზოგადოთ ერიდება ამ ლონისძიებას ჩვენი სახელოვანი მწერალი, ეს მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ გლეხობისაგან მას

დიდი შემოსავალი აქვს, გლეხობა მისთვის კარგი სათალი დუმაა. მაგრამ ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ჯაშუშობის ასპარეზზე მარტო ამით არ თავდება. სამწუხაროდ ჯაშუშობის როლი მას ზედმიწევნით აქვს შესწავლილი და შესისხლხორცებული. ან რასა სწერს მართლაც რომ მაბეზღარა თავადი: „არც მითხოვნია და არც მოვითხოვ (ჯარზეა ლაპარაკი), **თუ ჩვენის ავტორის** (კორნსპონდენტის) **და „მოგზაურის" წყალობით, ზედ მოსევა ჩემზე გლეხისა არ მოხერხდა და ან ერთმა და ან მეორემ საქმე ისე არ გამიხადეს, რომ მათ მიერ მოსეულს და ახსინებულ გლეხკაცობას მტრულად არ დაუხვდეო**". ამაზე მეტი ბეზღობა, ჯაშუშობა და ცილისწამება შეუძლებელია! ჩვენ არა გვგონია, რომ ამაზე მეტი ბეზღობა ოდესმე ჩაედინოს ბეზღობაში და ჯაშუშობაში განთქმულ გრინგმუტს, მეშჩერსკის, კომაროვს და გინდ პალმს! ჩვენ აქ მკითხველს აღარ შევაჩერებთ იმაზე, თუ ვისი დაბეზღებით დაატუსაღეს ამ ხუთი წლის წინათ გაზ. „ივერიის" ასოთ-ამწყობები. ამას ჩვენი მკითხველი უფრო დაწვრილებით შეიტყობდა „მოგზაურში" დასტამბულ წერილიდან, (იხილე „მოგზაური" № 18). და თუ ყველა ამის შემდეგ თ-დ ილია ჭავჭავაძეს კიდევ მოუცლია პრესისადმი პატივისცემაზე, ზნეობაზე, პიროვნების ხელუხლებლობაზე, ადამიანურ ღირსებაზე, საკუთრად სამართალზე, კაცურ-კაცობაზე და სხვა ასეთებზე ისე ილაპარაკოს, იმას კიდევ-ღა შეუძლია თავის ნაწერებში გლეხებს გამოესარჩლოს, დაბეჩავებულ ცხოვრებაზე ცრემლები ღვაროს, თავისუფლებაზე იმღეროს? განა ეს არ არის დაცინვა? განა ეს არ არის თავისი თავის სასაცილოთ აგდება? გეკითხებით თ-დო ილია: ამის შემდეგ ვისზე უფრო ითქმის: „წმინდა სახელი და დანიშნულება პრესისა მტვრათ უქცევია, ადამიანობა და ადმიანი ბეზღობის და ცილის-წამების საგნათ გაუხდია და დიდი მოძღვრება ადამიანის ხელუხლებლობისა მარტო თავის სახეიროდ, თავის საფარველათ გარდაუქნია"? ჩვენზე თუ თქვენზე?

ამით ვათავებთ დღეს-დღეობით საუბარს ილია ჭავჭავაძის შესახებ. შეგვუძლია კიდევ ბევრი გვეთქვა მის შესახებ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამითაც მოვაბეზრეთ მკითხველებს თავი იმ დროს, როცა სხვა უფრო საინტერესო კითხვები თხოულობენ განსჯა-განმარტებას. მხოლოდ აქ კიდევ ერთი სამწუხარო გარემოება უნდა აღვნიშნო: როგორც მოგეხსენებათ „დემოკრატობით" განთქმულმა „ივერიამ" ძლიერ ეკვის თვალით შეხედა „მოგზაურში" დაბეჭდილ კორესპონდენციას ილია ჭავჭავაძის შესახებ და თითქმის წინდაწინვე უარყო მისი საჯუძვლიანობა და

თვით ილიას მიმართა თხოვნით: დაამტკიცე იმის უსაფუძვლობაო. გავიდა ხანი და ილიამაც შეუსრულა თხოვნა განახლებულ „ივერიას", მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლა; თითქო ძმარი ჩაუსხა ცეცხლში: ბრალდება არა თუ ვერ დაარღვია, არამედ—კიდევ უფრო გაადიდა და ზედმეტი ფაქტები გადმოგვიყაპა „ივერიისვე" ფურცლებზე. ახლა რაღას ფიქრობს ნეტა დინჯი და წინ-დახედული „ივერია". ეტყობა ძველი კერპების თაყვანისცემას ჯერ იქ მაგრად აქვს ფესვები გამდგარი.

(ჟურ. „მოგზაური" 1905—15 და 22 მაისი
№№ 18 და 19).

ბიუროკრატია და რეფორმები.

არც ერთ დროს რუსეთის ხალხს არ განუცდია ისეთი საშინელი უბედურება, რომელიც დღეს მას თავს დაატყდა. მხოლოდ გამოცდილი მხატვრის კალამს შეუძლია იმ საზარელ და აღმაშფოთებელ გარემოებათა აღწერა, რომლებშიაც დღეს ჩვენ გვიხდება ცხოვრება. ომი შინ, ომი გარეთ. სრული დამარცხება-განადგურება ჩვენი ქებული მხედრობისა, როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე. სამშობლოს ჯანსაღ შვილების ამოჟლეტა, ასი და ათასი მილიონების, იმ მილიონების, რომლებიც მშრომელი ხალხის ოფლით მონაგარია, გაფლანგვა და ტყუილა-უბრალო ჩაღუპვა. სახლში ბიუროკრატიული წესწობილების წარმომადგენლებსა და ხალხს შორის ატეხილი ბრძოლა; სრული ძალმომრეობა და თვითნებობა ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასაქრობად და ჩასანაწყავათ; მუშების გაფიცვები, გლეხების არეულობები, რომელთაც შიმშილი, უკიდურესი სიღატაკე იწვევს; უმაღლეს სასწავლებლების დაკეტვა, ზოგიერთ საშუალო და თითქმის დაბალს სასწავლებელში სწავლის შეწყვეტა; ყველა ამასთან „შავი რაზმის", ხულიგანების, საზოგადოების ნაძირალთა ბნელი ელემენტების გამოსელა საზოგადოების ბრწყინვალე, ნათელ და ცხოველმყოფელ ელემენტებთან საბრძოლველათ. ურიების და სომხების ასეთი შავი რაზმების საშუალებით აწიოკება და გაჟლეტა. იმავე დროს საზოგადოების ძალების დაქსაქსვა და დღევანდელი ბრძოლისათვის მოუმზადებლობა. ამაში გამოიხატება დღევანდელი კრიზისი, დღევანდელი გამოურკვეველი მდგომარეობა. არავინ არ არის უზრუნველყოფილი, რომ ყოველ წუთში მაზე არ იქნება ნახმარი ძალმომრეობა, არ შეიქმნება მსხვერპლი თვითნებობისა.

როდემდის გაგრძელდება ასეთი საერთო მოუსვენარი, გამოურკვეველი და საშიში მდგომარეობა? მოელის ამას დასასრული, თუ ჩვენ ვერ ველირსებით დამშვიდებით ცხოვრებას, ადამიანის პიროვნების უზრუნველყოფილ მდგომარეობას?

აი კითხვები, რომლებიც ყველა ჩვენგანს ძალაუნებურად ებადება თავში და პასუხს თხოულობს. სად არის ის ძალა, რომლის საშუალე-

ბით საზოგადოება უნდა განთავისუფლდეს იმ საშინელი განსაცდელისაგან, რომელიც მას კარზე ადგას? ერთად ერთი საშუალება დაუყოვნებლივ დამფუძნებელი კრების მოწვევა, ე. ი. ხალხის წარმომადგენლების, მის მიერ თავისუფლად არჩეულ დეპუტატების შეკრება. და მართლაც, ვინ უნდა ამოიღოს ხმა ხალხის გასაჭირზე, ვინ უნდა იხსნას იგი განსაცდელისაგან, თუ არა თვით ხალხმა მის მიერ ამორჩეულ წარმომადგენლების საშუალებით. მაგრამ ვინ უნდა მოიწვიოს დამფუძნებელი კრება? როგორ, რა გზით უნდა მოხდეს ხალხის წარმომადგენლების შეკრება ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფო წეს-წყობილების დასაფუძნებლათ? უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ამას მოახდენს თვით ბიუროკრატია, ე. ი. იმ პირთა კრებული, რომლებმაც შექმნეს და გამოიწვიეს დღევანდელი საშინელი კრიზისი. ასეთი იმედი დაბადა და განამტკიცა 12 დეკემბრის მანიფესტმა და 18 თებერვლის რესკრიპტმა. 18 თებერვლის რესკრიპტის ძალით შინაგან საქმეთა მინისტრს ბულიგინს ებრძანა სათათბირო კამისიის შედგენა მისი თავმჯდომარეობით იმ წესების შესამუშავებლად, რომლების საფუძველზე უნდა მოწვეული იქნას ხალხის წარმომადგენლები ზოგიერთ საკანონმდებლო განზრახვათა შემუშავების დროს. იმავე რესკრიპტის ძალით, როგორც კერძო საზოგადოებათ, ისე ცალკე პირებს ნება ეძლევათ შეკრებილიყვენ და გამოეთქვათ თავის მოსაზრებანი სახელმწიფო წესწყობილების გაუმჯობესობის შესახებ. მაგრამ ამის შემდეგ გავიდა სამ თვეზე მეტი და ბულიგინის კომისიის შესახებ საზოგადოებამ და პრესამ არაფერი სარწმუნო არა იცის რა. რაც შეეხება კერძო საზოგადოებათა კრებებს, ეს მინისტრის განკარგულებით ისეთ პირობებში ჩააყენეს, რომ ის მხოლოდ მარტოოდენ ქალალდზე დარჩა. ამავე დროს ყველა აშკარად ხედავს, რომ ბიუროკრატიას ფეხიდან ყოველგვარი ნიადაგი ეცლება, რომ მან დაკარგა ყოველივე ნდობა საზოგადოების თვალში. მაგრამ თუ ყურადღებას მიაქცევთ იმას, რაც დღეს ბიუროკრატიის მაღალ სფერებში ხდება, მეტად გაოცებული დარჩებით. თითქო აქ არც კი ამჩნევენ, თუ საზოგადოებაში რა მოძრაობა მწიფდება, რა ძალა იღვიძებს მის შესამუსრავად. პირიქით, იქ თქვენ ხედავთ, რომ დღე ისეთი არ გაივლის, რომ რაიმე ახალი კომისია ან რჩევა არ დაარსონ რომელიმე მსხვილი ბიუროკრატის თავმჯდომარეობით ყველა იმ კითხვების გამოსარკვევათ და გადასაწყვეტათ, რომლებიც დღეს საზოგადოებას აღელვებენ და რომლების გადაწყვეტა დღეს მხოლოდ ხალხისაგან ამორჩეულ მთავრობას შეუძლია და სხვას არავის.

ასეთია, მაგ., აგრარული საკითხი, მუშების საქმე, ბეჭდვითი სიტყვა, გაძლიერებული დაცვის წესდების გადასინჯვა, გადასახლების საკითხი და სხვა. თუ კი ყველა ამ კითხვების გადაჭრა შეუძლია ბიუროკრატიულ მთავრობას, მაშინ რაღა საჭიროა ხალხის წარმომადგენლების მოწვევა, მაშინ რაღა აზრი აქვს დამფუძნებელ კრებას? ყველა ამ კომისიების დაარსება და აგრეთვე ის, რომ ბულიგინის კომისიას დღემდე არაფერი არ გამოუტანია, აშკარათ მოწმობს იმას, რომ ბიუროკრატიას არა გზით არა სურს ხალხის წარმომადგენლების მოწვევა, ვინაიდან ეს მისთვის სიკვდილი იქნებოდა, და თავისი თავის მოკვლა ხომ ერთნაირი გმირობაა და მასთან სერიოზული დათმობა, რასაც არასოდეს არ ჩაიდენს ჩვენი ბიუროკრატია. მაშ, სად უნდა ვეძიოთ გამოსავალი? მაშ, როგორ, რა გზით უნდა განხორციელდეს ხალხის წარმომადგენლების შეკრება სახელმწიფოს ძირითად კანონების გამოსაცემად? არის მხოლოდ ერთად ერთი გზა, ერთად ერთი საშუალება,—ეს თვით ხალხის ინიციატივაა, მისი თაოსნობა და არავის სხვისა.

(ჟურნალი „მოგზაური“ 1905 წ.
22 მაისი № 19).

ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნას.

დღეს დაბა ხონში მიაბარებენ სამარეს უდროოთ დაკარგულს, ჯერ სულ ახალგაზრდა საზოგადო მოღვაწეს, ალექსანდრე წულუკიძეს. განსვენებული ეს რამოდენიმე წელიწადია შეპყრობილი იყო საშიშარი სენით, მისი ჯანმრთელობა თხოულობდა, რომ იგი სრულებით მოშორებოდა აბობოქრებულ ცხოვრებას და სადმე დამშვიდებით და წყნარად ეცხოვრა, რამდენიმე ხანს მაინც. ასე იქცევა საზოგადოების უმრავლესი ნაწილი და ამაში იხატება მისი ვითომდა გონიერება. ალექსანდრე წულუკიძე კი მოკლებული იყო ასეთ „გონიერებას".

იმ დროს, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება მისგან სამსახურს თხოულობდა, მას არ შეეძლო თავის პირად ინტერესებზე ეზრუნა. როცა მისი ფიზიკური ჯანმრთელობა დასვენებას და ექიმობას თხოულობდა, იგი უზომო შრომაში ატარებდა დროს. იგი ებრძოდა დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების დუხჭირ მავნე პირობებს; იგი მოქმედებდა საუკეთესო პირობების მოპოვებისათვის, როცა ადგილი აღარ ექნება ადამიანის დაჩაგვრას და შევიწროებას. და აი, ამ სარბიელზე მეტად ნაყოფიერი შეიქნა მისი მოღვაწეობა. თუმცა ხანმოკლე იყო ეს მოღვაწეობა, მაგრამ იგი წაუშლელი დარჩება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების ისტორიაში.

ჩვენი ოფიციალური საზოგადოება და მწერლობა მას მეტად ნაკლებათ იცნობს; სამაგიეროთ მისი მოქმედება აღბეჭდილია ჩვენი მშრომელი ხალხის გულში.

ალექსანდრე წულუკიძის დაკარგვა ჩვენთვის მეტად საგრძნობელია. დღეს, როცა გარშემო საერთო გათახსირებაა და დაცემაა, როცა პირადმა ანგარიშებმა ჩაგრულთა მოსარჩლეების წრეშიაც იჩინა თავი, მეტად მძიმე და მეტად სამწუხაროა ალექსანდრე წულუკიძის დაკარგვა, რომელიც მუდამ მაღლა იდგა, რომლის ზნეობის სიფაქიზეში თვით მტრებიც-კი ვერ შეიტანდენ ეჭვს. მოვა დრო და, ვგონებთ, იგი შორს აღარ არის, როცა ალექსანდრე წულუკიძის მოღვაწეობას ფარდა აეხდება, და საზოგადოება აშკარათ დაინახავს, თუ რა სასარგებლო მოღვაწე, რა

ძლიერი ენერგიის, მტკიცე ხასიათის და ზნეობრივი სისპეტაკის მქონებელი ადამიანი დაჰკარგა მან ალექსანდრე წულუკიძეში. ახლა კი მშვიდობით, უდროოთ დაკარგულო, ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო, საშა! შენ არ მომკვდარხარ იმათთვის, ვინც შენ გიცნობდა, ვინც შენთან ერთად ემსახურებოდა და ემსახურება სახალხო საქმეს. ვაი იმათ, რომლებიც საზოგადოებას უკულმართ გზაზე აყენებენ, რომლებიც ბნელ ძალებს იწვევენ! შენი სახე კი მუდამ ბრწყინვალე იქნება და შენი ხსოვნა შარავანდედით შეიმოსება! საუკუნოთ ტკბილი მოსაგონებელი გახდება შენი გახსენება ყველა ტვირთმძიმეთა და მაშვრალთათვის!

(ჟურნალი „მოგზაური“ 1905 წ.
12 ივნისი № 22).

ა. გ. გულიგინის პროექტი

გაზეთებში უკვე დაიბეჭდა ცნობები ბულიგინის[6]) პროექტის შესახებ, რომლის თანახმად უნდა მოხდეს ამ ახლო მომავალში ხალხის წარმომადგენლების მოწვევა. გამოქვეყნებული ცნობები სრული არ არის, და არც ის ვიცით დანამდვილებით, თუ რამდენათ მართალია ისინი, ვინაიდან იმათი გამოქვეყნება არ მომხდარა ოფიციალურად. ჩვენ, რა თქმა უნდა, დიდ მნიშვნელობას არასოდეს არ ვაძლევდით ხსენებულ პროექტს, მაგრამ ასეა თუ ისე, მაინც ვალდებულათ ვრაცხთ თავს მას ანგარიში გავუწიოთ. ვალდებული ვართ განვუმარტოთ მკითხველებს, თუ რა საფუძველზე და რა პირობებში ფიქრობს ბიუროკრატიული მთავრობა ხალხის წარმომადგენლების მოწვევას.

ყველამ უწყის, რომ ხალხის წარმომადგენლების მოწვევა სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მისაღებათ ჩვენს ბიუროკრატიას არასოდეს არ მოსვლია თავში. პირიქით, იგი ყოველთვის სასტიკათ ეწინააღმდეგებოდა და დღესაც ეწინააღმდეგება წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობის შემოღებას რუსეთში. და თუ დღეს იგი ხალხის წარმომადგენლების მოწვევაზე პროექტს ადგენს, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ იგი იძულებულია ასე მოიქცეს, ვინაიდან სხვა გზა მას დღეს აღარ აქვს. ~~ამიტომ~~ ~~ადვილად~~ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რანაირი უნდა იყოს ბიუროკრატიის მიერ შემუშავებული პროექტი ხალხის წარმომადგენლების მოწვევის შესახებ.

ბიუროკრატია დაუძინებელი მტერია იმის, რომ ხალხმა თვითონ განაგოს თავის წარმომადგენლების საშუალებით თავისი საქმეები, რომ თვით ხალხი იყოს კანონმდებელი და მასვე ჰქონდეს უფლება პასუხი მოსთხოვოს ყველა იმათ, ვისაც იგი ამა თუ იმ თანამდებობის შესრულებას ავალებს. ამიტომ თუმცა ბიუროკრატია, როგორც ვთქვით, იძულებული შეიქნა ხალხის წარმომადგენლების მოწვევის შესახებ პროექტი შეედგინა, მაგრამ მას არ შეეძლო შერიგებოდა ხალხის დღევანდელ მოძრაობას, არ შეეძლო საკუთარი ეცნო საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ წამოყენებული მოთხოვნები. თუმცა ხალხის წარმომადგენლების მოწვე-

ვის საქმე სულ ვერ უკუაგდეს, მას აშკარათ და გამოსაჩენათ ველარ უწოდეს უაზრო და თავხედი მოსაზრება, პირიქით, ხალხის წარმომადგენლების მოწვევა დღეს საპირათ მიაჩნიათ იმათაც, რომლებიც ამ ერთი წლის წინათ ამაზე ლაპარაკს დანაშაულათ თვლიდენ, მაგრამ წარმომადგენლებიც არის და წარმომადგენლებიც. ხალხი თხოულობს დამფუძნებელი კრების მოწვევას, რომელშიაც შეველენ ხალხის წარმომადგენლები, არჩეულნი საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და საიდუმლო ხმის უფლებით, რომელიც შეიმუშავებს სრულებით ახალ ძირითად კანონებს. მთავრობა კი იმის ნაცვლად გვპირდება „სახელმწიფო საბჭოს“, (Государственная дума), რომლის წევრები ხალხის წარმომადგენლებათ იქნებიან წოდებული. სახელმწიფო საბჭოს წევრებს, ბულიგინის პროექტით, ირჩევს ხალხი, მაგრამ არა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და საიდუმლო ხმის მიცემით, როგორც ამას დღეს საზოგადოება თხოულობს; ასეთი არჩევანი უარს ყოფს ყოველგვარ ცენზს, როგორც ქონებრივს, ისე სწავლის მხრით. ხსენებული პროექტით კი ხალხის წარმომადგენლების არჩევნები უნდა მოხდეს 1864 წლის საერობო დებულების საფუძველზე, ე. ი. ამომრჩევლებათ იქნებიან მხოლოდ მიწათმფლობელნი, სოფლის საზოგადოებათა წარმომადგენლები (და არა თვით საზოგადოებანი) და ქალაქის მესაკუთრეები. ამნაირათ, აქ უარყოფილია საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი ხმის უფლება. აშკარაა, რომ თუ მართლა ამ წესით მოხდა ხალხის წარმომადგენლების არჩევა, ეს უკანასკნელები მხოლოდ სიტყვით იქნებიან ხალხის წარმომადგენლები, ნამდვილათ კი ისინი მიწათმფლობელების და ქალაქის ბურჟუაზიის წარმომადგენლები იქნებიან. გლეხ-კაცობის უმეტესი ნაწილი და ქალაქის მუშა ხალხი, პროლეტარიატი, საარჩევნო უფლებას სრულებით მოკლებული დარჩება, ე. ი. არც სოფლის გაპირვებულ გლეხობას და არც ქალაქის მუშა ხალხს სახელმწიფო საბჭოში თავისი წარმომადგენელი არ ეყოლება. თუ ხსენებული პროექტი ცხოვრებაში განხორციელდა, ადვილი წარმოსადგენია, რა შედეგი უნდა მოჰყვეს ამას.

მეორე მხრით, რა ძალა და მნიშვნელობა უნდა დაურჩეს პროექტის ძალით რუსეთის სახელმწიფო საბჭოს? როგორც ვიცით, სახელმწიფო საბჭო არსებობს დღესაც მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დღევანდელი საბჭოს წევრებს ნიშნავს თვით მეფე. ბულიგინის პროექტით ეს საბჭო რჩება ახალი საბჭოს გვერდით; მაგრამ არსებულ საბჭოს უპირატესობა ექნება იმ საბჭოსთან, რომელშიაც ხალხის წარმომადგენლები

შეევლენ. დღეს სახელმწიფო საბჭოს რუსეთში არავითარი მნიშვნელობა და ძალა არა აქვს, რადგანაც ყოველივე მეფის სურვილზე ჰკიდია ანდა ადმინისტრაციის თვითნებობაზე, და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან საბჭოს წევრებს თვით მეფე ნიშნავს და არა ხალხი ირჩევს. თუ ბულიგინის პროექტი განხორციელდა, დღევანდელ სახელმწიფო საბჭოს ზედა პალატის როლი მიენიჭება, მაშასადამე, ქვედა პალატის როლს ახლათ განზრახული საბჭო შეასრულებს.

რაში უნდა გამოიხატოს ეს როლი, რა უფლება და ძალა უნდა დაურჩეს ამ ქვედა პალატას საქვეყნო საქმეების მართვა-გამგეობაში, ახალი კანონების გამოცემაში და ძველი, დრო გადასული კანონების გაუქმებაში, ესეც ადვილი წარმოსადგენია. ჯერ ერთი ისა, რომ სახელმწიფო საბჭო, ქვედა პალატის სახით, სათათბირო ორგანოა, რომელსაც ნება ექნება განიხილოს ესა თუ ის საკანონმდებელო აქტი, სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვა, შეეკითხოს მინისტრებს ამა თუ იმ ზომების შესახებ, აღძრას კითხვა ამა თუ იმ კანონის გამოცემის ან გაუქმების შესახებ—მორჩა და გათავდა: მას არაფერში გადამწყვეტი ხმა არ ექნება. ითათბირებს და შემდეგ, როგორც ენებება ზედა პალატას, ე. ი. მეფის მიერ დანიშნული წევრებისაგან შემდგარ სახელმწიფო საბჭოს, საქმე ისე გადაწყდება.

ამნაირათ ახლათ განზრახული სახელმწიფო საბჭო არ არის კანონმდებელი, იგი ვერ განახორციელებს ჩვენში წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობას: მის წინაშე არავინ არ იქნება პასუხისმგებელი. აშკარაა, რომ ამ სახით ხალხის წარმომადგენლების არჩევას, თუნდაც რომ აქ მარტო მიწათმფლობელები და ქალაქის ბურჟუაზია ვიგულისხმოთ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. რაღა საჭიროა ამდენი დავიდარაბა, ამოდენი ყოყმანი! ან ხალხის წარმომადგენლებს მიენიჭოს ის უფლებები, რომლებიც მათ ცხოვრებამ არგუნა, ან ისინი სრულებით არ უნდა იქნენ მოწვეული. მაგრამ ხალხის წარმომადგენელების მოწვევა და იმათი კრება ეს აუცილებელი საქმეა.

ასე იქნება თუ ისე, ახლო მომავალში რუსეთის ხალხის წარმომადგენლები უთუოდ შეიკრიბებიან. აქედან კი თავის თავად იგულისხმება, თუ რა უფლებით უნდა იქნას აღჭურვილი ხალხის წარმომადგენელთა კრება. ეს კრება აუცილებლათ უნდა გადაიქცეს დამფუძნებელ კრებათ. სხვა გზა მას არ აქვს.

(ჟურნალი „მოგზაური“ 1905 წ.
19 იენისი № 23).

უკანასკნელი ამბების გამო.

ადამიანი სულ ბრმა უნდა იყოს, რომ ვერ შეამჩნიოს ის, რაც ღღეს ჩვენს გარშემო ხდება. ძველმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ უკვე მოჭამა თავისი დრო, მაგრამ იგი ვერ შერიგებია იმ უბრალო და მარტივ აზრს, რომ რაც დროს გადასულია და სინამდვილეს აღარ შეესაბამება, იგი სამუდამოთ უნდა მოისპოს და პირისაგან ქვეყნისა აღიგავოს.

აშკარაა, რომ ეს გარემოება იწვევს მეტად სასტიკ და მეტად საშიშარ ბრძოლას. ასეთი ბრძოლა წუთიერი მოვლენა როდია, იგი ხშირად გრძელდება არა თუ წლობით, არამედ—საუკუნოებითაც. მისი ისტორია მოწმობს, რომ ხან სუსტდება და ხან ძლიერდება და საშიშარი ხდება. ეს არის მაშინ, როცა უკანასკნელი, გადამწყვეტი შეტაკების დრო დგება. ასეთი დრო მეტად საშიშარი და თავზარდამცემია, ეს არის შინაური, სამოქალაქო ომის დრო, როცა საზოგადოების ერთი ნაწილი, ანუ დაჩაგრული კლასი, ებრძვის თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, ადამიანურ უფლებების მოსაპოებლათ, საზოგადოების მეორე ნაწილს, ანუ გაბატონებულ კლასებს.

ვიმეორებთ, რომ ასეთი შინაური ბრძოლა შედარებით დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება, მხოლოდ, როცა გამწვავდება, როცა არსებულ წეს-წყობილების პირობები ყოვლად აუტანელი ხდება საზოგადოების. უდიდესი ნაწილისათვის, მაშინ იწყება აშკარა შეტაკება, რაც დრო გადასული წესწყობილების სრული დამარცხებით თავდება. ამას რევოლიუცია ჰქვია. ეს არ ხდება უმსხვერპლოთ, სისხლის დაუღვრელათ, უტანჯველათ; რას იზამთ, ღღემდის ასე მიმდინარეობს კაცობრიობის ისტორიული და საზოგადოებრივი ცხოვრება.

მაგრამ რამდენათ საშიშარი და საზარელია რევოლიუციის ხანა, იმდენათ: იგი დიდებული და აღმაფრთოვანებელია. თუ, ერთი მხრით, ამ დიდებულ და სანატრელ დროს ჩვენ ვხედავთ ფლიდობის და სიმდაბლის ყოვლად საზიზღარ მაგალითებს, მეორე მხრით, ჩვენ თვალწინ გვიდგება უმაღლესი გმირების სათაყვანებელი მაგალითები. მხოლოდ ასეთ დროს იჩენს საზოგადოება, თუ რაოდენი ცხოველმყოფელი და ბრწყინვალე ძა-

ლები ინახება მასში რევოლიუციონურ დროს. მეორე უმთავრეს დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ის გარემოება, რომ მაშინ თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩვენ ვხედავთ არსებული კანონების ფაქტიურ გაუქმებას და ხალხის გახშირებულ აჯანყებას მთავრობის წინააღმდეგ. ამას ზედ ერთვის საერთო მოუსვენრობა, შფოთი და აღელვება; ყოველივე ეს მეტად აჩქარებით და შეუჩერებლათ ხდება, სანამ არსებული წეს-წყობილება ძირიან-ფესვიანათ არ დაინგრევა და მის ადგილს ახალი არ დაიჭერს.

ასეთ პირობებში ვცხოვრობთ დღეს ჩვენ. ცხოვრება დღითი-დღე, საათობით და წამობით, მწვავდება და აუტანელი ხდება. ერთ უბედურებას მეორე უბედურება მოსდევს და ამას დასასრული არ უჩანს. საზოგადოებას ჰგონია, რომ ახლათ მოვლენილი უბედურება უკანასკნელია, რომ ახალ უბედურებას იგი ველარ გაუძლებს, მაგრამ სჩანს, რომ ხალხის გაჭირვების ფიალა ჯერ კიდევ არ გავსებულა, სჩანს, რომ მას ჯერ კიდევ შეძლებია გაჭირვების და ტანჯვის ატანა. და მართლაც, რას ვხედავთ ჩვენ ამ უკანასკნელ დროს? გაჭირვებას გაჭირვება ემატება, განსაცდელს განსაცდელი. გაძლიერებული დაცვა იცვლება სამხედრო წესების შემოღებით, თითქო პირველი საკმარისი არ იყოს თავისი სიმკაცრით და სისასტიკით. მაგრამ გაქრა ის დრო, როცა ასეთი ზომებით შესაძლებელი იყო ხალხის დაშვიდება. დღეს კი მთელი ჯოჯოხეთის ძალებსაც კი აღარ ძალუძთ მოძრაობის ჩაქრობა და ხალხის დამშვიდება.

მიმოიხედეთ გარშემო, გადააავლეთ თვალი რუსეთის უზარმაზარ სივრცეს: ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე, დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე,—ყოველგან მოძრაობა, ყოველგან მღელვარება, შეტაკება, სისხლის ღვრა!

მთელი რუსეთის მშრომელი ხალხის საუკუნოების განმავლობაში მონობის რკინის ჯაჭვით შებორკილი, ტარჯული და გვემული, გაყვლეფილი და გაძარცული, ქალაქის და სოფლის პროლეტარიატი, დაიძრა და თავის მტარჯველებს და მძარცველებს აშკარათ, იარაღით ხელში, პასუხს სთხოვს. განა შეიძლება მილიონ ხალხის გაჩუმება, მისი მოძრაობის შეჩერება? აშკარაა, რომ ეს შეუძლებელია. აშკარაა, რომ ჩვენშიაც უნდა მოხდეს ის, რაც სხვა ქვეყნებში მოხდა. და აი, დადგა წამი, როცა ეს დიდებული საქმე უნდა შესრულდეს, როცა სამუდამოთ უნდა მოისპოს ჩვენში ბატონ-ყმური მონობის უკანასკნელი ნაშთი, დამყარდეს სრული თავისუფლება. ნუ გგონიათ, რომ სრული დემოკრატიული თავისუფლების მოსარჩლე ჩვენში იყოს სხვა ვინმე, გარდა პროლეტარია-

ტესა. მხოლოდ იგი იბრძვის ნამდვილი თავისუფლების განსახორციელებლათ. ის ნახევრათ ლიბერალურ-დემოკრატიულ-ბურჟუაზიული ჯგუფები, რომლებიც დღეს ხალხის სახელით პოლიტიკურ რეფორმებს და ხალხის წარმომადგენლობის მოწვევას თხოულობენ, ბოლოს და ბოლოს უფრო ღალატობენ ხალხის თავისუფლების საქმეს, ვიდრე მას ემსახურებიან. ისინი ყოველ წამს მზათ არიან ზავი შეჰკრან მშრომელი ხალხის მტერთან, ოღონდ კი მათი კერძო ინტერესები დაკმაყოფილებული იქნეს. როდის იყო, რომ ისინი ხალხს ქომაგობდენ, როდის იყო, რომ ისინი მუშა ხალხის ინტერესებს იცავდენ, რომ დღეს ჭეშმარიტებათ მივიღოთ მათი მაღალ-ფარდოვანი სიტყვები. საქმე სიტყვებში კი არ არის, არამედ—მოქმედებაში.

ჩვენ ვიცით, როგორ მოქმედებენ ბურჟუა-ლიბერალები. დიდი ხანი არ არის, რაც აშკარათ დაუმტკიცეს ქვეყნიერებას, რომ იმათ დემოკრატიულ მოთხოვნებში ნამდვილ დემოკრატიზმს ადგილი არა აქვს.

მხოლოდ მუშათა პარტია იბრძვის ნამდვილი დემოკრატიულ რეფორმების განსახორციელებლათ და შესძლებს კიდევაც იმათ განხორციელებას. იგი იბრძვის ჭეშმარიტების და სამართლიანობის დასამყარებლათ, და ამიტომ ამაოა მის წინააღმდეგ ზომების მიღება. ადრე იქნება თუ გვიან, იგი უეჭველათ დასძლევს ბნელ ძალებს და გამოვა გამარჯვებული. ამიტომ მას არ აღონებს, სასოწარკვეთილებაში არ აგდებს მის წინააღმდეგ მიმართული ბნელი, სასტიკი და ველური ძალები...

(ჟურნალი „მოგზაური“ 1905 წ.
3 ივლისი № 24).

I

ალ. წულუკიძის საფლავთან.

14 ივლისს შესრულდება ორმოცი დღე ალ. წულუკიძის გარდაცვალების შემდეგ. უკვე ორმოცი დღე გაღის მას შემდეგ, რაც სიცოცხლეს გამოესალმა დაუღალავი და თავგანწირული მებრძოლი ხალხის თავისუფლებისათვის. სიკვდილმა გამოგვგლიჯა ხელიდან ეს საუკეთესო ამხანაგი ის დროს, როცა მისი გავლენიანი და ნიჭიერი სიტყვა და მოქმედება მეტად საჭირო იყო. ნუ დაივიწყებთ, რომ ალექსანდრეს ულმობელმა სიკვდილმა მოუსწრო ის დროს, როცა იგი თავის მოღვაწეობას იწყებდა, მას არ დასცალდა სანახევროდ განეხორციელებია ცხოვრებაში ის, რის იმედს მისი ძლიერი ნიჭი და ფართო განვითარება გვაძლევდა!

მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ ალ. წულუკიძის მოღვაწეობა უდროოთ შეწყდა, მიუხედავათ იმისა, რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაშიაც მას მრავალი დაბრკოლება ელობებოდა წინ, როგორც, მაგ., დღევანდელი ცხოვრების დუხჭირი და აუტანელი პირობები და მძიმე ავადმყოფობა, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში ებრძოდა განსვენებული, მიუხედავათ ყველა ამისა, ალ. წულუკიძემ მაინც შესამჩნევი კვალი დატოვა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ვერც გარეგანმა დაბრკოლებამ, ვერც სასტიკმა დევნამ და ძლიერთა მუქარამ და ვერც დაუნდობელმა სენმა მას იარაღი ვერ გააგდებინეს ხელიდან. იგი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შეურყეველად ებრძოდა გაბატონებულ კლასებს, როგორც მუშა ხალხის ერთი საუკეთესო ბელადთაგანი; მან პატიოსნად და პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა და ნამდვილი ქეშმარიტი მოქალაქის ვალი. მისი გასვენება, მისი ცხედარის გარშემო კავკასიის თითქმის ყველა კუთხიდან შეკრებული აუარებელი მუშა ხალხი, რამდენიმე ენაზე წარმოთქმული სიტყვები, ყოველივე ეს აშკარად მოწმობს, თუ ვინ იყო, რას აკეთებდა და ვის ემსახურებოდა ალ. წულუკიძე.

მან უარყო ბრწყინვალე წოდება, უარყო ფუფუნებაში ცხოვრება და შეუერთდა დამცირებულს, მიწასთან გასწორებულ დაბალ წოდებას,— სოფლის და ქალაქის პროლეტარიატს, შეიქნა მისი მოსარჩლე, მისი

თვითცნობიერების გამამტკიცებელი. მან მოგვცა საუკეთესო მაგალითი თავგანწირული მუშაობისა მშრომელი ხალხის სასარგებლოთ.

დეე, მისი მაგალითი გახდეს მისაბაძი ყველა იმათთვის, ვინც მასთან ერთად ემსახურებოდა დიდებულ საქმეს; დეე, მისი წმიდა საფლავი იყოს იმის ნიშანი, რომ ხალხისთვის თავდადებული და თავგანწირული მოღვაწის სახელი არასოდეს არ მოკვდება!

(ჟურნალი „მოგზაური" 1905 წ.
11 ივლისი, № 25).

აგრარული კითხვის გამო.

ჩვენ არა ერთხელ გეითქვამს, რომ აგრარული საკითხი იმგვარი საკითხთაგანია, რომელიც დღეს ყველაზე უფრო გამწვავებულია. ჩვენი გლეხ-კაცობა დიდი ხანია იტანდა ათასგვარ გაჭირვებას და შევიწროებას, დიდი ხანია იგი მოკლებული იყო ადამიანურ ცხოვრებას. არ იყო არავითარი კანონი, რომელსაც გლეხ-კაცის პიროვნების დაცვა შესძლებოდა; არ იყო არც ერთი დაწესებულება, რომელსაც მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვა ჰქონოდა დავალებული. გლეხობის დროებით დაბეჩავებას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ თანამედროვე ცხოვრების პირობებმა პირველი ალაგი ქალაქს არგუნა და სოფელი კი შედარებით დაქვეითდა. როგორც მრეწველობის და აღებ-მიცემობის, ისე გონებრივი განვითარების ცენტრი ქალაქი შეიქნა. მაშინ, როცა ქალაქი თანდათან იზრდებოდა, როგორც ქონებრივათ, ისე გონებრივათ, სოფელი ისევ ძველ პირობებში რჩებოდა: იქ ისევ ძალაში იყო ბატონ-ყმობის დროიდან დარჩენილი წესები. რასაკვირველია, სოფლის მყუდრო ცხოვრება ირღვეოდა, თუმცა ძლიერ იშვიათად, რაიმე კერძო ამბოხებით, ე. ი. ერთი ან რამდენიმე გლეხის მემამულესთან შეტაკებით, მაგრამ ჩქარა ცხოვრება ისევ ძველ კალაპოტში ვარდებოდა. ამავე დროს გლეხ-კაცობის უმეტესი ნაწილის ნივთიერი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა და ეცემოდა. რაც დრო გადიოდა, გლეხობის ჩქმარავლეობა სულ უფრო და უფრო ხდებოდა დამოკიდებული მემამულეებისაგან. სახნავ-სათესი მიწა, საბალახე, ტყე, წყალი, ურომლისოდ გლეხკაცს სიცოცხლე არ შეუძლია, მისთვის სულ უფრო და უფრო ძნელი მისაწვდომი ხდებოდა, ვინაიდან მემამულეები თანდათან უმატებდენ და მაღლა სწევდენ ღალას, იჯარას და ყველა სხვა გადასახადსა და ბეგარას. ასე გეგონებოდათ, რომ ამ მომატებას საზღვარი აღარ აქვსო. სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ ასეთი შევიწროება, ასეთი აღვირ-ახსნილი ექსპლოატაცია ყოველგან ერთნაირი როდი ყოფილა: ზოგან გლეხ-კაცობა უფრო მეტ გაჭირვებას იტანდა და ზოგან ნაკლებს, იმის მიხედვით, თუ როგორი იყო მისი გასაჭირი; რამდენათაც მეტ საჭიროებას

გრძნობდა გლეხ-კაცობა კერძო მემამულეების მიწა-ადგილში, იმდენათ ეჯერო სამძიმო ხდებოდა მისთვის მემამულეებთან საქმის დაჭერა.

როგორც ზევით ვამბობდით, გლეხების მდგომარეობა მწვავდებოდა და ხსნა კი არსაიდან ჩანდა. დიდხანს იყო ეს ასე, ე. ი. მანამდის, სანამ ქალაქის მუშების ბრძოლამ კაპიტალისტების და მთელი თანამედროვე ბურჟუაზიული წესწყობილების წინააღმდეგ სოფელშიაც არ შეაშუქა, სანამ მუშების დიდებული მოძრაობა გლეხებშიაც არ გადავიდა და ისინიც არ გამოაღვიძა. და აი, მიყრუებულ სოფლებში დაბეჩავებულ და გაჩანაგებულ გლეხებში დაიწყო მოძრაობა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც დღემდის გლეხებს ავიწროებდა და ჩაგრავდა. დაწყებული ერთ კუთხეში ეს მოძრაობა, ჩქარა მოედვა მთელ მხარეს ამას არავინ არ მოელოდა და ამიტომ რა გასაკვირველია, რომ ყველა გაბატონებული კლასებისათვის და იმათთვისაც, ვინც იმათ ინტერესებს იცავს, ეს მეტად საშიშარი შეიქნა. აშკარა იყო, რომ გლეხების წინაადმდეგ უსასტიკეს ზომებს მიიღებდენ და არაფერს არ დაზოგავდენ, ოღონდ კი მოძრაობა ჩაექროთ. და აი, გლეხებს გამოუცხადეს ომი, იმათ წინააღმდეგ იხმარეს ყველა ზომები, რომლებიც დაცდილი ქონდათ, ე. ი. დატუქვა, გამათრახება, დატყვევება, ციხე, ციმბირი და ბოლოს ეგზეკუცია. მაგრამ ყოველივე ეს ამაო შეიქნა, ამიტომ ეხლა სხვა ზომებს მიმართეს: იწყეს გლეხების დამშვიდება სხვადასხვაგვარი შეღავათის დაპირებით. დაუწყეს იმათ ლაპარაკი იმაზე, რომ მართალია ისინი გაჭირვებული არიან, მაგრამ ამისათვის მთავრობა მუდამ ზრუნავდა და ახლაც ზრუნავს, რომ საჭიროა მხოლოდ იმათი დამშვიდება, რომ მან უფრო გულმოდგინეთ და უფრო ენერგიულათ მოკიდოს ხელი იმათი მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეს. მაგრამ გლეხებმა აღარც ეს დაიჯერეს. იმათი აზრით დღეს მარტო სიტყვები აღარ კმარა, საჭიროა საქმით გვაჩვენოთ, ნამდვილათ დაგვანახოთ, რაც ჩვენთვის გწადიათ, გვეყო რაც ამდენ ხანს ვითმინეთ, კმარა, რაც გამოგვიელიაო.

და მართლაც, გლეხების მოძრაობა არა თუ ცხრება, გლეხები არა ხუ არ მშვიდდებიან, არამედ იმათი მოძრაობა უფრო ფართოვდება და იზრდება. მართალია, გლეხების დღევანდელი მოძრაობა როდია წმინდა პროლეტარული ხასიათის მოძრაობა. გლეხების მოთხოვნილების უმეტესი ნაწილი იმ ხასიათისაა, რომ ისინი პირდაპირ ეწინააღმდეგებიან პროლეტარიატის მისწრაფებას და იდეალს, ე. ი. კერძო საკუთრების მოსპობას; მხოლოდ კერძო საკუთრების მოსპობა შრომის ყოველგვარ ია-

რაღზე, როგორიც არის, მაგ., მიწა, ბოლოს მოუღებს შრომის ექსპლოატაციას, ე. ი. ადამიანის მიერ ადამიანის გაყვლეფას, მაგრამ გლეხკაცობა საერთოდ ვერ დაადგება ამ გზას მანამ, სანამ დღევანდელი საზოგადოებრივ-ეკონომიური პირობები არსებობენ. საჭიროა ამ პირობების სრული გაუქმება, რომ გლეხებში დაიწყოს უფრო შეგნებული, წმინდა კლასობრივი ხასიათის მოძრაობა. გლეხ-კაცობა ფაქტიურად დღესაც სხვადასხვა ელემენტებისაგან შესდგება, რომლების ნივთიერი ინტერესები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან, აშკარაა, რომ გლეხების უმრავლესობის საკითხი მთელი მშრომელი ხალხის საკითხია, და თუ დღეს იგი გამოცალკევებულია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გლეხები განსაკუთრებულ პირობებში ცხოვრობენ. ეს პირობები კი ისეთია, რომ ისინი ხელს უშლიან წმინდა პროლეტარულ მოძრაობის განვითარებას გლეხ-კაცობაში. გლეხ-კაცობა საუკუნოების განმავლობაში მიკრული იყო მიწას, იგი დიდი ხნის განვლილ მიწის კერძო საკუთრების პრინციპზე იყო და არის აღზრდილი, თუმცა იმათ უმრავლესობას წილათ ხვდა მხოლოდ ამ საკუთრების აჩრდილი.

გლეხებში უნდა თანდათან გავრცელდეს ის აზრი, რომ სანამ მიწის კერძო საკუთრება იქნება, მანამ გაჭირვებას და დაჩაგვრას ბოლო არ მოეღება. რას უშველის დღეს გლეხს მიწის შეღავათიანი პირობებით აღება, რასაც მას პირდებიან, თუნდაც რომ მართლა შეუსრულონ ეს დაპირება? რას უშველის გლეხს დღევანდელი მისი მიწის მცირე საკუთრების გადიდება, როცა ყველაფრისათვის ფულია საჭირო, როცა მიწის სარგებლობა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც შეძლება ანუ ფული აქვს? აშკარაა, რომ ეს მხოლოდ მოტყუილებაა. შეიძლება გლეხ-კაცობის უმცირესმა ნაწილმა მართლა იქონიოს ასეთი იმედი. ეს იქნება მისი სრული შეუგნებლობის ნაყოფი და იგი ჩქარა დარწმუნდება, რომ სასტიკათ მოსტყუვდა.

გლეხებმა ამიერიდან აღარავის იმედი არ უნდა იქონიონ. იმათი ხსნა მხოლოდ იმათ მოქმედებაზეა დამოკიდებული; მუშების განთავისუფლება, დიდებული მეცნიერის სიტყვით, თვით მუშებისვე საქმეა და სხვისი არავისი. გლეხებიც ხომ იგივე მუშები არიან და ამიტომ იმათი განთავისუფლებაც მხოლოდ იმათი საქმეა და სხვისი არავისი.

(ჟურნალი „მოგზაური“ 1905 წ.
11 ივლისი № 25).

რ უ ს ე თ ი.

რუსეთის დღევანდელი აზვირთებული ცხოვრება ორ მთავარ მოქმედ ძალთა ბრძოლის ნაყოფია. ჩაგრული, უფლება ახდილი დიდი უმრავლესობა ებრძვის მჩაგვრელსა და ბრძოლის საშვალებით აღჭურვილ უმცირესობას. რუსეთის ხალხი და „ჩინოვნიკი რუსეთი" ანუ რუსეთის ბიუროკრატია, აი ორი მოპირდაპირე. ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის დღეს რიდი დაწყებულა. ის კარგა ხანია ღვიოდა ხალხის გულში; დღეს კი მან ფრთა გაშალა, საოცრათ გაიზარდა და გაძლიერდა. რასაც წინა ხანებში წლები სჭიროდა, დღეს საათობით დრო აღარ უნდება და განმათავისუფლებელი მოძრაობაც მდევის ნაბიჯით მიისწრაფის უკანასკნელი მიზნისაკენ.

თამამათ შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ხანა მოძრაობისა არის გადამწყვეტი ხანა. ყველასათვის თვალსაჩინოა, რომ რუსეთის ცხოვრების ძველ კალაპოტში ჩაყენება შეუძლებელია. ასეთი აზრი მხოლოდ უგუნური ადამიანის ოცნებაში თუ დაიბადება. ხალხმა აიღო თავისუფლების ალღო, გაითვალისწინა თავისი უნუგეშო მდგომარეობა, გაიგო ნამდვილი მიზეზი იმ აუტანელი გასაჭირის, რომელსაც წინათ „ღვთის რისხვას" აწერდა, იცნო მტერ-მოყვარე და შეინძრა, გაიწია თავისუფლებისაკენ. და განა შეუძლია რაიმე ძალას ამ გოლიათის უკან დაწევა. ძველ კალაპოტში ჩაყენება?

იოცნებონ ამ იმედით იმ გონება დაბნელებულებმა, რომელ თავისაც ცხოვრების უკან სვლა ხელსაყრელია, ჩვენ კი გადავავლოთ თვალი რუსეთის დღევანდელ ამბებს.

რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა თქვენ ყურადღებას ამ მოძრაობის მოწინავე რაზმი, რუსეთის პროლეტარიატი, მიპყრობს. რუსეთის მუშა—ეს დაუძინებელი და მასთან შეგნებული მტერი დღევანდელი ბიუროკრატიის, ყოველგვარი საშვალებით ებრძვის ექსპლოატატორების ძლიერებას, ებრძვის თავგამოდებით, გაბედულათ. განა არის სადმე ისეთი ქალაქი, სადაც მუშათა გიფიცვა არ მომხდარიყოს, სადაც პოლიციასა და პროლეტარიატს შეტაკება არ მოსვლოდეს? განა არის რუსეთში ისეთი

სამრეწველო დაბა-ქალაქი, რომლის ქუჩებზედაც არეულობა არ მომხდარიყოს? გაფიცვა და ქუჩის დემონსტრაცია ჩვეულებრივი მოვლენა შეიქნა რუსეთის ცხოვრებაში და თავისი სიდიადით მთელი ქვეყნის ყურადღებას იპყრობს. გაიხსენეთ პეტერბურგის ქუჩები ცხრა იანვარს, ივანოვო-ვოზნესენსკი, მოიგონეთ ლოძის და ვარშავის პროლეტარიატის მამაცი იერიში, იმათი ბარიკადები. გაიხსენეთ აგრეთვე შავისა და ბალტიის ზღვის მეზღვაურთა აჯანყება, ჯავშნიანი გემი „პოტიომკინი“ და „გიორგი“, დრაგუნთა ესკადრონის ავსტრიაში გადასვლა და იქ იარაღის დაყრა.

ყველა ამგვარი ფაქტიდან ცხადათ სჩანს, რომ მებრძოლთა ერთი ბანაკი ინგრევა და ერთის დანგრევა ხომ მეორის გაძლიერებას ნიშნავს.

არც გარდამავალი ბიუროკრატიული სისტემა არის გულ-ხელ დაკრეფილი; ისიც უკანასკნელ ღონისძიებას ხმარობს, გონიერება კი სულ სხვაგვარ მოქმედებას მოითხოვდა. „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო“ ნათქვამია და აქაც ხომ საქმე ჩათრევით გათავდება; ვინ ვის ჩაითრევს, არავისთვის საიდუმლო აღარ არის.

გაძლიერებული დაცვის წესები თითქმის ყველა ქალაქებში და დაბებში შემოიღეს, ახლა კი მთელი მხარეები და ქალაქები სამხედრო მართვის წესზე არიან გამოცხადებულნი. ცენზურის სისასტიკეს საზღვარი აღარა აქვს. ცოტათ თუ ბევრათ გაბედული გაზეთები ერთი მეორეზე იხურებიან. უთვალავი ციხე-საპყრობილეები დამნაშავეებით გაივსო, პოლიცია აურაცხელ იარაღს და ასაფეთქებელ მასალას იპერს; პოულობენ მთელს ლაბორატორიებს, რომელშიაც ბომბებსა და სხვა ასაფეთქებელ ყუმბარებს ამზადებენ. ფარულმა ლიტერატურამ თითქმის ნება დართულს გადააჭარბა. სულ მოკლე ხანში რამდენიმე ნება დაურთვილი სტამბა აღმოაჩინეს რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში.

პოლიცია დაიბნა და თუ კიდევ ახერხებენ ფარული საწყობების დაპერას—ეს იმიტომ, რომ უკანასკნელთა რიცხვი ალბათ ძალზე გამრავლდა. ყველა ზემო აღნიშნული ფაქტები ამტკიცებს, რომ მოძრაობამ შორს, ღრმათ გაიდგა ფესვები.

საშინლათ იმატა პოლიციელთა და ყაზახთა ჟლეტამ. ტელეგრამები სავსეა ამგვარი ამბებით და ჩვენი თვალითაც ხშირად ვხედავთ.

გლეხთა მოძრაობაც დღითი-დღე ძლიერდება: მაზრიდან მაზრაში გადადის, გუბერნიიდან გუბერნიაში. მსხვილ მემამულეთა აკლება-აწიოკება ხშირ მოვლენათ გადაიქცა. ზოგიერთ ალაგებში გლეხ-კაცობა სრულიად ჩამოშორდა ბიუროკრატიას, ზურგი შეაქცია მის ყოველგვარ და-

წესებულებას და თავისი სახალხო საშუალებით გამოდის. გლეხთა მოძრაობის გაძლიერება იქიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მან ყაზახთა უბნებშიაც იჩინა თავი. გაზეთებიდან ვტყობილობთ, რომ ყუბანისა და დონის ყაზახებში მოძრაობა დაწყებულა; ყაზახ რუსობა კი ყველაზე უფრო კონსერვატიული ნაწილია რუსეთის გლეხ-ყაცობისა, ვინაიდან მატერიალურად სხვებზე უფრო უზრუნველყოფილია.

საქმის ნორმალური მიმდინარეობა თითქმის ყველა უწყებაში დარღვეულია. უმაღლესი, საშვალო და ზოგან დაბალი სასწავლებლები დახურულია, სასამართლოებს ხალხი შორდება. მიმოსვლა და საქონლის გადატან-გადმოტანა გაძნელდა. ქარხნები და ფაბრიკები იხურებიან და მრავალი მუშა ხელი უსაქმოთ რჩება. უკიდურესი სიღარიბის მიუხედავათ გადასახადთა რაოდენობა მატულობს და კიდევ მეტს უკმაყოფილებას იწვევს.

აი, ასეთია დაახლოვებით რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა. ყოველივე ეს რომ ჩინეთში ან სხვაგან სადმე ხდებოდეს, ჩვენი გაზეთები სავსე იქნებოდა „ჩინეთის რევოლიუციის“ ამბებით.

(ჟურნალი „მოგზაური“ 1905 წ.
17 ივლისი № 26).

ზავის ჩამოგდება.

ამ დღეებში მიღებულმა დეპეშებმა გვამცნო, რომ ქ. პორტსმუტში (ამერიკაშია) იაპონიის და რუსეთის რწმუნებულთ მორიგებაზე ხელი მოუწერიათ. ჯერ დაწვრილებით არავინ იცის, თუ რა პირობებში მოხდა ეს მორიგება. ცოტა ხნის შემდეგ, ეჭვი არ არის, ყოველივე ეს ისტორიის საგანი გახდება. დღეს კი ჩვენთვის საყურადღებო ის არის, რომ ამიერიდან მანჯურიის მიდამოებში შესწყდება უდანაშაულო ადამიანთა შეუწყნარებელი სისხლის ღვრა, რაც წელიწად-ნახევარზე მეტია, გრძელდება. რა თქმა უნდა, ეს ამბავი გასახარებელია: რამდენი ადამიანი დახსნილ იქნა სიკვდილისა და ავადმყოფობისაგან! რამდენ დედ-მამას გადაურჩა შვილი, რამდენი ცოლ-შვილი უდროოთ არ დაქვრივდა და არ დაობლდა! რამდენი სიმდიდრე, მუშა ხალხის მიერ შექმნილი, გადარჩა დაღლუპავი და გაუფლანგავი! ვინ მოითვლის რამდენი უბედურება, რამდენი ტანჯვა და მწუხარება აცილებულ იქნა ოთხი რწმუნებულის მიერ ხელის მოწერით.

და ნუ თუ ეს გასახარელი არ არის? მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ დღევანდელ სიხარულს რაღაცა აკლია; თუ დავუფიქრდებით, ადვილათ გავიგებთ, რა არის ამის მიზეზი. მართალია, ბევრი უბედურება და მწუხარება იქნა თავიდან აცილებული, ბევრი უდანაშაულო ადამიანი დახსნილ იქნა სიკვდილისაგან, მაგრამ რაც მოხდა, იმას რაღა ეშველება, ვინც სიცოცხლეს გამოესალმა და მანჯურიის მიდამოებში და შორეულ ზღვის ფუსკლურში ჩატია თავისი ძვლები, ვინც დაობლდა და დაქვრივდა, ვისაც ხელიდან მარჩენალი და იმედი გამოგლიჯეს, იმათ ვინღა უშველის, იმათ ვინღა ანუგეშებს? და აი, ჩვენ ვეკითხებით თავს თავს: თუ მოლაპარაკებით შეეძლოთ ყველა ამ უბედურების თავიდან აცდენა, სად იყვნენ აქამდის? წელიწად ნახევარი გრძელდებოდა იაპონიასა და რუსეთს შორის მოლაპარაკება, სანამ ომი დაიწყებოდა, მაგრამ საქმე მაინც სისხლის ღვრამდის მიიყვანეს! შემდეგ წელიწადი და შვიდი თვის განმავლობაში სისხლის ღვრა არ შეწყვეტილა და ყოველ წუთში შესაძლებელი იყო მორიგების ჩამოგდება, მაგრამ იმაზე ყველა უარს ამბობდა. თით-

ეული დამარცხების შემდეგ რუსეთის თვითმპყრობელი ბიუროკრატია ახალი სისხლის ღვრისათვის ემზადებოდა ძლიერი და შეუპოვარი მტრის შურის საძიებლათ.

და აი, ჩვენ კიდევ ვეკითხებით თავს: სად იყვენ აქამდის? რატომ აქამდის არ ჩამოაგდეს მშვიდობიანობა? ნუ თუ ეს მშვიდობიანობა უნდა გვეყიდა ჩვენ ათი ათასობით და ასი ათასობით გაწყვეტილი და ჯანსაღი და იმდენივე დასახიჩრებული და ავადმყოფი მამულისშვილებით? ნუ თუ ამდენ ხანს იმიტომ იცადეს, რომ სრულებით უნდოდათ ფლოტის განადგურება და ჯარის სახელის გატეხა? და აი, დღეს შეკრულია ზავი! მაგრამ ვიკითხოთ: რა ფასით? და დაუჯდა რუსეთის ხალხს ეს ზავი? რუსეთმა დაკარგა რამდენიმე ასი ათასი საუკეთესო მამულისშვილი,—დაღუპა ძლიერი ფლოტი და აუარებელი სიმდიდრე! და ნაცვლად ამისა დაიმსახურა გაუნათლებელი, ველური და ბარბაროსული ქვეყნის სახელი. აი რა ულირს რუსეთს ეს ზავი? და განა ამისთვის ღირდა ომის დაწყება და იმის წაყვანა? მართლაც რომ არ ღირდა, მაგრამ ვის ენაღლებოდა სხვისი სიცოცხლე ან სიკვდილი, სხვისი გასაჭირი, სხვისი უბედურება? ყველაფერში განუკითხავი ბიუროკრატია მოქმედებდა თავისი სურვილით. მან დაატეხა რუსეთის ხალხს ენით გამოუთქმელი უბედურება.

დღეს ომი შეწყვეტილია, მინჯურიის მიდამოებში ჯერ კიდევ კარგა ხანს ხარბაზნები აღარ დაიჭექებენ, მაგრამ რაც გატყდა, იმის გამრთელება ყოვლად შეუძლებელია. ზავის შეკვრით საქმე ჯერ არ არის გათავებული. რუსეთის ხალხმა დაუყოვნებლივ უნდა მოითხოვოს იმის გამოძიება, თუ ვისი წყალობით და რა მიზეზით დაატყდა მას თავზე ეს ამოდენა უბედურება.

(ჟურნალი „მოგზაური" 1905 წ. 21 აგვისტო, № 31).

სახელმწიფო სათათბირო.

(6 აგვისტოს კანონი)

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, 6 აგვისტოს, გამოაქვეყნეს დებულება სახელმწიფო სათათბიროს შესახებ. ამ ახალი კანონის გამოცემით რუსეთის სახელმწიფოს უმაღლეს მართვა-გამგეობას ემატება ერთი ახალი დაწესებულება, რომელიც ხალხის წარმომადგენლებისაგან იქნება შემდგარი. ხსენებული კანონის გამოქვეყნებას თითქმის მთელი რუსეთი მოუთმენლად ელოდებოდა. საზოგადოება და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები მასზე დიდ იმედებს ამყარებდენ. თუ რეაქციონურ პრესას და გრინგმუნტების, მეშერსკების და შარაპოვების მსგავს „პატრიოტებს" არ მივიღებთ მხედველობაში, საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ მოწინავე პრესა და საზოგადოებრივი ჯგუფები ლიბერალური ბანაკისა ერთი ამბით ელოდებოდენ ამ დებულების გამოქვეყნებას. მეორე მხრით, მთელი რეაქციონური პრესა წყევა-კრულვით იხსენიებდა იმათ, ვისაც პირველათ აზრათ მოუვიდა რუსეთში ხალხის წარმომადგენლების მოწვევა სახელმწიფო კანონების შედგენაში მონაწილეობის მისაღებად. თუ როგორ გამართლდა ან გაცრუვდა ერთის ან მეორეს მოლოდინი და იმედები, ამას ჩვენ ქვევით დავინახავთ, ჯერ კი ცოტათი შევჩერდეთ იმაზე, თუ საზოგადოთ როგორ უნდა ვუყურებდეთ რაიმე ახალი კანონის გამოცემას და ან რას წარმოადგენს თვით კანონი. კანონი არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გამოხატულებაა. კანონის გამოცემა ან გაუქმება ყოვლად შეუძლებელია ვისიმე სურვილზე იყოს დამოკიდებული. კანონის საფუძველი წარმოების ნივთიერ პირობებში უნდა ვეძიოთ.

რასაკვირველია, ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ისეთ კანონებზე, რომელიც მხოლოდ ქაღალდზე იქნება დაწერილი. ქაღალდზე შეიძლება ბევრი რამე დაიწეროს, მაგრამ თუ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში მას საფუძველი არა აქვს, იგი მხოლოდ ქაღალდზე დარჩება სამუდამოთ. აიღოთ მაგალითი: ვთქვათ აღმოჩნდა ისეთი კეთილი და ბრძენი კანონმდებელი, რომელიც ბატონ-ყმობის დროს აკანონებს პოლიტიკურ თავისუფლებას, ე. ი. პიროვნების ხელუხლებლობას, ბეჭდვის, სიტყვის,

კრების, კავშირის და გაფიცვის თავისუფლებას. ასეთი კანონი ბატონყმურ საზოგადოებაში, სადაც პატრიარქალურ-ნატურალური წარმოებაა გამეფებული, მხოლოდ ქალალდზე დარჩება. მეორე მხრით, წარმოვიდგინოთ, რომ სადმე ცხოვრობს ისეთი უგუნური და უმეცარი კანონმდებელი, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებაში, სადაც, ერთის მხრით, არიან მდიდრები, ბურჟუა-კაპიტალისტები, წარმოების იარაღთა მესაკუთრენი, და, მეორე მხრით, გაყელეფილნი, ე. ი. მუშები, რომლებიც ქირაზე ყიდიან თავიანთ სამუშაო ძალას, რომელიც, ვიმეორებ, ასეთ საზოგადოებაში სასტიკათ კრძალავს მუშების გაფიცვას, კრებებს და კავშირებს! დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ეს კანონიც მარტო ქალალდზე დარჩება და ცხოვრებაში კი იქნება მუშების გაფიცვა, კრებებიც და კავშირებიც.

აქედან აშკარათ სჩანს კანონის მატერიალური საფუძველი. მაგრამ მატერიალური პირობები, ე. ი. წარმოების პირობები მუდამ იცვლება, მაშასადამე, უნდა შეიცვალოს თვით კანონიც. ეს მართლაც ასე ხდება. მაგრამ ცხოვრებაში ეს იწვევს დიდ შეტაკებას, სისხლის ღვრას და ტანჯვას. ამა თუ იმ კანონის არსებობასთან მჭიდროთ შეკავშირებულია მთელი საზოგადოებრივი ჯგუფის, ხშირად მთელი კლასების ნივთიერი ინტერესები, რომლების დათმობა სისხლის დაუღვრელათ შეუძლებელია. ამიტომ ხშირად ხდება, რომ ამა თუ იმ კანონს მატერიალური საფუძველი თითქმის სრულებით გამოეცალა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებამ სულ სხვა კანონს მოუმზადა ნიადაგი. მაგრამ მიუხედავათ ამისა ძველი კანონი მაინც განაგრძობს თავის არსებობას, მიუხედავათ იმისა, რომ ცხოვრებაში მან დაკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა. აი ამაზე ამბობენ: le mort saisit le vif—მკვდარი იმორჩილებს ცოცხალსო.

ძველ კანონს, ანუ უკეთ რომ ვთქვათ ძველ საზოგადოებრივ წესწყობილებას გამოეცალა შინაარსი, დარჩა მხოლოდ მისი გარეგანი მხარე, ფორმა; საწარმოო ძალთა განვითარებამ უკვე წარმოშვა და განავითარა ახალი შინაარსი, მოუმზადა ნიადაგი და ჩაუყარა საფუძველი ახალ კანონს, ახალ საზოგადოებრივ წეს-წყობილებას; ძველი კანონი, რომელიც ერთ დროს სამოგადოებრივი ცხოვრების განვითარებით იყო გამოწვეული, ახლა აბრკოლებს და აფერხებს საზოგადოებრივი ცხოვრების თავისუფალ განვითარებას. ამიტომ აუცილებელი ხდება მისი სრულიად გაუქმება და თავიდან მოშორება.

როგორც ვთქვით, ეს ადვილი საქმე როდია. შეიძლება ზოგან ეს მშვიდობიანათ მოხდეს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს იწვევს სასტიკ ბრძოლას ძველი წეს-წყობილების დამცველთა და ახლის მოტრფიალეთა შორის. რამდენათაც ძლიერი და საგრძნობელი იყო ძველი წეს-წყობილების არსებობა, რამდენათაც მას მაგრათ ჰქონდა ფესვები გადგმული ხალხის ცხოვრებაში, რამდენათაც ხანგრძლივი იყო მისი არსებობა, იმდენათ უფრო დიდი ბრძოლა და მეტი მსხვერპლია საჭირო მის აღმოსაფხვრელათ. 6 აგვისტოს კანონის განხილვის დროს ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს ზევით ნათქვამი.

რაც უნდა თქვან რუსეთის ხალხის და საზოგადოთ სლავიანთა მთელი მოდგმის ტომობრივ თვისებაზე, რომლებიც განსაკუთრებითი ხასიათისაა, თვითმპყრობელობის განვითარებისათვის მაინც აუცილებლათ საჭირო იყო განსაზღვრული ნივთიერი პირობები, ანუ საწარმოო ძალთა განსაზღვრული მდგომარეობა, ე. ი. პატრიარქალურ—ნატურალური წარმოება. მართალია, თვითმპყრობელობის პრინციპი მაგრდებოდა იმ ხანებშიაც, როცა ნატურალურ წარმოებაში დარღვევის პროცესი დაიწყო და მის ალაგს თანდათან იქერდა კაპიტალისტური წარმოება, მაგრამ ეს აიხსნება, ერთი მხრით, იმით, რომ ნატურალური წარმოება მეტად ნელი ნაბიჯით ირღვეოდა და, მეორე მხრით, ასეთივე ნელი ნაბიჯით იკიდებდა ფეხს კაპიტალისტური წარმოებაც.

თვითმპყრობელობის ხანა გამოვლილი აქვს თითქმის ევროპის ყველა სახელმწიფოებს, ვინაიდან იქაც წარმოიშვა ისეთი ნივთიერი პირობები, რომლებიც ხელს უწყობდენ მის განვითარებას. ეს იყო დრო შინაური კარჩაკეტილობის, სოფლის ბატონობის, თავად-აზნაურების პარპაშობის და ძალმომრეობის, საწარმოო ძალთა განუვითარებლობის, როცა ქალაქი საზოგადოებრივ ცხოვრებაში თითქმის არავითარ შესამჩნევ როლს არა თამაშობდა, როცა მშრომელი ხალხის— გლეხ-კაცობის ქონებრივ სიღატაკესთან და დაბეჩავებასთან ერთად გამეფებული იყო სრული გონებრივი სიბნელე. მაგრამ, როგორ ზევითაც ვამბობდით, საზოგადოებრივი ცხოვრება არ იყინება, ნივთიერი წარმოების პირობები მუდამ იცვლებიან და მასთან ერთად იცვლება, რასაკვირველია, ყოველივე ის, რაც მისი შედეგია.

ჯერ კიდევ ნატურალური წარმოების დროს ფული თანდათან მეტ მნიშვნელობას იძენს. ფულის შეძენის საჭიროება იზრდება, ეს გარემოება იწვევს აღებ-მიცემობის ზრდას, და აი, ჩნდება ნიადაგი კაპიტალის-

ტური წარმოებისათვის. რუსეთის განვითარება საზოგადოთ ნელი ნაბიჯით მიდიოდა წინ. ის, რაც სხვაგან შედარებით ძლიერ მოკლე ხანში ხდებოდა, აქ იმისთვის საუკუნოები იყო საჭირო.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის ბურჟუაზია თანდათან იკრეფს ძალას და ისხამს ფრთებს. აქედან დაწყებული, რუსეთის აღებ-მიცემობა და მრეწველობა ნელ-ნელა და თანდათან არღვევს წინანდელ კარჩაკეტილობას, სამარეს უთხრის ბატონ-ყმურ ურთიერთობას, სპობს სოფლის იდილიურ ცხოვრებას და გულუბრყვილობას, თანდათან უკარგავს მნიშვნელობას და გამავლობას თავად-აზნაურობას, ძირს უთხრის ძველ წოდებას და სამოქმედო ასპარეზზე გამოდის, ერთი მხრით, ბურჟუაზია და, მეორე მხრით, ქალაქის პროლეტარიატი.

ამნაირათ საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსი, საზოგადოებრივი ურთიერთობა, ძირიან-ფესვიანათ იცვლება; მაგრამ ამავე დროს ძველი იურიდიული ნორმები, ბატონ-ყმობის დროიდან დარჩენილი და ნატურალური წარმოების ნიადაგზე აღმოცენებული, თვითმპყრობელობის სახელით, ისევ ძალაში რჩება. დღითი-დღე აშკარავდება შინაარსის და გარეგანი კანის, იურიდიული ნორმების ყოვლად შეუსაბამობა. ცხოვრება სულ უფრო და უფრო მეტის სიმკაცრით უპირდაპირებს ერთმანეთს ბურჟუაზიას და პროლეტარიატს, როგორც ერთი მეორეს მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ-კლასებს; ამ ნიადაგზე ხდება პროლეტარიატის გათვითცნობიერება, ე. ი. იმის შეგნება, რომ ბურჟუაზიის კეთილდღეობა, მდიდრების ბატონობა და გამავლობა მუშა ხალხის დაჩაგვრასა და დაბეჩავებაზე არის აშენებული. ამ ნიადაგზე ატეხილი აშკარა ბრძოლა აუცილებლად თხოულობს წინანდელ იურიდიულ ნორმების გაუქმებას, იმ ნორმების, რომლებიც შემუშავდა და განმტკიცდა იმ დროს, როცა ბატონ-ყმობა არსებობდა, როცა სრული კარჩაკეტილობა და ნატურალურ-პატრიარქალური წარმოება იყო.

პროლეტარიატს, რომელსაც ისტორიულმა განვითარებამ არგუნა დღევანდელი ბურჟუაზიული წეს-წყობილების დამხობა და სოციალიზმის განხორციელება, არ ძალუძს შეასრულოს ეს დიადი დანიშნულება თუ მან თავდაპირველად არ დაარღვია ის იურიდიული ნორმები, რომლებიც სხვა ისტორიულ ხანას შეეფერებოდა და დღეს კი გზაზე ეღობება საზოგადოებრივი ცხოვრების თავისუფალ განვითარებას.

მაშასადამე, აქედან აშკარაა, რომ უწინარეს ყოვლისა ამ დროს გადასული იურიდიული ნორმების მოსპობა და სამუდამოთ გაუქმება აუცი-

ლებელ საქიროებას შეადგენს. ამასთანავე არავისთვის საიდუმლო აღარ არის, რომ ცხოვრებაში ეს ნორმები უკვე გაუქმებულია, რომ ის, რასაც ამ 20-30 წლის წინათ კიდევ სიცოცხლის ნიშან-წყალი შერჩენოდა, დღეს უკვე მკვდარია; ე. ი. არსებული იურიდიული ნორმები, მთელი ჩვენი ძირითადი კანონმდებლობა სრულიად აღარ შეესაბამება ჩვენს დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ცხოვრებამ უკვე შეიმუშავა შესაფერი იურიდიული ნორმები, საქიროა მხოლოდ მისი საყოველთაოდ აღიარება. მაგრამ, როგორც ზევითაც ვამბობდით, ეს ადვილი საქმე როდია. ისტორიული გამოცდილება გვეუბნება, რომ ეს ყოველთვის რევოლიუციით თავდებოდა.

რაც უნდა განვითარებული იყოს საზოგადოებრივი ცხოვრება, საზოგადოებაში მაინც მოინახებიან ისეთი ჯგუფები, რომლებისათვის ძველი წეს-წყობილების არსებობა და მისი დაცვა მეტად ხელსაყრელი და გამოსადეგია. ეს ჯგუფები, რა თქმა უნდა, ყოველთვის გაბატონებული კლასების წარმომადგენლები არიან. ესენი თავგამოდებით იცავენ ძველ წეს-წყობილებას, ყოველგვარ საშვალებას ხმარობენ მისი არსებობის დასაცავად; მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება ფიზიკური კანონების ულმობელობით ხდება. ძველი წეს-წყობილების წარმომადგენელთ ანუ მის დამცველთ შეუძლიათ მხოლოდ სხვადასხვა გვარი დათმობით დროებით შეაჩერონ ეს ბუნებრივი პროცესი.

აი, ამ დათმობის ხასიათი აქვს 6 აგვისტოს გამოცხადებულ კანონს ხალხის წარმომადგენელების სახელმწიფო სათათბიროში მოწვევის თაობაზე. ეს კანონი უცვლელად სტოვებს რუსეთის იმპერიის ძირითად კანონს თვითმპყრობელობის შესახებ, მაგრამ მიუხედავათ ამისა იგი მიუწოდებს ხალხის წარმომადგენლებს სათათბიროდ კანონის შესამუშავებლად. ხალხის წარმომადგენლების არჩევა 6 აგვისტოს კანონით არ ხდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი ხმის უფლებით, როგორც ეს სხვადასხვა მოთხოვნილებებში იყო გამოცხადებული, არამედ იგი სწარმოებს ორ-კეტი და სამ-კეტი (ზოგიერთ, შემთხვევაში თითქმის ოთხ-კეტი) არჩევნებით და გარდა ამისა, უფლება ეძლევა მხოლოდ ქალაქის და სოფლის შეძლებულ ხალხს. მშრომელი ხალხი, განსაკუთრებით კი ქალაქის პროლეტარიატი არჩევნებში ვერავითარ მონაწილეობას ვერ მიიღებს. მხოლოდ გლეხკაცობისათვის არ არის ქონებრივი ცენზი დაწესებული, მაგრამ იმათ წარმომადგენელების არჩევნები (სამ-კეტი და ოთხ-კეტი) ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ ეს ცენზზე უარესია. თუ ამასთანავე მხედველო-

ბაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ წესით არჩეულ პირებსაც მხოლოდ რჩევის მიცემა შეუძლიათ, რომ მათი აზრი არავისთვის სავალდებულო არ არის, რომ მინისტრები და მთავარ გამგებელნი, როგორც სურთ, ისეთ მიმართულებას მისცემენ საქმეს, რომ ეს პირები ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატების წინაშე არავითარ პასუხს არ აგებენ,—მაშინ ჩვენ ადვილად წარმოვიდგენთ, თუ რა ხასიათისაა ეს ახალი კანონი.

გარდა ამისა აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ პიროვნების ხელუხლებლობა, ბეჭდვის, სიტყვის, კრების და კავშირების თავისუფლება ამ ახალი კანონის გამოქვეყნების შემდეგაც იმავე პირობებში დარჩა, როგორც აქამდის იყო. ცხოვრებამ კი, როგორც ვიცით, დიდი ხანია უარყო ყოველივე ეს და უწანარეს ყოვლისა ყველა ამ თავისუფლებათა განხორციელება იქნა დასახული.

აქედან ჩვენ ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ 6 აგვისტოს კანონი დღევანდელს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სინამდვილეს სავსებით ვერ ხატავს და მოითხოვს შეცვლას და განვითარებას, როგორც კანონივე აცხადებს.

ერთად ერთი მნიშვნელობა, 6 აგვისტოს კანონისა აი რაში გამოიხატება: მარტო ის ამბავი, რომ ხალხის წარმომადგენლები შეიკრიბებიან სახელმწიფო საქმეებზე სჯა-ბაასისათვის იმას მოასწავებს, რომ ბიუროკრატია სამუდამოთ გატყდა, რომ მას სიკვდილისაგან ვერავითარი ძალა ველარ დაიხსნის, რომ, რაც დროს გაივლის, ეს გატეხა სულ უფრო და უფრო საგრძნობელი შეიქნება.

ამაში ვხედავთ ჩვენ 6 აგვისტოს კანონის მნიშვნელობას და არა იმაში, რომ იმის გამოცემით ხალხს, განსაკუთრებით მშრომელ ხალხს, რაიმე ენიჭებოდეს.

(ჟურნალი „მოგზაური“ 1905 წ.
21 აგვისტო № 31).

ისტორიული მატრაკვეცები.

ერთ დროს დაუბოლოვებელი კამათი იყო გამართული იმის გამოსარკვევად, თუ რა როლს თამაშობდა, ან რა გავლენას ახდენდა პიროვნება ისტორიაში. ამ კითხვასთან შეკავშირებული იყო გმირის და ბრბოს ურთიერთშორის დამოკიდებულება.

ამტკიცებდენ, რომ ყველაფერი დამოკიდებულია კერძო პიროვნების მოქმედებაზე: რომ არიან ისეთი დიდბუნებოვანი ადამიანები, რომლებიც, საითაც უნდათ, იქითკენ მიმართავენ ბრბოს, რაც იმათ სურთ, იმას გააკეთებიებენ მას. ამიტომ ყველაფერი, თვით კაცობრიობის პროგრესი, წინსვლა, დამოკიდებულია ასეთ პირების ნებაყოფლობაზე და სურვილზე. იყვენ ისეთი სოციოლოგ-ისტორიკოსები, რომლებიც ამტკიცებდენ, რომ მთელი ისტორია, კაცობრიობის მთელი წარსული ცხოვრება, აიხსნება მხოლოდ ამ დიდებუნებოვან ადამიანების მოქმედებით, მათი იდეალებით. ასეთი წარმრდგენა ქონდათ ისტორიაზე მაშინ, როცა კაცობრიობის ისტორია ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობი ქვეყანა იყო, როცა ისტორიას ილოვაისკის მსგავს სახელმძღვანელოებიდან სწავლობდენ, ამგვარ სახელმძღვანელოების წყალობით ხალხის ისტორია, ეს მხოლოდ მეფეების, სარდლების და ომების ისტორია იყო. და აი, აქ თქვენ წინ წარმოგიდგებოდენ ქსერქსები, კიროსები, კეისრები, კარლოსები, ნაპოლეონები, ირაკლიები და tutti quanti. თქვენ ხედავთ, რომ ესენი წყვეტდენ და განაგებდენ ხალხის ბედს, იმათგან გამოდიოდა კანონი, იმათ ნებაზე იყო ხალხის ამოქლეტა, იმათ ხელში იყო უთვალავი ხალხის სიკვდილ-სიცოცხლე, იმათგან იყო დამოკიდებული ხალხის აწმყო და მომავალი ცხოვრება. აი ასეთი წარმოდგენა იყო გავრცელებული ხალხის წარსულ ცხოვრებაზე. თანახმად ასეთი შეხედულებისა, ყველა ეს ქსერქსები, ნაპოლეონები თუ კრომველები, თუმც მეტად სასტიკი და შეუბრალებელი იყვენ, მაგრამ ისინი მაინც უბრალო მომაკვდავზე მაღლა იდგნენ, იმათ თითქმის პატარა ღმერთებად თვლიდენ. ერთი სიტყვით, ისინი ხალხის თვალში ნამდვილი კერპები იყვენ.

დიდი ხანი არაა მას აქეთ, რაც ასეთი შეხედულება ბატონობდა. მაგრამ ისტორიული ცხოვრების ღრმა შესწავლამ უარყო ასეთი შემცდარი შეხედულება ისტორიაზე, ყველა კერპები ძირს დაანარცხა. ისტორია არ არის ერთი და ორი პირის ნამოქმედარი, თუნდაც ეს პირები დიდბუნებოვანიც იყვენ. კაცობრიობის ისტორია ექვემდებარება თავის საკუთარ კანონებს. კერძო პირები, რაც უნდა დიდბუნებოვანი იყვენ, ისინი ვერასოდეს ვერ შეცვლიან ამ კანონების მოქმედებას. პირიქით, თვით ეს პირები ისტორიული განვითარების მიერ არიან წარმოშობილი და იმათ თვით საზოგადოებრივი პირობები უმზადებენ ნიადაგს მოქმედებისათვის. და აი, როცა ნიადაგი მომზადებულია, როცა საზოგადოებრივი პირობები იმდენათ მომწიფებულია, რომ მაშინ საჭირო ხდება ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ამა თუ იმ კანონის გამოცემა, ამა თუ იმ ზომის მიღება, მაშინ საზოგადო ასპარეზზე ჩნდება ესა თუ ის პირი, როგორც საზოგადოების, ანუ ხალხის სურვილის, მისი საჭიროების აღმასრულებელი, ანუ გამომხატველი. ასეთი პირი აუცილებლად უნდა გამოჩნდეს. სულ ერთია პეტრე ერქვა მას თუ ივანე, ნაპოლეონი თუ კეისარი. მაგრამ გარეგნობით ეს სულ სხვა სახეს ღებულობს. ჯერ ერთი ისა, რომ თვით ხალხი მეტად გამოუთქმელი მოწიწებით და მორიდებით ექცევა ასეთ პირებს და მეორეც ისა, რომ ამ პირებს, სხვანაირი წარმოდგენა ებადება თავის თავზე. იმათი აზრით ისინი უბრალო მომაკვდავები კი არ არიან, იმათ წინაშე ყველა მუხლს უნდა იდრეკდეს; იმათთან შედარებით ყველა დაბალი და უღირსია. ხალხში ვრცელდება ისეთი აზრი, რომ იმათ ბრძანებას წინ ვერავინ გადაუდგება; რომ იმათ სიკვდილ-სიცოცხლის უფლება უპყრიათ ხელში. ამნაირად ისინი ხდებიან პატარა მიწიერ ღმერთებად, ანუ კერპებათ და ჩემულობენ ისეთ როლს, აწერენ თავის თავს ისეთ თვისებებს, რომლებიც მათ არა აქვთ.

ასეთი წარმოდგენა დიდხანს იყო გავრცელებული საზოგადოებაში და შემდეგ იგი ლიტერატურაშიაც ბატონობდა. მაგრამ როგორც ზევით შევნიშნეთ, ასეთი შეხედულება სამუდამოთ შეირყა. დღემდის პატარა ღმერთებად მიჩნეული პირების, ე. ი. კეისრების, კარლოსების, ნაპოლეონების და სხვების ცხოვრება ვერავითარ ნათელს ვერ მოფენს კაცობრიობის ისტორიას, მაგრამ, პირიქით, თვით კაცობრიობის ისტორიის შესწავლა კი ნათელს ფენს ამათ მოქმედებას. და აი, აქ ჩვენ წინ გადაგვეშლება ისტორიულ მატრაკვეცათა მოქმედება. ისინი, ვინც მართლა ქმნიდა ისტორიას, ე. ი. ხალხი, უკან დგანან, ხმას არ იღებენ და ისი-

ნი კი, ვინც მხოლოდ ხალხის სურვილს ასრულებდა, მას ასე თუ ისე აკმაყოფილებდა, პირველ წყებაზე არიან გამოჭიმული და სხვის ნამოქმედარს თვითონ ითვისებენ. მაგრამ ასეთი მატრაკვეცები დღესაც მრავალია.

საზოგადოების რა სფეროშიაც არ გაიხედავთ, ყოველგან შეხვდებით მატრაკვეცებს. მართალია, კეისრებს, კრომველებს და ნაპოლეონებს აქ თქვენ ვერ აღმოაჩენთ, რადგანაც ამათი დრო უკვე სამუდამოთ წავიდა; ახლანდელ მატრაკვეცებს ისეთი ფართო ასპარეზი როდი აქვთ საოქმედოთ, როგორც წინა დროების მატრაკვეცებს; გარდა ამისა, იმათი დიდ-ბუნებანებაც აღარავის სწამს. სამაგიეროთ მატრაკვეცების რიცხვი დღეს შედარებით ძლიერ დიდია. სადაც გამავლობა არ აქვთ, იქ ისინი ძალით მოქმედებენ, სადაც ძალა არ შეწევთ, იქ კი სხვანაირ საშვალებას ხმარობენ. ყველა მატრაკვეცას მიზანი ის არის, რომ თავის სასარგებლოთ ხალხზე გავლენა მოიპოვოს, და აი ამისათვის იგი უპირველესად ყოვლისა იძენს ისეთ იარაღს ანუ პოულობს ისეთ საშვალებას, რომელსაც ხალხის თვალში ყველაზე უფრო დიდი ფასი აქვს. ასეთ საშვალებათ ანუ იარაღათ ჩვენს დროში უეჭველად სწავლის მიღება ითვლება, და, უეჭველია, როცა დიპლომი გაქვს მიღებული კიდევ უფრო დიდი ფასი ემატება თუ იგი საზღვარგარეთ გაქვს მიღებული. მოგეხსენებათ, საზღვარგარეთს როგორი პატივი აქვს ჩვენი ხალხის თვალში. თუ იქაური დიპლომიც გაქვს, მაშინ შენ სწავლასაც მეტი ფასი აქვს, მაშინ შენც მეტ პატივს დაიმსახურებ. მე არ ვამბობ იმ ბედნიერ შემთხვევაზე, როცა შენ რაიმე სამეცნიერო ხარისხი, თუნდ, მაგ. დოქტორობის ხარისხი გაქვს მიღებული რომელიმე საკითხზე დისერტაციის დაწერისათვის, მაშინ ხომ შენ გზა ხსნილი გაქვს, მაშინ შენთვის ყოველგან კარი ღიაა, იმას ვინ კითხულობს, თუ რა ჭკვია შენს თავში, ან რა ღირსებისაა შენი სწავლა. შენ მხოლოდ ფსლა გესმის, რომ ყოველივე მხრიდან სალამს გაძლევენ და გიწოდებენ.

მაგრამ თანამედროვე მატრაკვეცებისათვის აუცილებლათ საჭიროა კიდევ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ იგი გარეგნობით მაინც აღიარებდეს დემოკრატიულ მიმართულებას, იგი თავის თავს უნდა სახავდეს ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მოსარჩლეთ. და აი, თანამედროვე მატრაკვეცი, ყველა ამით შეიარაღებული, გამოდის საზოგადო ასპარეზზე საოქმედოთ. იგი ერევა საზოგადო საქმეებში საკუთარი ხელის მოსათბობათ, იგი მიდის ხალხში არა შეგნების შესატანად, არამედ ამ შეგნების გასაქრობათ. იგი ხმამაღლა გაიძახის მშრომელი ხალხის, მუშების კე-

თილ-დღეობაზე, მაგრამ მას თვინიერ საკუთარი კეთილ-დღეობისა, თვინიერ თავისი კერძო ინტერესებისა, სხვა არა სწამს რა. იგი გამოდის სამწერლო ასპარეზზე; აქაც იგი, რასაკვირველი, პირველ ალაგს იქერს, თითქო მწერლობის, პრესის სულის ჩამდგმელი, მისთვის თავდადებული ხდება. მაგრამ ეს მხოლოდ თვალთმაქცობაა: მისთვის მწერლობა უბრალო იარაღია სამატრაკვეცო მიზნით.

განსაკუთრებით გამრავლდენ დღეს ჩვენში მატრაკვეცები ლიტერატურულ ასპარეზზე. აქ იმათ ერთი განგაში გააქვთ. სადაც არ გინდათ, ყოველგან ისინი მეცნიერების პირით ღაღადებენ; ისე სიტყვას არ იტყვიან, რომ მეცნიერების უკანასკნელი დასკვნა არ იმოწმონ. და მერე გაეგებათ კი რამ მეცნიერების, რომლის სახელით ასე ბოროტმოქმედებენ? ყველაფერი გვიჩვენებს, რომ მათ მხოლოდ ფორმისათვის შეუძენიათ სწავლა და მეცნიერებასთან კი შორს არიან, მეცნიერება უარყოფს მატრაკვეცობას, მისთვის მხოლოდ ქეშმარიტება არსებობს, ან კი რა საჭიროა მატრაკვეცისთვის მეცნიერება, როცა მას უიმისოდაც იოლათ შეუძლია წავიდეს. მისთვის საჭიროა მხოლოდ ის, რომ საზოგადოება დარწმუნებული იყოს, რომ მას სწავლა შეუძენია; მეცნიერება შეუსწავლია.

როგორც ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე, ჩვენი მატრაკვეცი მტკიცეთ როდი ადგას რომელიმე განსაზღვრულ მიმართულებას. მან წინდაწინ არ იცის სად უფრო დიდი გავლენა ექნება, ან სად უფრო დიდ სახელს მოიხვეჭს და ამიტომ იგი დღეს ერთს მიადგება და ხვალ მეორეს, თითქო სინჯავს,—სად უფრო ხელსაყრელი იქნება ჩემი მოკალათებაო. არა იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა ჩვენი მატრაკვეცი მოისოციალისტებს კიდეც, ოღონდ კი მუშებიც მოიმადლიეროს, რადგანაც იცის, რომ ათასში ერთხელ იმათ ბანაკშიაც კარგი ყოფნა. მაგრამ მეორე დღეს ხედავთ, ჩვენი „სოციალისტი“ მუშების მოწინააღმდეგე ბანაკში გადამხტარა და იქ ცდილობს დაბინავებას. ეს ალბათ იმიტომ, რომ იქ ყოფნა მისთვის უფრო სასარგებლოა და ამავე დროს იგი, რასაკვირველია, არ ივიწყებს საერთო მოქმედებას, სოლიდარობას, თავისუფლებას და ძმობას. ის ყოველთვის მაღალ იდეებით ახსნის თავის გადასვლა-გადმოსვლას, ასკილოის თამაშს. თავის სივაგლახეში აბა ვინ გამოტყდება. მაგრამ მოვა დრო, როცა მატრაკვეცებს სამუდამოთ ბოლო მოეღებათ.

თუ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებამ შემუსრა და დაამსხვრია წინანდელი კერპები, მიწას დაანარცხა წარსული ცხოვრების უდიდესი მატრაკვეცები, იგივე ცხოვრების განვითარება განა ვერ მოსპობს ჩვენი დროის დაგლახაკებულ მატრაკვეცებს? ასეთი ბედი მათ არ აცდებათ. ეს მათ კარგათ უნდა ახსოვდეთ.

(ჟურნალი „მოგზაური" 1905 წ.
18 სექტემბერი, № 34)

საკუთარი სახის დანახვა.

ძველი რომაელები ამბობდენ: როცა ღმერთები კაცის გაუბედურებას მოინდომებენ, პირველად მას ჭკუას დაუკარგავენო. სწორედ ეს გამახსენდა, როცა გაზ. „ივერიის“ № 168-ში მეთაური წერილი წავიკითხე. დინჯზე უდინჯეს, ზომიერზე უზომიერეს და დარბაისელზე უდარბაისლეს „ივერიას“ ყოველივე ეს თვისებები დაუკარგავს და ბრაზმორეული პირიდან დორბლებსა ჰყრის. გაზეთს დაუვიწყია და თავისივე ფეხით გაუთელავს ის, რასაც იგი ამ რამდენიმე დღის წინად ქადაგებდა. დაუვიწყია თავისი საკუთარი სიტყვები, რომლებიც დასტამბული იყო „ივერიის“ № 158-ში, სახელდობრ: „საქიროა, რომ **ყოველი პარტიის კაცი თავის იდეურ მოწინააღმდეგეში პატივს სცემდეს ადამიანს და მორიდებით ეპყრობოდეს მის ადამიანურ ღირსებას**“-ო. ყოველივე ეს ქებული რედაქციის ქებულმა ხელმძღვანელმა დაივიწყა, ფეხქვეშ გათელა და ყველას აშკარათ დაანახვა, თუ მართლა თავის იდეურ მოწინააღმდეგეს როგორ უყურებს იგი ან როგორ ეპყრობა მის ადამიანურ ღირსებას.

შეგვამკო რა მეთაურის ავტორმა ყოველგვარი უწმაწური ლანძღვა-გინებით, ბოლოს მან სულით ავადმყოფი ანუ უფრო გარკვეეით რომ ვთქვათ, გიჟი გვიწოდა და კრაფ-ებინგის საავადმყოფოში გაგვგზანა. საქიმოდ. აი როგორი მოპყრობა სცოდნია განახლებული რედაქციის ხელმძღვანელს, რედაქტორს ფილ. გოგიჩაიშვილს[7]). აი თურმე თავის იდეურ მოწინააღმდეგეში როგორა სცემს იგი პატივს ადამიანს და როგორ მორიდებით ეპყრობა მის ადამიანურ ღირსებას! აი თურმე რას ჰქვიებია „ივერიის“, დღევანდელი ხელმძღვანელის აზრით, ადამიანის პატივისცემა და ადამიანური ღირსების მაღლა დაყენება.

როგორც ვიცით, „ივერიის“ წინანდელი ცნობილი ხელმძღვანელიც, თ-დი ი. ჭავჭავაძეც, სწორედ ასე იქცეოდა. იგიც ადამიანის მაღალ ღირსებაზე, პიროვნების ხელუხლებლობაზე, კაცურ კაცობაზე და სხვა ამგვარებზე გაიძახოდა სიტყვით და იმავე დროს კი საქმით ყოველი ფეხის ნაბიჯზე, როგორც მწერლობაში, ისე სხვა სფეროშიაც, სხვის პიროვ-

ნებას, სხვის ადამიანურ ღირსებას ქელავდა და ჯეკნიდა. განახლებულ „ივერიას“, როგორც ეტყობა, კარგათ შეუთვისებია ძველი „ივერიის“ ზნე-ხასიათი. მაგრამ ეს ჩვენთვის ახალი ამბავი არ არის და არც ისე რიგათ საინტერესოა. ამ ჟამათ ჩვენთვის საყურადღებო სულ სხვა გარემოებაა, სახელდობრ ის, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ პატივცემულმა რედაქციამ ყოველგვარი მორიდება და ადამიანის ღირსების პატივის ცემა დაკარგა. თურმე ნუ იტყვით ყველა ამის მიზეზი ყოფილა ჩემი წერილი— „ისტორიული მატრაკვეცები!“ ყოველივე ის, რასაც ჩვენ თანამედროვე მატრაკვეცებზე ვწერდით, „ივერიის“ ხელმძღვანელს თავის თავზე მიუღია და აშკარათ, ყველას გასაგონათ გაიძახის, რომ მახარაძეს აქ მე და ჩემი ამხანაგები ჰყავს გამოყვანილიო. მოგვყავს აქ სიტყვა-სიტყვით „ივერიის“ მეთაურის ის ადგილი, სადაც ეს გასაშტერებელი ამბავია მოთხრობილი, ვინაიდან ეს საყურადღებოა არა მარტო დღევანდელი თაობის ერთი ნაწილის დასახასიათებლად, არამედ იგი საინტერესო იქნება მომავალი თაობისთვისაც. აი ეს ადგილიც:

„პირველათ ახლანდელ „ივერიის“ ახირებულ ბაგაჟის პატრონმა— ხელმძღვანელმა უღალატა ხალხს: დაბრუნდა საზღვარგარეთიდან და ბ-ნ მახარაძეს არ მიემხრო. ამავე ხალხის დამღუპველ გზას დაადგა ფრეიბურგში მოსწავლე რამიშვილი [8]), რომელიც, ბ-ნ მახარაძის სიტყვით, ხალხს უპატიოსნოთ ღალატობს. იმავე გზას მიყვა კიდევ ერთი ქართველი, თუ არ ვცდებით, ამ ჟამათ გერმანიაში მოსწავლე. დასასრულ ასეთივე გზა აირჩია ბ-ნმა ელ. დარჩიაშვილმაც [9]), რომელმაც, ერთ თავის სგაზეთო წერილში, გაბედა და სიყვარულის გრძნობით მოიხსენია თავისი სამშობლო. და, მოგეხსენებათ, ბ-ნ მახარაძეს ისე არა აღელვებს რა, როგორც სამშობლოს ხსენება, „ვინაიდან პროლეტარიატს“ და მაშასადამე, მის იდეოლოგსაც, „სამშობლო არა აქვს“-ო.

აი თურმე ვინ ყოფილან ისინი, ვინც ჩვენ მატრაკვეცების სახელით მოვნათლეთ! სახელი და დიდება გაზ. „ივერიის“ მეთაურის ავტორს ასეთი მიხვედრისათვის! მართალია ჩვენ ვწერდით ჩვენი დროის მატრაკვეცებზე და რამდენადაც ჩვენი სუსტი ძალ-ღონე შეგვწევდა, იმათი დახასიათება გვინდოდა, მაგრამ იმას ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩვენი ცდა ისეთი გამოდგებოდა, რომ იმაში ნათლად დაინახავდენ თავიანთ თავს ზოგიერთი ჩვენი ლიტერატორები, მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა და გაზ. „ივერიის“ მეთაური წერილის ავტორმა ჩვენ სუსტ დახასიათებაში ნათლად ამოიკითხა ოთხი პირის დახასიათება: ბ-ნ

ფ. გოგიჩაიშვილის, ივ. რამიშვილის, ვლ. დარჩიაშვილის და კიდევ ერთი უცნობის, რომელიც თურმე ამ ჟამად გერმანიაში სწავლობს *). სწორედ გასაშტერებელი ამბავია! ჩვენ ვცდილობდით რამდენიმეთ დაგვეხასიათებია ჩვენი დროის მატრაკვეცები, საზოგადოებისათვის გვეჩვენებია მათი მოქმედების ყალბი საფუძველი, დაგვენახვებია მათი მეტიჩარობა, ორგულობა, მლიქვნელობა, გაიძვერობა, პირფერობა და სხვ. ვერავინ ვერ უარყოფს, რომ ასეთი „მოღვაწეები“ მრავალთაგან უმრავლესია, როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიაც. მაგრამ „ივერიის“ მეთაურის ავტორს გადაუწყვეტია, რომ, ჩვენ ვითომც მხოლოდ „ივერიის“ ბურჯები გვყოლოდეს მხედველობაში, როცა თანამედროვე მატრაკვეცებზე ვწერდით. ვისაც ჩვენი წერილი წაკითხული აქვს, იმას უეჭველათ ეხსომება, რომ ჩვენ იქ ვახასიათებდით მატრაკვეცას საზოგადოთ, ცხოვრების ყველა სფეროში და მხოლოდ განსაკუთრებით ყურადღებას ვაქცევდით ლიტერატურულ მატრაკვეცებს. გაზ. „ივერიას“ კი მოჩვენებია, რომ ჩვენ მხოლოდ „ივერიის“ დღევანდელ ხელმძღვანელზე, ე. ი. გოგიჩაიშვილზე, ივ. რამიშვილზე, ვლ. დარჩიაშვილზე და კიდევ ერთ უცნობ ახალგაზრდაზე ვწერდით. საიდან გამოიყვანა მან ასეთი დასკვნა, რა მოსაზრების ძალით ამტკიცებს ამას ჩვენი ავტორი, ეს ჩვენ არ ვიცით. მართალია, ჩვენ ლიტერატურულ მატრაკვეცებზე ვწერდით, მაგრამ ლიტერატურა ხომ მარტო ამ ოთხი კაცის მონოპოლიას არ შეადგენს. ან შეიძლება მან იმ მოსაზრებით იხელმძღვანელა, რომ ვითომც ჩვენ მხოლოდ საზღვარგარეთ სწავლა მიღებული ლიტერატორები გვყვანდა მხედველობაში, მაგრამ ეს მოსაზრებაც ყოვლად უსაფუძვლოა, ვინაიდან საზღვარგარეთ სწავლა მიღებული ლიტერატორები ჩვენში გარდა იმ ოთხი პირისა სხვებიც არიან. შეიძლება კიდევ ხსენებული წერილის ავტორს ეგონა, რომ ჩვენ მხოლოდ განსაკუთრებით „ივერიის“ თანამშრომლები გვყავდა მხედველობაში, მაგრამ ვინ არ იცის, რომ გარდა დასახელებული პირებისა, „ივერიას“ სხვა თანამშრომლებიცა ჰყავს, და რატომ პატიკცემულმა ავტორმა ისინიც არ დაასახელა, რატომ ჩვენ წერილში მან მხოლოდ ოთხი კაცის დახასიათება ამოიკითხა?

რას უნდა მიეაწეროთ ეს გარემოება? ერთი ქართული ანდაზა ამბობს: მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო. სწორედ ასე მოსდის

*) პატივცემული რედაქცია კაის იზამდა ბარემ ამ უცნობის ვინაობაც გამოეცხადებინა, ვინაიდან საზოგადოებისათვის მეტად საჭიროა იცოდეს, თუ ვინ ემზადება სამატრაკვეცო ასპარეზზე სამოქმედოთ.

„ივერიის“ ხელმძღვანელს. მახინჯს ყოველთვის ეზარება თავისი სახის დანახვა, ისე, როგორც ჭეშმარიტების მდევნელს ჭეშმარიტების გაგონება. თუ მართლა, „ივერიის“ მეთაურის ავტორი ჩამოთვლილ პირებში მატრაკვეცებს არ ხედავდა, რათ გამოაცხადა საქვეყნოთ, რომ მახარაძე მხოლოდ ამათ უწოდებს მატრაკვეცებსო. მაგრამ რადგანაც „ივერიის“ რედაქცია ასე მოიქცა, ალბათ რაიმე გასამართლებელი საბუთი ქონდა. ეს საბუთი კი იმაში მდგომარეობს, რომ მის მიერ დასახელებულ პირებს აშკარათ ემჩნევათ ყველა ის თვისებები, რომლებიც ჩვენ წერილში იყო ჩამოთვლილი მატრაკვეცების დასახასიათებლად. ჩვენ დამნაშავე არა ვართ იმაში, რომ ჩვენ დახასიათებაში ზოგიერთმა ვაებატონებმა თავისი საკუთარი სახე დაინახეს. მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ, თუ რომ ეს სახე მახინჯია! სარკე ხომ იმას აჩვენებს, რაც ნამდვილად არის, ამიტომ ჩვენ კარგად გვესმის „ივერიის“ განრისხება და სიბრაზე. სიყალბის მჩმახავს მხოლოდ სიმართლის ეშინია. ჩვენი ნათქვამი რომ სიმართლეს მოკლებული ყოფილიყო, ბ.ბ. გოგიჩაიშვილები ასე რიგად როდი განრისხდებოდენ და ასეთ სიბრაზეს კი არ გამოიჩენდენ.

თვის წერილში ჩვენ არავის პირადათ არ ვეხებოდით,—ჩვენ მხოლოდ საზოგადოთ ვწერდით მატრაკვეცებზე. მაგრამ რადგანაც „ივერიის“ რედაქციამ ქართველ საზოგადოებას იმდენი სამსახური გაუწია, რომ ოთხი მატრაკვეცა პირადათ დაასახელა, ამიტომ მეტი არ იქნება, რომ იმათ სამატრაკვეცო მოღვაწეობას რამდენიმეთ მაინც ფარდა აეხადოს. ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით ბ-ნ ვლ. დარჩიაშვილის შესახებ, ვინაიდან ჯერ-ჯერობით მისი ფიზიონომია ჩვენ კიდევ გამოურკვევლად მიგვაჩნია, ვინაიდან ჯერ კიდევ იგი რალაც რყევაშია და თვითონაც კარგად არ ესმის, ვის ან რას მიემხროს. არაფერს ვიტყვით აგრეთვე არც ბ-ნ ივ. რამიშვილის შესახებ, ვინაიდან მისი „მოღვაწეობა“ ჯერ კიდევ მეტად უმნიშვნელოა, ანუ როგორც ფრანგები ამბობენ, იგი ჯერ guantitè negligeable წარმოადგენს. მით უმეტეს ეს უცნობი ახალგაზრდის შესახებ უნდა ითქვას, რომლის ვინაობას, არ ვიცით, რა მოსაზრებით, მალავს „ივერიის“ რედაქცია. დაგვრჩა მაშ ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი, და მის შესახებ სწორედ ლირს ლაპარაკი. სამწუხაროდ, აქ ჩვენ მას დაწვრილებით ვერ შევეხებით; მაგ., სრულებით ვერ შევეხებით მის მოღვაწეობას ლიტერატურულ ასპარეზზე, სანამ იგი განახლებულ „ივერიის“ ხელმძღვანელი არ შეიქნებოდა. მაგრამ მისი მოღვაწეობის მოკლე განხილვაც კი საკმარისი იქნება ჩვენი მიზნისთვის.

დავიწყოთ „ივერიის“ პირველ ნომრიდან. აქ მას, ერთი მხრით, თავისი თავი და თავისი ორგანო მუშა ხალხის ქომაგად და დამცველად გამოყავდა. მაგრამ, მეორე მხრით, იმავე სარედაქციო წერილში მუშა ხალხის ინტერესებს ღალატობდა და აშკარად ჩვენი ქართველი ბურჟუა-კაპიტალისტების ინტერესებს ესარჩლებოდა და მფარველობას უწევდა. აი რას სწერდა იგი: „ქართველი გლეხი, მაგ., ღარიბია არა მარტო იმ მიზეზით, რომ იგი მემამულეს დიდ-ღალას აძლევს და ბევრ სხვადასხვა გვარ გადასახადს იხდის, არამედ იმიტომაც, **რომ იგი გაუნათლებელია. მისი წარმოების ტეხნიკა ძველებურია და შრომა მცირე ნაყოფის მიმცემია. ქართველი მუშა მცირე ქირას იღებს.*) არა მარტო იმ მიზეზით, რომ მასში კლასობრივი თვითცნობიერება და ორგანიზაციის საჭიროების შეგნება ჯერ კიდევ სუსტია, არამედ იმიტომაც, რომ ადგილობრივი მრეწველი (ქართველი, რა თქმა უნდა. ფ. გ.) კაპიტალისტურ მოუმზადებლობის გამო, თანამედროვე გაუმჯობესებულ იარაღებით ვერ სარგებლობს და წარმოებას, ნაწარმოებთა რაოდენობისა და მოგების მხრივ, ვერ აბარაქიანებს. თუ ჩვენ, ერთის მხრივ, მომხრე ვართ კლასიურ ბრძოლისა მშრომელის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მეორე მხრივ მომხრე ვართ ყველა იმ გვარ ღონისძიება-საშუალებათა, რომელნიც ხელს შეუწყობენ საერთოდ მთელ საზოგადოებაში სწავლა-ცოდნის გავრცელებას, ერის საწარმოო ძალის განვითარებას. ესა და სხვა მსგავსი მუშაობა არის ისეთი საქმე, რომლის საგანს უფრო ზოგადი კულტურული ხასიათი აქვს და რომელიც ჩვენ, კლასობრივ ბრძოლასთან ერთად ფრიად საჭიროდ და სასარგებლოდ მიგვაჩნია“.** ანუ მოკლედ: „ეროვნული თვითცნობიერება და ერთობა, როცა საქმე ეროვნულ არსებობასა და ისტორიული კულტურის დაცვას შეეხება, კლასობრივი თვითცნობიერება და საეკონომიო ბრძოლა, როცა საკითხი შინაურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განკარგულებასა და მშრომელი ხალხის ეკონომიურ ინტერესების დაცვას შეეხება,—აი გზა, რომელიც ჩვენ სწორად და ნაყოფიერად მიგვიყვანს“.

აქედან მკითხველი აშკარად ხედავს, თუ რა გზა აურჩევია ბ. ნ. ფ. გოგიჩაიშვილს საზოგადოებრივ ასპარეზე მოღვაწეობისათვის. მისი პროგრამა ისეთია, რომელიც შეუერთდება ყველა ქვეყნის ნაციონალ ლიბე-

*) ხაზს ყველგან ჩვენ ეუსვამთ.

რალს, ე. ი. ბურჟუაზიის იდეოლოგს. იგი აშკარად გამოდის, რა თქმა უნდა, მუშა ხალხის წინააღმდეგ. იგი არ ებრძვის არც მუშების ორგანიზაციებს და არც მათში თვითცნობიერების განვითარების საქმეს, თუ ყოველსავე ამას მასსიურ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება აქვს მხედველობაში და მიმართული არ არის ქართველი მემამულეების და ქართველ მრეწველების წინააღმდეგ. ე. ი. ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილს სწამს კლასობრივი ბრძოლა, თუ რომ ეს უკანასკნელი ეროვნული თვითცნობიერების განვითარებას ხელს არ უშლის, ეროვნული თვითცნობიერება— ეს იგივე ბურჟუაზიის იდეოლოგობაა, ვინაიდან იგი ჩვენ გვასწავლის: თუ ქართველი მუშა მცირე ქირას ღებულობს, ეს იმიტომ, რომ ქართველ კაპიტალისტს მცირე შემოსავალი აქვს, აქედან ერთად ერთი დასკვნა ასეთია: ხელი შევუწყოთ ქართველ კაპიტალისტების გამდიდრებას და მაშინ ისინი მუშის ხელფასს მაღლა ასწევენ. გარდა ამისა, ნუ დაივიწყებთ, რომ ქართველი გლეხი, ჩვენი ავტორის აზრით, ღარიბია არა იმ მიზეზით, რომ იგი დიდ ღალას აძლევს მემამულეს და სხვადასხვა გვარ გადასახადს იხდის, არამედ იმიტომ, რომ იგი გაუნათლებელია, ტეხნიკის არა გაეგება რა, სწავლა-ცოდნა მას არა აქვს და სხვა.

როგორც ხედავთ, ასეთი აზრების გავრცელება, ბ-ნ გოგიჩაიშვილის აზრით, იგივე კლასობრივი შეგნების გავრცელებაა. თქვე დალოცვილო, ამას ხომ ნეტარ-ხსენებული ი. ჭავჭავაძის დროინდელი „ივერიაც“ არ ყოფდა უარს; სწორედ მაშინაც ასე მსჯელობდნენ დღეს თქვენ მიერ განახლებული „ივერიის“ ფურცლებზე. განსხვავება აქ მხოლოდ იმაშია, რომ თქვენ ეს აზრი უფრო ბუნდოვანად გაგყავთ. იცოდეთ, რომ კლასობრივი ბრძოლის ერთი მხრით და ეროვნული თვითცნობიერობის და ერთობის იდეის მეორე მხრით შერიგება ყოველად შეუძლებელია. და ის, ვინც ამას ქადაგებს, არა თუ ბურჟუაზიას ქომაგობს და ესარჩლება, არამედ იგი მუშა ხალხში შეგნების განვითარებას აბრკოლებს, რასაკვირველია, ეს ხდება იმდენად, რამდენადაც ასეთ პირს გავლენა აქვს მუშა ხალხში. და აი, ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი სისტემატიურად ადგას მის მიერ არჩეულ გზას: იგი ვითომც მუშა ხალხის მოსარჩლე გამოდის, ვითომც კლასობრივ ბრძოლას აღიარებს და ნამდვილად კი ამ ბრძოლას აბნელებს, ბურჟუაზიული თვალთახედვის წერტილიდან უნდა შეხედოს მას. იგი გვიქადაგებს, რომ დღეს, როცა საზოგადოება დაყოფილია მოწინააღმდეგე კლასებად, შეიძლება, რომ ერთი და იმავე დროს ყველა ამ კლასების ინტერესებს ემსახურო ერთნაირად. ასეთი

სამსახური რომ ბურჟუაზიის საჴსახურია, რომ ეს ბურჟუაზიის მოსარჩლეობას ნიშნავს და მაშასადამე, მუშა ხალხის ღალატს, ეს მას როდი სჯერა. როცა მას ამის შეურყეველ დასამტკიცებელ საბუთზე მიუთითებთ, იგი თამამად გაიძახის, რომ ეს სასაცილოა, სიცილის ღირსია და მეტი არაფერიო. მეორე შემთხვევაში იგი „კავკასიის კალენდარს" იმოწმებს და ამ ყოვლად გამოუდეგარ წყაროს ცნობებს ,,ადგილობრივ ცხოვრებაზე დაკვირვებას'' უწოდებს (იხ. ,,ივერია'' № 140).

ვისთვისაც მეცნიერება და მეცნიერული გამოკვლევა ასე ადვილად ხელწამოსაკრავი არ არის, ვინც ცოტაოდნათ მაინც სცემს პატივს მეცნიერებას, იმას უეჭველად გააოცებს ეს გარემოება: როგორ მოხდა, რომ პოლიტიკური ეკონომიის დოქტორი ასეთი ნდობით ექცევა ,,კავკასიის კალენდარის'' ცნობებს და თავის დასკვნებს იმაზე ამყარებს? თავისი მასწავლებლის მაინც როგორ არ რცხვენია, რომ პოლიციის მოხელეების მიერ შეთხზულ ცნობებს იგი ,,ადგილობრივ ცხოვრებაზე დაკვირვებას'' უწოდებს? მაგრამ ნუ გგონიათ, რომ ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი მართლაც ისეთი უვიცი იყოს, რომ მას არ გაეგებოდეს ,,კავკასიის კალენდრის'' სტატისტიკური ცნობების ფასი. საქმეც ის არის, რომ ეს მას კარგათ გაეგება, მაგრამ მიუხედავათ ამისა იგი მაინც ამ ცნობებს იმოწმებს თავის მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლად. იგი არაფერს არ ზოგავს, ოღონდ კი ქართველ მემამულეების, ქართველ კაპიტალისტების და ქართველ მოხელეების გული მოიგოს. გაიხსენეთ მისი წერილები: ,,ერთი გამწესების გამო (,,ივერია'' № 9), ,,ყალბი დასკვნა'' (№ 151) კახეთის მევენახეების საზოგადოებას იცავს მუშების წინააღმდეგ და თქვენ დარწმუნდებით, თუ ვის ემსახურება იგი და ვისი მონა-მორჩილია და იმავე დროს კი ბ-ნი გოგიჩაიშვილი გაიძახის, რომ იგი მშრომელი ხალხის, მუშების ინტერესების დამცველია, რომ იგი მუდამ იმათ ექომაგება და ესარჩლება. აქედან აშკარა უნდა იყოს, თუ რათ მიუღია თავის თავზე ბ-ნ გოგიჩაიშვილს ყოველივე ის, რასაც ჩვენ მატრაკვეცებზე ვწერდით. Не моя тут вина...

თუ ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი ამ განმარტებით არ დაკმაყოფილდება, იმ შემთხვევაში ჩვენ იძულებული შევიქნებით მის ,,მოღვაწეობას'' უფრო დაწვრილებით შევეხოთ.

(ჟურნალი „მოგზაური" 1906 წ.
25 სექტემბერი, № 35).

გურია განსაცდელშია!

სულ გულცივი უნდა იყოს ადამიანი, რომ დამშვიდებით ისმინოს ის, რასაც დღეს გურიის შესახებ ამბობენ და გაზეთებში სწერენ. მეტად ამაღელვებელი ცნობები მოდის ჩვენი ქვეყნის ამ პატარა, მაგრამ მეტის მეტად შესანიშნავი კუთხიდან. თუ ამ ცნობებს დაუჯერეთ, გურიაში საერთო აჯანყება უნდა იყოს, რომ გურულებს ვითომც შეიარაღებული თავდასხმაც უნდა მოეხდინოთ და ვითომც ადგილობრივი ჯარი და მთავრობა დაეტყვეებინოთ.

რამდენად მართალია ეს, ამის განსჯაში ჩვენ აქ ვერ შევალთ, ვინაიდან ნამდვილი და სწორი ცნობები ხელში არა გვაქვს. შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ ის, რომ გურიას დიდი განსაცდელი მოელის, რომ შესაძლებელია დიდი სისხლის ღვრა მოხდეს. საქმე ის არის, რომ კავკასიის მთავრობას უკვე განკარგულება მოუხდენია გურია ჯარებით და თოფზარბაზნებით აავსოს. უკვე ყოველი მხრიდან იგზავნება იქ ჯარი. ყოველივე ეს საიდუმლოთ ხდება, ვითომც აქ არაფერიაო. რათ არ აცხადებენ საჯაროთ, რა სწადიათ, რა მიზანი აქვთ? ვის წინააღმდეგ გზავნიან ამოდენა ჯარებს გურიაში? ვის რა დაუშავეს გურულებმა?

მაგრამ რას ვამბობ? განა გურულებს დანაშაული არ მიუძღვით? ჰაი ჰაი, რომ მიუძღვით და მერე როგორი! გურულების დანაშაული ის არის, რომ ისინი მთელი რუსეთის დღეანდელი, განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში იდგენ, იმათი დანაშაული ის არის, რომ იმათ ძლიერ მაღლა უპირავთ თავისუფლების დროშა! რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობისათვის ეს ხომ ისეთი მიუტეეებელი შეცდომაა, რომელსაც იგი არავის დაუსჯელად არ შეარჩენდა. და მართლაც, უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც მთავრობა თავგამოდებით იბრძოდა გურიაში რევოლიუციონური ნაპერწკალის ჩასაქრობათ; იგი არავითარ საშუალებას არ ზოგავდა, ოღონდ კი როგორმე ეს ნაპერწკალი ჩაექრო. ეს საშუალებები ჩვენ კარგათ ვიცით. ბ-ნ კრიმ-გირეის [11]) მოგზაურობამ გურიაში ეს ყველას აშკარათ დაანახვა. მაგრამ რას მიაღწია მთავრობამ? იმას, რომ პატარა ნაპერწკალი დიდ ცეცხლად გადაიქცა, რომელიც მზათაა

შეანთქას არსებული წესწყობილება. ტყუილა ნურავინ იფიქრებს, რომ გურულები ისე მსუბუქი ჰკუის პატრონი იყვნენ, რომ მთელი რუსეთის დღეევანდელი წესწყობილების დასაცემათ იმათი აზრით მარტო იმათი აჯანყება იქნება საკმარისი. პირიქით, გურულები დიდი ყურადღებით ადევნებდენ თვალყურს რუსეთის მოძრაობას; ისინი გაფაციცებით კითხულობდენ გაზეთებს, რომ სცოდნოდათ თუ რა ხდებოდა რუსეთში. ისინი პირველად, არასოდეს აჯანყებას არ ასტეხდენ. ან კი ვის წინააღმდეგ უნდა აჯანყებულიყვენ ისინი? ამ უკანასკნელ დროს გურულებმა ისეთ-მოაწყვეს საქმე, რომ თავის საქმეებს თვითონვე განაგებენ და ხელმძღვანელობენ. იმათ უკვე ჰქონდათ თავისი სასამართლო და თავისი პოლიცია. მთავრობის დაწესებულებებთან იმათ უკვე ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი აქვთ. ხალხი არავითარ ძალადობას აღარ ხმარობდა, იგი უკვე მშვიდობიან შრომას ეწეოდა. რასაკვირველია, გურულებმა კარგად იცოდენ, რომ თუ რუსეთში არსებული წეს-წყობილება ძირიანად არ შეიცვლებოდა, იმათ ასეთ თავისუფლად ცხოვრების ნებას არ მისცემდენ და ამიტომ ემზადებოდენ. ემზადებოდენ იმის დასაცველათ და შესანარჩუნებლათ, რაც იმათ წვითა და დაგვით და გაჭირვება-ვაებით მოიპოვეს.

თავის მხრით არც ადმინისტრაციას ეძინა: იგიც, რა თქმა უნდა, იმაზე ფიქრობდა, რომ მოხერხებული დრო ხელში ეგდო და გურიის ხალხი საბრძოლველად გამოეწვია მანამ, სანამ იგი შეიარაღდებოდა. ასეთ შემთხვევაში მთავრობისათვის ცოტა რამ არის საჭირო, რომ უიარაღო ხალხს ჯარი მიუსიოს და ამოწყვიტოს და იმავე დროს გამოაცხადოს, რომ იგი ამას ჩადის თვით ამოწყვეტილი ხალხის კეთილ-დღეობისათვის. ასეთი შემთხვევა ჰქონდა მთავრობას გურიის ხალხის ამოსაჟლეტათ ამ 6—7 თვის წინეთ, როცა იქ გენ. ალიხანოვი [12]) იქნა გაგზავნილი რამდენიმე ათასი ჯარის კაცით, ზარბაზნებით, ტყვიის მტყორცნელებით და ლაზარეთით. ეს იყო ნამდვილი ომის გამოცხადება. როგორც ოფიციალურად იყო გამოცხადებული, ასეთი სასტიკი ზომები იმიტომ იყო ხმარებული, რომ გურია რევოლიუციონურ პროპაგანდის ბუდეთ გადაიქცაო; რომ ეს პროპაგანდა იქ თანდათან ძლიერდება და ამიტომ საჭიროა სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის მისი ძირიან-ფესვიანათ მოსპობაო. და აი, გენ. ალიხანოვს ჯარის და არტილერიის საშუალებით უნდა შეესრულებია ეს მისია. უბრალო შემთხვევამ და უფრო კი თვით გურულების გონიერებამ გადაარჩინა მაშინ გურია ამ ხიფათს. მას შემ-

დეგ. რევოლიუციონური მოძრაობა რუსეთში კიდევ უფრო გაიზარდა, თავისუფლება, რომლისთვისაც გურულები ასე თავგამოდებით იბრძოდენ, თითქმის მოპოებული იქნა. და აი, ამ დროს ჩვენ ვხედავთ, რომ გურიაში ათასობით და ათიათასობით ჯარების გაგზავნას აპირებენ. რამ გამოიწვია ეს, რით აიხსნება ასეთი ამბავი? ჩვენ გვწამს, რომ გურიაში, როგორც ყოველგან დღეს, მოსალოდნელი იყო კერძო შეტაკება კაზაკებსა და ხალხს შორის. სად არ ხდება დღეს ასეთი შეტაკება? მაგრამ განა ეს საკმარისია იმისთვის, რომ მთელ გურულ ხალხს ომი გამოეცხადოს? მაგრამ გურიას სხვანაირად უყურებენ: მთავრობას იგი მოსვენებას არ აძლევს; გურული ხალხი მისთვის კბილის მატლია, რადგანაც იგი რევოლიუციონურ მოძრაობას სათავეში უდგას, რადგანაც იქაური გლეხკაცობა მთელი რუსეთის გლეხკაცობის მოწინავე რაზმათ ითვლება, და ამიტომ მთავრობა, როგორც ვამბობდით, ყოველგვარ შემთხვევით ისარგებლებს, რომ გურიაში აჯანყება გამოიწვიოს, მაგრამ ეს უგუნური ფიქრია. გურულების ამოჟლეტა თვით მთავრობას ჩააყენებს განსაცდელში. მთელმა ქვეყანამ იცის, თუ რას ემსახურება დღეს გურული ხალხი. წავიდა ის დრო, როცა განუკითხავათ შეიძლებოდა ხალხის ჟლეტა-ამოხოცვა. ის, ვისაც გონიერება აქვს და ვინც სახელმწიფო ინტერესებს მართლა მაღლა აყენებს, ასეთ საქმეს ვერ ჩაიდენს. ყოველ შემთხვევაში, ყველა აქტიურ საზოგადოებრივ ელემენტების მოვალეობაა, ის განსაცდელი, რაც დღეს გურიას ადგას, თავიდან აშორებულ იქნას. ამიტომ ჩვენ, თავისუფლების სახელით, მოუწოდებთ იმათ საპიროების დროს ყოველგვარი დახმარების აღმოსაჩენათ.

დაყოვნება და სხვისი ლოდინი არ შეიძლება. დღეს მოქმედების დროა და ვინც ამ მოქმედებას გაურბის, იგი საზოგადო საქმის მოღალატეთ ჩაითვლება. საპიროა მოქმედება და არა ლოდინი.

(ჟურნალი „მოგზაური" 1905 წ.
30 ოქტომბერი, № 39).

რუსეთის რევოლიუცია და 17 ოქტომბრის მანიფესტი.

იმ დროს, როცა რუსეთის მთავრობასა და რუსეთის ხალხს შორის აშკარა და დაუზოგველი ბრძოლა იყო გამართული, იმ დროს, როცა თითქმის მთელი რუსეთი სამხედრო ბანაკად იყო გადაქცეული და მთავრობის ყველა ჯურის და ყველა ხარისხის აგენტები, უკანასკნელი გოროდოვოიდან დაწყებული ვიდრე უპირველეს მინისტრამდე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე სასტიკად დევნიდენ და ახრჩობდენ თავისუფალ აზრს, თავისუფალ სიტყვას, როცა პოლიცია და ჟანდარმერია სრულიად უმიზეზოდ და განუკითხავათ ატყვევებდა, აპატიმრებდა, აციმბირებდა და სახრჩობელაზე აგზავნიდა საზოგადოების საუკეთესო წევრთ, როგორც პოლიტიკურ დამნაშავეთ, იმ დროს, როცა პოლიციელები, სალდათები და კაზაკები სრულიად უმიზეზოდ არა თუ შეურაცყოფას აყენებდენ სრულიად უდანაშაულო ხალხს, არამედ პირდაპირ სიცოცხლეს უსპობდენ მას, იმ დროს, როცა ცენზორის ნებადაურთველად სასტიკათ აკრძალული იყო უბრალო განცხადების დასტამბვაც კი, სწორედ აი ამ დროს პეტერბურგიდან ელვასავით მოედვა მთელს რუსეთს ის ამბავი, რომ ნიკოლოზ მეორის მანიფესტის ძალით რუსეთის ხალხს ენიჭება „თავისუფლება სინდისის, სიტყვის, კრების და კავშირის“, რომ ამიერიდან ხელშეუხებელი იქნება ადამიანის პიროვნებაო! რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ეს სინამდვილეა? გარშემო ომიანობის დროის წესები, გაძლიერებული დაცვა, შეიარაღებული ჯარი, პოლიციელები, კაზაკები, რომლებიც ყოველ წამს მზათ არიან ააოხრონ და გაანადგურონ ყოველივე და ნაგაიკების, ხიშტების და ტყვიის საშუალებით გაფანტონ შეკრებილი ხალხი და იმავე დროს კი მანიფესტი აცხადებს, რომ ამიერიდან „ხალხს უნდა მიენიჭოს მოქალაქობრივი თავისუფლების შეურყეველი საფუძველნი, რომ ჭეშმარიტათ ხელუხლებელი იყოს ადამიანის პიროვნება, თავისუფლება სინდისისა, სიტყვისა, კრებისა და კავშირისაო“. ან შეიძლება ეს დაცინვა იყოს, მწარე დაცინვა! არა და ათასჯერ არა! მაშ, რა არის ეს?

მაშ, რას მოასწავებს ერთ და იმავე დროს თავისუფლების გამოცხადება და ამავე თავისუფლების საჯაროთ დარღვევა და შელახვა? ერთი მხრით, ადამიანის პიროვნების ხელშეუხლებლობა და, მეორე მხრით, სწორეთ ადამიანის პიროვნებისვე შეურაცყოფა, დამცირება და გათელვა. აშკარა წინააღმდეგობა არაა, განა? მაგრამ მოითმინეთ, თუ საქმეს ცოტა უფრო ღრმათ ჩაუკვირდებით, აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის, პირიქით, აქ არის ნამდვილი ლოგიკური თანდათანობა.

ნებითა და წყალობითა ღვთისათა რუსეთის თვითმპყრობელი მთავრობა დიდი ხნის განმავლობაში განაგებდა რუსეთის ხალხის ბედს. მთავრობას, რასაკვირველია, მარტოთ მარტო როდი შეეძლო მთელი ხალხის დაბეჩავება და მასზე გაბატონება. ამ საქმეში მას შველოდენ და მხარს უჭერდენ მაღალი წოდებები და კლასები, როგორც მაგ., თავადაზნაურობა, სამღვდელოება და სხვ. მთავრობის და გაბატონებულ წოდებათა ინტერესი ხალხის მართვა-გამგეობაში, ე. ი. ყვლეფა-ძარცვაში, ერთი და იგივე იყო. ეს იყო ბატონ-ყმობის დრო, როცა სოფელი, ქალაქთან შედარებით, უპირველეს როლს თამაშობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როცა ნატურალური წარმოება შეადგენდა ეკონომიური ცხოვრების დედა-ძარღვს. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს როლი თანდათან შეიცვალა: სოფლის ადგილი ქალაქმა დაიპირა, ნატურალურ წარმოების გვერდით თანდათან აღორძინდა თანამედროვე აღებ-მიცემობა და კაპიტალისტური მრეწველობა და მასთან ერთად ახალი საზოგადოებრივი კლასი ბურჟუა-კაპიტალისტებისა. თვით მთავრობაც დაინტერესებული შეიქნა აღებ-მიცემობის და მრეწველობის განვითარებაში, ვინაიდან მისთვის საჭირო შეიქნა ფული და ფულის შოვნის ერთად ერთ პირობას კი მრეწველობის და აღებ-მიცემობის ზრდა-განვითარება შეადგენდა. ამავე დროს ყმების მდგომარეობა მეტად აუტანელი გახდა, ისე რომ, თითქმის ყოველ დღე აჯანყება და არეულობა ხდებოდა კერძო მემამულეთა წინააღმდეგ. აღვილი შესაძლებელი იყო, რომ ამ კერძო აჯანყებათ და არეულობათ საყოველთაო ხასიათი მიეღო და თვით თვითმპყრობელი მეფის წინააღმდეგ მიმართულიყო.

ამნაირათ, თუ რომ მთავრობა,—მაღლიდან არ მოახდენდა ცვლილებას ბატონ-ყმურ ურთი-ერთობაში, მას ორი მხრიდან მოელოდა განსაცდელი: ერთი მხრით, ფინანსიური გაკოტრება და, მეორე მხრით, გლეხების საერთო აჯანყება. ორივე შემთხვევაში კი თვითმპყრობელობა ვარდებოდა განსაცდელში და უეჭველად უნდა დამარცხებულიყო. მაგ-

რამ მთავრობამ დროზე დაუთმო ხალხს, ბატონ-ყმური ურთიერთობა იურიდიულათ გააუქმა თავისი „უქაზით“ მაღლიდან. და მით თვითმპყრობელობა დახსნილი იქნა განსაცდელისაგან. ამით დასრულდა თავად-აზნაურობის, ოდგორც მებატონეთა წოდების, განუკითხავი ბატონობა და იგი ჩაება ბურჟუაზიული წეს-წყობილების ფერხულში.

როგორც ხედავთ, ეგრედ წოდებული გლეხების განთავისუფლება ბატონ-ყმური მონობისაგან, ე. ი. მესამოცე წლების „დიდებული საგლეხო რეფორმა“, ხალხის გამარჯვება კი არ იყო, არამედ მისი დამარცხება და მთავრობის გამარჯვება. და მართლაც, მთავრობამ შესანიშნავათ ისარგებლა ამ გარემოებით და ქვეყანას ამცნო, რომ იგი ხალხის ერთგული და კეთილის-მყოფელია, რომ მან თავად-აზნაურობაც კი არ დაინდო და მისი ინტერესები ხალხის ინტერესებს ანაცვალა, ოღონდ ხალხი არ იტანჯებოდესო. ადვილი მისახვედრია, თუ რა გვარი იყო ეს „კაცთმოყვარეობა“ და ან ვის ინტერესებს იცავდა ამით მთავრობა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი აქ შორს წაგვიყვანს. ამიტომ დავუბრუნდეთ ისევ მთავარ საგანს.

უკანასკნელი ორმოცი წელიწადი იყო რუსეთის ბურჟუაზიის შეუჩერებელი ზრდა-განვითარების ხანა. თვითმპყრობელობა, როგორც ვიცით, გამარჯვებული გამოვიდა განსაცდელიდან და ხალხის თვალში სახელიც მოიპოვა. ბურჟუაზია მიეკედლა მას და კიდევაც მოიპოვა მისი შფარველობა. თუ სხვა ქვეყნებში ბურჟუაზია მოიპოვებდა თუ არა ძალას, ანგრევდა თვითმპყრობელ მთავრობათა კედლებს, ახდენდა რევოლიუციებს პოლიტიკური უფლების მოსაპოვებლათ, რუსეთის ბურჟუაზია, პირიქით, ცდილობდა ამ კედლების გამაგრებას: იგი უარს აცხადებდა პოლიტიკურ თავისუფლებაზე, ოღონდ მისი ჯიბე სავსე ყოფილიყო ოქროებით, ოღონდ მთავრობას დახმარება აღმოეჩინა მუშებთან, პროლეტარიატთან საბრძოლველათ. რუსეთის ბურჟუაზიამ დასავლეთ ევროპის მაგალითებიდან იცოდა, რომ თვითმპყრობელობის გაუქმება და პოლიტიკურ უფლებების მოპოება ისეთი მახვილი იყო, რომელიც ორივე მხრიდან სჭრიდა. ამიტომ მთავრობამ და ბურჟუაზიამ ჩამოაგდეს ერთმანეთს შორის ზაი, შეკრეს, „წმინდა კავშირი“ რუსეთის მთელი მშრომელი ხალხის წინააღმდეგ; მთავრობის პოლიტიკა ბურჟუაზიის საკეთილდღეოდ იქნა მიმართული; ყველა კანონები იმას უწევდა მოსარჩლეობას და მფარველობას გაყვლეფილი. პროლეტარიატის და გალატაკებული გლეხკაცობის წინააღმდეგ. იმავე დროს ყოველგვარი გადასახა-

დი და ბაკები (პირდაპირი თუ არა პირდაპირი) განსაკუთრებით მშრომელ ხალხს დაადვეს კისერზე.

ბურჟუაზია დღესასწაულობდა თავის გამარჯვებას ყოველ ფეხის ნაბიჯზე, თვითმპყრობელობაც კმაყოფილი იყო, ვინაიდან, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტ სახსარს შოულობდა თავისი ჯარების გასამრავლებლათ და გარეგანი ძლიერების განსამტკიცებლათ. მართალია, მთავრობას ცუდ გუნებაზე აყენებდა და მოსვენებას არ აძლევდა რევოლიუციონური ჯგუფების მოქმედება, მაგრამ იგი ხედავდა, რომ ხალხში ამ ჯგუფებს ჯერ კიდევ არ ქონდათ მოპოებული ნიადაგი, ჯერ კიდევ ხალხში არ იყო თავისი საკუთარი ინტერესების შეგნება. მთავრობა არაფერს არ ზოგავდა ამ ერთ მუჭა ხალხთან ბრძოლაში, იმ ხალხთან, რომელიც ძლიერი იყო მხოლოდ თავისი საოცარი გაბედულებით და ღრმა რწმენით—რომ ერთხელაც არის, ჩვენს ქუჩაზედაც გამოიდარებსო. უეჭველია, მაშინდელი რევოლიუციონერებს არა ერთხელ გაუხსენებიათ ჰომერის სიტყვები:

„И будет некогда день и погибнет священная Троя,
С ней погибнет Приам и народ оруженосца Приама“.

მართალია, მაშინდელ რევოლიუციონერებს ძველ ბერძნებივით არ სწამდათ ბედის წერა, მაგრამ ისინი ამაოდ ხედავდენ რევოლიუციონურ ძალას მაშინდელ გლეხ-კაცობაში. რომ ეს ძალა თვით თანამედროვე ბურჟუაზიული წესწყობილების, ე. ი. კაპიტალისტური წარმოების ნიადაგზე უნდა აღორძინებულიყო, ეს ამათთვის შეუმჩნეველი დარჩა. მაგრამ დრო მიდიოდა, ერთი რევოლიუციონური ჯგუფის ადგილს მეორე იპერდა. იმავე დროს კი თვით ხალხში შესამჩნევი ცვლილება ხდებოდა. ძველი ნატურალური წარმოება თანდათან ქრებოდა ინდუსტრიის, კაპიტალისტური მრეწველობის ზეგავლენით; გარდა ამისა, გლეხობის ერთ ნაწილს თანდათან ეცლებოდა ხელიდან მისი მარჩენალი მიწა. ამის გამო სოფლის ხალხი, გლეხ-კაცობა, დაიძრა და თავი ქალაქს შეაფარა. მუშა ხელი ზედმეტი შეიქნა. ამან გამოიწვია ხელფასის, მუშის დღიური ქირის დაწევა. ბურჟუაზიისთვის ეს ხელსაყრელი იყო და აი, რუსეთის მრეწველობის ისტორიაში დგება აყვავების ხანა. ბურჟუაზია ჯიბეებს ივსებდა და სუქდებოდა და იმავე დროს რუსეთის პროლეტარიატს სიმშილისაგან კუჭი ეწოდა და ცოლშვილი ეხოცებოდა. მაგრამ თანამედროვე მუშა-ხალხი, პროლეტარიატი, როგორც ყველაზე უფრო შეეიწროებული და დაჩაგრული კლასი, სხვა დროის მუშა ხალხს არა ჰგავს. მასში

ჩნდება და ვითარდება კლასობრივი განხეთქილების და კლასობრივი ბრძოლის შეგნება. ეს საუძვლათ ედება პროლეტარიატის სოციალისტურ შეგნებას.

პროლეტარიატი ყველისაგან დაჩაგრული კლასია, დაჩაგრულს მჩაგვრელის იმედი ნუ ექნება; პროლეტარიატმა თვითონ უნდა გაინთავისუფლოს თავისი თავი. მაგრამ პროლეტარიატის განთავისუფლება ნიშნავს მთელი თანამედროვე ბურჟუაზიული წეს-წყობილების დამხობას და მის ალაგას სოციალისტური წეს-წყობილების დამყარებას. ეს არ მოხდება ერთი დაკვრით, ეს არ მოხდება მანამ, სანამ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის დიდ ნაწილს შეგნებული არა აქვს თავისი კლასობრივი მდგომარეობა.

და აი, კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება ხელს უწყობს და აჩქარებს პროლეტარიატში ამ შეგნებას, პროლეტარიატს აქ დიდი გზა აქვს გასავლელი, გზა ეკლიანი. თითეული მისი ფეხის ნაბიჯი სისხლით არის მორწყული. მაგრამ იგი არ დრკება, მას ვერ აშინებს ვერავითარი სისასტიკე. მან იცის, რომ საბოლოო გამარჯვება მხოლოდ მას უნდა ხვდეს წილად. ჩვენმა უფროსმა თანამოძმემ, დასავლეთ ევროპის პროლეტარიატმა, უკვე დიდი მანძილი გაიარა ამ დიდებულ ბრძოლაში. მაგრამ იმავე დროს არც რუსეთის პროლეტარიატი იჯდა გულზე ხელდაკრეფილი. თავისი გაბედული და შეუდრეკელი ბრძოლით მან საპატიო ალაგი დაიჭირა საერთაშორისო პროლეტარიატის დიდებულ კლასობრივ ბრძოლაში. მისი ზნეობრივი ძალა და ენერგია მით უფრო გასაოცარია, რომ მას ერთ და იმავე დროს ორ გამაგრებულ მტერთან უხდებოდა და დღესაც უხდება ბრძოლა.

რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლა დღემდე მოკლეთ ასეთია. პირველ ხანებში ბრძოლა დაიბადა წმინდა ეკონომიურ ნიადაგზე: მუშები თხოულობდენ სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, ქირის მომატებას, სამუშაო დროს შემცირებას და სხ. კაპიტალისტები, რა თქმა უნდა, არ აკმაყოფილებდენ ასეთ მოთხოვნილებას. რა უნდა ეპასუხნათ ამაზე მუშებს? რითი უნდა დაენახვებიათ კაპიტალისტებისათვის თავისი ძალა? ერთად ერთი საშუალება გაფიცვა, მუშაობაზე ხელის აღება იყო, ეს ერთი საუკეთესო მშვიდობიანი იარაღია შრომასა და კაპიტალს შორის ატეხილ ბრძოლაში, იარაღი, რომელიც უკვე დიდი ხნიდან ნაცადი იყო დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მაგრამ შესაძლებელი იყო რუსეთის იმპერიაში გაფიცვის მოხდენა? გაფიცვა ხომ კაპიტალისტების წინააღმდეგ იყო მიმართული და აბა ამას უყურადღებოთ როგორ გაუშვებდა მთავრობა. თვითმპყრობელ სახელმწიფოში საზოგადოთ ყველაფერი აკრძალულია, აქ არ შეიძლება მთავრობის ნებადაურთველათ თავის მოყრა და მოლაპარაკება თავის საკუთარ საქმეებზე. ყველაფერი ეს აქ „ბუნტის", აჯანყების სახით არის მონათლული, და როგორც ასეთი, სასტიკათ იდევნება. მუშების გაფიცვაც კაპიტალისტ-მრეწველების წინააღმდეგ „ბუნტათ" გამოაცხადეს და მუშებს დაუწყეს სასტიკი დევნა. პოლიციელების, ჟანდარმების და ჯაშუშების მეოხებით რომ ვერას გადიოდენ, ხიშტიან სალდათებს და კაზაკებს უსევდენ დასარბევათ და ასაწიოკებლათ მშვიდობიან მშრომელ ხალხს, რომელსაც არავითარი დანიშნული არ მიუძღოდა, გარდა იმისა, რომ მისი შრომით სხვები სარგებლობდენ.

ამ გარემოებას არ შეეძლო არ ჩაეფიქრებია მუშა ხალხი თავის მდგომარეობაზე. რისთვის ეხმარება მთავრობა კაპიტალისტებს? რისთვის უსევენ მშვიდობიან ხალხს სისხლის მსმელ კაზაკებს და ჟანდარმებს? რისთვის გაუბამთ ჯაშუშების ქსელი მუშების სათვალიერებლათ, რომ მათთან გარეშე არავინ მივიდეს, წიგნაკი ან გაზეთი არ გადასცეს და სხვ. ამას შემდეგ მუშა ხალხი უკვე შეგნების სწორ გზაზე დადგა, მაშინ უკვე სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის პროპაგანდა დაიწყო. რადგანაც რუსეთის პროლეტარიატს, მის მოწინავე მებრძოლ რაზმს, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, განსაკუთრებულ პოლიტიკურ პირობებში უხდება მოქმედება, ე. ი. ისეთ პირობებში, რომელნიც აძნელებენ და აფერხებენ მუშათა მოძრაობას, რომელიც თანამედროვე ბურჟუაზიული წეს-წყობილების დამხობით უნდა გათავდეს, ამიტომ თავის თავად იგულისხმება, რომ უწინარეს ყოვლისა წამოყენებულ იქნა პოლიტიკური თავისუფლების მოპოება.

ამნაირათ, რუსეთის პროლეტარიატმა ეკონომიურ მოთხოვნების გარდა პოლიტიკური მოთხოვნებიც შეიტანა თავის პროგრამაში (პროგრამა-მინიმუმი).

მუშების მოძრაობა რუსეთში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გასაოცარი სისწრაფით გაძლიერდა და გაიზარდა. ეს გამოიხატა მუშების კერძო და საყოველთაო გაფიცვებში და მანიფესტაციებში ყოველგან, სადაც კი მუშა

ხალხი ცხოვრობს. სულ უკანასკნელ დროს სოციალ-დემოკრატიულ პროპაგანდამ სოფლის გაჭირვებულ გლეხ-კაცობაშიაც მოიკიდა ფეხი.

მუშების მოძრაობას არ შეეძლო არ მიექცია საზოგადოების ყურადღება. იმათ თავგანწირულმა და გმირულმა ამბებმა, იმათ შეუდრეკელობამ და სარკალმა გამეტებამ, რაც იმათ არა ერთხელ დაამტკიცეს სალდათებთან და ყაზახებთან შეტაკების დროს ქუჩებსა და მოედნებზე, საზოგადოების რადიკალური ელემენტების თანაგრძნობა დაიმსახურა.

მუშათა მოძრაობამ განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობის, სტუდენტების, ყურადღება მიიქცია. რუსეთის სტუდენტობა დიდი ხანია ღელავდა თავისი საკუთარი აკადემიური თავისუფლების მოსაპოებლათ. სტუდენტობა განკერძოვებულათ მეცადინეობდა თავისი კერძო მიზნის განსახორციელებლათ. მისი მოძრაობა უნივერსიტეტების კედლებს არ შორდებოდა მაშინ, როცა მუშების მოძრაობა მარტო მუშებს კი არ ეხებოდა, არამედ იგი შეიცავდა მთელი რუსეთის ხალხის უმრავლესობის ინტერესებს. ამიტომ, რადგანაც მთავრობა თანდათან უძლური ხდებოდა მუშების წინააღმდეგ ბრძოლაში, იმდენათ იგი ადვილად უმკლავდებოდა სტუდენტობის მოძრაობას. სტუდენტობის უფრო ფხიზელმა და შეგნებულმა ნაწილმა ეს ადრე შეამჩნია და ამიტომაც იგი შეუერთდა მუშების მოძრაობას.

+

მხოლოდ მუშათა კლასს ძალუძს როგორც მთელი ხალხის, ისე კერძოთ სასაწავლებლების განთავისუფლება მთავრობის გამათახსირებელი გავლენისაგანო,—გამოაცხადა რუსეთის მოსწავლე ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილმა. მოსწავლე ახალგაზრდობას ბანი მისცა სხვადასხვა ლიბერალური პროფესიის ხალხმა, როგორც, მაგ., პროფესორებმა, ექიმებმა, ვექილებმა და სხ. პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება, რასაკვირველია, ბურჟუაზიის ლიბერალების ნაწილსაც დიდი ხანია სწყურია. მასაც მობეზრდა თვითმპყრობელი მთავრობის თავგასულობა და თვითნებობა, იგი კარგა ხანია მოწყურებულია ეგრეთ წოდებულ უფლებრივი წესწყობილებას, ე. ი. წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობის შემოღებას რუსეთში, როცა ადგილი აღარ ექნება მთავრობის მოხელეების განუკითხავ მოქმედებას, პოლიციელების და ყაზახ-რუსების მისევას მშვიდობიან და უდანაშაულო ხალხზე დასარბევათ და ამოსაჟლეტათ და სხვ. მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ ამის განხორციელება ლიბერალურ ბურჟუაზიას არ შეუძლია და ამიტომ მას არ შეუძლია არ თანაუგრძნოს რამდენიმეთ მაინც მუშათა მოძრაობას.

აწნაირათ, რაც დრო მიდიოდა, რუსეთის მუშა ხალხის მოძრაობა ძლიერდებოდა და საზოგადოების თანაგრძნობაც მატულობდა. მაგრამ მთავრობა არა თუ არაფერს უთმობდა ხალხს, არამედ — სულ უფრო და უფრო მეტ სისასტიკეს და შეუბრალებლობას იჩენდა რევოლიუციონერ ცეცხლის ჩასაქრობათ. მთელი მოძრაობა, მისი აზრით, რამდენიმე დამნაშავე პირების ბრალია, რომლებიც რუსეთის ხალხის მტრები არიან და ამიტომ საჭიროა მათი თავიდან მოშორება,—აი ამით ამართლებდა ის ხალხის წინაშე იმ სასტიკ ზომებს, რომლებსაც იგი ხმარობდა მოძრაობის ჩასაქრობათ მეთაურების წინააღმდეგ. მაგრამ მთავრობის საუბედურათ მოძრაობა არა თუ არ ჰქრებოდა, არამედ სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და სულ უფრო და უფრო საზოგადოების მეტ ნაწილს ედებოდა. ამ დროს მთავრობამ სხვა ღონეს მიმართა; თავის ავანტიურისტული პოლიტიკით მან მოინდომა საზოგადოების ყურადღების დამონება და ამ ყურადღების საგარეო პოლიტიკაზე მიქცევა. იქ, შორეულ აღმოსავლეთში, მან ომი აუტეხა პატარა იაპონიას. მისი გულის წადილი ადვილი წარმოსადგენია: პატარა იაპონიას შევმუსრავ, მანჯურიას და კორეას ხელში ჩავიგდებ, ჩინეთზე სხვებზე მეტ გავლენას მოვიპოვებ და ამით ერთ და იმავე დროს, ანდაზის არ იყოს, ორ კურდღელს დაეიჭერ: ახალ ბაზრების გაჩენით რუსეთის ბურჟუაზიის გულსაც მოვიგებ და საზოგადოებასაც ჩემს სიძლიერეს დავანახვებო.

ჩვენ უკვე ვიცით, როგორ გაუცრუვდა მთავრობას ეს იმედები. რუსეთის მთავრობა სასტიკად დამარცხდა და იაპონიამ მას სამარცხვინო პირობებზე მოაწერინა ხელი. დამარცხებასთან ერთად საზოგადოების უკმაყოფილება იზრდებოდა. ის, რაც რუსეთის ხალხს ათასის წლის მონობის გამო გულში ჩახვეული ჰქონდა, ყველა ახლა მოადგა ყელზე და იქიდან ერთბაშათ იფეთქა.

მთელ რუსეთის საბრძანებელში საზოგადოებრივი ცხოვრება თითქო შეჩერდა, ქარხნები და ფაბრიკები ზოგი მუშათა გაფიცვების გამო დაიკეტა და ზოგიც — კრიზისის გამო. სასწავლებლები დაიხურა და მოსწავლე ახალგაზრდობა და მასწავლებლები ქუჩაში დარჩენ. ამავე დროს გაძლიერდა პროტესტი მთავრობის წინააღმდეგ საზოგადოების ისეთ წრეებში, რომლებიც წინეთ მთავრობის ერთგული მომხრეები იყვნენ. ჩვენ ვამბობთ რუსეთის მსხვილ ბურჟუაზიაზე, რომლის თვალში რუსეთის დღევანდელმა მთავრობამ იაპონიასთან ომის წაგების შემდეგ სამუდამოთ დაკარგა ყოველგვარი ნდობა.

მიტინგები და კრებები მთავრობის წინააღმდეგ აშკარათ, ყველას დასანახავათ იმართებოდა თითქმის ყველა ქალაქებში და დაბა-სოფლებში. მაგრამ მთავრობა მაინც არ გატყდა. მას კიდევ იმედი ჰქონდა ძველი დროის დაბრუნების, ისტორიის ჩარხის უკუღმა შეტრიალების. მან კიდევ ერთხელ გააძლიერა თავის დასაცავი საშუალებანი. თითქმის ყოველგან, სადაც მოძრაობა უფრო ძლიერი იყო, საომარი დროის წესები შემოიღო, აამოძრავა ყველა ბნელი და შავი ძალები და მცხოვრებლების ერთი ნაწილი მეორე ნაწილს მიუსია ამოსაყლეტათ, რომ ამით მის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა შეესუსტებია (ებრაელების აკლება, თათრებისა და სომხების შორის სისხლის ღვრა). მაგრამ აღარც ეს საშუალება გამოდგა. მაშინ მთავრობა დაადგა დათმობის გზას. მან სახელმწიფო სათათბიროს სახით რაღაც წაუჩქმიტა საზოგადოებას, მაგრამ სახელმწიფოს ძირითადი კანონი თვითმპყრობელობის შესახებ ისევ შეურყეველათ დატოვა. მაგრამ წავიდა ის დრო, როცა ასეთი ხერხით ხალხის მიმხრობა შეიძლებოდა. გარდა ამისა, ეს „ძირითადი კანონი“ ცხოვრებაში უკვე დიდი ხანია შეურყეველი იყო, როგორც ამას დღეს აშკარათ აღიარებს ბ-ნი ვიტტე [13]) თავის მოხსენებაში 17 ოქტომბერის თარიღით. საქმეს არ უშველა არც უმაღლეს სასწავლებელში აკადემიური თავისუფლების შემოღებამ, ვინაიდან თავისუფალი სასწავლებელი შეეძლებელია იმ ქვეყანაში, სადაც მთელი ხალხი მონობაშია. უნივერსიტეტის კედლებში აღიარებულ იქნა პიროვნების ხელშეუხებლობა, სიტყვის, კრების და კავშირის თავისუფლება, როცა კედლებს გარეთ ყოველივე ეს სასტიკათ აკრძალულია! დამშვიდების მაგივრათ ამან კიდევ უფრო მეტი მღელვარება გამოიწვია, რაც მრავალ ადგილას შეტაკებით და სისხლის ღვრით თავდებოდა.

ასეთი იყო მდგომარეობა მაშინ, როცა მთელი რუსეთის მუშების საყოველთაო გაფიცვა დაიწყო, ისეთი გაფიცვა, რომლის მსგავსი ჯერ არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა. ამ საისტორიო გაფიცვას ტონი მოსკოვის მუშებმა მისცეს. გაიფიცენ პირველათ რკინის გზების მუშები და შემდეგ ფაბრიკა-ქარხნების, სხვადასხვა სახელოსნოების, სტამბების; შემდეგ გაიფიცენ მედუქნეები და ზოგ ადგილას ქალაქებში სრულებით შეწყდა ყოველგვარი მოძრაობა, დაიკეტა არა თუ კერძო, არამედ მთავრობის დაწესებულებებიც შეჩერდა მოძრაობა რკინის გზაზე, შეჩერდა ფოსტა, ტელეგრაფი. დაიკეტა ფაბრიკა-ქარხნები, შეწყდა გაზეთების გამოსვლა და ვაჭრობა—აღებ-მიცემა. მდგომარეობა მეტად საშიში შეი-

ქნა: ხალხი სადღაც მიიმალა, თითქო ძალას იკრეფს და საომრად ემზადებაო. მთავრობაც შედრკა, ალბათ, იგი ამას არ მოელოდა. უკანასკნელი განკითხვის დღე ახლოვდებოდა, იმას წინ მოელანდა შეიარაღებული აჯანყების აჩრდილი და ამ აჩრდილმა იგი შეაწუხა.

მაგრამ მთავრობას კიდევ მეორე მხრიდან ქონდა მომდგარი განსაცდელი. საქმე ის არის, რომ მთავრობას ფული შემოაკლდა მიმდინარე ხარჯების დასაფარავად. ამას წინათ გამოშვებული შინაური სესხიდან 50 მილ. მანეთი დაუფარავი დარჩა. საზღვარგარეთელი კაპიტალისტები კი დღევანდელ პირობებში რუსეთის მთავრობას ნდობას აღარ უცხადებენ. მაშ საიდან, რომელი წყაროდან უნდა იშოვნოს მთავრობამ ფული? შემოსავლის წყარომ იკლო (მარტო ბაქოს ამბების გამო ხაზინას რამდენიმე ასი მილიონი მანეთი დააკლდა), ხარჯები კი თანდათან მეტი სჭირდება. ასეთ კრიტიკულ მომენტში ნიკოლოზ მეორემ მოუწოდა რჩევისათვის გრაფ ვიტტეს, რასაც 17 ოქტომბრის მანიფესტი მოყვა.

რომ მთავრობა სრულებით არ ფიქრობდა პოლიტიკური და მოქალაქობრივი თავისუფლების შინიქებას, ეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს ეს თავისუფლება მხოლოდ თავდადებული და შეუწყვეტელი ბრძოლის შედეგია. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ძველი მთავრობა ჯერ კიდევ სრულ თავის ძალაშია. ამიტომ ჩვენ არ უნდა გვაკვირვებდეს ის გარემოება, რომ ხსენებულ მანიფესტში აღსარებული თავისუფლება ჯერ მხოლოდ ქაღალდზეა. როგორც მის მოპოებისათვის ძალა იყო საჭირო, ისე მის შენარჩუნებისათვის და ცხოვრებაში გამოსაყენებლათ საჭიროა მხოლოდ ძალა და კიდევ ძალა. ყოველგვარი უფლება მხოლოდ ფიქციაა, თუ მის დასაცველათ შესაფერი ძალა ხელში არა გაქვთ. ამისათვის არ კმარა მარტო ზნეობრივი ძალა, მაგრამ არის შემთხვევა, როცა ზნეობრივ ძალასაც დიდი გავლენა აქვს.

მთავრობა დღეს ყველა ბნელ ძალებს უწოდებს მოპოებული თავისუფლების წასართმევათ, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი შრომა ბოლოს და ბოლოს არაა სასურველი თვით მთავრობისათვის, ვინაიდან ბნელი ძალების მოხმარა კიდევ უფრო ააშფოთებს საზოგადოებას და დაარწმუნებს მას, რომ ხსნა მხოლოდ ძალაშია.

ერთი იმ საშუალებათაგანი, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების ხელშეუხებლობას და ყოველგვარ თავისუფლებას, არის ახლავე, დაუყონებლივ დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და საიდუმლო ხმის უფლებით. მხოლოდ ასეთ კრებას შეუძ-

ლია ძირითადი ცვლილება მოახდინოს მთელ დღევანდელ სახელმწიფო წესწყობილებაში. მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო იმ საზიზღარ მოქმედებას, რომელსაც იჩენს პირველი დღიდანვე მთავრობის რეაქცია და დასრულდება რუსეთის რევოლიუციის პირველი აქტი.

მაშ, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას და ძირს ყველა რეაქციონური ბნელი ძალები!

(ჟურნალი „მოგზაური", 1905 წ.
30 ოქტომბერი, № 33).

განსაცდელის აცდენა.

გურიას დღეს აცდა განსაცდელი! მთელი სამხედრო რაზმი, რამდენიმე ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარი, ზარბაზნები, ტყვიის მტყორცნელი მთელი როტით და ყოველგვარი საომარი წესის იარაღებით შეჭურვილი, რომლის ოფროსს, გენ. ალიხანოვს, მინიჭებული ჰქონდა ყოველგვარი განსაკუთრებული უფლებები დახვრეტ-ჩამოხრჩობამდის, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა გურიაში ყოველივე მოესპო და გაენადგურებია და რომელიც უკვე სიჩქარით მიეშურებოდა დანიშნულს ადგილისაკენ, აი ეს რაზმი მთავრობისავე ბრძანებით ისევ უკან უნდა დაბრუნდეს! რა მოხდა? რამ გამოიწვია ან პირველი ბრძანება, ან მისი უკან წაღება?

გურიაში აღარ უნდა ჩაიყვანონ ჯარი, იგი აღარ უნდა გახადონ ცეცხლისა და მახვილის მსხვერპლათ. ქუთაისის გუბერნიაში უნდა მოიხსნას საომარი დროის წესები, ქართლიდან უნდა გამოიყვანონ ეგზეკუცია! ნუ თუ ადმინისტრაციას გული აუჩუყდა უდანაშაულო ხალხის სისხლის დანთხევის გამო, მათში სიბრალულის გრძნობა დაიბადა! ან შეიძლება ადმინისტრაცია დარწმუნდა, რომ თავხედი გურია დამშვიდდა, რომ იქ ჩაქრა რევოლიუციის ცეცხლი, რომ გურული ხალხი შეურიგდა მეფის მთავრობას? არა და არა! განა გულჩვილი და ნაზი გრძნობის ადამიანი უიარაღო ხალხს, ბავშვებს და დედაკაცებს ომს გამოუცხადებდა? სად ზარბაზნები და ტყვიები, სად სახრჩობელა და ხვრეტა და სად სიბრალული! ან შეიძლება გურია მართლა დამშვიდდა და იქ რევოლიუციის ცეცხლი მართლაც ჩაქრა და მთავრობაც შეურიგდა, გურია „კეთილსაიმედო“ კუთხეთ იცნო? არა და არა! არც ერთი და არც მეორე. მაშ, რა მოხდა? ასეთი მზადებით, ასეთი ბაქი-ბუქით გაგზავნილი ჯარი რა მოსაზრებით, რა მიზეზით გამოიხმეს ისევ უკან? მთავრობამ კარგათ იცის, რომ გურიაში რევოლიუციის ცეცხლი არ ჩამქრალა, რომ ჯარის უკან გამოწვევით, ეს ცეცხლი კიდევ უფრო გაძლიერდება, და თუ იგი „ოფიციალურათ“ აცხადებს, რომ ჯარს უკან ვაბრუნებთ, ვინაიდან გურია უკვე დამშვიდდა და დღეს იარაღის ხმარება მის წინააღმდეგ საჭირო აღარ არისო, ეს ისევ სიტყვის მასალაა და მეტი არაფერი.

ჯარის დაბრუნება გამოიწვია ხალხის აღშფოთებამ. ჩვენ გასული კვირის ნომერში ვწერდით, რომ დღეს ხალხის ელეტა-ამოხოცვა ისე აღარ მოხდება, როგორც წინათ ხდებოდა. გურიის განსაცდელმა ფეხზე დააყენა თითქმის მთელი კავკასიის მშრომელი ხალხი, განსაკუთრებით კი მისი მოწინავე რაზმი—რევოლიუციონური პროლეტარიატი. ყოველ კუთხეში ელვასავით გაისმა ხმა, რომ გურიას, იმ გურიას, რომელმაც გაბედულათ აღმართა ძმობის, თანასწორობის და თავისუფლების დროშა, ამოჟლეტას, მოსპობას და განადგურებას უქადიანო! ამ ამბის გამო ყველა ქალაქებში, ყველა დაბა-სოფლებში სახალხო მიტინგები და კრებები გაიმართა და ყოველგან თითქმის ერთნაირ გადაწყვეტილებას ადგებოდენ, ე. ი. გურიას დაეხმარონ. გურიის წინააღმდეგ ომის გამოცხადება, ეს მთელი კავკასიის რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ ომის გამოცხადებას ნიშნავს. და თუ მთავრობა ამ გზას დაადგება, ხალხს სხვა აღარა დაურჩება რა, გარდა იმისა, რომ თვითონაც იმავე გზას დაადგეს.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მიღებულ იქნა მხედველობაში. მთავრობა არ მოელოდა, რომ გურიის ამბავი რევოლიუციის საერთო საქმეთ იქნებოდა მიღებული. მას კიდევ ძველი დრო ეგონა, ძველი წესით უნდოდა საქმის გაკეთება. ჯერ თავის განზრახვას შეასრულებდა, ხალხს ამოხოცავდა და გაანადგურებდა და მერე უქვეშევრდომლეს მოხსენებას დასწერდა, რომ აჯანყებული ხალხი დავამშვიდე და ამისათვის ჯილდო მერგებაო, მაგრამ შას მოლოდინი გაუცრუვდა, სანამ იგი თავის განზრახვის სისრულეში მოყვანას შეუდგებოდა.

ამნაირად გურიის საქმე მთელი მოძრაობის საქმედ გადაიქცა და ამას რამდენიმეთ თვით მთავრობამ შეუწყო ხელი თავისი ძველი ზომების წყალობით. მთავრობა დარწმუნდა, რომ იგი დაადგა მეტად სახიფათო გზას, მან დაინახა, რომ გურიაში ჯარების გაგზავნით მან ფეხზე დააყენა მთელი მშრომელი ხალხი, და ეს მის სასარგებლოდ აღარ გათავდებოდა.

ამნაირად, როგორც ხედავთ, გურიას დღეს განსაცდელი ასცდა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ რევოლიუციონურ მოძრაობასა და მთავრობას შორის რაიმე მორიგება მომხდარიყოს და ერთს ან მეორეს იარაღი დაეყაროს. პირიქით, ეს მხოლოდ დროებითი ზავია.

(ჟურნალი „მოგზაური" 6 ნოემბერი, 1905 წ. № 39).

პროლეტარიატის დანიშნულება.

1889 წელს, პარიზში საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე, სოციალ-დემოკრატიის გამოჩენილმა მოღვაწემ, გ. პლეხანოვმა [14]) სხვათა შორის სთქვა: „რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიმარჯვებს, როგორც მუშათა მოძრაობა, ან იგი სრულებით ვერ გაიმარჯვებსო". მას შემდეგ გავიდა 15 წელიწადი და ყველა აშკარათ ხედავს, თუ რამდენათ მართალი იყო ეს სიტყვები. რუსეთის ხალხის განთავისუფლება, თვითმპყრობელობის საფუძვლის დანგრევა, შეეძლო მხოლოდ რუსეთის პროლეტარიატს.

რამდენიმე წლის განმავლობაში რუსეთის თვითმპყრობელი მთავრობა და რუსეთის პროლეტარიატი სასტიკათ და დაუზოგველათ ებრძოდენ ერთმანეთს. სიტყვა „მუშა" მეფის მთავრობისათვის საზარელ სიტყვათ გადაიქცა. იმის ხმარება აკრძალული იყო, იმას ვერ ახსენებდით პრესაში. მეფის მთავრობამ შეაიარაღა ყველა თავისი ძალები მუშის წინააღმდეგ: მთელი ამოდენა ჯარი, უთვალავი პოლიციელები, ჯაშუშები, ჟანდარმები და კაზაკები ყველა ესენი მთავრობამ მუშებს მიუსია: სცემეთ, ამათრახეთ, ჟლიტეთ, რაც გინდოდეთ ის უყავით, ოღონდ იმას ნუ ალაპარაკებთ, ოღონდ იმას თავისუფლად გაელის ნებას ნუ მისცემთო! მერე ვინ იყო ეს მუშა? რით იყო იგი ასეთი ძლიერი, საშიშარი და თავზარდამცემი შეიარაღებული მთავრობისათვის? მუშა—ეს ყველაზე პატარა კაცი, ყველასაგან გათელილი, უსიტყვო და უიარაღო,—აი ვინ გვრიდა შიშის ზარს უძლიერეს მთავრობას, აი ვინ უფრთხობდა ძილს ყველა იმათ, ვინც განცხრომასა და ფუფუნებაში იყო.

და ამაში მთავრობა არ ცდებოდა, მისი შიში და ძრწოლა ტყუილი არ იყო. მუშის მარჯვენაზე ჰკიდია მთელი ამოდენა სახელმწიფო: ყველა მისი შრომის ნაყოფით საზრდოობს. დღევანდელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილება აშენებულია იმაზე, რომ საზოგადოების უმცირესობა, მუქთა-ხორა ბურჟუა-კაპიტალისტები, მიწათმფლობელები და მთავრობის მაღალი მოხელეები, ისაკუთრებენ ხალხის უმრავლესობის ნაოფლარს. მუშა ხალხი შეადგენს უმრავლესობას, მას შეუძ-

ლია ბოლო მოუღოს ამ გაყვლეფას, ამ უსამართლობას. მას წინ ვერ აღუდგება ე. ი. წინააღმდეგობას ვერ გაუწევს დღევანდელი მთავრობა, რაც უნდა იგი შეიარაღებული იყოს. მაგრამ ამას შესძლებს მუშა ხალხი მხოლოდ მაშინ, როცა იგი შეგნებული და შეკავშირებულია. სანამ ამ მუშების ჯგუფი დაქსაქსული და განმარტოებულია, სანამ მუშა ხალხში არ არის სოლიდარობის და ერთობის იდეა განმტკიცებული, ერთი სიტყვით, სანამ მუშა ხალხს გათვალისწინებული არა აქვს თავისი კლასობრივი მდგომარეობა, იგი უძლურია, მას ადვილად ყვლეფს და ავიწროებს საზოგადოების მუქთა-ხორა ნაწილი. ამიტომაც მთავრობა და ყველა მისი დამქაშები ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდენ, რათა მუშების ბნელ და ნესტიან სარდაფებში არ შეკრილიყო სინათლის შუქი, რათა მუშებს არ შეეგნოთ თავისი ნამდვილი მდგომარეობა და მიზეზი თავისი გაჭირვებისა და დაჩაგვრისა.

მაგრამ ამაო იყო მთავრობის მეცადინეობა: მათრახებით, ხიშტებით და თოფ-ზარბაზნებით შეიძლებოდა ადამიანების ამოხოცვა და ამოყლეტა, მაგრამ შეუძლებელი იყო ჭეშმარიტების და სამართლიანობის აღმოფხვრა, შეუძლებელი იყო მუშებში შეგნების შეჩერება და მით უმეტეს ამ შეგნების სრულიად აღმოფხვრა. სულ მცირე ხნის განმავლობაში მუშების მოძრაობამ შეანძრია და ბოლოს თავდაღმა დაამხო რუსეთის თვითმპყრობელობის საძირკველი. პროლეტარიატმა პირველად დაანახვა საზოგადოებას, რომ მთელი საზოგადოების ბედ-ილბალი მუშა ხალხზე ჰკიდია, რომ თუ იგი გაჩერდა და თუ მან შესწყვიტა მუშაობა, საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯის ცემა უნდა შეწყდეს, მთელი ცხოვრება უნდა შეჩერდეს. პროლეტარიატის ბრძოლის ტაქტიკა და საშუალება: გაფიცვები, მიტინგები, დემონსტრაციები თითქმის ყველა რადიკალურ და ლიბერალურ ელემენტების ტაქტიკათ გადაიქცა და უკანასკნელ დროს ყველა ესენი პროლეტარიატის დროშის ქვეშ გამოვიდენ თვითმპყრობელი მთავრობის წინააღმდეგ. ყველა უძლური იქით მიდის, საითაც ძალას ხედავს. ყველა ეს ელემენტები პროლეტარიატის სიძლიერეში რომ დარწმუნებული არ იყვენ, არც ერთი იმათგან თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში პროლეტარიატის დროშას არ ამოეფარებოდა. უკანასკნელ დრომდის, სანამ თვითმპყრობელობის საძირკველი არ შეირყა, არც ერთ რადიკალურ და ლიბერალურ ბურჟუაზიის ჯგუფს არავითარი ორგანიზაცია და გარკვეული სამოქმედო პროგრამა არ ჰქონებიათ შემუშავებული. იყო მხოლოდ ერთათ ერთი პარტია—რუსეთის სოციალ-

დემოკრ. მუშათა პარტია, რომელიც უკვე მოწყობილი იყო ორგანიზაციულად და. რომელსაც ჰქონდა შემუშავებული გარკვეული სამოქმედო პროგრამა. სწორეთ ბურჟუაზიული კლასების სრული მოუმზადებლობით აიხსნება ის გარემოება, რომ იმათი წარმომადგენლები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ატეხილ ბრძოლაში პროლეტარიატის წითელ დროშის ქვეშ მოექცენ.

თვითმპყრობელობა დღეს ყველასათვის, საზოგადოების ყველა კლასებისათვის მეტ ბარგად გადაიქცა. იმის დამხობა და მის ადგილას წარმომადგენლობითი მთავრობის დაფუძნება, ყველასათვის აუცილებელ საჭიროებათ გადაიქცა. მაგრამ ამაში უძლური იყვენ ყველა ბურჟუაზიული პარტიები. ეს მხოლოდ პროლეტარიატს შეეძლო. და აი, კიდევაც პირველი იერიშის დროს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ლიბერალური და რადიკალური ბურჟუაზიის წარმომადგენელები პროლეტარიატს შეურიგდენ. და აი თვითმპყრობელობა ძლეულ იქნა, გამოცხადდა რაღაც კონსტიტუციის მსგავსი. რა თქმა უნდა, რომ ეს არ დააკმაყოფილებდა მებრძოლ პროლეტარიატს და მან იარაღის დაყრის მაგიერ კიდევ უფრო გააძლიერა ბრძოლა. აი აქ კი შეკრთენ ბურჟუა-ლიბერალები. მაგრამ პირველ დღეებში კიდევ ვერ ბედავდენ წინააღმდეგ ამხედრებას. ისინი კიდევ პროლეტარიატის თავგანწირული და დიადი ბრძოლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ. ისინი ვერ ახერხებდენ მთავრობისაკენ მიმხრობას, თუმცა არ მალავდენ, რომ თუ მთავრობა გაამართლებს თავის დაპირებას, ისინი მზათ არიან მას გვერდში ამოუდგენო. ესენი იყვენ, ეგრეთ წოდებული, კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ პარტიის, რადიკალური ბურჟუაზიის წარმომადგენელები. თუ ასე მოიქცენ რადიკალური ბურჟუაზიის წარმომადგენელები, ადვილი წარმოსადგენია, როგორ მოიქცეოდენ ლიბერალური და ნახევრად ლიბერალური პარტიები. იმათ პირველი ნაბიჯი არც კი ქონდათ გადადგმული წინ, რომ უკან დაიხიეს და თავისი თავი „წესიერების პარტიათ" გამოაცხადეს.

და აი, დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ბურჟუაზიულ კლასების სხვადასხვა პარტიები დგებიან, ორგანიზაციებს აწყობენ, მუშების წინააღმდეგ კავშირებს აარსებენ, რომ პროლეტარიატის ბრძოლა შეზღუდონ, შეაჩერონ. იმათ კარგათ იციან, რომ დღევანდელი თავისუფლება პროლეტარიატს ვერ დააკმაყოფილებს, რომ პროლეტარიატის მოძრაობა მთელი დღევანდელი ბურჟუაზიული წესწყობილების წინააღმდეგ არის მიმართული.

აშკარაა, რომ პროლეტარიატი ახლო მომავალში სრულებით განმარტოებული დარჩება, მას არ ეყოლება მოკავშირე იმ დიად ბრძოლაში, რომლის მიზანი სოციალიზმის განხორციელებაა, როცა ბოლო უნდა მოეღოს ადამიანის ყოველგვარ დაჩაგვრას და შევიწროებას. მაგრამ პროლეტარიატი ისარგებლებს და შესანიშნავად გამოიყენებს იმ თავისუფლებას, რომელიც მან დღეს მოიპოვა და რომლისთვის მან ამოდენი სისხლი დაღვარა. დღევანდელი თავისუფლება ის ძლიერი საშუალებაა, რომელიც გაუადვილებს მუშა ხალხს ორგანიზაციულად შეკავშირებას და გაერთიანებას.

მუშათა მოძრაობის საბოლოო მიზანი სოციალიზმის დამყარებაა; პოლიტიკურ თავისუფლების მოპოება დიდი ნაბიჯის წინ გადადგმაა ამ მიზნის განხორციელებისაკენ. რაც შეიძლება ფართო პროპაგანდის გამართვა ყოველგან, სადაც კი მუშა ხალხი ცხოვრობს და რაც შეიძლება მეტი მუშების მტკიცე კავშირით გაერთიანება,—აი რა შეადგენს დღეს სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის უპირველეს დანიშნულებას.

რუსეთის პროლეტარიატი შესძლებს დღევანდელ პატარა თავისუფლების გამოყენებას თავის დიდებული მიზნის განსახორციელებლათ.

(ჟურნალი „მოგზაური" 1905 წ.
13 ნოემბერი, № 40).

პარტიის ცხოვრებიდან.

სექტემბრის პირველ რიცხვებში მოხდა საპარტიათაშორისო კონფერენცია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა. კონფერენციას უნდა შეემუშავებინა საერთო ტაქტიკა სახელმწიფო სათათბიროს შესახებ.

კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ შემდეგი პარტიების ცენტრალურ დაწესებულებათა წარმომადგენლები: სომეხთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციისა, ებრაელთა საყოველთაო მუშათა კავშირისა ლიტვაში, პოლონეთში და რუსეთში (ბუნდი), ლატიშთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა, უკრაინის (მალოროსია) რევოლიუციონური პარტიისა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა (ორგანიზაციური კომისია, ე. ი. „უმცირესობა"), რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა (ცენტრალური კომიტეტი, ე. ი. „უმრავლესობა") და პოლონეთის და ლიტვის სოციალ-დემოკრატიისა.

კონფერენციას დაესწრენ ყველა მოწვეულ ორგანიზაციების წარმომადგენლები, გარდა სომეხთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციის, რომელმაც აცნობა კონფერენციას, რომ მან ვერ მოასწრო დელეგატის გაგზავნა, რადგან დროზე ვერ გაიგო, თუ რა დღეს უნდა მომხდარიყო კონფერენცია *).

ორგანიზაციული კომისიის წევრმა („უმცირესობა") განაცხადა, რომ იგი შემთხვევით გამოცხადდა კონფერენციაზე დელეგატის მაგიერ, რომელიც დროზე ვერ მოვიდა, და არა აქვს თავის კოლეგიისაგან მონდობილობა კონფერენციაზე წარმომადგენლობისა, რომ მას უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაზე „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილებანი სავალდებულო არ იქნებიან იმ ორგანიზაციისათვის, რომელსაც იგი ეკუთვნის და თუ განსაკუთრებული ადგილი, რომელიც

*) კონფერენციის შემდეგ სომეხთა სოც.-დემ. მუშათა ორგანიზაცია, გაეცნო რა კონფერენციის მუშაობას, სრული თანხმობა განაცხადა და სავსებით მიიღო მასზე მიღებული რეზოლიუციები.

მას უპირავს, აქ ხელს არ შეუშლის მის მიერ კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებას, „ვითარცა სრულუფლებიანი წევრის“.

კონფერენციამ დაადგინა, რომ

1. ყველა რეზოლიუციები, რომლებიც მიღებული იქნება უბრალო ხმის უმეტესობით (ხმებს თითეული ორგანიზაცია ცალკე ითვლის), სავალდებულოა იმ ორგანიზაციებისთვის, რომელთა წარმომადგენლებიც კონფერენციაზე მიიღებენ ამ რეზოლიუციებს;

2. მიღებულ რეზოლიუციების გამოქვეყნება სავალდებულოა იმ ორგანიზაციებისთვისაც, რომელთა წარმომადგენლები წინააღმდეგნი იყვნენ,—თანახმად ორგანიზაციული კომისიის წევრის განცხადებისა. მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება:

კითხვების გადაჭრის დროს მიღებული ხმების საბოლოოთ დათვლა მოხდეს ორგანიზაციული კომისიისაგან პასუხის მიღების შემდეგ მისი დელეგატის ხმის დამტკიცების (რატიფიკაციის) შესახებ, პასუხი კი უნდა იქნეს მოცემული (ამა და ამ ვადაზე).

იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრულ დროზე პასუხი არ მოვიდა საერთოდ ხმების დათვლის დროს, ორგანიზაციული კომისიის წევრის ხმა სათათბირო ხმათ იქნება მიჩნეული *).

რომ რაც შეიძლება მალე ესარგებლა კონფერენციის რეზოლიუციებით, კრებამ დაადგინა:

ნამდვილ ხმის უმეტესობით მიღებული რეზოლიუციები სახელმძღვანელოდ ითვლება იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც მიიღეს ეს რეზოლიუციები, მანამდისაც კი, სანამ საბოლოოთ იქნება ხმები დათვლილი და სანამ რეზოლიუციები გამოქვეყნებული იქნება.

კონფერენციაზე დამსწრე ორგანიზაციების აზრის გამორკვევის შემდეგ სახელმწიფო სათათბიროს შესახებ და შემდეგ ხანგრძლივი კამათისა, მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

რეზოლიუცია სახელმწიფო სათათბიროს შესახებ.

ჩვენ, შემდეგ პარტიების ცენტრალურ დაწესებულებათა წარმომადგენლები: ებრაელთა საყოველთაო მუშათა კავშირისა ლიტვაში, პოლონეთში და რუსეთში (ბუნდი), ლატიშთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა, უკრაინის (მალოროსია), რევოლიუციონური პარტიის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა (ცენტრალური კო-

*) ორგანიზაციულმა კომისიამ უარი განაცხადა რეზოლიუციების მიღებაზე.

მიტეტი, (ე. ი. „უმრავლესობა“) და პოლონეთის და ლიტვის სოციალ-დემოკრატია, განვიხილეთ რა კონფერენციაზე საკითხი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ, შემდეგი დასკვნა გამოვიტანეთ:

სახელმწიფო სათათბირო, რომელსაც მეფის მთავრობა იწვევს, ხალხის წარმომადგენლობის საზიზღარი დამახინჯებაა; მისი მიზანია განამტკიცოს რევოლიუციონური მოძრაობისაგან შერყეული თვითმპყრობელობა და იარაღი მისცეს მთავრობასა და ბურჟუაზიულ პარტიებს პროლეტარიატისა და გლეხკაცობის დასამონავებლათ.

ამგვარი თვალთმაქცობით თვითმპყრობელობას უნდა პოლიტიკურათ დაუახლოვდეს მოძრაობისაგან დამფრთხალ ბურჟუაზიას, მიიმხროს ის და შემდეგ მასთან ერთად იერიში მიიტანოს პროლეტარიატისა და გლეხკაცობის რევოლიუციონურ მოძრაობაზე.

და რომ სახელმწიფო სათათბიროს სწორეთ ასეთი მიზანი აქვს, რომ ის მხოლოდ მეფის მთავრობის ორგანოა,—ამას თვალსაჩინოთ მოწმობს ექვსი აგვისტოს კანონიც:

1. **საარჩევნო სისტემა**, რომელიც მაღალ ქონებრივ ცენზზეა დამყარებული, ხმას ართმევს მთელ პროლეტარიატს, ყველა ქალებს, 9/10 გლეხობას, მშრომელ ინტელიგენციას და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის შეტ ნაწილს; ხოლო რაც შეეხება იმ ზოგიერთებს, ვისაც საარჩევნო ხმა ეძლევა, მათი ხმა ყოველივე ძალასა კარგავს, რადგანაც არჩევნები „ეტაჟიანებია“ და არა პირდაპირი.

2. სახელმწიფო სათათბიროს მხოლოდ სათათბიროს ხმა ეძლევა და არა გადამწყვეტელი, რის გამოც ის იძულებული იქნება ბიუროკრატიული მექანიზმის უბრალო მაჩანჩალათ გადაიქცეს.

3. ხალხს არ ეძლევა უბრალო **მოქალაქობრივი უფლებანი** სიტყვის, ბეჭდვის, კრებების და კავშირის თავისუფლება, ბინის და პიროვნების ხელშეუხებლობა,—ამავე დროს მატულობს რეპრესიები, შემოდის სამხედრო დებულება, გაისმის თოფების გრიალი, შენდება სახრჩობელები, მრავლდება „შავი რაზმები“, მთავრობისაგან ერთი ერის მეორეზე ამხედრება და ყველა ეს თვალსაჩინოთ მოწმობს, რომ სათათბიროში არჩევნები—საზიზღარი კომედიაა, რომელიც მხოლოდ მეფის მთავრობას მოუტანს სარგებლობას.

ამიტომ კონფერენციამ სცნო:

1. ტყუილი იმედია, რომ ვითომ სახელმწიფო სათათბიროს შეეძლოს ხალხის ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესე-

ბა; ყველა ამგვარი ცრუ იმედები, რომლებსაც ასე გულმოდგინეთ ავრცელებს ხალხში მთავრობა და ბურჟუაზიის ერთი ნაწილი, მხოლოდ თვითმპყრობელობას მოუტანს სარგებლობას მაშინ, როდესაც ესევე ცრუ იმედები ძირს დასწევს და დაანელებს პროლეტარიატისა და გლეხკაცობის რევოლიუციონურ ენერგიას.

2. სახელმწიფო სათათბიროს დებულებამ, გაამართლა რა ჩვენი ტაქტიკური ლოზუნგი, რომ მხოლოდ ხალხის ძლევა-მოსილ აჯანყებას შეუძლიან ძირს დასცეს პროლეტარიატის წინამძღოლობით დღევანდელი წესები და მის ნანგრევებზე ააშენოს კლასიური ბრძოლის უკეთესი პირობები—დემოკრატიული რესპუბლიკა,—ერთხელ კიდევ წამოაყენა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინაშე მისი მიუცილებელი მიზანი,—ხალხის შეიარაღებული აჯანყების მომზადება.

ამიტომ კონფერენციამ დაადგინა:

1. ვისარგებლოთ მომავალი საარჩევნო კრებებით ჩვენი აგიტაციის გასაფართოებლად:

გავმართოთ მიტინგები, შევიკრათ ყველა საარჩევნო კრებებზე, გამოვაქვეყნოთ იქ სათათბიროს ნამდვილი დანიშნულება, დავამტკიცოთ, რომ ჩვენთვის სათათბირო კი არა, სახალხო დამფუძნებელი კრებაა საჭირო, მოწვეული რევოლიუციონური გზით საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და დახურული კენჭის ყრით;

მოვუწოდოთ ყველა ნამდვილ დემოკრატიულ ელემენტებს, რომ აქტიური ბოიკოტი გამოუცხადონ სახელმწიფო სათათბიროს და სამარცხვინო ბოძზე მიაკრან ყველა ისინი, ვინც სათათბიროში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც ხალხის მოღალატენი.

მივიღოთ ყველა ამნაირ კრებებზე შესაფერისი რეზოლიუციები შესახებ სახელმწიფო სათათბიროსა.

2. სათათბიროს წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად და იმისთვის, რომ გავლენა ვიქონიოთ ამომრჩეველებზე, უნდა მოვაწყოთ პროლეტარულ მასის რევოლიუციონური გამოსვლა.

3. სათათბიროში არჩევნების უკანასკნელი დღისთვის უნდა მოვაწყოთ საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვები, მანიფესტაციები, დემონსტრაციები, ყოველი ზომა უნდა ვიხმაროთ, რომ არჩევნები ჩაიშალოს, და თუ საჭირო დარჩება, ძალასაც უნდა მივმართოთ არჩევნების ჩასაშლელათ.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ კონფერენციამ გადასწყვიტა—მოწვეულ იქნეს ახლო მომავალში მეორე კონფერენცია, რის შესრულება მიენდო ბუნდის და ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტებს.

ცენტრალურ დაწესებულებათა წარმომადგენლები:

1. ებრაელ მუშათა საყოველთაო კავშირისა ლიტვაში, პოლონეთში და რუსეთში (ბუნდი).
2. ლატიშ მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა.
3. უკრაინის რევოლიუციონური პარტიისა.
4. რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიისა (ცენტრალური კომიტეტი).
5. სოციალ-დემოკრატიისა პოლონეთში და რუსეთში.

—პოლონეთის და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის ვარშავის კომიტეტის დადგენილება: მთავრობის განცხადება, ამართლებს რა ხამხედრო დროის წესების შემოღებას და კონსტიტუციის წართმევას იმით, რომ პოლონეთის მოძრაობას სეპარატიული ხასიათი აქვს, არის საზიზღარი ზომა მთავრობის ნაციონალური ტაქტიკისა—გამოყოს პოლონეთის რევოლიუცია რუსეთის რევოლიუციისაგან. ვიმოწმებთ იმ ფაქტს, რომ მთავრობამ, მას შემდეგ, რაც მან ძალ-მომრეობა იხმარა ჩვენი რევოლიუციონური მანიფესტაციების გასაფანტავათ და ჩვენი ამხანაგების სისხლი დაღვარა, სრული თავისუფლება მისცა პოლონეთის ნაციონალურ მანიფესტაციებს თეთრი არწივით და პოლონეთის პატრიოტული სიმღერებით, რომ ამ მანიფესტანტებზე სენკევიჩი და სხვა ორატორები გაფიცულებს ურჩევდენ მუშაობას შედგომოდენ და დამშვიდებულიყვენ. მთავრობას ამ მანიფესტაციის იმედი ქონდა, რადგან პოლონეთის რევოლიუციონური პროლეტარიატი არ ერწმუნა არც მთავრობას და არც პოლონეთის ნაციონალურ მანიფესტაციებს და საყოველთაო გაფიცვა არ შესწყვიტა, მთავრობამ უღალატა პოლონეთის ნაციონალისტებს, თავის მოკავშირეთ კონტრ-რევოლიუციის საქმეში, დაამყარა რა თეთრი ტერორი იმავე ნაციონალისტური ლოზუნგებით, რომლების საშუალებით იგი წინეთ იმედოვნებდა პროლეტარიატის დამშვიდებას. ვამოწმებთ კიდევ იმ ფაქტს, რომ პოლონეთის ნაციონალისტურ მოძრაობას მიზნათ აქვს არა გამოყოფა პოლონეთის რუსეთისაგან, არამედ კონტრ-რევოლიუციის მოხდენა, რომ პოლონეთის რევოლიუციონური პროლეტარიატი მთელი რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატთან ერთად მიისწრაფვის საერთო თავისუფლებისაკენ და არა სეპარაციისაკენ.

— 31 ოქტომბერს, დილის 11 საათიდან ვიდრე საღამომდე, პეტერბურგში მოხდა შეერთებული სააგიტაციო კოლექტივის კრება. შეიკრიბენ ორივე ფრაქციის წარმომადგენელნი („უმრავლესობის“ და „უმცირესობის“). დაესწრო 50-ზე მეტი პროფესიონალური ორატორი. განსახილველი იყო კითხვა ორივე ფრაქციის ორატორების მოქმედებათა შეთანხმების თაობაზე. გადაწყვიტეს აღმასრულებელ ბიუროს არჩევა. ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ბიურო არის შეერთებული სააგიტატორო კოლექტივის აღმასრულებელი ორგანო. სააგიტატორო კოლექტივი ანაწილებს ორატორებს და აგიტაციებს ახდენს შეთანხმებით. მიღებულ იქნა აგრეთვე, 31 ხმით ხუთი ხმის წინააღმდეგ დამატება, რომელიც ამბობს, რომ ორივე ფრაქციების ორგანიზაციებს შეუძლიათ ბიუროს საშუალებით მოუწოდონ ორატორებს, თუ ვინიცობაა სადმე იმათი რიცხვი საკმარისი არ არის. შემდეგ მსჯელობა ქონდათ 8 საათის სამუშაო დღეზე და მიღებულ იქნა აგიტაციის განსაზღვრული სქემა 8 საათის სამუშაო დღის რევოლიუციონური გზით გასაყვანათ.

— რ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის მოსკოვის კომიტეტმა და ჯგუფმა შემდეგი პროკლამაცია გამოუშვეს: ამხანაგებო! რუსეთის დიდი რევოლიუცია უკვე თავდება. ახლო მომავალში მოხდება გადამწყვეტი შეტაკება, რაც ითხოვს პროლეტარიატის მჭიდროთ შეკავშირებას და მისი მოქმედების ერთიანობას. რევოლიუციის შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ პროლეტარიატი რამდენათ შეგნებულია და თავისი მოქმედებით და ორგანიზაციით გაერთიანებულია. რევოლიუციის სრული გამარჯვება შესაძლებელია მაშინ და, მარტოო მაშინ, როცა მას სათავეში უდგას პროლეტარიატი, რომელიც მესძლებს გლეხობა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია ბოლომდის გამოიყოლიოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოსაპოებლათ. მუშა ხალხში კავშირის და ორგანიზაციის განსამტკიცებლათ, და, მაშასადამე, რევოლიუციის სრულ გასამარჯვებლათ. რუს. სოც.-დემოკრ. პარტიის მოსკოვის კომიტეტმა და მოსკოვის ჯგუფმა გადაწყვიტეს, მიუხედავათ არსებულ ტაქტიკურ და ორგანიზაციულ განსხვავებათა, შეადგინონ ფედერატიული, გაერთიანებული საბჭო მოსკოვის პროლეტარიატის პოლიტიკური მოქმედების შეთანხმებით ხელმძღვანელობისათვის.

ამ ფედერატიული საბჭოს დანიშნულებას შეადგენს გაერთიანება და წინდაწინვე შედგენილ გეგმით მოწყობა სიტყვიერი და ლიტერატურული

აგიტაციისა და პროლეტარიატის ყოველგვარ საჯარო მოქმედებისა და აგრეთვე ყველა დანარჩენ ორგანიზაციებთან ურთიერთობა (ვ. ბ.).

— ამნაირათ, როგორც სჩანს, თვით ცხოვრებამ წამოაყენა ორი ფრაქციის „უმრავლესობის“ შეერთება, მათი მოქმედების შეთანხმება და არსებულ სამწუხარო განხეთქილების მოსპობა. ყველამ იცის, თუ რამდენათ შეუშალა ხელი ამ განხეთქილებამ პარტიულ მუშაობას და როგორ შეასუსტა მან პარტია. დღეს, როცა ბურჟუაზიული პარტიები ეწყობიან და პროლეტარიატის წინააღმდეგ საბრძოლველათ ემზადებიან, თვით პარტიაში განხეთქილება პირდაპირ ხელსაყრელი იქნება პროლეტარიატის მტრებისათვის. ამიტომ საჭიროა, აუცილებლათ საჭიროა, რომ პარტიულ განხეთქილებას ბოლო მოეღოს. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისში ორივე ფრაქციის ადგილობრივ ორგანიზაციების პირველმა ცდამ ამ მიზნით უნაყოფოთ ჩაიარა. „უმრავლესობის“ წარმომადგენლებმა დააყენეს კითხვა პროლეტარიატის მოქმედების გაერთიანებაზე თბილისში, რისთვისაც ორივე ფრაქციის ადგილობრივ ორგანიზაციებს უნდა შეედგინათ, მსგავსათ მოსკოვისა და პეტერბურგისა, გამაერთიანებელი ცენტრი. „უმცირესობის“ წარმომადგენლებმა კი უარყვეს კითხვის ასე დაყენება და პირდაპირ ორივე ფრაქციის შეერთება სცნეს შესაძლებლათ, ე. ი. ადგილობრივ „უმრავლესობის“ მათ ორგანიზაციაში შესვლა. კითხვის ასე დაყენების გამო შეთანხმება ჯერ-ჯერობით შეუძლებელი შეიქნა და კრებაც დაიშალა.

(ჟურნალი „მოგზაური“ 1905 წ.
13 ნოემბერი, № 40).

ჩვენს მკითხველებს.

ამხანაგებო! „მოგზაურის“ დღევანდელი ნომერი (№ 41) არის უკანასკნელი, რომელიც ჩვენი რედაქციით გამოდის. დღეს ჩვენ ვეთხოვებათ ჩვენს მკითხველებს, მუშა-პროლეტარებს, რათა ახლო მომავალში, უფრო ფართო ნიადაგზე და უფრო მომზადებული განვაგრძოთ ჩვენი მოღვაწეობა—ჩვენ ამხანაგ-მუშებთან ერთად ვარკვიოთ პროლეტარიატის როლი და დანიშნულება იმ დიად მოძრაობაში, რომელსაც დღეს განიცდის მთელი რუსეთის ხალხი.

ამ ათიოდე თვის წინათ, როცა ჩვენ მეფის მთავრობის მიერ დახურულ „კვალის“ ნაცვლად საკუთარი ორგანოს გამოცემა ვიკასრეთ, მეტათ სამწუხარო იყო ჩვენი მდგომარეობა. ყველა ჩვენი ძალები ამავე მთავრობის აულაგმავი თვითნებობის წყალობით დაქსაქსული და მიფანტულ-მოფანტული, ჩვენი პარტიის დაუზოგველი და შეუბრალებელი დევნა, ახალ-ახალი სასტიკი რეაქციონური ზომები რევოლიუციონური პროლეტარიატის ძლევა-მოსილი მოძრაობის ჩასაქრობათ მიღებული განსაკუთრებით პეტერბურგში. 9 იანვარს მომხდარ ამბების შემდეგ, მთავრობის ცენზურის რკინის დარჯაკი, რომელშიაც უნდა გამოეველო თითეულ ჩვენს სიტყვას, და ამავე დროს ნივთიერი უსახსრობაც და მრავალი სხვა დამაბრკოლებელი გარამოებანი ჩვენ წინ გვეღობებოდენ, მაგრამ ყოველივე ეს, ჩვენდა მოულოდნელათ, ძლეულ იქნა იმდენად ჩვენი საკუთარი ღონით არა, რამდენათაც ჩვენი მუდმივი მკითხველების, მუშა ხალხის ნამდვილი თანაგრძნობით და დახმარებით. პირველი ნომრის გამოსვლისთანავე ჩვენ დავრწმუნდით, თუ რა საჭიროებას და მოთხოვნილებას შეადგენდა ჩვენში სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ორგანოს არსებობა იმ დამახინჯებულ სახითაც კი, როგორითაც ეს შესაძლებელი იყო თვითმპყრობელ სახელმწიფოში.

რა თქმა უნდა, უმთავრესი დაბრკოლება ჩვენთვის მთავრობის ცენზურა იყო*). აქ იდევნებოდა ყოველგვარი ცოტათ თუ ბევრათ ცოცხალი აზრი, იდევნებოდა არა მარტო აზრი, არამედ უბრალო სიტყვაც

*) განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რომ ბ. გოთუამ [13]) ცენზორობას თავი დაანება.

კი. ხშირათ ჩვენ თვითონ ვხვდებოდით ჩვენი აზრის, ჩვენივე ცოცხალი სიტყვის ჯალათი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მიუხედავათ ჩვენი შეხედულებისა „კონტრაბანდათ“ გატარებისა, ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, როცა არა თუ ცალკე წერილები და სტატიები, არამედ მთელი ნომრის მასალა, დასაბეჭდათ გამზადებული, საცენზურო კომიტეტში რჩებოდა და პასუხად ცენზორების კბილების ღრჭენა და მათი უკმეხი მუქარა იყო. უბედური იყო ეს დრო! სამუდამო ზიზღი ყველა იმათ, ვინც ამ უბედურებას ხელს უწყობდა, ვინც მისი წყალობით ხელს ითბობდა?

რუსეთის მუშა ხალხმა, მებრძოლმა პროლეტარიატმა, სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ შეერთებულმა, სამუდამოთ დასცა და დაამხო ის წესწყობილება, რომელსაც მეფის თვითმპყრობელობა ერქვა და რომელიც ყველას კრიჭას უკრავდა და თავისუფლათ ამოსუნთქვის ნებას არ აძლევდა. რუსეთის პროლეტარიატმა თავგანწირული ბრძოლით მოგვიპოვა ჩვენ სიტყვის და წერის თავისუფლება. თავისუფალი სიტყვა— ეს უძლეველი და უძლიერესი იარაღი პროლეტარიატის მიზნის განსახორციელებლად, დღეს ჩვენ ხელთ გვიპყრია. არავითარ ძალას არ შეუძლია ჩვენ იგი ხელიდან გამოგვგლიჯოს.

დღეს ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა ეს იარაღი ღირსეულად გამოვიყენოთ. დღევანდელ პირობებს აღარ შეფერის კვირეული გამოცემა: დღეს მუშაობა გაფართოვდა და ამიტომ ყოველკვირეულ ორგანოს მაგიერ ყოველდღიური ორგანო შეიქნა აუცილებელი საჭირო. კავკასიის პროლეტარიატი განცალკევებული არ არის, იგი მჭიდროთ შეკავშირებულია არა თუ რუსეთის პროლეტარიატთან, არამედ ყველა ქვეყნის საერთაშორისო პროლეტარიატის საბოლოო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევი გზა და საშუალება ერთი და იგივეა. კავკასიის პროლეტარიატი საერთაშორისო პროლეტარიატის უმცროსი ძმაა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მას ძლიერ მაღლა უჭირავს საერთაშორისო პროლეტარიატის წითელი დროშა,—დიდებული დროშა სოციალიზმისა!

ჩვენი უმახლობელესი მიზანი და დანიშნულება კავკასიის მუშა ხალხის გამოფხიზლებაა, მასში შეგნების შეტანა და მისი მტკიცე კავშირი შეერთება სოციალ-დემოკრატიული წითელი დროშის ქვეშ.

გაუმარჯოს ამ დროშას! გაუმარჯოს ამ დროშის ქვეშ მებრძოლ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას.

(ჟურნალი „მოგზაური“ 1905 წ.
20 ნოემბერი, № 41).

რ. სოც.-დემ. მ. პარტიის მომავალ ყრილობის (სიეზდის) გამო.

ქვევით ჩვენ ვბეჭდავთ რუსეთის სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის ცენტ. კომიტეტის (უმრავლესობა) განცხადებას, რომლითაც იგი იწვევს რ. ს.-დ. პარტიის მეოთხე ყრილობას (სიეზდს) და ვბეჭდავთ აგრეთვე ამხანაგ ლენინის წერილს ამავე საგნის შესახებ. როგორც ც. კ-ს განცხადება, ისე ლენინის წერილი ნათელყოფს პარტიაში არსებულ უთანხმოების მოსპობას და ორ ფრაქციათ გაყოფილ პარტიის მიუცილებელ გაერთიანებას.

„პარტიის მეოთხე ყრილობას—ეკითხულობთ ჩვენ ც. კ. განცხადებაში—ვიწვევთ მომწიფებული პოლიტიკური კითხვების გადასაწყვეტათ და უპირველეს ყოვლისა, პარტიის გაერთიანების მოსახდენათ“.

ამნაირად ახლო მომავალში უნდა განხორციელდეს ყველა გულწრფელ და თავდადებულ მუშაკების ნატვრა—შინაური განხეთქილების მოსპობა და ორი ფრაქციის გაერთიანება. ეს ნატვრა დღეს აღარ არის განყენებული ოცნების ნაყოფი. გაერთიანებას ჩვენ გვიკარნახებს თვით სინამდვილე, ამას თხოულობს დღევანდელი პოლიტიკური ვითარება. რუსეთის პროლეტარიატი რუსეთის რევოლიუციის მოწინავე რაზმია. დღემდის ყველა რევოლიუციონური ჯგუფები თუ კლასები პროლეტარიატს უკან მისდევდენ და ასე იყო თუ ისე, ბრძოლის დროს ზურგს უმაგრებდენ, მაგრამ პროლეტარიატის და დანარჩენ საზოგადოებრივ კლასების მიზანი ერთი და იგივე ხომ არ არის, ლიბერალური და რადიკალური ბურჟუაზია მხოლოდ რევოლიუციის განსაზღვრულ საფეხურამდე მიყვებოდენ პროლეტარიატს: პროლეტარიატისთვის კი დღევანდელი რევოლიუცია მხოლოდ მაშინ დამთავრდება, როცა რუსეთში დაფუძნდება დემოკრატიული მართვა-გამგეობა. პროლეტარიატის ძლევა-მოსილმა მოძრაობამ და მისმა პოლიტიკურმა გავლენამ საზოგადოების ჩამორჩენილი ელემენტები—ბურჟუაზიული პარტიები ძალზე დაეფრთხო და შეაშფოთა და ისინი კავშირებს და ორგანიზაციებს აწყობენ რევოლიუციონური პროლეტარიატის მოძრაობის შესაჩერებლად. ამიტომ ისინი, „ქამდის რე-

ვოლიუციის მოკავშირენი, დღეს უკვე რეაქციონური მთავრობის ბანაკში გადადიან და კონტრ-რევოლიუციის მოხდენას შველიან.

რაღა თქმა უნდა, ასეთ დროს საჭიროა რუსეთის მებრძოლი პროლეტარიატის გაერთიანებული ძალა და ენერგია სულ მთლად ამ რეაქციონურ ელემენტებს, ყველა ბურჟუაზიულ პარტიებს დაუპირდაპირდეს, როგორც ერთი განუყოფელი პარტია. ამას გრძნობენ დღეს პარტიის ორივე ფრაქციის წარმომადგენელები, პარტიის ყველა წევრები. გარდა ამისა, გაერთიანების საქმე დღეს დიდათ გაადვილებულია. ორგანიზაციული კითხვები, რომლებიც ამ შინაურ უთანხმოებაში საკმარისათ დიდ როლს თამაშობენ, დღეს თითქმის აღარ არსებობს.

პარტია უნდა მოეწყოს საარჩევნო სისტემის წესზე, ტაქტიკური ხასიათის კითხვებშიაც ისეთი განსხვავება აღარ არის, როგორც წინათ იყო. ერთი სიტყვით, ის დაშორება, რომელიც დღემდის არსებობდა პარტიის ორ ფრაქციას შორის, დღეს თითქმის აღარ არსებობს. ორივე ფრაქციის ადგილობრივი ორგანიზაციები უკვე ახდენენ დროებით შეთანხმებას, სანამ პარტიის ცენტრალური დაწესებულებები მოახდენდენ საბოლოო გაერთიანებას ორ ფრაქციას შორის. ეს ფაქტი საბუთს გვაძლევს ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ეს გაერთიანება უეჭველად მოხედება, და მოხდება ახლო მომავალში. საჭიროა მხოლოდ, რომ ორივე ფრაქციის წარმომადგენლებმა უარყონ ზედმეტი ფორმალიზმი და ფრაქციული თავმოყვარეობა. ყველაზე წინ დღეს უნდა დაყენებულ იქნას მთელი პარტიის ინტერესი. ამაში უნდა ვხედავდეთ პარტიის ერთ უმთავრეს ტაქტიკას დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში.

შეერთების საკითხი გადაწყდება, რასაკვირველია, ორი ფრაქციის წარმომადგენლების შეერთებულ კრებაზე. ამ კრებაზე პარტიის ყველა ორგანიზაციების მხრით ფართო მონაწილეობის მიღება უზრუნველყოფილია, ასე რომ, მისი გადაწყვეტილება, ეს პარტიის უმრავლესობის სურვილის გამოხატვა იქნება და როგორც ასეთი, მისი დადგენილებანი პარტიის ყველა ორგანიზაციებისათვის და ყველა წევრისათვის სავალდებულო უნდა შეიქნას.

(ჟურნალი „მოგზაური“ 20 ნოემბერი
1905 წ. № 41).

პირდაპირობა და ორპოფობა.

წერილი პირველი.

ხშირად გამიგონია ასეთი საყვედური: ცხოვრებამ ბევრათ გაუსწრო მწერლობასო. ეს სრული ჭეშმარიტებაა. ჩვენი მწერლობა ჩამორჩა ცხოვრებას, შან ვერ შესძლო ნამდვილ ცხოვრების გამოხატვა, იგი ვერ შეიქნა ამ ცხოვრების ნამდვილი სარკე. ჩვენ ვერ შევუდგებით იმის მიზეზების გამორკვევას, თუ რათ მოხდა ეს ასე. ალბათ იყო ისეთი პიროებები, რომლებიც ხელს უწყობდენ ცხოვრების წინსვლას, მის განვითარებას და იმავე დროს აფერხებდენ, ჩაგვრიდენ მწერლობას, პრესას.

და აი, ამ დროს, როცა პრაქტიკულმა მოღვაწეებმა შეუწყვეტელი და ენერგიული მეცადინეობით გაიკაფეს და გაიწალდეს გზა, არ შეუშინდენ არავითარ დაბრკოლებას, უარყვეს ყოველგვარი კომპრომისები მოწინააღმდეგე პარტიებთან და პირდაპირ და მტკიცედ მიდიან ერთხელ დასახულ მიზნისაკენ, იმავე დროს კი მწერლობაში ხშირად შეხვდებით ისეთ პირებს, რომლებიც ისე დაწვრილმანებულან, რომ პირდაპირ მოქმედებას ვერ ახერხებენ, კომპრომისები ვერ უარუყვიათ და ორპოფ მიმართულებას ადგანან, ასეთი პირები დღეს მრავალია პროლეტარიატის პარტიაში.

პროლეტარიატი ყველაზე მოწინავე კლასია, რომელსაც მაღლა უპირავს თავისუფლების დროშა, და რა გასაკვირალია, რომ იგი ძალაუნებურათ იზიდავს თავისკენ ისეთ პირებს, რომლებიც სრულებით პროლეტარული აზროვნებით არ არიან გაჟღენთილი. რა თქმა უნდა, ასეთი პირების მიმხრობა და პარტიაში შემოსვლა, პარტიისათვის უფრო მავნებელია, ვიდრე სასარგებლო. პროლეტარიატის პარტია, ე. ი. სოც-დემოკრ. მუშათა პარტია, ყველა არსებულ პარტიების მოწინააღმდეგეა. გარდა სოც. დემოკრატიისა ყველა პარტიები, ნებსით თუ უნებლიეთ, გაბატონებულ კლასებს იცავენ. ამიტომ სოც. დემოკრატიას, როგორც პროლეტარიატის ინტერესების გამომხატველს, არაფერი საერთო არა აქვს დანარჩენ პარტიებთან, მას არ შეუძლია იმათთან რაიმე კომპრო-

მისები მოახდინოს, მისი გზა სულ სხვაა და იგი პირდაპირ და შეურ-
ყევლათ მიდის ამ გზით თავის მიზნისაკენ.

მართალია, ბურჟუაზიული პარტიები ძლიერ ხშირად გაიძახიან, რომ
მუშა ხალხს და ბურჟუაზიას აერთებს რაღაც საერთო ინტერესები, რომ
იმათ შეუძლიათ ერთათ მოქმედება, ერთი გზით სიარული, მაგრამ ეს სიც-
რუეა და დღეს ეს არც ერთს ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულ მუშას აღარ
სჯერა. პროლეტარიატი, როგორც ნამდვილი და ერთად ერთი რევოლი-
უციონური კლასი, ვერ დაადგება ორჭოფ მიმართულებას, მას არა სწამს
კომპრომისები. ამიტომ პროლეტარიატის პარტიაში ვერ უნდა შევიდეს
ისეთი პირი, რომელიც სიტყვით თავის თავს პროლეტარიატის მომხრეთ
სახავს და საქმით კი ბურჟუაზიას ქომაგობს, ბურჟუაზიულ ორგანოებ-
ში იღებს მონაწილეობას. ასეთი პირები ყოველგან არიან; არიან, რა
თქმა უნდა, ჩვენშიაც. ერთი იმათგანი ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილია [16]),
გაზ. „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი.

არავისთვის საიდუმლოება აღარ არის, რომ დღეს ჩვენში სოციალ-
დემოკრატიული მუშათა პარტია თვალსაჩინოთ გამოყოფილია ყველა
დანარჩენ პარტიებისაგან. არც მოძღვრებით, არც პროგრამით და არც
ტაქტიკით ჩვენი პარტია ოდნავათაც არ უახლოვდება არც ერთ დანარ-
ჩენ პარტიას. სოციალ-დემოკრატი, მაშასადამე, ვერ მიეკედლება ვერც
ერთ პარტიას გარდა სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიისა. ეს იქნე-
ბოდა თავისივე რწმენის ღალატი, თავისივე პროგრამაზე ხელის აღება.
ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი თავის თავს პროლეტარიატის მომხრეს უწოდებს,
მას ვითომც მარქსის და ენგელსის მოძღვრებაც სწამს და იმავე დროს
კი გაზ. „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი და სულის ჩამბერაი შეი-
ქნა, იმ „ივერიის“, რომელიც ვიწრო ნაციონალიზმის გზას ადგას, რო-
მელიც ქართველ ბურჟუაზიას და ქართველ მემამულეებს ესარჩლება,
რომელიც ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიასთან ერთად საქარ-
თველოს ეკლესიის ავტოკეფალიასაც თხოულობს. რა არის ეს? როგორ
თავსდება ერთად „ივერია“, თუნდაც „განახლებული“, და სოციალ-დე-
მოკრატიული მოძღვრება? როგორ მოხდა, რომ იმ ორგანოში, რომე-
ლიც პირდაპირ წინააღმდეგია სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების,
რომელიც ლანძღვა-გინებით იხსენიებს სოციალ-დემოკრატიას, თავშესა-
ფარი იშოვა ისეთმა პირმა, რომელიც თავის თავს მუშათა პარტიის წევ-
რათ თვლის? თავის თავად იგულისხმება, რომ ამის შემდეგ ასეთი პირის
სოციალ-დემოკრატიული მიმართულება ძლიერ საეჭვო უნდა ყოფილიყო.

და მართლაც, საკმარისი იყო ცოტა ჩავკვირვებოდით ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილის წერილების შინაარსს, რომ მაშინვე დავრწმუნებულიყავით იმაში, რომ მის ნაწერებსა და მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას შუა დიდი მანძილია, რომ ბ-ნი დარჩიაშვილი ტყუილად ცდილობს თავისი შეხედულება და აზრები სოციალ-დემოკრატიის სახელით გაასაღოს.

იმის დასაფასებლათ, თუ რა „მიმართულებას“ ემსახურება ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი, საჭირო არ არის ყველა იმ წერილების განხილვა, რომლებიც მისი ხელმოწერით „ივერიაში“ ისტამბება, მით უმეტეს, რომ უმეტეს ნაწილათ ეს წერილები ავტორის აღტაინებული ფანტაზიის და „პოეტური“ ნიჭის ნაყოფია*) და იმ კითხვასთან, რომელიც ჩვენ აქ გვაინტერესებს, საერთო არაფერი აქვთ. ამისთვის სრულებით საკმარისია ბ-ნ დარჩიაშვილის რამდენიმე წერილის განხილვა. ჩვენც ასე მოვიქცევით.

უწინარეს ყოვლისა ავიღოთ ბ-ნ ვლ. დარჩიაშვილის პირველი გამოსვლა გაზ. „ივერიაში“ (იხ. „ივერია“ № 147), სტატია: **გუშინ და დღეს**. ჩვენ აქ თავი უნდა დავანებოთ ავტორის მოთქმა-გოდებას: „ჰოი, სამშობლოვ, მარად ტანჯულო!“ ვინაიდან ქავქავაძეების, ორბელიანების და სხვების წყალობით ყოველივე ეს ჩვენ დიდი ხანია მობეზრებული გვაქვს. დავანებოთ თავი იმასაც, თუ რას მიედ-მოედება აქ ავტორი ჩვენი გლეხობის შესახებ და განვიხილოთ მხოლოდ ის, რასაც ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი ქართველ თავად-აზნაურობაზე გველაპარაკება. ნუ დაიიწყებთ მხოლოდ, რომ ავტორი ადარებს ძველსა და ახალს დროს და, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდ ცვლილებასაც ჰპოებს. თუ, ჩვენი ავტორის აზრით, წინეთ საქართველოს თავად-აზნაურობა „ღვინოსა, სიმღერებში და ქალების ტრფიალში ატარებდა დროს“, დღეს სულ სხვასა ვხედავთ. „დღეს ჩვენი თავად-აზნაურობაც ბეჭობს, თათბირობს საქვეყნო საქმეებზეო... მაგრამ ეტყობა ავტორს თვითონვე შეშინებია თავისივე სიტყვების და შემდეგ განმარტავს: „მართალია ჩვენ თავად-აზნა-

*) მაგალითისთვის დავასახელებ აქ ბ-ნ ვლ. დარჩიაშვილის წერილს „მიტინგების“ შესახებ, სადაც სხვათა შორის ავტორი აღფრთოვანებით სწერს. „სულის ამამაღლებელი, ს ა ი დ უ მ ლ ო ე ბ ი თ (!) ც ი ს კ ე ნ ამართული ბუმბერაზი ჩვენი მთები, საამურთა ზიდულ მინდორ-ველები, ამფიტეატრულათ დაქნილი სერები, ბორცვები და ზემოდანაც სპეტაკი ლაჟვარდოვანი ცისა კამარა, ბრწყინვალე სხივთა უხვათ მფენელი დიდი ლამპარი, ეს დიდებული ხელთ უქნელი დარბაზი არის საზალხო მიტინგებისათვის!“ ყოველივე ეს თურმე ხელს უწყობს მიტინგების გამართვას ჩვენში. სხვა ქვეყნები კი ამ ბედნიერებას მოკლებული ყოფილან! მაგრამ სად ეიყავით აქამდის, ბ-ნო დარ—ლო?

ურობას ჯერ კიდევ ვერ დაუხწევია თავი **ძველი გათახსირებული წოდებრივ აზროვნებისათვის;** მართალია იმათ კრებებზე, იმათ თათბირებზე გვესმის **სამარცხვინო თავის მჭრელი მსჯელობა, გულ-გონების აღმაშფოთებელი სიტყვები** *), მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ თავად-აზნაურობის ერთ ნაწილს—უმცირესობას, გამოუფხიზლია“ და სხ. ახლა ვიკითხოთ: რისთვის ღალატობს ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი ან ლოლიკას, ან ფაქტებს? რისთვის ამახინჯებს იგი სინამდვილეს, რისთვის შემდგარა ასეთ ყალბ გზაზე? ყველა ამ კითხვებზე პასუხს იძლევა წერილის უკანასკნელი სიტყვები.

როგორც მოგეხსენებათ ამერ-იმერის თავად-აზნაურობამ ამ წლის გაზაფხულზე „უქვეშევრდომილესი ადრესებით“ ქართველი ერის სახელით ითხოვა საქართველოს ავტონომია. და აი, მას შემდეგ, რაც სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა საერთოდ და ერთბაშათ დაგმეს ქართველი ბურჟუაზიის წარმომადგენლების ოინბაზობა, მათი გაიძვეროობა და ორგულობა, ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი, ეს მუშა ხალხის ვითომდა დამცველი, გამოდის და ხმამაღლა გაიძახის: „აი, ასე მსჯელობენ და მოქმედებენ (იგულისხმეთ, ავტონომიის შესახებ შუამდგომლობის აღძვრა!) ჩვენი თავად-აზნაურობის გონებრივათ ჭეშმარიტი „თავადნი“, ზნეობრივათ ჭეშმარიტი „აზნაურებიო!“**) მაგრამ დღეს მარტო ეს აღარ კმაროდა. გლეხკაცობამ კარგათ იცის, თუ რას ნიშნავს თავად-აზნაურობის „ჭეშმარიტი“ ზნეობა და „ჭეშმარიტი“ გონება. იმან კარგათ იცის, თუ როგორ ზრუნავენ და მოქმედებენ ცხოვრებაში ეს „გონებრივათ ჭეშმარიტი თავადები და ზნეობრივათ ჭეშმარიტი აზნაურები“. ამიტომ ბ-ნ დარჩიაშვილისთვის აუცილებლათ საჭირო იყო თავისებური მჭერმეტყველობით და ლოლიკით დაემტკიცებია გლეხებისთვის, რომ თავადაზნაურობა, ე. ი. მემამულეები, სრულებით გლეხ-კაცობის მტერი არ არის, პირიქით, ის გლეხობის ძმა და ამხანაგია, მისებრ გაჭირვებული, მისებრ დაჩაგრული და შეწუხებული. როცა ამას შეასრულებდა, მაშინ ჩვენს ბელადს უნდა დაესახელებია და მიეთითებია იმაზე, თუ ვინ სჩაგრავს და აწუხებს გლეხობას და თავად-აზნაურობას, თუ ვინ არის მათი მტერი.

ამნაირათ ბ-ნ დარჩიაშვილის მიზანი მიღწეული იქნებოდა. ის მართლაც ასე მოიქცა.

---

*) ხაზს ყველგან ჩვენ ვუსვებთ.

**) ყველაზე უფრო საუცხოო აქ „გონებრივათ ჭეშმარიტი თავადნი და ზნეობრივათ ჭეშმარიტი აზნაურებია!“.

ჩვენ ვიცით, რომ საუკუნოების განმავლობაში წელში მოხრილი, დაბეჩავებული და მიწასთან გასწორებული გლეხკაცობა დღეს პირველათ მოვიდა გონს; მან გაახილა თვალები და თავის მჩაგვრელებს პირდაპირ შეხედა თვალებში და ამბაყათ შესძახა: კმარა! შეჩერდით! ამიერიდან ჩვენ ნებას აღარ მოგცემთ ჩვენს ზურგზე იაროთ. ჩვენ, დაჩაგრულები და მაშვრალნი, ერთად ვართო! თავად-აზნაურობისათვის ეს თავზარდამცემი იყო; ვინ მოელოდა ყველასაგან დაბეჩავებულ და მიწასთან გასწორებულ ფუხარა გლეხებიდან გაბედულათ ლაპარაკს, ასეთ ერთ პირიანობას და ერთსულოვნობას. თავზარდაცემული მეექთა-ულაპია თავად-აზნაურობა იქით ეცა, აქეთ ეცა და როცა დარწმუნდა, რომ ძალით ვერას გახდებოდა, ძველებური ტაქტიკა შესცვალა; მოდი, ისევ ქედი მოვიხაროთ, თავი მოვიკატუნოთ, გლეხები ჩვენ ძმებათ გამოვაცხადოთ, ჩვენი გაპირვება შევსჩივლოთ და იქნებ, ამ ხერხმა გასჭრას, ე. ი. შეიძლება ამით გლეხები დავამშვიდოთ და ძველებურათ ვსწვადოთ სულიო! ბ-ნ დარჩიაშვილსაც სწორეთ ასეთი ტაქტიკა შეუთვისებია, იგი შემძვრალა თავად-აზნაურობის გულში; იქ ამოუკითხავს ამ თავად-აზნაურობის ნამდვილი გულის წადილი და გლეხებს ასეთი სიტყვებით მიმართავს: „დღეს ჩვენ თავად-აზნაურობაშიაც ვხედავთ კაცებს, რომელნიც . . **ნამდვილ მამულიშვილურ გრძნობებით გამსჭვალულნი** მიმართავენ გლეხობას: თქვენსა და ჩვენ შორის დიდი სიძულვილი და შურისძიება დათესა საუკუნოებმა, ბევრი შავი დღე, ბევრი უსამართლობა გინახავთ ჩვენგან წარსულში, ბევრ უსამართლობას და სიდუხჭირეს ხედავთ დღესაც,—მაგრამ ნუ თუ გგონიათ ამ უსამართლობის აღმოფხვრით, ჩვენ შორის დავას გადაწყვეტთ ცეცხლითა და მახვილით?.... ნუ თუ გგონიათ, რომ ერდმანეთის ქლეტა და განადგურება შეფერით იმათ, ვისაც წყურიან სიცოცხლე, ცხოვრება, განვითარება? თქვენსა და ჩვენს შორის სამიწათმფლობელო და წოდებრივი საქმეებია გადასაწყვეტი, ეს არის მიზეზი მთელი დავიდარაბისა, მთელი უბედურებისა, მაგრამ ნუ თუ გგონიათ, რომ ამაში ბრალი ედებათ ან ამის გადაწყვეტა შეუძლია რევაზს, ან ვახტანგს? არა და არა. ეს საზოგადო, სახელმწიფო საქმეებია. ამ საქმეების გადაწყვეტა **შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ გზით,** ე. ი. კანონით, და განა მარტო თქვენსა და ჩვენ შორის არსებობს სამიწათმფლობელო დავა? სამიწათმფლობელო საქმეები თვითონ ჩვენ თავადებსა და სხვა თავისუფალ მესაკუთრეთა შორისაც

ჯერ კიდევ აწეწილ-დაწეწილია; ჯერ ჩვენც ვერ მოვრიგებულვართ და ვერ გაგვიგია, რომელი მამული ვის ეკუთვნის'' და სხვა.

ასეთია ბ-ნ დარჩიაშვილის მეტევრმეტყველობა; ეტყობა, იგი ძლიერ გაუტაცნია თავად-აზნაურობის ვექილობის როლს და ამ გატაცებაში ბევრი რამ დაუვიწყნია. დაუვიწყნია ჩვენს ავტორს ჯერ ის, თუ რა დროდან გახდენ ჩვენი თავად-აზნაურები ასეთი ,,ნამდვილი მამულიშვილური გრძნობებით გამსჭვალულნი?'' როდის აქეთ არის, რომ ისინი გლეხებს ეუბნებიან: დიახ, ,,ბევრი შავი დღე, ბევრი უსამართლობა გინახავთ ჩვენგან წარსულში, ბევრ უსამართლობას და სიდუხჭირეს ხედავთ დღესაც?'' როგორც ვიცით, დღეს თვითმპყრობელობა დაადგა დათმობის გზას, მაგრამ რამ გამოიწვია ეს,—გულწრფელია ეს დათმობა, თუ ხალხის მოსატყუებლათ არის იგი ნახმარი? ბ-ნი დარჩიაშვილი შემდეგ ივიწყებს, ან განზრახ ამახინჯებს და სიცრუეს ამბობს, როცა გვეუბნება, რომ ვითომც გლეხები ამხედრებულიყვენ კერძო პირების, ვახტანგების და რევაზების წინააღმდეგ, და არა თვით დღევანდელი სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ, რომ ვითომც გლეხები ქადაგებდენ ძარცვა-გლეჯას და კერძო პირების ქლეტას და განადგურებას. ეს შეიძლება პირდაპირ ცილისწამებათ ჩავთვალოთ, ვინაიდან ეს საიდუმლოება არ უნდა ყოფილიყო იმისთვის, ვინც კი დღევანდელ მოძრაობას თვალს ადევნებდა *).

გარდა ამისა, როგორ უნდა გავიგოთ ბ-ნ დარჩიაშვილის სიტყვები, რომ ,,საადგილმამულო კითხვების გადაწყვეტა შეიძლება **მხოლოდ საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ გზით**, ე. ი. კანონითო'' **) ნუ თუ ბ-ნ დარჩიაშვილს ამით იმის თქმა უნდოდა, რომ დეე გლეხები დაწყნარდენ, დამშვიდდენ, მემამულეებთან ბრძოლა შესწყვიტონ და იმათ დავას სახელმწიფოებრივი გზით, ე. ი. კანონით გადაწყვეტენო? როგორც სჩანს, ბ-ნი დარჩიაშვილი კანონიერების ნიადაგზე სდგას, და აბა ახლა ჰკითხეთ მას, თუ აქამდის სწორეთ ამ კანონების ძალით არ ახრჩობდენ და სულს არ ხდიდენ გლეხებს? ბ-ნი დარჩიაშვილის სიტყვების აზრი ასეთია: გლეხები უნდა დამშვიდდენ, მემამულეებს უნდა შეურიგ-

*) თავის თავად იგულისხმება, რომ ჩვენ აქ მთელ მოძრაობაზე ვლაპარაკობთ და არა კერძო შემთხვევებზე.

**) ამას წინათ ბ-ნმა დარჩიაშვილმა თითქმის ჯვარს აცვა ამის მსგავსი აზრის გამოქვეყნებისათვის გაზ. „ეროზროედენიე". ერთობ საკვირველია ბ-ნ დარჩიაშვილის რაინდული გამბედაობა.

დენ და თუ რამე სადაო იქნება, ამას „სახელმწიფოებრივი გზით, კანონით“ გადაწყვეტენ, მაგრამ ამის თქმა მთელი მოძრაობის ღალატია, ეს ყელის გამოჭრაა. ყველა ბურჟუა-იდეოლოგი, ყველა ფილისტერი, ყველა რეაქციონერი ამას გაიძახის: მუშები ძალმომრეობას ხმარობენ, ისინი კანონს არ ემორჩილებიან, საკუთრებას პატივს არ სცემენო. მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ ვინ ხმარობს ძალმომრეობას კანონის სახელით, თუ ვინ ართმევს ძალით ე. ი. კანონით, სხვას საკუთრებას თავისი საკუთრების გასადიდებლათ. და როცა ჩვენ ასეთი კანონის, ასეთი ძალმომრეობის წინააღმდეგ უნდა გავილაშქროთ, ჩვენთან მოდიან დარჩიაშვილები და გვეუბნებიან: დაიცადეთ, ყველაფერი იქნება, ყოველივე გადაწყდება სახელმწიფოებრივი გზით, ე. ი. კანონითო“. ამას გვეუბნება ჩვენ ის კაცი, რომელმაც ყურები გამოგვიყრუა თავისუფლებაზე ლაპარაკით, რომელიც სოციალიზმს გვიქადაგებს! ეს კიდევ არაფერი. ბ-ნი დარჩიაშვილის სიტყვით ის განხეთქილება, რომელიც არსებობს მიწათმფლობელებსა და მიწის მუშებს შორის, ე. ი. მთელი აგრარული საკითხი იგივეა, რაც თვით თავადებსა და სხვა თავისუფალ მემამულეებში დავაა ატეხილი მიწათმფლობელობის ნიადაგზე“. განა მარტო თქვენსა და ჩვენს შორის არსებობს სამიწათმფლობელო დავაო?—კითხულობს ბ-ნი დარჩიაშვილი. ამაზე მეტი სიყალბე წარმოუდგენელია.

მაგრამ ბ-ნი დარჩიაშვილი ამით როდი ათავებს თავის „რეჩს“ გლეხების მიმართ. შემდეგ იგი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმას, რასაც ამას წინათ სწერდა იმავე „ევერიაში“ კერძო საკუთრების თავგამოდებული დამცველი, ქართველი სხვილი მემამულე და ტკბილი ლექსების მწერალი, თ-დი ილია ჭავჭავაძე. „თქვენ, ვანაგრძნობს ბ-ნი დარჩიაშვილი—ზოგიერთი, ვითომდა სოციალისტები გაგონებენ, რომ კერძო მესაკუთრეების ადგილ მამული, ღღესვე, დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ხალხს, ამათ უნდა ამუშაონ ყოველივე ერთობით, ძმურათო და სხვ. მაგრამ ეს არ შეიძლება. „ეშმარიტი სოციალისტი ამას ვერ გეტყოდათ თქვენ“, და კერძო მესაკუთრეების გულის დასამშვიდებლათ ბ-ნი დარჩიაშვილი განმარტავს, რომ „საგანი და მიზანი ღღევანდელ მოძრაობისა ღღესვე სოციალიზმის განხორციელება არ არისო. „ძმობა, ერთობა, თანასწორობა დიდი რამეა, დიდებული საქმეა და ამის განხორციელებასაც დიდი არზი უნდა, დიდი გული და დიდი გონება. ნუ თუ ღღეს ჩვენ ამეების შნო. და უნარი გვაქვს, ნუ თუ ღღეს ამის ძალონე გაგვაჩნია“. ბ-ნ დარჩიაშვილს ამით იმის თქმა უნდოდა, რაც

კერძო საკუთრების ცნობილმა დამცველმა თავის კლასიკურ ფრაზაში მოკლეთ გამოხატა, ე. ი. „კერძო საკუთრება ჯერ კიდევ კარგა ხანს იქნება დიდ პატივში“. ერთი სიტყვით, ბ-ნი დარჩიაშვილი უარყოფს გლეხებსა და მემამულეებში ყოველგვარ განხეთქილებას. გლეხების გაჭირვებას იგი იმით ხსნის, რომ „ჯერ თურმე ჩვენ შრომაც არ ვიცით, შრომა აზრიანი, შრომა შესაფერი ახალისა. ის, რაც ჩვენ ორსა და ოთხ დესეტინაზედაც ვერ მოგვაქვს, უცხო განათლებულ ქვეყნებში ერთსა და ორ დღიურზე მოყავთო“. ამნაირათ, ჩვენი ავტორის აზრით, ჩვენი გლეხ-კაცობის უბედურების მიზეზი ის არის, რომ მას სწავლა-ცოდნა არა აქვს, რომ მან „აზრიანი შრომა“ არ იცის, მაგრამ იმას კი არ გვეუბნება ჩვენი ქართველი ავტორი, თუ როგორ არის საქმე ამ მხრით იმ „უცხო განათლებულ ქვეყნებში“, რომლების მაგალითზე იგი ჩვენ გვითითებს? შეიძლება იქ აღარ არსებობს სოციალური საკითხი, შეიძლება განათლებამ და სწავლა-ცოდნამ იქ უკვე ბოლო მოუღო სოციალურ უსწორ-მასწორობას, ადამიანის ადამიანის მიერ გაყვლეფას, რომ იქ აღარ არის კლასობრივი ბრძოლა? ყველა ამეების შესახებ ბ-ნი დარჩიაშვილი ჩვენ არაფერს გვეუბნება და ან კი რა უნდა ეთქვა! სამაგიეროთ იგი გამოსულა და ურცხვათ გაიძახის: „მართალია, ვითომ—ჩვენ თავად-აზნაურობას ქვაცა აქვს და კაკალიც, ცხოვრებაც და სიკეთეც? ხალხნო, აბა დაუფიქრდით, აბა მოიგონეთ, განა თავად-აზნაურებში ვერა ხედავთ ისეთებს, ვისაც კუპი უხმება უსაქმლობისაგან, ხორცი ეწვება ჩაუცმელობისაგან?... და რატომ არ უნდა იძმოთ და იმოყვროთ ისინი, ვინც თქვენსავე გაჭირვებაში არიან, თქვენსავე ტაფაში იხრაკებიან? რატომ ისინიც თქვენთან არ უნდა იყვენ ჭირსა და ლხინში? В открытую дверь ломается—ო რომ იტყვიან, სწორეთ ეს არის! ვისზე ლაპარაკობს აქ ბ-ნი დარჩიაშვილი? ან შეიძლება მას ჩვენი გლეხ-კაცობა ნადირებათ და მხეცებათ ჰყავს წარმოდგენილი? როდის იყო, რომ მან არ იძმო და არ იმოყვრა ის, ვინც მასავით გაჭირვებულია, ვინც მასავით ერთ ტაფაში იხრაკება? მაგრამ თქვენ გგონიათ, რომ ბ-ნი დარჩიაშვილი ლარიბ თავად-აზნაურობას ესარჩლება და იმას იცავს გლეხების თვალში? სრულებითაც არა. აი რას გვეუბნება ჩვენი უებრო ავტორი: „ვთქვათ, ლარიბ-თავად-აზნაურთა რიცხვი პატარა უმცირესობაა, ვთქვათ დიდ უმრავლესობას კი მართლა დიდი მამულ-დედული აქვს. ერთი მითხარით, რა თავში ვიხლი მამულ-დედულს (თავში კი არა და ჯიბეში ადვილათ! ფ. მ.), თუ ის ოხრათ, გამოუსადეგრათ ეგდება, ან არ შემე-

ძლება ის ამოვაღებინო, რის მოცემაც მას შეუძლია. რა თავში ვიხლი ჭამულს, თუ არ მექნება ახალი გაუმჯობესებული სამეშაო იარაღი, მაშინები და სხვა".

როგორც ხედავთ, ბ-ნ დარჩიაშვილის სიტყვით, დიდ მემამულეებსაც ალარ ეცხოვრებათ, თურმე იმათ, მისი აზრით, გამოუსადეგრათ უგდიათ მამულ-დედული! მაგრამ ბ-ნი დარჩიაშვილი აქ არ გამოდგება მოწმეთ: მას მემამულეების ვექილობა უკისრია და ამიტომ ჩვენ მეორე მოწინააღმდეგე მხარეს უნდა შევეკითხოთ, თვით ცხოვრება, სინამდვილე უნდა ვიმოწმოთ. "მაშინ ჩვენ გავიგებთ, თუ როგორ ოხრათ და გამოუსადეგრათ უგდიათ ჩვენს მემამულეებს მიწები; მაშინ ჩვენ შევიტყობთ, თუ რა ღალებს და სხვადასხვა გადასახადებს იღებენ ისინი გალატაკებული და მშიერ-მწყურვალი გლეხებისაგან.

მაგრამ საკვირველი ის არის, თუ რომელი ლოლიკის ძალით ჩაჩხირა ბ.ნმა დარჩიაშვილმა აქ გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები, მაშინები, ბაჟები, სამიმოსვლო გზები, ვაჭრობა-აღებმიცემობის დაცემა, კრიზისები და ბოლოს „საერთო სიბნელე", რომელშიაც ჩვენ ყველანი, მისი სიტყვით, განურჩევლათ წოდებისა და სქესისა, ვიმყოფებით. ალბათ იმიტომ, რომ ვინმე დამნაშავე დაენახა და მიაგნო კიდეც ამ დამნაშავეს. „ესენი ბრძანდებიან ის ბატონები, ის ნამდვილი ბატონები, ვინც ბიუროებსა და კანცელიარიის კრესლოებში ჩასვენებულნი (ჩვენთვის?) ზრუნავენ, ჩვენა გვპატრონებენო"... „ამ ბატონების სახელია ჩინოვნიკობა, ბიუროკრატია... აი, ამათ ბატონობასა და ყმობაში ვართ ჩვენ ყველანი, როგორც თავად-აზნაურობა, ისე გლეხ-კაცობა და მთელი ქვეყანაო".

აი ასე მარტივათ აქვს წარმოდგენილი ბ-ნ ილ. დარჩიაშვილს თანამედროვე საზოგადოება, რომელიც კლასობრივ წინააღმდეგობაზეა დაყრდნობილი! იგი, ერთი მხრით, ხედავს ხალხს, რომელშიაც არავითარი წინააღმდეგობა, არავითარი კლასობრივი განხეთქილება არ არსებობს და, მეორე მხრით, ჩინოვნიკობას, რომელიც ყველას ბრძანებლობს, ყველას აწუხებს, ყველას სტანჯავს. სხვის ვექილობამ ჩვენი ავტორი ასეთ აბსურდამდე მიიყვანა. ავტონომიამ ხომ მას სულ მთლად დაუბნია დავთარი. შემდეგ წერილში ჩვენ დავანახვებთ მკითხველებს, თუ ბ ნ დარჩიაშვილს როგორი მალაყების გადასვლა შესძლებია, რასაც იგი ბევითონ სხვებს უსაყვედურებს.

წერილი მეორე და უკანასკნელი.

ამნაირათ ჩვენ დავინახეთ, რომ ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი თავის პირველ წერილში თავად-აზნაურობის და გლეხ-კაცობის ურთიერთშორის უარყოფს განხეთქილებას, ინტერესთა წინააღმდეგობას, რაც იმავე დროს ნიშნავს კლასობრივი ბრძოლის უარყოფას. გარდა ამისა ამავე წერილში იგი აღფრთოვანებით ეგებება ეროვნულ ავტონომიას, რომელსაც უქვეშევრდომილესი ადრესებით თხოულობდენ იმერ-ამერის თავად-აზნაურობა და ქართველი ბურჟუაზიის წარმომადგენლები. ასეთი იყო ბ-ნ ვლ. დარჩიაშვილის პირველი გამოსვლა ლიტერატურულ ასპარეზზე, ასეთი იყო მისი ეგრეთ წოდებული ქართველ თავად-აზნაურობის დიდი ღვაწლის მიჩნევა და მემამულეებსა და გლეხებს შორის ყოველგვარი განხეთქილების უარყოფა, აი მოკლეთ როგორი იყო ჩვენი ავტორის პირველი ნაბიჯი ამ ასპარეზზე. მაგრამ ბ-ნი დარჩიაშვილი ვერ შერჩა ამ პოზიციაზე. მას იმ თავითვე ეტყობოდა რყევა და ორპოფობა, რაც ამტკიცებდა მის შეხედულებათა გამოურკვევლობას და განუსაზღვრელობას. ის თითქო სინჯავდა ნიადაგს და თუ შემთხვევა იქნებოდა და საჭიროება მოითხოვდა, იგი გამოიცვლიდა თავის შეხედულებას. ამის ლოდინი დიდხანს აღარ დაგვჭირდა. შემდეგ წერილში (იხ. „ივერია", № 192 კლასობრივი ანტაგონიზმი და საერთო ინტერესები") ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი აშკარათ აღიარებს კლასობრივ ბრძოლას და გადაჭრით ამბობს: „კლასთა ბრძოლა გარდაიქცა იმ ბორბლათ, რომლის გარშემო ტრიალებს კაცობრიობის მთელი ისტორია", რომ ქვეყანაზე არ მოიპოვება არც ერთი ციდა ადგილი, სადაც შეიძლებოდეს ბურჟუაზიამ და პროლეტარიატმა ერთმანეთს სული გაუერთოს, **არ მოიპოვება არც ერთი სფერო, არც ერთი საკითხი, სადაც შეიძლებოდეს კლასობრივ ანტაგონიზმის დავიწყება, კლასობრივ თვალთახედვის წერტილის მიტოვება: ყოველივე საქმე, ყოველივე საკითხი მიუცილებლათ ემოწრჩილება კლასობრივ ინტერესთა წინააღმდეგობას, და თავის ახსნა-განმარტებას მიუცილებლათ პოულობს კლასთა ბრძოლის ქარ-ცეცხლში"**.

ამნაირათ აქ ყველაფერი შეტრიალებულია. თუ პირველ წერილში ბ-ნი დარჩიაშვილი ხმა მაღლა გაიძახოდა, რომ თავად-აზნაურნი და გლეხები ძმები და ამხანაგები არიან, რომ იმათ შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს, რომ, ერთი სიტყვით, იმათი ურთიერთობის ახსნა-განმარტებისათვის საჭირო არ იყო კლასთა ბრძოლის თვალთა

ხედვის ისრით ხელმძღვანელობა, ახლა იგი გადაპრით გვეუბნება, რომ არ მოიპოვება არც ერთი საკითხი, სადაც შეიძლებოდეს კლასობრივი ანტაგონიზმის დაეიწყება". რომ ყოველივე საკითხი მიუცილებლათ ემორჩილება კლასობრივ ინტერესთა წინააღმდეგობას და სხვა.

პირველი წერილის დაწერის შემდეგ გავიდა რაღაც თვე-ნახევარი, და ნუთუ ამ მოკლე ხნის განმავლობაში შესაძლებელი იყო, რომ ბ-ნ დარჩიაშვილს ასე შეეცვალა თავისი შეხედულება? ჩვენ ეს შეუძლებლათ მიგვაჩნია, ვინაიდან ის, რაც ადამიანს წლების განმავლობაში უსწავლია და შეუთვისებია, შეუძლებელია რომ ერთი თვის განმავლობაში უკუაგდოს. შეიძლება ბ-ნ დარჩიაშვილმა ჩვენი მსჯელობა ზოგად ფრაზებათ მიიღოს, ამიტომ მოვიყვანოთ მაგალითი.

პირველ წერილში ბ-ნი დარჩიაშვილი სხვილ მემამულეებს ე. ი. „გონებრივათ ჭეშმარიტ აზნაურებს" ასე იცავდა გლეხების თვალში: „ვთქვათ დიდ უმრავლესობას (იგულისხმება: თავად-აზნაურობისას) მართლა დიდი მამულ-დედული აქვს. ერთი მითხარით, რა თავში ვიხლი მამულ-დედულს, თუ ის ოხრათ, გამოუსადეგრათ ეგდება, ან არ შემეძლება ის ამოვაღებინო, რის მოცემაც მას შეუძლიანო"... ამით ბ-ნი დარჩიაშვილი გლეხებს აი რას აგონებდა: მართალია, თავად-აზნაურებს დიდ-ძალი მამულები აქვთ, მაგრამ რა ოხრათ უნდათ მათ ეს მამულები, როცა თავად-აზნაურებს, მემამულეებს, ამისგან არაფერი სარგებლობა არა აქვთ, ე. ი. სულ ერთია მამული გინდ ქონებია და გინდ არა: ამ მხრით შენ, უმიწაწყლო გლეხო, დიდი მემამულე ვერაფრით ვერ გჯობია; იგიც დატანჯულია და შენც. „თქვენ ორივე ერთ ტაფაში იწვითო; მეორე წერილში კი ბ-ნი დარჩიაშვილი სწერს: „მოგეხსენებათ, როგორ დრტვინვასა და ვიშ-ვიშს ეძლევიან ხოლმე ჩვენი მემამულენი და მეურნენი, როდესაც ეცემა ღვინისა, ან სულადის ფასი. ასე რომ, იაფი პური და ღვინო მუშაკთა ღვთის წყალობით, ნამდვილი ღვთის წყრომაა მემამულე-მეურნეთათვის". ერთი სიტყვით, პირველსა და მეორის წერილს შუა სრული, აშკარა წინააღმდეგობაა. რით უნდა აიხსნას ეს წინააღმდეგობა? შემთხვევით ვერ აიხსნება. ბ-ნი დარჩიაშვილი თვე ნახევარში ვერ შეიცვლიდა ასეთ თავის შეხედულებას. ჩვენის აზრით, ბ-ნ დარჩიაშვილს აქამდის ვერ შეუმუშავებია თავისი შეხედულება, ვერ გამოურკვევია ის გზა და ის მიმართულება, რომელსაც იგი ცხოვრებაში უნდა დასდგომოდა.

მეორე მხრით, თუმც ბ-ნი დარჩიაშვილი აღიარებს კლასთა შორის ბრძოლას, თუმც იგი გადაპრით სცნობს კლასობრივ ანტაგონიზმს და

,,ყველა საკითხი, მისი აზრით, თავის ახსნა-განმარტებას მიუცილებლათ პოულობს კლასთა ბრძოლის ქარცეცხლში'', მაგრამ ამ ბრძოლაზე მას სრულებით თავისებური წარმოდგენა აქვს; მის გონებაში ეს ბრძოლა იხატება არა ისე, როგორც ეს სინამდვილეში, ცხოვრებაში ხდება, არამედ სულ სხვანაირად. ბ-ნი დარჩიაშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ ,,კლასთა ბრძოლის 'საგანია არა პიროვნებათა მოსპობა, არამედ ცხოვრების პირობები, საზოგადოებრივი წეს-წყობილება, მთელი სოციალური ორგანიზაცია, მაგრამ სრულებით გაუგებარია შემდეგი მისი სიტყვები: ამას, ე. ი. საზოგადოებრივი წეს-წყობილების მოსპობას, ვერ მისწვდება ვერც ცეცხლით, ვერც მახვილით. **ძველი წყობილება რომ დაინგრეს და მის ნაცვლად დამყარდეს ახალი, ამისთვის აუცილებელი პირობაა სათანადო სოციალურ კლასების გონებაში მოხდეს ფსიხოლოგიური რევოლიუციაო.** აქ ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი ერთი ერთმანეთში ურევს ორ სხვადასხვა საგანს, ორ სხვადასხვა საკითხს: ერთი მხრით, კლასობრივი ბრძოლის გამოხატულებას, მის ფორმას და, მეორე მხრით, გარეგან საზოგადოებრივ წესწყობილების, ე. ი. საზოგადოებრივ ურთიერთობის ცვლილებას. კლასობრივი ბრძოლის საფუძველს შეადგენს კერძო საკუთრების არსებობა და საზოგადოების წევრების მოწინააღმდეგე ჯგუფებათ, წოდებათ და კლასებათ დაყოფა. საზოგადოებრივი წეს-წყობილება დამოკიდებულია საწარმოო ძალთა მდგომარეობაზე; იგი დაყრდნობილია ნივთიერ საფუძველზე; მისი ცვლილება დამოკიდებულია ნივთიერ წარმოების პირობების ცვლილებაზე. ასეთი ცვლილება ერთბაშათ არ ხდება, ნელ-ნელა მზადდება და როცა ნივთიერი პირობები უკვე საკმარისათ მომწიფებულია, მაშინ მოხდება ის, რასაც რევოლიუციას ვუწოდებთ. ბ-ნი დარჩიაშვილი რევოლიუციას და კლასობრივ ბრძოლას ურევს ერთმანეთში და ამასთანავე თვით რევოლიუცია მას მიაჩნია როგორც შედეგი გონებაში მომხდარ ცვლილებისა. ძველი წყობილება რომ დაინგრეს და მის ნაცვლად დამყარდეს ახალი, ამისათვის აუცილებელი პირობაა **სათანადო სოციალურ კლასების გონებაში მოხდეს ფსიხოლოგიური რევოლიუციაო''**, გვეუბნება ბ-ნი დარჩიაშვილი. როგორც ხედავთ, აქ იგი ნივთიერ პირობების ადგილას გონებას აყენებს. მისი წარმოდგენით, საზოგადოებრივი წესწყობილება რომ შეიცვალოს, ამისათვის საჭიროა ჯერ გონებაში მოხდეს ფსიხოლოგიური რევოლიუცია. ასეთი შეხედულება კი წმინდა იდეალისტურ-სუბიექტიურია, რომელიც კაი ხანია უარყოფილია საზოგადოებრივ მეცნიერებაში.

რა თქმა უნდა, ბ-ნ დარჩიაშვილს არ შეუძლია ეს არ იცოდეს, მაგრამ ასეთი იდეალისტურ-სუბიექტიური შეხედულება ისტორიაზე მისთვის საჭირო იყო იმის დასამტკიცებლათ, რომ კლასობრიეი ბრძოლა თანდათან ,,რბილი, მშვიდობიანი და კულტურული ხდება'', რამდენათაც განვითარებულია ეპოქა და მაღლა დგას სოციალური ჯგუფების კლასობრივი ცნობიერება, იმდენათ ხსენებული საშვალებანი და ფორმები (სოციალური ცელილების) უფრო რბილია, მშვიდობიანი და კულტურული. პირიქით, რამდენათაც განვითარებულია ეპოქა (საზოგადო ცხოვრება) და რამდენათაც დაბლა დგას კლასობრიეი ცნობიერება, იმდენათ კლასობრივი ბრძოლის ფორმები სასტიკია, მკაცრი, ბარბაროსული. ამ ჭეშმარიტებას ნათელ ყოფს დღევანდელი ევროპა და ამერიკა, ერთი მხრით და ოსმალეთი და რუსეთი მეორეს მხრით''. დავანებოთ თავი იმას, რომ აქ, კლასობრივი ბრძოლა და საზოგადოებრივ წეს-წყობილებაში რევოლიუციის მოხდენა ერთმანეთში დომხალივით არეულია. ბ-ნ დარჩიაშვილს უნდა ეკითხოთ: რა აქვს აქ მას მხედველობაში: სინამდვილე, წარსული ცხოვრება, ისტორია, თუ მარტოოდენ თავისი ოცნება? რომელი **„მოწინავე სოციალური ჯგუფები''** ჰყავს მას მხედველობაში, რომლების ,,კლასობრივ ცნობიერების განვითარებაზეა'' დამოკიდებული ის, თუ რამდენად ,,რბილ, მშვიდობიან და კულტურულ სახეს ღებულობს კლასობრივი ბრძოლა? მარტო პროლეტარიატი მიაჩნია მას ასეთ მოწინავე სოციალურ ჯგუფათ'', თუ ბურჟუაზიაც? ყველა ეს ისეთი კითხვებია, რომლებზედაც პასუხის მიცემა ბ-ნ დარჩიაშვილს არ ძალუძს. კაცობრიობის მთელი წარსული ცხოვრება გვეუბნება, რომ კლასთა შორის ბრძოლა არის ერთი უსაშინელესი და უსასტიკესი ბრძოლა და როცა ბ-ნი დარჩიაშვილი გვიმტკიცებს, რომ ,,პროლეტარიატის საქმე და მისწრაფებანი განხორციელებული სიყვარულიაო'' და რომ კლასთა ბრძოლის მქადაგებელი მტრობასა და სიძულვილს'' არ უნერგავს მის მოწინააღმდეგე კლასებისადმი, არამედ სიყვარულს, ეს ჩვენთვის წარმოუდგენელია.

მართალია, ჩვენ გვესმის, რომ პროლეტარიატის მისწრაფებაა ძმობის, ერთობის და თანასწორობის განხორციელება და, მაშასადამე, ნამდვილი სიყვარულის დამკვიდრებაა ადამიანთა ურთიერთობაში, მაგრამ ეს მხოლოდ მომავალს ეკუთვნის, როცა საზოგადოების კლასებათ გაყოფა სრულებით მოისპობა, როცა კლასობრივ განხეთქილებას სრულებით ადგილი აღარ ექნება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მანამ კი სიყ-

ვარულის ქადაგება წყლის ნაყვა და მოცლილ და უნიადაგო მორალისტის ხელობას შეადგენს. განა ვისმესთვის დასამალავია, რომ რევოლიუციონური პროლეტარიატი ბურჟუაზიულ და საზოგადოთ ყველა გაბატონებულ კლასების მიმართ სიყვარულით არ არის გამსჭვალული? და ამიტომ ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი სრულებით ამაოთ ცდილობს დააშოშმინოს პროლეტარიატის ყველა მოწინააღმდეგე კლასები იმაში, რომ პროლეტარიატი მათი შეურიგებელი მტერი არ არის. ნუ თუ ბ-ნ დარჩიაშვილს არ ესმის, რომ ასეთი შეხედულების გავრცელება გალაღებულ-გაბატონებულ კლასების დაცვა და ვექილობა არის, რასაც იგი ასე უსაყვედურებს ბატიევს, შულცე დელიჩეს და იმათ მიმდევართ. განა საერთაშორისო პროლეტარიატი და კერძოთ საფრანგეთის პროლეტარიატი დაივიწყებს 1848 და 1871 წლებს, როცა პარიზის ქუჩებზე და მიდამოებში საფრანგეთის ბურჟუაზიულმა მთავრობამ, განურჩევლად ხნოვანებისა და სქესისა, ათასობით და ათიათასობით პარიზის პროლეტარიატი გაჟლიტა და მისი სისხლით გაძღა? ან შეიძლება, ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი ფიქრობს, რომ დღეს ეს აღარ მოხდება, რომ დღეს, თუ პროლეტარიატი მოინდომებს თავისი მიზნის განხორციელებას, ბურჟუაზია მას დაზოგავს? თუ იგი ასე ფიქრობს, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მას სინამდვილის არა გაეგება რა და იგი ოცნების სამკვიდროში დაფრინავს.

ნათქვამიდან აშკარად სჩანს, თუ როგორი შემცდარი წარმოდგენა აქვს ბ-ნ ვლ. დარჩიაშვილს კლასობრივ ბრძოლაზე და კლასობრივ განხეთქილებაზე. აშკარაა, რომ მისი თვალთახედვის ისარი ამ შემთხვევაში არ არის რევოლიუციონური პროლეტარიატის თვალთახედვის ისარი, რომ ბ-ნ დარჩიაშვილის შეხედულება ამ საგანზე საზოგადოთ თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია ,,ფილისტერული'' და წმინდა ,,მეშჩანური'' *) აზროვნებით. გადავიდეთ ახლა ეროვნულ ავტონომიაზე. იგი ქართველი თავად-აზნაურობის, ქართველი სამღვდელოების და მათი ინტელიგენციის მოთხოვნათ მიიჩნია, -ის გმობს ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიას თავისი საკანონმდებლო თვითმართველობით და საყვედურს უცხადებს ყველა იმათ, ვინც კავკასიის ყველა ერების პროლეტარიატის მტკიცე კავშირით შეერთებას წინ ეღობება. ,,დღეს — გვეუბნება ბ-ნი დარჩიაშვილი, კავკასიის ყველა ერების შეგნებული პრო-

*) ვხმარობთ ამ უცხო ტერმინებს, რადგანაც ქართულ ენაზე შესაფერი ტერმინი არ არის.

ლეტარიატი უკვე ძმურათ შეერთებულია; იგინი ერთად მუშაობენ, ერთად მოქმედებენ, ერთსა და იმავე ორგანიზაციებში იმყოფებიან. ბურჟუაზია კი ნაციონალისტური პოლიტიკით ცდილობს შექნას ნიადაგი მათი გათიშვა-განცალკევებისა, ცდილობს მათი ძალები დაქსაქსოს, დაასუსტოს, გაობათილოს და ამის ნებას შეგნებული პროლეტარიატი არ მისცემს, რა თქმა უნდა, არც ერთ ერის ბურჟუაზიას''.

ასე ამბობს ბ-ნი დარჩიაშვილი, ის დარჩიაშვილი, ,,რომელმაც რაღაც ერთი თვის წინათ, სწორეთ ამ ავტონომიისათვის ასეთი ქებათა-ქება შეასხა ქართველ თავად-აზნაურობას, გონების ,,ქეშმარიტ'' თავადებს და ,,ზნეობით'' ქეშმარიტ აზნაურებს. როგორ მოხდა, რომ ერთ და იმავე ავტორს ეროვნული ავტონომია ,,მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის მავნებლათ მიაჩნია და მთელი ხალხისთვის სასარგებლოთ? როგორ მოხდა, რომ მას კიდეეაც სწამს საერთო ინტერესები და არც სწამს? ყოველივე ეს იმით აიხსნება, რომ მას ეროვნულ ავტონომიაზედაც არა აქვს გარკვეული შეხედულება, რომ მას ვერ შეუთვისებია ამ კითხვის შესახებ ის თვალთახედვის ისარი, რომლითაც ხელმძღვანელობს ამ ჟამათ რუსეთში მცხოვრებ სხვადასხვა ერების მებრძოლი, რეოლიუციონური პროლეტარიატი.

თუმცა ბ-ნმა დარჩიაშვილმა ზურგი აქცია ეროვნულ ავტონომიას, მაგრამ მის მაგივრათ მან წამოაყენა კავკასიის ავტონომია; ის ეროვნულ ავტონომიას სავსებით მაინც არ გამოთხოვებია, რასაც აშკარათ ამტკიცებს მისი წერილი პოლონეთის შესახებ (,,ივერია'' № 198). ერთი სიტყვით, იშვიათი იქნება მეორე ისეთი მწერალი, როგორიც ბ-ნი ელ. დარჩიაშვილია, რომელიც ასე არეულათ და დაბნეულათ სწერდეს, რომელიც მასავით ხან ასე გაიძახოდეს და ხან ისე.

საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე ასეთი რყევა, ასეთი მიხლა-მოხლა, წამდაუწუმ თავისი წინააღმდეგობა და მალაყების გადასვლა, მეტი რომ არა ვთქვათ, მეტად მავნებელი და გასაკიცხია. ჩვენ კიდეე ბევრი მაგალითების ჩვენება შეგვეძლო ბ-ნ დარჩიაშვილის ნაწერებიდან, მაგრამ რაც აღვნიშნეთ, ჯერ-ჯერობით ისიც საკმარისია მისი ლიტერატურული მოღვაწეობის დასაფასებლად და მისი შეხედულების გასაცნობათ.

ამით ვათავებთ ჩვენ მასთან კამათს და ვისურვებთ, რომ ასეთ მოკამათესთან შემდეგში აღარ დაგვირჩეს საქმე.

(ჟურნალი ,,მოგზაური'' 1905 წ.
20 ნოემბერი, № 41).

პროლეტარიატი და რევოლიუცია.

I.

გამოუთქმელი ტანჯვით და ვაებით, მედგარი და შეუწყვეტელი ბრძოლით რუსეთის რევოლიუციონური პროლეტარიატი დღეს დღესასწაულობს პირველ გამარჯვებას რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობაზე.

დღეს, როცა მდგომარეობა და ფაქტები წარმოუდგენელი სისწრაფით და სიჩქარით იცვლებიან, როცა თითქმის თითეული საათი, და შეიძლება წამიც, უდრის მთელ წლებს, დრო არ არის პროლეტარიატის წარსულ ბრძოლაზე ვილაპარაკოთ. ამ ჟამად საჭიროა თვით დღევანდელ პირობებს მივაქციოთ ყურადღება, დავაფასოთ და ავწონ-დავწონოთ, რამდენადაც კი შეგვიძლია, ის ფაქტები და ის მოვლენები, რომლებიც ასეთი სისწრაფით იცვლებიან და ვითარდებიან. რასაკვირველია, ჩვენ აქ გვერდს ავუვლით იმ დუხჭირ და უმსგავს მოვლენებს, რომლებიც ბნელი ძალების, საზოგადოებრივი ცხოვრების ნაძირალა ელემენტების მოქმედებას შეეხება. ყოველივე ეს თან ჰყვება ყოველთვის საზოგადოებრივ რევოლიუციებს, ყველა ძირითად ცვლილებებს საზოგადოებრივი წეს-წყობილებისას. დღეს აუცილებლად საჭიროა გავითვალისწინოთ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ნამდვილი განწყობილება, გამოიტანოთ სინათლეზე იმათი რეალური ძალები, იმათი ტაქტიკა და იმათი მისწრაფებები. თავის თავად იგულისხმება, რომ ჩვენი თვალთახედვის ისარი აქ არის კლასობრივი ბრძოლა.

მართალია, როგორც ერთ ადგილას შენიშნავს ფრ. ენგელსი, ყოველდღიური მიმდინარე მოვლენების დაფასების დროს შეუძლებელია იმათი უკანასკნელი, ეკონომიური მიზეზების გამოძებნა *), მაგრამ თუ ჩვენ გვინდა იმის გაგება, რაც დღეს ჩვენს თვალწინ ხდება, მხოლოდ ამ მიზეზებს უნდა მივმართოთ. უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ თუმცა რუსეთის დღევანდელი რევოლიუცია პროლეტარიატის თავგანწირული ბრძოლის ნაყოფია, მაგრამ არ უნდა გვავიწყდებო-

*) Маркс. Классовая борьба во Франции. წინასიტყვაობა.

დეს, რომ დღევანდელი რევოლიუცია ბურჟუაზიულია, ე. ი. მას უნდა მოყვეს ბურჟუაზიული წესწყობილების განმტკიცება, ბურჟუაზიის სრული გაბატონება. ამ მხრით რუსეთის დღევანდელი რევოლიუცია ჰგავს საფრანგეთის 1789 წ. და გერმანიის და ავსტრიის 1848 წლის რევოლიუციებს, მაგრამ განსხვავებაც არის. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მაშინ, როცა 1789 და 1848 წლებში ბურჟუაზია საკმარისად მომზადებული იყო თავის ინტერესების დასაცავად და პროლეტარიატს ,ი თითქმის სრულიად არ ჰქონდა გათვალისწინებული თავისი კლასობრივი ინტერესები, დღეს მდგომარეობა შეიცვალა: რუსეთის პროლეტარიატმა გამოიარა დიდი სკოლა, მისთვის უმნიშვნელოთ არ ჩაუვლია დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ; ერთი სიტყვით, რუსეთის მებრძოლი პროლეტარიატი დღეს შეგნებულ და გაცნობიერებულ მასას წარმოადგენს. ამიტომ თუ 1789 წ. და შემდეგ პროლეტარიატს ატყუილებდენ და ღალატობდენ სხვადასხვა გაბატონებული კლასები, დღეს ეს აღარ უნდა მოხდეს.

პროლეტარიატი, რასაკვირველია, არ ოცნებობს დღესვე ბურჟუაზიული წარმოების გაუქმებას და სოციალისტური წეს-წყობილების განხორციელებას. დღევანდელი მისი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მისთვის უზრუნველყოფილი იქნენ ისეთი პირობები, რომლებშიაც მას გაუადვილდება მთელი მშრომელი ხალხის მომზადება დღევანდელი ბურჟუაზიული წესწყობილების გასაუქმებლად და სოციალიზმის განსახორციელებლად. დღევანდელი პოლიტიკური ბრძოლა ტრიალებს მხოლოდ ამ კითხვის გარშემო. ეს ბრძოლა არ შესწყდება, სანამ დღევანდელი მთავრობის ადგილს ნამდვილი დემოკრატიული მთავრობა ე. ი. თვით ხალხის მიერ არჩეული მთავრობა არ დაიჭერს. თუ რა საფუძველზე აშენდება ახალი მთავრობა, ეს დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ ძალების ურთიერთ განწყობილებაზე, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეში იმ გარემოებასაც, რამდენათ შეგნებული აქვთ თავისი როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივ მომქმედ ჯგუფებს, პოლიტიკურ პარტიებს, და რამდენათ მართლად აფასებენ თავის ძალებს. ახლა განვიხილოთ, რაც შეიძლება მოკლეთ, ამ ჟამად რუსეთში მომქმედი, უკვე მოწყობილი პოლიტიკური პარტიები და აგრეთვე იმეებიც, რომლებიც მხოლოდ დღეს ეწყობიან და სამოქმედოთ ემზადებიან.

პირველად აქ ჩვენ უნდა შევჩერდეთ მთავრობის **რეაქციონურ ძალებზე**. რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობამ თავის ხანგრძლივ არსე-

ბობის დროს შექმნა და გააძლიერა მის მომხრეთა და დამცველთა ჯგუფები. მთავრობის პოლიტიკის გასაყვანათ და განსამტკიცებლათ საჭირო იყო ბუარეული, მოხელეები—ჩინოვნიკები; ამათ განკარგულებაში იყო და დღემდის არის რამდენიმე მილიონი ჯარი და ფლოტი. რა თქმა უნდა, ესენი საკუთარ პოლიტიკურ პარტიას როდი წარმოადგენენ, მაგრამ ისინი ყოველ წამში მზათ არიან დაიცვან ძველი თვითმპყრობელობა და ემსახურონ მთავრობის რეაქციონურ, უკან დამწევ, პოლიტიკას. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ ძველი მთავრობა ჯერ კიდევ ფეხზეა, ჯერ კიდევ ხალხის ბედს განაგებენ ის პირები, რომლებიც დღემდის თვითმპყრობელობის ნამდვილი იარაღები იყვენ.

სანამ მინისტრების, გუბერნატორების და სხვა მოხელეების დანიშვნა ძველი წესით ხდება, სანამ მთელი ქვეყნის სამხედრო ძალას, ე. ი. ჯარს და ფლოტს ძველი მთავრობის აგენტები განაგებენ და ხალხს არ აქვს თავისუფალი მილიციის შედგენის უფლება, რეაქციისათვის ყოველთვის შესაძლებელი იქნება მოპოებული თავისუფლება გათელოს და დროებით ძველ წესყობილებას ჩაუვარდეს ხელში ხალხის ბედ-ილბალი. თუმცა ჩვენ ეს დღეს შეუძლებლათ მიგვაჩნია, მაგრამ პროლეტარიატმა არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, რომ რეაქციის მომხრეებს ყოველთვის მომზადებული აქვთ მისთვის ხაფანგი. ამიტომ უწინარეს ყოვლისა ძველი მთავრობის სრული გაუქმებაა საჭირო. ჯერ კიდევ მას არ დაუყრია იარაღი, იგი კიდევ ფიქრობს თუ სრულებით გამობრუნებას არა, სანახევროთ მაინც. ამ მიზნით ძველი მთავრობა იცვლის თავის გარეგან კანს და გამოდის ვითომცდა „საზოგადოების კეთილმოაზრე უმრავლესობის“ სახელით. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ ამიერიდან მთავრობა იმოქმედებს ხალხის უმრავლესობის სახელით. მაგრამ ვინ არის ეს უმრავლესობა და რა გზით უნდა მთავრობას მისი ინტერესების დაცვა?

დღევანდელი სახელმწიფო კლასობრივი სახელმწიფოა. აქ მთავრობა გაბატონებული კლასების ორგანოა ხალხზე თავისი ბატონობის შესანარჩუნებლათ. რუსეთის დღევანდელი რევოლიუცია არ სპობს საზოგადოების კლასებათ დაყოფას, ე. ი. არ უღებს ბოლოს პროლეტარიატის გაყვლეფას, ექსპლოატაციას. ამიტომ მთავრობაც გაბატონებულ კლასების ორგანოა, ე. ი. იმათი ინტერესების დამცველი, მაგრამ რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა თავისი იერიშით თავზარი დასცა როგორც მთავრობას, ისე თვით გაბატონებულ კლასებსაც, და აი, დღეს, როცა

რევოლიუციის ცეცხლი პროლეტარიატის მიერ ანთებული, მთელ რუსეთს მოედვა და მთელი ძველი რეჟიმი ლამის არის შთანთქას და გაქარწყლოს, მთავრობა ზოგიერთ თავის უფლებაზე ხელს იღებს და იმავე დროს პროლეტარიატთანაც დაძმობილებას აპირებს და მეგობრობას ჰპირდებიან თვით ბურჟუაზიული პარტიებიც. მაგრამ ერთი ვიკითხოთ: სად იყვენ აქამდის? განა თავისუფლება სიტყვის, თავისუფლება კრების და კავშირის, პიროვნების ხელშეუხებლობა დღეს არის საჭირო და წინათ კი არა? სად იყო და რას ფიქრობდა მთავრობა მაშინ, როცა ნება დაურთველად შეკრებისათვის და თავისუფალი სიტყვისათვის ჩვენს ამხანაგებს, ჩვენ ძმებს და დებს ციხეში ალპობდა და აციმბირებდა და ტყვიით და მათრახით უმასპინძლდებოდა? სად იყვენ ბურჟუა-ლიბერალები მაშინ, როცა რუსეთის პროლეტარიატი დამცირებული და შეწუხებული, მშიერი და მწყურვალი, თავის ბნელ სარდაფებში, ჭუჭყიან სადგომებში, მოკლებული ყოველგვარ საშუალებას, ჩაყენებული აუტანელ პირობებში, ტიტანისებურ შრომას ეწეოდა მთელი რუსეთის ხალხის განსათავისუფლებლათ მრავალ საუკუნოების მონობის ბორკილებისაგან. და აი, როცა მუშა ხალხმა ყველას აშკარად დაუმტკიცა, თუ რა ძალას წარმოადგენს ერთი გრძნობით და ერთი სურვილით გამსჭვალული პროლეტარიატი, აი სწორეთ ამ დროს ერთი მხრით მთავრობა და მეორე მხრით ბურჟუა-ლიბერალები მუშებს რაღაცას უთმობენ და თანაგრძნობასაც უცხადებენ! გრაფ ვიტტეს მთავრობამ, მაგ., მთელ რუსეთის პროლეტარიატს 20-დეპუტატის არჩევის უფლება მისცა ეგრეთ წოდებულ სახელმწიფო სათათბიროში. ასეთი დათმობა მეფის მთავრობასაც შეეძლო, ეს ჩვენთვის საჭირო არ არის. ჩვენთვის საჭიროა მთელი რუსეთის პროლეტარიატის გაერთიანება და ერთი დროშის ქვეშ შეერთება. აი რისი იმედი გვაქვს, აი საით უნდა იყოს მიმართული მთელი ჩვენი ძალ-ღონე. ჩვენ ერთხელაც არ ვულალატებთ ჩვენს ლოზუნგს: მუშა-ხალხის განთავისუფლება თვით მუშების საქმეა და სხვისი არაისი.

(ჟურნალი „მოგზაური" 1905 წ.
6 ნოემბერი, № 39).

შინაური მიმოხილვა.

I.

ბევრი გასაკვირველი რამ ხდება ამ ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში; აგერ გაიხედავთ და გაოცდებით, რომ გუშინდელი ფეოდალი, ერთი იმ ჩვენი დროის „რაინდთაგანი", რომლის ტიპი უკვდავ-ჰყო ეგ. ნინოშვილმა, დღეს ხალხის, გაჭირვებული გლეხ-კაცობის მეგობარი გამხდარა, ხატზე და ჯვარზე ფიცულობს, რომ იგი ხალხის ერთგულია, რომ იგი უზომო სიყვარულით არის შეპყრობილი ძონძებში გახვეული გლეხკაცობისადმი. მოდი და ამის შემდეგ ნუ აგიყუჩდება გული, ნუ აგიცრემლდება თვალები? ახლა გაიხედავ მეორე მხარეზე და იქ თქვენ დაინახავთ მომწიფებულ, დიპლომიან ვაჟბატონს, რომელსაც გუშინ თავში არავითარი აზრი არ ჰქონდა, მიმართულება მისთვის არ არსებობდა, არავის არ ემხრობოდა და საჯაროთ გაიძახოდა, რომ არ ვიცი ვის მიევმხროო, და დღეს კი გამოსულა საზოგადოებრივი მოქმედების ასპარეზზე და მეთაურობას კისრულობს, ხელმძღვანელი ხდება. საიდან, როგორ ხდება ასეთი ცვლილება? ნუ თუ გუშინდელ რაინდს შეუყვარდა გლეხი? ან უაზრო და ყოველგვარ მიმართულებას მოკლებული ადამიანი ერთბაშათ ასე გამოიცვალა? რასაკვირველია, რომ ამის მსგავსი არაფერი არ მომხდარა, მხოლოდ გარემოება გამოიცვალა, სხვა ქარმა დაბერა. და ეს ვაჟბატონები ხედავენ, რომ დღეს ძველებურათ დროს ტარება აღარ გამოადგებათ. საჭირო ხდება, რომ ისინიც აყვენ სხვის ფეხის ხმას, რათა საზოგადოების ყურადღება დაიმსახურონ, რომ ვითომც ისინი ხალხისთვის თავდადებული არიან!

და აი, გამოდის, რომ როგორც გუშინდელი რაინდი, ისე ის, ვისთვისაც აზრს და მიმართულებას არასოდეს არავითარი ფასი და მნიშვნელობა არ ქონდა, დღეს ხალხის მხსნელებათ რაცხვენ თავის თავს. პირველი შეხედვით, ესენი არც კი სტყუიან: ისინი ეროვნების დამცველები არიან; იმათ სურთ, რომ საქართველო მარტო ქართველი ხალხისთვის იყოს, განურჩეველათ წოდებისა და ხარისხისა. წარმოიდგინეთ, ისინი ისე გულუხვი არიან, რომ საქართველოს და ქართველი ერის ბედ-

ნიერებისათვის ავტონომიასაც კი თხოულობენ! აბა, თქვენ რა იცით, თუ რა მომხიბლავი ძალა აქვს ამ სიტყვას! ვინც არ დასწრებია თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის საგანგებო კრებას, რომელიც ამ ათი დღის წინათ მოხდა თბილისში, იგი ვერ წარმოიდგენს იმ აღფრთოვანებას, რომელსაც ამ სიტყვის გაგონება იწვევდა ქართველ ნაციონალისტების გულში. სწორეთ საკვირველი იყო ეს კრება! აქ თითქო უენოებმაც კი ხმა ამოიღეს. წარმოიდგინეთ, იმათაც კი ახადეს საცო ბაგეს, ვინც მთელი წლების განმავლობაში მარტო იმის მეცადინეობაში იყვენ, რომ ქართული ენა, ქართული ლიტერატურა და საერთოდ ქართული აზროვნება ჩაეკლა, დაეხშო. აი, ესენი ახლა მოსარჩლეობას უწევდენ ქართულ ენას და ქართულ ლიტერატურას! აქ იჩენდენ გამბედაობას და თავგანწირვას, დებდენ სამშობლოსათვის თავს. ვინ მოთვლის რას არ პირდებოდენ ქართველ ხალხს, რომელსაც ისინი მთელი საუკუნოების განმავლობაში არბევდენ და ანადგურებდენ. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ შეიძლება ორიოდე პირი აქაც ერია ისეთი, რომლებსაც მართლა გულწრფელათ სურდათ ხალხისთვის სიკეთე. მაგრამ ჩვენ იმათ შესახებ არ ვლაპარაკობთ. ისინი მხოლოდ წვეთია ამ ზღვაში. აი ვინ არიან ისინი, ვინც ქართველ ხალხს ბედნიერებას პირდება, ვისაც მისთვის ავტონომია სურს! მაშ, თქვენ არ თანაუგრძნობთ ავტონომიას, მაშ, თქვენ არ გინდათ, რომ ჩვენ ხალხს ავტონომია მიანიჭონო—შეიძლება დაგვეკითხონ ჩვენ ზოგიერთები. ამაზე ჩვენ გადაჭრით უნდა ვუპასუხოთ, რომ ჩვენ ავტონომიის მომხრე ვიქნებით მხოლოდ მაშინ, როცა ამას თვით ხალხი მოითხოვს. მანამ კი ჩვენ ავტონომიის წინააღმდეგი ვართ. უნდა იცოდეთ, რომ დღეს ხალხი უწლოვანი აღარ არის, რომ მას დღეს აღარ ესაჭიროება აპეკუნები. სწორეთ იმით არის დიდებული დღევანდელი წამი, რომ დღეს ჩვენ აშკარათ ვხედავთ ხალხის მომწიფებას. ამიტომ დღეს ხალხის დაუკითხავათ არავის უფლება არა აქვს მისთვის რაიმე ითხოვოს ან მისი სახელით სადმე იშუამდგომლოს. მეორე მხრით, დღევანდელ პირობებში მშრომელი ხალხის ინტერესი სრულებით იმას არ თხოულობს, რომ საქართველოს ცალკე ავტონომია მიენიჭოს; პირიქით, დღეს ისეთი დროა, როცა მთელი მშრომელი ხალხი უნდა შეერთდეს და საერთო მტრების წინააღმდეგ შეერთებული ძალით მიიტანოს იერიში. ერთი სიტყვით, დღევანდელ პირობებში ავტონომიის მოთხოვნა არა თუ უაზრობაა, მავნებელიც იქნება მშრომელ ხალხის ინტერესებისათვის. თავის თავად იგულისხმება, რომ არავითარ სერიოზულ მნიშვნე-

ლობას არ ვაძლევთ თავად-აზნაურობის დადგენილებას; იგი ისევე ფუ-ჭეა, როგორც ჩვენი ნაციონალისტების სხვა მრავალი ოცნებები. ჩვენ ამაზე იმიტომ შეეაჩერეთ მკითხველის ყურადღება, რომ აქ ბრძენმა „ივერიამ“ ,,ეროვნულ-პოლიტიკური მომწიფების და გონიერების“, „შე-სანიშნავი სიფხიზლის და ცნობიერების“ (,,ივერია‘‘ № 43) საუნჯე ამოაჩინა, და ბოლოს ისიც დაურთო, რომ ,,მხოლოდ ოთხი ხმა აღ-მოჩნდა საქართველოს ავტონომიის მოწინააღმდეგეო‘‘. ამაზე მეტი სი-ყალბე შეუძლებელია! და მერე ვის ატყუილებენ ეს ვაჟბატონები? კარ-გათ დაფიქრდით, ვისთან გაქვთ საქმე, ან ვისზე ამყარებთ თავის აზრს. კარგია კიდევ, რომ რამდენიმე დღის შემდეგ იმავე გაზეთის მეთაურ წერილში იყო დაბეჭდილი ერთი ფრიად საგულისხმიერო საბუთი, რო-მელიც აშკარათ მოწმობს, თუ როგორ უდროვო ნასკვენის გამოსკვნა სცოდნია ,,განახლებულ ივერიას‘‘.

ამ მხრით მისთვის უფრო საგულისხმიეროა თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას გვერდში ამოვუყენოთ საქართველოს მეორე კუთხის, ცნობილი თედორე ჟორდანიას [18]) სამშობლოს თავად-აზნაურთა კრება, რომელიც ამას წინეთ მომხდარა დ. ზუგდიდში მაზრის წინამძღოლის თ-დ დ. დადიანის თავმჯდომარეობით. ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ თა-ნაუგრძნობენ სამეგრელოს თავად-აზნაურნი საქართველოს ავტონომიას, ე. ი. ქართულ ენას, ქართულ ეკლესიას და სხვა ამისთანა ეროვნულ საგნებს, ხოლო ის კი საკმარისათ გამოაშკარავდა, თუ როგორ უყუ-რებენ ისინი ქართველ გლეხებს და იმათ დღევანდელ გამოფხიზლებას. კრების დაწყებისთანავე თავმჯდომარეს განუმარტავს თავად-აზნაურობი-სათვის გლეხების მოძრაობის ხასიათი და სხვათა შორის აღუნიშნავს, რომ ეს მოძრაობა ,,სრულ განადგურებას უქადის თავად-აზნაურობა-სო‘‘.—დღეს ჩვენი გლეხობა—ეთქვამს მას—უგნურ და გადავარდნილ ყაჩაღ პროპაგანდისტების წყალობით ცეცხლითა და მახვილით გალაშ-ქრებულა თავად-აზნაურობაზეო‘‘. (,,ცნ ფურ.‘‘ № 2791).

კრების მიზანი იყო რაიმე საშუალება გამოენახა გლეხების დასამ-შვიდებლათ. ამ კრებაზე ყოფილან ისეთები, რომელთაც ესმით გლეხე-ბის დღევანდელი მოძრაობის მიზეზი და მის მოსასპობათ სასტიკი ღო-ნისძიებათა ხმარება სრულებით უსაფუძვლოთ მიაჩნიათ (ვ. ნ. ალშიბაია, ი. მეუნარგია და თ-დი მ. კ. დადიანი). მხოლოდ კრების უმრავლესო-ბას შეადგენენ ისინი, ვისაც სასტიკი, ჯოჯოხეთური ზომებით სურს. დღევანდელი მოძრაობის ჩაქრობა. ამათ შორის თავი უსახელებია ვლ.

ალშიბაიას, თ-დ მენგრელსკის მამულების გამგეს. აი რა უთქვამს ამ ვაჟბატონს: ,,გლეხს დღეს არაფერი გაჭირვება არ ადგია, იგი ცხოვრობს სრულ კმაყოფილებაში და სამწუხაროთ, ვერ შეუგნია თავისი ბედნიერი მდგომარეობა, აყოლია ფეხის ხმას და დადგომია საზიზღარ გზას. მისი მდგომარეობა კარგია და კიდევ უკეთესი იყო წარსულში. უნდა ვიტიროთ და დაჩოქით მოვიხსენიოთ ის თავად-აზნაურები, რომელთაც გლეხებს ნდობა და ერთობა გამოუცხადეს. **როდესაც დაიწვება ერთი აზნაურის და თავადის ოჯახი, უნდა დაიწვას ასი გლეხის ოჯახი! როდესაც მოკლული იქნება ერთი ჩვენგანი, უნდა მოიკლას ათასი გლეხი. მათი დამშვიდება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა აქ იშენ-იგრიალებს თოფ-ზარბაზანი!**" ასე ლაპარაკობდა ბ-ნი ელ. ალშიბაია თავად-აზნაურობის კრებაზე და კრების უმრავლესობაც სწორეთ ამასვე თხოულობდა! ალშიბაიას სიტყვების განმარტება საჭირო არ არის; მე მხოლოთ აი რას ვიტყვი: ბ-ნი ელ. ალშიბაია რომ ,,თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებებს დასწრებოდა, იგი იმ ოთხი პირის რიცხვში არ დარჩებოდა, რომლებიც ავტონომიის წინააღმდეგი შეიქნენ.

ერთ თეთრ კენჭს ამავე ავტონომიის სასარგებლოთ უეჭველათ ახლანდელი ქუთაისის ქალაქის თავი, ბ-ნი ლორთქიფანიძეც ჩაუგდებდა ყუთში ჩვენ ნაციონალ-დემოკრატებს, მაგრამ ეს იმას სრულებით არ ნიშნავს, რომ ამ ვაჟბატონსაც უყვარს თავისი ერი, თუნდაც ისინი, ვინც იგი ამ თანამდებობაზე აირჩიეს. დღეს ვინ არ იცის, თუ როგორ იცავს პოლიცია მცხოვრებლების ინტერესებს, თუ როგორ ფეხქვეშ თელავს იგი ყოველგან ყოველგვარ ადამიანურ ღირსებას, თუ რა ზომებს ხმარობს იგი მშვიდობიანი ხალხის წინააღმდეგ. ამის მაგალითი თვით ქუთაისის ქალაქის თავსაც წინ ჰქონდა, თებერვლის ამბების შემდეგ, უფრო შორს რომ არ წასულიყო. მაგრამ ვინ ბ-ნი ლორთქიფანიძე და ვინ ქალაქის მცხოვრებთა ინტერესების დამცველი! განა იმისთვის წამოჯდა იგი ქალაქის თვითმართველობის სავარძელში, რომ მცხოვრებლების ინტერესებისათვის ეზრუნა? ბ-ნი ლორთქიფანიძე დიდი ხნის ქუთეთური ადვოკატი იყო, რომლის მოღვაწეობა იმერულ ხრიკებზე იყო აშენებული და როცა ამგვარ მოღვაწეობისათვის მოიშალა და ჩვეულებრივი მოქმედება აღარ შეეძლო, მაშინ წამოსკუპდა ქალაქის თავის სავარძელზე. თუ როგორ აირ-დაირია ქალაქის საქმეები ამის შემდეგ, თუ როგორ მისგან და ბ-ნ ზდანოვიჩისაგან შემდგარი ბრბო სისტემატიურათ

ატყუილებდა და ძარცვავდა ქალაქს, ამის უტყუარი საბუთები დღეს ყველა ჩვენ ხელშია, მაგრამ სამწუხაროთ დღეს ამისთვის არ გვცალია. დღეს ეს მატყუარა მოღვაწე გამოსულა და ქვეყანას არწმუნებს, რომ ჩვენი დამცველი და პირში სულის ჩამდგმელი პოლიცია არისო და ჩვენ იგი უნდა გავამრავლოთ და დიდი ჯამაგირები დავუნიშნოთო. მათთვის ჩვენი სისხლით კვება არ კმარა, საჭიროა კიდევ ქალაქის მცხოვრებთ ლუკმაც გამოცალონ პირიდანო. ბ-ნ ლორთქიფანიძეს ამაში ბანი მისცა 10 ხმოსანმა, და იმათ შორის ერთმა სასამართლოს უწყების მოხელე ჩინოვნიკმა ბ-ნმა ციციანოვმა! ეს ყოველივე საგულისხმიეროა. სასამართლოს წარმომადგენელი პოლიციის გაძლიერებას ცდილობს. აი რათ გადაიქცა დღეს სასამართლო, აი რა დაღი დაასვა მას ადმინისტრაციის ოპეკამ. დრო ამომრჩევლებმა ყური გამოიფხეკონ,—თუ ვის აბარებენ, ვის ირჩევენ ისინი თავის ინტერესების დასაცველათ.

II.

ჩვენმა ავტონომისტ-ფედერალისტებმა დაკრეს ბუკი და ნაღარა და ერთ წუთსაც აღარ ცხრებიან. ავტონომია და ფედერაცია! აი რა იხსნის ჩვენ ხალხს, აი რა უშველის მას, რა გამოაფხიზლებს, რა წასწევს წინ, რა მიანიჭებს ბედნიერებას, ჩამოაგდებს სათნოებას და დაამყარებს კაცთმოყვარეობას! ავტონომია დაახლოვებს ხალხს მთავრობასთან, შექმნის სახალხო მთავრობას, მოგვანიჭებს თავისუფლებას, მოსპობს ბურჟუაზიას. ავტონომია დღეს სახელმწიფო ბედნიერების უკანასკნელი სიტყვაა, ეს შეურყეველი ჭეშმარიტებაა, რომელსაც წინ ველარ აღუდგება ვერავითარი ძალა. იგი არა სწამთ მხოლოდ დაბრმავებულ ადამიანებს, მის სარგებლობას ვერ გრძნობენ მხოლოდ ხალხის მატყუარები, სხვისი გამარჯვების მოშურნეები. მაგრამ მოვიდა დრო, როცა მის იდეალებში დარწმუნდება, მის სარგებლობას ყველა შეიგნებს. დღეს კი ვინც საქართველოს ავტონომიას უარყოფს. და ქართველ თავად-აზნაურობას და ,,ივერია—„ცნობის-ფურცელს'' გვერდში არ ამოუდგება, იგი ხალხის მოღალატეა, მას მშრომელი ხალხის სიავე სურს. საქართველოს ავტონომიის მოწინააღმდეგეთ არავითარი საბუთი ხელში არ უჭირავთ, მხოლოდ ცილის-წამებით და ჭორებით გადიან ფონს. ვინიცობაა, თუ იმათ გაიმარჯვეს, ვინცობაა, თუ ჩვენ ნაციონალურ—ტერიტორიალურ ავტონომია არ მოგვენიჭა და მთელ რუსეთში ერთი ცენტრალური

საკანონმდებლო ორგანო, ანუ პარლამენტი დაწესდა, ქართველ ხალხს მაშინ აღარ ეცხოვრება, ჩვენ გამოგვსრესენ, ჩვენი მოსარჩლე იქ აღარავინ იქნებაო. აი მთელი ავლა-დიდება ჩვენი ავტონომისტ—ნაციონალისტებისა! აი მთელი დაუშრეტელი წყარო იმათი არგუმენტაციისა. ბეჭდავენ აურაცხელ წერილებს, მართავენ კრებებს, რომ ქართველი მუშა ხალხი დაარწმუნონ საქართველოსათვის ავტონომიის საჭიროებაში, მაგრამ ყოველივე ეს ჯერ-ჯერობით უნაყოფოთ რჩება: ქართველი მშრომელი ხალხის მოწინავე რაზმი გუდაჭრით უარს აცხადებს დღევანდელ პირობებში ავტონომიაზე. რით აიხსნება ეს? შეიძლება ქართველი მუშა შეუგნებელია, მას არ ესმის თავის სარგებლობა? და მის მაგიერ, მის ზურგს უკან ამოფარებული, შეიძლება სხვა ვინმე, „დასელი'' ლაპარაკობს? თუ ეს ასეა, თუ მართლა ქართველი მუშა ხალხი, მისი მოწინავე რაზმი მაინც ასე შეუგნებელი და გონება დახშულია, თუ მისი მოტყუილება ადვილათ შეუძლია რომელიმე ,,დასელს'', რათ ავტონომისტ-ფედერალისტების გამუდმებულმა ღაღადმა იგი ვერ აკდუნა და თავისებურათ ვერ მოარჯულა? მაგრამ უფრო გასაკვირალი მეორე გარემოებაა, სახლდობრ ის, რომ ჩვენი მუშა ავტონომისტ-ფედერალისტებს არც ისე შეუგნებლათ მიაჩნიათ; პირიქით, საქართველოსათვის ავტონომია; იმათი აზრით, სწორეთ იმიტომ არის საჭირო, რომ ქართველმა მუშა ხალხმა უკვე დაამტკიცა ის, რომ იგი მომზადებულია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა უკეთეს საფუძველზე გასაწყობათ, რომ იგი კულტურულათ მაღლა დგას რუსის მუშა ხალხზე. მაშ, თუ ასეა, რათ ჩვენ მუშა ხალხს ვერ შეუგნია ავტონომიის სარგებლობა? ორში ერთი—ან მუშა ხალხი სრულებით მოუმზადებელია, ან ავტონომიას არ შეუძლია მისი დღევანდელი საჭიროების და მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ე. ი. ავტონომია არ შეესაბამება მის დღევანდელ მდგომარეობას. მაგრამ, როგორც ვიცით, მუშა ხალხის მომზადებას ვერ უარყოფენ ჩვენი ავტონომისტები, ამიტომ ისინი აქ თავისი-თავის წინააღმდეგი ხდებიან, როცა გაიძახიან, რომ მუშა ხალხს არ ესმის ავტონომიის მნიშვნელობაო.

არა ნაკლებ წინააღმდეგობას იჩენენ ისინი მაშინაც, როცა გაიძახიან, რომ სრულებით არ ვთხოულობთ განცალკევებას რუსეთთანო. რუსის ხალხთანო. ამ შემთხვევაში რაღას ნიშნავს ცალკე საკანონმდებლო კრების, ანუ ნაციონალური პარლამენტის დაარსება, რომელსაც რუსეთის პარლამენტის დამოუკიდებლათ შეეძლება კანონების გამოცემა? თუ ამ ქართულ პარლამენტს მხოლოდ ადგილობრივი საქმეების მო-

წესრიგება ექნება მინიჭებული, ამისათვის ავტონომია სრულებით საჭირო არ არის, რადგანაც ეს საესებით იქნება დაკმაყოფილებული იმ ვრცელი საოლქო თვითმართველობის ნიადაგზე, რომელსაც თხოულობს მუშა ხალხი. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენს ნაციონალისტებს ასეთი თვითმართველობა როდი აკმაყოფილებს. მათ სურთ საქართველოს ცალკე გამოყოფა, საკუთარი ბურჟუაზიული მთავრობის შექმნა, და ყოველივე ეს მუშა ხალხის სასარგებლოთ და როცა მათ ეუბნებიან, რომ ჩვენთვის კი არ არის საჭირო, ჩვენ არ გვინდა ზედმეტი ბარგი ავიკიდოთ, ჩვენ არ გვინდა, რომ ორი საკანონმდებლო ბურჟუაზიული მთავრობა შეექმნათ, ისინი ამაზე გვიპასუხებენ, რომ ჩვენი ბურჟუაზია სუსტია და მთელი კანონმდებლობა მუშა ხალხის ხელში გადავა და რათ არ გინდათ ესო! თუ სუსტია, ეს კარგი, მაგრამ ბურჟუაზიული მთავრობა არ ეცდება მის გამაგრებას, როცა კანონმდებლობა მის ხელში იქნება? ვინ არის ამის თავდები? ან შეიძლება ავტონომისტებს სურთ ვისმეს დაჯერება იმაში, რომ პოლიტიკურ რეფორმას სოციალური რეფორმაც თან მოყვება. ნუ თუ ისინი ასე გულუბრყვილონი არიან? ან შეიძლება სხვები გონიათ ასეთი გულუბრყვილონი?

ჩვენ აქ არას ვამბობთ იმაზე, რომ საქართველოს ავტონომია დღეს ნიშნავს ქართველი მუშა ხალხის დაშორებას მთელი რუსეთის მუშა ხალხთან; რომ იგივე ავტონომია მოასწავებს ნაციონალურ განწყობილების გაძლიერებას, ერთა შორის მტრობის და მძულვარების განვითარებას. საქართველოს ნაციონალურ-ტერიტორიალურ ავტონომიას დღეს მხოლოდ ნაციონალური შუღლის და მტრობის გაძლიერება შეუძლია, კლასობრივი ბრძოლის გადაფეჩეჩება და დამშვიდება; ყველა ის საბუთები, რომლებიც ჩვენ ავტონომისტებს მოყავთ ავტონომიის სასარგებლოთ, ჩვენ მეტათ უსაფუძვლოთ, ბავშურათ მიგვაჩნია, რომ იმაზე ღირდეს შეჩერება.

აქ აღვნიშნავთ მხოლოთ იმას, რომ როცა ჩვენი ავტონომისტები, ფედერალისტები და მათი მსგავსნი გამუდმებით ავტონომიის სარგებლობაზე ლაპარაკობენ, ქართველი თავად-აზნაურები, რომლებიც იმავე დროს ავტონომიის თავგამოდებული მომხრეები არიან, არხეინათ განაგრძობენ ქართველი სოფლის მუშების, გლეხების აწიოკებას, განადგურებას, ამოელეტას და მათი ცოლების და დების გაუპატიურებას და ნამუსის ხდას.

ასე მოუვიდა თფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოებას. ვის არ ახსოვს ის, რაც აქ, თბილისში, ამ ხუთი წლის წინეთ მოხდა, როცა პირველათ გაიფიცენ ხსენებული საზოგადოების მოსამსახურენი? ვის არ წარმოუდგება თვალ-წინ მაშინდელი სისხლის ღერა, რომელიც ტრამვაის მოსამსახურეთი გაფიცვამ გამოიწვია. მეორე მხრით, წყნარათ და მშვიდათ მოხდა ახლანდელი გაფიცვა! რა მოხდა ამ ხუთი წლის განმავლობაში? მოხდა ის, რომ ტრამვაის მოსამსახურეებმა შეიგნეს თავისი მდგომარეობა, მიხვდენ, რომ ისინი წევრებია მთელი მუშათა კლასის, პროლეტარიატის; რომ მათი ინტერესები ეწინააღმდეგება მთელი ბურჟუაზიის ინტერესებს, ამიტომ იმათი გამარჯვებისათვის საჭიროა მთელი პროლეტარიატის შეერთება, შეერთებული ძალით მოქმედება და ბრძოლა ბურჟუაზიასთან. და აი, ეს შეერთება არის უძლიერესი იარაღი, რომელიც ამ ხუთი წლის განმავლობაში მოიპოვეს დანარჩენ მშრომელ ხალხთან ერთად ტრამვაის მოსამსახურეებმა. გარდა ამისა, ერთი ცვლილება კიდევ სხვა მოხდა, არა ნაკლებათ ღირსი აღნიშვნისა. ჩვენ ვამბობთ იმას, რომ ტრამვაის საზოგადოებას დღეს მთავრობა ველარ უწევს შფარველობას, როგორც ამ ხუთი წლის წინეთ ჩადიოდა. პოლიციელების და ჟანდარმების ხმალს, ყაზახ-რუსების მათრახებს, კეტებს და სალდათების თოფებს დღევანდელ გაფიცვის დროს ველარ იშველიებდა უსახელო საზოგადოება თავის მოსამსახურეთა დასამორჩილებლათ. ეს ამბავიც საგულისხმიეროა კავკასიის მუშა ხალხის ისტორიაში. ჩქარა სამი კვირა შესრულდება, რაც ეს გაფიცვა გრძელდება. მას ჯერ დასასრული არ უჩანს. უსახელო საზოგადოების გამგეები, როგორც დაჩვეული არიან თავის მოსამსახურეების დატყუილებას, დღესაც ყოველ ღონეს ხმარობენ ამავე მიზნით. უკანასკნელათ კიდევაც მოიწვიეს მოსამსახურეების წარმომადგენლები, ვითომც კიდევაც შეპირდენ ყველა მოთხოვნების დაკმაყოფილება, მაგრამ ყველაფერი ეს თურმე ხრიკი იყო, ჩვეულებრივი ოინი მოსამსახურეების დასატყუილებლათ. მაგრამ მუშები აღარ გაებენ მახეში, რომელსაც მათ გამოცდილი და დახელოვნებული ოინბაზები, საზოგადოების გამგეები, ფეხ-ქვეშ უგებდენ—ამით ტრამვაის მოსამსახურეებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავის მომზადება და გამჭრიახობა. ვისურვოთ მათი გამარჯვება.

III.

ბმას წინათ დაუჯერებელი ამბავი გავრცელდა ჩვენში. იმ დროს, როცა ყველანი გაფაციცებით თვალს ადევნებდა იმ დიად მოძრაობას, რომელიც ერთნაირათ მოსდებოდა ევრ-ამერის გლეხკაცობას, ხმა გავრცელდა, რომ გორის მაზრაში შესდგა თავად-აზნაურთა ერთი ჯგუფი, რომელიც თავის დაცვის დევიზით დღევანდელი მოძრაობის წინააღმდეგ ილაშქრებსო. ეს ხმა პირველათ ყრუთ გაისმოდა. შემდეგ გაზეთებშიაც იყო გამოცხადებული, რომ ასეთი ჯგუფი მართლა არსებობსო. წარმოიდგინეთ ჩემი გულუბრყვილობა, რომ მე ის მაინც არ მჯეროდა. მაგრამ რომ კაცმა იკითხოს, რა იყო აქ დაუჯერებელი, ან გასაკვირვალი? გლეხების დღევანდელი მოძრაობა ერთი მხრით მიმართულია მემამულეების წინააღმდეგ. თუ რისთვის არის ეს ასე, ამის განმარტებას მკითხველი ჩვენ არ მოგვთხოვს, რადგანაც ეს დღეს საკმარისათ გამორკვეულია. აშკარაა, თავად-აზნაურობა, როგორც მიწათ-მფლობელთა კლასი, თანაგრძნობით ვერ მიეგებებოდა ამ მოძრაობას. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ თავად-აზნაურობა წინააღმდეგობას გაუწევდა მას, შეეცდებოდა თავის ნივთიერი ინტერესების დასაცველათ მისთვის მავნე მიმართულების აღმოფხვრას. როგორც ხედავთ, აქ არაფერი გასაკვირალი და დაუჯერებელი არ არის, მაგრამ ჩვენ ურწმუნოებას ფარდა ახადა ბ-ნმა ლ. არავინმა (გაზ. „Нов. Обоз."-ში). როგორც მისი წერილიდან სჩანს, ქართველ აგრარიების დასს ,,მოუკრებია ადგილობრივათ უსაქმოთ მოხეტიალე ხუნხუზები და გამოუწყვია ეგრეთ წოდებული „თავად-აზნაურთა დრუჟინა" 700 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც ბელადობს უნივერსიტეტში კურს დამთავრებული პირი". და ეს ვაჟბატონი თურმე, მათრახით ხელში, მაწანწალა ბრბოს თანხლებით, დაძრწის ქართლის ქალაქებსა და დაბებში და შიშის ზარსა სცემს ადგილობრივ უწყინარ და ვიდობიან მცხოვრებლებსო. გლეხების დამშვიდების სახელით ეს დაუპატიჟებელი ბაში-ბუზუკები ზოგიერთ მემამულეებთან ერთათ ისეთ საშინელებას ახდენენ, რომ გულ-ქვა აღა-მაჰმად ხანის შემოსევას ფერი უკრთება მასთან შედარებით". აქ მოთხრობილი ამბები რომ სიმართლეს მოკლებული არ არის და არც გაზვიადებულია, ამას ამტკიცებს იმავე გაზეთში (,,Нов. Обоз." № 98) თვით თავად-აზნაურობის ,,დრუჟინის" ერთი წევრი ბ-ნი გ. ვ. მაჩაბელი, რომლისთვისაც სიტყვა მაწანწალა და ბაში-ბუზუკი დიდათ სანაქებო რამ ყოფილა. დასახელებული

ვაუბატონი მხოლოთ უფრო დაწვრილებით გაგვიმარტავს ამ ახირებული „დრუჟინის“ ორგანიზაციას, რომელსაც სახელათ ამბერიდან ერქმევა „გორის მაზრის თავად-აზნაურთა ურთიერთ დახმარების საზოგადოება“, რომლის წევრათ ყოფნა შეუძლია ყველას, ვინც-კი თანაუგრძნობს იმათ მიერ შემუშავებულ პროგრამას. ბ-ნი გ. მაჩაბელი აცხადებს, რომ ჩვენში გაჩნდენ ისეთი პირები, რომლებიც თავად-აზნაურობასა და გლეხ-კაცობას შორის შუღლსა და განხეთქილებას თესავს, რომლებსაც ჩვენ ხალხთან არაფერი საერთო არა აქვთო გარდა იმისა, რომ ხალხს უქადაგებენ თავად-აზნაურობის წინააღმდეგ ძალ-მომრეობის ხმარებას, იმათ მამულ-დედულის და სახლ-კარის გადაბუგვასო, ვითომ ჩვენ, თავად-აზნაურობა, ვიყოთ იმათი გაპირვებული მდგომარეობის მაზეზიო. იმის მაგივრათ, რომ ხალხის პროპაგანდისტები შესულიყვენ „ქართველი თავად-აზნაურობის გაპირვებულ მდგომარეობაში, იმის მაგივრათ, რომ იმათ გლეხ-კაცობასა და თავად-აზნაურობაში ძმობა-ერთობაზე ექადაგებია, ისინი გამოსულან და ხალხს აგონებენ: გააძევეთ თქვენგან თავად-აზნაურობა, რომელიც მთელი მცხოვრებლების ერთ მეათედს შეადგენს და იმავე დროს ისეთ ნაწილს, რომელიც, როგორც უნდა თქვათ, დღევანდელ პირობებში ყველაზე უფრო კულტურული და ძლიერი ელემენტიაო“. ამ მიზნით გორელ თავად-აზნაურობას შეუდგენია „ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება“, რომლის წევრები შეიარაღებულან, სოფელ-სოფელ დაძრწიან და „ხალხის დამშვიდების“ სახელით ცეცხლითა და მახვილით უპირებენ გასწორებას იმათ, ვინც დაჩაგრულ ხალხს გონებას ულვიძებს. ბ-ნ გ. მაჩაბელმა კარგათ იცის, რომ ეს პირები დაწვას და განადგურებას არ უქადაგებენ ხალხს; მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ისინი უარყოფდენ იმ განხეთქილებას, რომელიც თავად-აზნაურობასა და გლეხ-კაცობას შორის არსებობს. თქვენ დღეს სწორეთ ის გაწუხებს, თუ რათ დაირღვა წინანდელი დამოკიდებულება, როცა გლეხ-კაცობა თქვენი ყურ-მოჭრილი მონა იყო და რაც გსურდათ, იმას აკეთებინებდით. აი რამ აგაშფოთათ, აი რამ აგამხედრათ თქვენ. აბა ერთი დაგვისახელეთ, როდის იყო, რომ თქვენ ძმობას და სოლიდარობას უცხადებდით გლეხ-კაცობას! ასეთ პირბადის ახვევა თქვენ, როგორც რაინდული წოდების წარმომადგენელს, არ შეგშვენით. ამიტომ უეჭველია პირდაპირ აღიაროთ, თუ რა გსურთ თქვენ. რისთვის შეგიდგენიათ ეს ახალი „დრუჟინა“ 700 კაცისაგან? ძმობა-ერთობის მქადაგებელი და ის, ვინც გლეხებს „ძმებს“ უწოდებს, ასეთ იარაღს არ მიმართავდა. ამის

შემდეგ რაღა საფუძველი აქვს თქვენს საყვედურს ბ-ნ ლ. არავინის მიმართ, რომ მას თავის ვინაობა დაუფარავს. ის თავის ვინაობას ფარავს, სამაგიეროთ ეშმარიტებას და სიმართლეს ამჟღავნებს. თქვენ კი, თუმცა თავის ვინაობას არ მალავთ, მაგრამ საქმის ნამდვილ ვითარებას ფარავთ. მკითხველმა გასაჯოს, თქვენი თუ ბ-ნ არავინის საქციელია გასაკიცხი და დასაგმობი! მაგრამ რას ვამბობ, ბ-ნ გ. ვ. მაჩაბელს ამაშიაც ჩინებული და საუცხოვო მოსარჩლე და მიმბაძველი ყავს; ეს გახლავთ თ-დი ილია ჭავჭავაძე, რომელმაც, სხვათა შორის, ვინაობის დაფარვისათვის უსაყვედურა ერთ ჩვენ კორესპონდენტს, რომელმაც მისი საქმენი საგმირონი გამოააშკარავა.

გორელი თავად-აზნაურობის „დრუჟინის" სახით ჩვენშიაც შემოვიდა ეგრეთ წოდებული „შავი რაზმი", რომელიც ამ ჟამათ რუსეთის ქალაქებსა და დაბა-სოფლებში დათარეშობს და ხალხს უსისიანებს ადგილობრივ მოღვაწეებზე და ხალხის სასარგებლოთ მომქმედ პირებზე. გარჩევა მხოლოდ იმაშია, რომ გორელ „შავ რაზმს" გაცილებით უფრო მკვიდრი და მაგარი ორგანიზაცია შეუქმნია და მის მოქმედებას მეტად სერიოზული შედეგი უნდა მოყვეს. რადგანაც რუსეთთან შედარებაზე ჩამოვარდა საქმე, არ შეგვიძლია აქ არ აღვნიშნოთ ის სისტემატიური ქადაგება, რომელსაც ეწევა, რუსეთის სამღვდელოების ერთი ნაწილი დღევანდელ მოძრაობის დასამცირებლათ უვიცი ხალხის თვალში. დღეს, როგორც აშკარათ მოწმობს ერთი დოკუმენტი, რომელიც ჩვენ გადმოგვცეს, ჩვენი სამღვდელოებაც დამდგარა ამ მეტათ სამარცხვინო გზაზე. ეს დოკუმენტი დაბეჭდილია პატარა ფორმატის ქაღალდზე და შეიცავს ოთხ გვერდს, მას არა აქვს მოწერილი რიცხვი და არც ის არის აღნიშნული, თუ ვისგან არის დასტამბული. საჭიროა რამდენიმეთ გავიცნოთ მისი შინაარსი, რომ მიხვდეთ, თუ რა ხალხთან გვაქვს საქმე. პროკლამაციის ავტორი, რომელიც უეჭველათ სულიერი მამა უნდა იყოს, და საწყისში გვეუბნება იმაზე, თუ როგორ ვრცელდება საზოგადოთ გადამდები სნეულებანი და შემდეგ განაგრძობს: „ბოროტნი კაცნი, რომელთაც ღვთისადმი სარწმუნოება დაკარგეს, არა სწამთ მისი წმიდა კანონი, გარყვნილი, ზარმაცნი, მაშფოთარნი, მოწადინებულნი არიან, რომ ყველა იმათ გავდეთ; ისინი მაგალითად, სიტყვითაც და ფურცლებითაც (პროკლამაციებით) ყველას ეძახიან, რომ წინააღუდგენ ეკლესიას, მეფეს,

მთავრობას, არიგებენ მუშებს, თავი დაანებეთ მუშაობასო... ესენი ხოცავენ და სცემენ იმათ, ვინც იმათ სწავლას არ მისდევს''...

...ეხლანდელი მაცთუნებელნი, რომელნიც ხალხს ბოროტებას ასწავლიან, განა არ გვანან ეშმაკს?... გონს მოვიდენ უპატიოსნო მაცთუნებელნი ხალხისა, სანამ დროა! დაანებონ თავი თავის ეშმაკურ მუშაობას!".

მაგრამ „პროკლამაციის" ავტორმა ალბათ კარგათ იცის, რომ ასეთი მუქარით ვერას გახდება და ამიტომ ხალხს მიმართავს შემდეგი საგულისხმიერო და მეტათ დამახასიათებელი სიტყვებით:

„როდესაც ნახო მაცთუნებელი, გაიცხე, ჩააგონე მას ცალკე; თუ არა გისმინოს, წაიყვანე თან კიდევ ერთი ან ორი; თუ იმათაც არ გაუგონოს, უთხარი კრებულსა, ხოლო შემდეგ მაცთუნებელი იყოს შენთვის, როგორც წარმართი და უცხო: **მიეცი ის სამართალში, მიეცი მთავრობას,** რომ არ დაღუპოს უდანაშაულო ხალხი''...

მაგრამ კმარა, შევჩერდეთ აქ. სულიერი მამა, რომელიც ენითა თვისითა ქრისტეს მოძღვრებას აღიარებს, ხალხს ჯაშუშობას ასწავლის! ქრისტეს სახელით იგი იუდას მაგალითზე გვითითებს.

აი სადამდის, აი რა უფსკრულამდის მიუყვანია ჩვენი სამღვდელოება მიწიერი ინტერესებისადმი სამსახურს! ამაზე მეტი დაცემა, ზნეობრივი გათახსირება ყოვლად შეუძლებელია! ჯაშუშობის ქადაგება, იუდას თაყვანის-ცემა, ეს ქრისტეს ზურგის შექცევა არ არის?

სხვათა შორის დღეს პროკლამაციების, დეკლარაციების, პეტიციების, ადრესების და სხვა ამგვარების წერის დროა. ქუთაისს ხომ ამ მხრით ყოველთვის პირველი ალაგი ეჭირა და აი, მან დღესაც ისახელა თავი; უფრო მართალი რომ ვთქვათ, ისახელეს თავი იმ ას ოთხმა პირმა, რომლებსაც თავისი დეკლარაცია გაზ. „ცნობის ფურც." გაუგზავნიათ გამოსაქვეყნებლათ. ეს ას ოთხი პირი, რომლებშიაც ურევიან, „სხვათა შორის: ს. ხუნდაძე, დ. ჭუბაბრია, ვ. გაბიჩვაძე, კოტე ჩაჩავა, ილიკო ჯაკაბაძე, ვასილ მებანეიშვილი, დ. ნაზაროვი, კ. ბაქრაძე, თომა მთავრიშვილი, ვ. ქორქაშვილი, დავ. არ. ლორთქიფანიძე (ცნობილი მოტრფიალე პოლიციის გაძლიერებისა) ბასონ ნიკოლაიშვილი, ს. რობაქიძე და tutti quanti.—ვიმეორებ, ეს ას ოთხი პირი ამიერიდან სამარადისოთ ახსენებელი შეიქნებიან ქართველი ხალხის ისტორიაში. თავის განცხა-

დების დიად მნიშვნელობაში ეს პატივცემული გვამნი იმდენათ დარწმუნებული არიან, რომ ისინი არ ჯერდებიან ამ თავისი კოლექტიური შრომის მარტო ერთ გაზეთში გამოცხადებით, არა, ისინი თხოულობენ, რომ იმათი ნაწარმოები ყველა ქართულ დროგამოშვებით გამოცემებში იყოს გადაბეჭდილი. პატივი და დიდება იმათ ნააზრს და ნაშრომს! მაგრამ ერთი ვიკითხოთ, ვინ ბრძანდებიან ეს ას ოთხი პირი, რომლებიც ასეთი რიხით მიმართავენ ქართველ საზოგადოებას და ასეთ დარიგებას აძლევენ ქართულ პრესას? რას ამბობენ, რისთვის აუღიათ იმათ ხელში კალამი?

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი,—ამბობენ ხსენებული პირები,—დარწმუნებულნი ვართ, რომ შეგნებულ ინტელიგენტებს არაფერი საერთო არა აქვთ იმ პირებთან, რომელნიც მოძმეებს შორის შურსა და მტრობას თესენ. თუ რომ ერთობა და კეთილგანწყობილებაა საჭირო რომელსამე ხალხისთვის, განსაკუთრებით საჭიროა იგი ჩვენს მდგომარეობაში მყოფთათვის. **აზნაური და გლეხი, ძმურათ ხელ-ჩაკიდებული,** დღეს ერთი დიად მიზნისაკენ უნდა მიისწრაფებოდეს და იმერეთის თავად-აზნაურობამ ისე, როგორც ამერეთის ამ საგანგებო კრებაზე დადგენილ გადაწყვეტილებით, **თავის ადრესებში გამოთქმული აზრით,** ცხადათ დაამტკიცეს, რომ ისინი გლეხებთან ერთათ ქვეყნის საერთო მიზნითა და მისწრაფებით არიან გამსჭვალული (!?).

კარგათ დავუკვირდეთ რას აცხადებს საქართველოს თავად აზნაურობა თავის ადრესებში. ის ეუბნება უმაღლეს მთავრობას: თავად აზნაურობის მოთხოვნაში არ იხატება ის აზრი, რომ ის უარყოფს თავის ყოველგვარ უპირატესობას და გულით სწადია მოუპოოს ქვეყანას თანასწორობა და სამართლიანობა?! გლეხობამაც ხომ ესევე წადილი გამოაცხადა როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთშიც, და, მაშასადამე, რა არის მათ შორის სამტრო და სასისხლო?!

დღეს-დღეობით ერთათ ერთი სადავო საგანი მემამულეთა და მიწის მუშათა შორის მიწის ღალაა, მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ ეს უთანხმოება ადვილათ გასწორდება სხვა უფრო მშვიდობიანის გზით. ამისთვის სრულიად საჭირო არ არის ერთმანეთის მისევა და წვა-დაგვა.

დარწმუნებულნი ვართ, ჩვენი წერილის დედა აზრი სრულიად არ ეწინააღმდეგება ჩვენი პრესის მიმართულებას, და ამიტომ მივმართავთ ჩვენი გაზეთების რედაქციებს თხოვნით—**გაავრცელოს ეს ჩვენი** წერილი თავის ორგანოების საშუალებით და მას **თავისი აზრიც, თავისი**

გავლენიანი სიტყვაც დასძინონ ამ საგნის შესახებ: მოიწვიონ გლეხნი და აზნაურნი, რათა ძმურათ შეკავშირდნენ ჩვენის ქვეყნის საჭირბოროტო კითხვების გადასაწყვეტათ.

აგრეთვე ღრმათ დარწმუნებულნი ვართ, რომ ის პირნი, **რომელთაც გლეხებთან მოლაპარაკება ჰქონიათ და მათი ნდობა მოუპოვებიათ, შეაგონებენ მათ, წერილობითაც და სიტყვიერათაც, რომ მოძმეებს შორის ძალმომრეობის ხმარება, სისხლის ღვრა, გადაწვა და ერთმანეთის ულეტა ჩვენს უამისოთაც დაბეჩავებულ ქვეყანას მხოლოდ ვნებას მოუტანს** და არა სარგებლობას. ჩვენ გვჯერა, რომ ერის ერთგული მამულიშვილები, **შეგნებული პარტიები არ იქნებიან მომხრე** ძმების გადამტერებისა და ერთმანეთის წვა-ულეტით ხალხის ძალ-ღონის შესუსტებისა *).

აი რას გვეუბნებიან, აი რას გვიქადაგებენ ასოთხი პირი! სწორე მოგახსენოთ, იმის შემდეგ, რაც ,,ცნობის ფურცელმა'' და ,,ივერიამ'' იმათ ამის საპასუხო წერილები დაუწერეს, ჩვენ თითქმის ზედმეტათ მიგვაჩნია კიდევ ამისთვის დროს დაკარგვა. ,,ივერიის'' და ,,ცნობის ფურცლის'' კრიტიკა იმათთვის უსასტიკესი დასჯა უნდა იყოს! სად უნდა მოეპოვათ ამ ერიდან ცნობილ 104 პირს თანაგრძნობა, თუ არ ხსენებულ რედაქციების მხრითა? მაგრამ ეტყობათ, რომ იმათ კიდევაც გადაუპარბებიათ თავიანთ მასწავლებლებისათვისაც კი. მაგრამ ჩვენი აზრით, ,,ივერიის'' და ,,ცნობის ფურცლის'' ხარხარი და დაცინვა ქუთათურ ავტორებზე უადგილოთ უნდა ჩაითვალოს. განა ,,ივერიელები'' და ,,ცნობის ფურცლელები'' არ იყვენ ეროვნულ ავტონომიაზე და საერთო ჰარმონიაზე რომ ღაღადებდენ და ხმა მაღლა გაიძახოდენ? და ახლა, როცა მათ დაანახვეს მათი შეხედულების ლოგიკური დასკვნა, დღეს დაცინვით იხსენიებენ იმათ, ვინც იმათი მკვიდრი შვილია, ვინც იმათი ქადაგების ნამდვილი მიმდევარია. მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რისთვის იგდებენ ასე სამასხაროთ ისინი ქუთათურ ავტორებს. ისინი დაჩვეული არიან პირდაპირ არ უწოდონ საგანს ნამდვილი სახელი. ამიტომ მათი ენა გაუგებარია ისეთ ბურჟუა-ლიბერალებისათვის, როგორიც არიან ხსენებული 104 პირი. ისინი პირდაპირ ლაპარაკობენ. იმათ ავტონომია თავის ინტერესების დასაცავათ უნდათ და ამას არ ფარავენ. ჩვენ ერთობ დიდი მადლობა უნდა გამოვუცხადოთ ხსენებულ პირებს, რომ იმათ ნამ-

*) ხაზს ყველგან ჩვენ ვუსვამთ.

დვილ ლოდიკურათ გაიმეორეს ის, რასაც ქადაგებენ ჩვენი ნაციონალისტები. ხოლო რაც შეეხება იმათი აზრის უბადრუკობას, იმათი მსჯელობის უსუსურობას, ამაზე, ვიმეორებთ, მეტათ მიგვაჩნია ლაპარაკი.

IV.

ამ უკანასკნელ დროს ბევრმა დუხჭირმა გარემოებამ იჩინა თავი, ბევრმა მავნე ელემენტებმა წამოყვეს თავი. ამათში პირველი ალაგი უეკველათ თავად-აზნაურთა ეგრეთ წოდებულ „დრუჟინას“ უჭირავს; პრესაში უკვე საკმარისათ გამოირკვა, თუ რა ბნელ ძალას ინახავს თავის გულში ჩვენი თავად-აზნაურობა. რომ თავად-აზნაურების წინამძღოლების და ხელმძღვანელების ნებართვა არ ყოფილიყო, ისე შეუძლებელი იქნებოდა ამ სამარცხვინო დრუჟინის გამოსვლა ჩვენი დაბეჩავებულ ცხოვრების ასპარეზზე. ხუმრობა ხომ არ არის, 500—700 კაცის ამხედრება, შეიარაღება და სოფელ-სოფელ ხეტიალი! სად იყვენ ის ჭკუადახედული თავად-აზნაურნი, როცა ამგვარ საქმეს აწყობდენ ჩვენში და იმისათვის ემზადებოდენ! სად არიან ისინი დღეს, როცა „დრუჟინა“ თავის სამარცხვინო და საარაკო მოქმედებას არხეინათ განაგრძობს? მაგრამ რას ვამბობ! მთელი ეს საქმე მოუწყვიათ ისეთ პირებს, რომლებიც თავად-აზნაურობის საქმეს მეთაურობენ და განაგებენ. „დრუჟინაში“ მილიციონერებათ ეწერებიან უმაღლეს სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული პირები. აი სადამდის მიუღწევია ქართველ თავად-აზნაურობას: მის წევრებს სამარცხვინოთ არ მიაჩნიათ ბნელ რაზმში, ხულიგანების ბრბოში მონაწილეობის მიღება. აი სადამდის დაწვრილმანდა და სადამდის დაეცა ოდესღაც ბრწყინვალე, რაინდობით განთქმული წოდება! ჩვენ მაინც კიდევ გვგონია, რომ თავად-აზნაურობა ისე არ უნდა დაეცეს, რომ მან შავი რაზმის გარდა ვეღარსად პოვოს სამოქმედო ასპარეზი. მაგრამ ერთი ახირებული ამბავი აქაც გამოაშკარავდა. მკითხველებს ეცოდინებათ, რომ დიდი ხანია ხმა დადიოდა, „დრუჟინის“ ორგანიზაციაში ბ-ნი ალ. ყიფშიძეც იღებს მონაწილეობასო. ჩვენ ძლიერ გაგვიკვირდა, რომ ბ-ნ ყიფშიძეს შეეძლო ხულიგანების ბრბოში რაიმე მონაწილეობის მიღება. დიდი ხნის შემდეგ ბ-ნ ყიფშიძემ წერილი მოათავსა გაზ. „ევერიაში“, რომელშიაც იგი უარს ამბობს, რომ მას „დრუჟინაში“ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. მაგრამ მის წერილში უფრო შესანიშნავი ადგილია, სახელდობრ ის, რომ საცა იგი გვეუბნება, რომ

,,დრუჟინის" წესდება მას ფრიად სიმპატიურათ და საკეთილოთ მოჩვენებია! შემდეგ განაგრძობს ბ-ნი ყიფშიძე, რომ თავად-აზნაურთა რაზმის გაჩენის მიზეზი ისაა, რომ თავი დაიცვან მავნე და ბოროტ კაცებისაგანო. ავტორს არც ეს აზრი ჩვენებია ქვეყნის დასაღუპავათ". „ხოლო სხვა ხილია აზრს როგორ განახორციელებენ, მავნე და ბოროტ-კაცათ ვის აღიარებენ (ნუ თუ ეს თქვენთვის აქამდის საიდუმლოებას შეადგენს, ბ-ნო ყიფშიძე! **ამას მომავალი და საქმე გამოაჩენს**, და თქვენსა და საზოგადოების ნებაზეა დამოკიდებული, რა თვალით ვუყურეთ რაზმის საქციელსო''. როგორც ხედავთ, ბ-ნ ყიფშიძის სრული სიმპატია რაზმისაკენ არის, თუმცა იგი რაზმში მონაწილეობის მიღებას თავის მხრით უარს ყოფს, მაგრამ ეს საქმეს არსებით არა ცვლის. მისი აზრით რაზმი „ფრიად სიმპატიური და საკეთილო დაწესებულებაა; მავნე და ბოროტ კაცებისაგან თავის დაცვაც ქვეყნის დაღუპვა არ არის, მხოლოთ საქმე ის არის, ვის გამოაცხადებს რაზმი მავნე და ბოროტ კაცათ და როგორ ესმის მას თავის დაცვა. რადგანაც პრესაში საკმარისათ გამოირკვა ეს საკითხი, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია გადაპრით ვთქვათ, რომ ბ-ნი ყიფშიძე თანაუგრძნობს ყველა ამ ძალმომრეობას და სისაძაგლეს, რასაც თავად-აზნაურთა ,,დრრეინა'' დღემდის ჩადიოდა. ამაში ჩვენ მით უფრო ვრწმუნდებით, რომ ბ-ნი ყიფშიძე გვეუბნება: ,,მომავალი და საქმე გვანახებსო'', თუ რა სწადია რაზმსო და როგორ ესმის მას თავის დაცვაო. თითქო დღემდის კი ეს არ გამომჟღავნებულიყოს! მაგრამ კმარა. ესეც ერთი თანამგრძნობი შავი რაზმისა! სხვები კი ჯერ გაჩუმებული არიან.

თითო შავ რაზმს დღეს ყოველგან შეხვდებით, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ მისი მოქმედების ასპარეზი სხვადასხვა ნაირია და იარაღიც სხვა და სხვა გვარი აქვთ. შავი რაზმი მოქმედებს დღეს ქალაქის ქუჩებში, მოქმედებს იგი, როგორც დავინახეთ, სოფელშიაც. მაგრამ ნუ გგონიათ, რომ შავი რაზმი მარტო ქუჩებში და სოფელ-სოფელ დაძრწოდეს და თარეშობდეს. შავი რაზმის წარმომადგენელები სახელგანთქმულ ბიუროკრატიულ დაწესებულებაშიაც ბუდობენ. ჯერ ბიუროკრატია რა არის ხალხისთვის და მერე მასში დაბანაკებული შავი რაზმი რაღა უნდა იყოს! ამ შავი რაზმის წარმომადგენელები შეიარაღებული არიან არა თოფ-ზარბაზნებით და ხმალ-ხანჯლით, არამედ რაღაც წერილობითი საბუთებით, სტატისტიკური ცნობებით, რომლებიც სინამღვილისაგან ისე არიან დაშორებული, როგორც ცა დედა-მიწისაგან.

და ეი, ასეთი საბუთებით და „ცნობებით" შეიარაღებული, ისინი სწყვეტენ ხალხის ბედს, აკანონებენ ასეთ ყალბს საფუძველზე დამყარებულ მოსაზრებათ და შემდეგ იმათ ხალხს თავზე აჩეჩებენ. ამას წინეთ ადგილობრივ იურიდიულ საზოგადოებაში ვექილმა გრუზენბერგმა რეფერატი წაიკითხა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების თაობაზე ამიერ-კავკასიაში. ჩვენ აქ არ გვაინტერესებს ის, თუ რით ასაბუთებდა ბ. გრუზენბერგი ამ დაწესებულების შემოღებას ჩვენში. ვიტყვით მხოლოთ, რომ დღეს, როცა ხალხის წარმომადგენელობაზე, დამფუძნებელ კრებაზე და სხვა ამისთანებზეა კითხვა დაყენებული, როცა ხალხი გადაჭრით თხოულობს მონაწილეობის მიღებას ქვეყნის საქმეების მართვა-გამგეობაში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება შედარებით მეტათ მცირე შემთხვევაა. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ შავი რაზმის წარმომადგენლებმა ასეთ დროს ესეც კი იუცხოვეს და ამ დაწესებულების შემოღების წინააღმდეგაც კი გაილაშქრეს. საზოგადოებაში აღმოჩნდა სხვათა შორის ვინმე ჩინოვნიკი კოლიდევსკი, რომელიც მეტისმეტი გაოფთრებით ამხედრდა ნაფიც მსაჯულთა შემოღების წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ადგილობრივი ხალხი არ არის მომზადებული, რომ მას მიენიჭოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოო, რომ ამ ხალხისთვის ჯერ საჭიროა ბიუროკრატიის მუხრუჭი, თორემ იგი თავს აიშვერს და საზოგადოება განსაცდელში ჩავარდებაო. ეს ღირსეული ჩინოვნიკი თავის აზრის დასამტკიცებლათ იმოწმებდა სხვათა შორის, ისეთ პირებს, რომლებიც ამ ორმოცი წლის წინეთ ცხოვრობდენ, და რომლებიც მაშინდელ პირობებსაც ვერ იცნობდენ. თუ რამდენათ სარწმუნოა ასეთი პირების მოწმობა, ეს ყველასათვის აშკარაა; მაგრამ ჩინოვნიკური მსჯელობისათვის ეს საკმარისია. აბა ეხლა ერთი ხალხს ჰკითხონ, არის თუ არა იგი მომზადებული, რომ თავის თავს თითონ მოუაროს. ჩინოვნიკებს ხალხი ჯერ უწლოვანი გონია და ფიქრობს მისი მოვლა ბიუროკრატიას უნდა ქონდეს ჩაბარებულიო. მაგრამ ეს დრო სამუდამოთ გაქრა. ბიუროკრატია, რაც უნდა ეცადოს, ვეღარ დაიბრუნებს იმას, რაც წინეთ მის ხელში იყო. დროა გაიგონ, რომ ხალხი თითონ დაეპატრონება თავის თავს და მაშინ მშვიდობით, ბიუროკრატია სამუდამოთ დაიმარხება. შეიძლება დღეს მარტო ბიუროკრატიისათვის იყოს საიდუმლო, რომ ჩვენი ხალხი ნაფიც მსაჯულთა დედაზრის განხორციელებას ცხოვრებაში უკვე დაადგა და დიდი ხანი არ გავა, რომ ნაციფ მსაჯულთა

სასამართლო ისე, როგორც მთელი მისი ცხოვრების განახლება დემოკრატიულ ნიადაგზე, სავსებით განხორციელდება.

ეს მიმოხილვა ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრებების დახასიათებით მოითხოვდა დამემთავრებია. კაი ხანია ემზადებოდა ხსენებული სამღვდელოება კრების მოხდენას. დღევანდელმა ცხოვრებამ მასაც ულმობელი კითხვები დაუყენა წინ გადასაწყვეტათ: საქმე მის არსებობაზე მივიდა, და როგორც მოგეხსენებათ, ძნელია, როცა კაცი თავის აღსასრულის მოახლოვებას გრძნობს. სათანადო მთავრობამ, როგორც იქნა, ნება დართო კრების მოხდენაზე. მღვდლები შეიკრიბენ სემინარიის შენობაში, რამდენიმე სხდომა გამართეს კიდეც, მაგრამ ამას აღარ შეეხებით, რადგანაც ეს ჩვენთვის შეუძლებელიც არის ყველასაგან კარგათ ცნობილ მიზეზების გამო; ვიტყვით მხოლოდ, მღვდლების უკანასკნელი სხდომა რაღაც არაჩვეულებრივი ყოფილა. სხდომაზე პოლიციელებს რამდენიმე კაცი შეუყრია! სემინარიიდან გამოსვლის დროს, კრების დახურვის შემდეგ, საღამოს 9-11 საათზე, სემინარიის წინ, რაღაც ჩახა-ჩუხი, მათრახების ლაწუნი, უწმაწური ლანძღვა-თრევა გაისმოდა და მღვდლების ანაფორები და შლიაპები ქუჩას ეფინებოდა. ეს იყო თურმე საზარელი სცენა ბნელ ღამეში, რაღაც შავი არსებანი მიწაზე ეცემოდენ, დგებოდენ და სადღაც გარბოდენ. ყველაფერი ეს საიდუმლოებით არის მოცული და ჯერ არავინ იცის, რა იყო, რა მოხდა. როგორც გაზეთებში გამოცხადებული იყო, მეორე დღეს სამღვდელოების უმრავლესობა თფილისიდან გაქცეულა, დანარჩენი ნაწილი წარსდგომია კავკასიის ნამესტნიკს და პეტერბურგშიაც გაუგზავნიათ ცნობა თავიანთი უბედური შემთხვევის გამო.

V.

იყო დრო, როცა ჩვენში სათავად-აზნაურო საქმეები იქცევდენ საზოგადოების და პრესის უმთავრეს ყურადღებას, როცა სათავად-აზნაურო ბანკები და სკოლები მთელი ქართველი ხალხის საქმეთ იყო გამოცხადებული. ეს დრო სამუდამოთ გაქრა. მართალია, ძველ ტრადიციას ასე ადვილათ ვერ გამოეთხოვება საზოგადოება, მართალია, ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ერთი ნაწილი („ივერია", „ცნობის ფურცელი") კიდევ შორიდან ეალერსება თავად-აზნაურთა საქმეებს, მაგრამ თავად-აზნაურე-

ბის ინტერესებს მთელი ქართველი ხალხის ინტერესებათ ველარ სახავენ როგორც ეს მას ჟამსა შინა იყო. მართალია ისიც, რომ სათავად-აზნაურო ბანკები (განსაკუთრებით თბილისის) დღესაც საკმარის და მეტათ საინტერესო მასალას იძლევა ზოგიერთ ოდესმე ქებულ საზოგადო მოღვაწეთა დასახასიათებლათ, მაგრამ ეს დღეს საინტერესო აღარ არის საზოგადოებისათვის. რასაკვირველია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ხმა აღარ ამოვიღოთ იქ, სადაც თავად-აზნაურთა ინტერესები მთელი თავისი სიმწვავით სხვა წოდების ინტერესებს ეჯახებიან, როცა თავადაზნაურთა მოქმედება იმათ მიერ გაჩანაგებულ გლეხობას აოხრებს და განადგურებას უქადის. ასეთი არის, მაგ., თავად-აზნაურთა „შავი-რაზმის", ანუ როგორც მას უწოდებენ, „დრუჟინის" დაარსება გორის მაზრაში, რის შესახებ ჩვენ გაზეთში რამდენიმე წერილი იყო დაბეჭდილი. ერთ იმათგანში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ ხსენებული „დრუჟინის" კომიტეტის წევრებად ირიცხებიან ალ. ყიფშიძე და ნ. ცხვედაძეო. ბ-ნ ალ. ყიფშიძის ფიზიონომია და მისი ამ საქმეში მონაწილეობა უკვე საკმარისად გამოირკვა. რაც შეეხება ბ-ნ ცხვედაძეს, ეს ჯერ კიდევ საორჭოფო საქმეა, და აი რათა:

„მოგზაურის" მე-22 ნომერში ბ-ნ ნ. ცხვედაძის წერილია დასტამბული, რომელშიაც ავტორი გადაჭრით გვეუბნება, რომ „იგი არც არის და მას არც შეეძლო ყოფილიყო წევრათ თავად-აზნაურთა დრუჟინის კომიტეტისა, რადგანაც მაგგვარი ზომა მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ არ ეთანხმება ჩვენს შეხედულებას და ხასიათსო". ვგონებ; ეს სიტყვები საკმარისი იყო, მკითხველი დარწმუნებულიყო იმაში, რომ ბ-ნი ცხვედაძე თავად-აზნაურთა „დრუჟინის" კომიტეტის წევრი არ არის. მაგრამ ბ-ნმა ცხვედაძემ ეს განცხადება საკმარისად არ იცნო. შემდეგ იგი მოგვიყვება იმის შესახებ, თუ მას როგორ აწუხებს „ის აზრი, რომ ჩვენში მრავალნი არიან, როგორც გლეხთა შორის, ისე თავად-აზნაურობაშიაც უმამულონი და მცირე მამულიანი და იმავე დროს კი უცხო ხალხი ყოველივე ღონეს ხმარობს სამუდამოდ დასახლდეს ჩვენი მამა-პაპის სისხლით მორწყულს მიწა-წყალზეო". ამიტომ, როდესაც რამდენიმე ქართველს სურვილი გამოუცხადებია შეედგინათ ქართველთა საზოგადოება ურთიერთ დახმარებისა, მასაც მიუღია მონაწილეობა ამ საზოგადოების შედგენაში და წესდების დაწერაში. ასეთმა განმარტებამ ჩვენში ეჭვი გამოიწვია ბ-ნ ცხვედაძის კატეგორიულ განცხადებაში, რომ იგი არ არის და მას არ შეეძლო ყოფილიყო, „დრუჟინის" კომიტეტის წევრი.

მართლაც, რისთვის მოუნდა ბ-ნ ცხვედაძეს აქ „ქართველთა ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოების დაარსებაზე ლაპარაკის ჩამოგდება? მას ამტყუნებდენ იმაში, რომ იგი „დრუჟინის“ კომიტეტის წევრიაო! ის კი გამოსულა და გაიძახის, რომ მე კომიტეტის წევრი არა ვარ, მე მხოლოთ ქართველთა ურთიერთ დახმარების საზოგადოების დრუჟინაში მივიღე მონაწილეობაო! მაგრამ ჩვენ რა ხელი გვაქვს, ბ-ნი ცხვედაძე რა და რა საზოგადოებაში ღებულობს მონაწილეობას და ან რომელი საზოგადოებისათვის სწერს წესდებებს. მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ბ-ნმა ცხვედაძემ „ურთიერთ დახმარების“ საზოგადოებაზე ჩამოაგდო აქ ლაპარაკი. საქმე ის არის, რომ სწორეთ ეს „ურთიერთ დახმარების“ საზოგადოებაა თავად-აზნაურთა შავი რაზმის დასაწყისი, მისი სათავე! ხსენებულ რაზმს ბ-ნ ცხვედაძის მონაწილეობით შედგენილი წესდება უპირავს ხელში და იგი ურთიერთ დახმარების საზოგადოებათ რაცხს თავის თავს. ამას შემდეგ რაღა გასაკვირალია, რომ ბ-ნ ცხვედაძის შესახებ ხმები იყო გავრცელებული, რომ იგი „დრუჟინის“ კომიტეტის წევრათ ითვლებაო. შეიძლება ფორმალურათ ბ-ნი ცხვედაძე „დრუჟინის“ კომიტეტის წევრათ არ ირიცხება დღეს, მაგრამ ამიერიდან ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ ბ-ნი ცხვედაძე, ეს საქართველოს ერთი ბურჯთაგანი, ხსენებული დრუჟინის ერთი სულის ჩამდგმელთაგანია. უმამულოებზე და მცირე მამულიანებზე ლაპარაკი მხოლოთ საქმის გადაფუჩეჩებაა, სიტყვის ბანზე აგდებაა და მეტი არაფერი.

ამას წინეთ ერთი საინტერესო ამბავი მოხდა, რომელიც სავსებით მხოლოდ გაზ. „ივერიის“ ფურცლებზე იქნა აღბეჭდილი. ჩვენ მოგახსენებთ ქართველების და მაჰმადიანების კრებაზე, რომელიც 11 ივნისს მოხდა ქ. თფილისში. ვინ არიან ეს ქართველები და ეს მაჰმადიანები! ვისი სახელით მოქმედებენ და სწერენ ისინი პეტიციებს? კრებაზე იყვენ სხვათა შორის, თ-დი ი. ჭავჭავაძე, გაზ. „კასპის“ რედაქტორი თოფჩიბაშევი, ი. ზურაბიშვილი, ხარლამპი ღლონტი და ექიმი გედევანიშვილი. კრების მიზანი ყოფილა მაჰმადიანების და ქართველების პეტიციების განხილვა და საერთო შეთანხმებული მოქმედების გეგმის შემუშავება, თუმც კრებაზე გამორკვეულა, რომ „მაჰმადიანების და ქართველების უფლებრივი შეხედულება თვალსაჩინოთ განსხვავდება ერთი მეორისაგან“, მაგრამ კრების აზრით ეს გარემოება ხელს არ შეუშლის მაჰმადიანების

და ქართველების შეთანხმებულ მოქმედებას". ექ. გედევანიშვილმა, ხარლამპი ღლონტმა, ივ. ზურაბაშვილმა და სხვებმა კრებაში ის აზრი გამოსთქვეს, რომ პეტიციები პრინციპიალურათ ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ განსხვავება ხელს არ შეუშლის შეერთებასა და სოლიდარობას, თუ მაჰმადიანებიც **ტერიტორიალურ-ეროვნულ ავტონომიის ნიადაგზე დადგებიან და ჩვენსავით ავტონომიას მოითხოვენო**" (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). როგორც ვხედავთ, ჩვენი ავტონომისტები მეტათ ახირებული ხალხია. ისინი ყოველგეარ ცოდვას გაპატიებენ, ოღონდ ტერიტორიულ-ეროვნული ავტონომიის ნიადაგზე კი დადექით. ჩვენი ქართველი ავტონომისტები მზათ არიან ხალხს უღალატონ, გაყიდონ ის, ოღონდ ტერიტორიულ ეროვნული პრინციპი ნუ შეილახება. ისინი დახმარებას უწევენ მაჰმადიანების თავისივე მსგავს ბურჟუა-ავტონომისტებს თავის ხალხის დაჩაგვრაში, ე. ი. ქონებრივი ცენზის და წოდებრივ უფლება-უპირატესობის შენახვაში, ოღონდ კი მაჰმადიანებმა ქართველ ავტონომისტებს მხარი მისცენ ტერიტორიულ-ეროვნული ავტონომიის განხორციელებაში. აი რა რეზოლიუციას ადგენენ ჩვენი ქებული ავტონომისტები: „ამიერ-კავკასიის ყოველ ეროვნებას უნდა მიეცეს თვით-გამორკვევის სრული თავისუფლება. ქართველები მოვალენი იქნებიან მოითხოვონ, რომ ეს უფლება მაჰმადიანებსაც მიეცეს; მაჰმადიანები კიდევ ასეთსავე უფლებას მოითხოვენ ქართველებისათვისაო"... როგორც ვიცით, ქართველ ნაციონალისტ-ფედერალისტ ავტონომისტებმა ქართველ ხალხში დაკარგეს ყოველგვარი ნდობა, ისინი აქ ველარ გრძნობენ ნიადაგს. ამიტომ მათ სხვა საშუალება აღარ დარჩენიათ გარდა იმისა, რომ მაჰმადიანებს მივართონ დახმარებისათვის. აი რა სარჩული უდევს იმათ დაძმობილებას და დამეგობრებას მაჰმადიანებთან. ასეთ ძმობას და მეგობრობას ისინი წინეთ სომხებთანაც, ან უფრო მართალი ვსთქვათ, სომხების ბურჟუაზიასთან აპირობდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ სომხის ბურჟუაზიას ხელს არ მისცემს ტერიტორიულ-ეროვნული ავტონომიის მოთხოვა, იმათ ჩამოეცალენ და ახლა მაჰმადიანებს დაუმეგობდენ. ჩვენ, რასაკვირველია, არასოდეს არც ვყოფილვართ და არც ვიქნებით იმის წინააღმდეგი, რომ ერთა შორის ძმობა და ერთობა განმტკიცდეს, პირიქით, ჩვენი იდეალი სწორეთ ამ ძმობის და ერთობის განმტკიცებაა, როგორც თვით ერში, ისე სხვადასხვა ერთა შორის, მაგრამ არა იმ გზით, არა იმ ფლიდობის და ურთიერთ დატყუილების საშუალებით, როგორც ჩვენი ავტონომისტები ჩადიან,

არამედ მშრომელი ხალხის გათვითცნობიერებით და მისი შეერთებით ყველა მჩაგვრელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქართველ ავტონომისტებს, როგორც მოგეხსენებათ, ქუთაისშიაც აქვთ ბინა. სიყალბეში და ტყუილებში ისინი არაფრით არ ჩამოუვარდებიან თავიანთ თფილისელ ამხანაგებს. თუ თფილისელი ქართველი ავტონომისტები მაჰმადიანებს უძმობილდებიან და იმათგან მოელიან დახმარებას; მათ ქუთათურ ამხანაგებს ცილისწამებით მოუწადინებიათ ფონს გასვლა. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ის მოხსენება, რომელიც შეუდგენია ქუთაისის ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ კომისიას. ამ მოხსენების დაწვრილებით გარჩევა არ შედის ჩვენ განზრახვაში, და ეს არც საჭიროა, ჩვენ მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, თუ რა ყალბ გზაზე დამდგარა ქუთაისის ქალაქის საბჭოს კომისია. მოხსენების ავტორები პირდაპირ ამბობენ, რომ თფილისის და ქუთაისის გლეხობა გადაჭრით თხოულობენ ავტონომიასო (გვ. 4). ჩვენ არ ვიცით, განზრახ მოუვიდათ ასეთი სიყალბე მოხსენების ავტორებს, თუ უცოდინარობით. რომ გლეხობას არსად ჩვენში ავტონომიაზე სიტყვა არ დაუძრავს (თუ ბ. სიტყვას განცხადებას არ მივიღებთ მხედველობაში), ეს ყველასათვის აშკარაა. მაშ, რისთვის დასჭირდათ ავტორებს ასეთი ცილისწამება, ასეთი ტყუილის თქმა? უეჭველია იმიტომ, რომ გაელენა მოეხდინათ ქალაქის საბჭოზე და თავისი წინადადება გაეყვანათ. თავად-აზნაურობასთან ერთად, აი გლეხებიც კი თხოულობენ ავტონომიას და აბა, ჩვენ, ქალაქის ბურჟუებს, მესაკუთრეებს, რაღა გვეთქმის! ჩვენც მათ უნდა შევუერთდეთ, რომ თავად-აზნაურთა კრებამ ავტონომიის შესახებ პეტიციები გაგზავნეს, ეს ყველამ იცის. ყველამ უწყის აგრეთვე, თუ როგორ შეხვდა ჩვენი პრესის ის ნაწილი, რომელიც მშრომელი ხალხის ინტერესებს იცავს. როგორ დაავიწყდათ ეს ავტორებს? ან როგორ არ იფიქრეს, რომ იმათი ტყუილი გლეხების შესახებ დაუყოვნებლივ გამოაშკარავდებოდა? მაგრამ საკვირველი ის არის, რომ მოხსენების ავტორები სრულებით ივიწყებენ იმათ, ვინც საფუძველი ჩაუდვეს დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობას, — იმ მოძრაობას, რომელმაც საშუალება მისცა მათ ასეთ კითხვებზე მსჯელობისა. რათ არ კითხულობენ, რათ არ სურთ გაიგონ იმათი აზრი ავტონომიის შესახებ, ვინც სისხლი დაღვარა იმისათვის, რომ ბატონ ავტონომისტებსაც კი ასე თამამათ შეუძლიათ დღეს კრებების გამართვა და სიტყვების წარმოთქმა? თუ ქალაქის ხმოს-

ნები ანგარიშს უწევენ თავად-აზნაურობის შეხედულებას, რომელიც დღევანდელ მოძრაობას ათასგვარ დაბრკოლებას უჩენდა და დღესაც უჩენს, რათ არ სურთ გაიგონ იმათი აზრი, ვინც შექმნა და ვინც თავისი მკერდით ამაგრებს დიდებულ მოძრაობას თავისუფლების მოსაპოებლათ. ესენი არიან მუშები, ქალაქის პროლეტარიატი, რომლებმაც თავისი მოძრაობა გლეხობაშიაც გადაიტანეს. და აი, ამათ ივიწყებენ ჩვენი ავტონომისტები. მაგრამ თუ ისინი ივიწყებენ მშრომელ ხალხს, მის ინტერესებს და მის სულის კვეთებას, სამაგიეროთ ცხოვრება დაივიწყებს იმათ ჩხირკედელაობას.

VI.

რამდენი რა არ ხდება დღეს ჩვენში, რომ ყველაფრის აღნუსხვა და გამომზეურება შეიძლებოდეს! დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილე ისეთია, რომ მისი გაზეთის ფურცლებზე გამოტანა და ისიც შინაურ ქრონიკის სახით, ყოველად შეუძლებელია. ძველი და ახალი, ნათელი და ბნელი, ისეა ერთი ერთმანეთში არეულ-დარეული, რომ გზის გაკვალვა და ჭეშმარიტ გზაზე დადგომა მეტათ ,საძნელო შეიქნა. აქამდის თუ თითო-ოროლა მოღვაწე გამოდიოდა საზოგადო ასპარეზზე სამოქმედოთ, ახლა მთელი ხალხი გამოდის, და აი, იქ იბადება მრავალი კითხვები, რომლების გადაწყვეტას გვაიძულებს თვით პრაქტიკა. ადვილი იყო საქმე მაშინ, როცა საზოგადო მოღვაწენი უფრო თეორიულათ მსჯელობდენ. დღეს ასე აღარ არის. პრაქტიკა აუცილებლათ თხოულობს ამა თუ იმ საკითხის გადაჭრას, და აი, აქ ერთი შემცდარი ნაბიჯის გაკეთება ძვირათ უჯდება თითეულ მომქმედ ჯგუფს, ანუ პარტიას. შეცდომის აცილება შეუძლებელია, ისტორიამ განმეორება არ იცის, და საზოგადოთ, ისტორიული გამოცდილება სხვა გამოცდილებას არა ჰგავს. აქ ჩვენ საქმე ადამიანებთან გვაქვს, რომლებიც განირჩევიან ერთი ერთმანეთისაგან როგორც თავისი მდგომარეობით, ისე იმ საზოგადოებრივ პირობებით, რომლებშიაც ისინი იმყოფებიან.

ზეით ჩვენ ვსთქვით, რომ დღეს სამოქმედოთ თვით ხალხი გამოვიდა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ეს ხალხი საერთოდ გაცნობიერებული და შეგნებული იყოს, რომ მას საესებით გათვალისწინებული ჰქონდეს თავისი ბედი და იღბალი, რომ მისთვის დღეს საჭირო არ იყოს მომმზადებელი ხელმძღვანელი. კლასობრივი შეგნება ერთი და ორი დღის საქმე როდია, და იგი ერთბაშათ არ ხდება. ჩვენ გვწამს,

რომ შეგნებით არ განისაზღვრება მდგომარეობა, პირიქით, მდგომარეობა საზღვრავს შეგნებას, მაგრამ აშკარაა, რომ შეგნების განვითარებისათვის საჭიროა დრო. მეორე მხრით, აშკარაა ისიც, რომ არის ისეთი გარემოებანი, რომლებიც ან აჩქარებენ და აფერხებენ ამ შეგნების განვითარებას. დიდი საზოგადოებრივი უბედურებანი, რომლებიც საზოგადოებას ატყდება თავზე, მაგ., როგორც ომი, სიმშილი და სხვ., ეჭვი არ არის, აჩქარებენ ხალხის შეგნების განვითარებას, ერთი ხალხის მეორე ხალხის მიერ დაპყრობა კი, ერთი ერის მეორე ერის მიერ შევიწროება, ე. ი. ის, რასაც ეროვნულ დაჩაგვრას ეძახიან, უეჭველათ აფერხებს კლასობრივ შეგნებას, ხალხში ცნობიერების განვითარებას. თუ ამ უკანასკნელ ხანამდის, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული განხეთქილება აფერხებდა რუსეთის ხალხში კლასობრივი შეგნების განვითარებას, ახლა, სამაგიეროთ, უკანასკნელმა ომმა, რომელსაც ზედ დაერთო სამრეწველო კრიზისი, რამდენიმე გუბერნიის დამშევა, და გარდა ამისა, ეროვნულ სიძულვილის და მტრობის უკიდურესობა (სომხების და თათრების ურთიერთ ამოჟლეტა) შესანიშნავათ დააჩქარა საზოგადოებრივი შეგნება. ამ შეგნების განვითარებისთანავე გამოტყვრა მთელი არსებული წესწყობილების უვარგისობა. მოძრაობა, რომელიც წინეთ ვიწრო ფარგალში იყო მომწყვდეული, ფართოთ მოედვა საზოგადოების თითქმის ყველა ნაწილს. რაც დრო მიდის, იგი სულ უფრო და უფრო ფართოვდება და ღრმავდება. ეს არის ნამდვილი ხალხური მოძრაობა. ხალხი პირველათ გამოდის სამოქმედო ასპარეზზე აქტიური მონაწილეობის მისაღებათ. ეს პირველი მაგალითია ჩვენში, აქამდის ხალხი სხვისი იარაღი იყო, მას სხვები იშველიებდენ თავიანთ კერძო ინტერესების განსახორციელებლათ. დღეს იგი დამოუკიდებლათ გამოდის. მაგრამ ამ დროს მასთან მიდიან სხვადასხვა ჯურის მატყუარები, ვითომდა სხვადასხვა რჩევის მისაცემათ, მაგრამ ნამდვილათ კი მის მოსაცდუნებლათ.

მოგახსენებთ, რომ სიღნაღში ავტონომიის საქმე აქამდის რაღაც ცუდათ მიდიოდა. მაგრამ დაიწყო კრებები ერობის შემოღების შესახებ სათათბიროში, ჩავიდა იქ ელ. დარჩიაშვილი *), სულ სხვანაირად და-

*) ასეთი იყო ბ-ნი ელ. დარჩიაშვილი სიღნაღში, და ეს შინაური ქრონიკაც ამაზე იყო დამყარებული. მაგრამ „ივერიის“ ფურცლებზე (№ 166) ახლა მან ფრონტი შეიცვალა და ავტონომიის წინააღმდეგ გამოდის; როგორ მოხდა ეს,—ჩვენთვის საიდუმლოებაა.

ტრიალდა. ავტონომიის მოწინააღმდეგენი პირქვე დაამხეს და ავტონომია მიღებულ იქნა იმავე ბ-ნ ელ. დარჩიაშვილის მეცადინეობით. გამარჯვებაც ასეთი უნდა! „ივერიის“ კორესპონდენტის სიტყვით, ბ-ნ დარჩიაშვილის მეთაურობით შემუშავებული დებულება ერობაზე, შემდეგი სიტყვებით იწყება: „ვიდრე კავკასია ავტონომიას მოიპოვებდეს, მის უმაღლეს საერობო დაწესებულებას შეადგენს სეიმი, შემდგარი საგუბერნიო ერობათა მიერ არჩეულ პირთაგანო („ივერია“ № 163). ყველაფერი ეს სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს. სწორეთ საკვირველი არიან ჩვენი ავტონომისტები. ერთხელაც არ სურთ დაფიქრდენ იმაზე, თუ რა საფუძველი აქვს იმათ ავტონომიას ცხოვრებაში. მაგრამ იმათ როდი აინტერესებს სინამდვილე, იმათთვის მნიშვნელობა არა აქვს შინაარსს, ისინი გატაცებული არიან მხოლოდ ფორმით, გარეგანი სახით. რა თქმა უნდა, ქართველ ბურჟუაზიისათვის, ქართველ თავად-აზნაურობისათვის, ქართველი სამღვდელოებისათვის და ქართველი ბურჟუაზიული ინტელიგენციისათვის დიდათ სასარგებლო და ხელ-საყრელია საქართველოს ავტონომია, ვინაიდან ყველა ამათ მაშინ ბევრათ უფრო მეტი გავლენა ექნებათ. ქართველი ბურჟუაზია ბევრათ უფრო ნაკლებათ დაიჩაგრება უცხო ერის ბურჟუაზიისაგან; ქართველ ინტელიგენციას ბევრათ უფრო ნაკლები მოცილე ელემენტები ეყოლება სხვადასხვა დაწესებულებებში ადგილის დაჭერაში. ასე ითქმის სამღვდელოებაზედაც. ამიტომ არის, რომ დღეს ჩვენში ავტონომიას მარტო ეს ელემენტები უპერენ მხარს. რაც შეეხება მშრომელ ხალხს, ქალაქის და სოფლის პროლეტარიატს, მისთვის ავტონომია დღევანდელ პირობებში მავნებელი იქნება და ამიტომაც იგი წინააღმდეგია დღეს საქართველოს ავტონომიის. ჩვენ მუშა ხალხს არ შეიძლება ამის შესახებ სხვა აზრი ქონდეს. ამიტომ ვინც დღეს ჩვენში ავტონომიას თხოულობს, ის მუშა ხალხის გარეშე დგას, ის მშრომელ ხალხის ინტერესებს ღალატობს და ქართველ ბურჟუაზიის, ქართველ სამღვდელოების და თავად-აზნაურობის ინტერესების დამცველი ხდება. ადვილი შესაძლებელია, რომ ზოგიერთებს ეს გაუგებრობით მოდიოდეს, მაგრამ უმეტესობას კი კარგათ ესმის თავისი როლი. ჩვენ მხოლოდ არ ვიცით, თუ ბ-ნი ელ. დარჩიაშვილი რომელ კატეგორიას ეკუთვნის. ამას, რასაკვირველია, მისი პიროვნების დასახასიათებლათ აქვს მნიშვნელობა, საქმისათვის კი სულ ერთია: განზრახ ემსახურება იგი ბურჟუაზიის საქმეს, თუ უნებლიეთ. დღეს ჩვენში ისეთი დროა, რომ იქითაც ყოფნა და აქეთაც კუდის ქიქინი ყოველად შე-

უძლებელია. საზოგადოებაში წმინდა პარტიული ბრძოლა იმართება, პოლიტიკური პარტიები უფრო და უფრო ირკვევიან და ამ დროს იქითაც ყოფნა და აქეთაც კუდის ქიცინი ბევრათ უფრო სამარცხვინო საქციელია, ვინემ აშკარათ კონსერვატორთა ჯგუფში თავის ამოყოფა. ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ იგი კონსერვატორათ მიგვაჩნდეს, პირიქით, იმას ჩვენ პროგრესისტათაც ვთვლით, მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ ეს ტერმინი დღეს არაფრის გამომხატველი არ არის. პროგრესი, წინსვლა, გარდა ჰესსიმისტებისა, დღეს ყველას სწამს, მაგრამ ყველას ეს ერთნაირათ არ ესმის და განსხვავებაც სწორეთ აქ იწყება. ჩვენ, რასაკვირველია, არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ყველა ეს პროექტები საქართველოს ავტონომიის შესახებ ერობის დაწესებულებათა სახით, ქვიშაზე აგებულ კოშკებს გვანან და არა მკვიდრ საფუძველზე აგებულ შენობებს. ჯერ უნდა შეიცვალოს საფუძველი და მხოლოდ მას შემდეგ ვიზრუნოთ კედლების ამოყვანაზე...

VII.

ჩვენ ვიცით, რომ წელს რუსეთს შიმშილი მოელის. შიმშილი რუსეთში ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. ისეთი წელიწადი იშვიათი იქნება, რომ რომელსამე გუბერნიაში ხალხი შიმშილისაგან არ იტანჯებოდეს. მაგრამ წარეანდელი შიმშილი სხვა წლის შიმშილს არა გავს. მხოლოდ 1892 წლის სიმშილი თუ შეედარება მას, წელს დამშივდა რამდენიმე გუბერნიის ხალხი, ე. ი. რამდენიმე ათი მილიონი გლეხ-კაცობა. სწორეთ წარმოუდგენელია ამოდენა ხალხის დამშევა, მაგრამ ეს ნამდვილი ამბავია, ოფიციალურათ დამოწმებული. ჯერ მაშინაც კი, როცა შიმშილობა არ არის, რუსის გაღატაკებულ და წყალწაღებულ გლეხ-კაცობას უჭირს თავის შენახვა და ცოლ-შვილის გამოკვება, თორემ სიმშილობის დროს რაღა უნდა ითქვას. ისედაც ეკონომიურად დაცემულ და შევიწროებულ რუსის გლეხობას წინევანდელი შიმშილობა სულ განადგურებას უქადის და მართლაც, რა ეშველება მას? საიდან უნდა ელოდებოდეს იგი ხსნას? გაზეთების გამოანგარიშებით დამშეულ გუბერნიების გამოსაკვებათ საჭიროა 250 მილიონი მანეთი. მაგრამ ახლა უნდა იკითხოთ თუ საიდან შეიძლება ამოდენა ფულის შოვნა? მთავრობა იმას ვერ იშოვნის, რადგანაც ყოველივე ჩანთქა უბედურმა ომმა. იმავე დღეშია ერობებიც, რადგანაც არც იმათ მოეპოვებათ რაიმე სახსარი სიმში-

ლობის წინააღმდეგ საბრძოლველათ. ამიტომ იბადება საშინელი კითხვა: მაშ რა მოუვა ამოდენა´ დამშეულ ხალხს? ნუ თუ იმას სიმშილისაგან სიკვდილი მოელის? ყველაზე უსაშიშროესი მტერი სიმშილია. მის დასამარცხებლათ არ გამოდგება არც თოფი და არც ზარბაზანი, არც ხიშტი და არც მათრახი. ომის დამღუპავ და გამანადგურებელ მოქმედებას ვერ შეაჩერებს ვერავითარი გარეშე ძალა. მასთან ბრძოლა შეუძლია მხოლოთ პურს, და აი, იგი აკლია დამშეულ გლეხ-კაცობას, სოფლის მუშა ხალხს, რომლის კისერზე ტრიალებს ამოდენა სახელმწიფოს ხარჯები. მაგრამ ჩვენ ვცდებით, როცა ვამბობთ, რომ რუსეთის გლეხობას პური არა აქვსო.

იმ დროს, როცა რუსის გლეხობას ლუკმა პური ენატრება საჭმელათ, მის მიერ მოწეული პური საზღვარ გარეთ გააქვთ და აი, სწორეთ აქ არის დღევანდელი კაპიტალისტური წესწყობილების ძირითადი წინააღმდეგობა. აქ, შინ, ხალხი სიმშილისაგან იხოცება, და იმავე დროს კი რუსეთის პური საზღვარ გარეთ გააქვთ. რათ არ რჩება ეს პური შინ, ადგილობრივ მცხოვრებლების სიმშილისაგან დასახსნელათ? იმიტომ, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს უკვე არავითარი სახსარი აღარ აქვთ პურის შესაძენათ. ცნობილია, რომ სიმშილობის დროს, რამდენათაც უფრო და უფრო ღატაკდება და დაბლა ეცემა ხალხი, იმდენათ უფრო და უფრო მდიდრდებიან ხალხის სისხლის მწოველი წურბლები, ჩარჩები და საერთოთ ბურჟუა-კაპიტალისტები. ეს ხდება იმიტომ, რომ ხალხი იძულებული ხდება ნახევარ და ზოგჯერ მეხუთედ ფასად გაყიდოს მისთვის საჭირო ნივთები, რომლებიც ხელში უვარდებათ ჩარჩ-ვაჭრებს, რომ შემდეგ, როცა შემთხვევა მიეცემათ, ერთი ორათ და ერთი სამათ გაასაღონ. თვით ის პური, რომელიც საზღვარ-გარეთ გააქვთ, უმეტეს ნაწილით ნახევარის ფასათ დამშეული ხალხისაგან არის ნაყიდი. შეიძლება ვინმემ იკითხოს, დამშეული ხალხი რიღასთვის ყიდის პურს, როცა ეს მას უჭირს. საქმეც იმაშია, რომ სწორეთ მშიერ ხალხს უხდება მისთვის აუცილებლათ საჭირო პურის და სამეურნეო ხელსაწყოს ჩალის ფასათ გაყიდვა, ვინაიდან ამას მას აიძულებს ხაზინა, მემამულეები და მევახშეები, ვინაიდან გლეხმა ჯერ ყველა ესენი უნდა დააკმაყოფილოს და მერე, როცა ზრუნვას შეუდგება, ბაშინ ხედავს, რომ მას აღარაფერი გააჩნია, რომ სიკვდილისაგან თავის დასახსნელათ იგი იძულებულია სამეურნეო იარაღებს გამოეთხოვოს. აქედან შეძენილი ფულით იგი მამასასისხლათ ყიდულობს მის მიერ ნახევარ ფასათ გაყიდულ პურს. მაგრამ ჩქარა მას ეს

უკანასკნელი საშუალებაც ეცლება ხელიდან და მაშინ იწყება სისტემატიური სიმშილის თმენა მთელის თავისი საშინელი შედეგებით. იმავე დროს კი საზღვარ გარეთ ყოველ დღე მილიონობით გააქვთ რუსეთის პური.

და აქ თქვენ აშკარათ ხედავთ, თუ რა ძლიერი განხეთქილება, თუ რა წინააღმდეგობა ღვივის თანამედროვე საზოგადოების გულში. ერთის უდებურება მეორის ბედნიერებას. ამ უკანასკნელ დროს არც რუსეთის ბურჟუაზიას დაადგა მაინცადამაინც კარგი დღე: მისი ძლევამოსილი განვითარება როგორღაც შეფერხდა და იგი სასტიკათ დამარცხდა. მოგეხსენებათ, რომ მან შინაური ბაზარი დაკარგა საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი საქონლისათვის. ამ რიგათ რუსეთის ხალხი შეიქნა მის მეწველე ფურათ, რომელსაც იგი როგორც უნდა ისე წველიდა. გინდა თუ არა უნდა უეჭველათ იყიდო და ჩვენი თანამემამულის მიერ უვარგისათ შემზადებული საქონელი, და ისიც მაღალ ფასებში, ვინაიდან სხვა გზა არ არის, საზღვარ-გარეთის იაფ-ფასიანი და კარგი საქონელი შენთვის ხელმიუწდომელია, ვინაიდან მაღალი ბაჟების წყალობით იგი სრულებით არ მოიპოვება ჩვენს ბაზარზე ან მეტათ ძვირათ ღირს. მაგრამ რუსეთის გათამამებული ბურჟუაზია, რუსეთის ხალხის სისხლით და ხორცით გამძღარი ბურჟუა-კაპიტალისტები დღეს შინაური ბაზრით აღარ კმაყოფილდებიან. ისინი უცხოეთის ბაზრის დასაპყრობათ ემზადებიან, ამაშიაც დახმარებას უწევს მათ მთავრობა; პირველ ხანებში კაპიტალისტებს აძლევენ საზღვარ-გარეთ გატანილ საქონელზე სხვადასხვა ჯილდოებს ფულათ. ვინც მეტ საქონელს გაიტანს, იმას უფრო მეტი ჯილდო ერგება. შემდეგ მთავრობა ადგება აგრესიულ პოლიტიკას, ცდილობს სხვა ქვეყნების შემოერთებას ბურჟუაზიისათვის ბაზრის მოსაპოებლათ. ჩინეთის საქმეში ჩარევა, პორტ-არტურის, დალნის დაპერა და მანჯურიაში რკინის გზის გაყვანა მხოლოთ რუსეთის ბურჟუაზიის სასარგებლოთ იყო გამოგონილი. მაგრამ აქ რუსეთის ბურჟუაზია მეტათ სასტიკათ დაძაბუნდა: მან არა თუ დაკარგა ამ ექვემერთელა ქვეყანაში ყოველგვარი გავლენა, არა თუ იქ დიდი ხნით ამოიკვეთა ფეხი და მოეპო თავის საქონლისთვის გასავრცელებელი ბაზარი, არამედ ეს დამარცხება მას შინაურ ბაზარსაც შეუსუსტებს. იაპონიასთან სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც ზავის პირობებში შედის, უეჭველათ კარს გაუხსნის მთელ ციმბირში იაპონიის და აგრეთვე ამერიკის და ინგლისის ბევრათ უფრო იაფ-ფასიან და ბევრათ უფრო კარგი თვისების საქონელს, რო-

მელსაც მოცილეობას ველარ გაუწევს რუსეთის საქონელი. ეს გარემოება უეჭველათ კრიზისს გამოიწვევს. მაგრამ კრიზისი ისედაც ჭძვინვარებს ღღეს რუსეთში. იგი შედეგია საზოგადოებრივ ცხოვრების მოუწყობლობის, გლეხების და ქალაქის მუშების არეულობებისა. ამ მხრით ყველაზე უფრო დიდი გავლენა იქონიეს ბაქოში და სხვა ადგილებში მოძრაობა—სისხლის-ღვრამ, თათრებსა და სომხებს შორის მომხდარმა ყოველათ უაზრო შეტაკებამ. ყველა ამ გარემოებებმა შეაჩერეს ბურჟუაზიის და კაპიტალისტების მიერ მუშა ხალხის გაყვლეფა, ე. ი. დროებით შეაჩერეს მდიდარ კლასების გამდიდრება. ამიტომ რუსეთის ბურჟუაზია საერთოდ და განსაკუთრებით ნავთის მრეწველები დიდ საგონებელს მიეცენ. ისინი მოსთქვამენ, რომ იმათ განადგურება მოელით, ასე გეგონებათ, რომ შიმშილისაგან სიკვდილი მოელით. მოითხოვენ დახმარებას, შემწეობას. მთავრობას შესჩივიან თავიანთ გაჭირვებულ მდგომარეობას და მისგან სხვადასხვა შემწეობას და დახმარებას ითხოვენ, თუ სესხით, თუ შეღავათით და სხვადასხვა გადასახადის პატიებით. მოდი და ნუ შეიბრალებ დამშეულ კაპიტალისტებს და გაჭირვებულ მილიონერებს. და აი, ეს ხდება იმ დროს, როცა რუსეთის გლეხობას ლუკმა პური არა აქვს, როცა მისი ცოლ-შვილი ტიტველ-შიშველი დაეხეტება, როცა აუარებელი მუშა ხალხი უსაქმოთ ქუჩაზე დაყიალებს.

VIII.

მრავალი მოვლენა, რომლებიც წინეთ ჩვენს ყურადღებას იქცევდა, ღღეს სრულებით აღუნიშნავი გვრჩება. ეამთა-ვითარებამ ღღეს ჩვენ ისეთი მძიმე საკითხის გადაწყვეტა გვარგუნა, რომ ძალაუნებურათ გვერდს ვუვლით ბევრ ისეთ რამეებს, რასაც სხვა დროს უყურადღებოთ არ დავტოვებდით. განსაკუთრებით თავი იჩინეს ასეთ მოვლენებმა ამ უკანასკნელ დროს. ბრწყინვალე და ცხოველ-მყოფელ ძალებთან ერთად თავი წამოუვეს ყველა ბნელმა და დუხჭირმა ძალებმაც. ისე ღღე არ გაივლის, რომ სადმე ბნელმა და ბოროტმა ძალებმა თავი არ იჩინონ და თავისი შხამი არ გადმოანთხიონ. რამდენათაც ძლიერია ბრწყინვალე ძალების გავლენა და ძლევა-მოსილება, იმდენათ უფრო სასტიკი ხდება ბნელ და ბოროტ ძალების მოქმედება. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ღღეს მათი ღღეები დათვლილია, რომ ეს არის მათი უკანასკნელი სულის თქმა, მათი აღსასრული. ყველა ამის გვერდით საზოგადოებრივი

ცხოვრების ასპარეზზე ჩვენ ვხედავთ მრავალ ისეთ რამეებს, რაც უფრო ჩვენში სიცილს იწვევს და რაც დაცინვის ღირსია. თავის თავად იგულისხმება, რომ ათასში ერთხელ ასეთ დუხჭირ მოვლენების მხილებაც აუცილებლათ საჭიროა. ჩვენ აქ უნდა აღვნიშნოთ ზოგი ასეთი მოვლენებიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან.

გაზეთებიდან ვიცით, რომ ეგრეთ წოდებული საერობო კამპანია ჩვენში თითქმის დასრულდა. ჩვენ არ შევეხებით იმ ათასგვარ შეცდომებს და წინააღმდეგობებს, რომლებიც ამის გამო იქნა ჩადენილი ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენლების მხრით. ყველა ამაში სინამდვილის გამომეღავნება და ამის შესახებ თავისუფალი მსჯელობა ყველასათვის დიდათ სასარგებლოა, მაგრამ ეს ჯერ ჩვენთვის შეუძლებელია. რომ აქ ბევრი შეცდომა არის ჩადენილი, ეს დღეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს. კიდევ ვიმეორებთ, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, ამას ჩვენ აქ არ ვეხებით. ჩვენ აქ უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთ პირების საქციელი აწ დამთავრებულ საერობო სათათბიროებში. ყველაზე უფრო მეტი ხმაურობა ერობის შემოღების გამო, რა თქმა უნდა, ქუთაისში იყო. ცნობილია, რომ ქუთაისი ყოველგვარ სალაყბოს ალაგია და რა გასაკვირალია, თუ საერობო სათათბიროები აქ სწორეთ ამ ლაყბობის მთავარ ადგილათ გადაიქცეოდა. და ეს სწორეთ ასეც მოხდა. ორატორები და სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები ერთი მეორეს ეჯიბრებოდენ ენა მახვილობაში და მჭერ-მეტყველობაში. მაგრამ ყველაზე უფრო ისახელა აქ თავი ქუთაისის ძველმა გმირმა, ქუთაისის მეტიჩარა მოღვაწეების მეთაურმა, ქიათურის შავი-ქვის მოღვაწემ, ბ ნმა გ. ზდანოვიჩმა. ამ ვაუბატონის „საგმირო საქმეების“ შესახებ ლაპარაკით თავს აქ არ მოგაბეზრებთ და ეს არც ისე საჭიროა. საჭიროა შევნიშნოთ მხოლოდ, რომ ამ ვაუბატონმა ყოველგვარი საზოგადო ხასიათის საქმე ქუთაისში თავის და თავისი დამქაშების სრულ მონოპოლიათ გახადა. საერობო კამპანიამ ყველას აშკარათ დაანახვა, რომ ბ-ნი ზდანოვიჩი ერობის შემოღებასაც მხოლოდ ამ თვალით უყურებს; იგი კარგათ გრძნობს, რომ ეს გვარიანი ლუკმა იქნება და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ხელიდან არ გაუშვას. რა თქმა უნდა, ჩვენ ყოველთვის დარწმუნებული ვიყავით და დღესაც ვართ, რომ მომავალი ერობა სწორეთ ბ-ნ ზდანოვიჩის მსგავს „მოღვაწეებს“ ჩაუვარდებათ ხელში, და აქ ჩვენ ბ-ნი ზდანოვიჩი მოვიხსენიეთ არა იმიტომ, რომ მისთვის ჩვენ ეს გვშურდეს; ჩვენ აქ გვსურდა აღგვენიშნა ის, თუ რა როლს თამაშობდა ბ-ნი ზდანოვიჩი ერობის

სათათბიროში. ბ-ნი ზდანოვიჩი, როგორც ყოველთვის, აქაც ხალხის უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ გამოდიოდა; იმას ერთი შემთხვევაც კი არ გაუშვია, რომ ხალხის სურვილი ფეხ-ქვეშ არ გაეთელა. და წარმოიდგინეთ, რომ ყოველსავე ამას იგი ჩადიოდა, როგორც ხალხის წარმომადგენელი; ასე გეგონებოდათ, რომ იგი ერთათ ერთი წარმომადგენელია, რომელსაც უფლება აქვს ლაპარაკის და მოქმედების. აი დაუდგეთ ყური, თუ როგორ მტერმეტყველობს ეს ვაჟბატონი:

„ამბობენ, რომ კრებაზე ხალხია მოსული და საჭიროა მათ ლაპარაკის ნება მიეცეთო. ჩემი ფიქრით, ეს შემცდარი აზრია, აქ მე ვერავითარ ხალხს ვერ ვხედავ. აქ ხალხი კი არა, შემთხვევით შეკრებილებია. გარდა ამისა, აქ შეკრებილან ხალხის მაგიერ არჩეული წარმომადგენელნი, რომელთაც ხალხის მაგიერ უნდა ილაპარაკონ და დაიცვან ამომრჩეველთა ინტერესები. არსად არ გაგონილა, რომ წარმომადგენელთა კრებაზე თვითონ ხალხსაც მიეღოს მონაწილეობა. თუ თქვენ გარეშე საზოგადოებას ხმის უფლება მიეცით, ადვილათ შეიძლება, ამა თუ იმ პარტიამ თავის მომხრეები მიიყვანოს კრებაზე, ძალა დაატანოს წარმომადგენლებს და შეაფერხოს აღძრული კითხვების დამშვიდებით გარჩევა. ყოველ განათლებულ სახელმწიფოში **შემუშავებულია დისციპლინა**, რომელიც ჩვენთვისაც სახელმძღვანელოთ უნდა იქნეს...“

ასე მსჯელობა შეუძლია მხოლოდ ნამდვილ მატრაკვეცას. ბ-ნი ზდანოვიჩი ურცხვათ გაიძახის, რომ იგი კრებაზე „ვერავითარ ხალხს ვერ ხედავს“, რომ თუ იქ არის ხალხი, იგი „შემთხვევით შეკრებილია“. ამნაირათ ბ-ნი ზდანოვიჩი კრებიდან აძევებს ხალხს, იმ ხალხს, რომელმაც მას საშვალება მისცა ხალხის წარმომადგენელათ გამოეცხადებია თავისი თავი. მას შემდეგ, რაც ბ-ნი ზდანოვიჩი წარმომადგენლათ სკამზე წამოსკუპდა, იგი ხალხს აღარ ცნობს. და მხოლოთ თავისი თავი მიიჩნია ყოველგვარი უფლების მქონეთ. ბ-ნ ზდანოვიჩს კარგათ ესმის რასაც ჩადის; მან კარგათ იცის, რომ თუ ხალხს ლაპარაკის უფლება მიეცა, მას კარგი დღე აღარ დაადგება და ამიტომ ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ ხალხი კრებიდან გამოდევნოს. ასეთ თავის საქციელს ბ-ნი ზდანოვიჩი სხვათა შორის განათლებული სახელმწიფოების მაგალითით ასაბუთებს, სადაც თურმე დისციპლინაა შემუშავებული და ყველანი იმას ემორჩილებიან. ბ-ნ ზდანოვიჩს ჩვენ აქ არ დავუწყებთ ლაპარაკს იმის შესახებ, თუ რამდენათ სამართლიანია მისი საქციელი, განათლებული ქვეყნის მაგალითი კი აქ სრულებით მოსატანი არ არის, ვინაი-

,დან დღევანდელი ჩვენი პირობები სულ სხვანაირია. ასეა თუ ისე, დღეს ბ-ნ ზდანოვიჩს და მის ხელ ქვეითა მატრაკვეცებს ხვდათ გამარჯვება, მაგრამ უნდა იცოდენ კი, რომ ეს გამარჯვება მეტათ უიმედოა.

აღნიშვნის ღირსია უეჭველათ ერთი ჩვენი ფრიად „დამსახურებული“ მოღვაწის საქციელი. ჩვენ მოგახსენებთ თ-დ აკაკი წერეთელზე. მართალია თ-დ აკაკი დიდი ვინმეა და მაზე ლაპარაკი ასე არ შეიძლება, მაგრამ რას იზამთ? როგორც ძველი რომალები ამბობდენ,—საყვარელია პლატონი, მაგრამ ჭეშმარიტება კიდევ უფრო საყვარელიაო, ისე ჩვენც: მართალია, ბ-ნი აკაკის პატივს ვცემთ, როგორც პოეტს, მაგრამ ჭეშმარიტებას კი იმაზე უფრო მაღლა ვაყენებთ. და ეს ჭეშმარიტება კი დაგვიფარა ბ ნ აკაკიმ. საქმე იმაშია, რომ ამას წინეთ „მოგზაურში“ (№ 33) დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია სოფ. კორბოულიდან, რომელშიაც ბ-ნ აკაკის ბრალს დებდენ იმაში, რომ მან გლეხს სანადელო მიწა გაუყიდა 120 მან., რის გამო ორ გლეხს შორის დიდი განხეთქილება ჩამოვარდნილიყო და ბ-ნ აკაკის თხოვდენ პასუხს. სამწუხაროთ, ბ-ნ აკაკიმ დღემდის პასუხი არ გვაღირსა. არ ვიცით, რას მივაწეროთ ეს მისი გაჩუმება. გვახსოვს, ამას წინეთ ბ-ნი აკაკი სწერდა გაზ. „ივერიაში“: „ძალადობა, დარბევა, მიხტომა, გალახვა და სხვ. არ არის ქართველის ბუნება და ამ მხრით თავის დაჭერა და გონიერება მართებს ჩვენ გლეხობასო“ (№ 70). მაგრამ თუ გაჩანაგებული და გაღატაკებული, მშიერ-მწყურვალ გლეხობას „მართებს თავის დაჭერა და გონიერება“ ეგონებ, ქართველ თავად-აზნაურობასაც მართებდა ყოველივე ეს, და სხვანა შორის ისიც, რომ გლეხის ნადელის გაყიდვაზე იმათ ხელი აეღოთ. ნადელის გაყიდვა ქართველ მემამულეებისაგან რომ იშვიათი მოვლენა არ არის, ეს ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით, მაგრამ თუ ამას საქართველოს დიდებული მგოსანი ჩაიდენდა, ეს ჩვენ არ გვეგონა. ჩვენ ჯერ სავსებით კიდევ არა ვართ ამაში დარწმუნებული, ამიტომ ვთხოულობთ, რომ ბ-ნ აკაკიმ გადაჭრით გვიპასუხოს,—მართალია თუ არა დასახელებულ კორესპონდენციაში მოთხრობილი ამბავი.

ბევრ ახირებულ აზრს და შეხედულებას აქვს ადგილი ქართულ პრესაში. ჩვენ ვიცით, მაგ., რომ ამ ორმოცდა ათი წლის წინეთ, ნეტარ ხსენებულ ივ. კერესელიძის „ცისკარში“ მაშინდელი ქართველი მკითხველი ამოიკითხავდა ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაკეთდეს

მურაბა და ჟელე სხვადასხვა ხილეულობისაგან. ჩვენ გვეგონა, რომ ამ დროს სამუდამოთ გამოვეშვიდობეთ, მაგრამ მოვტყუვდით. აიღეთ გაზ. „ივერიის“ № 175-ს მეთაური და თქვენ დარწმუნდებით, რომ ივ. კერესელიძის დროს ჩვენ არც ისე დავშორებივართ. მართალია, „განახლებულ“ „ივერიის“ მეთაურ წერილში თქვენ ვერ იპოვით ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ კეთდება მურაბა და ჟალე, მაგრამ სამაგიეროთ აქ თქვენ გაიგებთ, თუ როგორ უნდა იქცეოდეთ და გეპიროთ თავი, როცა თეატრში ხართ. ბ ნი ზოგიჩაიშვილი თქვენ დარიგებას გაძლევთ, თუ როგორც უნდა იჯდეთ, როგორ უნდა ეწეოდეთ პაპიროსს, როგორ უნდა ილაპარაკოთ, ავტორი სასტიკათ კიცხავს იმათ, ვინც თეატრში თავისუფლათ იქცევა, დისციპლინას არ ემორჩილება და მით ბ-ნ გოგიაჩაიშვილს, თავიდან ფეხებამდე ჯენტლმენს, უსიამოვნებას აყენებს; ტყუილათ კი არ მიუღია მას განათლება გერმანიაში, ამ დისციპლინით განთქმულ ქვეყანაში. მაგრამ რაც ყველაზე უფრო აბრაზებს ბ-ნ გოგიჩაიშვილს, ეს ის გარემოებაა, რომ ქართველები ასე დაუდევარი, ასე უზრდელი მხოლოთ შინ, თავის სახლში არიან, თორემ სხვებთან, უცხო ხალხთან, ისინი მეტათ ზრდილობიანი და თავდამჭერნი ყოფილან. მართლაც რა თავის აგდებაა ეს ერთი ვიკითხოთ. მე კი ვიტყვი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ისევ ჟელეს გაკეთების ცოდნას ვარჩევ ასეთ ყოვლად უაზრო ყბედობას.

მაგრამ ყბედობაც არის და ყბედობაც. ყველა ყბედობას ერთნაირი გასავალი არა აქვს, თუ შენ ქართველი ხარ და რუსულათ ყბედობ, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არ შეიძლება დიდ დანაშაულათ ჩაგითვალონ. მაგრამ, თუ ქართულათ ყბედობ, ეს, რა თქმა უნდა, დიდ სამსახურში ჩაგეთვლება. აი ამის საბუთი. ამას წინეთ სამედიატორო სამართალი უნდა მომხდარიყო ბბ. ს. ფირცხალავასა და პეტერბურგის სტუდენტებს შორის, მაგრამ არ მოხდა, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ორი მხარე ვერ შეთანხმდენ იმაში, თუ რომელ ენაზე უნდა ელაპარაკათ და ოქმები ეწერათ: ქართულათ თუ რუსულათ. ბ. ფირცხალავა თხოულობდა, რომ მას მხოლოთ ქართულ ენაზე შეუძლია ჩვენების მიცემა, ვინაიდან „ქართულ საზოგადო კრებებსა და დაწესებულებებში მხოლოთ დედა-ენის ხმარება აუცილებლათ მიაჩნია და გარდა ამისა, თავის ინტერესებს იგი ქართული ენის საშუალებით უფრო დაიცავს. მეორე მხარე—

სტ. გედევანიშვილი თხოულობდა, რომ რადგანაც მან ქართული ენა არ იცის, ამიტომ საქმის წარმოება რუსულ ენაზე იყოსო. რადგანაც ამის შესახებ ვერ შეთანხმდენ, ამიტომ სამედიატორო სამართალი აღარ შედგა. ეს შემთხვევა ღირსია მარტოოდენ დაცინვის და მეტი არაფრის. ვინაიდან ორივე მხარე აქ ყალბ ნიადაგზე იდგა და ორივე ცრუობდა. მაგრამ ფ. გოგიჩაიშვილმა ამის გამოც გამოაცხო ერთი მეთაური (№ 176). ბ-ნ გოგიჩაიშვილის წერილიდან გამოდის, რომ რადგანაც სტ. გედევანიშვილს ქართული არ სცოდნია არა თუ საფუძვლიანათ, არამედ „საყველ-პუროდაც“, ამიტომ ჩვენი ქვეყანა დალუპულათ უნდა ჩაითვალოს. მას ვეღარაფერი ვეღარ უშველისო! საყველ-პუროთაც რომ სცოდნოდა ქართველ სტუდენტობას თავის დედა-ენა, მაშინ ხომ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა!

დღევანდელი ქრონიკა მე ერთი დევ-გმირის გაცნობით მინდოდა გამეთავებია. მაგრამ როგორღაც საუბარი, ცოტა არ იყოს, გაგვიგრძელდა. სწორე მოგახსენოთ, მე ამ დევ-გმირის გაცნობით მინდოდა დამეწყო საუბარი; თქვენ უეჭველათ გეინტერესებათ, თუ ვინ უნდა იყოს ეს დევ-გმირი ან სად, რომელ მხარეში აღმოჩნდა იგი? მოგახსენებთ მოკლეთ: მისი სახელი გახლავთ გ. კ. იგი ნავარდობდა „ცნ.-ფურცლის“ სვეტებზე. მისი მიზანია „კარლიკებთან“ (მესამე დასელებთან) ბრძოლა, მაგრამ რადგანაც თითონ დევ-გმირია, ამიტომ „კარლიკებთან“ ბრძოლა, მაინცდამაინც დიდათ სასახელო არ უნდა იყოს. კიდევ სხვაა თავისივე მსგავს ბუმბერაზ არსებებს, დევ-გმირებს რომ შეებრძოლოს. თორემ კარლიკების დამარცხება რა ბიჭობაა! ყოველ შემთხვევაში, ბ-ნ ბუმბერაზს გ. კ.-ს ტვინის ღიტინი უნდა სჭირდეს და განდიდების სენითაც უნდა იყოს შეპყრობილი. მისი განკურნება ჩვენ არ გვჯერა, ხოლო მისი ტვინის ნაწარმოების დაფასებას იგი, იმედია, მოესწრება, ვისგანაც ჯერ არს. მანამ კი განისვენოს ილიუზიაში.

ჟურნ. „მოგზაური“ №№ 13, 16, 17, 21, 23, 34, 35 და 36—1905 წ. 10 აპრილი, 1 მაისი, 8, 5 და 19 ივნისი, 18 და 25 სექტ“ბ“რი და 2 ოქტომბერი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

I.

ბევრ შეუსაბამო და ახირებული აზრს ამოიკითხავთ დღეს ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში. ესაო და განახლების დრო მოგვიახლოვდაო, ჩქარა გაზაფხულიც დაგვიდგებაო და ამის გამო ვინ რა წინადადებას იძლევა, ვინ რა პროექტებს იგონებს მომავალი ცხოვრების მოსაწყობათ და ვინ რას: სულ ახალ-ახალ პროგრამებს და გეგმებს გვაწვდიან და ამით სურთ საზოგადოების ყურადღება დაიმსახურონ, ვითომც ჩვენც ვსაქმობთ, ჩვენც ვმეცადინობთ საზოგადოების სასარგებლოთო. ამ საერთო ხოროში მხოლოდ ბ. სიტყვა [19]) და კალამი [20]) არღვევენ საერთო ჰარმონიას. ამ ვაებატონს, ვერ უშველა ვერც ახალმა სიომ, ვერც განთიადის მოახლოვებამ, ვერც გაზაფხულზე ყვირილმა! ის ისევ ძველ ჰანგზე მღერის, ისევ რაღაც „ერზე“, „ეროვნებაზე“ ბოდავს. სხვამ რაც უნდა თქვას, მას კი მხოლოდ ეს ორი სიტყვა აგონდება: ერი, ეროვნება! რაღაც მომჯადოვებელი ძალა უნდა ჰქონდეს ამ სიტყვებს, რომ ხსენებულ ავტორებს მეტი არაფერი ახსოვთ. უნდა იყოს ერი, უნდა არსებობდეს ეროვნება! თქვენ ტყუილა დაეკითხებით: რა არის ეს ეროვნება, ღვთის გულისთვის ერთი მაინც აგვიხსენითო. მას ამის ახსნა არ შეუძლია: ერი ერია, ეროვნება ეროვნებაა, გიპასუხებს და მორჩა და გათავდა. თუ არ გჯერათ, წაიკითხეთ ხსენებული ავტორის წერილი: „რა არის გურულების განცხადებაში“, რომელიც გაზ. „ცნ. ფურცლის“ 2759 №-ში იყო დასტამბული. თურმე, ნუ იტყვით, გურულ გლეხებს თავის მოთხოვნილებებში დავიწყებიათ ეროვნების მოხსენება, რითაც, რა თქმა უნდა, სასტიკი დანაშაული ჩაუდენიათ ბ-ნ სიტყვის წინაშე. მაგრამ ბ-ნი სიტყვა, როგორც ტაქტიკის კაცი, ბოდიშს ხდის გურულ გლეხებს: მართალია, მათ ეს შეცდომა მოუვიდათ და შესაძლებელია ვინმემ იფიქროს, რომ „გურული ხალხი ეროვნებას უარყოფდეს, ეროვნების წინააღმდეგი იყოსო“, მაგრამ ეს ასე არ არის: „მართალია, — გვეუბნება ბ-ნი სიტყვა — ეს (ე. ი. ეროვნება) აკლია დღევანდელ მოთხოვნილებებს, მაგრამ არავინ იფიქროს, რომ რაც არ არის განცხადებაში, ის არ არის

თითონ ხალხში. თუ დღეს გურულებმა არაფერი განაცხადეს ეროვნების შესახებ, ეს მხოლოდ გარეგანი, შემთხვევითი მიზეზის ბრალიაო". ჩვენ არ ვიცით, რას მივაწეროთ ეს სიტყვები: ავტორის მეტიჩრობას, თუ გაუგებრობას! ხალხი თავისი ადამიანური არსებობისათვის იბრძვის, სისხლსა ღვრის და ბ-ნი სიტყვა გამოსულა და მოშაირესავით გაიძახის: იმათ ეროვნება არ მოუხსენებიათო! და მერე რა არის ეს ეროვნება? ავტორის სიტყვით, ეს იგივე ხალხია. მაშ, თუ ეს ასეა, რაღა საჭირო იყო ეროვნების ჩაჩხირება გლეხების განცხადებაში? არ იყო საჭირო და არც დაუყენებია გურულ ხალხს ეს კითხვა და ეს სრულებით „გარეგანი, შემთხვევითი მიზეზის ბრალი" არ არის, როგორც თქვენ ამბობთ, ბ-ნო სიტყვა! მაგრამ კარგად ვიცით, თუ რა არის თქვენი განზრახვა და საწადელი! თქვენ გსურთ მშრომელ ხალხს გზა-კვალი აუბნიოთ თქვენი ეროვნულ-ბურჟუაზიულ მიმართულებით. მაგრამ თქვენ ამას ვერარ მიაღწევთ. მშრომელმა ხალხმა, მუშებმა და გლეხებმა, კარგად იცის, თუ რას ნიშნავს თქვენი ერი, ეროვნება და საერთო ნიადაგის ქადაგება. განა ერი დღეს ერთეულს წარმოადგენს, ერთი ინტერესით გამსჭვალულს? განა ერში არ არსებობს მჩაგვრელი და დაჩაგრული, მყვლეფელი და გაყვლეფილი, ბურჟუა-კაპიტალისტი და პროლეტარიატი? აბა დაასახელეთ რომელიმე ერი, რომელიც დღეს არის, და რომელშიაც არ იყოს საზოგადოებრივი განხეთქილება, გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა! გამოტყდით, ბატონო სიტყვა, რისთვის ეპოტინებით, ელოლიავებით თქვენ და თქვენნიანები მუშა ხალხს! ხომ ხედავთ, რომ იმას თქვენთან საერთო არა აქვს რა და ნურც ის გგონიათ, რომ ქართულ ენის შესახებ ლათაიებით დაატყუილოთ თქვენ ვინმე! განა მუშა ხალხისთვის საჭიროა მისი მტკიცება, რომ მისი დედა-ენა მისთვის საჭიროა? განა ეს ყველასათვის თავის თავად არ იგულისხმება! მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რისთვის გაიძახით თქვენ, რომ ქართველი ხალხისათვის საჭიროა ქართული ენაო. ისიც გვესმის, თუ რისთვის შეასხით ქება გურიის მოძრაობას! ნუ გეწყინებათ კი, რომ აქაც გადაეჭარბეთ, რისთვისაც გურული ხალხი თქვენ მადლობას არ გეტყვის. პირიქით, მას სრული უფლება აქვს მოგმართოს თქვენ ასეთი კითხვით: სად ბრძანდებოდით თქვენ აქამდის? განა ჩვენი ამბავი მარტო დღეს მოაღწია თქვენამდის? არა და არა. თქვენ წინეთაც გესმოდათ ჩვენი მოძრაობის შესახებ, მაგრამ თქვენ მაშინ სულ სხვა თვალით გვიყურებდით. და მერე, რაღაი მხოლოდ ჩვენმა მოძრაობამ გაგახარათ ასე და დაგაწერიათ შემდეგი სიტყვები: „სწორეთ ახლა

იწყებს ერი შეგნებულ არსებობასო"! ნუ თუ მართლა თქვენ გგონიათ, რომ ამ მოძრაობის პიონერები საქართველოში მხოლოდ ჩვენა ვართ? ძლიერ შემცდარი ბრძანდებით. ვწუხვართ, რომ ასე ნაკლებათ იცნობთ იმ საგანს, რომელზედაც ასე თამამად სწერთო—აი რას გეტყვიან თქვენ, ბ-ნო სიტყვავ, გურული გლეხები!

II.

ამ დღეებში ერთი საკვირველი ამბავი მოხდა. არ იფიქროთ, რომ მე რაიმე მოძრაობაზე, გაფიცვაზე ან კერძო კომისიების თათბირზე და წყლის ნაყვაზე გელაპარაკებოდეთ, რაც ასე გახშირდა ამ მოუსვენარ და საყურადღებო დროს. მე არც იმ ვაუბატონებზე გელაპარაკები, რომლებიც რაღაც ისტორიაზე და ისტორიულ ხანაზე გაიძახიან და უნდათ თუ არა, ყველას „ისტორიის წევრობას" აკისრებენ. მე მოგახსენებთ იმაზე, რომ ამას წინეთ გაზ. „ივერიაში" თ-დ ილია ჭავჭავაძის სიტყვები იყო მოყვანილი, რომლებიც მან თავად-აზნაურთა კერძო კრებაზე წარმოსთქვა, და შემდეგ იმავე გაზეთის ფურცელზე თვით ილიას წერილი იყო დასტამბული. თავადი ჭავჭავაძე, ეს ჩვენი სასიქადულო პოეტი და მწერალი, თავად-აზნაურობას თურმე უმტკიცებდა, რომ გლეხების მოძრაობა მემამულეების ბრალი როდია, ამის მიზეზი სულ სხვა გარემოებაო. სახელოვანი მწერალის აზრით ქართველი გლეხებისათვის ხაზინას წაურთმევია მიწა და არა თავად-აზნაურობას და ამიტომ ქართველი გლეხები ჩვენ მემამულეებს კი არ უნდა ებრძოდენო, საჭიროა, რომ ხაზინამ ჩვენ გლეხებს დაურიგოს მიწებიო. რასაკვირველია, ამის წინააღმდეგი აბა ვინ იქნება, მაგრამ საქმე ის არის, რომ ბ-ნი ჭავჭავაძე არც თავის თავს ივიწყებს. გლეხების მოძრაობით იგი სარგებლობს, რათა თავად-აზნაურობის საქმეც წინ წაიყვანოს და რაც რამ მამული მას დაუკარგავს, ისევ ამოაგებინოს. აი თვით ბ-ნ ილიას სიტყვები: „მოგვცეს ქართველებს (უნდა იგულისხმოთ: თავად-აზნაურობას) ჩვენგან წართმეული ჩვენი მიწა-წყალი, რომელიც ახლა ხაზინას აქვს დაჩემებული და რომელსაც ყველას ურიგებს. ქართველებს გარდა და მაშინ **იქნება ზოგმა ჩვენგანმა** დაუთმოს გლეხ-კაცს თავისი ადგილებიდან ზოგი რამ იმ პირობით, რომ სამაგიეროდ მიიღოს ხაზინის მამულები" (იხ. გაზ. „ივერია" № 21. ხაზს ჩვენ ვუსვებთ). გაღმას იმიტომ გამოგედავები, რომ გამოღმა შემრჩესო, რომ იტყვიან, სწორედ ეს არის! საქმის ნამდვილ გადა-

ფუჩეჩებას ამას ეძახიან. მემამულეებმა გლეხებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე გზა შეუკრეს, გასაქანი არ მისცეს, თ-დი ი. ჭავჭავაძე კი გაიძახის, თითონ ჩვენა ვართ შეეიწროვებული, მთავრობამ თითონ ჩვენ დაგვატყუილა: იმან ჩვენ ორი მილიონი დესეტინა მიწა დაგვპირდა, თუ ჩვენ გლეხებს გავანთავისუფლებდით, და შემდეგ დაგვატყუილაო! მოხერხება, თუ გნებავთ, სწორეთ ასეთი უნდა! გლეხებმა უნდა გაიგონ, რომ ისინი ტყუილად ამოძრავებულან მემამულეების წინააღმდეგ. ეს უკანასკნელები კიდევ უფრო იტანჯებიან: მთავრობამ მათ ორი მილიონი დესეტინა მიწა დასტყუა. ამიტომ გლეხებმა განცხადება შეიტანონ სადაც ჯერ არს, რომ ეს ორი მილიონი დესეტინა მიწა თავად-აზნაურობას ისევ დაუბრუნდეს ყმების განთავისუფლებისათვის და მაშინ, მხოლოდ მაშინ „იქნება ზოგმა ჩვენგანმა (ე. ი. თავად-აზნაურებმა) დაუთმოს გლეხებს თავისი ადგილებიდან ზოგი რამ!" ბ-ნი ჭავჭავაძე არ ცდება ადვილათ და ტყუილა უბრალოთ იგი არავის დაუთმობს რასმეს. ამაში ეპვი ჩვენ არასოდეს არ შეგვიტანია.

***

ქართველ მემამულეთა დასახასიათებლად საქიროა თ-დ პ. ლ. შერვაშიძესაც შევეხოთ, მით უმეტეს, რომ ხსენებულ პირის საქციელმა ერთი აურ-ზაური და ალიაქოთი ასტეხა ქართველ ნაციონალისტების ბანაკში. მაგრამ უპირველეს ყოვლისა თქვენ უნდა იცოდეთ, თუ ვინ არის თ-დი შერვაშიძე. ეს გახლავთ **ქართველი** შეძლებული მემამულე და, თუ გნებავთ, **ქართველი** (სიტყვას ქართველს ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რადგანაც მას ჩვენი ნაციონალისტ-ბურჟუები დიახ რომ დიდ მნიშვნელობას აძლევენ). ახლა წარმოიდგინეთ, რომ ხსენებულ თავადს ჰყოლია კარგი მეიჯარეები თავის მამულში, რომლებიც მას საიჯარო ქირას დროზე აძლევენ, და ისიც ამით სრული კმაყოფილი ყოფილა. მაგრამ, მისდა საუბედუროთ ეს სასარგებლო მეიჯარეები მთავრობის განკარგულებით უნდა გადასახლდენ თ-დ შერვაშიძის მამულიდან და აი, ამ გარემოებას შეუწუხებია **ქართველი** მემამულე! ისიც ამდგარა, შორე მანძილი გამოუვლია, ტფილისში ჩამოსულა მთავრობასთან შესახვეწნათ: ნუ გადაასახლებთ ჩემ მეიჯარეებს, ისინი სასარგებლო კაცები არიან, კარგ იჯარას მაძლევენ და დროზედაც იხდიანო. თ-დი შერვაშიძე დარწმუნებული იყო, რომ იგი ისე იქცეოდა, როგორც მისი საკუთარი, მემამულეს,

ინტერესი მოითხოვდა. მას ფიქრშიაც არ მოსვლია, რომ ეს ვისმეს არ მოეწონებოდა და ამისათვის საყვედურს დაიმსახურებდა! საქმე ის არის, რომ ეს თ-დი შერვაშიძის მეიჯარეები ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხები არიან, ამიტომ თ-დ შერვაშიძის თხოვნა „ეროვნულ“ პრინციპს ეწინააღმდეგება. და ეს მას არ უნდა ჩაედინაო. დეე, თუ გაყვლიფოს, ისევ ჩვენიანები გაყვლიფოსო! მაგრამ ყველაზე უფრო გასაკვირალი ის არის, რომ ჩვენში არიან ისეთი გულუბრყვილონი, რომელთაც თურმე, უკვირთ, რომ შესაძლებელია ქართველ მემამულეს „საკუთარი ჯიბე უფრო აინტერესებდეს და ამ საკუთარი ინტერესის მიხედვით სჭრიდეს და ზომავდეს საქვეყნო საქმეებს“ („ივერია“ № 16). ნუ თუ თ-დი შერვაშიძე მარტო დგას? მიიხედ-მოიხედეთ, ბატონებო, კარგათ და ნაციონალ დროშით ნუ გინდათ ქართველ ხალხს გზა-კვალი აუბნიოთ!

*
* *

კარგი მადლობის გამოცხადება სცოდნია ბ-ნ აკაკი წერეთელს! მკითხველებს ალბათ ეხსომებათ, რომ ჩვენი სასიქადულო პოეტის ავადმყოფობის გამო ხელის მოწერა გაიმართა და მის სასარგებლოთ ყოველგან ფულს აგროვებდენ. ვინ იცის, ამ ჩვენი კურთხეულ ქვეყნის რომელ კუთხეში არ მოუგროვებიათ მის სასარგებლოთ ფული, მაგრამ ბ-ნი აკაკისაგან არსად მადლობის გამოცხადება არ გაგვიგონია და ასეც უნდა მოქცეულიყო, რადკანაც, სწორეთ მოგახსენოთ, მადლობის თქმა მეტად უხერხული უნდა ყოფილიყო. მაგრამ ბ-ნმა აკაკიმ ტაქტიკა შეცვალა. ამას წინეთ აკაკის მუკდენიდან ათასი მანეთი მოვიდა. ეს ფული მუკდენში შეუგროვებია ერთ ქართველ კაცს და, სხვათა შორის, თავისი წვლილი ოთხ ჩინელსაც მიუწოდებია. ბ-ნი აკაკიც ღირსეულად აფასებს ამ ოთხი ჩინელის თანაგრძნობას, რაც მის სასარგებლოთ ფულის გამოღებაში გამოიხატა და დასძენს: „მეც მათ პატივისცემას სამარეში თან ჩავიტანო“. (იხ. „ივერია“ № 22)! ასეთ ღრმა პატივისცემას უცხადებს პოეტი აკაკი იმ კაცებს, რომლებმაც, ვინ იცის, რა საშუალებით და რა გზით შეიძინეს ის ფული, რომელიც ბ-ნ აკაკის გამოუგზავნეს! შეიძლება ის ფული ისეთი საშუალებითაა აღებული, რომ პატიოსანი კაცი იმას ხელსაც არ მოკიდებს, ჩვენი სასიქადულო პოეტი კი, გვიცხადებს, რომ „იმათ პატივისცემას საფლავში თან ჩავიტანო“! მაგრამ ერთი ვიკითხოთ: თუ ჩვენი პოეტი ასე გულუხვი იყო მადლობის გადახდაზე,

იმათ რალა დააშავეს მის წინაშე, რომლებმაც თავისი ოფლით მონაგარი წვლილი მიაწოდეს მას? შეიძლება ბ-ნი აკაკი ერთი ქართული ანდაზის თანახმად იქცევა, ე. ი. შინაურ მოძღვარს შენდობა არა აქვსო! მახლას!

III.

დინჯზე უდინჯესმა და ზომიერების მოყვარულმა „იევრიამ", როგორც იყო, გამოკლებით გადაბეჭდა ჩვენი გაზეთიდან ერთი წერილი, რომელიც თ-დ ილ. ჭავჭავაძის გლეხ-კაცობასთან დამოკიდებულებას ეხებოდა (სახელდობრ: სოფ. საგურამოს და ეპოპორტის საზოგადოება, „მოგზ". № 13). მაგრამ სიდინჯით ცნობილმა გაზეთმა აქაც ზედმეტი სიდინჯე და ზომიერება გამოიჩინა და თ-დი ჭავჭავაძე წინდაწინვე ყოველივე ბრალდებისაგან გაანთავისუფლა.

„ნუ თუ „გლახის ნაამბობის" ავტორს მართლა ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან"?—კითხულობს ხსენებული გაზეთი და პასუხს თითონვე იძლევა: „ჩვენ არ გვინდა ეს დავიჯეროთ და გვირჩევნია ჯერ-ჯერობით იმედი ვიქონიოთ, რომ თითონ თ-დი ილია ხმას ამოიღებს **და კორესპონდენციის შინაარსის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებსო**" (იხ. „იევრია", № 54). როგორ მოგწონს მკითხველო „განახლებული" გაზეთის ტაქტიკა? განა ასე იკვლევენ სიმართლეს ისინი, ვისაც მართლა სიმართლე აინტერესებს? ჩვენ კი გვგონია, რომ თუ „იევრიის" „კორესპონდენციის უსაფუძვლობის დამტკიცება" სურდა, თ-დ ილიასთვის კი არ უნდა მიემართა ამისათვის, არამედ თითონ მიეღო ზომები სიმართლის გამოსარკვევად. მაგრამ არა, მას ეს კი არ აინტერესებს, მას უფრო ის აინტერესებს, თუ როგორ, რა გზით ააცილოს ილია ჭავჭავაძეს ბრალდება და ფონს უენებლათ გაიყვანოს. როგორც მოსალოდნელი იყო, თ-დმა ილია ჭავჭავაძემ „თავისი უგულითადესი მადლობა მოახსენა „იევრიის" რედაქციას იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს არ დაუჯერებია „მოგზაურში" მოთხრობილი ამბები მის (ჭავჭავაძის) შესახებ და თქვენი წინა-გრძნობა ამ შემთხვევაშიაც გამართლდა, ვინაიდან ყოველივე მოთხრობილი ჩემს შესახებ **„მოგზაურში" თავიდან ბოლომდე მტკნარი ტყუილია** და განგებ სხვადასხვა ელფერით შეღებილია. ამისი უტყუარი და აუცილებელი საბუთები ზოგი ხელთა მაქვს, ზოგსაც გამოვითხოვ და შემოწმება საჭიროა და ამას დრო უნდაო" („იევრია", № 55).

ჩვენ არ ვიცით, რა „უტყუარ და აუცილებელ“ საბუთებს წარუდგენს თ-დი ი. ჭავჭავაძე მის მიერ შობილ და ნაქონ „ივერიას“, ხოლო დღეს-დღეობით იმის ძახილი, რომ ყოველივე „მოგზაურში“ მის შესახებ მოთხრობილი თავიდან ბოლომდე მტკნარი ტყუილია, მეტად უდროოთ მიგვაჩნია ისე, როგორც უდროო და უსაფუძვლო იყო „ივერიის“ გამოსარჩლება. რაც შეეხება იმ საყვედურს, რომ წერილის ავტორი ორ ასოს ამოფარებია, და მისი საქციელი „ქურდულიაო, უკანიდან მიპარვით ისრის ტყორცნასა გავსო“, ამაზე თ-დ ჭავჭავაძეს აი რა უნდა მოვახსენოთ: საქმე ის კი არ არის, თუ სახელდობრ ვინ არის წერილის ავტორი, არამედ ის, მართალია თუ არა წერილში აღნიშნული ამბები. გარდა ამისა, ამგვარი საყვედური გაუგებარია თ-დ ჭავჭავაძის მხრით, რომელიც, როგორც გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი თავის გაზეთში ხშირად სარგებლობდა სხვადასხვა ფსევდონიმებით, როცა სხვის პირადობას, სინიდისს და ავზნეობას ეხებოდა. განა ეს იმას არა გავს, რომ სხვის თვალში ბეწვიც კი შეამჩნიო და თავისაში დირესაც ვერ ხედავდე? ჯერ-ჯერობით ეს ვიკმაროთ.

(ჟურნალი „მოგზაური“ 1905 წ.
№№ 8, 9 და 15).

გაზეთები: „სხივი,“ „განთიადი,“ „ელვა“ და „ლამპარი“ 1906 წ.

მთავრობის ლოღიკა და ისტორიის ლოღიკა.

უკანასკნელი პოლიტიკური გაფიცვის დროს, რომელიც რუსეთის პროლეტარიატმა გამოუცხადა მთავრობას ამ სამი კვირის წინეთ, მთავრობამ იხმარა ისეთი ზომები, რომლებისათვის წინათ არ მიუმართავს რევოლიუციონური მოძრაობის ჩასაქრობათ. თითქმის ყოველგან, სადაც კი გაფიცვამ სერიოზული სახე მიიღო, როგორც, მაგ., მოსკოვში, დონის როსტოვში, ეკატერინოსლავში, ხარკოვში, თბილისში და სხვ. მთავრობამ ომიანობის დროის წესების გამოცხადებით განახორციელა ის, რასაც **სამხედრო დიქტატურა** ჰქვია.

ეს სამხედრო დიქტატურა იმაში მდგომარეობს, რომ ქალაქები, დაბა-სოფლები, მაზრები და მთელი გუბერნიები სალდათების, კაზაკების და ჟანდარმების სრულიად აულაგმავ ბატონობაში გადადის; სამხედრო უწყების უფროსს სრული ნება აქვს სრულიად .უმიზეზოთ ცეცხლს და მახვილს მისცეს მცხოვრებლები და მათი საჩო-საბადებელი. ამ დროს მთავრობა თავის სახელში, ე. ი. თავისივე ხალხის წინააღმდეგ ბევრათ უფრო სასტიკათ მოქმედებს, ვიდრე გარეშე მტრის ქალაქში ანუ ქვეყნებში, იგი აღარავის-აღარ ზოგავს, არც დიდს და არც პატარას, არც დედაკაცს და. არც დავრდომილს. იმას შუა ქალაქში, სადაც უიარაღო და მშვიდობიანი ხალხი ცხოვრობს, ზარბაზნები და ტყვიის მფრქვეველები გამოაქვს და შენობებს და ხალხს, ყუმბარებს და ტყვიას უშენს. გამოუთქმელი სისასტიკე გამოიჩინა რუსეთის მთავრობამ რევოლიუციის ჩასაქრობათ, მაგრამ ისეთი სისასტიკე და ულმობელობა, რომელიც მან გასულ დეკემბერში გამოიჩინა, წინათ არ გვინახავს. მთავრობა გააფთრებული და თითქო გრძნობა-გონება დაკარგული ებრძოდა უმეტეს შემთხვევაში უიარაღო და უდანაშაულო ხალხს; მას თითქო ხალხის სისხლით გაძღომა უნდოდა. ეს იყო ველური შურისძიება; ეს იყო სასოწარკვეთილის ყოვლად უიმედო ღრიალი და მთავრობამ თითქო შიაღწია თავის სურვილს, მან ყუმბარით და ტყვიის მფრქვეველებით გაანადგურა უდიდესი ქალაქის მთელი უბნები, ხალხის, განსაკუთრებით მუშა ხალხის, სისხლით შორწყო იმათი ქუჩები და სალდათებს და კაზა-

კეს. ააკლებია მცხოვრებთა სარჩო-საბადებელი, ერთი სიტყვით, დღეს გარეგნობით გამარჯვება მთავრობას დარჩა, მაგრამ ეს გამარჯვებაა?

სწორეთ ამ ერთი წლის წინათ, ე. ი. 9 იანვარს, ასევე გაიმარჯვა მეფის მთავრობამ პეტერბურგის მუშებზე. მან ათასობით გაწყვიტა პეტერბურგის მუშები მარტო იმისთვის, რომ ისინი ხატებით და მეფის სურათით ნიკოლოზ მეორესთან მიდიოდენ თხოვნის გადასაცემათ. მთავრობა ფიქრობდა, რომ ასეთი ზომით იგი სრულიად აღმოფხვრიდა მუშებში რევოლიუციურ მოძრაობას, ჰკუას ასწავლიდა იმათ, რომ უსამართლობის და ბოროტების წინააღმდეგ ხმის ამოღება კარგი არ არისო. მთავრობამ რამდენიმე ათასი უიარაღო მუშების გაწყვეტით არა თუ შეაჩერა რამდენიმე ასი ათასი მუშა, არამედ თავზარ-დაცემით უკუ-აქცია. მთავრობას ეს გამარჯვება ეგონა, მაგრამ ნამდვილათ კი ამ „გამარჯვებით" დაიწყო ის დიდებული რევოლიუცია, რომელიც დღეს ჩვენ თვალწინ ხდება. მთავრობას სურდა რევოლიუციის თავიდან აცდენა, მაგრამ თავის მოქმედებით მან თვითონ დააჩქარა რევოლიუციის დაწყება, და აი დღეს ჩვენ რამდენიმეთ მთავრობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ მის მიერ მიღებულ ზომების მეოხებით რევოლიუცია, აშკარა აჯანყება დღეს მთელ რუსეთს მოედვა კიდით-კიდემდე. ვერავითარი აგიტაცია, ვერავითარი ფართო პროპაგანდა ვერ მოახდენდა იმას, რაც მოახდინა 9 იანვრის „გამარჯვებამ". მთავრობა წელში გატეხა, მან დააყენა იგი დათმობის გზაზე; ამ „გამარჯვებას" მოყვა 18 თებერვლის, 6 ავისტოს და 17 ოქტომბრის მანიფესტები. აი როგორი იყო მთავრობის „გამარჯვება"!

დეკემბრის „გამარჯვებასაც" ჩვენ ამ თვალით შევხედოთ. იქ მთელმა ქვეყანამ აშკარათ დაინახა, თუ რა ყოფილა რუსეთის მთავრობა, თუ რა დარჩენია მას დღეს ხელში. გამოაშკარავდა, რომ მთავრობას შერჩენია მხოლოდ ზარბაზნები და ტყვიის მფრქვეველები, გამხეცებული კაზაკები, სალდათების ერთი ნაწილი და ხულიგნების ბრბო. და აი, მთავრობამ ყველა ეს ელემენტები ზარბაზნებით, ტყვიის მფრქვეველებით და ხიშტებით მიუსია ხალხს გასაკლეტათ და ასაკლებათ. ამ ზომამაც, მსგავსათ 9 იანვრისა, დროებით გასჭრა. მაგრამ ნუ თუ ეს მთავრობის გამარჯვებაა და რევოლიუციის დამარცხება? ლაპარაკი არ უნდა, რომ თუ 9 იანვრის ამბებმა პეტერბურგში რევოლიუციის ცეცხლი დაანთო, დეკემბრის ყუმბარები ამ რევოლიუციას კიდევ უფრო გააძლიერებენ და თუ 9 იანვარს მოყვა 18 თებერვალი, 6 აგვისტო და 17 ოქტომბერი,

დეკემბრის ყუმბარებს უეკველათ მთელი მთავრობის გადადგომა უნდა მოყვეს. ასეთია ისტორიული განვითარების ლოღიკა. გარდა ამისა, მთავრობა, რომელიც აშკარათ ცარცვავს და იკლებს თავის ხალხს, რომელიც თოფით და ზარბაზნებით ყლეტს მას, მთავრობა აღარ არის. დღეს ხალხი კი არ არის აჯანყებული მთავრობის წინააღმდეგ, არამედ თვით მთავრობაა აჯანყებული ხალხის წინააღმდეგ. ვერავითარი ფიზიკური გამარჯვება ასეთ მთავრობას ვერ იხსნის დალუპვისაგან. ყველა ასეთი გამარჯვება დროებითია და იგი თანდათან აახლოვებს მთავრობის დამარცხების ხანას.

ზარბაზნებმა სენატის მოედანზე მთელი თაობა გამოალვიძაო ამბობს გერცენი 14 დეკემბერს 1825 წ. პეტერბურგში მომხდარ აჯანყების შესახებ. დეკემბრის ზარბაზნები გამოალვიძებს არა თუ ერთ თაობას, არამედ მთელ ხალხს, რათა სამუდამოთ ბოლო მოეღოს დღევანდელ უსამართლობას და უკულმართობას. ვინც პირველად გამოიღო მახვილი სხვის წინააღმდეგ, იგი თვითონ გახდება მახვილის მსხვერპლი. აი რას გვასწავლის ჩვენ ისტორია.

(გაზ. „სხივი", 1 იანვარი 1906 წ. № 10).

უკან ვიხევთ, თუ წინ მივდივართ?

ამ უკანასკნელ დროს ჩვენს ქვეყანაში არაჩვეულებრივი ამბები ხდება. სიტყვა რეაქციონერ არ კმარა იმ მდგომარეობის დასახასიათებლათ, რომელშიაც დღეს რუსეთის ხალხი ცხოვრობს. ჩვენს თვალწინ გვეშლება სამი თვის „მოღვაწეობის“ საზარელი სურათი. სამი თვის განმავლობაში შეუჩერებლათ ცეცხლის და მახვილის გამანადგურებელი მოქმედება. ვიტემ და დურნოვომ ამ სამი თვის განმავლობაში მთელი ქვეყნიერობა გააკვირვეს. არავის არ ეგონა, რომ ამ პატარა კაცუნებს ამოდენა სისასტიკის ჩადენა შეეძლოთ. საქმე ასე იყო:

სახელგატეხილმა და ნდობა დაკარგულმა მთავრობამ ამოძრავებულ ხალხს პროლეტარიატის მეთაურობით 17 ოქტომბრის მანიფესტით რამდენიმე უფლება დაუთმო და თვითმპყრობელობაზე ხელი აიღო. მთავრობის მოთავეთ, და მათ შორის გრ. ვიტეს, ალბათ ეგონათ, რომ ეს დათმობა მხოლოდ ქაღალდზე დარჩებოდა, ხალხი ბრიყვია, იგი მარტო დაპირებით დაკმაყოფილდება და ჩვენ როგორც გვიბატონებია, ისე ვიბატონებთო. მაგრამ ხალხი აღარ იყო ბრიყვი, მან მოპოვებული უფლებებით სარგებლობა მოინდომა და ქაღალდზე აღნიშნული თავისუფლების განხორციელებას შეუდგა. გაიმართა საჯარო კრებები, მიტინგები, წარმოითქვა სიტყვები, გამოსცეს გაზეთები და წიგნები; დაფარული, საიდუმლო ორგანიზაციები მზის სინათლეზე გამოვიდენ და იწყეს „ლეგალურად“ მოქმედება. ერთი ყველამ თავისუფლათ ამოვისუნთქეთ.

ყველას უკვირდა, შედარებით მშვიდობიანათ ჩაიარა რევოლიუციამ ჩვენშიო, და იყვენ ისეთი გულუბრყვილონიც, რომლებიც მთავრობას ლოცავდენ, დიდი ლმობიერება და სულგრძელობა გამოიჩინა, რომ ხალხს უომრად დაუთმოვო. აქ არაფერს ვიტყვით იმაზე, თუ რამდენათ მართალი იყო ასეთი შეხედულება, ვინაიდან ვინც ცოტა დაკვირვებულია, ეცოდინება, თუ რამდენათ „მშვიდობიანათ“ ხდებოდა რუსეთში რევოლიუცია, ან თუ როგორ უხდებოდა მთავრობა ყოველგვარ რევოლიუციონურ მისწრაფებას. მაგრამ ამას აქ თავი დავანებოთ. მთავრობამ დიდხანს აღარ გვალოდინა. ის მანიფესტის გამოქვეყნებისთანავე შეუდგა

თავის ჩვეულებრივ მოქმედებას და ყველა ჩქარა დარწმუნდა, რომ ხალხს ატყუილებდენ. თურმე ნუ იტყვით, არც თავისუფლებაზე, არც თვითმპყრობელობის გაუქმებაზე არავინ არ ფიქრობდა, ან ფიქრობდენ თავისებურათ: თავისუფლება ამათ წინანდულათ ესმოდათ, როცა ყოველგვარ თავისუფლებას სდევნიდენ და პიროვნების ხელშეუხებლობაც პიროვნების გათელვა ეგონათ. ჩქარა გამოაშკარავდა, რომ მთავრობა უომრად არავითარ დათმობაზე არ ფიქრობდა. იგი არავის ნებას არ აძლევდა დაპირებული თავისუფლებით ვისმეს ესარგებლა. ხალხის დატყუილება აშკარა იყო. თურმე, მთელი ეს „ისტორია“ ჩვეულებრივი ოინი იყო. შაგრამ გვიანლა იყო. ხალხის აღელვება და უკმაყოფილება იმ ზომამდე იყო მისული, რომ მისი ასე აშკარათ მოტყუილება აღარ შეიძლებოდა. შაგრამ მთავრობამ ახალ ოინს მიმართა: 17 ოქტომბრამდის მას თითქმის მთელი ხალხი ოპოზიციაში უდგა ე. ი. როგორც პროლეტარიატი, ისე ბურჟუაზიული წრეები. 17 ოქტომბრის შემდეგ ბურჟუაზიული პარტიები მან თავისკენ მიიმხრო და პროლეტარიატი გამოაცალკევა. ვიტეს მთავრობამ (დურნოვო პირველ ხანებში არ ჩანდა) განაცხადა, რომ მას ვითომც კონსტიტუციის განხორციელება სურს, მხოლოდ პროლეტარიატი ხელს უშლის თავისი უკიდურესი იდეალების სახელითო. ამიტომ დამეხმარეთ პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში და, როცა დავამარცხებთ, შემდეგ კონსტიტუციასაც განვახორციელებთ და დღეს კი ნურას უკაცრავათ, თუ არც თავისუფლათ კრების მოხდენა შეიძლება და არც თავისუფლათ წერა და ლაპარაკიო. ბურჟუაზიულმა პარტიებმა ასეთი განცხადება მიიღეს და ვიტეს სრული უფლება მისცეს მის მიერ შედგენილი 17 ოქტომბრის მანიფესტი გაებათილებია. ვიტეს და დურნოვოს მთავრობამ ბურჟუაზიული პარტიების დახმარებით დაუწყო დევნა პროლეტარიატს. ამ დევნაში მათ დაივიწყეს არა თუ 17 ოქტომბრის მანიფესტი, არამედ ისიც კი, რაც წინათ კანონიერების სახით არსებობდა. ჩქარა მთავრობამ ბრძოლა ქალაქიდან სოფელშიაც გადაიტანა. სამი თვის განმავლობაში რუსეთის პროლეტარიატი და გლეხობა სისხლისაგან იწურებოდა, ქალაქები და დაბა-სოფლები იწოდენ და იბუგებოდენ. ხალხი მისცეს ასაკლებათ და გასანადგურებლათ გაჭეცებულ ჯარს და კაზაკებს. მთელი თვეების განმავლობაში ყოველივე კანონი გაუქმებული იყო და სალდათის და კაზაკის გარდა თუ რაიმე მთავრობა იყო, კაცს აღარ ეგონა, ვინაიდან ადამიანის სიცოცხლე და მცხოვრებთა სარჩოსაბადებელი იმათ ნებაყოფლობაზე იყო დამოკიდებული. ამ დროს მთავ-

რობას სათავეში უდგას ორი მინისტრი: დურნოვო და ვიტე. ყოველივე ეს სრულდება იმათი საიდუმლო და აშკარა ბრძანებებით. რა მიზანი, ან რა განზრახვა აიმედებდა ხსენებულ პირთ ასე შეუბრალებლათ, ასე ფიცხათ? იმათ ამოქმედებდა ერთად ერთი მიზანი, ერთად ერთი განზრახვა: აღმოფხვრილ იქნას რუსეთის ხალხის გულიდან თავისუფლების მოპოების სურვილი. მიაღწია თუ არა მთავრობამ თავის მიზანს? მოელის თუ არა თავისუფლების საქმეს რუსეთში განსაცდელი? ამ მხრით პირდაპირ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ სრულებით არავითარი განსაცდელი თავისუფლებას არ მოელის, პირიქით, თავისუფლების საქმე უფრო წინ მიდის.

მართალია, დღეს ყოველივე შიშით არის გარემოცული, ყველგან გლოვა და მწუხარებაა გამეფებული; მართალია, ბევრი თავგამოდებული მებრძოლი იმსხვერპლა დღევანდელმა ბრძოლამ; მართალია, ბევრი მუშაკი მოაკლდა მებრძოლთა ბანაკს და რამდენიმეთ ხალხიც თითქო დაწყნარდა, მაგრამ ეს როდია მშვიდობიანობის მომასწავებელი სიწყნარე. ხალხი გაჩერდა და არაფერს ამბობს იმიტომ კი არა, რომ ის კმაყოფილი არის, არამედ იმიტომ, რომ საბრძოლველი იარაღი არა აქვს. მან სამუდამოთ დაკარგა დღევანდელი მთავრობის ნდობა. წინათ ზოგიერთებს კიდევ სჯეროდათ, რომ მთავრობა ასეთ გამხეცებამდე არ მივიდოდა, დღეს კი ეს აღარავის აღარ სწამს. ეს კი ხალხის შეგნების გაფართოვება და გაღრმავებაა.

ვიტემ და დურნოვომ ამნაირით სრულიათ წინააღმდეგს მიაღწია. დეე, ჩვენ დღეს ნუ გვექნება კრების და კავშირის თავისუფლება, ამით ჩვენ კრებებზე და კავშირზე უარს ვერ გვათქმევინებენ. დეე, ნუ მოგვცემენ თავისუფლათ წერის და სიტყვის ნებას,—ამით ჩვენ უკან ვერ დაგვახევინებენ, წინანდელ რეჟიმს მაინც ვერ გააცოცხლებენ! დეე, არღვიონ პიროვნების ხელუხლებლობა, ჩვენ მაინც ვიტყვით, ბიუროკრატიის თვითმპყრობელობა სამუდამოთ მოსპობილია. საქმეს ვერ უშველის ვერც დახვრეტა-ჩამოხრჩობა და ვერც კატორღა და ციმბირი. რაც შეეხება მასიურ გადაწვას და აკლებას, რაც განსაკუთრებით ვიტე-დურნოვოს დროს სცადეს, ბოლოს და ბოლოს ასეთი ზომა უწინარეს ყოვლისა თვით მთავრობას უთხრის ძირს და აყენებს გაკოტრების გზაზე და ამნაირათ ხელს უწყობს ხალხის განთავისუფლების საქმეს.

ამნაირათ მთავრობა არა თუ დაშორდა ყველა ჯგუფებს და ყველა პარტიებს გარდა შავი რაზმებისა, არამედ პირდაპირ უფსკრული შექმნა

თავის თავსა და ხალხს შორის. ასეთ მთავრობას სიცოცხლე და ხანგრძლივობა არ უწერია. რევოლიუციონური პარტიების მოქმედება დროებით შესუსტდა, მაგრამ სამაგიეროთ იმათ მუშაობას ასრულებს ვიტედურნოეს სამინისტრო. ჩვენ უკან არ ვიხევთ, არამედ სულ უფრო და უფრო წინ მივდივართ.

(გაზეთი „განთიადი", 1906 წ.
5 მარტი, № 1).

მთავრობის საქმიანობა და ხალხის ინტერესები.

იშვიათად შეხვდებით ისეთ „საქმიან“ მთავრობას, როგორც ვიტეს და დურნოვოს მთავრობაა! იგი გამწარებით და დაუღალავათ მუშაობს, დღე მოსვენება არა აქვს და ღამე ძილი! რა უდევს საფუძვლათ ამ დაუღალავ საქმიანობას? რა აქვს მიზნათ ასეთ თავგამოდებულ მოღვაწეობას? ვისი ინტერესების დასაცველათ მუშაობს ვიტე-დურნოვოს მთავრობა?

იმ დროს, როცა მთელი ამოდენა ქვეყანა ცეცხლის ალში იწვის, იმ დროს, როცა ქალაქის და სოფლის გაჭირვებული ხალხი სიმშილ-სიცივისაგან იხოცება, იმ დროს, როცა ქვეყნის საუკეთესო შვილებს განუკითხავათ ხვრეტენ, ახრჩობენ, ციხე-სიმაგრეებში ალპობენ და ან შორს ისტუმრებენ,—აი სწორეთ ასეთ დროს ვიტეს და დურნოვოს მთავრობა დამშვიდებით და არხეინათ განაგრძობს თავის ჩვეულებრივ მოღვაწეობას, თითქო აქ არაფერიაო. ის ხალხის მოსატყუებლათ და თვალების ასახვევათ იგონებს ახალ-ახალ საშუალებებს, ახალ-ახალ ზომებს, აღგენს ახალ-ახალ პროექტებს, თხზავს ახალ-ახალ კანონებს. დღე ისე არ გაივლის, რომ რაიმე ახალი კანონი არ გამოსცენ, რაიმე ახალი წესები არ შემოიღონ იმავე ხალხის „საკეთილდღეოთ“ და „სასარგებლოთ“! და ვინ მოთვლის რამდენი „ახალი“ კანონი და „ახალი“ წესები შემოიღეს იმათ დღიდან თავის გაბატონებისა, ე. ი. სულ რაღაც ორი-სამი თვის განმავლობაში. ამ მცირე ხნის განმავლობაში იმათ შექნეს თითქმის მთელი კანონმდებლობა, ე. ი. უფრო მართლათ რომ ვთქვათ, უზრუნველ ყვეს რუსეთში ყოველგვარი უკანონობის სრული გამეფება. იმათ დააკანონეს მინისტრების და ყველა მათი მიმყოლი ჩინოვნიკების სრული თვითნებობა და ყოველგვარ პასუხისმგებლობის გარეშე დარჩენა. ახალი წესების გამოცემით იმათ შეუძლებლათ გახადეს ხალხის ლეგალურათ შეკრება, სიტყვის და წერის თავისუფლება ხომ სასაცილოთ აიგდეს. ჟანდარმების და ჯაშუშების გავლენა და ასპარეზი გააფართოვეს და მათ მეტი ძალა მიანიჭეს; არ დაივიწყეს არც პოლიცია. რაც შეეხება ჯარს, იმას შეუძლია თოფ-ზარბაზნების დაშენა სრუ-

ლიად უშიშრათ და უფრო მეტი სიჩქარით და სისწრაფით მოიყვანოს ასეთი განზრახვა სისრულეში. ყოველივე ეს და კიდევ მრავალი ამის მსგავსი. მინისტრთა საბჭომ და სახელმწიფო საბჭომ სიამოვნებით მოიწონა და დააკანონა კიდეც.

ასეთი შესანიშნავი რეფორმატორული მოღვაწეობის დროს ჩვენი სახელოვანი მინისტრები დურნოვო და ვიტე არც სოფლის გაჭირვებულ გლეხობას ივიწყებენ და არც ქალაქის პროლეტარიატს. პირველის, ე. ი. გლეხ-კაცობის, „გასაბედნიერებლათ" ისინი ყოველ ღონისძიებით იცავენ მიწაზე კერძო საკუთრების პრინციპს, ე. ი. მიწები მემამულეებს რჩებათ და გლეხებს შეუძლიათ იმათი მიწები ან იჯარით აიღონ და ან კიდევ შეიყიდონ, როგორც მოისურვებენ! ქალაქის მუშებს განსაკუთრებით აკრძალული აქვთ გაფიცვა და მუშაობის აღკვეთა, ვინაიდან ეს კაპიტალისტებს ზარალს მიაყენებს და გარდა ამისა, ეს ხელს უწყობს საზოგადოებრივი მშვიდობიანობის და წესწყობილების დარღვევას.

როგორც ხედავთ, ეს დალოცვილი მინისტრები აღარაფერს აღარ ივიწყებენ, იმათი რეფორმატორული მოღვაწეობა ყოველმხრივია. ამაში მათ წუნს ვერავინ დასდებს. საკვირველი მხოლოდ ერთი რამ არის, სახელდობრ ის, რომ ისინი მაინც არ იშლიან და კიდევ სახელმწიფო „დუმის" მოწვევას ცდილობენ. ერთობ საკვირველია იმათი მხრით ასეთი სურვილი. რაღა საჭირო უნდა იყოს ამის შემდეგ ხალხის წარმომადგენლების მოწვევა რაღაც „საკანონმდებლო განზრახვათა შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებათ", როგორც ნათქვამია ერთი რომელიღაც ოფიციალურ ქაღალდში, როცა ყოველგვარი კანონი გრ. ვიტემ და დურნოვომ არა თუ შეიმუშავეს, არამედ კიდევაც გამოსცეს და ცხოვრებაშიაც გაყავთ უკვე? მაგრამ სულ ერთია, სახელმწიფო „დუმის" მოწვევის შესახებ უკვე გაცემულია შესაფერი ბრძანება. პოლიციამ უკვე განკარგულება მოახდინა, რომ 27 აპრილისთვის პეტერბურგში გაგზავნონ ვითომდა ხალხის მიერ, ნამდვილათ კი ადმინისტრატიული წესით არჩეული წარმომადგენლები. აი ესენი თურმე იქნებიან „ხალხისაგან ნდობით აღჭურვილი პირები!"

მაგრამ ეს რაღაც თვალთმაქცობაა! განა ეს ქონდათ მხედველობაში, როცა აღელვებულ და ბიუროკრატიული მთავრობის თვითნებობისაგან ბრაზმორეულ ხალხს მტკიცე და ძირეულ რეფორმების მოხდენას პირდებოდენ? განა თვით სერგეი ვიტე არ იყო, რომელიც ნიკოლოზ მეორეს არწმუნებდა იმაში, რომ არსებული წესწყობილება, ე. ი. თვით-

მპყრობელობა, აღარ შეესაბამება უკვე დღევანდელ მდგომარეობას, რომ ყოველივე ეს ძირიანათ შეცვლილ უნდა იქნას წარმოადგენლობითი მართვა-გამგეობით, რომ საჭიროა სიტყვის, წერის, კავშირის და კრების თავისუფლება და პიროვნების ხელშეუხლებლობაო? ამავე მოხსენებაში, სადაც ეს სწერია, გრაფი ვიტე ამბობდა, რომ საჭიროა მთავრობამ უფრო მეტი გულწრფელობა და გულახდილობა გამოიჩინოს მართვა-გამგეობის საქმეშიო. თურმე ნუ იტყვით, ბ. ვიტე ისე თვალმაქცობით არასოდეს არ მოქცეულა, როგორც ამ სიტყვების წერის დროს. ბევრმა მართალია დაიჯერა გრაფის სიტყვები. ის, ვინც პირველათ ფარდა ახადა მის ფარისეველურ მოქმედებას, ეს რუსეთის პროლეტარიატი იყო.

და აი, დღეს ყველა ხედავს, თუ ვინ ეუბნებოდა ქვეყანას სიმართლეს და ან თუ ვინ ატყუილებდა ხალხს. თვით თომა, უკიდურესი ურწმუნოც კი დაიჯერებს დღეს, რომ მთავრობა ვიტეს პირით სტყუოდა, რომ მას ფიქრათაც არ ქონებია თავის სიტყვის განხორციელება. ასე იტყვის იგი ყოველთვის, როცა კი ხალხის ინტერესების სახელით დრაკონიურ კანონებს იგონებს და სცემს. ასევე სტყუის სახელმწიფო „დუმის“ მოწვევის საქმეშიაც.

ყველა აშკარათ ხედავს, რომ ეს „დუმა“ 17 ოქტომბრის აქტით დაპირებულ „დუმის“ აჩრდილიც არ არის. მაშ, რა უნდათ, მაშ, რისთვის დავიდარობენ და ჩხირკედელაობენ? აშკარაა, რომ სახელმწიფო „დუმა“ იქნება ფირმა და ამ ფირმით მთავრობას სურს 800 მილიონი მანეთის სესხის აღება. მაგრამ მიაღწევს კი მთავრობა თავის მიზანს? ახლაც შესძლებენ ხალხის დატყუილებას?— ჩვენ გვგონია, რომ ვერა.

(გაზ. „განთიადი“ 1906 წ. 7 მარტი № 2).

სომხების და თათრების დელეგატების თათბირი.

6 მარტს დასრულდა სომეხ-თათრების დელეგატების თათბირი, რომელიც მოწვეული იყო მეფის მოადგილის წინადადებით. დელეგატების მოწვევის მიზანი ორ გადამტერებულ მეზობელ ხალხს შორის მშვიდობიანობის ჩამოგდება იყო. მთავრობა ამით გამოტყდა, რომ მას საკუთარი ძალით არ ძალუძს იმ სისხლის ღვრის შეჩერება, რაც გასული წლის განმავლობაში ხდებოდა სომეხ-თათრების ურთიერთ ამოჟლეტით. და აი, მან საჭიროდ დაინახა თვით დაინტერესებულ მხარეების გამოკითხვა და მათი აზრების გაგება იმ ზომების გამონახვის შესახებ, რომლების საშვალებით შესაძლებელი იქნება ამ ყოველად სამარცხვინო სისხლის ღვრის თავიდან აცილება. ამნაირად მთავრობის განზრახვა აშკარაა: იგი კარგათ გრძნობს თუ რა დანაშაული მიუძღვის მას ამ საქმეში, კარგათ იცის, თუ რა ბრალი ედება მცხოვრებთა ერთი ნაწილის მეორე ნაწილზე მისევით, რაც მას პირველათ არ უცდია. რომ საქმე შორს არ წასულიყო, რომ სომეხ-თათრების განხეთქილება იმ ზომამდე არ მიღწეულიყო, რა ზომამდე მან უკანასკნელ დროს მიაღწია, ეჭვი არ არის, მთავრობა სრულებით ყურს არ გაიბერტყავდა. მაგრამ სომხების და თათრების ურთიერთ გაჟლეტა ბოლოს თვით სახელმწიფოსათვის შეიქნა საგრძნობელი დაკარგული მილიონებით. და აი ახლა ცდილობს მთავრობა თავის დანაშაულის გასწორებას, მაგრამ რადგანაც თვითონ უძლურია, დახმარებას თვით ხალხს სთხოვს. მას დაკარგული ნდობის მოპოება სურს. ამით ვხსნით ჩვენ მთავრობის განზრახვას სომხების და თათრების დელეგატების აზრის გასაგებათ.

მიაქციეს თუ არა ამ გარემოებას ყურადღება ხსენებულმა დელეგატებმა, ეს ჩვენ არ ვიცით. ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ ისინი გამოეცხადენ მთავრობას და წარუდგინეს მას თავისი მოსაზრებები, რითაც თავისი სრული ნდობა გამოუცხადეს. საკვირველი იყო ის, რომ დელეგატები ერთ და იმავე დროს მთავრობას ბრალსა სდებენ სომხების და თათრების სისხლის ღვრაში და კიდევაც ქებას ასხამდენ. ჩვენ არ შეედი-

ვართ იმის განხილვაში, თუ ზოგიერთმა დელეგატებმა, როგორც მაგალითად, ბ. ხატისოვმა და კესმა, ისახელეს თავი და ასახელეს თავის პარტიები, ეს ჩვენ მეტად შორს წაგვიყვანდა, და ეს ჩვენთვის არც ისე საინტერესოა, ვინაიდან ახალი აქ ჩვენთვის თითქმის სრულებით არაფერია. ძლიერი მთავრობა, მაგარი მთავრობა, სასტიკი ზომები—აი რა გაისმოდა სათათბირო სხდომებზე. ყველაფერი ეს კარგი, ყველაფერი ეს საჭიროა ბურჟუაზიულ კლასებისთვის, მაგრამ ერთი რამ აეიწყდებოდათ,—სახელდობრ ის, რომ მარტო ეს არ კმარა. ამისთვის შორს წასვლა არ იყო საჭირო: თავისი საკუთარი მაგალითიც ბევრს საგულისხმო რამეს ეტყოდა დარბაისლობით შეპურვილ დელეგატებს. მაგალითად, რა მნიშვნელობა აქვს იმათ თათბირს, როცა ერთი უბრალო კალმის მოსმით, ყოველივე მათი ნალაპარაკევი, შესაძლებელია ქარს მიეცეს. არც ერთ დელეგატს არ დაუძრავს ამის შესახებ კრინტი, არც ერთს არ მოგონებია, რომ ისინი მხოლოდ წყალს ნაყავენ. ჩვენ გვწამს, რომ მხოლოდ ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები ბოლოს მოუღებენ ამ ათასგვარ ბოროტებას და უაზრო შუღლს, რომელიც დღეს არსებობს. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, როცა მარტო ხალხის ნამდვილ წარმომადგენლობის ხმას და სიტყვას ძალა ექნება და არ იქნება დამოკიდებული სხვის სურვილზე. თათბირი დაიხურა საერთო ტაშის კვრით და დიდი იმედით, რომ ამიერიდან მოისპობა მტრობა და მშვიდობიანობა ჩამოვარდებაო. აგრეც იყოს! თათრებსა და სომხებს შორის ჩამოვარდნილმა სამარცხვინო დავამ, რომლის გამო ამოდენა უმანკოსისხლი დაიღვარა, დიდათ შეაფერხა ჩვენში ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა. ამიტომ არავინ არ თანაუგრძნობს ამ ყოვლად უაზრო დავის მოსპობას ისე, როგორც ჩვენ; მაგრამ ჩვენ არა გვწამს, რომ ადმინისტრაციამ ეს შესძლოს დღეს. არის მხოლოდ ერთად ერთი ძალა, ერთად ერთი საშუალება, რომელიც ბოლოს მოუღებს ამ მტრობას. ამ მტრობას ვერ მოსპობს ვერც დღევანდელი მთავრობა, ვერც ბურჟუაზია, პირიქით, ყოველივე ეს იმათი მოღვაწეობით არის გამოწვეული. ბოლო მოეღება ამას მხოლოდ მაშინ, როცა ორივე ხალხის მუშები შეერთდებიან და ერთმანეთს ძმობას და სოლიდარობას გამოუცხადებენ თავის მყვლეფელების—ბურჟუაზიის და მიწათმფლობელების წინააღმდეგ. ვიცი, მეტყვიან, ეს კარგი, მაგრამ დღეს ეს შეუძლებელია, ეს მომავალში მოხდება და ახლა რა გვეშველებაო. მართალია, ეს არ შეიძლება დღესვე მოხდეს, მაგრამ ნუ დაი-

ვიწყებთ, რომ ამის უტყუარი ნიშნები ჩვენ უკვე ვიხილეთ, ჩვენ უკვე ვიყავით მოწამენი, რომ სომხის და თათრის პროლეტარიატი ერთმანეთს ძმობას და სოლიდარობას ეფიცებოდა თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ.

(გაზ. „განთიადი“ № 3, 8 მარტი 1906 წ.)

აგრარული მოძრაობა და დღევანდელი მთავრობა.

ვიტე-დურნოვოს მთავრობა ენერგიულად შეუდგა აგრარული მოძრაობის ჩაქრობას. მას უნდა ამოძრავებული და ზღვასავით აბობოქრებული გლეხობა დააწყნაროს და ძველებურათ თავის ერთგულ ქვეშევრდომათ გახადოს. ამისთვის უმთავრეს საშუალებათ მას მიაჩნია სალდათის ხიშტი და კაზაკის მათრახი; უფრო ურჩ ელემენტებისათვის დახვრეტა, ჩამოხრჩობა ან კატორღაში გაგზავნა.

ასეთი ზომებით სურს მთავრობას იმ აგრარული მოძრაობის ჩაქრობა, რომელიც ასე მოედვა მთელი რუსეთის გლეხ-კაცობას. გლეხს რომ უმიწობა აწუხებს, ამის წამალი თურმე ხიშტი ყოფილა. არაფრის მქონებელ გლეხს რომ გადასახადების ძლევა აღარ შეუძლია, ამის თავიდან აცილება თურმე მათრახით შეიძლება. და როცა ყოველის მხრით შევიწროებული გლეხობა უკმაყოფილებას აცხადებს და თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას თხოულობს, მას გენერალ-გუბენატორს უნიშნავენ, ვითომც არსებული ადმინისტრაცია სუსტი ყოფილიყოს და გლეხები მეტის მეტად გაენებიერებიოს. და აი, გენერალ-გუბენატორებს, რომლებსაც სამხედრო დისციპლინის გარეშე არა სწამთ რა, მილიონ ხალხის ბედ-იღბალს აბარებენ.

თუ რა ნაყოფი მოიტანა მთავრობის ასეთმა მოქმედებამ, ამას აშკარათ ღაღადებს აწიოკებულ და აოხრებულ რუსეთის გლეხ-კაცობის დღევანდელი მდგომარეობა. მართალია, ხიშტის და ზარბაზნების საშუალებით შეიძლება ხალხის დროებით გაჩუმება, მაგრამ ამით გლეხების გაპირვება კიდევ უფრო მწვავდება. მართალია, დახვრეტის და ეკზეკუციების საშუალებით შეიძლება გლეხს რამდენიმეჯერ გააძრონ ტყავი ხაზინის და მემამულეების სასარგებლოთ, მაგრამ ბოლოს ტყავის გაძრობაც შეუძლებელი შეიქნება. და აი, ასეთ მდგომარეობაშია დღეს რუსის გლეხობის დიდი ნაწილი. ყველა გრძნობს, რომ დღეს მისი გაჩუმება აღარ შეიძლება, ყველა ხედავს, რომ მისი დაკმაყოფილება ასე იქნება თუ ისე, აუცილებელია. თუ აქამდის ქალაქის პროლეტარიატი იბრძოდა და იბრძვის თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ახლა ამა-

ვე გზას გლეხობაც დაადგა. მან კარგათ დაინახა, რომ მის სასარგებ-ლოთ არავინ არ ზრუნავს, რომ თუ ვინმე ფიქრობს მაზე, ეს ეხოლოდ იმ მიზნით, რომ მას მისი ნაშრომ-ნაღვაწი გამოსტაცონ.

რა თქმა უნდა, მთავრობა არც ისე ბრიყვია, რომ ამას არ ხედავ-დეს. იგი კარგათ გრძნობს, რომ ხიშტები და ზარბაზნები კარგი რამ არის მოძრაობის ჩასაქრობათ, მაგრამ სხვა ზომებიც არის საჭირო, ისე-თი ზომები, რომ გლეხებს ეგონოთ, ვითომც მთავრობა მათთვის ძლიერ ზრუნავს. და იგიც ასეთ ზომებსაც იგონებს. ამ დღეებში, მაგალითად, დეპეშამ შემდეგი ამბავი გვაუწყა: „ოფიციალურად მი-ნისტრთა საბჭოს სხდომა 5 მარტს მოუნდა გლეხების საკითხის გან-ხილვას. საგლეხო საქმის გადაწყვეტა მთავრობის მოვალეობას შეად-გენსო“. საჭიროა ყურადღება მივაქციოთ მთავრობის შემდეგ გან-ცხადებას! „საგლეხო საქმის გადაწყვეტა მთავრობის მოვალეობას შეად-გენსო“! მაგრამ ერთი ვიკითხოთ: აქამდის ეს ასე არ იყო? შეიძლება დღემდის საგლეხო საქმე სხვას ედვა ვალათ და არა მთავრობას? განა როგორც საგლეხო, ისე ყოველგვარი სხვა საზოგადო საქმე მთავრობის მონოპოლიას არ შეადგენდა? მაშ, რისთვის აცხადებს დღეს მთავრობა, რომ გლეხების საქმე ჩემი მოვალეობაა? ეჭვი არ არის, რომ თუ დღეს მთავრობა გლეხების საქმეს ყურადღებას აქცევს, ეს გამოწვეულია თვით გლეხების მოძრაობით. რომ გლეხებს ხმა არ ამოეღოთ თავის მდგომა-რეობის შესახებ და გაჩუმებული ყოფილიყვენ, ეჭვი არ არის, რომ მთავ-რობა იმათ არავითარ ყურადღებას არ მიაქცევდა. განა ასევე არ მოიქ-ცა მთავრობა ქალაქის მუშების საქმეშიაც? მხოლოდ მაშინ, როცა მუ-შებმა, მექარხნეების და ფაბრიკანტების მიერ შევიწროებულმა და უკიდუ-რეს გაჭირვებამდე მიღწეულმა, არეულობა მოახდინეს. ეს ყურადღება იმაში მდგომარეობდა, რომ მთავრობა იძულებული შეიქნა საფაბრიკო კანონების გამოცემას შესდგომოდა. ყველამ კარგათ იცის, თუ რა არის მთავრობის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული საფაბრიკო კანონები? ვის სასარგებლოთ არის ისინი გამოცემული, მაგრამ ასეა თუ ისე, ამ კა-ნონებმა რამდენიმეთ მაინც ალაგმეს მექარხნეების და ფაბრიკანტების თავ-გასულობა.

და აი ახლა, როცა აგრარულმა მოძრაობამ ერთბაშათ იფეთქა, მთავრობა იძულებული ხდება გლეხების მდგომარეობასაც მიაქციოს ყუ-რადღება. იგი ეძიებს სხვადასხვა საშუალებას, რათა გლეხები დაამშვი-დოს, იგი აარსებს სხვადასხვა კომისიებს ჩინოვნიკებისაგან, რომლებსაც

ავალებს გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ზომების მიღებას, მაგრამ ისე კი, რომ ამით არაფერი ევნოს არც გაუმაძღარ ხაზინას და არც მსხვილ მემამულეებს. ასეთი კომისიები, სათათბიროები და კომიტეტები არა ერთხელ დაუწყებია ყოვლის შემძლე მთავრობას, როგორც მაგ., შიდლოვსკის კომისია, მაგრამ იმათი მუშაობა ყოველთვის მხოლოდ წყლის ნაყვათ ადა ცეულა. 4 მარტის უქაზით ხელახლა არსდება ასეთი კომისიები ყველა გუბერნიებში და მაზრებში. ამ კომისიებს ევალება „მიწათმფლობელობის და მიწით სარგებლობის ნაკლულევანებათა თავიდან აცილება“, ე. ი. ოფიციალური სიტყვები რომ ჩვენ გასაგებ ენაზე ვთარგმნოთ, ამ კომისიებს ევალება დღევანდელი აგრარული მოძრაობის ჩაქრობა, არც მეტი, არც ნაკლები. ახლა ერთი ვიკითხოთ — ვის ევალება ასეთი სამძიმო საქმე? ვის იწვევს მთავრობა იმ კომისიებში, რომლებმაც გლეხების საქმე უნდა მოაწესრიგონ? აი ვის: გუბერნატორებს, თავად-აზნაურთა წინამძღოლებს, ყველა საგუბერნიო და სამაზრო უწყების მოხელეებს, პოლიციელებს და შემდეგ გლეხების სამ წარმომადგენელს, რომლებსაც თვითონ მთავრობა ნიშნავს. აი ვინ დააკმაყოფილებს გლეხებს! აი ვინ მოუღებს ბოლოს აგრარულ მოძრაობას! ნუ თუ მთავრობა მართლა ფიქრობს ამით გლეხების დამშვიდებას? ნუ თუ შესაძლებელია, რომ ჩინოვნიკები და მიწათმფლობელები დააკმაყოფილებენ გლეხების მოთხოვნილებას, ბოლოს მოუღებენ აგრარულ მოძრაობას?

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ყველა ასეთი კომისიების მოქმედება დამთავრდება ისე, როგორც აქამდის; ვიტე-დურნოვოს მთავრობას არ ძალუძს არც ერთი საკითხის გადაწყვეტა, რომელიც კი დღევანდელმა ცხოვრებამ წამოაყენა. ამას კარგათ გრძნობს თვით მთავრობაც, მაგრამ მას არ სურს თავის სრული უნიჭობა გამოააშკარავოს.

მეორე მხრით, ყველასათვის აშკარაა, რომ აგრარული მოძრაობა არა თუ არ ცხრება, არამედ კიდევ უფრო ვრცელდება და იზრდება. მას ვერ შეაჩერებს ვერც თოფ-ზარბაზნები და ვერც ვიტეს და დურნოვოს მიერ შეთხზული კომისიები.

(გაზ. „განთიადი“, 1906 წ. 9 მარტი, № 4).

პოლიტიკური ბრძოლა და კლასობრივი ინტერესები.

ხალხის ყოველგვარი მოძრაობის, ყოველგვარი რევოლიუციის დროს ერთი მეორეში გადაქსაქსულია ორნაირი ბრძოლა: ბრძოლა პოლიტიკური და ბრძოლა კლასობრივი. რასაკვირველია, ყოველგვარი პოლიტიკური ბრძოლა არის იმავე დროს კლასობრივიც, და პირიქით. მაგრამ ყოველთვის ამ საზოგადოებრივი ბრძოლის ორივე მხარე ერთნაირად არ არის წამოყენებული; უფრო ხშირად ბრძოლის ერთი რომელიმე მხარე დაჩრდილულია, მეორე მხარე უფრო აშკარათ სჩანს. ასე იყო ყველა ბურჟუაზიულ რევოლიუციების დროს ევროპაში, როცა ასაკში მოსული ბურჟუაზია მეფის თვითმპყრობელობას ებრძოდა და ამარცხებდა კიდეც. ასე იყო საფრანგეთში დიდი რევოლიუციის დროს, ასევე იყო გერმანიაში და ავსტრიაში 1848 წელს. თვითმპყრობელობა ისეთ სულთამხუთავათ იყო გადაქცეული საერთოდ, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლას მთელი ხალხის ინტერესები მოითხოვდა განურჩეველად წოდებისა თუ კლასისა. თვითმპყრობელობის დამხობა და თავისუფლების მოპოვება ყველასათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა. მეორე მხრით, ის გარემოება, რომ იმავე დროს ბურჟუაზია ებრძოდა თავის კერძო ინტერესების დასაცავად ფეოდალურ წესწყობილებას, როდი იქცევდა ხალხის ყურადღებას. აქ უმთავრესად და განსაკუთრებით წამოყენებული იყო ბრძოლის პოლიტიკური მხარე და მისი კლასობრივი ხასიათი კი თითქმის სრულებით დაჩრდილული იყო. და ამიტომაც იყო, რომ რევოლიუციით სარგებლობდენ მხოლოდ ბურჟუაზიული კლასები, პროლეტარიატი კი მოტყუილებული რჩებოდა; ის მოდიოდა გონს მხოლოდ მაშინ, როცა რევოლიუცია გათავებული იყო. ამის მიზეზი ის იყო, რომ წინანდელ რევოლიუციების დროს ბურჟუაზია უფრო მომზადებული იყო, იგი მეთაურობდა რევოლიუციის საქმეს და თავის კერძო კლასობრივ ინტერესებს იგი მთელი ხალხის ინტერესებათ ასაღებდა.

სულ სხვანაირ პირობებში ხდება რუსეთის რევოლიუცია. აქ ბურჟუაზია მუდამ სუსტი იყო და მას არასოდეს არ უფიქრია ბიუროკრატი-

ული მთავრობის დამხობა. მართალია, თავის ინტერესების დასაცავად იგი ასე თუ ისე ზრუნავდა და რამდენათაც შესაძლებელი იყო ფეოდალურ წოდებასაც ებრძოდა. და უნდა ითქვას, რომ მთავრობა ყოველთვის მზად იყო ბურჟუაზიის ყოველგვარი სურვილი და მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა. აშკარაა, ასეთ პირობებში რუსეთის ბურჟუაზია ვერ შეიქნებოდა რევოლიუციის მოთავე, ვერ ითამაშებდა იმ როლს, რა როლიც ითამაშა ევროპის ბურჟუაზიამ. მაშ, ვის უნდა ეკისრა ასეთი როლი რუსეთში? ან შეიძლება რუსეთში არასოდეს არ უნდა მომხდარიყო პოლიტიკური რევოლიუცია? მაგრამ ასეთი რევოლიუციის მოხდენას აუცილებლათ ხდიდა თვით ბურჟუაზიის განვითარება, საქონლის წარმოების და ვაჭრობა-აღებმიცემობის ზრდა-განვითარება. ბურჟუაზია სუბიექტიურათ არ უწყობდა ხელს რევოლიუციას, მაგრამ ობიექტიურად სწორედ იგი ამზადებდა რუსეთის რევოლიუციას. ვინაიდან მისი ზრდა-განვითარება იმავე დროს ნიშნავდა პროლეტარიატის ზრდას და მისი შეგნების განვითარებას.

პროლეტარიატი თავის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე აუცილებლათ უნდა შებრძოლებოდა იმ წეს-წყობილებას, რომელიც მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ავიწროებდა და ტანჯავდა. ასეთ მდგომარეობას ვერ შეურიგდებოდა რუსეთის პროლეტარიატი და აი, მან კიდევ გამოუცხადა ომი ბიუროკრატიულ მთავრობას. რამდენიმე ხნის განმავლობაში იგი შეურყეველად ეწეოდა მთავრობასთან ბრძოლას და არ ერიდებოდა არავითარ სასტიკ სასჯელს, რომლითაც კი მას მთავრობა სჯიდა. და აი, როცა მან თავისი შეუდრეკელი ბრძოლით მთავრობა წელში გატეხა და იგი აიძულა ჯერ 18 თებერვლის და შემდეგ 17 ოქტომბრის მანიფესტები გამოეცა, იმ დროს საზოგადოებრივ ასპარეზზე ნელ-ნელა, ჯგუფ-ჯგუფად გამოვიდა ბურჟუაზია. მყისვე გაჩნდენ, თითქო მიწიდან ამოძვრენო, სხვადასხვა ბურჟუაზიული პარტიები. და პროლეტარიატის სისხლით მოპოებული თავისუფლების მისაკუთრება მოინდომეს. ერთ ხნობით ისეთი მდგომარეობა იყო, რომ ყველანი, როგორც კერძო პირები, ისე მთელი პარტიები მარტო ადამიანურ უფლებების მოპოებაზე, ბიუროკრატიის დამხობაზე, ერთი სიტყვით, რევოლიუციის პოლიტიკურ მხარეზე უთითებდენ და მხოლოდ ამას აქცევდენ უმთავრეს ყურადღებას. ამნაირათ, ერთ ხნობით ჩვენშიაც მოძრაობამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო და პოლიტიკის უკან რომ კლასობრივი ინტერესები იყო ამოფარებული, უმეტესობა ამაზე პირველ ხანებში არ ფიქრობდა. მაგ-

რამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, ბურჟუაზიამ ჩქარა აგრძნობია ყველას, რომ პოლიტიკურ რევოლიუციას იგი თავის საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენებს. პროლეტარიატისათვის აქ გასაკვირალი არაფერი ყოფილა, მან კარგათ იცოდა, რომ ბურჟუაზია მის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას მხოლოდ თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა, თუ პროლეტარიატი თავის დროზე შესაფერ ზომებს არ მიიღებდა. რასაკვირველია, თავის მხრით, ბურჟუაზიაც კარგათ ხედავდა, თუ მის განზრახვას როგორ ეწინააღმდეგებოდა პროლეტარიატი. ასეთ პირობებში ბურჟუაზიისათვის ბევრათ უფრო ხელსაყრელი იყო ისევ მთავრობასთან დაახლოვება. ბურჟუაზიამ გადასწყვიტა მთავრობასთან დაახლოვება და თავისი დახმარებაც აღუთქვა, რასაკვირველია, პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამიერიდან რუსეთის რევოლიუცია პოლიტიკურ ბრძოლის ელფერს ჰკარგავს და იგი უფრო კლასობრივ ხასიათს ღებულობს. მთავრობა ბურჟუაზიული პარტიების დახმარებით ისევ გამაგრებულ პროლეტარიატს ებრძვის. ამნაირად, ბურჟუაზია თავის კერძო ინტერესების დასაცავათ რუსეთის რევოლიუციას ებრძვის და შველის მთავრობას. სწორედ ასე მოიქცა ბურჟუაზია 1848 წ. გერმანიაში, როცა ძლევამოსილმა აჯანყებამ თვითმპყრობელობა დაამხო. ბურჟუაზიას თავზარი დასცა ხალხის ასეთმა გამარჯვებამ. მას მოელანდა პროლეტარიატის გამარჯვება, ბურჟუაზიული კერპების: კერძო საკუთრების, ოჯახის და სარწმუნოების დამხობა, და მან მაშინვე ზავის შეკვრა გადასწყვიტა სახელგატეხილ მთავრობასთან; მთავრობამ ეს ზავი განსაკუთრებით თავის გასამაგრებლად გამოიყენა და ამას მოჰყვა სასტიკი რეაქცია. ასე იქცევა დღეს რუსეთის ბურჟუაზია. იგიც ეხმარება მთავრობას მისი რეაქციონური პოლიტიკის განხორციელებაში. პროლეტარიატი არ დაივიწყებს ამას.

(გაზ. „განთიადი", 1906 წ.
10 მარტი, № 5).

პროლეტარიატი იბრძვის, ბურჟუაზია უფლებებს პულობს.

ყველა, განსაკუთრებით ბოლო დროინდელ რევოლიუციებს, უმთავრესათ პროლეტარიატი ეზიდებოდა თავისი ზურგით. ეს იყო და არის ერთათ-ერთი კლასი, რომელიც **მუდამ** წინ მიაქანებდა და მიაქანებს რევოლიუციას: არ ყოფილა არც ერთი ისეთი შემთხვევა, რომ პროლეტარიატი რევოლიუციის წინააღმდეგ ამხედრებულიყოს და მისი მუხრუჭი გამხდარიყოს, როგორც ეს არა ერთხელ ჩაუდენიათ, მაგ., ბლეხებს და საზოგადოთ წვრილ ბურჟუაზიას. ასე რომ, ყოველივე ის წარმატება პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში, რომელიც კი რევოლიუციას მოჰყოლია შედეგათ, უმთავრესათ პროლეტარიატის მედგარი, შეუდრეკელი ბრძოლით ყოფილა მოპოვებული. მაგრამ დახეთ ისტორიის უკუღმართობას! სწორეთ იმ კლასს, რომელიც ყველაზე მეტ სისხლს ღვრის უფლებათა მოსაპოვებლათ, სწორეთ ამ კლასს ყველაზე ნაკლები წილი ხვდება მოპოებულ უფლებაში. წინააღმდეგ, ის კლასი, რომელიც ყველაზე უფრო გაურბის ბრძოლას და ერთ მისხალ სისხლსაც კი არა ღვრის უფლებათა მოსაპოებლათ, თუმცა ეს უფლებანი მისთვისაც არსებით საჭიროებას შეადგენს, სწორეთ ეს კლასი, სახელდობრ, ბურჟუაზია, ყველა სხვა კლასებზე დიდ წილს იღებს ხოლმე სხვისი ბრძოლით მოპოვებულ უფლებაში. ასე იყო ყველგან, სადაც კი რევოლიუცია მომხდარა, და ასეა დღეს რუსეთშიაც, მიმდინარე რევოლიუციის დროს.

პროლეტარიატმა დაიწყო რუსეთში რევოლიუციონური მოძრაობა იმ დროს, როდესაც ყველა სხვა საზოგადოებრივ კლასებს ღრმა პოლიტიკური ძილით ეძინათ. პროლეტარიატმა ზრდა-ავითარა ეს მოძრაობა მანამ, ვიდრე იგი ფართო საყოველთაო სახალხო მოძრაობათ არ გადააქცია. და ბოლოსდაბოლოს კი შეჰქმნა თვით რევოლიუცია, რომელიც 1905 წლის 9 იანვარს დაიწყო. პროლეტარიატი დღესაც დედაბოძია რევოლიუციის, მისი მთავარი ბერკეტია. ყველა დანარჩენი კლასები იმდენათ უწყობენ ხელს პროლეტარიატის მოძრაობას და საზოგადოთ დღევანდელ რევოლიუციას, რამდენათაც ისინი შევიწროებულნი არიან

დღევანდელი პოლიტიკური წესწყობილების მიერ, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია რევოლიუცია, სახელდობრ, ყველაზე უფრო მედგრათ მხარს უჭერს და ხელს უწყობს გლეხ-კაცობა და საზოგადოთ წვრილი ბურჟუაზია, ხოლო ყველაზე უფრო ნაკლებათ-კი უფრო მომსხო და მსხვილი ბურჟუაზია. ეს უკანასკნელი, თვითმპყრობელობის სრული ბატონობის დროსაც კი შედარებით მაინცდამაინც შევიწროვებულათ არ გრძნობდა თავს, რადგან მთავრობა მის ინტერესებს მუდამ გვარიანი თავ-გამოდებით იცავდა; ამის მიუხედავათ, რასაკვირველია, ბურჟუაზიას არ შეეძლო სრულიად კმაყოფილი ყოფილიყო თავისი პოლიტიკური მდგომარეობით. მისთვის აუცილებლათ საჭირო იყო და არის პოლიტიკურ უფლებათა მოპოვება. მაგრამ რუსეთის ბურჟუაზიას არასოდეს ფიქრადაც კი არ მოსვლია ბრძოლა დაეწყო ამ უფლებათა მოსახვეჭათ. ის მუდამ მხოლოდ თხოვნებს და შუამდგომლობას კმარობდა „თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად". ამის უმთავრესი მიზეზი, რასაკვირველია, ბურჟუაზიის სიმხდალე იყო და ის კრინტის დაძვრასაც კი ვერ ბედავდა მძლეთა-მძლე მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ მას შემდეგ, რაც პროლეტარიატის და საზოგადოთ ხალხის მედგარი ბრძოლის მეოხებით და ამასთან გარეშე მტერთან ომში დამარცხების გამო რუსეთის მთავრობას თანდათან წელი მოსწყდა და დაუძლურდა, მას შემდეგ ბურჟუაზიამაც ნელ-ნელა, თუმცა ისევ გაუბედავათ, ხმა აღიმაღლა „უფლებრივი წესწყობილების" საჭიროების შესახებ. და აი, დღეს, როცა რევოლიუცია მთავრობას აიძულებს დათმოს რაიმე, როცა რევოლიუციის ნათესის მომკის დრო უკვე მოახლოვდა, როცა რევოლიუციის ნაყოფი საცაა განაწილებულ უნდა იქნას, სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასებს შორის,— დღესვე უკვე აშკარა ნიშნებს ვხედავთ იმისას, რომ ამ ნათესის, ამ ნაყოფის ზორბა ნაწილს ბურჟუაზია იგდებს ხელთ.

მართალია, სახელმწიფო „დუმა", რომელსაც მთავრობა იწვევს, ბურჟუაზიას არ ანიჭებს პოლიტიკურ ძალა-უფლებას, რადგან მას, დუმას, ექნება მხოლოდ სათათბირო და არა გადამწყვეტი, კანონმდებელი ხმა, მარა, სამაგიეროთ, როგორც დუმაში, ისე—და მით უმეტეს—სახელმწიფო საბჭოში უმთავრესად ბურჟუაზია იქნება გაბატონებული, და ამის შემწეობით მას შეეძლება ასე თუ ისე გავლენა იქონიოს კანონმდებლობაზე და საზოგადოთ სახელმწიფო საქმეთა მართვა-გამგეობაზე.

ყოველ შემთხვევაში, ბურჟუაზიამ ასე თუ ისე თავი შეჰყო მთავრობის საბრძანებელში და მას საშუალება მიეცა ადვილად მოიკალათოს

იქ, ფეხი მოიმაგროს და თავისი ნება გაბატონოს; ამისათვის საკმარი-სია ერთნაირად დაინგრეს ბიუროკრატიის თვითმპყრობელობა; მისი კანდიდატი ბურჟუაზიის თვითმპყრობელობაა. ბურჟუაზიის პოლიტიკურ გაბატონებას აუცილებლად ხდის მისი სოციალურ-ეკონომიური ბატონობა დღევანდელ სახელმწიფოში; მას თავისი ქონებრივი სიმდიდრის შემწეობით საშვალება აქვს დაიმორჩილოს არა მარტო ყოველგვარი, მთავრობისათვის საჭირო ძალები, (პოლიცია, სამხედრო ძალა და სხვ.) არამედ მას შეუძლია აგრეთვე მორჩილებაში იყოლიოს ხალხის შეუგნებელი უმრავლესობაც, რომელიც ნივთიერათ დამოკიდებულია მისგან.

/ ამნაირად, დღევანდელი ბიუროკრატიული თვითმპყრობელობის მოსპობის შემდეგ აუცილებლად ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობა დამყარდება და რევოლიუციის შემწეობით მოპოვებულ პოლიტიკურ უფლებათა მეტი წილი ბურჟუაზიას ჩაუვარდება ხელში. ამის სრულიად აკილება, სამწუხაროდ, ყოვლად შეუძლებელია დღეს-დღეობით, სანამ ხალხის უმრავლესობა ჯერ კიდევ ნაკლებ **შეგნებულია**. შესაძლებელია, და სავსებით შესაძლებელიც მხოლოდ ის, რომ ხალხის შეგნებულმა ნაწილმა, უმთავრესად, რასაკვირველია, პროლეტარიატმა ხელი შეუშალოს ბურჟუაზიის სრულ პოლიტიკურ გაბატონებას, სრული ბურჟუაზიული თვითმპყრობელობის დამყარებას, და თვითონ, რაც შეიძლება მეტი უფლებები მოიპოვოს. არც ერთ წინანდელ რევოლიუციის დროს ევროპის პროლეტარიატს იმის მესამედი შეგნებაც კი არ შესწევდა, როგორიც შესწევს დღევანდელ რევოლიუციის დროს რუსეთის პროლეტარიატს. ის ორგანიზაციულად გაცილებით უფრო მტკიცედ არის შეკავშირებული, ვიდრე ევროპის პროლეტარიატი იყო წინათ.

(გაზ. „ელვა“ 1906 წ.
12 მარტი, № 1).

აგრარული მოძრაობის მოლოდინი.

გაზაფხულის მოახლოებამ მთავრობას ისევ დაუფრთხო ძილი. მართალია ვიტემ და დურნოვომ ქვეყანა გააყრუეს თოფ-ზარბაზნების გრგვინვით, დედაკაცების, ბავშვების და მოხუცებულების წივილ-კივილით და ქვრივ-ობლების ოხერა-გოდებით, მაგრამ თურმე ეს არ კმარებულა! ქვეყნის დასამშვიდებლად თურმე ყოველივე ეს არ ყოფილა საკმარისი! და აი, მთავრობა ახალ ზომებს, ახალ საშუალებებს იგონებს გლეხების მოძრაობის ჩასაქრობათ. ეტყობა, თავის თავს კარგათ ჯერ კიდევ ვერ გრძნობენ.

ამ დღეებში გაზეთებმა გადმოგვცეს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა დურნოვომ გენერალ-გუბერნატორებს და პოლიციელებს საიდუმლო ცირკულიარები დაუგზავნა, რომლებშიაც იმათ უბრძანებს წინდაწინვე შეუდგნენ მზადებას და თადარიგს გაზაფხულზე მოსალოდნელ აგრარულ მოძრაობის ჩასაქრობად.

როგორც ხედავთ, მთავრობა კარგად გრძნობს, რომ მის მიერ დღემდის ხმარებული ზომებით მოძრაობა არ ჩაქრება და შეიძლება კიდევ უფრო გამწვავდეს.

მეორე მხრით, არც მემამულეები გრძნობენ თავიანთ თავს სამშვიდობოში. ისინიც ხედავენ, რომ გლეხები მათ არ აპატიებენ იმ შეწუხებას და ტანჯვა-წვალებას, რაც იმათ თავზე დაატყდა მემამულეების მოქმედებით. ბევრ ადგილას ისინი ველარ ბედავენ თავიანთ მამულებში დაბრუნებას და იქ მუშაობის დაწყებას. უეჭველია, იმათ ელანდებათ აკლებული და აოხრებულ გლეხების მუქარით და შურისძიებით აღბეჭდილი სახეები.

თუ რა ყოფაში არიან გლეხები, თუ როგორ გრძნობენ ისინი თავიანთ თავს მას შემდეგ, რაც მთავრობა ასე ზრუნავს იმათ ინტერესებისათვის, ამას ჩვენ სინამდვილე დაგვანახებს. საინტერესოა მხოლოდ ვიცოდეთ, თუ რა ზომებს ხმარობს მთავრობა დაზარალებულ მემამულეების სასარგებლოთ. აი ეს ზომებიც:

1) გლეხებს დააკისრა იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მემამულეებს აგრარული მოძრაობის დროს მოუვიდათ.

2) თავის მხრით მთავრობამ იმავე მემამულეებს ათი მილიონი მანეთი აჩუქა სესხის სახით გატყავებული გლეხების ზურგზე ანაგლეჯი ფულებიდან, რა თქმა უნდა, და

3) ნება დართო, რათა მემამულეებმა იყოლიონ საკუთარი პოლიცია, როგორც ეს მას ჟამსა იყო — ბატონ-ყმობის დროს, რათა ურჩი გლეხები თავისივე საკუთარი ძალით დაიმორჩილონ, ვიდრე პოლიცია მიეშველებოდეს.

აქ ყველაფერია მხედველობაში მიღებული: მოძრაობის ჩაქრობაც და მემამულეების ინტერესებიც. დავიწყებულია მხოლოდ ერთი სულ მცირე გარემოება, სახელდობრ: თუ ვინ უნდა იზრუნოს განადგურებულ და აოხრებულ გლეხების ზარალის ანაზღაურებაზე, იმათი დაქცეული სახლ-კარის აღდგენაზე! ასე გულმავიწყია მთავრობა. მას ყველაფერი ახსოვს, იგი არაფერს არ ივიწყებს, როცა საქმე მის საკუთარი არსებობობის დაცვას და მდიდარ მემამულეების და ბურჟუა-კაპიტალისტების ინტერესებს შეეხება. იგი გულმავიწყია მხოლოდ მაშინ, როცა პროლეტარიატის და გაპირვებული გლეხ-კაცობის ინტერესების დაცვაა საჭირო. ეს ჩვენ კარგათ ვიცით. დღევანდელი კლასობრივი სახელმწიფო და კლასობრივი მთავრობა მარტო მდიდრების და მყვლეფელების ინტერესების დასაცველად არის მოვლინებული. პროლეტარიატის უდიდეს ნაწილს ეს ჭეშმარიტება უკვე შეგნებული აქვს. რაც შეეხება გლეხობას, მათი კლასობრივი ცნობიერების გაღვიძებისათვის და გაძლიერებისათვის ბევრი იმუშავა თვით დღევანდელმა მთავრობამ. ამიტომ მთავრობა არ სცდება, როცა აგრარულ მოძრაობის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ემზადება. იგი აშკარად აცხადებს, რომ აგრარული მოძრაობის ჩაქრობა ჯერ ფუჭი ოცნებაა.

ამნაირად, დღევანდელი სიჩუმე და მყუდროება ემსგავსება იმ სიჩუმეს, რომელიც ქარიშხალის წინ იცის. ჰაერი გაჟღენთილია საშიშარი ნიშნებით. ქვეყანას კიდევ დიდი განსაცდელი მოელის და ამაში დამნაშავე სხვა არავინ არის, გარდა ვიტე-დურნოვოს მთავრობისა.

საიდან უნდა ველოდეთ ხსნას? როგორ, რა გზით შეგვიძლია ავიცდინოთ თავიდან განსაცდელი? ვის შეუძლია აგრარული საკითხის გადაწყვეტა? აი კითხვები, რომლებიც ამ ჟამად ყველას აინტერესებს. თითქოს ბურჟუაზიული პარტიებიც მეტად დაინტერესებული არიან აგრა-

რული საკითხით. და ეს ინტერესი ადვილი გასაგებია, რადგანაც გლეხების დღევანდელი მოძრაობა მიმართულია ყველა მსხვილი მემამულეების წინააღმდეგ, რადგანაც გლეხები თხოულობენ მემამულეებისაგან მიწების უფასოდ ჩამორთმევას. მაგრამ აგრარული კითხვის გადაწყვეტა კიდევ უფრო ინტერესებს სოციალისტურ პარტიებს და განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას.

(გაზ. „ელვა", 1906 წ.
15 მარტი, № 3).

„კონსტიტუციონალური“ ილიუზია.

ბურჟუა-ლიბერალების „კონსტიტუციონური“ ილიუზია, რომელიც 17 ოქტომბრის მანიფესტმა დაბადა იმათ თავში, დეკემბრის თვეში რეაქციის გამოლაშქრებამ გაფანტა. ძველი რეჟიმის დაცემა მხოლოდ ხალხის სრული გამარჯვების შედეგია. 17 ოქტომბრის მანიფესტი ბიუროკრატიის მხრით ერთნაირი დათმობა იყო, თუმცა სიტყვიერი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ხალხის რევოლიუციონური მოძრაობით გამოწვეული. ხდებოდა საკვირველი მოვლენა! ბიუროკრატია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოდა ხალხის ყოველგვარ თავისუფალ მოძრაობის აჩრდილსაც კი, რომელიც „უაზრო თავხედობათ“ თვლიდა ხალხის წარმომადგენლების მონაწილეობის მიღებას კანონმდებლობაში,—აი, სწორეთ ეს ბიუროკრატია გამოსულიყო და თითქო ხალხს ეუბნებოდა: ჩვენ აქამდის დამნაშავე თუ არა, შემცდარი მაინც ვიყავით, შენ კი მართალი. ამიერიდან ყოველივე შენი სურვილი დაკმაყოფილებული იქნება, შენ სრული უფლება გეძლევა თავისუფლად წერის, ლაპარაკის, კრების, კავშირის შედგენის. გარდა ამისა, შენს დაუკითხავად ამიერიდან არავითარი კანონი არ გამოიცემაო.

ეს იყო „კონსტიტუციონალური“ ილიუზიის მიზეზი. მთავრობა ვერ განახორციელებდა თავის სიტყვებს. ამისათვის საჭირო იყო ძირითადი ცვლილების მოხდენა არსებულ წესწყობილებაში, საჭირო იყო რევოლიუციის ბოლომდე მიყვანა. და განა ეს შეეძლო ვიტეს და კამპანიას? ეს ხომ თავისივე ხელით იმ ტოტის მოჭრა იქნებოდა, რომელზედაც თვითონ ისხდენ.

მთავრობის ნამდვილი განზრახვა ბევრისათვის გაუგებარი დარჩა. რაც შეეხება ბურჟუაზიას და მის იდეოლოგებს,—ისინი სავსებით მიეცენ „კონსტიტუციონურ“ ილიუზიას. მათ გადასწყვიტეს, რომ რევოლიუცია უკვე დამთავრდა, ამის შემდეგ მის გაგრძელებას სრულიად არავითარი აზრი აღარ აქვსო. პროლეტარიატი კი სულ სხვანაირად უყუ-

რებდა საქმეს. 17 ოქტომბრის მანიფესტით, პროლეტარიატის აზრით, რუსეთის რევოლიუციაში ახალი ხანა იწყებოდა. რევოლიუციონური მოძრაობა ვერ შეჩერდებოდა იმით, რომ ბიუროკრატია ხალხს დაპირებას აძლევდა, შემდეგში ასე მოვიქცევიო. და მერე რით იყო გამოწვეული ეს დაპირება? აშკარა იყო, რომ თვით ეს დაპირება ერთი იმ ოინთაგანი იყო, რომლისთვისაც არა ერთხელ მიუმართავს ბიუროკრატიას, როცა საქმე გაჭირვებია.

ამნაირად 17 ოქტომბრის მანიფესტს ბურჟუაზია და პროლეტარიატი ერთნაირად არ შეხვდენ. და ეს არც გასაკვირია. ვინ იყო მართალი, ვინ გამოიჩინა აქ წინდაუხედავობა, ყველაფერი ეს ჩქარა გამოირკვევა. ბურჟუაზიამ პირი უბრუნა რევოლიუციას, იგი საგრძნობლად დაექანა მარჯვნით და მთავრობასთან მოლაპარაკება გამართა. ეს მოძრაობის გაცემა იყო. ბიუროკრატიამაც სწორეთ ამისთვის გამოიგონა 17 ოქტომბერი. მან კარგათ იცოდა, რომ მართალია ბურჟუაზია მხარს უჭერდა რევოლიუციას, მაგრამ იმავე ბურჟუაზიას საშინლად ეშინოდა ხალხის გამარჯვების, სრული დემოკრატიული წესწყობილების დამყარების. ხალხის გამარჯვება თხოულობდა ხალხის შეიარაღებას და ამის კი არა ნაკლებათ ეშინია ბურჟუაზიას. მისთვის ბევრათ უფრო სასარგებლოა, რომ შეიარაღებული ისევ მთავრობა იყოს, თუნდაც ბიუროკრატიული, ოღონდ კი ხალხი ნუ იქნება შეიარაღებული.

ბურჟუაზიის თვისება ის არის, რომ სიტყვით მას ლიბერალობა და დემოკრატობა უყვარს, მაგრამ მისი ინტერესები მოითხოვენ, რომ ხალხს, განსაკუთრებით მუშა ხალხს, გავლენა და ძალა არ ქონდეს, ვინაიდან ეს საშიშარია მისი ბატონობისათვის. ყველა რევოლიუციის დროს ბურჟუაზიას შიში იპყრობს: ვაი თუ მუშა ხალხმა პოლიტიკური ძალა ხელში ჩაიგდოს, თავისი დიქტატორობა გამოაცხადოს და სოციალური რევოლიუცია მოახდინოსო.

ასეთი აზრი დაებადათ არა თუ ბურჟუაზიულ კლასებს, არამედ მათ იდეოლოგებსაც — ბურჟუაზიულ დემოკრატიულ ინტელიგენციას. მაგრამ ასეთი ფიქრი ყოვლად უსაფუძვლო იყო. რუსეთის დღევანდელი რევოლიუციის ხასიათი ყველასათვის მეტად თვალსაჩინო და აშკარა იყო; ამნაირად ბურჟუაზია არა თუ ჩამოშორდა რევოლიუციას, არამედ რეაქციის პირველი მოკავშირე შეიქნა პროლეტარიატის წინააღმდეგ. ეს, რასაკვირველია, პირდაპირ ბიუროკრატიის გამაგრებას ნიშნავდა. ბურჟუაზიას უნდოდა რევოლიუციის საქმე მარტო თავის საკუთარ საქ-

მედ გადაექცია. იგი ხედავდა, რომ რევოლიუციის გაგრძელება მისგან მსხვერპლს თხოულობდა და რათ უნდოდა ეს მას, როცა თავის მიზანს მშვიდობიანი გზით აღწევდა. მართალია, აქ ბურჟუაზია წინდახედულობას და შორსმჭვრეტელობას ვერ იჩენდა, ვინაიდან სრულებით ამაო იყო მისი „კონსტიტუციონური“ ილიუზია, მაგრამ ბურჟუაზიას მაინც ეს ერჩია, ვიდრე პროლეტარიატის გამარჯვება.

და აი, როცა „კონსტიტუციონალური“ მთავრობის რეპრესიებზე პროლეტარიატი ახალი პოლიტიკური გაფიცვებით აძლევდა პასუხს, ბურჟუაზიულმა პრესამ ამას მწყრალად შეხედა. ჩვენს ქებულს ლიბერალებსა და შავრაზმელებს შორის ამაში განსხვავება არ იყო. როცა მაგალითად დურნოვომ და ვიტემ 17 ოქტომბრის მანიფესტი გააუქმეს და ფოსტის მოსამსახურეებს სასტიკი ომი გამოუცხადეს პროფესიონალური კავშირის შედგენისათვის და როცა ფოსტის მოსამსახურეებმა ამაზე საყოველთაო გაფიცვით უპასუხეს, ეს არ მოეწონათ ლიბერალობით განთქმულ „რუსეთის უწყებებს“, რომელიც ამ შემთხვევაში სრულებით ეთანხმებოდა „ნოვოე ვრემიას“ აზრს, და ფოსტის მოსამსახურეებს ურჩევდენ გაფიცვის შეწყვეტას, ე. ი. სრულიად ამართლებდენ მთავრობის რეაქციონურ ზომებს,—მის თვითნებობას, 17 ოქტომბრის მანიფესტის გაუქმებას. რისთვის? იმისთვის, რომ ფოსტის მოსამსახურეების გაფიცვა ნიშნავდა რევოლიუციის გაგრძელებას, მის გაღრმავებას და გაფართოვებას.

ბურჟუაზიული დემოკრატიის ახალი ორგანო —„თავისუფალი ხალხი“ პირველ ნომერშივე, ჯერ კიდევ დეკემბრის ამბების წინად, ფილოსოფიურად ასაბუთებდა ასეთ მიმართულებას. მისი აზრით (№ 1), რევოლიუციის გაგრძელება პროლეტარიატის გატაცებას და სწორი გზიდან გადახვევას ნიშნავდა და მეტს არაფერს. გაზეთის აზრით რევოლიუციის გაძლიერება ხალხს დაღუპავდა. ქვეყნის ხსნა, ხსენებული გაზეთის აზრით, მხოლოდ საშუალო ჯგუფებს შეეძლოთ. მაგრამ რა გზით, ან რა საშუალებით, ამაზე გაზეთი არაფერს ამბობდა. იგი გადაჭრილ პასუხს ვერ იძლეოდა თავის ტაქტიკაზე. და განა ჰქონდა კი იმათ რაიმე ტაქტიკა? ეს ხომ ტაქტიკა არ არის მთავრობასთან მიხვიდე და გამოუცხადო: შენ არ ვარგიხარ, ჩამოდექი აქედან და ადგილი დამიცალეო! და. აი, სწორედ ამას ეუბნებოდა ბურჟუაზიული დემოკრატიის (იგივე „ოსვობოჟდენიე“) გაზეთი მთავრობას. აი, ამაში მდგომარეობდა მთელი იმათი ტაქტიკა.

სინამდვილე ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვიმტკიცებს, თუ რა ფასი აქვს ასეთ ტაქტიკას, ან უფრო მართლა რომ ვთქვათ, სრულიად უტაქტიკობას. Ничему не научились и ничего не позабыли!—აი რა ითქმის ჩვენს ბურჟუა-დემოკრატებზე. ადვილი შესაძლებელია, რომ ისინი ვერც დეკემბრის ზარბაზნებმა გამოიყვანოს „კონსტიტუციონალური“ ილიუზიიდან.

(გაზ. „ელვა“, 1906 წ.,
18 მარტი, № 6).

სახელმწიფო სათათბირო და ბიუჯეტი.

ამ ორი კვირის წინათ უმაღლესი ბრძანებით გამოიცა კიდევ ერთი კანონი შესახებ იმისა, თუ რა წესით უნდა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტის (შესავალ-გასავლის) განხილვა და დამტკიცება სახელმწიფო სათათბიროში („დუმაში") და სახელმწიფო საბჭოში. ეს უკანასკნელი კანონი (უკანასკნელი იქნება ვითომ?) აგვირგვინებს რუსეთის „კონსტიტუციის" უნიადაგო შენობას, ჩვენი ბიუროკრატიის ღირსეულ ნამოქმედარს. არც ის გარემოება, რომ სახელმწიფო სათათბიროს არავითარი უფლება არა აქვს არსებულ წესწყობილების ძირითად კანონებს შეეხოს, არც ის, რომ მას საშულება არ ეძლევა საკანონმდებლო მოღვაწეობაში თავისი წვლილი შეიტანოს, ე. ი. მართლა მიიღოს მონაწილეობა ახალი კანონების გამოცემაში თუ ძველის გაუქმებაში, არც ის, რომ მის წინაშე პასუხისმგებელი არ არის არც ერთი მინისტრი და მთავარგამგებელი, არც ის, რომ მისი მოწვევა და დათხოვა უმაღლესი უქაზებით ხდება; არც ის, რომ სათათბიროს წევრების ხელუხლებლობა და თვით სათათბიროში თავისუფალი მსჯელობა არაფრით არ არის უზრუნველყოფილი, — ყოველივე ეს სახელმწიფო სათათბიროს დასამცირებლად და მასხრად ასაღებათ თურმე არ კმარებულა! ამისათვის საჭირო შეიქნა კიდევ სამ და ოთხ საქმიან არჩევნების სისტემის გამოგონება, კრების და საარჩევნო აგიტაციის თავისუფლების მოსპობა, სიტყვის და წერის თავისუფლების გაუქმება. და როცა ამ მხრით თვითმპყრობელ ბიუროკრატიას ახალი ზომების გამონახვაში ილაჯი გაუწყდა, სხვა აღარ დარჩენოდა რა გარდა იმისა, რომ სახელმწიფო სათათბიროსთვის ერთი დიდი ბუხრუჭი შეექმნა და კიდევაც შექმნა სახელმწიფო საბჭოს სახით. რომ შეუძლებელი მოხდეს და სახელმწიფო სათათბირომ რაიმე ახალი კანონები გამოსცეს ბიუროკრატიის თვითნებობის ასალაგმავათ, ხალხის უმრავლესობის ინტერესების დასაცავად, სახელმწიფო საბჭო, რომლის უმრავლესობას თვით ბიუროკრატია ნიშნავს, ასეთ კანონს მაინც არ მოიწონებს და კიდევაც რომ სასწაული მოხდეს და მოიწონოს, მისი საბო-

ლოოდ დამტკიცება ხომ მაინც ბიუროკრატიაზეა დამოკიდებული, ვინაიდან ყველა კანონებს იმპერატორი ამტკიცებს.

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ყველაფერი ეს მაინც არ ყოფილა საკმარისი. ბიუროკრატია, როგორც სჩანს, მაინც ვერ გრძნობდა თავს კარგათ, იმას კიდევ ეშინოდა, ვაი თუ კიდევ დიგვრჩა რამე, რის საშუალებით სათათბიროს უსიამოვნების მოყენება შეეძლოსო. და უნდა გამოვტყდეთ, ბიუროკრატიის შიში არც ისე უსაფუძვლო იყო. ამას აშკარად ამტკიცებს ის ახალი კანონი, რომელიც ჩვენ ამ წერილის თავში მოვიხსენიეთ.

სახელმწიფო სათათბიროს დებულებაში სრულებით არ არის გარკვეული, თუ რა წესით ხდება ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება. მაგრამ ბიუჯეტი ხომ ყველაზე უდიდესი და უსაქიროესი საქმეა სახელმწიფ ო მართვა-გამგეობაში. ყველაფერი თითქმის შემოსავალ-გასავლის წარმოებაზე ჰკიდია, ყველაფერი იმით იწყება და თავდება. რაც უნდა კარგი და ლიბერალური მთავრობა იყოს ჩვენს დროში, უფულოდ ვერას გახდება. მეორე მხრით, თუ ჩვენი თვითმპყრობელი ბიუროკრატია ძლიერი იყო, თუ იგი ამოდენა ხნის განმავლობაში ასე ბატონობდა, ამის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ იგი დიდძალ ფულს ახმარებდა თავის ინტერესების დაცვის საქმეს, იგი წაღმა-უკუღმა ფანტავდა აუარებელ საშუალებას პოლიციაზე, ჟანდარმერიაზე, ჯაშუშებზე და სხვა საიდუმლო საქმეებზე. რასაკვირველია, ყოველ ღონისძიებას იხმარდა, რომ ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება სასაცილო სათათბიროს დაფუძნების შემდეგაც სავსებით მის ხელში დარჩენილიყო. მაგრამ ყოველივე ეს ისე უნდა მოეხერხებია ბიუროკრატიას, რომ ვითომც ეს ხალხის წარმომადგენლების სანქციით ყოფილიყო. ამნაირ თვალთმაქცობაში ხომ ჩვენი ბიუროკრატია მეტად დახელოვნებულია, ხოლო რაც შეეხება ვიტეს და დურნოვოს, ეს იმათი სპეციალური ხელობაა. 8 მარტის კანონი ბიუჯეტის განხილვის შესახებ ამ სათვალთმაქცო მოქმედების საუკეთესო მაგალითია.

ხსენებულ კანონის ძალით ბიუჯეტი განსახილველად უნდა გადაეცეს სახელმწიფო სათათბიროს, მაგრამ მას არავითარი უფლება არა აქვს იგი სავსებით არ მიიღოს. აი როგორ ხდება ეს:

უწინარეს ყოვლისა, ზოგიერთ ხარჯების განხილვაში, რომლებსაც ხალხის ხაზინა აკმაყოფილებს, ხალხის წარმომადგენლები, რამდენათაც შესაძლებელია ვიტე-დურნოვოს სათათბიროს ხალხის წარმომადგენლების

კრებული ეუწოდოთ, სრულებით არ შედიან. ასეთი ხარჯებია, მაგ., 1) საიმპერატორო სასახლის სამინისტროს და ყველა იმ დაწესებულებების, რომლებიც ამ სამინისტროს განკარგულებაში იმყოფებიან, შენახვა; 2) საიმპერატორო გვარეულობის ხარჯები; 3) იმპერატორის საკუთარი კანცელარიის შენახვა და 4) ყველა ის ხარჯები, რომლებიც ხარჯთ-აღრიცხვის დროს მხედველობაში მიღებული არ იყო (მ. 4 და 5). შემდეგ 8 მარტის კანონის ძალით, სახელმწიფო სათათბიროს არ შეუძლია შეამციროს ის ხარჯები, რომლებიც დანიშნულია სახელმწიფო ვალების და სხვა ვალდებულებათა გასასწორებლად. იმავე კანონის მერვე სტატიის ძალით ბიუჯეტის განხილვის დროს არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიცვალოს ისეთი შემოსავალი ან ხარჯი, რომელიც შეტანილია ხარჯთ-აღრიცხვაში არსებულ კანონების, შტატების და აგრეთვე უმაღლეს ბრძანებათა საფუძველით. ბოლოს საქმეს აგვირგვინებენ მე 16-ე და მე 17-ე სტატიები. მე 16-ე სტატიის ძალით მინისტრთა საბჭოს, როცა უნდა, ყოველთვის შეუძლია ხაზინაში კრედიტი გაიხსნას და ხარჯოს რამდენიც ესიამოვნება; თუ საჭიროდ დაინახეს მინისტრებმა, ამის შესახებ მოახსენებენ სათათბიროს, თუ არა, ესეც იმათი სრული უფლებაა, ძალას ვერავინ დაატანს. მეორე (17) სტატიის ძალით, „საგანგებო ხარჯთ-აღრიცხვაზე ზედმეტი კრედიტების გახსნა სამხედრო დროის საჭიროებისათვის და ომის მოსამზადებლად ხდება 1890 წელს 26 თებერვალს უმაღლესად დამტკიცებული წესების ძალით“.

აი ასეთია სათათბიროს მეთვალყურეობა ხალხის ხაზინაზე, სახელმწიფოს შესავალ-გასავალზე. ბიუჯეტი შეაქვთ სათათბიროში განსახილველად მხოლოდ იმიტომ, რომ სათათბირომ მას ხელი არ ახლოს, მასში რაიმე არ შეცვალოს ან გამორიცხოს. სათათბიროს ეძლევა მხოლოდ ერთად-ერთი უფლება—უსიტყვოთ დაემორჩილოს იმას, რასაც ბიუროკრატია უბრძანებს; წინააღმდეგ შემთხვევაში მის სხდომებს უმაღლესი ბრძანებით შესწყვეტენ და ბიუროკრატიის მიერ შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა მაინც ძალაში შევა.

აქედან აშკარად სჩანს, თუ რისთვის ან რა მიზნით გამოუგონებია და შეუთხზავს ბიუროკრატიას 8 მარტის კანონი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ზომებს გარდა, ასეთი კანონის შეთხვაც აუცილებელი საჭირო იყო მისი თვითნებობის გასაგრძელებლად.

აქედან ისიც აშკარაა, თუ რას უნდა მოელოდეს ხალხი ბიუროკრატიისაგან. ბიუროკრატიის განზრახვა ადვილად მისახვედრია: თავის

თვითნებობის დასაცავად იგი ეძებს ახალ ფორმას, იგი ეხვევა ახალ ქურ-ქში. მას სურს თავისი სრული ბატონობა ხალხის ბატონობის სახელით გაასაღოს. მაგრამ დღეს ამით იგი ფონს ვეღარ გავა. ხალხის შეგნებული ნაწილი, ქალაქის პროლეტარიატი და გაქრვებული გლეხ-კაცობა ამას ალარ დაანებებს.

(გაზ. „ე ლ ვ ა“ 1906 წ.
24 მარტი № 11).

ხალხის ჭირისუფლები.

„ამრჩევლებო“, თუ თქვენ გინდათ სხვისი საკუთრების წართმევა და თავისის არ ქონება, წადით სოციალისტებთან, ასეთ სამოთხეს ისინი გპირდებიან. „როცა თქვენ საარჩევნო ყუთთან მიდიხართ და კიდევ რყევაში იმყოფებით, თუ უფლების მოყვარეთა დაჟინებულმა ქადაგებამ, რომლებიც გპირდებიან თქვენ განუხორციელებელ ბედნიერებას, იმედი გაგიღვიძათ და თქვენ კიდევ ოცნებობთ საუკეთესო მომავალზე, გაიხსენეთ ხალხი და დაფიქრდით იმაზე... რანაირ უბედურებას არ უქადიან უბედურ რუსეთს რევოლიუციონერები... გაიხსენეთ უბედური ხალხი, რომელიც შიმშილისაგან იხოცებოდა გაფიცვების დროს. ნუ გაბრიყვდებით, ნუ აყვებით სხვის ფეხის ხმას და გასწიეთ იქით, საითაც მოგიწოდებენ თქვენ 17 ოქტომბრის კავშირი, პროგრესიულ ეკონომიური პარტია, უფლებრივი წეს-რიგის პარტია, სამრეწველო და საღებ-მიცემო კავშირი“ და სხვა.

ასეთი მოწოდებებითაა დღეს მოფენილი თითქმის მთელი რუსეთი. ასეთი მოწოდებებით მიმართავენ რუსეთის მრავალტანჯულ, გაყვლეფილ და გაძვალტყავებულ ხალხს, ქალაქის პროლეტარიატს და გაჭირვებულ გლეხ-კაცობას, მდიდარი მემამულეები, ფაბრიკანტები, მექარხნეები, ბანკირები, მებირჟეები და საზოგადოდ ყველა ჯურის კაპიტალისტები. აი, თურმე, ვინ კისრულობს დამონებული და მიწასთან გასწორებული ხალხის განთავისუფლებას; აი, ვინ კისრულობს მშიერი ხალხის დაკმაყოფილებას, მისთვის ბედნიერების მინიჭებას. ამას თურმე, ჩადიან ისინი, ვისი ბედნიერება დამყარებულია ხალხის უბედურებაზე, ვისი ძალა და გამავლობა აგებულია ხალხის უბედურებასა და უფლებობაზე. ისინი, ვისაც თავის გასამდიდრებლად არა ერთხელ და ორხელ დაუღვრია პროლეტარიატის სისხლი და ყოველ წუთში მზადაა კიდევ დაღვაროს, მის მხსნელებათ და დამცველებათ გამოდიან. ეს კიდევ არაფერი, აქ ახალი არაფერია. საქმე ის არის, რომ ეს ხალხის მყვლეფელები, მისი სისხლის მწოველნი და მტანჯველები, ხალხის უბედურებას და ტანჯვა-წვალებას სხვებს აბრალებენ. რომ ხალხი დაამუნჯეს და მონათ აქციეს, რომ მას

ტყავს აძრობენ, რომ მას ყელეფენ და უკანასკნელ ლუკმას გლეჯენ პირიდან, რომ ხალხი დაიმშა და იხოცება, რომ მის ნაშრომს და ნაღვაწს ითვისებენ ხაზინა, მდიდარი მემამულეები, კაპიტალისტები და გარყვნილებაში ფლანგავენ იმ დროს, როცა ხალხს შიმშილ-სიცივისაგან სული ხდება,—თურმე ამის ბრალი სოციალისტებს ედებათ. აი სიყალბე, აი ცილისწამება. აქამდის ასეთი სიყალბე, ასეთი ცილისწამება თვითმპყრობელი ბიუროკრატიის მონოპოლიას შეადგენდა. ჯერ ხალხს უბედურებას დაატეხდენ თავზე, ჯერ მის სისხლს დღვრიდენ და შემდეგ „ოფიციალურად" გამოაცხადებდენ, რომ სოციალისტებმა გააბრიყვეს ხალხი, ამბოხებამდე მიიყვანეს და ჩვენ მეტი რაღა დაგვრჩენოდა, უნდა „მშვიდობიანობა" და „წესიერება" აღგვედგინაო. იმას არავინ კითხულობდა, თუ მართლა რა ხდებოდა ცხოვრებაში, თუ ნამდვილად ვინ იწვევდა არეულობას, ან რაში გამოიხატებოდა ეს არეულობა. ასეთ ცილისწამებას, ასეთ სიყალბეს მარტო ბიუროკრატია აღარ სჩადის. დღეს უფრო აშკარად, უფრო ურცხვად ამასვე ჩადიან მსხვილი მემამულეების და კაპიტალისტების წარმომადგენლები. სოციალისტები სხვისი საკუთრების წართმევას ქადაგებენ, ისინი ხალხს უბედურებას უქადიან, ჰკა იმათო,—გაჭკვიან გონება დაკარგული, სისხლის მწოველი ბურჟუა-კაპიტალისტები. ხალხის ინტერესებს ჩვენ ვიცავთ და ამიტომ ჩვენ უნდა გამოგვყვეთ უკანო,—იმეორებენ მსხვილ მემამულეთა და კაპიტალისტების პარტიები.

რა მოხდა, რამ გამოიწვია იმათი მხრით ასეთი აგიტაცია.

წინათ გაბატონებული კლასები ქვეყნის მართვა-გამგეობაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებდენ. როცა მათთვის საჭირო იყო, ყველაფერს მთავრობა აკეთებდა. დასჭირდებოდათ იმათ ფულები, მთავრობა აძლევდა; დასჭირდებოდა გაფიცულ ან ურჩი მუშების მოთვინიერება, მთავრობა შველიდა თავისი აუარებელი პოლიციელებით, ჟანდარმებით, კაზაკებით და ჯარებით; საჭირო იყო იმათი უფლებების მომატება, მთავრობა აქაც მზათ იყო დაეკმაყოფილებია მათი საჭიროება. ერთი სიტყვით, ყველა იმათ ინტერესებისათვის მთავრობა ზრუნავდა და ისინი იყვენ მოსვენებული. მაგრამ ბიუროკრატიის კედელი შეინგრა, მის ბატონობას საფუძველი გამოეშალა; დღეს ის სიკვდილის ჟამს განიცდის. ეს, რასაკვირველია, შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა ბურჟუა-კაპიტალისტებისათვის, იმათ კარგათ იგრძნეს, თუ რა ძალას წარმოადგენდა მათთვის ძველი რეჟიმი, კარგათ მიხვდენ, თუ იმის დაცემით რა იარაღი

ულარდებოდათ ხელიდან. ამიტომ ახლა ძველებურათ მოსვენება და არ-ხეინათ ყოფნა აღარ გამოადგებოდათ, რომ თავისი ბატონობა ისევ შეერ-ჩინათ.

ბიუროკრატიული წყობილება ირღვევა, ხალხის საქმეები თვით ხალ-ხისავე წარმომადგენლების ხელში გადადის და აი, გაბატონებულ კლა-სებს ყოველგვარი ღონე უნდა ეხმარათ, რათა ხალხს არ შეძლებოდა თავის აწევა, წელში გამართვა.

აქედან იწყება მეტად საინტერესო ხანა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვ-რებაში. თუ აქამდის კლასობრივი ბრძოლა ჩვენში დაჩრდილული იყო ნახევრად ფეოდალურ თავად-აზნაურული თვითმპყრობელობის წყალობ-ბით, თუ აქამდის კლასთა ბრძოლა ჩვენში მთელი თავისი სიცხადით სი-ნათლეზე არ იყო გამოტანილი, დღეს ამას ფარდა ეხდება და ყველაფვ-რი დღის სინათლეზე გამოდის. აქამდის უმეტესობისათვის მთავრობა კლასობრივ დაწესებულებას როდი წარმოადგენდა, იგი რაღაც ბურუსში იყო გახვეული. ასე რომ, უმრავლესობას ეგონა, მთავრობა ყველა კლა-სების ინტერესებისათვის ერთნაირათ ზრუნავს, ყველას ერთნაირათ ეპ-ყრობაო. ეს გარემოება ხელს უშლიდა საზოგადოებრივი ცნობიერების წინსვლას, იგი წინ ეღობებოდა ხალხის შეგნების განვითარებას. თუ მთავ-რობა მხოლოდ გაბატონებულ უმცირესობას ემსახურებოდა, თუ იგი ხალხის უმრავლესობას ჩაგრავდა, ეს უმეტესობისათვის ადვილი გასაგები არ იყო, ვინაიდან ასეთია ყველა აბსოლიუტური მთავრობის თვისება. დღეს კი თავისი კლასობრივი ინტერესების დასაცავად თვით დაინტე-რესებული კლასები გამოდიან და აი, ამ ნიადაგზე იმართება აშკარა ბრძოლა.

ჩვენ ვიცით, რომ დღეს გამარჯვებული კიდევ ბურჟუაზია რჩება, ჩვენ ვიცით, რომ მთავრობის სათავეში ისევ. ისინი მოექცევიან, მაგრამ ჩვენ ეს აღარ გვაშინებს. პირიქით, ჩვენ სიხარულით ვეგებებით ამ ამბავს, ვინაიდან ასეთი მთავრობა, თავისი აშკარა კლასობრივი ხასიათით, ხელს შეუწყობს კლასობრივი ცნობიერების გაღვიძებას და ზრდას საზოგადოე-ბაში. საჭიროა მხოლოდ ყველა იმ ოინების და ყალბი სიტყვების გამო-მეღლავნება, რომლებსაც ბურჟუაზიული პარტიები მიმართავენ წამდაუწუმ. არც ერთი იმათი მოქმედება, არც ერთი იმათი მოწოდება ან განცხა-ცება არ უნდა დარჩეს აღუნიშნელი და დაუფასებელი. ქვეყანამ უნდა დაინახოს, თუ მართლა ვინ ართმევს სხვას საკუთრებას, ვინ იწვევს შიმ-შილს, ვინ ძღება სხვისი სისხლით და ოფლით.

და როცა ყოველივე ამას გაიგებს, მაშინ ბურჟუაზიული წესწყობილების აღსასრული დადგება, მაშინ მოეღება ბოლო ადამიანის გაყვლეფას. თვით ბურჟუაზიული პარტიების აქტიურად გამოსვლა ბრძოლის ველზე ამ შეგნებისაკენ დიდი ნაბიჯის გადადგმაა.

(გაზ. „ე ლ ვ ა“ 1906 წელი
28 მარტი. № 13).

ურიების დარბევა რუსეთში.

რამდენიმე წელიწადია, რომ რუსეთის ზოგ ადგილებში ურიების აწიოკება-ალხრება და იმათი სისხლის ღვრა სისტემატიურად მეორდება. თუმცა რუსეთში მცხოვრები ურიები არასრდეს არ არიან ამ მხრით უზრუნველყოფილნი (და განა მარტო ურიები?), მაგრამ იმათი დარბევა განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა ჩვენი მართლმორწმუნე „ქრისტიანები“ ქრისტეს აღდგომას დღესასწაულობენ. ასე: როცა რუსეთის „ქრისტიანი“ ხალხი სიხარულს ეძლევა, ეს სიხარული სხვათა შორის იმაში იხატება, რომ თავის კარ-მიდამოსთან მცხოვრებ ურიებს არბევს, იკლებს მათ სარჩო-საბადებელს და მრავალ იმათგანს სიცოცხლესაც ასალმებს. ურიებთან ასეთი მოქცევა ძველი ამბავია. საშუალო საუკუნოებში გაფანატიკოსებული და გონება დაჩლუნგებული ბრბო ქრისტეს წამებას და მის სიკვდილს ურიებს აბრალებდა და ჯავრის ამოსაყრელათ დრო და დრო ეცემოდენ და ჟლეტდენ. ასე იყო დასავლეთ ევროპაში და ასე იყო რუსეთშიაც, რა მიზეზები იწვევდა ამას, ჩვენ აქ ამ კითხვას არ ვეხებით. საშუალო საუკუნოების შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ ურიების დევნა ჯერაც არ შეწყვეტილა. მაგრამ ჩვენ აქ არ ვეხებით დასავლეთ ევროპის ანტისემიტიზმს, ჩვენ ამ ჟამათ რუსეთში მცხოვრები ურიების სვე-ბედი გვაინტერესებს. რა თქმა უნდა, ჩვენ აქ ვერ განვიხილავთ ებრაელების მდგომარეობას საზოგადოთ, იმათ ყოველგვარ შეეიწროებას და დამცირებას, იმათ კანონის (ნუ დაივიწყებთ ჩვენი ბიუროკრატიის მიერ გამოცემული კანონის გარეშეც კი!) ჩვენ აქ მხოლოდ ურიების ჟლეტა-წყვეტა და აკლება გვაქვს მხედველობაში.

ურიების დარბევის ახალი ხანა რუსეთში იწყება გასული საუკუნის მეოთხმოცე წლებიდან, ე. ი. იმ დროიდან, როცა მთავრობის მედგარი რეაქცია და თეთრი ტერორი გამეფდა რევოლიუციონური მოძრაობის აღმოსაფხვრელათ. ამასთანავე შესანიშნავია ის გარემოება, რომ რამდენათაც მატულობდა მთავრობის რეპრესიული ზომები განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, იმდენათ მატულობდა ურიების დარბევაც, ასე რომ, ეს ორი მოვლენა ერთი ერთმანეთთან მჭიდროთ შეკავშირე-

ბული შეიქნა. პირველ ხანებში შესაძლებელი იყო ეფიქრათ, რომ ეს მჭიდრო კავშირი შემთხვევითია, მაგრამ უკანასკნელი წლების ამბებმა ყველა აშკარათ დაარწმუნეს, რომ მთავრობის რეპრესიებსა და ურიების გაუდიეტ-დარბევას შორის მართლაც მჭიდრო კავშირი არსებობს, რომ პირველის, ე. ი. რეპრესიების მომქმედნი, იმავე დროს ურიების დარბევის და აკლების მოხელენიც ყოფილან.

ჩვენი ბიუროკრატია დროზე მიხვდა, თუ რა განსაცდელი მოელოდა მას რევოლიუციონური მოძრაობის განვითარებისაგან. ამიტომ იგი თავიდანვე შეუდგა ნიადაგის მომზადებას. მთავრობა კარგათ ხედავდა, რომ ხალხი უზომო გაპირვებაში იმყოფებოდა და ამიტომ ადრე იქნებოდა თუ გვიან, იგი მის წინააღმდეგ აჯანყდებოდა. საჭირო იყო მთავრობას, თავის არსებობის დასაცავათ ცალკე პირების და რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ რეპრესიების გარდა სხვა საშუალებისათვისაც მიემართა. ბიუროკრატიამ კარგათ იცოდა, რომ რუსეთის დაბეჩავებულ და გონება დაჩლუნგებულ ხალხში ურიებისადმი სიძულვილი არსებობდა; მეორე მხრით რევოლიუციონური მოძრაობის მოთავენიც ხშირად ურიები ხდებოდენ, როგორც უკიდურესათ შევიწროვებული ელემენტები. გაძალტყავებულ ხალხს აგონებენ, რომ მისი უბედურების მიზეზი ურიებია, ეს, ქრისტეს ვითომდა მოღალატენი, რომლებიც ყველეფენ ხალხს და დღესაც ქრისტიანის სისხლს სვამენ. ასეთ ქადაგებას ეწეოდენ ხალხში, როგორც მთავრობის აგენტები, ისე ჟურნალ-გაზეთების ერთი ნაწილი კატკოვის, სუვორინის (მამა), კამაროვის, გრინგმუტის, კრუშევანის და სხვების მეთაურობით. ასეთმა ქადაგებამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო. ხალხი, უბრალო მშრომელი ხალხი, რომელიც ტანჯვაში და სხვის სამსახურში ლევს სულს, ამხედრდა მაზე უფრო შევიწროვებულ და შეწუხებულ მშრომელი ხალხის წინააღმდეგ. ბიუროკრატიის მოლოდინი გამართლდა. ვინღა ეძებდა იმათ, ვინც ხალხს მართლა ავიწროებდა, ტანჯავდა და უბედურებაში აგდებდა. ყოველივე ამის მომქმედი თურმე მიწასთან გასწორებული უბრალო მუშა ხალხი ყოფილა! მიზანი მიღწეულ იქნა. რუსის მუშა ხალხის ერთი დიდი ნაწილი თავის გაპირვების მიზეზს ურიების არსებობაში ხედავდა და ამიტომ მისი დარბევა და აწიოკება თავის მიზნათ გაიხადა. ამ დროს ბიუროკრატია განზე იდგა; ის თითქო ზომებსაც ღებულობდა ამ აწიოკების და ჟლეტის წინააღმდეგ, მაგრამ ურიების წინააღმდეგ მოძრაობა სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა. ამასთანავე აშკარა შეიქნა მთავრობის აგენტების მონაწილეობა ებრაელების დარბევაში და აკლებაში.

1902 წელს, მაგ., ადესის გრადონაჩალნიკმა; მოიხმო რა ადგილობრივი მუშები, შემდეგი განუცხადა: თუ ვინცობაა პირველ მაისს მანიფესტაციას გამართავთ, მე ზომებს მივიღებ ეს დემონსტრაცია ურიების დარბევათ გადავაქციო. 1902 წელს კი კიშინიოვში ურიების ჟლეტა გამართეს სწორედ იმიტომ, რომ 1 მაისის დღესასწაულობა ჩაეშალათ; ასევე სხვაგან. მაგრამ სულ უკანასკნელ დროამდის მთავრობის მხრით ურიების დარბევის გამოსაწვევათ მზადება აშკარათ არ ხდებოდა. დღეს კი გარემოება შეიცვალა. მთავრობა სრულებით აღარ მალავს თავის „მოღვაწეობას" ამ სარბიელზე. მაგ., მთელ ქვეყნიერებას მოეფდვა ის ამბავი, რომ ამ ორი-სამი კვირის წინეთ პეტერბურგის გრადონაჩალნიკის სტამბაში დაიბეჭდა ცენზორის მიერ ნებადართული ფურცლები ხალხში გასავრცელებლათ, რომლებშიაც მოუწოდებდნენ მას ებრაელების წინააღმდეგ გასალაშქრებლათ; იმათი სარჩო-საბადებლის და სახლ-კარის ასაკლებათ და მშვიდობიანი მშრომელი ხალხის ამოსაჟლეტათ. ასეთივე აგიტაცია იყო გამართული სხვა ქალაქებშიაც. თუ რისთვის ეწევა ბიუროკრატია ასეთ სამარცხვინო აგიტაციას, ეს განმარტებას არ საჭიროებს. თუ ოდესმე საჭირო იყო მისთვის ხალხის მოძრაობის შეჩერება, ეს ყველაზე უფრო დღეს არის საჭირო, როცა რევოლიუციონური მოძრაობა უმაღლეს საფეხურს აღწევს, და აი, იგიც ებრაელების უმანკო სისხლით ცდილობს თავისი არსებობის დაცვას!

მაგრამ ამ ბოლო დროს ერთი საკვირველი ამბავი მოხდა: საშინაო საქმეთა მინისტრმა როგორღაც შეცვალა ძველი ტაქტიკა. იგი ცირკულიარებს ცირკულიარებზე უგზავნის გუბერნატორებს და გრადონაჩალნიკებს იმის თაობაზე, რომ ყოველგვარი ზომები იქნას ხმარებული ურიების დარბევის თავიდან ასაცილებლათ. მართალია? ნუ თუ ბიუროკრატიამ მართლა შესცვალა ტაქტიკა, ნუ თუ მართლა კაცთმოყვარეობას იჩენს იგი დღეს? ნუ თუ მას მობეზრდა ამოდენა სისხლის ღვრა და ახლა მოისურვა მას ბოლო მოუღოს? მაგრამ სად იყო აქამდის, თუ მას ასე ადვილათ შეეძლო? მაგრამ არა! არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. ჩვენი ბიუროკრატიის ამბავი დღეს მთელმა ქვეყანამ შეიტყო. შეიტყო აგრეთვე კაპიტალისტების წრეებმა, და აი, სწორეთ ამ უკანასკნელ გარემოებას უნდა მიეწეროს ის, რომ საშინაო საქმეთა სამინისტრომ ურიების დარბევის საწინააღმდეგო ცირკულიარების წერას მოუხშირა. მთავრობას ფული ესაჭიროება და თუ იგივე მთავრობა იმიტომ სესხეულობს ფულს, რომ იგი ურიების დარბევის მსგავს საქმეებს მოახმა-

როს, ეკვი არ არის, ამ შემთხვევაში კაპიტალისტებისაგან ფულის სესხება ადვილი საქმე არ იქნება. და აი, ბიუროკრატია ამ ჟამათ თავისი საერთო პოლიტიკის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევა. მაგრამ ის დრო წავიდა, როცა ასეთ ცირკულიარზე ეკიდა ხალხის ბედ-იღბალი. დღეს ხალხი, განსაკუთრებით მშრომელი, მუშა ხალხი, როგორც ქალაქის პროლეტარიატი, ისე გლეხების დიდი ნაწილი, უკვე გონს მოდის. მას არ შეუძლია არ დაინახოს, თუ ვინ არის მისი ნამდვილი მტერი, თუ ვინ არის მისი უბედურების და სიბეჩავის ნამდვილი მიზეზი. ორივე ხალხის, ე. ი. როგორც ებრაელების, ისე რუსეთის პროლეტარიატი უკვე ხელს უწვდის ერთმანეთს საერთო უბედურების დროს. ამიტომ ორივე ერის პროლეტარიატი მხოლოდ რევოლიუციონურ მოძრაობიდან უნდა მოელოდენ ხსნას.

(გაზ. "ე ლ ვ ა" 1906 წ.
31 მარტი, № 16)

დღევანდელ დღეს.

რამოდენიმე ასი მილიონი სხვადასხვა ტომის და სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ხალხი, რომლებიც ქრისტიანებათ სახავდნენ თავის თავს, დღევანდელ დღეს იხსენებენ იესოს, ქრისტეთ წოდებულს. დაბადებული ერთ ღარიბ ოჯახში, აღზრდილი დევნასა და ვაი-ვაგლახში, იესო თავზარდამცემი შეიქნა ყველა იმათთვის, ვინც ხალხს კისერზე აჯდა და ვინც მის სისხლს წოვდა, და იმათ იმის მეტი ვერა გამოიგონეს რა, რომ იგი სიცოცხლეს გამოესალმებიათ. საკვირველათ ცვალებადია ისტორიის სვე-ბედი! სიცოცხლეში ყველასაგან ტანჯული და წამებული, უარყოფილი, მოძულებული, დღეს იესო თითქო საყოველთაო სათაყვანებელ საგნათ არის გადაქცეული. რანაირი ზაკვა, რანაირი სიცრუე! რაც ყველაზე უფრო აღშფოთებდა იესოს, რასაც იგი ყველაზე უფრო გმობდა, სწორედ ის გამხდარა დღეს მისი მოძღვრების აღმასრულებელთა უმრავლესობის დამახასიათებელ თვისებათ.

ჩვენ წინ გვეხატება ორი ერთი მეორეს წინააღმდეგი სურათი. ერთი მხრით დგას შიმშილ-წყურვილში და ტანჯვა-წვალებაში აღზრდილი ქაბუკი, რომელსაც სხვა არა გააჩნია რა, გარდა მხურვალე და ღრმა სიყვარულისა ყველა ჩაგრულთა და მაშვრალთა მიმართ, რომელთაც იგი ხელ აპყრობილი და უმაღლესი გრძნობით ატყინებული მოუწოდებდა. მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ მძიმენი და მე გაგისვენო თქვენ. (მათ. IX, 28-29).“ მე არ ვეძიებ დიდებასა ჩემსა, მე ვარ მწყემსი კეთილი, რომელმან სული თვისი დასდვას ცხოვართათვის“ (იოან. II). და აი, ასეთი მაღალი გრძნობებით აღჭურვილი იესო სამი წლის განმავლობაში დღე-მუდამ გასაოცარი-ენერგიით და სიმტკიცით ეწეოდა ქადაქებას დაბეჩავებულ ხალხში, ცდილობდა მის განთავისუფლებას იმათგან, ვისაც იგი დაემონებია როგორც სულით, ისე ხორციელ ბატონებისაგან. იესო ხედავდა, რომ ხალხი უზომოთ შეეიწროებული იყო იმათგან, ვისაც სხვადასხვა მიზეზების გამო ხელში ჩაეგდო მისი საცხოვრების მართვა, იგი ხედავდა, რომ ხალხს ყველეფდენ განსაკუთრებით სარწმუნოების სა-

შუალებით, და აი მისმა ქადაგებამ წმინდა რელიგიური ხასიათი მიიღო და მან პირდაპირ გაილაშქრა არსებული სარწმუნოების წინააღმდეგ, გაილაშქრა, რასაკვირველია, არა ცოცხლითა და მახვილით, არამედ სიტყვით და მაგალითით. რასაც სიტყვით ამბობდა, იმას საქმით ასრულებდა. ე, ი. იგი ამგვარად არღვევდა არსებული სარწმუნოების წესებს, კიცხავდა და არცხვენდა ხუცებს და განსაკუთრებით მღვდელ-მთავრებს, რომლებიც ზაკვით და სიცრუით ხალხს ავიწროებდენ. შემდგომ ასეთი მოღვაწეობისა ჩვენ ვხედავთ იესოს ზაკვითა და ჯაშუშობით გაცემულს თავის მტრების, ე. ი. ხალხის მტარვალების ხელში შეპყრობილს, ტანჯულ-წამებულს, გვემულს და სიკვდილით დასჯილს, ჯვარზე გაკრულს და პასუხათ ყოველივე ამისა მის მიმქრალ და პატიოსან პირისახეზე ჩვენ ვკითხულობთ გაბედულ და მრისხანე სიტყვებს: „ნუ გეშინინ მათგან (ე. ი. ძლიერთა ამა ქვეყნისა), რომელთა მოსწყვიდენ ხორცნი, ხოლო სულისა ვერ ხელეწიფების მოკვლათ“ (მათე X, 28). აი ვინ იყო იესო და აი როგორ და რისთვის იქნა იგი წამებული! მთელი მისი სიცოცხლე და მოღვაწეობა თავიდან ბოლომდე იგივეა რაც ყოველ დღე ჩვენს არშემო ხდება. ორი ათასი წელი გავიდა მას შემდეგ და თითქო ამ მხრით არავითარი ცვლილება არ მომხდარა. იგივე დევნა, იგივე წამება სიმართლისათვის! მეორე მხრით ჩვენ ვხედავთ ქრისტეს ნიღაბ ქვეშ ამოფარებულ, ხალხის მძარცველებს და მტანჯველებს, მატყუარებს და მზაკვრებს. იმათ დაირქვეს იესოს სახელი მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მოძღვრება წაებილწათ და შეურაცყოდ. ანგარებით და ვერცხლის მრყვარეობით დაბრმავებულნი ისინი ქრისტეს სახელით აწამებენ, ტანჯავენ იმათ, ვინც თავის დანიშნულებას ხალხის სამსახურში ხედავს, ვისაც ხალხის მონობისაგან განთავისუფლება თავის უწმინდეს მოვალეობათ გაუხდია. იუდა ისკარიოტელმა მხოლოდ ერთხელ გასცა იესო და ბოლოს, ველარ გაუძლო რა სინიდისის ქენჯნას, ეს ცოდვა მოინანია მით, რომ თავი ჩამოიხრჩო, მაგრამ თანამედროვე იუდა ისკარიოტელები დღე მუდამ, განუწყვეტლივ იდენენ იმავე ცოდვას, ხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელნი ერთხელაც არ უფიქრდებიან თავის მოქმედებას, ერთხელაც არ ეკითხებიან სინიდისს. და აი, ამათ მიუთვისებიათ, ანუ მოუპარავთ ქრისტეს სახელი, ე. ი. იმ კაცის, რომელმაც ხალხის მტანჯველების წინააღმდეგ ბრძოლაში დალია სული. რა აშკარა, რა თვალსაჩინო წინააღმდეგობაა? ქრისტეს სახელს ატარებენ სწორეთ ისინი, ვინც მას შეურაცყოფას აყენებს, ვინც მას სისხლს ანთხევინებს. რათ მოხდა ეს ასე? ნუ თუ ის-

ტორია მარტო დაცინვაა, სიმართლისა და ჭეშმარიტების უარყოფაა? მაგრამ არა, ეს მხოლოდ პირველი შეხედვით გვეჩვენება ჩვენ ასე.

ამ წინააღმდეგობასაც, ისტორიის ამ უსამართლობასაც, კლასთა ბრძოლის ისტორია შესამჩნევათ ფენს ნათელს, ამ დიდებული მცნებით აღჭურვილნი, ჩვენ ვგებულობთ, თუ რისთვის ეხვევიან მგლები ცხვრის ტყავში, თუ მტარვალები ზოგჯერ რისთვის მიმართავენ ხალხს მომხიბლავ და ტკბილი სიტყვებით. იმათ ალაპარაკებთ მხოლოდ თავისი პირადი ინტერესები, ისინი მოქმედებენ მხოლოდ თავის სასარგებლოდ. სანამ შეეძლოთ, გაბატონებული კლასები უსასტიკესი ზომებით ებრძოდენ იესოს მოძღვრებას, დევნიდენ მის სახელს და გამოუფქველი სისასტიკით სჯიდენ ყველა იმათ, ვინც იესოს მოძღვრებას ავრცელებდა. მაგრამ სასტიკმა ზომებმა ვეღარ გასჭრა. უბრალო ხალხი, ხალხი ტანჯული და წამებული, სულ უფრო და უფრო ეტანებოდა იესოს მოძღვრებას, ვინაიდან ამაში ზოგი ხედავდა ხსნას. ადრე იქნებოდა თუ გვიან, ხალხი გაუმკლავდებოდა მჩაგვრელთ და სულ ერთიანათ გადმოაბრუნებდა და მიწაზე დაანარცხებდა იმათ ტახტებს. ეს დროზე შეიგნეს და ამიტომაც ფრონტი შეიცვალეს. ქრისტეს მდევნელები მის თაყვანისმცემლებათ გადაიქცენ, იმათ ინტერესების უარყოფი მოძღვრება თავის სარწმუნოებათ აღიარეს, ამიტომ რა გასაკვირალია, რომ ქრისტეს მოძღვრებიდან მათ მხოლოდ ქრისტეს სახელი შეინარჩუნეს და თვით მოძღვრება ფეხ ქვეშ გათელეს.

იესომ შეურიგებელი ომი გამოუცხადა ადამიანთა შორის არსებულ უთანასწორობას; მან დაგმო მდიდრები და გაბატონებული წოდებანი: მან აღიარა სინდისის თავისუფლება; მისი მოძღვრება აშენებულია ურთიერთ სიყვარულზე და ძმობაზე; იგი უარყოფდა ყოველგვარ ძალმომრეობას და ვინაიდან ამას საფუძველათ უდევს კერძო საკუთრება, იესომ უარყო ეს უკანასკნელი. ამნაირათ იესო იმ სახელოვან ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც სოციალისტების სახელწოდებით არიან ცნობილნი. მაგრამ იესოს სოციალისტური მიმართულება წმინდა უტოპიური იყო, ე. ი. ისეთი, რომელსაც ცხოვრებაში იმ დროს არ ჰქონდა არავითარი ნიადაგი. ისტორიული განვითარება იმ დროს სულ სხვა მიმართულებას ღებულობდა. მართალია იმ ხანებში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო პირველყოფილი კომუნისტური წესწყობილების კვალი, მაგრამ მეორე მხრით კერძო საკუთრებაც, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი, საკმარისათ გამაგრებული იყო. ამას მოწმობს საქონლის წარმოების არსებობა და ფულის გაჩენაც. ერთი სიტყვით, თუ იმ დროს იესოს მოძღ-

ვრებამ ვერ გაიმარჯვა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ისტორიული განვითარების წინააღმდეგ იყო მიმართული. ცხადია, რომ ქადაგებას და ზნეობრივ კანონებს თავის თავად არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, თუ ცხოვრების პირობები ხელს არ უწყობენ. ის მაღალი ზნეობრივი პრინციპები, რომლებსაც იესო ქადაგებდა, თავის თავად კარგი იყვენ, მაგრამ ცხოვრებაში ისინი ყოველად უშინაარსო ტრუიზმებათ გადაიქცენ და ყოველგვარი აზრი და მნიშვნელობა დაკარგეს და მართლაც, რა გაელენა უნდა ქონდეს სიყვარულზე და ძმობაზე ქადაგებას იმ კაცისაგან, რომელიც თავისი პირადი წმინდა კლასობრივი ინტერესების სასარგებლოთ თავისი მოძმის სისხლს ღვრის და თავისი ქვეშევრდომების ოფლით იკვებება? ყოველივე ამას ბოლო მოეღება მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების ნივთიერ პირობებში ძირითადი ცვლილება მოხდება. ასეთ ცვლილებას განიცდის თანამედროვე საზოგადოება. ამიტომ მოახლოებულია ის დრო, როცა ხალხის მედგარი იერიში სამუდამოთ წალეკავს ყველა წინანდელ უსამართლობას, მოსპობს მჩაგვრელებს და დამყარდება სამართლიანობა.

(გაზ „ელვა“ 1906 წ.
2 აპრილი, № 18).

კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების ტაქტიკა

ის გარემოება, რომ სათათბიროს არჩევნებზე კადეტების პარტიამ შესამჩნევათ გაიმარჯვა, ჩვენ გვაიძულებს ხსენებული პარტიის ტაქტიკას განსაკუთრებითი ყურადღება მივაქციოთ და, რამდენადაც შესაძლებელია, სინათლეზე გამოვიტანოთ. კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების ტაქტიკის დასახასიათებლად ჩვენ ყველაზე უწინ საჭიროა გავიხსენოთ, თუ ვინ იყვენ ამ ათიოდ წლის წინეთ ამ პარტიის დღევანდელი ბელადები და რა გზით, ან რა საშვალებით ფიქრობენ ისინი რუსეთში პარლამენტარიზმის დამყარებას. დღევანდელი კადეტები, ეს იგივე ერობათა და ქალაქის თვითმართველობათა ლიბერალური ნაწილია, რომელიც ჯერ კიდევ მესამოცე წლებიდან სხვადასხვა შუამდგომლობით და ადრესებით თხოულობდენ, რომ მეფეს თავისი სურვილით ებოძებია ბურჟუა-ლიბერალებისათვის კონსტიტუცია, თუნდაც ყოვლად მახინჯი და ყალბი. ჩვენი კადეტები ეს ის ვაჟბატონებია, რომლებმაც ამ თორმეტი წლის წინეთ ნიკოლოზ მეორეს უქვეშევრდომილესი ადრესი მიართვეს, რომელშიაც მას მოწყალეობას თხოვდენ ხალხის ყალბი წარმომადგენლობის სახით! როცა ასეთ ყოვლად უვნებელ თხოვნაზე იმათ არა თუ უარი სტკიცეს, არამედ თითქმის პირშიაც კი ჩააფურთხეს, ჩვენი ლიბერალები მშიშარა კურდღლებივით, ბუჩქებში მიიმალენ და მთელი ათი წლის განმავლობაში თითქო ღრმა ძილში იყვენ. მხოლოდ მაშინ, როცა რევოლიუციონური პროლეტარიატის მედგარმა და შეურყეველმა იერიშმა ძირი გამოუთხარა აბსოლიუტურ მონარქიას და დამპალი ბიუროკრატიული წესწყობილების ზღუდეები აქა იქ შეანგრია და როცა ამავე დროს იაპონიასთან ომის დროს მთავრობის სრული გახრწნილება გამოაშკარავდა, მხოლოდ მაშინ იწყეს იმათ თვალების ფშვნეტა და გამორკვევა. მაგრამ აი რევოლიუცია დაიწყო და რუსეთში სამოქალაქო ომი ატყდა. ერთ მხარეზე დადგა სახელ-გატეხილი, ნდობა დაკარგული და იმავე დროს ხალხის სისხლის მსმელი ბიუროკრატია, შეიარაღებული ყოველგვარი საომარი იარაღებით და მეორე მხარეზე კი მრავალტანჯული, აწიოკებაოხრებული, გაღატაკებული და დამონებული უიარაღო ხალხი. ვისი

მხარე უნდა დაეჭირა ან ვის უნდა მიმხრობოდა ამ შემთხვევაში ლიბერალური ბურჟუაზიის იდეოლოგები? რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ისინი მთავრობის მომხრეობას ვერ გაბედავდენ, მაგრამ ისიც აშკარა იყო, რომ მათი თანაგრძნობა რევოლიუციისაკენ არ იყო. ისინი ხარობდენ, როცა ხედავდენ, რომ აბსოლიუტური წესწყობილება, თვითმპყრობელობა ისპობოდა, მაგრამ მეორე მხრით უზომო შიშს გრძნობდენ რევოლიუციური პროლეტარიატის და გლეხკაცობის წინაშე. რამდენათაც რევოლიუცია წინ მიდიოდა და ღრმავდებოდა, იმდენათ სულ უფრო აშკარავდებოდა კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების სულისკვეთება და მისწრაფება, იმდენათ ისინი სულ უფრო და უფრო იწვედენ მარჯვნით და მთავრობასთან შეთანხმებას ცდილობდენ იმ პირობით, თუ მთავრობა თითონ გადადგებოდა და თავის ადგილს პეტრუნკევიჩებს, ტრუბეცკოვებს, კოკოშკინებს და იმათ მსგავსთ დაუთმობდა.. მთავრობა, რა თქმა უნდა, ჩვენ მყვირალა ლიბერალებს არ დაემორჩილებოდა. მაშინ ამათ სხვანაირ ხერხს მიმართეს, რომლისთვისაც წინათაც არა ერთხელ მიუმართავთ. მთავრობას დაემუქრენ: თუ ჩვენ წინადადებას არ მიიღებ, ხალხი აჯანყდება, ადგება და სრულიად გაგსრესო. ამიტომ თავისი საკუთარი ინტერესების სასარგებლოთ უმჯობესია თავისი ნებით დაგვითმოთო, რასაც გთხოვთო. მთავრობამ არც ასეთ მუქარას მიაქცია ყურადღება და იმავე დროს გადაჭრით შეუდგა რევოლიუციის დამარცხებას იარაღით, არ დაერიდა არც უდანაშაულო ხალხის ამოხოცვას და არც ქალაქის და სოფლების დანგრევას და განადგურებას. ამ პირობებში კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები მთავრობას უნდა ძალა-უნებურათ ჩამოშორებოდენ. და მართლა, რომელ პარტიას შეეძლო ამ დროს მთავრობასთან ყოფნა გარდა ნამდვილი ხულიგანებისა და შავრაზმელებისა? ამ საშინელ დროს თვით 17 ოქტომბრის კავშირი და უფლებრივი წესწყობილების პარტიაც კი არ იწონებდენ მთავრობის ტაქტიკას და მას მუქარას უთვლიდენ. ამიტომ პოლიტიკური პარტიის სამსახური დღევანდელ პირობებში იმით არ გაიზომება, რომ იგი მთავრობის გამხეცებულ მოქმედებას კიცხავს და განზე იწევს.

იმ დროს, როცა ხალხი აჯანყებულია არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ, როგორც ეს დღეს რუსეთშია, საქმეს იმნაირი ტაქტიკა უშველის, რომელიც რევოლიუციას წინ წასწევს, ე. ი. რომელიც ძველი წესწყობილების სრულ გაუქმებას დააჩქარებს. ახლა ვიკითხოთ—რა მოიმოქმედეს ამ მხრით ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენ-

ლებმა? იმათი ტაქტიკა ხელს უწყობდა რევოლიუციის გაძლიერებას, თუ, პირიქით, იმათი მოქმედება სწორეთ ამ რევოლიუციის ჩაქრობისაკენ იყო მიმართული? მთელი იმათი მოქმედება რევოლიუციის დროს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ იმათი ტაქტიკა არა თუ არ იყო რევოლიუციური, არამედ პირდაპირ რევოლიუციის წინააღმდეგ იყო მიმართული. მართალია, თავისუფლების მოპოვება, პარლამენტარიზმის დამყარება იმათ უნდოდათ, მაგრამ ეს იმათი აზრით მშვიდობიანი გზით უნდა ხდებოდეს, თხოვნით, შუამდგომლობით, დაჯერებით და ზოგჯერ მუქარითაც. ჩვენ ვიცით, რომ ამ გზით ჩვენ შორს ვერ წავალთ, მაგრამ ბურჟუა-ლიბერალს ამაში ვერ დაარწმუნებთ. იგი დღესაც გეტყვით, რომ რუსეთში პარლამენტარული წეს-წყობილების დამყარება სისხლის დაურღვეველადაც შეიძლებოდა, რომ ამისთვის საჭირო არ იყო აჯანყება და სხვა. ჩვენი კადეტების დასახასიათებლად საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ისინი, მაგ., დარწმუნებული არიან იმაში, რომ დღეს რუსეთში კონსტიტუციონალური მთავრობა არსებობს (იხ. გაზ. „რეჩ", № 31). იმათი აზრით, მეფის თვითმპყრობელობა დღეს უკვე აღარ არსებობს, ვიტე-დურნოვოს სამინისტრო კონსტიტუციონალური სამინისტროა და მასთან წმინდა პარლამენტარულ ნიადაგზე შეიძლება ბრძოლა. მთელი იმათი ტაქტიკა ამ ყალბ შეხედულებაზეა აგებული და ამიტომ ცხოვრებაშიაც იმათ ასეთი ყალბი როლი უნდა ითამაშონ. სულ სხვანაირად უყურებს დღევანდელ ვითარებას სოციალ-დემოკრატია და ამიტომ სულ სხვანაირია მისი ტაქტიკა დღევანდელ პირობებში. მისი ღრმა რწმენით რევოლიუციონური პროლეტარიატის და გლეხ-კაცობის მიერ წამოყენებული მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რევოლიუცია ბოლომდის გაიმარჯვებს, ე. ი. მხოლოდ მაშინ, როცა სრული დემოკრატიული წეს-წყობილება დამყარდება. ამიტომ სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა რევოლიუციონურია. სოციალ-დემოკრატიას არა სწამს, რომ დღევანდელმა მთავრობამ უბრძოლველათ დაუთმოს ხალხს რამე. კონსტ.-დემოკრატები კი, პირიქით, ამ მთავრობაზე დიდ იმედებს ამყარებენ. „თუ რომ გასული წლის ნოემბერში—სწერდა ამას წინეთ კადეტების ლეიბ-ორგანო „რეჩ", გრაფ ვიტეს საზოგადოებრივი მაჯის ცემა ეგრძნო და შეძლებოდა იმის გაგება, რაც მაშინ მას ი. პეტრუნკევიჩმა უთხრა, როგორც ერობათა წარმომადგენელმა, ჩვენ არ განვიცდიდით კონტრ-რევოლიუციის საშინელებათო" (№ 32). ეს მხოლოდ უსუსური ბავშვის ტიტინია და ახლაც, როცა კადეტებმა სათათბიროს

არჩევნებზე გაიმარჯვეს, მთავრობას ეუბნებიან: ხომ ხედავთ, როგორია საზოგადოებრივი მაჯისცემა, თუ ახლაც ჩვენი რჩევა-დარიგება არ გაიგონე, „ქვეყანაში ხელახლა საშინელება დატრიალდება, ბევრათ უფრო იმაზე უარესი, რაც აქამდის განვიცადეთო“. კარგი დანიშნულებაა! ვითომც დურნოვო-ვიტეს მთავრობამ არ იცოდეს, რა ხდება რუსეთში, ვითომც „კონსტიტუციონალური“ სამინისტრო არ ემზადებოდეს ყველა ამ საშინელებათათვის? ეს წმინდა ბავშური მსჯელობაა და ის პარტია, რომელსაც ასეთი ლათაიებით სურს ფონს გასელა, ხალხს ვერ იხსნის.

(გაზ. „ ე ლ ვ ა“ 1906 წ.
7 აპრილი, № 20).

სოციალ-დემოკრატია და სათათბიროს არჩევნები.

„ელვის“ გუშინდელ ნომერში (№ 20) მოთავსებულია ამხანაგ №-ის წერილი, „არჩევნები რუსეთში“. ავტორი, როგორც თვით მკითხველი დაინახავდა, სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღების მეტის მეტი გატაცებული მომხრეა. ეს, რასაკვირველია, მისი საქმეა, მაგრამ არ შეგვიძლია აღუნიშნავი დავტოვოთ ის გარემოება, რომ როცა ავტორი კადეტების გამარჯვებას ხსნის არჩევნების დროს და იმავე დროს ბოიკოტისტების ტაქტიკას კიცხავს, იგი სინამდვილეს და ლოღიკას ღალატობს.

განვიხილოთ საქმის ვითარება ცოტა უფრო დაწვრილებით.

უწინარეს ყოველისა, ავტორი არა თუ არ არკვევს, არამედ სრულებით უყურადღებოთ ტოვებს იმ ობიექტიურ პირობებს, რომლებშიაც დღეს იმყოფება საერთოდ მთელი რუსეთის ხალხი და კერძოთ პროლეტარიატი და გლეხობა. ავტორი სრულიად გვერდს უვლის აგრეთვე თვით საარჩევნო დებულებას, რომლის ძალით პროლეტარიატის სამი მეოთხედი ნაწილი სრულიად მოკლებულია საარჩევნო უფლებას და რომლის მეოხებით პროლეტარიატს თავისი საკუთარი ძალით არ ძალუძს სათათბიროში თავის საკუთარი დეპუტატი აირჩიოს. გვეტყვიან: ყოველივე ეს ისედაც აშკარა იყოო. ეს მართალია, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მე მაინც ვიტყვი, რომ რაკი ავტორი პროლეტარიატის ტაქტიკას არჩევს სათათბიროს დღევანდელ არჩევნების დროს, ზემო ნათქვამისათვის ზურგი ვერ უნდა შეექცია. მაგრამ, სამწუხაროთ, ავტორი სრულებით უყურადღებოთ სტოვებს ამას. ამიტომაც მთელი მისი მსჯელობა, როგორც კადეტების, ისე ბოიკოტისტების შესახებ, მარტო ფრაზებისაგან შესდგება და როგორც ასეთი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ავტორის აზრით კადეტებმა სათათბიროს არჩევნებზე იმიტომ გაიმარჯვეს, რომ უკიდურესმა პარტიებმა სათათბიროს არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს*). აქედან ასეთი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, თუ რომ უკიდურეს პარტიებს დღევანდელ არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ, გამარ-

*) მკითხველმა უნდა იგულისხმოს, რომ აქ მარტო რუსეთზეა ლაპარაკი, ვინაიდან რუსეთის განაპირა ადგილებში ჯერ არჩევნები არ მომხდარა.

ჯვებულიც ისინი დარჩებოდენ და არა კადეტებიო. აი, ბეჩავი აზრი! თუ ეს ასე მოხდებოდა, რისთვის არის საჭირო დამფუძნებელ კრების მოწვევა ოთხ-ფორმულიანი საარჩევნო უფლებით! პროლეტარიატს და გლეხობას ხომ, თქვენის აზრით, დღევანდელ ვაგლახ საარჩევნო უფლებითაც შეეძლათ გამარჯვებული დარჩენილიყვენ არჩევნებზე? ვიცი მეტყვით, ასეთი დასკვნა სისულელეაო, მაგრამ სწორეთ ეს დასკვნა გამოდის თქვენი მსჯელობიდან. გარდა ამისა, თქვენ დაგვიწყებიათ ის, რომ მთავრობამ სამი თვის განმავლობაში განუწყვეტლივ ენერგიული ზომების ხმარებით მილეწ-მოლეწა უკიდურეს მემარცხენე პარტიების ყოველგვარი ორგანიზაციები, როგორც ლეგალური, ისე არალეგალური, დაკეტა გაზეთები, უფრო მეტი სისასტიკით და გააფრთებით შეუდგა რევოლიუციონური მოძრაობის მეთაურების დევნას და სხვადასხვა; ამნაირათ მთავრობამ გამოაცხადა ყველა უკიდურესი მემარცხენე პარტიები და მათ შორის სოც. დემოკრატიაც ყოველგვარ კანონის გარეშე და მით შეუძლებლათ გახადა იმათი მხრით საათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღება მაშინ, როცა ყველა ბურჟუაზიულ პარტიებს, და მათ შორის კადეტებსაც, ამ მხრით თითქმის არავითარი დაბრკოლება არ ქონდა და თუ ქონდათ, შედარებით სულ უმნიშვნელო. ამხანაგი N კი არც ერთ ამ გარემოებას მხედველობაში არ ღებულობს. იგი სავსებით შეუპყრია კადეტების გამარჯვებას და ამ ამბავს იგი სავსებით „ბოიკოტის“ ტაქტიკას აწერს. ავტორი საშინლად შეწუხებულია კადეტების გამარჯვებით. მისი აზრით დღეს კადეტები ძლიერ დაუახლოვდენ ხალხს; ქალაქის მუშები და გლეხობა თანდათან გადადიან კადეტების გავლენის ქვეშო; „ეს პარტია გამხდარა ის ცენტრი, რომელზედაც მიპყრობილია თითქმის მთელი ხალხის თვალები, **მთელი გამწარებული და დამშეული ხალხი ამ პარტიისაგან რალაცას გამოელის**“ (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). ავტორის სიტყვით, „კადეტებმა ამ ცოტა ხანში მოიპოვეს **საარაკო სიძლიერე**, გახდენ **სახალხო პარტიათ**“, (ხაზს ავტორი უსვებს). ყოველივე ეს ავტორის აზრით იმით აიხსნება, რომ „კადეტებმა მშვენივრათ შეიგნეს და მიხვდენ ხალხის მისწრაფებაო“. ვინ ამბობს ამას? ვინ ფიქრობს ასე: სოციალ-დემოკრატები თუ კადეტები? სამწუხაროა, რომ ასე ჩვენი ამხანაგი სოც.-დემოკრატი მსჯელობს. ვინ მიდის კადეტების პარტიაში? მუშები, გლეხობა? მაგრამ იგივე მუშები, შეიძლება შავრაზმელების და ხულიგანების პარტიაშიც წავიდენ! მებრძოლი პროლეტარიატი და გლეხობა არასოდეს არ წავლენ კადეტებ-

თან, არასოდეს არ გაუმაგრებენ მათ ზურგს, ეს ჩვენ კარგათ უნდა ვიცოდეთ. ამიტომ ვინც დღეს იმათთან მიდის, ეს ჩვენთვის არავითარი დანაკლისი არ არის. ამასთანავე დარწმუნებულიც უნდა ვიყოთ, რომ კადეტები სახალხო პარტია არც არასოდეს ყოფილა და ვერც შეიქნება. მართალია, ისინი ბევრს ყვირიან თავის თავზე, თავის გამარჯვებას ხალხის გამარჯვებათ თვლიან, მაგრამ რამდენიც უნდა ილაპარაკონ, ისინი ვერ იქნებიან რევოლიუციონური პროლეტარიატის და გლეხობის პარტია, რომლის დროშა სოციალ-დემოკრატიას უპყრია ხელში. რაც შეეხება იმას, რომ კადეტებმა ვითომც შეიტყვეს ხალხის ნამდვილი მისწრაფება და სულისკვეთება, ეს აზრიც, მეტი რომ არა ვთქვათ, მეტად გაზვიადებულია. მართალია, კადეტები საზოგადოების ერთი განსაზღვრული ნაწილის სულისკვეთებას გამოთქვამენ, მაგრამ განა ეს მთელი ხალხის სურვილია? ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოებაში არიან ისეთი ელემენტები, რომლებიც არც მაინცდამაინც დიდათ უკმაყოფილო არიან დღევანდელ ბურჟუაზიულ წესწყობილებით. ასეთი ელემენტები ყოველთვის მხარს დაუჭერენ ზომიერ ლიბერალებს, როგორიც არიან დღეს ჩვენი კადეტები. დღევანდელი სათათბიროს საარჩევნო დებულება ამ ელემენტებს ხელს უწყობს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, და კადეტების გამარჯვებაც არჩევნებზე სწორედ ამ ელემენტების მონაწილეობით აიხსნება.

ვიცი ამხანაგი № მიპასუხებს: მე აქ ასეთ ელემენტებზე არ ვლაპარაკობ, მე მხედველობაში მაქვს **ხალხის ფსიხოლოგია**, რომელმაც შექმნა ასე მოულოდნელი გამარჯვება კადეტებისაო" (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). ავტორი განმარტავს ამ „ფსიხოლოგიას" და აქედან ის დასკვნა გამოყავს, რომ „ხალხი დღეს ჩაჩუმდა და შეიარაღებულ აჯანყებაზე ახლო მომავალში ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. **ხალხს დასვენება ესაჭიროებოდა** და საჭირო იყო ისეთი ტაქტიკა ამოგვერჩია, რომელიც ხალხს ისევ გაამხნევებდა, სულს ჩაუდგამდაო" (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). ასეთი ტაქტიკა იყო თურმე არჩევნებში მონაწილეობის ტაქტიკა, რომელიც უარყო რუსეთის სოც.-დემოკრატიის დიდმა უარავლესობამ და კადეტებმა კი მიიღესო. როგორც ხედავთ, ავტორის შეხედულებით „ხალხის ფსიხოლოგია" მშვენივრათ შეუგნიათ კადეტებს. სამწუხაროთ ავტორი აქაც, როგორც ყველაფერში, ფაქტებს არავითარ ანგარიშს არ უწევს. მართლა ისე დაეცა ხალხი, რომ მას წელში გამართვის იმედი აღარ აქვს? იმიტომ არის დღეს იგი გაჩუმებული, რომ მას დღეს მხოლოდ დასვენება ესა-

ჭიროება? რას მოწმობენ აუარებელი ფაქტები? რას ამბობენ უფრო გამოცდილი და დაკვირვებული ამხანაგები? განა რევოლიუციონური პროლეტარიატი და აჯანყებული გლეხობა ამ ჟამად დასვენებაზე ფიქრობს? განა კაუცკი, ლენინი და სხვები „დასვენების“ ტაქტიკაზე გვითითებენ? ჩვენ კარგათ ვიცით, თუ ვინ გვითითებს ასეთ „ტაქტიკაზე“. ესენი არიან სწორედ ის კადეტები, რომლებიც დღე-მუდამ რევოლიუციას ღალატობენ. ვიცი ამხანაგი № მაინც მეტყვის: ხალხს არჩევნებში მონაწილეობის მიღება უნდოდა, ეს აშკარათ დაამტკიცეს არჩევნებმაო, სადაც ამრჩევლების 85 პროცენტი გამოცხადდაო ⁄ ეს საზღვარ-გარეთაც იშვიათი მოვლენა არისო. ჯერ ერთი ის, რომ 85% არსად არ გამოცხადებულა. მოსკოვში, რამდენათაც მახსოვს, ერთ რომელღაც ნაწილში 60% მეტი გამოცხადდა; მაგრამ სამაგიეროთ ავტორი სრულებით სდუმს იმაზე, რომ უმეტეს ნაწილად ხალხი სულ არ ესწრებოდა არჩევნებს და სადაც ესწრებოდა, ათასი ამომრჩევლისაგან ძლიეს-ძლიერობით 10—20 კაცამდე მიდიოდენ. საკვირველია, რათ უხვევს გვერდს ავტორი ასეთ ფაქტებს! საკვირველია, თუ რისთვის ამახინჯებს იგი სინამდვილეს, როცა ამბობს, რომ ხალხს ძლიერ უნდოდა სათათბიროში მონაწილეობის მიღება, რომ „ყოველგვარი ქადაგებით ვერ დაარწმუნებთ მას, რომ დუმაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოვო“. ნამდვილი ფაქტები კი სულ წინააღმდეგ ამტკიცებენ. პირიქით, ყოველ დღე იმას ვკითხულობთ გაზეთებში, რომ საარჩევნო დრო მოახლოვდა, მთავრობა ხალხს იწვევს არჩევნებზე, მაგრამ ხალხი გაურბის, არა თუ გულგრილათ ეკიდება არჩევნებს, არამედ ეკვით უყურებს, ესეც მთავრობის მიერ დაგებული ხაფანგია, მისი პროვოკაციაა. და მართლაც, ყველა იმის შემდეგ, რაც ამ უკანასკნელ დროს მთავრობამ ჩაიდინა, განა მის მიერ გამოგონილი „დუმა“ ვისმეს თვალში რაიმე ნდობას დაიმსახურებდა? ასეთ პირობებში ხალხი თავის თავად ბოიკოტს უცხადებდა სათათბიროს და ამიტომ ბოიკოტის მომხრეთათვის სრულებით საჭირო არ იყო ხალხის დარწმუნება იმაში, რომ არჩევნებში მონაწილეობას ნუ მიიღებთ. პირიქით, ანტი-ბოიკოტისტებს უნდა მიეღოთ ზომები, რომ ხალხი დაერწმუნებიათ, საჭიროა სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღებაო./გადაავლეთ თვალი, თუ რას იწერებოდენ გაზეთებში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, თუ როგორ გაურბოდა ხალხი არჩევნებს მაშინ, როცა ჩვენ ორგანიზაციებს სულ სხვანაირი რეზოლიუციები გამოქონდათ. რაც შეეხება რუსეთს, ამ ჟამათ ვიკმაროთ მხოლოდ რამდენიმე ფაქტი. პეტერბურგის და მოსკოვის პრო-

ლეტარიატმა, რომელიც დღეს მთელი რუსეთის პროლეტარიატის მაჯის ცემის გამომხატველია, სრულიად შეგნებულად განაცხადა უარი სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე. იგი ბოიკოტს უცხადებს სათათბიროს, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ იქიდან არაფერი არ გამოვა, გარდა იმისა, რომ მონაწილეობის მიღებით ერთ არევ-დარევას მოვახდენთ პროლეტარიატის და გლეხკაცების თავშიო. პეტერბურგის პროლეტარიატი ყოველგან აცხადებდა რომ ჩვენ დღევანდელ პირობებში სათათბიროსათვის დეპუტატებს ვერ ავირჩევთ, ვინაიდან ჩვენ გვყავდა არჩეული დეპუტატები, მაგრამ ისინი ყველა დაჭერილები არიან და არც კი ვიცით სად არიან დაკარგულიო. ასე მოხდა ბალტიის მხარეშიაც, სადაც რევოლიუციურმა მოძრაობამ ყველაზე უფრო იჩინა თავი. ამას წინეთ გაზ. „ნაშა ჟიზნის“ კორესპონდენტი იწერებოდა, რომ ბალტიის მხარეში ისეთი პირობები შექმნეს, რომ ქალაქის და სოფლის პროლეტარიატს სხვა გზა არ ქონდა გარდა იმისა, რომ არჩევნებისათვის ბოიკოტი გამოეცხადებიაო. მხოლოდ ბურჟუაზიული კლასები და მემამულეები იყვენ და არიან სათათბიროში არჩევნების მონაწილეობის მიღების მომხრეებიო (№ 406). ასეთი პირობებია დღეს რუსეთში. სხვა მაგალითების ჩამოთვლა საჭირო არ არის.

ნათქვამიდან აშკარაა, თუ რამდენათ მართალია ამხანაგი, როცა გადაჭრით ამბობს, რომ ხალხი „დუმაში“ მონაწილეობის მიღების მომხრე იყოო და თუ აგრეთვე რამდენათ შესაწყნარებელია მისი სიტყვები: „მთელ თავის ისტორიაში ჩვენ ამხანაგებს არ ჩაუდენიათ ისეთი მიუტევებელი ტაქტიკური შეცდომა, როგორიც არის ბოიკოტის ტაქტიკაო“. ისტორიის მსჯავრი დიდხანს არ გვალოდინებს უფრო სამართლიანის განაჩენის დასაწერათ.

(გაზ. „ე ლ ვ ა“ 1906 წ.
8 აპრილი № 21)

სოციალ-დემოკრატიის გარშემო.

საიდან არ გინდათ, რომ იერიში არ მოქონდეთ სოციალ-დემოკრატიაზე! შესაფერი დროც გამონახეს. სწორედ მაშინ, როცა გარეთ, ქუჩაში, გაცხარებული ბრძოლაა, როცა ყოველი მხრიდან სისხლი იღვრება, ჩვენი მოწინააღმდეგენი, კაბინეტში ჩამსხდარნი, სხვადასხვა ცილისწამებას და ინსინუაციებს იგონებენ პროლეტარიატის პარტიის ჩასაქოლავათ. ამ მიზნის მისაღწევად ზოგი ცრუ-ფილოსოფიურ საფუძველს ეძებს, ზოგი ისტორიულ სიყალბეს ჩადის, ზოგიც აშკარად ცილისწამებას და ინსინუაციებს თხზავს, ზოგი (მაგ. ახალშობილი გაზეთი „ნობათი" [21]) სოციალ-დემოკრატიას აბრალებს სოციალიზმის ღალატს, რევოლიუციონურ გზიდან გადახვევას, ოპორტიუნიზმში შეტოპვას, ზომიერ პარტიათ გადაქცევას და სხვა. მეორეთ (მაგ., „იერია") სოციალ-დემოკრატიას, პირიქით, იმაში ამტყუნებს, რომ იგი მეტის მეტი უკიდურესი პარტია შეიქნა, რომელიც უარყოფს ყოველგვარ კავშირს ყველა დანარჩენ პარტიებთან, რომელიც ყველას შეურიგებელ ომს უცხადებს, რომელიც მხოლოდ რევოლიუციონური გზით ცდილობს თავის მიზნის განხორციელებას. სოციალ-დემოკრატია ამათი შეხედულებით დამნაშავეა იმაში, რომ მას არ აკმაყოფილებს მარტო პოლიტიკური ცვლილების მოხდენა, არამედ იგი ახლავე ფიქრობს „ეკონომიური დაჩაგვრის მოსპობას", რისთვისაც საჭიროდ მიაჩნია „შეიარაღებული აჯანყების მოხდენა და პროლეტარიატის დიქტატურა".

აი, ასეთი ერთი მეორის გამაქარწყლებელი ბრალდებაა წამოყენებული სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ! განა შესაძლებელია, რომ სოციალ-დემოკრატია ერთ და იმავე დროს რევოლიუციის გზასაც ადგეს და ოპორტიუნისტიც იყოს, ზომიერ, მინიმალურ, პოლიტიკურ ცვლილებებს ებღაუჭებოდეს და ეკონომიური დაჩაგვრის სრულ გაუქმებასაც ლამობდეს? სოციალიზმის განხორციელებისაკენ მიისწრაფოდეს და იმავე დროს კერძო საკუთრებას იცავდეს? ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ერთობ მეტად ღრმად შეტოპეს ინსინუაციების და ცილისწამების მორევში, უამისოთ ასეთ ბრალდებათა წამოყენება შეუძლებელი იქნებოდა. ასე

გეგონებათ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგეები თითქო ერთი ერთმანეთს ეჯიბ-რებიან ამ სამარცხვინო ხელობაში.

„ივერია“ მაგ., გაიძახის, რომ „ქართველმა სოციალ-დემოკრატიამ უარყო სხვადასხვა პატარა ეროვნებისათვის თავისუფლება... გვერდი შე-უქცია ეროვნულ დაჩაგვრის მოსპობასო“ („ივერია № 6). „პროლეტა-რიატმა დიქტატურა გამოაცხადა (რუსეთში, ნუ დაივიწყებთ), რამაც ძირს დასცა განმათავისუფლებელი მოძრაობაო“... ამ დიქტატურამ ახა-ლი თვითმპყრობელობის ხასიათი მიიღოო და სხვა. იმავე გაზეთის სიტ-ყვით ის წესწყობილება, რომლის განხორციელება პროლეტარიატს სურს, თურმე მხოლოდ ხალხის უმცირესობისათვის ყოფილა სასიამოვნო. და არა უმეტესობისათვის. შემდეგ გაზეთი გადაჭრით ამბობს, რომ ხალ-ხი არჩევნების დროს რუსეთში სოციალ-დემოკრატიას არ მიეკედლა და ხმის უმეტესობა ერგო პოლიტიკურ დემოკრატიასო და სხ. (იქავე).

ყველა ეს ინსინუაციები და ცილისწამებათა თაიგული ჩვენ აქ იმი-ტომ კი არ მოვიყვანეთ, რომ პასუხი გავცეთ. ისინი პასუხის გაცემას არც კი !აჭიროებენ, ვინაიდან თავის თავად აშკარაა იმათი უსაფუძვ-ლობა, მით უმეტეს, რომ „ივერიის“ მხრით ეს ახალი არ არის. სულ სხვაა ახალი გაზეთი „ნობათი“. სამწუხაროა, რომ იგიც იმავე წუმპეში ჩაეშ-ვა, მხოლოდ მეორე მხრიდან. რაც რომ ოდესმე ევროპაში ანარქისტებს ულაპარაკიათ და უწერიათ მარქსიზმის წინააღმდეგ, ყოველივე ეს ახლა ქართულათ მოუწადინებიათ გადმოღება, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ შეიძლება აქ გაასაღონ. მიმართულება, რომლის რევოლიუციური ხასია-თი მხოლოდ სიტყვების რახა-რუხში გამოიხატება, დღეს ჩვენში ნიადაგს ველარ მოიპოვებს. სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას უკვე საკმარისათ აქვს დღეს ჩვენში გადგმული ფესვები, რომ ევროპაში დიდი ხნიდან უარყოფილმა ანარქისტების მოძღვრებამ შესძლოს დღეს მისი შერყევა-და დამარცხება. სოციალ-დემოკრატია არ გაურბის კრიტიკას, პირიქით, კრიტიკას იგი მიუცილებელ საჭიროებათ თვლის, მაგრამ როცა ეს კრი-ტიკა დამყარებულია მხოლოდ ინსინუაციებსა და ცილისწამებაზე, ასეთ კრიტიკას არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. მაგრამ ჩვენ გვყვანან კიდევ სხვანაირი მოწინააღმდეგეებიც.

ესენი მარტო ინსინუაციებს და ცილისწამებას როდი ეჯერდებიან, ისინი უფრო სოც.-დემოკრატიის პროგრამას და პრაქტიკულ მოქმედე ბას აკრიტიკებენ, და ამაში წინააღმდეგობის გამონახვით სურთ სოც.-დე-მოკრატიის სახელის გატეხა. ესენი არიან სოციალისტ-რევოლიუციონე-

რები და სოც.-ფედერალისტ-ავტონომისტები. ამათი აზრით, „სოც.-დემოკრატია თუმცა უძლიერესი პოლიტიკური პარტიაა ჩვენში“, მაგრამ იგი თურმე ვერ უახლოვდება „ქართველი ხალხის ფსიქოლოგიას“, რადგანაც ჩვენ ხალხს დღეს ისე არაფერი არ სჭირია, როგორც ეროვნულ ძალთა კულტურული აღორძინება და განვითარება და სოც.-დემოკრატია კი ამას საშინლათ გაურბის („შრომა“ 22) № 5). ეროვნულ ინტერესების უარყოფა ქართველ სოც.-დემოკრატებისაგან გარდამაეალი მოვლენაა,—გვარწმუნებენ სოც.-ფედერალისტები,—და იგი ფეხს ვერ მოიკიდებს ხალხის ფსიქოლოგიაშიო, და თუ შემდეგშიაც ასე მოიქცენ, ისინი მალე დაკარგავენ გავლენას მშრომელ ხალხზე და მათ ადგილს სხვა პარტიები დაიპერენ, რომ სოც.-ფედერალისტების პარტია ამ მხრივ უფრო უახლოვდება ხალხის ფსიხოლოგიასო“ (იქვე). მაშ, რალა აწუხებთ ჩვენ, ფედერალისტ-ავტონომისტებს? ან შეიძლება იმათ სოციალ-დემოკრატები ებრალებათ, რომლებსაც შემდეგში პირისაგან ქვეყნისა აღგვა მოელით? საეკვო კია, რომ სოციალ-დემოკრატების ადგილი ფედერალისტ-ავტონომისტებმა დაიპირონ ოდესმე! და ამიტომ ურჩევთ ჩვენ ავტონომისტ-ფედერალისტებს მაინცდამაინც ნუ სწუხან სოციალ-დემოკრატიის გაქრობაზე. სულ სხვაა, როცა ჩვენი ავტონომისტ-ფედერალისტები ქართველ სოც.-დემოკრატიის „ისტორიას“ იკვლევენ.

იმ „ისტორიიდან“ თურმე გამოდის, რომ წინანდელი „ქართველი მარქსისტები თვალსაჩინოთ განსხვავდებოდენ ეხლანდელ ქართველ სოც. დემოკრატიისაგან. ისინი მაშინ არ გაურბოდენ ნაციონალურ შინაარსის პოლიტიკას... „ისინი (ქართველი მარქსისტები) ცდილობდენ ქართველი ერის შეგნებაში ერთსა და იმავე დროს შეეტანათ სოციალიზმის და გონივრულ ნაციონალიზმის ცნებები, ცდილობდენ სოციალიზმის შედეგებას ერთ განუყოფელ და დასრულებულ მოძღვრებათ“... აი თურმე რას უწოდებენ ისტორიას ჩვენში! სად ან როდის იყო, რომ ქართველი მარქსისტები „ნაციონალური შინაარსის პოლიტიკას“ სასტიკ და შეუბრალებელ ომს არ უცხადებდენ? როდის იყო, რომ ქართველმა მარქსისტებმა სოციალიზმი და ნაციონალიზმი ერთ მოძღვრებათ გადაადეულეს! საბედნიეროთ ყველაფერი ეს არც ისე ძველი ამბავია, რომ აქ ასე აშკარათ სიყალბეს ჩადენა ვისმეს შერჩეს. ქართველ სოც.-დემოკრატებში ამ ახრით არავითარი ცვლილება. არ მომხდარა და არც შეიძლება მომხდარიყო, ვინაიდან ეროვნულ კითხვას ჩვენ ყოველთვის კლასობრივი

ბრძოლის თვალთახედვის წერტილიდან ვიკვლევდით და დღემდის ეს შეხედულება არა თუ არ შერყეულა, არამედ, რაც დრო მიდის, სულ უფრო და უფრო მართლდება. მთელი დღევანდელი მოძრაობა, სხვას რომ თავი დავანებოთ, ამის დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს.

(ბაბ. „ი ლ ვ ა“ 1906 წ.
აპრილი 11 № 23).

დღევანდელი პოლიტიკური ვითარება.

I.

რუსეთის დღევანდელ საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება ამ ჟამად ასეთია: ზომიერი პროგრესისტ-ლიბერალები, კონსტ.-დემოკრატების მეთაურობით, სახელმწიფოს სათათბიროს საშვალებით ემზადებიან ბიუროკრატიასთან საბრძოლველათ. მემარჯვენე პარტიები, ე. ი. მემამულეების, სხვილ კაპიტალისტების, ფაბრიკანტების და ბანკირების წარმომადგენლები ბიუროკრატიასთან ერთად სახელმწიფო საბჭოში, ე. ი. რუსეთის ყალბი ორ პალატიანი კონსტიტუციის ზედა პალატაში იყრიან თავს, როგორც რევოლიუციურ პარტიების, ისე ცოტათ თუ ბევრათ რადიკალურ და ლიბერალურ პარტიების წინააღმდეგ საბრძოლველად. რაც შეეხება უკიდურეს მემარცხენე, ანუ რევოლიუციურ პარტიებს, ისინი უმეტეს ნაწილად, როგორც სათათბიროს, ისე მით უმეტეს საბჭოს გარეთ არიან დარჩენილი და მთელ თავის იმედებს თვით ხალხის მოძრაობაზე, მისი ცნობიერების გაღრმავებაზე და გაფართოვებაზე, ე. ი. რევოლიუციის ბოლომდე მიყვანაზე ამყარებენ. ამავე დროს თვითმპყრობელი ბიუროკრატია მედგრად, შეუპოვრად განაგრძობს სვლას ერთხელ არჩეული გზით. მან კარგათ იცის, რომ დღევანდელ პირობებში მას არც დათმობა უშველის და მით უმეტეს არც განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვება. ორივე შემთხვევაში მას სიკვდილი უწერია და ამიტომ იგი ბრძოლაში ფიქრობს სულის დალევას. მისი საბრძოლველი საშვალებანი ორნაირია: ერთი მხრით, იგი იშველიებს ყველა თავის სამხედრო და ადმინისტრატიულ ძალებს, როგორც მაგალითად, ჯარს, პოლიციას, ჟანდარმერიას, მეორე მხრით იგი იბრძვის დიპლომატიური ხერხით. ორივე ამ საშვალებებს იგი ერთ და იმავე დროს ხმარობს. არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ დიპლომატიურმა ხერხმა მთავრობას ამ შემთხვევაშიაც უფრო მეტი სამსახური გაუწია, ვინემ სამხედრო და ადმინისტრატიულ ძალებმა. მართალია, ამ უკანასკნელთა საშვალებით მთავრობამ ხალხში საშინელება დათესა, მაგრამ ეს იმგვარი მუშაობაა, რომელიც თვით მთავრობას უთხრის ძირს. სულ სხვაა დიპლომატიური ხერ-

ხი. სხვადასხვა დატყუილებით და ოინბაზობით მთავრობა ცდილობს ერთი მხრით ამოძრავებული ხალხის ყურადღების ისეთ რიგზე მიქცევას, რაც ხელს უწყობს მის გამარჯვებას და ხალხის დამარცხებას და მეორე მხრით ამავე საშვალებით იგი საქმეს იკეთებს კაპიტალისტებთან. ყველაზე დიდი სამსახური ამ მხრით სახელმწიფო „დუმაში" არჩევნების მოხდენამ გაუწია მთავრობას. რაც უნდა თქვან, ყველასათვის მაინც აშკარა უნდა იყოს ის გარემოება, რომ ამ არჩევნებით მთავრობა უფრო მოგებული და, მაშასადამე, უფრო გამარჯვებულიც [1]) დარჩა, ვინემ ხალხი. დღეს აღარავისათვის საეჭვო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ მთავრობამ არჩევნების მოხდენით საზღვარ გარეთ ვეებერთელა სესხი იშოვნა. რომ მთელი ეს არჩევნები კომედიის თამაშობა იყო მთავრობის მხრით, ამას, რა თქმა უდნა, ისეთ ყურადღებას როდი აქცევდენ საზღვარგარეთის კაპიტალისტები და ბანკირები. იმათ, რასაკვირველია, ეგონათ, რომ რაკი მთავრობა არჩევნებს ახდენს და ხალხიც ნდობას უცხადებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებით, რომ „დუმაში" უმეტეს ნაწილათ ლიბერალური ელემენტები გადიან, რუსეთში რევოლიუცია უკვე დამთავრებულია, და მაშასადამე, იგი ნდობის ღირსიაო. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მთავრობა სესხს ჯერ კიდევ გასულ წელს იშოვნიდა, როცა ვიტე და კოკოვცევი ზედი-ზედ საზღვარ გარეთ დაძრწოდენ ამ საქმისათვის.

ფულის შოვნა დღეს მთავრობის გამაგრებას ნიშნავს. ამის უარის ყოფა დღეს არავის არ შეუძლია. რაკი მთავრობამ არჩევნების მოხდენით ფული იშოვნა, ეკვი არ არის, რომ თვით „დუმის" მოწვევა დღეს მისთვის არა თუ საჭირო აღარ არის; არამედ პირდაპირ მავნებელი იქნება. როგორ მოიქცევა ასეთ პირობებში მთავრობა?

უეჭველია „დუმის" მოწვევაზე იგი უარს არ იტყვის დღეს, მაგრამ მას მაინც რამდენიმე საშვალება აქვს, რომ „დუმა" არარაობაზე დაიყვანოს. „დუმაში" მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ჯერ არ არის შექმნილი პირობები. ამიტომ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ „კადეტების" გამარჯვება არჩევნების დროს თავის თავად არაფრის მომასწავებელი არ არის. ამ გამარჯვებამ მხოლოდ ერთი სარგებლობა მოუტანა ხალხს, სახელდობრ ის, რომ ყველამ დაინახა: ხალხი არ თანაუგრძნობს დღევანდელ მთავრობას, მაგრამ განა ეს ვისმესთვის აქამდის საეჭვო იყო? განა თვით მთავრობამაც არ იცის, რომ მას ხალხის თვალში

[1]) ეს გამარჯვება რომ დროებითია, სულ სხვა საქმეა, ჩვენ მხოლოდ დღევანდელ ვითარებაზე ვლაპარაკობთ.

დღეს ყოველგვარი ნდობა დაკარგული აქვს? ასეთი გამარჯვება რომ რომელიმე პარლამენტარულ ქვეყანაში მომხდარიყო, რა. თქმა უნდა, ამ გამარჯვებას სულ სხვა მნიშვნელობა ექნებოდა. ამ გარემოებას რაც შეიძლება უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, მით უმეტეს, რომ ზოგიერთები, ხალხის ნამდვილი მეგობრებიც კი, დიდ მნიშვნელობას აძლნვენ ლიბერალური ოპოზიციის გამარჯვებას სათათბიროს არჩევნებზე.

ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, რომ მთავრობა „დუმის“ მოწვევაზე დღეს უარს არ იტყვის, თუმც მას დღეს ისიც შეუძლია, რომ მისი მოწვევა გადადვას. ჩვენ აგრეთვე იმასაც ვფიქრობთ, რომ იგი დღეს არც გაფანტავს „დუმას“. უფრო ხელსაყრელი იქნება მისთვის, რომ დუმა ერთხანს შეიქციოს, მისი მოქმედება შეასუსტოს სხვადასხვა წვრილმანი საქმეებით, ფორმალური მხარეებით. ერთი სიტყვით, მთავრობა ეცდება, რომ არსებითად დუმას არავითარი საქმე არ გააკეთებინოს. ნუ დავიწყებთ, რომ „დუმის“ გვერდით, უკეთ მის მაღლა, დგას მეორე პალატა, 20 თებერვალს შექნილი სახელმწიფო საბჭო. აქაც ერთი ნაწილი თითქო ხალხის წარმომადგენლებისაგან შესდგება, მაგრამ ნამდვილად კი სახელმწიფო საბჭოში თავმოყრილი იქნებიან ძველი რეჟიმის ყველა ჯურის მომხრეები და მოტრფიალენი. „დუმაში“ მოწონებული „მოსაზრება“ (ოფიციალური ენით, რასაკვირველია!) ახლა საბჭოს უნდა გადაეცეს განსახილველად. საბჭოს შეუძლია იგი უკუ აგდოს, ან ფრთები შეიჭრას და ისე წარუდგინოს უმაღლესად დასამტკიცებლად. ამნაირად „შემუშავებული“ მოსაზრების ბედი ბოლოს მაინც ერთი კაცის სურვილზე ჰკიდია. მეტყვიან, საქმე ასე არ გაჭიანურდება, სათათბირო („დუმა“) გახსნისათანავე ისეთ მოთხოვნილებას წამოაყენებს, რომ მას ან გაფანტავენ, ან ბიუროკრატია იძულებული იქნება დანებდესო. მაგრამ როგორ მოხდება ეს, ჩვენთვის გაუგებარია. ჩვენ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ სათათბიროში მოსალოდნელი ოპოზიცია (კადეტების უმრავლესობით) იმგვარი ხასიათის არ იქნება, რომ მან ასე დააყენოს საქმე. პირიქით, ჩვენ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ოპოზიცია ყოველგვარ ზომებს იხმარს, რომ მთავრობასთან სერიოზული კონფლიქტი არ მოუხდეს, ვინაიდან ეს ხალხის ჩარევას გამოიწვევს და ეს კი სისხლის ღვრას ნიშნავს. სწორედ ამის ეშინიათ კადეტებს. ამას საჯაროთ აცხადებდა ამას წინეთ თვით ბ. სტრუვე.

ამნაირად დღევანდელი არჩევნების საშვალებით მთავრობამ სესხი იშოვნა. თვით სათათბიროს მოწვევით იგი ეცდება დაამყაროს რუსეთში

ყალბი „კონსტიტუცია“, უკეთეს შემთხვევაში ისეთი, როგორიც დღეს პრუსიაში არსებობს, თუ კიდევ ბევრათ უარესი არა. ასე იქნება, თუ ხალხი გაჩუმდა, რევოლიუციას ზურგი შეაქცია და ყოველივე თავის იმედი „დუმაზე“ დაამყარა, მაგრამ მოხდება კი ეს ასე? განვიხილოთ.

II.

ყველა სოციალურ მოძრაობას ეკონომიური მიზეზები იწვევენ. რუსეთის დღევანდელი მოძრაობა მარტო ლიბერალურ ბურჟუაზიული როდია, პირიქით, იგი გამოწვეულია მუშა-ხალხის უზომო დაჩაგვრით და შევიწროვებით. მართალია ჩვენ ვამბობთ, რომ დღევანდელ მოძრაობას მიზნათ პოლიტიკური ცვლილების მოხდენა აქვსო, მაგრამ განა პოლიტიკური ცვლილების მოხდენა შეიძლება უიმისოთ, რომ ეკონომიურ ურთიერთობაშიაც შესაფერი ცვლილება არ მოხდეს! რა თქმა უნდა, დღევანდელ პოლიტიკურ რევოლიუციას ეკონომიური ურთიერთობის ძირიანათ შეცვლა არ შეუძლია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკური რევოლიუციის მნიშვნელობა და აზრი მხოლოდ იმაში იხატება, რომ მას მეტად თუ ნაკლებათ ეკონომიური პირობების ცვლილება მოსდევს.

ყველა სოციალური მოძრაობა იწყება მხოლოდ იქ, სადაც ეკონომიური შევიწროვება უფრო მეტად საგრძნობელია. აიღეთ ძველი, საშუალო საუკუნოების და ახალი დროის ისტორია და თქვენ დარწმუნდებით, რომ ყოველთვის და ყოველგან საზოგადოებრივი ხასიათის მოძრაობას იწვევდა დაჩაგრულ და დამონებულ კლასების უზომო შევიწროება. ასეთი იყო ძველ რომში მონების აჯანყება. საშუალო საუკუნოებში გლეხების მოძრაობა. ომი ინგლისში, საფრანგეთში და განსაკუთრებით გერმანიაში საშუალო საუკუნოების დასასრულს, ასევე იყო ახალ ისტორიაში გლეხებს აჯანყება საფრანგეთში, შემდეგ ქალაქის მუშების არეულობა კაპიტალისტურ ქვეყნებში (ჩარტისტები ინგლისში, მუშების არეულობა ლიონში) და ბოლოს რუსეთში გლეხების მოძრაობა ბატონყმურ ურთიერთობის წინააღმდეგ. ასეთივეა დღევანდელი მოძრაობაც რუსეთში, იგი გამოწვეულია განსაკუთრებით იმ კლასების მიერ, რომლებიც ყველაზე უფრო დაჩაგრული და შევიწროვებულია დღევანდელი წეს-წყობილებით. ასეთი არიან ქალაქის პროლეტარიატი და გაპირვებული გლეხობა. როცა პროლეტარიატი და გაპირვებული გლეხობა იბრ-

ძვიან თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ცხოვრების საუკეთესო პირობების მოსაპოვებლად, ამით ისინი თავის თავად ხელს უწყობენ საზოგადოთ მთელი კაცობრიობის დიდ უმრავლესობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამიტომ პროლეტარიატის დროშას თანაგრძნობით შეყურებენ ყველა ისინი, ვინც კი რაიმე შევიწროებას და ტანჯვას გრძნობენ. მაგრამ იმათი თანაგრძნობა მხოლოდ წუთიერია, ვინაიდან თვით იმათი შევიწროებაც დღევანდელ წეს-წყობილებაში წარმავალია და არა მუდმივი. სულ სხვაა პროლეტარიატის შევიწროება და დაჩაგვრა. ეს არ არის წარმავალი ანუ ცვალებადი მოვლენა, პირიქით, მთელი წესწყობილება პროლეტარიატის და საზოგადოთ მშრომელი ხალხის დაჩაგვრაზე არის აგებული. ამიტომაც პროლეტარიატი არ შესწყვეტს ბრძოლას, სანამ საბოლოოთ არ დაამხობს მთელ დღევანდელ საზოგადოებრივ წესწყობილებას. ამ ბრძოლის დროს საზოგადოების დანარჩენი კლასები ანუ ჯგუფები ხან შორდებიან და ხან უკავშირდებიან მათ იმის მიხედვით, თუ პროლეტარიატის მოძრაობა რამდენათ ემსახურება იმათ ვიწრო კლასობრივ ინტერესებს და არა პროლეტარიატის საბოლოო მიზნის განხორციელებას.

ამნაირათ, როცა რუსეთის დღევანდელ რევოლიუციის მიმდინარეობაზე ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ეკონომიური მიზეზები, რომლებმაც უკანასკნელ ანგარიშში გამოიწვიეს თვით ეს რევოლიუცია. რევოლიუციის მესვეურნი, მისი ბედის გადამწყვეტნი არიან დღეს პროლეტარიატი და გაპირვებული გლეხობა. ტყუილა ნურავის გონია, რომ ისინი მარტო პოლიტიკური თავისუფლების მოპოებით დაკმაყოფილდენ. ასე რომ იყოს, მაშინ განა კლასები და თვით ბიუროკრატია მათ ასე სასტიკ და მედგარ წინააღმდეგობას გაუწევდენ? საქმეც ის არის, რომ პროლეტარიატი და აჯანყებული გლეხობა პოლიტიკურ უფლებასთან ერთად ეკონომიურ პირობების გაუმჯობესებას თხოულობენ და კიდევ მეტი: პოლიტიკურ ცვლილებას ისინი თავის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობის სახელით თხოულობენ. როცა პროლეტარიატი და გლეხობა დღეს თავის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის იბრძვიან, რა თქმა უნდა, ამით ისინი სამსახურს უწევენ რუსეთში პოლიტიკური და მოქალაქობრივი თავისუფლების საქმეს, და ამ მხრით იმათი ბრძოლა მხოლოდ თანაგრძნობას იწვევს საზოგადოების იმ ჯგუფებისაგან, რომლებისათვის პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება დღევანდელ სოციალურ პირო-

ბებშიაც ხელსაყრელია. მაგრამ იმათ საუბედუროთ პროლეტარიატს და გლეხკაცობას მარტო სახელისთვის კი არ უნდა პოლიტიკური და მოქალაქობრივი თავისუფლება. პირიქით, ეს თავისუფლება მათ მხოლოდ იარაღათ სურთ გამოიყენონ თავის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პოლიტიკურ თავისუფლებას ისინი მხოლოდ იმდენათ უპერენ მხარს, რამდენათაც ეს თავისუფლება ხელს შეუწყობს იმათი ეკონომიური დაჩაგვრის შესუსტებას. დღევანდელი რევოლიუციის დასრულება პროლეტარიატისათვის ნიშნავს წმინდა დემოკრატიულ წესწყობილების დამყარებასთან ერთად 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას, საყოველთაო სწავლას, სრულ თავისუფლების განხორციელებას, როგორც სიტყვის, წერის, ისე კავშირის და გაფიცვის საქმეში. გლეხკაცობისთვის იგი ნიშნავს ბატონყმურ ნაშთების სრულ გაუქმებას, ე. ი. მიწების სრულ ჩამორთმევას, როგორც ყველა კერძო მსხვილ მემამულეებისაგან, ისე ხაზინის, საეკლესიო და სამონასტრო მიწებისაც. ახლა ჩვენ ვიკითხოთ: რომელი პარტია დაუჭერს დღეს მხარს პროლეტარიატს და გლეხობას ასეთ მოთხოვნების დაკმაყოფილების დროს, გარდა სოციალისტურ პარტიებისა საზოგადოთ, და კერძოთ სოციალ-დემოკრატიისა? ან შეიძლება დღევანდელი მოძრაობა დამთავრდეს ისე, რომ პროლეტარიატის და გლეხობის მიერ წამოყენებული მოთხოვნები დაუკმაყოფილებელი დარჩეს? რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ ეს ასეც მოხდეს, მაგრამ ეს დღევანდელი რევოლიუციის დამარცხება იქნება. სინამდვილე, ე. ი. დღევანდელი პირობების ობიექტიურად დაფასება გვეუბნება, რომ უფრო მოსალოდნელია რევოლიუციის გამარჯვება. ჯერ ერთი ისა, რომ მუშა ხალხის როგორც პროლეტარიატის, ისე გლეხკაცობის ეკონომიური გაჭირვება უკიდურეს ზომამდეა მიღწეული. მეორე მხრით, მან საუდამოთ დაკარგა იმედი, რომ დღევანდელმა მთავრობამ იკისროს ამ გასაჭირისაგან მისი ხსნა. პირიქით, მუშა ხალხი დღეს აშკარათ რწმუნდება იმაში, რომ დღევანდელი მთავრობა გაბატონებული კლასების დამცველი ორგანოა. რაც შეეხება ჩვენი ბიუროკრატიის მოქმედებას ამ უკანასკნელ დროს, ე. ი. რევოლიუციის ჩასაქრობათ ზომების ხმარებას, ეს კიდევ უფრო შველის და ხელს უწყობს რევოლიუციის საქმეს, რადგანაც მთავრობა ყოველგვარი თავისი მოქმედებით სულ უფრო და უფრო ამხედრებს პროლეტარიატს და გლეხობას თავის წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ მთავრობა მედგარ იერიშს მოელის არა „დუმისაგან“, არამედ აჯანყებული გლეხობისა და პროლეტირიატისაგან.

მთელი მისი მოქმედება იქითკენ არის მიმართული, რომ როგორმე აიცილოს თავიდან ეს თავდასხმა. „დუმას“ კი იგი ყოველთვის გაუმკლავდება თუ თვით ხალხში მოძრაობა შეჩერდა, მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ ეს შეუძლებულია.

(გაზ. „ე ლ ვ ა“ 1906 წ. 12 და 14 აპრილი, № № 24 და 25 „—ე“-ს ფსევდონიმით),

პოლიტიკური მიმოხილვა.

„რამდენათაც არჩევნებში კადეტების გამარჯვებამ მთავრობას წელი მოსწყვიტა და შესამჩნევათ „მოკაკვა“, იმდენათ სესხის შოვნამ მას წელი გაუმაგრა და თითქო ძალა და რიხი შემატა. და აი, მთავრობა და მასთან ერთად მისი დამქაშები დღეს თითქო „გამარჯვებას“ დღესასწაულობენ. მთავრობის გაზეთი „რუსსკოე გოსუდარსტვო“, რომელიც გუშინ რაღაც საყოველთაო შერიგებაზე, ცოდვების მიტევებაზე და ქრისტიანულ სიმშვიდეზე მღეროდა, დღეს ისევ გათავხედდა და ისევ ძველებურათ განაგრძობს ყბათ-აღებას თავის მოწინააღმდეგეებისას და, სხვათა შორის, კადეტებისას, რომლებსაც ურიების დევნის განზრახვას აბრალებს „ნოვოე ვრემია“ და ძმანი მისნი, რომლებიც გუშინ, კადეტების გამარჯვების გავლენით, ვითომ გაოპოზიციონერებას ლამობდენ და მთავრობას ვითომ შეჩვენებას უპირებდენ, დღეს კვლავ ჰანგი შესცვალეს, დღეს ისევ ქება-დიდებას და ხოტბას ასხამენ მთავრობას სესხის შოვნის მოხერხებისათვის, და მათი ურიცხვობა იქამდე მიდის, რომ გვარწმუნებენ—მთავრობა ცდილობს თავის „მემკვიდრეს“ ყველა ანგარიში გასწორებული გადასცესო და ურჩევს სახელმწიფო სათათბიროს—მთავრობასთან შეტაკებისათვის საბაბის ძებნას ნუ დაიწყებთ, რადგან მან საუცხოვოთ მოახერხა სესხის შოვნაო, და ასე ლაპარაკობს „ნოვოე ვრემია“ მაშინ, როდესაც მთელი ქვეყანა განცვიფრებული და გულამღვრეულია იმ საარაკო საზიზღრობით, რომელიც რუსეთი მთავრობამ ჩაიდინა სესხის ასაღებათ. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მთავრობამ, ოღონდ კი სესხის შოვნა მოეხერხებია, მთელი რუსეთის პირდაპირ მიყიდა საზღვარ-გარეთის კაპიტალისტებს იმით, რომ პირობა დაუდვა—რუსეთის მთავრობა აღარ ითხოვს საზღვარ-გარეთ ორი წლის განმავლობაში სესხს, ხოლო ათი წლის განმავლობაში კი პროცენტების რაოდენობის გამოცვლასო. ასეთი პირობებით ახლანდელმა მთავრობამ ხელფეხი შეუკრა და საშვალება მოუსპო რუსეთის მომავალ მთავრობას სესხი იშოვოს, ხოლო უსესხოთ კი ეერც ერთი თანამედროვე სახელმწიფო ჯეროვანათ თავის საჭიროებათა დაკმაყოფილებას ვერ მოახერხებს; განსაკუთრებით გლეხ-

თა საკითხის გადაწყვეტა, რომელიც ნამეტნავათ გამწვავებულია რუსეთში, მოუხერხებელია სესხის აუღებლათ. ეს გარემოება განსაკუთრებით გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენებს მომავალ სათათბიროს და სწორეთ ეს უნდა მთავრობასაც, რომელიც ყოველ ზომებს ხმარობს, რომ სათათბიროს ხალხის თვალში სახელი გაუტეხოს. აი სწორეთ ამ მიზნით მთავრობას გადაუწყვეტია პირველათ გლეხთა საკითხის გადაპრა დაავალოს სათათბიროს, რადგან იმედი აქვს, რომ ფულის უშოვნელათ სათათბირო ვერ გადსწყვეტს ამ კითხვას, მაშასადამე, ვერ დაკმაყოფილებს გლეხებს, იმედებს დაუკარგავს მათ თავის თავზე და ამით ვითომ მთავრობის საქმე გაიჩარხება, თუმცა ნამდვილათ კი, რასაკვირველია, სულ სხვა ისტორია დატრიალდება და აზვირთებული ხალხის ზღვა ერთიანათ წალეკავს ხალხის გამყიდველ, მთლად გათახსირებულ მთავრობას.

* * *

საზოგადოთ მთავრობა დიდ სამზადისშია მომავალი „დუმის“ წინააღმდეგ საბრძოლველათ. თავის განზრახვებს ამ მხრივ მაინც არ მალავს. „რუსსკოე გოსუდარსტვო“ პირდაპირ ამბობს, რომ მთავრობას განზრახვა აქვს ძალა დაატანოს სათათბიროს და ისეთ წვრილმან საქმეებში გაართოს, რომლებზედაც „თათბირი“ არსებულ სახელმწიფო წესწყობილებას ნამცეცსაც ვერას დააკლებს და სათათბიროს ნებას არ მისცემს, არ დააცლის ფართო კონსტიტუციონურ კითხვებზე ილაპარაკოს, „ძირითად კანონებს“ შეეხოს. ამ მიზნით მთავრობას უკვე შეუმუშავებია სათათბიროსთვის წარსადგენათ პროექტები ისეთ შედარებით უწყინარ წვრილმან კითხვებზე, როგორიც არის: პასპორტის სისტემა, მიწის გამიჯვნის საქმე, „ოპეკუნობა და სხ. და სხ. აი ასეთ კითხვებზე ლაყბობით, ასეთი ძვლებით ხერით ცდილობს მთავრობა უშიშარი გახადოს თავისთვის სათათბირო, მხოლოდ თუ ეს უკანასკნელი მაინც არ დაიშლის და „ბეზსმისლენია მეჩტანიებს“ დაიწყებს, ამ შემთხვევისათვის კი მთავრობა უფრო საგრძნობელ, უკვე ნაცად „უებარ“ საშვალებას მიმართავს. ეს საშვალება, რასაკვირველია, ხიშტები, ტყვიები და ზარბაზნები გახლავთ, რომლებიც მთავრობას იაპონიასთან და შინაურ მტერთან „სახელოვანი“ ომების შემდეგ ჯერ კიდევ ბლომათ აქვს.

დურნოვომ უკვე პირდაპირ გამოაცხადა „თავისიანებში“ — დეე, რაც უნდათ ილაზღანდარონ „დუმაში“, ჩვენ მათ ლოლიკას პულემიოტების

ლოლიკას დაუყენებთ წინო. მთავრობის გაზეთმაც „რუს. გოს." პირდაპირ და უცბათ გამოთქვა: თუ სათათბიროს დეპუტატებმა ოპოზიცია გაახურეს, მაშინ მათ იქიდან ხიშტებით გამოვრეკავთო. ასეთი განზრახვები აქვს მთავრობას „დუმის" შესახებ, მაგრამ რადგან მან კარგათ იცის, რომ ამ განზრახვების სისრულეში მოყვანამ სულ ადვილათ შეიძლება ხალხი ააღელვოს და ქუჩაში საბრძოლველად გამოიყვანოს მის წინააღმდეგ, ის ამ მხრივაც ემზადება და თავდარიგს იჭერს. იგი კვლავ განაგრძობს ხალხის ნამდვილი ხელმძღვანელების დევნას—დაჭერას, გადასახლებას და სხვა... ამას გარდა ყველა თავის აგენტებს—პოლიციელებს, ჟანდარმებს და სხვა.... უკეთესად აიარაღებს (ვინტოვკებს, ურიგებს); ამასთან უფრო „საშ'ბ'' ადგილებში ჯარებს აძლიერებს, უკეთესად წრთვნის სროლაში და საზოგადოთ სამხედრო მოქმედებაში, პულემიოტებს ასუფთავებს და ამზადებს.

* * *

მეორე მხრით მთავრობას, რამოდენიმეთ მაინც თითქო იმედი აქვს (და ეს იმედი, რამდენიმეთვე მაინც, არც უსაფუძვლოა), რომ სათათბიროს წევრები ხელს შეუწყობენ მთავრობას „სმუტის" და „კრამოლის" მოსპობაში. აი რა შინაარსის დეპეშა გაუგზავნია ვიტეს სარატოვში სათათბიროს წევრის კუტმანოვისათვის: ამ ჟამად არეულობის მოსასპობათ საუკეთესო საშვალება არის, რომ მოსპობილ იქნას გამუდმებული მკვლელობა, სიკვდილით დასჯა, ძარცვა-გლეჯა და სხვა ყოველათ საზიზღარი დანაშაულობათა ჩადენა იმ პირთა მხრივ, რომლებსაც სურთ უეცველათ არეულობა და უწესოება სუფევდეს „ძვირფას სამშობლოში"-ო. იმედი მაქვს, რომ თუ სათათბიროს პატივცემული წევრები შესძლებენ თავიანთი **ზნეობრივი გავლენით** ამ დანაშაულობათა შეჩერებას, მეტად სასურველი მშვიდობიანობა დამყარდებაო. ვიტეს აზრით გამოდის, რომ თუ არეულობის შედეგებს მოვსპობთ, თვით არეულობაც მოისპობა. მაგრამ ეს არაფერი. საინტერესო ის არის, რომ ვიტეს თითქოს შესაძლებლათ მიაჩნია სათათბიროს წევრებმა ზნეობრივი გავლენით მოსპონ ეს არეულობა. ამით მას ალბათ იმის თქმა უნდა, რომ თუ სათათბიროს წევრებმაც კი თავიანთი „გავლენით" რევოლიუცია ვერ მოსპეს, მაშინ ხომ მაინც საბუთი მექნება, რომ ისევ „ფიზიკურ გავლენას" ე. ი. პულემიოტებს მივმართო. ამასთან ვიტემ ძალიან კარგათ იცის, რომ

სათათბიროს წევრების, თუნდაც თვით კადეტების, ამ „სახალხო“ პარტიის ცარიელი ზნეობრივი გავლენით, თხოვნით და ხვეწნა-მუდარით რევოლიუცია არ მოისპობა. მაშ, გაუმარჯოს ისევ პულემიოტებს! ასე დაასკვნის ალბათ ვიტე.

* * *

ვიტეზე უფრო გულახდილი დურნოვო ყოფილა. ის კადეტებს პირდაპირ უცხადებს უნდობლობას. ეს მან, სხვათა შორის, გამოთქვა ამნისტიის კითხვის განხილვის დროს. სახელმწიფო, უთქვამს მას, კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდება, თუ რევოლიუციონერებთან ბრძოლა კადეტებს მივანდვეთო. ესენი რევოლიუციონერებს კუდს უქნევენ და ამიტომ ვერ იკისრებენ მათ წინააღმდეგ ის რეპრესიები იხმარონ, რომლებსაც შეუძლიან ბოროტების მოსპობაო. მეორე მხრით რევოლიუციონერებს იმდენათვე არ სწამთ კადეტები, დურნოვოს აზრით, კადეტების ორპოფი პოლიტიკური მდგომარეობაა იმის მიზეზი, რომ მათ არ შეუძლიათ რევოლიუციონერებთან ბრძოლა „კრამოლის“ მოსასპობათ, მაშასადამე, რევოლიუციასთან ბრძოლა სათათბიროს საქმე არ არის, ეს ისევ დღევანდელმა მთავრობამ უნდა განაგრძოსო. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დავარწმუნოთ და ვანუგეშოთ დურნოვო, რომ თუ მთავრობა შესამჩნევ უფლებებს დაუთმობს სათათბიროს, ე. ი. უმთავრესად კადეტებს, და თუ რევოლიუციონური ხალხი შესაფერი პასუხის გასაცემათ მზათ არ იქნება, მაშინ კადეტებიც ჯეროვან დახმარებას აღმოუჩენენ ვიტე-დურნოვოს რევოლიუციის „ჩასაქრობათ“. მაგრამ იმაში კი ვერ დავარწმუნებთ სახელოვან მინისტრს, რომ ხალხი გულხელდაკრეფილი შეხვდება „დუმას“ და რევოლიუციის ბედის გადაწყვეტას ვიტე-დურნოვოს და კადეტებს მიანდობს.

(გაზ. „ელვა“ 1906 წ.
14 აპრილი № 26).

რევოლიუციის გზა.

I.

ჩვენი თვალთახედვის წერტილი ისტორიაზე მატერიალისტური შეხედულებაა. ეს არის იმავე დროს მეცნიერული სოციალიზმის ან მარქსიზმის საფუძველი. მატერიალისტური შეხედულება გვეუბნება, რომ ყოველგვარ საზოგადოებრივ მოვლენას საფუძვლად ეკონომიური მიზეზი აქვს, ე. ი. ყოველგვარი საზოგადოებრივი ხასიათის მოვლენა არა თუ შეკავშირებულია საზოგადოების არსებულ ნივთიერ პირობებთან, არამედ იგი პირდაპირ ამ უკანასკნელი პირობების ნაყოფია. ამიტომ არც ერთი ასეთი მოვლენა, როგორიც უნდა იყოს იგი, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვყოთ ცალკე, არსებულ ნივთიერ პირობების გარეშე და ისე განვიხილოთ და დავაფასოთ იგი. ეს არის ერთად ერთი უტყუარი საზომი, ერთად ერთი მართალი კრიტერიუმი ყოველგვარ საზოგადოებრივ მოვლენათა შესასწავლათ და დასაფასებლათ. სამწუხაროთ ამ კრიტერიუმის გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა თანამედროვე ცხოვრებას ვეხებით, საძნელო ხდება, ვინაიდან ამ შემთხვევაში უკანასკნელ მიზეზის — ეკონომიურის, რა თქმა უნდა, გამონახვა თითქმის შეუძლებელია. აი რას ამბობს, მაგ. ფრიდრიხ ენგელსი ამის შესახებ: „თანამედროვეთ არასოდეს არ შეუძლიათ სრული წარმოდგენა შეადგინონ ერთი განსაზღვრული ხანის ეკონომიურ ისტორიაზე; ეს შესაძლებელია მხოლოდ შემდეგში, როცა შეიკრიბება და შეისწავლება საჭირო მასალა... ყოველ დღიური ცხოვრების გათვალისწინების დროს ჩვენ ხშირად გვიხდება ეკონომიური მდგომარეობა მთელი ხანისათვის ჩავთვალოთ შეუცვლელათ, როგორიც იყო იგი ამ ხანის დასაწყისში, ან მივიღოთ მხედველობაში მხოლოდ ისეთი ეკონომიური ცვლილებანი, რომლებიც გამომდინარეობენ აშკარა ფაქტებიდან, და როგორც ასეთები, მხოლოდ ცხოვრების ზედაპირს გვაცნობენ". („კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში", კარლ მარქსის შესავალი).

თავის თავად იგულისხმება, რომ ენგელსს აქ განსაკუთრებული რევოლიუციური დრო აქვს მხედველობაში და მართლაც, როცა საზოგა-

დოებრივი ცხოვრება დაწყნარებულია და იგი ჩვეულებრივ კალაპოტში დგას, როცა იგი რევოლიუციურ ცვლილებას არ განიცდის, ეკონომიური პირობების გათვალისწინება უფრო ადვილია, ვინემ მაშინ, როცა საზოგადოებაში ჩვეულებრივი მყუდროება დარღვეულია და ცხოვრება დუღს და გადმოდის. ეს არის რევოლიუციური ხანა და სწორედ ის არის ჩვენთვის საინტერესო. რევოლიუცია—ეს ერთი ურთულესი სახოგადოებრივი მოვლენათაგანი, მისი ბედი, მისი გამარჯვება თუ დამარცხება, დამოკიდებულია ეკონომიურ პირობებზე. გვეტყვიან: ამით თქვენ უარყოფთ ადამიანების გავლენას ისტორიაზე და ქადაგებთ ფატალიზმს, ბედის წერას, ე. ი. ამტკიცებთ, რომ ისტორიული განვითარება ხდება თავის თავად, აუცილებლად და აქ შეგნებულ ადამიანს არავითარი ნიადაგი არა აქვსო. ეს საყვედური მართალია მხოლოდ იმდენად, რამდენათაც აქ გამოთქმულია საზოგადოებრივ მოვლენათა აუცილებლობა. მაგრამ რამდენადაც იგი შეიცავს იმ აზრს, რომ შეგნებულ ადამიანს არავითარი გავლენის მოხდენა არ ძალუძს ისტორიაზე, ეს საყვედური სიმართლეს მოკლებულია. რასაკვირველია, ადამიანს არ შეუძლია შუბლით კედლის გარღვევა, არ შეუძლია ეკონომიური განვითარების წინააღმდეგ წასვლა, მაგრამ სამაგიეროთ მას კი შეუძლია ხელის შეწყობა, ისტორიულ მოვლენათა დაჩქარება, და სწორედ ამისათვის არის საჭირო ეკონომიურ პირობების ცოდნა, რაც ასე ძნელია. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ რევოლიუციის დროს შეცდომების ჩადენა იმათ მხრით, ვინც იმაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ, თითქმის აუცილებელია, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ვითომც რევოლიუციის ბედი უკანასკნელ ანგარიშში კერძო პირთა ამ შეცდომებზე იყოს დამოკიდებული. როცა რევოლიუცია მარცხდება, ან ისე არ მიმდინარეობს როგორც სასურველია, ამის მიზეზად უფრო ხშირად კერძო პირების შეცდომებს და იმათ მიერ მიღებულ ტაქტიკას ასახელებენ. მაგრამ ეს შეცდომაა. ეს მოწმობს იმას, რომ ასეთი შეხედულების მომხრე მარქსიზმის მოძღვრებას დაშორებულია, ვინაიდან იმას სწამს, რომ მხოლოდ პეტრეს ან პავლეს შეეძლოთ, რომ ისტორიული ჩარხი ასე დატრიალებულიყო და არა ისე. რა თქმა უნდა, კერძო პირების შეგნებულ მოქმედებას და ასეთ შეგნებაზე დამყარებულ ტაქტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რამდენათ ძნელია მიმდინარე ცხოვრების ეკონომიური პირობების გათვალისწინება, რაც ამ შეგნების საფუძველს შეადგენს. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა აზრის იყო ამ საგნის შესახებ მარქსი, რომელიც 1848 წლის რევოლიუ-

ციაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ცრუმორწმუნეობის დრო, — სწერდა გასული საუკუნის მეორმოცდაათე წლის დასაწყისში, — რომელსაც რევოლიუცია მიაჩნდა რამდენიმე აგიტატორის მოქმედების ნაყოფად, სამუდამოთ წავიდა. დღეს ყველამ იცის, რომ იქ, სადაც არის რევოლიუციური კვრანჩხვა, იმის უკან უნდა იმალებოდეს რაიმე საზოგადოებრივი საჭიროება, რომლის დაკმაყოფილებას ეღობება დახავსებული წეს-წყობილება. ეს საჭიროება ყოველგან და ყოველთვის ერთნაირათ ისე საგრძნობელი არ არის, რომ მან გამარჯვება გამოიწვიოს. მაგრამ **ყოველგვარი ცდა ძალით მისი დამარცხებისა მხოლოდ ხელს შეუწყობს მის გამაგრებას,** სანამ საბოლოოთ არ დაამსხვრევს თავის ბორკილებს. მაშასადამე, თუ დავმარცხდებით, ჩვენ **ხელახლა თავიდანვე უნდა დავიწყოთ.** დასვენების დრო ჩვენ მხოლოდ საჭირო მუშაობას უნდა შევწიროთ, ე. ი. იმ მიზეზების შესწავლას, რომლებმაც გამოიწვიეს, როგორც აფეთქება, ისე დამარცხება იმ მიზეზების, რომელიც **უნდა მონახონ არა რამდენიმე მეთაურის კერძო მოქმედებაში, ნიჭში, ნაკლულევანებაში, შეცდომაში ანუ ღალატში,** არამედ—**საერთო სოციალურ მდგომარეობაში** და ხალხის ყოფა-ცხოვრებაში (იხ. „გერმანია 1847—50 წ. წ." გვ. 3—4, ხაზს ჩვენ უსვამთ).

ასეთი აზრის იყო მარქსი, რომელმაც სწორეთ ამ ეკონომიურ მიზეზების შესწავლას და გამოკვლევას მთელი თავისი სიცოცხლე მოანდომა. აქედან ჩვენ ვხედავთ, თუ რევოლიუციის საქმეში რას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. რევოლიუციის დამარცხების, რასაკვირველია, დროებით, თავი და თავი მიზეზი ჩვენ უნდა ვეძიოთ არა მეთაურების მოქმედებაში, იმათ უნიჭობაში თუ შეცდომებში, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ნივთიერ პირობებში. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ მარქსის აზრით, რევოლიუციას ამზადებს საერთოდ ქვეყნის ეკონომიური განვითარება, რომელიც ძირს უთხრის არსებულ საზოგადოებრივ წეს-წყობილებას. მაგრამ ერთბაშათ მის აფეთქებას იწვევს მსოფლიო ბაზარზე ჩამოვარდნილი კრიზისი, ე. ი. ისეთი მოვლენა, რომელიც მოულოდნელათ საერთო არევ-დარევას და საგრძნობელ რყევას იწვევს. საქმე ის არის, რომ ასეთი კრიზისის დროს ეკონომიური და სოციალური ურთიერთობა უფრო მწვავდება; ამ დროს მუშა ხალხი უფრო გაჭირვებაში ვარდება, ვინემ ჩვეულებრივ დროს და თვით გაბატონებული კლასებიც დრტვიან, ვინაიდან იმათ ბატონობასაც განსაცდელი მოელის. მაგრამ გაივლის თუ არა კრიზისი, რევოლიუციის ბედიც იცვლება. ეკონომიური

ისტორიის შესწავლამ მარქსი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ თებერვლის რევოლიუცია საფრანგეთში და მარტის გერმანიაში 1848 წელს მსოფლიო აღებ-მიცემობის კრიზისმა გამოიწვია, რომელიც დაიწყო 1847 წელს. 1848 წლის ნახევრიდან უკვე იწყება აღებ-მიცემობის აყვავების ხანა, რომელმაც თავის უმაღლეს საფეხურამდე მიაღწია 1849 და 1850 წლებში, რა გარემოებამაც ევროპის რეაქციას ნიადაგი მოუმზადა. ასეთია მარქსის შეხედულება იმ რევოლიუციებზე, რომლების აქტიური მონაწილე ის თითონ იყო.

(გაზ. „ელვა“ 1906 წ.
აპრილი 15 № 27).

ალექსანდრე წულუკიძის გარდაცვალების წლის თავი.

დღეს ერთი წელიწადი შესრულდა ალექსანდრე (საშა) წულუკიძის გარდაცვალების შემდეგ. სიკვდილმა უდროოთ გამოგვგლიჯა ხელიდან ერთი საუკეთესო მებრძოლი იმ დროს, როცა ჩვენი საერთო მისწრაფება, ჩვენი უმახლობელესი მიზანი ხორცს ისხამდა, ე. ი. იმ დროს, როცა რუსეთის პროლეტარატი საზიზღარი წესწყობილების წინააღმდეგ აშკარათ გამოეცხადა რევოლიუციონურ ბრძოლას ასპარეზზე. საშა წულუკიძეს არ დასცალდა. რუსეთის გმირი პროლეტარიატის ძალების მობილიზაცია. თავისი თვალით ეხილა, იგი ვერ მოესწრო ვერც გასული წლის ოქტომბრის საერთო პოლიტიკურ გაფიცვას, ვერც—ყალბი თავისუფლების ტკბილ წუთებს, როცა მთელი რუსეთის სივრცეზე რამდენიმე დღის განმავლობაში დიდებული მიტინგები და კრებები იმართებოდა, რომლებიც ჩქარა ცბიერი მთავრობის მეოხებით შავბნელ დღეებათ შეიცვალა. მას არ დასცალდა ბევრი რამ, კიდევ ბევრ რამეს არ მოესწრო საშა—ეს დაუღალავი. რევოლიუციონერი და პროლეტარიატისათვის თავდადებული მებრძოლი.

საშა წულუკიძე უკანასკნელ ხანებში ეკუთვნოდა მხოლოდ რევოლიუციის საქმეს, იგი ცხოვრობდა მხოლოდ მისთვის: სოციალიზმის განხორციელება და. რევოლიუციის გაშარჯვება. იყო მისი უმთავრესი და უმახლობელესი მიზანი. და აი, მან ამ დიადი საქმის სამსახურში დალია სული. იმდენათ მისთვის ავადმყოფობას ვერაფერი დაუკლია, რამდენათაც რევოლიუციის სამსახურმა დააკლო. სადაც პროლეტარიატის ინტერესების დაცვა იყო საჭირო, იქ მან არ იცოდა რა იყო თავისი კერძო ინტერესები; იგი მთელი თავისი არსებით ეძლეოდა ამ დიად საქმეს, მაშინ იგი ივიწყებდა ყველაფერს, მას არ ახსოვდა არც მისებრ თადავდადებული ერთგული ამხანაგი—ცოლი (ელენე), არც მახლობელი ნათესავები. საშას სწამდა მხოლოდ წმინდა მოვალეობა კაცობრიობის ტანჯულ უმრავლესობის—მუშა ხალხის წინაშე. აქ იგი ნამდვილი ფანატიკოსი იყო, მაგრამ არა ბრმა, არამედ შეგნებული. პროლეტარიატის საქმეში მან არ იცოდა, რა იყო რყევა, შუა გზაზე გაჩერება, ორპოფობ-

და, მით უმეტეს, უკან დახევა. იგი მიდიოდა მუდამ წინ, და აქ მას გზას უნათებდა ფართო ნიჭი და შესაფერი ცოდნა. მრავალი გზით დაჩაგრული თავის კერძო ცხოვრებაში, იგი არასოდეს სასოწარკვეთილებას არ მისცემია, მიუხედავათ ვაგლახ და დუხჭირ პირობებისა, რომლებთანაც მას შეტაკება უხდებოდა. იგი მუდამ აღფრთოვანებული შეყურებდა მომავალს და სრულებით დამშვიდებული იგი ცნობილ იტალიელ პოეტის სიტყვებს იმეორებდა: Segui il tuo corso e lascia dir le genti *).

საშა წულუკიძემ ბევრი გააკეთა მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციისათვის და კიდევ მუტს მისგან მომავალში მოველოდით. მაგრამ ბედმა ეს არ გვარგუნა..

საუცხოვო სურათს წარმოადგენდა ქალაქი ქუთაისი გასული წლის 12 ივლისს. ამ დღეს უნდა გაესვენებიათ იქიდან საშას ცხედარი დაბა ხომში დასაკრძალავათ. მთელი ქალაქი ფილიდან ფეხზე იდგა. ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა,—ყველანი იქ მიეშურებოდენ, სადაც ძვირფასი მებრძოლის გვამი ესვენა. აუარებელი ხალხი, 15-20 ათასამდე, გარს შემორტყმოდა იმ შენობას, რომელშიაც საშას გვამი ესვენა. ეი შუა ეზოში გამოიტანეს წითელი გვირგვინებით შემკული კუბო და გაიმართა ნამდვილი მიტინგი რევოლიუციონური სიტყვებით. ეს მიტინგი დაიწყო ქუთაისში დილის 10 საათზე და დასრულდა ხონში საღამოს 9 საათზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში, 25 ვერსის მანძილზე, შეუწყვეტელი მიტინგი იყო. ასეთი გასვენება სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ ჩვენში ჯერ არ მომხდარა. და რამდენათაც უფრო ღრმად ვუკვირდებოდი იმას, რასაც მე მაშინ ვამჩნევდი, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ საშა ღირსი იყო სწორედ ასეთი პატივისცემის.

(გაზ. „ლამპარი“ 1906 წ.
11 ივნისი № 39).

*) იარე შენ მიერ არჩეული გზით და სხვებმა, რაც უნდათ, ისა სთქვან.

შენიშვნები

1) **გ. ზდანოვიჩი.** გიორგი ზდანოვიჩი (გ. მაიაშვილი) ქართველი ფედერალისტების ერთი ცნობილი ბელადთაგანი იყო. ის დაიბადა ქ. ქუთაისში 1855 წ. სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, მაგრამ ეს უკანასკნელი აღარ დაუმთავრებია, ვინაიდან ჩაება რევოლიუციონურ მოძრაობაში. ის მიემხრო ნაროდნიკების ჯგუფს და მისი ერთი მებრძოლთაგანი გახდა. 1875 წლის სექტემბერში გ. ზდანოვიჩს ასამართლებენ (ეგრედ წოდებული „50-ის პროცესი") და უსჯიან 8 წლის და 8 თვის კატორღას. 1889 წ. ის გაანთავისუფლეს, რის შემდეგ დაბრუნდა ქუთაისში. აქ, საქართველოში, ის პირველათ არც ერთ ჯგუფს არ ეკედლებოდა, მაგრამ შემდეგ თანდათან დაუახლოვდა და ბოლოს შეუერთდა საესებით ჩვენი ნაციონალისტების იმ წრეს, რომლისაგან შემდეგ გამოიჩეკა ფედერალისტების პარტია. გ. ზდანოვიჩი მოღვაწეობდა ჩვენში სამწერლო ასპარეზზე გ. მაიაშვილის ფსევდონიმით. ის გარდაიცვალა 1917 წლის 31 ივლისს ქ. ქუთაისში.

2) **ქ.ქ. კიშინიოვსა და გომელში** ადგილი ჰქონდა ებრაელების დარბევას.

3) **სულთან—კრიმ—გირეი** იყო მაშინდელი რუსეთის ფინანსთა სამინისტროს რწმუნებული კავკასიაში და მასთან კიდევ კავკასიის მეფის მოადგილის საბჭოს წევრიც. მას თავი მოჰქონდა ლიბერალათ.

4) **ილია ჭავჭავაძე.** ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წ. სოფელ ყვარელში (ქალ. თელავის მახლობლად). სწავლობდა ჯერ ტფილისის გიმნაზიაში, მისი დამთავრების შემდეგ ლენინგრადის უნივერსიტეტში. ლექსების წერა ი. ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ყოფნის დროს დაიწყო. 1863 წელს მან დაარსა ჟურნალი „საქართველოს მოამბე", სადაც დაიბეჭდა, სხვათა შორის, მისი რამდენიმე ლექსი და მოთხრობა. მალე ი. ჭ. რედაქტორობას თავი დაანება და შევიდა სახელმწიფო სამსახურში—მომრიგებელ მოსამართლეთ ქ. დუშეთში. როცა დაარსდა სათავად-აზნაურო ბანკი, იგი მოწვეულ იქნა ამ ბანკის გამგეთ, რომელსაც ხელმძღვანელობდა დიდი ხნის განმავლობაში. 1906 წელს ქართლ—კახეთის თავად-აზნაურობამ ი. ჭ. აირჩია სახელმწიფო საბჭოს წევრათ. 30 აგვისტოს 1907 წელს ი. ჭ. თავის ცოლთან ერთად გაემგზავრა ქალ. ტფილისიდან სოფელ საგურამოში (ცოლის მამულში). სოფ. წიწამურის ბოლოს (მცხეთის მახლობლათ) მას თავს დაესხენ და მოჰკლეს. ის დასაფლავებულია მთაწმინდის ეკლესიის გალავანში.

5) **გაზეთი „ივერია".** 1877 წ. ქართველი საზოგადოების კონსერვატიულმა ჯგუფმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით დაარსა საკუთარი ორგანო „ივერია". ეს გაზეთი პირველათ გამოდიოდა კვირაში ერთხელ, მაგრამ 1879 წ. ის გადაკეთდა თვიურ ჟურნალად, ვინაიდან ამ დროს გაზეთმა „დროებამ" (პირველათ ის დემოკრატიული ორგანო იყო) იმდენათ იცვალა ფერი, რომ შესაძლებელი გახდა მისი და გაზ. „ივერიის" რედაქციების შეერთება. ამის მიხედვით მათ

შორის მოხდა შრომის ერთგვარი განაწილება: „დროებამ“ გაზეთის სახე შეირჩინა, ხოლო „ივერია“ კი თვიურ ჟურნალად გადაკეთდა. მაგრამ ეს შეერთება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1881 წელს ისინი ისევ გაიყარნენ: „დროება“ ისევ დაუბრუნდა თავის ძველებურ ტრადიციას და ხელახლად იწყო თავისი ჩვეულებრივი მსვლელობა. ეს, რასაკვირველია, კარგათ ვერ იმოქმედებდა „ივერიაზე“ და ეს უკანასკნელი ისე უძლურდება დღე-დღეზე, რომ მოსალოდნელი გახდა მისი დახურვა. მაგრამ აქაც მას „დროებამ“ უშველა. 1885 წ. გაზეთი „დროება“ დაიხურა და ქართველი საზოგადოება სრულებით უგაზეთოთ დარჩა. ამ გარემოებით ისარგებლა „ივერიამ“ და 1886 წ. პირველ იანვრიდან დასტოვა ყოველთვიური ჟურნალის სახე და იწყო გამოსვლა ყოველ-დღიურ გაზეთად. ამიერიდან ის უძლიერესი ლიტერატურული იარაღი გახდა ილია ჭავჭავაძის ხელში, ვინაიდან ის იყო მისი რედაქტორი; თუ როგორ უყურებდა გაზეთი „ივერია“ ჩვენი ქვეყნის განვითარებას, ეს სჩანს ი. ჭავჭავაძის შემდეგი სიტყვებიდან, რომლებიც წარმოსთქვა მან ჯერ კიდევ 1881 წელს: „დიახ, ბატონებო, ჩვენის გულითადის ფიქრით ქვეყანა იმისია, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში-გუთანი. ხმალი იცავს გუთანს, ხოლო გუთანი ასაზრდოებს ხმალს“. რამდენიმე წლის შემდეგ „ივერია“ ვითომდა შეიცვალა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მას სათავეში ჩაუდგა ფილიპე. გოგიჩაიშვილი, მაგრამ ფაქტიურად „ივერიას“ „განახლების“ შემდეგაც არ უღალატნია თავისი ძველი ტრადიციისათვის და ის ბოლომდე შერჩა ამ გზას.

6) **ა. გ. ბულიგინი.** ა. გ. ბულგინი იყო მაშინდელი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი. მისი ხელმძღვანელობით გამომუშავებულ იქნა სახელმწიფო დუმის პირველი პროექტი, რომელიც გამოქვეყნდა 1905 წლის აგვისტოში. ამ დებულების მიხედვით უნდა ყოფილიყო მარტოდ-მარტო სათათბირო დაწესებულება, აგებული ვიწრო ცენზიან და ვიწრო წოდებრივ საარჩევნო უფლების საფუძველზე. რევოლიუციონური მოძრაობის განვითარების გამო ეს არ იქნა გატარებული პირვანდელი პროექტის მიხედვით, მაშინდელი მთავრობა იძულებული გახდა შეეცვალა ეს დებულება. 1905 წლის 2 დეკემბრისა და 1906 წლის 20 თებერვლის კანონების მიხედვით საგრძნობლათ იქნა გაფართოებული დუმის კომპეტენცია და შემცირებული საარჩევნო ცენზი.

7) **ფ. გოგიჩაიშვილი.** ფილიპე გოგიჩაიშვილი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. მან უმაღლესი სწავლა მიიღო საზღვარ-გარეთ, სახელდობრ, გერმანიაში. საქართველოში დაბრუნებისას მას კიდევ მოჰქონდა თავი მარქსისტად, მაგრამ მალე სავსებით შეაქცია ზურგი ამ მოძღვრებას და გადაბარგდა ნაციონალისტების ბანაკში. ილია ჭავჭავაძის შემდეგ ის რედაქტორობდა ნაციონალისტების „განახლებულ“ ორგანოს „ივერიას“. ამ ჟამად ფ. გოგიჩაიშვილი კითხულობს ლექციებს სახელმწიფო უნივერსიტეტში და მუშაობს ამავე დროს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში.

8) **ფრეიბურგში მოსწავლე რამიშვილი.** „ფრეიბურგში მოსწავლე რამიშვილი“ ეს ივანე რამიშვილია, რომელიც პირველად სოც. დემოკრატი იყო და დიდ იმედებს იძლეოდა, მაგრამ შემდეგ თანდათან გადაიხარა ნაციონალისტებისა-

კენ და დაიწყო გამოლაშქრება ჩვენს, ე. ი. ქართველი მარქსისტების წინააღმ-
დეგ. აქ ნახმარია ფრეიბურგში მოსწავლე იმიტომ, რომ ის სწავლობდა და
იმ დროს იმყოფებოდა გერმანიის ქალაქ ფრეიბურგში.

9) **ვლ. დარჩიაშვილი.** ვლ. დარჩიაშვილი გამოჩენილი მარქსისტი იყო. ის
გარდაიცვალა კუჭის ავადმყოფობით 1916 წელს. მას შემდეგნაირათ ახასიათებს
ამხ. ფილიპე მახარაძე: „განსვენებული ლადო დარჩიაშვილის მოღვაწეობა ჩვენში
შეიძლება გაიყოს ორ ხანად, სახელდობრ: 1. საზღვარ გარეთ წასვლამდის და
2. საზღვარ-გარეთიდან დაბრუნების შემდეგ. პირველ ხანაში ეს მოღვაწეობა
მეტად ვიწრო ფარგლებში იყო მომწყვდეული, რაც ადვილი გასაგებია. ყველაზე
უფრო დამახასიათებელი ამ ხანის მოღვაწეობისა ის არის, რომ ლადო იმ თავით-
ვე შემოეკედლა მაშინდელ მარქსისტულ ჯგუფს, რომელიც ის-ის იყო სწორეთ
იმ ხანებში წარმოიშვა ჩვენში. ამ ჯგუფის პირველი ოფიციალური გამოსვლა,
როგორც ვიცით, შეიქნა ეგნატე ნინოშვილის დასაფლავება. ამ დასაფლავებაზე
ლადო დარჩიაშვილმა წარმოსთქვა მეტად შინაარსიანი სიტყვა, რომელმაც დიდი
შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე და რომელიც, გიორგი წერეთლის
მოწმობით, არ იქნა დაბეჭდილი სიდიდის გამო. საზოგადოთ უნდა შეენიშნოთ,
რომ იმ ხანებში ლადო ემზადებოდა პრაქტიკული მოღვაწეობისათვის და ამისა-
თვის საუკეთესო საშუალებათ საზღვარ-გარეთ წასვლა მიაჩნდა. 1898 წ. მას
შეუსრულდა ეს წადილი; იგი გაემგზავრა ევროპაში, სადაც დაჰყო 1904 წლის
ნახევრამდე. ამნაირათ თავის პირველ მიზანს დიდი გაჭირვების შემდეგ მან
სძლია და სამშობლოში ცოდნით აღჭურვილი და სამწერლო ასპარეზზე მოღვაწე-
ობისათვის მომზადებული დაბრუნდა. აქედან იწყება მეორე ხანა მისი მოღვაწე-
ობისა. სამწუხაროთ ლ. დარჩიაშვილი საქართველოში დაბრუნების შემდეგ ევრო-
პიულ ოპორტიუნისტ სოციალისტების სოფლ-მხედველობას იზიარებდა და თა-
ვისი კალმით მათ აზრებს იცავდა. უმთავრესმა უთანხმოებამ ჩვენსა და ლადოს
შორის ეროვნული საკითხის გარშემო იჩინა თავი. ამ ნიადაგზე ატეხილ კამათის
შემდეგ იგი ჩვენს პრესას მოშორდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, სხვა ბანაკში არ
გადავიდა და ამჯობინა განმარტოებით ყოფნა. ეს გარემოება აშკარათ მოწმობს,
რომ ლადო დარჩიაშვილი მრავალი ძაფებით იყო გადაბმული მუშა ხალხთან და
დემოკრატიის ინტერესების დაცვა მისთვის ორგანიულ მოთხოვნილებას შეადგენ-
და. ერთი სიტყვით, ზოგიერთ საკითხში მან გამოიჩინა რყევა, მაგრამ მას პრო-
ლეტარიატისათვის არასოდეს არ ულალატნია. ლადო დარჩიაშვილის მთავარი
შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ ეროვნული საკითხის გადაჭრას კაპიტალი-
სტურ ხანაში პირველ ადგილს უთმობდა. შემცდარი იყო იგი იმაშიაც, როცა
ფიქრობდა, რომ ეროვნული საკითხის გადაჭრის ნიადაგზე თითქოს შესაძლებე-
ლი ყოფილიყოს ცალკე განსაკუთრებული მიმდინარეობის შექმნა მარქსისზმში.
და სწორეთ ასეთი იყო მისი ცდა „ალიონის" გამოცემით.

10) **იშხანიანი.** იშხანიანი იყო სომეხი ნაციონალისტი. თუმცა ის სიტყვით
სოც. დემოკრატი იყო, მაგრამ არსებითად თავიდან ბოლომდე გაჟღენთილი იყო
სომხური ნაციონალიზმით.

11) **კრიმ-გირეი.** (იხ. შენიშვნა მესამე).

12) **გენ. ალიხანოვი.** გენერალი ალიხანოვი (ალი—ხან—ავარსკი) ითვლებოდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის განკარგულებაში იმ დროს, როდესაც ის დანიშნა რიონის რაზმის უფროსად (ეს რაზმი დაარსებულ იქნა გურიის მოძრაობის ჩასაქრობად 1905 წლის დასაწყისში). როცა შემდეგ სულთან—კრიმ—გირეი გაიგზავნა გურიის მოძრაობის გასაცნობათ, ალიხანოვის რაზმის მოქმედება ამით ცოტათი შეიკვეცა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, რაზმი მაინც დარჩა გურიაში გენერალ ალიხანოვს თუმცა მინიჭებული ჰქონდა საგანგებო უფლებები, მაგრამ საერთოდ რევოლიუციონური ნოძრაობის გაძლიერების გამო მან თავის უფლებებით მაინცადამაინც დიდათ ვეღარ ისარგებლა. 1905 წლის ზაფხულში ალიხანოვის რაზმი მოიხსნა და მისი უფროსიც ისევ სამხედრო შტაბის განკარგულებაში გადავიდა. მეორეჯერ ალიხანოვი გამოჩნდა ქუთაისის გუბერნიის გენერალ გენ.-გუბერნატორის სახით 1905 წლის დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ. ის იყო იმ ჯარების უფროსად დანიშნული, რომელიც გაიგზავნა ქუთაისის გუბერნიაში. აქ ალიხანოვმა დააპატიმრა გუბერნატორი სტაროსელსკი. ვიცე-გუბერნატორი ყიფშიძე და სხ. მისი ბრძანებით გადასწვეს დაბა-სოფლები, დაარბიეს ქუთაისი და სხ. 1905 წლის გაზაფხულზე ქუთაისში გენერალ ალიხანოვს თავს დაესხენ რევოლიუციონერები—ყუმბარები ესროლეს, დასჭრეს კიდეც, მაგრამ სიკვდილს გადარჩა. შემდეგ, 1906 წელსვე გენერალი ალიხანოვი მოკლულ იქნა ქალაქ ალექსანდროპოლში (ახლა ლენინაკანი).

13) **ი. ვიტე.** ს. ი. ვიტე იყო რუსეთის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე. ის მუდამ ორპოფ როლს თამაშობდა. მან შეადგინა 17 ოქტომბრის მანიფესტი. პირველი სახელმწიფო დუმის მოწვევის წინ ის გავიდა სამინისტროდან და მას შემდეგ აღარ თამაშობდა დიდ როლს სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზზე.

14) **გ. პლეხანოვი.** გიორგი ვალენტინეს-ძე პლეხანოვი დაიბადა 1857 წელს. ის იყო მარქსიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი და ცდილობდა ამ მოძღვრების რაც შეიძლება ფართოდ გავრცელებას რუსეთში. თავდაპირველად ის ნაროდნიკი იყო, როდესაც მარქსისტი გახდა, მან მოაწყო „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველი პროგრამა მისი გამომუშავებული იყო. ის მონაწილეობას ღებულობდა საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესებზე. პრაქტიკულ მუშაობაში პლეხანოვი დაუდრგომელი იყო. ხშირად მერყეობდა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. იმპერიალისტური ომის დროს დაიკავა „ობორონცული“ პოზიცია. ფილოსოფიის საკითხების დარგში მისი ნაშრომები ითვლება საუკეთესო წიგნებათ მთელს მსოფლიო მარქსისტულ ლიტერატურაში. გარდაიცვალა გ. ვ. პლეხანოვი 1918 წელს.

15) **გოთუა (ცენზორი).** პართენ გოთუა იყო პირველად ქართული გაზეთების ცენზორი 1905 წლის წინა ხანებში. უნდა ითქვას, რომ ის იყო ლმობიერი, ასე ვთქვათ, ლიბერალი ცენზორი. შემდეგ მან თავი „დაანება“ ცენზორობას და გამოსცა თავისი რედაქტორობით რუსული გაზეთი სხვადასხვა სახელწოდებით. დღეს ის ნაციონალ-დემოკრატია.

16) **ვლ. დარჩიაშვილი** (იხ. შენიშვნა მეცხრე).

17) **ეგ. ნინოშვილი.** ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა) დაიბადა 1859 წელს გურიის სოფელ ჩოჩხათში. წერა-კითხვა შეისწავლა სოფლის სკოლაში და შევიდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, საიდანაც მოსწავლეთა მოძრაობის მეთაურობისათვის გამორიცხულ იქნა მეოთხე კლასიდან. 1880—81 წ. წ. ეგნატე თავისსავე სოფელში მასწავლებლობს. 1882 წელს შედის ტელეგრაფისტათ. 1884 წ. გადმოდის ტფილისში და დგება სტამბაში შეგირდათ. 1885 წ. ბრუნდება სოფელში, რადგან ვერ აიტანა სტამბაში მუშაობა. სოფელში ხდება სოფლის მწერლად. 1886 წ. ნოემბერში მიემგზავრება საფრანგეთში (ქალაქ მონპელიეში), საიდანაც სამი თვის შემდეგ ბრუნდება თავის სოფელში. 1887 წ. დგება თავად გრ. გურიელის სასახლეში „საოჯახო მწერლად". 1888 წ. იწყებს ისტორიულ რომანის „სამწუხარო შედეგის" წერას. ამ ხანებში შორდება გურიელის ოჯახს და 1889 წ. მიდის ბათუმში, სადაც დღიურად მუშაობს ქარხანებში, ნავთსადგურში და სხ. 1890 წელს ის შოულობს ადგილს ღოლობერიძის შავი ქვის კანტორაში, ზესტაფონში. აქ ის იწყებს მხატვრულ შრომას-- „სიმონა"-ს „ქრისტინე"-ს და სხვა—მოთხრობებს. 1891 წ. თავს ანებებს აქ მუშაობას და გადადის აგრონომ ტიმოფეევის საფილოქსერო პარტიაში, სადაც რჩება 1891 წლის ოქტომბრის დამლევამდე. 1891 წლის დანარჩენ თვეებს ეგნატე ატარებს ხან ბათუმში, ხან ზესტაფონში. ამუშავებს ყველა თავის ნაწერებს და თანამშრომლობას იწყებს გაზეთ „ივერია"-ში. 1892 წელს ეგნატე უბრუნდება ღოლობერიძის კანტორას და განაგრძობს მწერლობას, 1892 წლის დასასრულს ეგნატეს მოწვევით ზესტაფონში შესდგა პირველი მარქსისტული კრება; 1893 წელს გიორგი წერეთლის მიწვევით ეგნატე იწყებს მუშაობას „კვალში", 1893 წლის შემოდგომიდან ქლექით დაავადმყოფებული ის ლოგინად ვარდება და 1894 წლის მაისში თავის სოფელში სამუდამოდ ეთხოვება წუთი-სოფელს. ეგნატემ საფუძველი ჩაუყარა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. მის საფლავზე ჩამოყალიბდა „მესამე დასი".

18) **თედო ჟორდანია.** თედო ჟორდანია დაიბადა 1854 წელს 20 აპრილს. სწავლა მიიღო სასულიერო აკადემიაში. სხვადასხვა დროს ის მასწავლებლობდა: სასულიერო სასწავლებელში და ტფილისის სასულიერო სემინარიაში. 1896 წლიდან მეთვალყურე იყო გურია—სამეგრელოს და იმერეთის საეკლესიო სკოლების. მას რამდენიმე შრომა აქვს: ქართული ენის გრამატიკა, ქართლ—კახეთის მონასტრების ისტორიული საბუთები, ისტორიული ქრონიკები და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ მან სკოლების მეთვალყურეობის დროს თავი ისახელა ქართული ენის დევნით სააეგრელოს სკოლებში. გარდაიცვალა თედო ჟორდანია 1916 წელს 23 ოქტომბერს სოფელ კასპში.

19) **სიტყვა.** ს. ფირცხალავას (ფედერალისტი) ფსევდონიმი იყო.

20) **კალამი.** კალამიც აგრეთვე ს. ფირცხალავას ფსევდონიმი იყო.

21) **გაზეთი „ნობათი".** გაზეთი „ნობათი" ქართველი ანარქისტების ყოველკვირეული ორგანო იყო.

22) **გაზეთი „შრომა".** გაზეთი „შრომა" ქართველი ფედერალისტების ბეჭდვითი ორგანო იყო.